

მეცნიერება

114/3
1997



6

1997

გნათობი



წელიწადი 73-ე

№ 6

1997 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ბიზლია, ძველი ალთაში. დასასრული 3

პროზა, პოეზია

ოთარ ჩხეიძე — ჩემი სავანი (ხასიათები და პორტრეტები). გაგრძელება 21

მარი აბრამიშვილი — ლექსები 67

გურამ ქაპანაძე — მალაქიას ფერისცვალება. მოთხრობა 72

ზვიად რატიანი — ლექსები 77

მეჩანე ბაქრაძე — მარადისობის სიმღერა. დოკუმენტური მოთხრობა 80

კრიტიკა, კულტურისტიკა

თეიმურაზ მიხეიანი — მუაჯირობა და ქართველი მოწინავე ინტელიგენცია 93

გიორგი არაგული — „ბავლის მამული“ პროზაში და ლიტერატურულ კრიტიკაში. წერილი მეორე. დასასრული. 101

რევაზ კვარაცხელია — ძველი რევოლუციონერები — ახალი რევოლუციის მსხვილნი 115

ეკა ვეჯიძე — მარხულ კრუსტი — ერთი წიგნის მწერალი 125

ლევან ზრალაშვილი — „ნ. დავითიშვილი“ (ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები და ნ. ნიკოლაძესთან დღეის ისტორია) 134

მეცნიერება

ბაკი ხინთიბიძე — „მეცნიერი“—265 151

ფაქტები, მოგონებები

უინსტონ ჩერჩილი — მიშტარები (ნაწყვეტები წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი“). ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან მახათაძემ 160

მეჩანე სულაბერიძე — მრავალხმიანი სამზღოვნიარო სიმღერა „ზარი“ 174

ბელოჯი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1933 წელი

№ 4

საქართველო

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბელოჯი

საქართველო

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერკენიშვილი, გურამ
გვერდთიელი, გურამ ღონანაშვილი, ვენო კალან-
დია, შურმან ლუბანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო
მრეღაშვილი, ვიორგი ნატროშვილი, რამაზ კატა-
რიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორღელი (პასუხის-
მგებელი მდივანი), ნოდარ წულუკისკირი, ოთარ ჭილაძე,
გუსიკ ხარანაული, რევაზ ჯაფარიძე.

ბიბლია

კველი აღთქმა

მეოთხე მაკაბელობა

თავი პირველი

1. ფრიად ფილოსოფიურ საგანზე მსურს საუბარი: განაგებს თუ არა ვნებებს ღვთისმოსავი აზრი, მართებული იქნება ჩემგან, რომ გირჩიოთ მიჰყვეთ ფილოსოფიას. 2. რადგან ეს საგანი აუცილებელია ყველასათვის, ვინც ცოდნას ეძებს, ამავე დროს ის შეიცავს ქებადიდებას უმაღლესი ხათონებისას, როგორც არის გონივრული განსჯა. 3. თუ ამკარაა, რომ აზროვნება გონივრული განსჯის დამაბრკოლებელ ვნებებზე-მუცელღმერთობაზე და ჭინიან ლტოლვებზე მძლავრობს, 4. ასევე ცხადია ისიც, რომ იგი ბატონობს სამართლიანობის ხელისშემშლელ ვნებებზე - როგორც არის რისხვა, შიში და ტანჯვა. 5. ვინმე იკითხავს: თუ გონება განაგებს ვნებებს, რატომ არ ბატონობს იგი გულმაიწიფობაზე და უმეცრებაზე? ხისაცილოდ აივლებენ ჩემს ნათქვამს. 6. რადგან გონება ვერ განაგებს თავის საკუთარ ვნებებს, არამედ იმათ, რომლებიც სამართლიანობას, სიმამაცეს და გონივრულ განსჯას უპირისპირდებიან. საკუთარ ვნებებს იგი არ ხეობს, არამედ მხოლოდ გასაქანს არ აძლევს მათ. 7. ვეულანაირი საბუთით დავიდასტურებთ, რომ გონება ვნებათა განმგებ-

ლია. 8. მაგრამ უფრო თვალნათლივ ცხადვეოფდი ღირსების გულისთვის დახოცილთა-ელეაზარის, მისი შვიდი ძმისა და მათი დედის სიმამაცის მაგალითზე. 9. მათ ხომ არად ჩააგდეს სასიკვდილო წამებანი და ამით ვნებებზე გონების უპირატესობა ცხადვეს. 10. ამჟამად მმართებს განვადილო სიქველეთათვის ისინი, ვინც თავიანთ დედასთან ერთად დაიხოცენ უმაღლესი ზნეობის გასამარჯველავ; და ისევე მსურს ნეტარად შევრაცხყო ისინი იმ ღირსებისთვის, რომელსაც ატარებდნენ. 11. ისინი ხომ გამგედაობითა და შოთმინებით არა მხოლოდ მათ შემუყურე ხალხს, არამედ თავიანთ ჯალათებსაც კი აოცებდნენ; ხდებოდნენ მძლავრობისგან ხალხთა ხსნის სხსარნი და სძლევენ ტირანთ, ვიდრე საბოლოოდ არ განწმინდეს სამშობლო დამყრობელთაგან. 12. ახლაც უმალ ამ ვაჟაკებზე უნდა გესაუბროთ; რაკი ამ ამბებზე ჩამოვარდა სიტყვა, მმართებს ახლავე, როგორც ვერ არს, საბუთებით დავიწყო მსჯელობა და ახე, ყოულად ბრძენი ღმერთის განმადიდებელმა, ვაჟაკურ ამბავთა თხრობისკენ წარუმართო სიტყვა. 13. მაშ, გამოვიკვლიოთ, თუ არის გონება ვნებათა განმგებელი; 14. განვსაზღვროთ, რა არის გო-

სამართმელოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ნება და რა არის ვნება; რამდენნიერთა ვნება და სძლევს თუ არა მათ საბოლოოდ გონება. 15. მამ, გონება ისეთი განსჯაა, რომელიც სწორი გადაწყვეტილებით ბრძნულ ცხოვრებას ირჩევს; 16. სიბრძნე კი არის ღვთაებრივ და აღამიანურ საქმეთა ცოდნა და მათი მიზეზიც. 17. მამსაბადამე, სიბრძნე არის რჯულში განსწავლა, რის შედეგადაც ღვთაებრივ საქმეებს მოწინააღმდეგეობით, ხოლო აღამიანურს — საკუთარი სარგებლობისთვის ვსწავლობთ. 18. სიბრძნის სახეობანია გონიერული განსჯა, სამართლიანობა, სიმამაცე და თვითდაოკება. 19. უმთავრესია მათში გონიერული განსჯა, რომლის წყალობითაც ვნებებს სძლევს ვინება. 20. ხოლო თავიანთ ბუნების მიხედვით ვნებათაგან უძლიერესია — სიამოვნება და ტკივილი, ამათგან ერთი სულისთვის არის თანდაყოლილი, მეორე კი — სხეულისთვის. 21. ამ ვნებებს — სიამოვნებასა და ტკივილს ბევრნაირი შედეგი აქვს. 22. სიამოვნებას წინ უსწრებს სურვილი, და მოსდევს სიხარული. 23. ხოლო ტკივილს წინ უსწრებს შიში და მოსდევს შწუხარება. 24. მრისხანება საერთო ვნებაა სიამოვნებასა და ტკივილს შორის; ამას ყველა მიხედება, ვისაც ვანუცდია იგი. 25. სიამოვნებაში ავი განწყობილებაც არის, რაც ყველაზე უფრო მრავალსახოვანია ვნებათა შორის. 26. ასეთია სულისთვის — ვერცხლისმოყვარეობა, პატემოყვარეობა, მოშულეობა და ცილისმწამებლობა. 27. ხოლო სხეულისთვის — ღორმუცელობა, ვაუმაძღრობა და მარტოღმკამელობა. 28. როგორც სიამოვნება და ტკივილი სხეულიდან და სულიდან აღმოცენებული მცენარეებია. ასევე ამ მცენარეებს თავისი შტოები აქვს, 29. რომელთაგან თითოეულს ასუფთავეებს, სხლავს, ამყნობს, რწყავს და ყოველმხრივ უვლის მიწათმოქმედი — ვინება, და ათვინიერებს ველურ ზნესა და ვნებებს. 30. რადგან ვინება არის ღირსებათა წინამძღვარი და ვნებათა განმკვებელი. ვურად იღუტ პირველ ყოვლისა, რომ ვინება ბატონობს ვნებებ-

ზე თვითდამოკებული ძილვის წყალობით. 31. თვითდაოკება კი ვინების უფლობს. 32. ზოგი სურვილი სულიერია, ზოგიც სხეულებრივი, და, ორივეს, ცხადია, სძლევს ვინება. 33. აბა, როგორ დავაღწევდით თავს თვით სიამოვნებასაც კი, აკრძალული საჭმლის მიმართ მიდრეკილი? ვანა ვინების წყალობით არ ვიოკებთ გულისთქმებს? მე ასე ვფიქრობ. 34. რადგან ჩვენ ვინების ძალით ვიკავებთ თავს წყლის ცხოველთა, ფრინველთა, და სხვა საკვებისგან, რომელთა ჭამაც რჯულით გვეკრძალება. 35. რადგან გულისთქმისხეული ვნებები ითრგუნება თვითდამოკებული ვინიერებით და სხეულის ყოველი მოძრაობა ვინების ძალით არის მოთოკილი.

თავი მეორე

1. რატომ არის საკვირველი, თუ სულის გულისთქმებს სიკეთის წინაშე ძალა ეცლება. 2. ვანა ვინიერი იოსები იმის გამო არ იმსახურებს ქებას, რომ ვინებით ალაგმა ვანცხრომის ვნება? 3. რადგან მან ახალგაზრდობაში, ვერ კიდევ თანაყოფის შემძღუმ, ვინებით უვნებულ გულისთქმათა ნესტარი. 4. და, როგორც ჩანს, არა მარტო ვანცხრომის, არამედ ყოველგვარ ვნებას სძლია ვინება. 5. ავი ვაუწყებებს რჯული: არ ისურვო შენი ახლოზღის ცოლი, არც რაიმე ქონება შენი ახლოზღისა. 6. მართლაც, როცა ვაუწყა რჯულმა — არ ისურვო, უფრო მეტად დაერწმუნდით ვინების ძალაში, რომ შეუძლია მას ვნებათა მართეა. ეს იმ ვნებებსაც ეხება, რომლებიც სამართლიანობას აბრკოლებენ. 7. რადგან როგორ შეიცვლის ზნეს მარტოდ მკამელი, ან ღორმუცელა, ან ღოთი, თუკი ვინება ნამდვილად ვნებათა უფალი არ არის? 8. ცხადია, რჯულის მიმდევარი კაცი, რავინდ ვერცხლისმოყვარული არ უნდა იყოს იგი, იძულებული ვახდება სარგებელის ვარეშე ვასცეს სესხი და შეიღველთა დღესასწაულზე შეუმციროს კიდევ ვადისახველი თანხა. 9. მომჭირნე რომ აღ-



მონღეს კაცი, რჯული გონების ძალით აიძულებს მას, ზედმეტი არც მოხაუღალი, აიღოს, არც ვენახი გაკრიფოს პირწმინდად. სხვა ვნებების თაობაზეც ეს უნდა ვიცოდეთ: ვნებათა უფალია გონება. 10. რჯული მშობლების სიყვარულზეც მეტია, რადგან მათი გულისთვის ღირსებას არ ღალატობს კაცი. 11. ცოლის სიყვარულზეც უპირატესია, რადგან კაცი გაუკიცხავს არ სტოვებს რჯულის გამტეხ ცოლს. 12. შვილების სიყვარულზეც უფრო ძლიერია, რადგან კაცი სჯის შვილებს სიკეთისთვის. 13. მეგობართა ურთიერთობებზეც მართავს, რადგან კაცი კიცხავს მეგობარსაც, თუ ბოროტება ჩაიდინა. 14. უაზრობად ნუ მოგუწევნებთ, რომ გონებას რჯულის ძალით მტრობის დაძლევა კი შეუძლია. ხომ არ იჩეხება მტრის ხელით დარღული ხეებიც კი, არამედ იცავენ მტრის ქონებას განადგურებისგან და ფეხზე აყენებენ წაქცეულს. 15. ცხადია, რომ გონება აოკებს უძლიერეს ვნებებს: ძალაუფლების სიყვარულს, ცუდმედობას მკეხარობას, ამპარტანებას და ცილისმწამებლობას. 16. თრგუნავს ავხნიან ვნებებს ბრძნული გონება, ისევე როგორც მრისხანებას, ამ ვნების ბატონიც არის იგი. 17. როცა მოსე განურისხდა დათანსა და აბირონს, მრისხანებით კი არ მოიქცა მათ წინააღმდეგ, არამედ გონებით შეაკავა მრისხანება. 18. რადგან შეუძლია გონიერულ აზრს დასძლიოს ვნებები — ზოგი მოიშოროს, ზოგიც განაქარვოს. 19. მაშ, რის გამო ადანაშალებდა ჩვენი ყოვლადბრძენი მამა იაკობი სიმეონისა და ლევის ხალხს, როცა უაზროდ ამოკლიტეს შექმნილი მთელი ტომი, წყულო იყოს მათი მრისხანება? 20. ამას არ იტყვია იგი, რომ არ შეძლებოდა გონებას მრისხანების დაბრუნება. 21; როცა ღმერთმა გამოსახა ადამიანი, ჩაუნერგა მას ვნებანი და ჩვევანი, 22. და მაშინ ყოველი გრძნობის წმიდა წინამძღვრად გონება დასვა ტახტზე, 23. და მისცა მას რჯული, რომლის წყალობითაც ადამიანს გონიერული, სამართლიანი, კეთილი და ღირსე-

ული სამეფო უნდა ემართა. ^{მეტივე ვნებანი} გორ არის, იკითხავს კაცი, რომ ვნებათა მბრძანებელი გონება ვერ სძლეოს გულმა ვიწრობასა და უმეცრებას?

მთავი მესამე

1. ეს კითხვა მეტად სასაცილოა, რადგან ცხადია, რომ გონება განაგებს არა თავის საკუთარ ვნებებს, არამედ მხოლოდ ხორციელთ. 2. კაცს არ შეუძლია ამოიკვეთოს ამგვარი სურვილი, მაგრამ გონებას მაინც ძალუძს სურვილისხამში დაუმორჩილებლობის უნარი მოკენისკის. 3. კაცს არ შეუძლია ამოიკვეთოს სულიდან მრისხანება, მაგრამ მრისხანებაში შემწედ შეუძლია მოიხმოს გონება. 4. კაცს არ შეუძლია ამოკვეთოს უკეთური ზნე, მაგრამ გონებას თანამებრძოლად შეუძლია მოგვეფილისოს ავიზნისადმი ქედუხრელობა. 5. გონება ვნებათა აღმომგზერელი კი არ არის, არამედ მათი მოწინააღმდეგეა. 6. ყოველივე ზემოთ თქმულის ნათლად ცხადყოფს ამბავი დავით მეფის წყურვილისა. 7. მთელი დღე უტევედა დავითი თავისი ერის მეომრებთან ერთად ფილისტიმელებს და ბევრი მათგანი გაწვევითა, 8. საღამო რომ ჩამოწვა, გაოფლილი და ძლიერ დაქანცული შევიდა იგი სამეფო კარაჲში, რომელიც ჩვენი წინაპრების ჯარებით იყო გარშემორტყმული. 9. ყველანი უკვე ვახშამად იხსდნენ, 10. მეფე კი, რომელსაც შიმშილზე უფრო მეტად წყურვილი აწუხებდა, ირგვლივ უამრავ წყაროებს ზედაც არ უყურებდა, არსურდა ამ წყაროთა წყლით მოკლა წყურვილი. 11. მაგრამ მტრის წყაროთა მიმართ რაღაც ვაუგებარმა სურვილმა ააღლევა და აღანთო იგი. 12. მაშინ მეფის სურვილისადმი მოწინააღმდეგეობით შეპყრობილმა ორმა ახალგაზრდა წარჩინებულმა მეომარმა აისხა იარაღი, აიღო წყლის ჭურჭელი და მტრის სასაზღვრო სამანები გადალახა. 13. გუშათაგან შეუმჩნეველად შეაღწიეს კარიბჭეში და მტრის მთელი ბანაკი მოიარეს წყაროთა ძებნაში. 14. აღმოა-

ჩინეს წყარო და მისი წყალი გაბედულად მიუტანეს მეფეს დასალევად. 15. მაგრამ წყურვილის ცეცხლით დატანჯულმა მეფემ, სულისთვის საშინელ საფრთხედ მიიჩნია ეს წყურვილი, ღამის სისხლის წყურვილის ტოლფასად. 16. და მან სურვილისადმი გონების დაპირისპირებით ღმერთს შესწირა სასმელი. 17. რადგან გონებას ძალუძს სურვილთა დაძლევა და ვნებათა აღის ჩაქრობა. 18. ძალუძს უძძიმესი ზორციელი ტკივილების დაამება და გონების სიკეთის წყალობით ვნებათა ვეღლანადირი შეტევის უკუტყევა. 19. ახლა კი დრო დადგა, რათა სამაგალითოდ მოვიხსენიოთ გონებისმიერი თავდაოკების ამბავი. 20. ეს მოხდა მაშინ, როცა რჯულკეთილობისა და სწორი ქცევის წყალობით ჩვენს მამა-პაპას მშვიდობა ჰქონდა. როცა თვით აზიის მეფეს — სელევკოს ნიკანორს ფული ჰქონდა მათთვის გამოყოფილი ტაძრის სამსახურისთვის და მათ თვითმმართველობასაც სცნობდა, 21. მაშინ იყო, რომ ზოგიერთებმა საერთო ერთსულელების წინააღმდეგ ჯანყი წამოიწყეს და მრავალგვარი უბედურობანი გამოიწვიეს.

თავი მეოთხე

1. იყო ვინმე სიმონი, პოლიტიკური მეტოქე ონიასი, მშვენიერი და კეთილი კაცისა, რომელსაც მღვდელმთავრობა ეჭირა მთელი სიცოცხლე. რაკი მრავალგვარი ცილისწამებით მან ვერ მოახერხა სახელი გაეტეხა ონიასთვის ხალხის თვალში, გაიქცა სამშობლოდან მის სალაღატოდ. 2. წავიდა აპოლონიოსთან — სირიის, ფინიკიის და კილიკიის განმგებელთან და უთხრა: 3. სამეფო ხელისუფლების ერთგული მოვსულვარ, რათა მოვახსენო, იერუსალიმის საგანძურებში დიდძალი კერძო ქონებაა შენახული, რომელიც არ არის ტაძრის საკუთრება, არამედ მეფე სელევკოსს ეკუთვნის. 4. როცა წერილად გამოიკითხა ეს ამბავი აპოლონიოსმა, შეუქო სიმონს

მეფისადმი ერთგულება, ეზღუდო ქველვარკოსს და მოახსენა საგანძურის შესახებ. 5. და მიიღო უფლება სასწრაფოდ წამოსულიყო ჩვენს სამშობლოზე დიდძალი ლაშქრით, წყულ სიმონთან ერთად. 6. განაცხადა, რომ მეფის ბრძანების თანახმად არის მოსული, რათა საგანძურიდან კერძო პირთა ქონება წაიღოს. 7. ამ სიტყვამ აღაშფოთა ხალხი, ისინი შეეწინააღმდეგენ აპოლონიოსს; მათი აზრით, ეს გაძარცვა იქნებოდა იმათი, ვინც წმიდა საგანძურს მიაბარეს თავიანთი ქონება; და ისინი არასგზით არ დათმობდნენ მას. 8. მაშინ აპოლონიოსი მუქარით დაიძრა ტაძრისაკენ. 9. ხოლო მღვდლები ქალებთან და ბავშვებთან ერთად ტაძარში ევედრებოდნენ ღმერთს, რათა დაეფარა მას ხელყოფისაგან ეს წმინდა ადგილი. 10. და როცა ჯარის თანხლებით ამოვიდა აპოლონიოსი განძის დასატაცებლად, გამოჩნდნენ ცით მოძავალი, ცხენზე ამხედრებული ანგელოზები ელვარე იარაღით ხელში, დიდი შიშისა და ზარის მომგვრენი. 11. მაშინ დაემხო ცოცხალ-შეკვარი აპოლონიოსი ტაძრის საერთო ეზოში, იწვიდა ზეცისკენ ხელებს და აცრემლებული ევედრებოდა ებრაელებს, ელოცათ მისთვის ზეციური მხედრობის მოხალმობიერებლად. 12. ამბობდა, სიკვდილის ღირსი ცოდვა ჩავიდინე, და თუ გადავრჩი, ამ კურთხეულ ადგილს მთელი ხალხის წინაშე განვადიდებო. 13. ამ სიტყვებით შეძრულმა ონიამ მღვდელმთავრმა თუმცა იტყვენულად, მაგრამ მაინც ილოცა მისთვის, რათა სელევკოსი დარწმუნებულიყო, რომ აპოლონიოსი ადამიანურმა მუხანათობამ კი არ დაამხო, არამედ ღვთიურმა სამართალმა. 14. სასწაულით გადარჩენილი აპოლონიოსი უკან გამობრუნდა, მეფისთვის რომ მოეხსენებინა მომხდარი. 15. სელევკოს მეფე რომ გარდაიცვალა, ხელმწიფება მიიღო მისმა ძემ — ანტიოქოს ეპიფანემ, თავზედმა და სასტიკმა ადამიანმა. 16. მან ვადაყენა მღვდელმთავრის თანამდებობიდან ონიამ და დანიშნა ონიას ძმა, იასონი. 17. რო-



მელსაც მღვდელმთავრობის საფასურად ყოველწლიურად სამიათას ექვსას სამოცი ტალანტი უნდა ეძლია მისთვის. 18. ამგვარად, უბოძა მან იასონს მღვდელმთავრობა და ხალხის წინამძღოლობა. 19. ააცდინა იასონმა სწორ გზას ხალხი და ყოველგვარი ურჯულოებით განაგებდა საზოგადო საქმეებს. 20. არა მხოლოდ გიმნაზიონი აშენდა ჩვენი სამშობლოს მთაზე, არამედ სატაძრო სამსახურიც კი გაუქმდა. 21. გაუწყრა ხალხს ამის გამო ღვთიური სამართალი და ანტიოქოსი გამოაღაშქრებინა მათზე. 22. რადგან, როცა პტოლემოსს ეომებოდა ევეპიტემი, გაიგო, რომ ხალხში ცრუ ხმები გავრცელდა, მოკვდაო ანტიოქოსი, და რომ მისი სიკვდილის ამბავი დიდი სიხარულით მიიღეს იერუსალიმელებმა. ამიტომაც მაშინვე გამოაღაშქრა მათზე. 23. და როცა დაარბია იხინი, განკარგულება გასცა სიკვდილით დაესაჯათ ნებისმიერი მოქალაქე, ვინც მამა-პაპის რჯულის დამცველი აღმოჩნდებოდა. 24. მაგრამ ვერანაირი განკარგულებით ვერ აიძულა ხალხი — მშობლიური სჯულისადმი მორჩილება დაერღვიათ; პირაქით, დარწმუნდა, რომ არაფრად მიიხევედნენ ისინი მეფის მუქარასა და სასჯელებს. 25. დედებს თავიანთი შვილების წინდაცვეთის გამო ჩვილებთან ერთად კლდიდან ისროდნენ, მაგრამ მაინც არ არღვევდნენ ამ რჯულს, თუმცა წინასწარ იცოდნენ, რა სასჯელიც მოელოდათ. 26. რაკი არად ჩააგდო ხალხმა მეფის განკარგულებანი, მან დაიფიცა, რომ თავისი ხელით იძულებით შეაჭმედა თითოეულ მათგანს, უსურმაგის ხორცს და იუდაელობას დაავლობინებდა.

თავი მეხუთე

1. თავმოყრილ ხალხს შორის ამადლებულ ადგილას ჩამომჯდარმა, თავითფეხანდღე შეიარაღებული ლაშქრით გარშემორტყმულმა ტირანმა ანტიოქოსმა უბრძანა მცველებს, საითთაოდ გამოეყ-

ვანათ ებრაელები და იძულებით ემკვიდრებინათ მათთვის ღორისებრი მათთვის შეწირულ ცხოველთა ხორცი. 3. და თუ ვინმე არ მიეკარებოდა უწმინდურ საქმელს, ბორბალზე დაებათ და წამებით მოეკლათ. 4. გამოიფიქრეს დიდძალი ხალხი და პირველთა შორის მეფეს მიჰკვარეს კაცი, სახელად ელეაზარი. იგი იყო სამღვდლო მოღვაწიდან, რჯულის მეცნიერი ხანდაზმული და კარგად ცნობილი სამეფო კარზე ფილოსოფიაში განსწავლულობით. დააყენეს ელეაზარი მბრძანებლის წინ. 5. როცა დაინახა იგი ანტიოქოსმა, თქვა: 6. ვიდრე შენს წამებას შეკუდებოდი, მოხუცო, გირჩევ, შეჭამო ღორის ხორცი და ცოცხალი გადარჩები. 7. რადგან პატივს ვცემ შენს ასაკს და ჭიკაძას, თუმცა ამდენი ხანია გამშვენებს ესენი, მაგრამ არა მგონია, ფილოსოფოსი იყო, რაკი იუდაელთა რჯულს მისდევ. 8. რატომ გეზიზნება ბუნებისგან ჩვენთვის მონიჭებული ამ ცხოველის საუკეთესო ხორცის ჭამა? 9. უგუნურებაა არ იცემო უსაყვედურო სიამოვნებანი და უსამართლობაა უკუაგლო ბუნების მომადლებული სიკეთენი, 10. მე ვფიქრობ, უდიდეს უგუნურებას ჩაიდენ, თუკი ამო სიამაყით აღვხილი, დაუპირისპირდები ჭეშმარიტებას და საკუთარი თავის საზიანოდ შეიზიზნებ ჩემს რჩევას. 11. ნუთუ არ გამოფხიზლდები თქვენი ბრყვეული ფილოსოფიისგან და არ გაფანტავ შენს ფუჭ აზრებს, და როდის მოიხვეჭ შენი ასაკის შესაფერ გონებას და იფილოსოფოსებ თანახმად ჭეშმარიტებისა, რომელიც საკეთილდღეოა შენთვის? 12. დაინდე შენი სიბერე და დაემორჩილე ჩემს კაცთმოყვარულ რჩევას. 13. იცოდე: თუკი არსებობს რაიმე ძალა, რომელიც თვალყურს ადევნებს თქვენს რჯულს, ის მოგიტყვებს შენ, იძულებით ჩადენილ ურჯულო საქმეს. 14. როცა ამგვარად არ წმუნებდა მბრძანებელი ელეაზარს, ეჭამა აკრძალული ხორცი, მან სიტყვა ითხოვა. 15. ნებართვა რომ მიიღო, ესა თქვა საჯაროდ: 16. ჩვენთვის, ანტიოქოს, ღვთიური რჯულის თანახმად მცხოვრებ-

თათვის, ყოველგვარ იძულებაზე ძლიერია ჩვენი რჯულისადმი მორჩილება. 17. ამიტომაც არასეზით არ დაუშვებთ რჯულის დარღვევას. 18. რომც არ იყოს ჩვენი რჯული ღვთიური, როგორც შენ გგონია, და ჩვენც შეცდომით მივუჩინდეს იგი ღვთიურად, მაშინაც კი უღირსეობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან ჩვენი ღვთისმოსაობის გაუქმება. 19. ნუ იფიქრებ, რომ მცირე ცოდვა დაგვეკისრება უწმინდური ცხოველის ზორცს თუ შევჭამთ. 20. ერთია ურჯულოება — დიდი იქნება თუ მცირე. 21. რადგან ორივე შემთხვევაში ირღვევა რჯული. 22. შენ დასცინი ჩვენს ფილოსოფიას, თითქოს უგუნურად წარმართავდეს იგი ჩვენს ცხოვრებას, 23. მაგრამ ის გვახსნავს სად აზროვნებას — ყოველგვარ სიამეთა და ვნებათაგან თავშეკავებას, და გვაჩვენებს, რომ ხალხით ავიტანთ ყველანაირი გასაჭირი. 24. გვერთვნის სამართლიანობაში, რათა წეს-ჩვეულებას ერთნაირად მივაგოთ პატივი, გვახსნავს მონიწევას რომ მხოლოდ ცოცხალი ღვთის წინაშე გვექნდეს მისი შესაფერი მონიწება. 25. ამიტომაც არ ვჭამთ უწმინდურ ცხოველთა ხორცს, რადგან გვჭამს, რომ ღვთისგან არის დაწესებული რჯული და ვიცით, რომ ჩვენს ბუნებას უთანაგრძნო საძეაროს შემოქმედმა, როცა რჯულს აწესებდა. 26. უფლება მოგვცა ის გვეჭამა, რაც უფრო შესაფერისია ჩვენი სიცოცხლისათვის, შეუფერებელი კი აგვიკრძალა. 27. მძლავრობაა შენი მხრით არა მართლ ის, რომ რჯულის დარღვევას გვაიძულებ არამედ ისიც, რომ ასე დაცინვით შეგვაჭამო აკრძალული ხორცი, რაც ეგზომ საძულველია ჩვენთვის. 28. მაგრამ არ გაგაცინებ ჩემზე და 29. არც ჩემი მამა-პაპის წმიდა ფიცს დაეარღვევ ჩვენი რჯულის დაცვის თაობაზე. 30. კიდევაც რომ დამთხარო თვალები და შეგნულობა ამომიყარო, 31. მე არც ისეთი მოხუცი ვარ და არც ისეთი უძლური, რომ ღვთისმოსაობისთვის ვერ მოვიკრიბო გონება. 32. მამ, გაიმზადდ ბორბლები და აღაგზნე ძლიერი ცეცხლი,

33. ხანანებლად არ გავიხდი ჩემს სიბერეს, არ შეველაზო ჩემი თავი უმწიკველ მამაპეულ რჯულს. 34. არ გიღალატო რჯული, რომელმაც გამწრთვენი მე; არ უარყოფ, ძვირფასო დათმენავ! 35. არ შეგარცხვენ. ფილოსოფიური აზრო, არ უგულუბელგოფო, საპატიო მღვდლობავ, არც შენ, რჯულის მეცნიერება! 36. ვერ წაბილწავ, მეფეო მოხუცის ღვთისმოსავ ბავეს, ვერც ჩემს რჯულიერ ხანგრძლივ სიცოცხლეს! 37. უმწიკველო მიუვალ ჩემს მამა-პაპას, რადგან სიკვდილისაც არ შემშინებია შენს ხელში. 38. შეგიძლია იმძლავრო უღვთოზე, მაგრამ ჩვენს ღვთისნიერ გონებაზე კი ვერ იბატონებ, ვერც სიტყვით, ვერც საქმით.

თავი მეთხუთსი

1. მბრძანებლის შეგონებებზე ამ პასუხისათვის მცველებმა ძალით მიათრიეს ელეაზარი საწამებელ იარაღებთან, 2. ჯერ შესამოსელი შემოაძარცვეს მოხუცს, ყოველი სიკეთითა და ღვთისმოსაობით შემკობილს. 3. შემდეგ ყოველი მხრიდან დაუშინეს მას შოლტები. 4. ხოლო მის წინ მაცნე გააკვიროდა; დაემორჩილეთ მეფის ბრძანებებსო! 5. დიდსულოვანი და კეთილშობილი ელეაზარი კაცი კი, როგორც ჭეშმარიტი ელეაზარი, შეუძრელი იყო, თითქოს სიხმარში ეწამებო. 6. მოხუცს თვალები მალა, ზეცისკენ ჰქონდა აყვრიბილი, მისი ხორცი კი შოლტებით იფლითებოდა, სისხლი ღვარად სდიოდა დასერილ ფერდებზე. 7. თუმცა მიწაზე ეგლო, რადგან სხეულს აღარ შეეძლო წამების ატანა, მისი გონება მტკიცე და შეურვეველი იყო. 8. ვიღაც სასტიკი ჯარისკაცი ფერდებში წიხლის ცემით წამოაგდებდა ხოლმე ფეხზე, რომ ისევ ცემით მიწაზე დაეგდოთ. 9. მაგრამ მოთმინებით იტანდა ტკივილს და, ძალადობის არადამგდები, უძლებდა ტანჯვას. 10. მოხუცმა ღირსეული ათ-



ლეტის მსგავსად, თუმცა ნაცემი იყო, მაგრამ სძლია თავის მტანჯველებს. 11. სახეზე ოფლმდინარი და სულთმობრძა-ვი თავის მტანჯველებსაც კი აოცებდა სულის ხიმტკიცით. 12. მაშინ, არ ვიცი, მისი ხანდაზმული ასაკის გამო შეიძრა სიბრალულით, 13. არ ვიცი, მისი ნაც-ნობი იყო და მისი თანაგრძნობა სურდა, თუ მისმა მოთმინებამ გააოცა; მეფის ერთი მხლებელთაგანი მივიდა მასთან და უთხრა: 14. რად იღუპავ ასე უგუნურად თავს ელეაზარ? 15. ჩვენ ხომ შენ დიდებულ საჰმელს ვთავაზობთ; დათან-ხმდი, იქნებ ვასინჯო ღორის ხო-რცი და გადაიჩინო თავი. 16. ხოლო ელეაზარმა, თითქოს ამ რჩე-ვამ უფრო გაამწარაო, წამოიყვირა: 17. ნუ ვიფიქრებთ აბრაამის ძენი ასე ცუ-დად, თითქოს აქ სულმოკლეობის გამო ჩვენთვის შეუფერებელი წარმოდგება იყოს გამართული. 18. უგუნურება ის იქნებოდა, რომ ახლა შევეცილილიყავით, როცა ხანდაზმულობას მართალი ცხოვ-რებით მივადწიეთ და აქამდე ღვთის დი-ღებას რჯულის თანახმად ვინახავდით, 19. და უღვთოების ნიმუშად წარმოუდ-გეთ ახალგაზრდობას და უწმინდურთ-მჭამელობის მაგალითი შევიქმნათ. 20. სამარცხვინო იქნება, თუ მცირედი დრო-ით სიცოცხლე გავიხანგრძლივეთ და ამხნის მანძილზე ქვეყანამ დაგვცინა სულმოკლეობის გამო, 21. და ჩვენმა მტარვალმაც კი შეგვიზიზღა, რომ ვერ დაეცავით ჩვენი ღვთიური რჯუ-ლი. 22. დაე, ღირსეულად შევხვ-დეთ სიკვდილს ჩვენი რჯულისათვის აბრაამის ძენო! 23. აბა, ნულარ აყოვ-ნებთ, მტარვალის მცველნო! 24. როცა დაინახეს, რომ იგი ასე მხნედ შეხვდა განსაცდელს და რომ მათმა სიბრალულ-მა არ შეცვალა, მცველებმა იგი კო-ცონთან მიიყვანეს. 25. რაღაც უკეთური მანქანებით აღვზნებულ ციციხლში შეაგ-დეს და თან რაღაც საზიზღარი სითხე ჩაალვარეს ნესტოებში. 26. მან კი, თით-ქმის ძელბამადე დამწვარმა, უკვე გონ-საც რომ კარგავდა, ღვთის მიმართ აღ-აყრო თვალები და თქვა: 27. შენ უწვი,

ღმერთო, შეძებლო მეხსნა რამ რჯულისთვის კვებებო მორევში. 28. შეიწყალე შენი ხალხი და საკმარისი იყოს მათთვის ჩვენი სასჯე-ლი. 29. ჩემი სისხლით ვანწმიდე ისინი და მათი სულის ხანაცვლოდ მიიბა-რე ჩემი სული. 30. ესა თქვა წმიდა კაც-მა და წამებაში ღირსეულად დალია სუ-ლი. გონებით დაითმინა რა ხასიკვილი წამებანი რჯულის გულისთვის. 31. ამგვარად, ეჭვი არ არის, რომ ვნე-ბათა მბრძანებელია ღვთისმოსავი გო-ნება. 32. რადგან ვნებებს რომ დაეძლია გონება, მაშინ მათ მბრძანებლობას და-ვადასტურებდით. 33. მაგრამ ახლა ვნე-ბებზე რომ გაიმარჯვა გონებამ, ჯეროვ-ნად მას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. 34. მართებულციცა, ვადიაროთ ძლიერე-ბა გონებისა, რომელიც სძლევს — რა სასაცილოდაც უნდა მოგვეჩვენოს, — გა-რედან თავისმოხვეულ ტანჯვას. 35. მე იმასაც ვმოწმობ, რომ მარტო ტანჯვის კი არ სძლევს გონება, არამედ ხიამთაც სძლევს იგი და მათ წინაშეც არ იხვს უკან.

თახი მუხვილა

1. ჩინებულ მესაჰესავით ეყრა ჩვენს მამას, ელეაზარს, გონების საჰე და მიკ-ვევდა ღვთისმოსავობის ხომალდი ვნე-ბათა ზღვაში. 2. მტარვალის მუქარით ღელეღილს და წამებათა მძლეველტა-ღებით გარემოცულს, 3. არსად მცდარი გეზით არ მიუმართავს ღვთისმოსავობის საჰე, ეიდრე უკვდავი გამარჯვების ნაე-საყუდელს არ მიადგა. 4. მრავალგვარი სააღყო მანქანებით გარსშემორტყმულ ქალაქს არ გადაუტანია იმდენი, რამდე-ნიც ამ ყოვლაწმიდა კაცმა გადაიტანა, თუმცა მისი წმიდა სიცოცხლე ტანჯეა-წამების აღში იწყოდა, მან სძლია მო-აღვეებს ღვთისმოსავური გონების ფა-რით. 5. გონების აზიდვით მადალ მწვერვალზე თავი დაადწია მამა ელეა-ზარმა ვნებათა გიჟურ ტალღებს. 6. მღვდლობის ღირსი მღვდელი, არ წა-

გბილწავს შენი წმიდა კბილები და არც მღვთისმოსიშობისთვის და სიწმიდისთვის განკრძალული შენი მუცელი არ შევირყენია უსურმაგის ჭკამით. 7. ო, რჯულის თანხმებრო და ღვთიურო ცხოვრების ფილოსოფოსო! 8. ასეთი უნდა იყოს რჯულის მოქმედი, მისი დამცველი საკუთარი სისხლითა და კეთილშობილური ოფლით, თუნდაც ტანჯვაში სიკვდილი ელოდეს. 9. შენ, მამაო, ჭირთამძლეობის წყალობით განამტკიცე რჯულისადმი ჩვენი ერთგულება და არც სიწმინდე დაგვიგმია, რომელსაც განადიდებდი; არამედ საქმითაც სარწმუნო ჰყავი ღვთაებრივი ფილოსოფიის სიტყვები. 10. ო, განსაცდელთა მძლეველო ბერიკაციო, ცეცხლზე უფრო გამძლე მოხუციო, ვნებათა დიდო მბრძანებელო, ელეაზარ! 11. როგორც მამა აარონმა სასაკმევლით ხელში გაარღვია ხალხის ბრბო და ცეცხლოვან ანგელოზზე გაიმარჯვა, 12. ასევე აარონის შთამომავალმა ელეაზარმა, ცეცხლში ჩადებულმა, არ შეიცვალა გონება. 13. რაოდენ საოცარია, რომ მოხუცის დანაზნაკებული სხეული, დაუძლურებული ხორცი და მოღუნებული სახსრები განკაბუდნენ. 14. სულში გონების ძალით და ისაკისებრმა გონებამ მრავალთავიან საწამებელ მანქანაზე გაამარჯვებინა. 15. ო, ნეტარო სიბერევე და პატიოსანო ჭაღარავ, რჯულიერო სიცოცხლევ, რომელიც სიკვდილის ჭეშმარიტმა ბეჭედმა სრულყო: 16. რაი ამ მოხუცმა კაცმა გაუძლო სასიკვდილო განსაცდელს ღვთისმოსაობის წყალობით, მამ, ჭეშმარიტად ვნებათა მბრძანებელი ყოფილა ღვთისნიერი გონება. 17. იტყვიან: ყველას არ ძალუძს ვნებათა ძლევა, ყველას ხომ არ ახლავს გონიერი აზრიო. 18. მაგრამ მხოლოდ ისინი დახმდევენ ხორციელ ვნებებს, ვინც მთელი გულით შეითვისებენ ღვთისმოსაობას, 19. და იმის რწმენა ექნებათ, რომ ღმერთში კი არ დაიხოცებიან, არამედ ჩვენი მამამთავრების — აბრაამის, ისაკისა და იაკობის მსგავსად, ღმერთში იცოცხლებენ. 20. ამიტომ ვერინ ჩაგვითვლის წინა-

აღმდეგობად, თუ ვისმე გონების სიმარტის გამო სძლევს ვნებები. 21. ვინც ფილოსოფოსთა წესებით ცხოვრობს, როგორც ფილოსოფოსი და ღმერთი სწამს, 22. ვინც იცის, რომ ნეტარებაა ყოველგვარი ტანჯვის ღირსეულად დათმენა: განა არ დასძლევს იგი ვნებებს თავისი ღვთისმოსავლით? 23. რადგან მხოლოდ ბრძენი და მამაცი ადამიანია ვნებათა უფალი.

თავი მერვე

1. ამიტომ იყო, რომ ღვთისმოსავლით ფილოსოფიის მიმდევარმა ახალგაზრდებმაც გაუძლეს უძძიმეს განსაცდელებს. 2. პირველი ცდიხას ხომ აშკარად დამარცხდა მტარვალი; რომელმაც ვერ აიძულა მოხუცი და ვერ შეაჭამა უსურმაგის ხორცი. მამინ, სასტიკი რისხვით შეპურობილმა ბრძანა, წამოეყვანათ სხვები ებრაელთა საკრებულოდან და, თუ ისინი შეჭამდნენ უსურმაგის ხორცს, გადარჩებოდნენ; უარს თუ იტყოდნენ, უფრო მძიმედ ეწამებოდნენ. 3. ეს ბრძანა მტარვალმა და წარუდგინეს მას შეიდი მამა მოხუც დედასთან ერთად. შეიდივე მშვენიერი, მოკრძალებული, კეთილშობილი და ყოველგვარი მაღლით შემკობილი იყო. 4. როდესაც დაინახა ისინი მბრძანებელმა, თითქოსდა საფერხულოდ დედის ირგვლივ თავმოყრილნი, პატივისცემით განიმსჭვალა მათდამი და, მათი ღირსებითა და კეთილშობილებით მოხიბლულმა, გაუღიმა მათ, ახლოს მოუხმო და უთხრა: 5. ჭაბუკებო, კეთილგანწყობილი ვარ თქვენდამი. მათებს თქვენი მშვენიერება და ძმების სიმრავლე, ამიტომაც ვირჩევთ, არამითუ არ აპყვეთ წყლან წამებული მოხუცის უჯიათობას, არამედ ვთხოვთ, დაპყვეთ ჩემს ნებას და შეირგოთ ჩემგან შემოთავაზებული მეგობრობა. 6. მე შემძლია დაგსაჯოთ ჩემი განკარგულებისადმი ურჩობისათვის, და შემძლია სიკეთე მოგაგოთ ჩემი რჩევისადმი კეთილგანწყობის საზღაურად. 7. დამერ-



წმუნეთ, აღზევლებით ჩემს სამეფო კარზე, თუ უარყოფთ თქვენს მამაპაპულ წეს-ჩვეულებებს. 8. იცხოვრეთ ელიზურად და ღატკებით თქვენი ახალგაზრდობით. 9. მაგრამ თუ ურჩობით განმარისხეთ, იძულებულს გამზდიოთ, სამიწიანი წამებით ამოვხადო სული თითოეულ თქვენგანს. 10. მაშ, შეიბრალეთ თქვენი თავი, მე, თქვენი მტერიც კი, შეძრული ვარ თქვენი სინორჩითა და მშვენიერებით. 11. ნუთუ არ ფიქრობთ იმაზე, რომ ურჩობის შემთხვევაში გარდაუვალი სატანჯველი მოგვლით? 12. ეს თქვა და ბრძანა, წინ დაეწყით წამების იარაღები, რათა შიშით აეძულებინა ისინი, რომ უსურმაგის ხორცი ეჭამათ. 13. როცა მცველებმა მოუტანეს ბორბლები, ასოთგამწილაკები, მარწუხები, კაუჭები, ისართმტყორცნები, ქვაბები, ტაფები, ხელთათმანები, რკინის ხელები, სოლები და მუგუზლები, და წინ დაუწყვეს, თქვა მბრძანებელმა: 14. გეშინოდეთ, ყმაწვილებო, თუ სამართლის მოწინააღმდეგეებით, თუ მოგვამებთ იგი როცა იძულებით დარდევთ თქვენს რჯულს. 15. მათ მოისმინეს მაცდუნებელი შეგონება, იზილეს საშინელი იარაღები და არამცთუ შედრკნენ, არამედ დაუპირისპირეს კიდევ მბრძანებელს ფილოსოფიური სიტყვა და გონივრული განსჯის წყალობით არად აქციეს მისი ბრძანებლობა. 16. განესაჯათ, გულმხდალნი რომ ყოფილიყვნენ მათ შორის და არაკაცი, როგორი სიტყვები იქნებოდა ნათქვამი? ასეთი ხომ არა: 17. ვაი, ჩვენ, უბედურებსა და უგუნურებს! როცა მეფე გვიხმობს ჩვენ და პატივს აღვითქვამს, როგორ არ დავყვეთ მის ნებას და 18. ჩვენი უგუნური გადაწყვეტილებით სიკვდილის მომტანი ურჩობა ვაგებდით? 19. არ გეშინიათ, კაცებო, ძმებო, საწამებელი იარაღებისა და არაფრად მიიჩნევთ წამების მუქარას? არ უნდა გავამცეთ ცუდმედიობას და დამღუპველ თავმოშწონებას? 20. არ შევიბრალოთ ჩვენი ახალგაზრდობა და არ დავინდოთ დედის სი-

ბერე? 21. გვახსოვდეს, რომ დავეღუპავს ჩვენი ურჩება. 22. შევენიდნენ ღვთაებრივი სამართალიც, იძულებით რომ დავენებდეთ მეფეს. 23. არ შევირგოთ მათგან ტყილი ცხოვრება და ხელიდან გავუშვათ ამქვეყნიური სიამენი? 24. მაშ, ნუ შევეწინააღმდეგებით ბედისწერას და ცუდმედიურობის გულისთვის ნუ ჩავიდებით თავს სატანჯველში. 25. თავად რჯული არ იწებებს ჩვენს დასჯას, წამებას თუ შევეშინდებით. 26. რას მოგვიტანს ეს ჯიბრი და რას გვარგებს ეს დამღუპველი გაძძილება, როცა უშფოთველი ცხოვრება გველის, თუ მეფეს დავემორჩილეთ? 27. მაგრამ მსგავსი არაფერი უთქვამთ ახალგაზრდებს, სატანჯველის მომლოდინეთ, არც გაუმხნეველია ერთ-ერთი; 28. რადგან სატანჯველის არადნამგდებნი და ტკივილების დამთმენნი იყვნენ. 29. დაასრულა თუ არა მბრძანებელმა შეგონებები უსურმაგის ხორცის ჭამაზე, ყველამ ერთხმად, თითქოსდა ერთი სულიდან ამბობენო, აღმოთქვა:

თავი მესამე

1. რაღას ფიქრობ, მბრძანებელი? ჩვენ ხომ მხად ვართ უმაღლესად მოგვკვდეთ, ვიდრე ჩვენი მამა-პაპის მცნებანი დაეარღვიოთ. 2. ნამდვილად შევარცხვნი ჩვენს წინაპრებს, თუკი რჯულსა და ჩვენს მრჩვეულს მოსეს არ დავემორჩილებით. 3. ურჯულოების მრჩველო მბრძანებელი, ჩვენდამი სიძულელიში იმაზე მეტად ნუ შეგვიბრალებ, ვიდრე ჩვენ გვებრალება საკუთარი თავი. 4. რადგან თავად სიკვდილზე უმძიმესად მიგვაწინაა შენგან შეწყალება რჯულის დარღვევის ფასად გადარჩენა. 5. შენ გვეუბნები, წამებით ამოვხდითო სულს, თითქოს ამ ცოტა ხნის წინ ელეაზარისგან არაფერი გესწავლოს. 6. თუკი ებრაელთა მოხუცებულებმა ღვთისწინიერად იცხოვრეს და გაუძლეს სატანჯველს, ბარემ ჩვენ, ახალგაზრდებიც, დავიხოციოთ არად ნამგდებნი შენგან მოვლენილი სატანჯვე-

ლისა, რომელზეც გამარჯვება მოიხვეჭა ჩვენმა მოხუცმა მოძღვარმა. 7. აბა, გამოვეცადე, მბრძანებულო, თუ ჩაკლავ ღვთისნიერებით განსჯვალულ ჩვენს სულს? ნუ გვონია, რომ წამებით ჩვენ რაიმე ზიანი მოგვაყენო. 8. ჩვენ ხომ ამ ტანჯვათა მოთმინებით ამტანნი, ღირსების ჯილდოს დავიმსახურებთ და ვიქნებით ღმერთთან, ვისთვისაც ვწამებით. 9. შენ კი, ჩვენი სისხლით წაბილწულს, თავად მოვიწვევს ღვთის განგებით მარადიული წამება ცეცხლით. 10. ამ სიტყვების მოსმენისას მარტო მათმა ურჩობამ კი არ გაამძინებარა მბრძანებულო, არამედ მათ უმადურობაზეც მოერია რისხვა. 11. უბრძანა მცველებს წინ გამოვედით უფროსი ძმა, ქიტონი გაეხადათ მისთვის და ღვედებით გაეკოჭათ ხელმკლავი. 12. როცა შოლტების ცემისგან დაიღალნენ ჯალათები, ბორბალზე შეაგდეს იგი. 13. ზედ დააკრეს კეთილშობილი ყრმა და სახსრები დაუწვევით. 14. თუცა მთლად დასახინრებული იყო, მაგრამ მაინც გამოიხსნა სიტყვებს ამბობდა. 15. უწმინდურო მბრძანებულო და ციური სამართლის მტერი, გულსასტიკო, ასე იმიტომ კი არ მასახინრებ, რომ კაცის მკვლელი ან უღვთო ვინმე ვიყო, არამედ იმიტომ, რომ რჯულის დამცველი ვარ. 16. ჯალათები ეუბნებოდნენ: ჭამე, თავი რომ დაიხსნა წამებისაგანო. 17. ის კი პასუხობდა: ისე გაუსაძლისი როლი არის ეს თქვენი ბორბალი, რომ ვინება დამიხშოს. ასო-ასო ამკუნეთ, დაწვით ჩემი ხორცი, გადამიგრიბეთ სახსრები. 18. მთელი ამ სატანჯველით დაგარწმუნებით, უძლეველნი მხოლოდ ვბრავლეთა ძენი არიან, როცა მათ ღირსებაზე მიდგება საქმე. 19. ამას რომ ამბობდა, შეუნთეს ქვეშ ცეცხლი და დაატრიალეს ბორბალი. 20. ყოველმხრივ სისხლით ირწყვებოდა ბორბალი და ნაკვერჩხალთა გროვას სითხის წვეთები აქრობდა. იარაღის ღერძსაც კი ხორცები ეკიდა. 21. მაგრამ ძვლებიც რომ დაუმტვრიეს, არც მაშინ დაუკენებია კეთილშობილ ყრმას — აბრაამის ძეს, 22.

არამედ თითქოსდა ცეცხლშიც უყვებოდნენ, გარდაქმნილი, ღირსეულად უძლებდა წამებას. 23. ამბობდა: მომბამეთ, ძმებო, მარტო ნუ შემატოვებთ ასპარეზს, შემოთფიცეთ სულიერი ძმობა! 24. საღვთო და წმიდა ომი გამართეთ რჯულისთვის; ჩვენი მამა-პაპის სამართლიან განგება წყალობით მოხედავს ჩვენს ხალხს, შურს იძიებს მტარვალ მბრძანებელზე. 25. ეს თქვა ღვთისდარმა ჭაბუკმა და დალია სული. 26. ყრმის სულიერი სიმტკიცით გაოცებულმა მცველებმა გამოიყვანეს მომდევნო ძმა, მახვილბრძვალებიან რკინის ხელებს დაუყენეს წინ, მერე საწამებელ იარაღზე დააკრეს. 27. ვიდრე აწამებდნენ, ურჩიეს ჭამა, მაგრამ ღირსეული პასუხი მიიღეს. 28. აფთარივით მხეცებმა რკინის ხელებით დამარღვეს იგი, ნიკაამდე ხორცი შემოაგლიჯეს და თავზეც წაამრეს კანი. ის კი იტანდა ამ მიიმე წამებას და ამბობდა: 29. რაოდენ ტკბილი ყოველგვარი სიკვდილი მამაპაპეული რჯულისთვის და ტირანს მიმართავდა: 30. ნუ გვონია, უსასტიკესო მტარვლო, ჩემზე ნაკლებ წამებას უძლებდე; როცა ხედავ როგორ მარცხდება შენი მტარვალური განზრახვა ჩვენი მოთმინებით რჯულის გულისთვის. 31. მე ხომ სიკვდილით მონიჭებული სიამის წყალობით ვიმსუბუქებ ტანჯვას, 32. შენ კი უღვთო მუქარა ვაწამებს. ღვთიური რისხვის სამსჯავროს ვერ გაეცევი, უწმინდურო მტარვლო.

თავი მესამე

1. ამანაც გაუძლო წამებას და სახელოვანი სიკვდილით აღესრულა. გამოიყვანეს მესამე. მრავალგზის ურჩევდნენ მრავალნი: შეჭამე და გადარჩებიო. 2. მაგრამ მან წამოიძახა: ვანა არ იცით, რომ სიკვდილისთვის ჩამსახა მამაქმმა და გამაჩინა დედამ და ამ მოძღვრებით ვარ აღზრდილი? 3. არ გავტეხ ძმობის კეთილშობილურ ნათესაობას. 4. მოაყენეთ ჩემს სხეულზე, თუ რამ სიწამებე-

ლი იარაღი გაქვთ; ჩემს სულს კი ვერაფერს დააკლებთ, რაც უნდა ვეცადოთ. 5. ამ კაცის სიმხნევით განმძვინვარებულმა საწამებელი იარაღებით ზელფები გადაუმტვრიეს და. 6. გადაუმტვრიეს თითები, მკლავები, წვივები, იდაყვები, 7. ვერაფრით რომ ვერ აიძულეს აზრის შეცვლა, სკვიოური წესით თავიდან ფეხებამდე მანქანით გააძვრეს ტყავი. 8. შემდეგ ბორბალზე აიყვანეს, საიდანაც საკუთარი თვალებით ხელადა თავისსაკვე დაგლეჯილ ხორცსა და შიგნეულობიდან ამომსკდარ სისხლის ნაკადულებს. 9. სიკვდილს მიწურულმა თქვა: 10. ჩვენ, უწმინდურო მტარვალო, აღზრდისა და ღირსების გამო ვიტანთ წამებას, 11. შენ კი უღვთობისა და სისხლის მსმელობის გამო მარადიული სატანჯველი გელოდება. 12. როცა მოკვდა ეს ღირსეული ძმა, მეოთხე გამოაირიეს და უთხრეს: 13. ნუ აძვები შენი ძმების სიციფს, დაუჯერე მეფეს და უშველე თავს. 14. მან კი უპასუხა: უფრო ძლიერად აღაგზნეთ ჩემთვის ცეცხლი, სიმხდალე თუ გამოვიჩინო. 15. ვფიცავ ჩემი ძმების კურთხეულ სიკვდილს და მტარვალის მარადიულ წარწყმედას, ღვთისმოსაეთა მარადიულ სიცოცხლეს ვფიცავ, არ ვუღალატებ კეთილშობილურ ძმობას. 16. მოიგონე, მტარვალო, წამებანი, იქნებ მათგან ისწავლო, რომ მე წელან წამებულთა ძმა ვარ. 17. ეს რომ გაიგო სისხლს მოწყურებულმა და მკვლელმა, უწმინდურმა ანტიოქოსმა, ბრძანა, ენა ამოეკვეთათ ფაწვილისათვის. 18. მან კი თქვა: სიკვდილის იარაღითაც ვერ შემამინებ. მღუმარესაც უსმენს ღმერთი. 19. აჰა, ამომკვეთე ენა, ამით ჩემს გონებას ვერ დაადუმებ. 20. ხალისით შემინირავს ღვთისათვის სხეულის ნაწილები. 21. შენ კი მალე სასჯელით მოგვეწვა ღმერთი საგალობლებით უფლის განმადიდებელი ენის ამომკვეთელს.

1. როცა იხიე მოკვდა, სასტიკი წამებით გატანჯული, მოიჭრა მეხუთე და თქვა 2. არ ვაპირებ, მტარვალო, გავქცე სატანჯველს ღირსებისთვის. 3. იგი თავისით მოშეახლა, რათა ჩემი მოკვლით მრავალი დანაშაულისთვის ღვთიური სამართლით მოგელზოს სასჯელი. 4. ღირსებისა და კაცთა მოძულევე, რა საქციელის გამო გვანადგურებ ასე? 5. იმის გამო, რომ ყოველი ქმნილების შემოქმედს მოწინებთ ვეპყრობით და მისი რჩეული რჯულის თანახმად ვცხოვრობთ. 6. მაგრამ ეს საქციელი პატივს იმსახურებს, არა წამებას, 7. თუ ნამდვილად აღამიანურა გრძნობები გაქვს და ღვთისგან ხსნას ელი; 8. მაგრამ შენ უცხო ხარ ღვთისთვის და ებრძვი მის თავჯანსმეკმელთ. 9. ენა თქვა და მცველებმა შეკრეს იგი და ისართმეცორენელ მანქანასთან მიათრიეს. 10. მუხლებით მასზე დააბეს და რკინის მარწუხებში მოამწყვდიეს, მერე ბორბლის პირზე დააკრეს ზურგიით, ისე რომ მორიელივით გაუღრიკეს წელი, დაწყვეტაზე ქონდა სახსრები. 11. ამ მღვთმარეობაში სულმეხუთულმა და ტოვილისაგან გამწარებულმა 12. თქვა: დიდ წყალობას გვაძაღლი მტარვალო, შენდა უნებლიეთ; რადგან ამ სატანჯველით გვაიძულეს, გამოვჩინოთ ჩვენი გამძლეობა რჯულის გულისთვის. 13. ესეც რომ აღესრულა, მოიყვანეს მუქქესე ყრმა, რომელმაც მბრძანებლის წინადადებას, თუ შეჭამ, გათავისუფლებიო, უპასუხა: 14. ასაკით მე ჩემს ძმებზე ახალგაზრდა ვარ, აზრით კი — მათი თანატოლი. 15. რაკი ამისთვის გაქნდით და აღვიზარდეთ, ვველას ერთი სიკვდილი გვმართებს. 16. თუ განზრახული გაქვს მაწამო უსურმაგის ხორცის შეუჭმელობის გამო, მაწამე ბარემ... 17. ეს თქვა და ბორბალთან მიიყვანეს კიდეც. 18. საგულდაგულოდ განრთხმული და ხერხემალგადამტვრეული იწვებოდა იგი; 19. უკნიდან გახურებულ წვერწამაზულ შანთებს უფრიდნენ, ფერ-

დებს უხერხულად ისე, რომ შიგნულთა სულ ამოუწვეს. 20. ის კი, ამ სატანჯველში მყოფი, ამბობდა: დიდება ღვთის საკადრის ასპარეზს, ხალაღ რჯულში გამოხატულად გაგვიწვიეს ძმები, მაგრამ ვერ დავუპირებულხ. 21. რადგან უძლეველია, მტარვალთ, საღვთო ცოდნა. 22. ყოველგვარი სიქველით აღჭურვილი, მეც ვკვდები ჩემს ძმებთან ერთად. 23. მე თავად მოვივლენ შურისმძებლებს, წამებათა გამოგონებელი და ჭეშმარიტ ღვთისმოსახეთა მტერი. 24. ეჭვი ყრმა შეეწიროთ შენს მტარვალობას 25 და რომ ვერ შესძელი გადაგერწმუნებინა ჩვენი გონება და ვერ გვაიძულე უსურმაგის ჭამა, ვანა ეს შენი მარცხი არ არის? 26. ცივია ჩვენითვის შენი ცეცხლი, უმტკივნეულოა შენი იარაღი და უძლეურია შენი მძლავრობა. 27. რადგან არა მტარვალის მცველნი, არამედ ღვთის რჯულის მცველნი უფლობენ ჩვენზე. ამიტომაც არის უძლეველი ჩვენი გონება.

თავი მეთორმეტი

1. როცა ისიც ჩაადგეს ქვაბში და კურთხეული სიკვდილით მოკვდა, მეშვიდე, ყველაზე ახალგაზრდა წარდგა წინ. 2. იგი შეებრალა მბრძანებელს, თუმცა მის ძმებზე ხასტიკად იყო განრისხებული. გამოიხმო ყრმა, რომელიც ირგვლივ დაწყობილ ბორკილებს უფურებდა, სცასცადა მისი დაყოლიება, ეუბნებოდა: 3. ხომ ხედავ შენ შენს ძმათა უგუნურების დაგვირგვინებას. აკი დაიხოცნენ ისინი წამებით ურჩობის გამო. 4. და შენც, თუ არ დამემორჩილები, წამებით ნაადრევი სიკვდილი მოგვლის, მაგრამ თუ დამემორჩილები, ჩემი მეგობარი და დიდი მოხელე შეიქნები სამეფოში. 6. ასე არწმუნებდა მას და მერე მისი ღვადე მოაყვანინა, რომ ეთანაგრძნო ამღვნი შეილის დამკარგავისთვის და დაეყოლიებინა იგი, ერჩია უკანასკნელი შეილისთვის დამორჩილება და თავის გადარჩენა. 7. შეილმა კი, როცა მას დედა ებ-

რაულენაზე დაელაპარაკა, რაგონი მსგავსებით ვიტყვი, — 8. თქვენ — გამოგონებელი სიტყვა მოვახსენო მეფესა და ყველა მის მეგობარს, ვინც თან ახლავს. 9. ყრმის ნათქვამით დიდად გახარებულმა მაშინვე გაუშვეს იგი. 10. ყრმამ კი მიიბრინა ტაფასთან 11. და თქვა. უღვთოვ, ყველა ბოროტეულზე უწმიდურო მტარვალთ, არა გრცხვენია, ღვთისგან სიკეთეს და სამეფოს რო იძენ, მის მსახურთ კი ხოცავ და რჯულის მიმდევართ აწამებ? 12. ამისთვის შენ მწარედ მოგვეგება ხამართალი — მარადიული ცეცხლი და სატანჯველნი, საიდანაც უკუნისამდე ვერ იხსნი თავს. 13. ნუთუ არა გრცხვენია, აღამიანს, მხეცზე უარესი რომ ხარ? შენინვე მსგავსებს და იმავე სტიქიონთაგან შექმნილთ ენას რომ აჭრი და ამგვარად აწამებ? 14. მაგრამ მათ, ღირსეულად დახოცილებმა აღასრულეს ღვთის სამსახური. შენ კი, ბოლოს მწარედ იწანებ, რომ ღირსებისთვის მებრძოლნი უმიზეზოდ დახოცე. 15. და უკვე სიკვდილს მიწურულმა თქვა: 16. არ მიღალატნია ჩემი ძმებისთვის სიქველემი, 17. და ვევედრები ჩემი მამა-პაპის ღმერთს, შეიწყალოს ჩვენი ხალხი; 18. შენ კი ცოცხალსაც და მკვდარსაც დაგხვავს. 19. წარმოთქვა ეს ვედრება და თავად დაემხო ტაფაზე. ამგვარად გასწირა მან თავი.

თავი მესამეტი

1. მამ თუკი მომაკვლინებელ ტანჯვებს გაუძლო შეილმა მამ, ყველანი დამეთანხმებით, ღვთისმოსავი გონება ვნებათა მბრძანებელია. 2. ვნებებს რომ დამორჩილებოდნენ და უსურმაგის ხორცი ეჭამთ, ვნებათაგან ძლეულებს ვწუოდებით მათ. 3. მაგრამ ასე არ მოხდა და ღვთივ განდიდებული გონების ძალით სძლიეს ვნებებს. 4. არ უგულვებულყოფილა განსჯის მთავრობა, რაკი სძლიეს მათ ვნებებსა და სატანჯველს. 5. როგორ არ აღიარებდნენ ვნებათა დამ-

თრგუნველ გონიერაბას, როცა ცეცხლში წამებად ვერ შეცვალა ისინი? 6. ნავსადგურში ჩადგმული იმ ბურჯების მსგავსად, რომლებიც ტალღათა მუქარას ათვინიერებდნენ და მშვიდ გზას აძლევდნენ ყურეში შემაჯალ ხომალდს. 7. ასე სძლია ყრმათა შვიდბურჯიანმა გონებად, ღვთისმოსაეობის ნავსადგურის გამამაგრებელმა, ვნებების ქარიშხალს. 8. ღვთისმოსაეობის წმიდა ფერხულში ჩაბმულნი, ისინი ურთიერთს ამხნევებდნენ და აძობდნენ. 9. ძმურად ვაკედებით, ძმებო, რჯულისთვის. მივბაძოთ იმ სამ ყრმას, აშურში, რომლებმაც არაღ ჩააგდეს გაბურებული ქურა. 10. ნუ გამოვიჩინოთ სიმხდალეს და ვაჩვენოთ ღვთისმოსაეობა. 11. ერთმა თქვა: გამხნევი, ძმაო, შეიკრემ: ღირსეულად გაუძელი. 12. სხვამაც ეს გაიხსენა: გახსოვდეთ, საიდან ხართ, ან რომელმა მამის ხელმა მიიტანა მსხვერპლად ღვთისმოსაეობისთვის ისაკი. 13. ერთიძეორეს შესცქეროდნენ მზიარულად და მამაცურად, ამბობდნენ: მთელი გულით შევწიროთ თავი ღმერთს, სიცოცხლის მომნიჭებელს; სხუელი კი რჯულის დასაცავად გავიღოთ. 14. ნუ შეგვაშინებს ის, ვინც სიკვდილს კვიაირებს, 15. რადგან დიდაბრძოლა სულისთვის და საფრთხე მარადიული სატანჯველისა მას ელის, ვინც ღვთის მცნებანი დაარღვია. 16. მაშ, აღვიჭურვოთ ღვთივ მონიჭებული გონებით ვნებათა მოსაორგუნად. 17. სიკვდილის შემდეგ აბრაამს, ისაკს და იაკობს მიუვალთ მამა-პაპათა ხოტბას დავიმსახურებთ. 18. ერთს რომ გააორედნენ, დანარჩენები ეუბნებოდნენ: ნუ შეგვარცხვენ, ძმაო, ნუ გაუცულებ იმედს შენს წინ დახოცილ ძმებსო. 19. თქვენ იცით, რა არის ძმური სიყვარული, რომელიც ღვთიურმა და ყოვლადბრძენმა განგებამ მამებისგან მათ ნაშინოთ ჩაუნერგა, და რომელიც დედის საშოში იყო ჩასახული. 20. ერთი და იგივე ხანი დაჰყო იქ თითოეულმა ძმამ და ერთსა და იმავე ხანში გამოისახენ ისინი, ერთი სისხლისა და

ერთი სიცოცხლის მიძღებელნი. 21. მისი ვნენ თანაბარი დროის გამოცქობით, ერთი წყაროდან სვამდნენ რძეს და საზრდობდნენ ერთმანეთთან გაღანაკული ძმური სულელები. 22. ძლიერდებოდნენ საერთო საზრდელით და ყოველდღიური ურთიერთსიყვარულით, საერთო აღზრდით და ჩვენი საღვთო რჯულის მიძღვრების წყალობით. 23. ძმურ თანაგრძნობაში და სიყვარულში გაზრდილი ძმები, შეიდივნენ ერთმანეთის მოყვარულნი დარჩნენ სამუდამოდ. 24. ერთი რჯულით განსწავლულებს, ერთნაირ სიქველევებში გაწვრთნილებს და სამართლიანი ცხოვრების მიძღვრებს კიდევ უფრო მეტად უყვარდათ ერთმანეთი. 25. საერთო შურმა სრულყოფილებისამ გააძლიერა მათ შორის ურთიერთგაგება და თანხმობა. 26. რადგან ღვთისმოსაეობის წყალობით განამტკიცებდნენ გამორჩეულ ძმურ სიყვარულს. 27. და თუმცა საერთო ბუნება, საერთო აღზრდა და ქველი ჩვევები ემატებოდა ძმურ სიყვარულს, მაინც სატანჯველად თავისი ჯერის მომლოდინენი, თვალყურს ადევნებდნენ ძმების ტანჯვანაშებას.

თავი მეორისეკა

1. ვარდა ამისა, ისინი აჩქარებდნენ კიდევ ერთმანეთს ხაწამებლად წასვლას და არა მხოლოდ ტკივილს თრგუნავდნენ, არამედ ძმურ სიყვარულსაც. 2. ო, მსუვებზე უმეფურესო გონებაე, თავისუფლებაზე უთავისუფლებო! 3. ო, წმიდა და უთანხმონესო კავშირო შვიდი ძმისა რჯულის გულიხათვის! 4. შვიდ საერთო აღზრდა და ქველი ჩვევები ემაერთათაგან არც ერთს არ გამოუჩენია სიმხდალედ და არ შემდრკალა სიკვდილის წინაშე. 5. არამედ ყვლანი, თითქოსდა უკვდავებისთვის მოასპარეზენი, წამებით სიკვდილს ესწრაფოდნენ, 6. როგორც ხელები და ფეხები მოძრაობენ სულის კარნახით, ასევე ეს წმიდა ყრმანიც,

თითქოს ღვთისმოსავობის უკვდავი სულით ყოფილიყვნენ აღძრულნი, რომ მორჩილად მიიღეს სიკვდილი მისი გულისთვის. 7. ო, ყოვლადწმიდაო, შეხმატკბილებული ძმათა შეიდეულო! როგორც სამყაროს შესაქმისეული შეიდი დღე უკლის ფერხულს ღვთისმოსავობის გარშემო, 8. ასევე მოფერხულე ყრმებმა შუაში მოიქციეს შეიღმავე შიში ხატანჯველისა და გააქარწყლეს იგი. 9. ახლაც კი ვეზარავს, როცა ვისმენტ ამ ყრმათა ტანჯვა-წამების ამბავს: ისინი კი არა მარტო უფურბდნენ, არა მარტო იქვე ისმენდნენ მუქარის სიტყვებს, არამედ თავად განიცადეს ხატანჯველი და დათმინეს ცეცხლით მიყენებული ტკივილები. 10. სხვა რა არის ცეცხლზე უფრო მტკივნეული? მახვილი ხომ ცეცხლის ძალაზე ჩქარია და უფრო სწრაფად ანადგურებს სხეულს. 11. სასწაულად ნუ შერაცხავთ, რომ გონება მბრძანებლობდა ამ კაცებს მათ ხატანჯველში; დედაკაცსაც კი დათმინა გონებამ მრავალფერი სიმწარე. 12. შეიდი ყრმის დედა ხომ იძულებული იყო ეყურებინა შეიდივე შეილის წამებისათვის. 13. ნახეთ, რაოდენ ძნელია შეილის სიყვარული, ვეღაფერს მსკვალავს იგი ნაწლავებამდე. 14. პირუტყვებსაც კი აქვთ, ადამიანთა მსგავსად თანაგრძნობის უნარი და მშობლიური სიყვარული თავიანთ ნაშვირთა მიმართ. 15. ფრინველებიც კი დღისით ბუდეებს რომ დაჰფრენენ თავზე, რომ დაიფარონ თავიანთი ნაშვირნი. 16. კლდეთა ნაპრალებში, ხეთა ფულუროებზე და შვეკრვალეებზე ჩეკავენ ბარტყებს და იცავენ მათ მოსალოდნელი საფრთხისგან. 17. და თუ მათი ღაცვა არ ძალუძთ, დაფრინავენ ირგვლივ, სიყვარულით შეძრულნი და ტყვილით აფრთხილებენ — ესლა შეუძლიათ თავიანთი შეილების გადასარჩენად. 18. რაღა უკუნური ცხოველები მოგვყავს. შეილებისადმი სიყვარულის მავალითად, 19. როცა ფუტკრებიც კი, ფიჭვის კუთების დრო რომ დეგება, იგერიებენ მომხდურს, მახვილის მსგავსად ნესტრით

ვესლავენ სკასთან მოსულს ^{სწრაფად} ^{წინაშე} ^{მისი} ^{ღაცვის} ^{სიძლიერით} ^{და} ^{დაცვას}. 20. განა სულით აბრაამის მსგავსი დედა არ შეიძრებოდა თავისი ბავშვების თანაგრძნობით?

თავი მეთხუთმეა

1. ო, ბავშვთა გონება, ვნებათა დამთრგუნველო! ო, რჯულო, შეილებზე მეტად ხასურველო დედისათვის! 2. ორი არჩევანი ჰქონდა დედას: ან რჯული ან შეიდი შეილის გადარჩენა, როგორც მბრძანებელი დაჰპირდა. 3. მან უმალ რჯული არჩია, რომელიც შეინახავდა მათ მარადიული სიცოცხლისათვის, ღვთის აღთქმისამებრ. 4. როგორ აღუწერო მშობელთა შეილებისადმი სიყვარული? სულისა და სახის საკვირველ მსგავსებას აღვებჭდავთ ჩვენ ბავშვის ბუნებაზე სინჩოებიდანვე, ხოლო მშობელთაგან დედები მამებზე მეტად არიან გამსჭვალულნი შეილების მიმართ თანაგრძნობით. 5. რაც უფრო სუსტნი არიან დედები და ბევრის მშობნი, მით უფრო უყვართ თავიანთი შეილები. 6. მაგრამ ვეღა დედებზე მეტად შეილთა მოყვარული აღმოჩნდა შეიდი შეილის დედა, რომელსაც შეიდგზის ორსულობაში ჩეხერგა შეილთა სიყვარული; 7. და თითოეული მათგანისთვის მშობიარობის ტკივილების გადამტანს გაუძლიერდა სიყვარულის გრძნობა. 8. მაგრამ მაინც ღვთის წინაშე შიშის გამო არად ჩაავდო დროებითი ხსნა თავისი შეილებისა. 9. შეილების სრულყოფილებისა და რჯულისადმი მათი მორჩილების მოწმემ კიდევ უფრო მეტი სიყვარული იგრძნო მათადამი. 10. რადგან ისინი მართალნი, უბიწონი, მამაცი, დიდსულოვანი, ძმათა მოყვარულნი იყვნენ და იმდენად უყვარდით დედა, რომ სიკვდილშიც კი მას დაუმორჩილნენ და ბოლომდე დაიცვეს რჯული. 11. თუმცა ბევრი რამ აიძულებდა დედას, თანაგრძნობით შეძრულიყო შეილების მიმართ მათდამი სიყვარუ-




ლის გამო, მაგრამ ვერც ერთის ტანჯვა-წამებამ ვერ შეუცვალა მას გონება. 12. პირიქით, დედა ვველას ერთად და თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე რჯულისთვის სასიკვდილოდ აქეზებდა. 13. ო, მშობლოური სიყვარულის წმიდა ბუნებაჲ, გამომკვებლო ძუძუებო და დაუოკებლო დედობრივო გრძნობაჲ! 14. ნაწამები და ცეცხლმოდებული შეიღების შემხედვარეც კი მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზე. 15. ხედავდა შვილების ხორცს, ცეცხლით დამწვარს, მათი ხელებისა და ფეხების თითებს, მიწაზე მიმოხრულს და კანს თავიდან ნიკაპამდე ნიღაბივით ჩამოკიდებულს. 16. დიდება დედას, რომელმაც სამშობიარო ტკივილებზე უმწარესი სატანჯველი დაითმინა! 17. დიდება დედაკაცს, რომელმაც ერთადერთმა შვა ესოდენი სრულქმნილი ღვთისმოსაობა! 18. არ გიღალატა შენ არც პირმშომ, სულთმობრძავემ, არც მეორემ, სიბრალულით რომ ვიყურებდა წამების დროს; არც მესამემ, სულს რომ დაფუძნა. 19. არ ვიტყვირა, როცა უყურებდი სატანჯველში მყოფთა უტებ მხერას და სიკვდილის ნიშნებს მათ ნესტოებში. 20. როცა უყურებდი დამწვარი შვილების ერთმანეთზე დაყრილ ხორცს, მოკვეთილ ხელებს, გადატყვევებულ თავებს, გვამს გვამზე დაგდებულს, ხედავდი შეიღთა წამების ადგილს, მოსხიერე ხალხით სავსეს, და ცრემლიც არ მოგრევიდა თვალებზე. 21. სირინოზის პანგები და არც გედის სიმღერა ისე არ მოხიდავდა მსმენელს, როგორც შეიღთა ხმები, რომლებიც სატანჯველიდან ეხმანებოდნენ დედას. 22. რა ტანჯუა უნდა გამოეცლო იმ წუთებში დედას, როცა ხედავდა სატანჯველში მყოფ შვილებს, როგორ აწამებდნენ ბორბლებითა და შანთებით. 23. მაგრამ ღვთისმოსავმა გონებამ სიმამაკე მიჰმადლა მის გულს ამ სატანჯველში, რომ დაემდია შვილების მიმართ წარმავალი სიყვარული. 24. შვიდი შვილის დაღუპვისა და ამდენი ტანჯვა-წამე-

ბის შემსწრე კეთილშობილდობა ღმერთის ვეღლაფერი ღვთისხალში რწმენის ძალით გადაიტანა. 25. საკუთარს სულის სამსჯავროზე იგი ხედავდა ძლიერ დამცველებს - ბუნებას, ნათესაობას, დედობრივ სიყვარულს და შეიღთა წამებას; 26. ორი კნჭი ეჭირა ხელში დედას; ერთი სასიკვდილო და მეორე - მხსნელი მისი შვილების; 27. მაგრამ მან უარი თქვა შეიდი შვილის ხსნაზე ხანმოკლე დროით, 28. არამედ მხნეობა მოიკრიბა მან, როგორც ღვთისმოსავი აბრაამის ასულმა; 29. დიდება ერის დედას, რჯულის შურისმგებელს, ღვთისმოსავობის დამცველს და საკუთარი გულით ასპარეზზე ჯილდოს მომხვეჭს! 30. დიდება ვაჟკაცებზე უპირატესს მხნეობით და მამაკაცებზე უმამაცესს მოთმინებით! 31. ნოეს კიდობანივით საყოველთაო წარღვნაში სოფლის გამომხსნელს და ტალღების მხნედ გადაძლახველს! 32. ამგვარად, სძლიე შენ, რჯულის დამცველმა ყოველის მხრიდან მოსულ ენებების წარღვნას, სასტიკ ქარებს, გაუძელი შენ შვილების წამებას და გადაიტანე ღვთისმოსავობაზე ჩამოწოლილი ზამთარი.

თავი მეთექვსმეტი

1. თუკი ქალმა და თან მოხუცმა, შვიდი შვილის დედამ გაუძლო შვილების სასიკვდილო წამებას, ცხადი უნდა იყოს, რომ ღვთისმოსავი გონება ენებათა მბრძანებელია. 2. მე ცხადვფავი, რომ მარტო მამაკაცები როდი წარმართავენ ენებებს; არამედ დედაკაცებსაც ძალუძს უსასტიკესი ტანჯვა-წამების არად ჩაგდება. 3. მარტო დანიელის წინაშე კი არ მიქინეარებდნენ ღმერთი და მიშაელის წინაშე - გავარჯარებული ქურა; მსგავსადვე იწვოდა ბუნება დედისა, რომელიც უყურებდა შვილების მრავალნაირ წამებას. 4. მაგრამ ღვთისმოსავი გონების ძალით ჩააქრო



ერქვენი

ბები. 5. იფიქრეთ, სულმოკლე რომ ყოფილიყო ეს ქალი, თუმცა ის დედა იყო, შვიბრალედა შვილებს და, ალბათ, ამას იტყოდა: 6. ვაი, მე, საწყალობელს და სამგზის უბედურს, შვიდი შვილის მშობელი დედა უშვილო ერჩები! 7. ვაი, ჩემს ფუჭ მუცლადლებას, ამაოდ ჩაუღიღ შეიდეჯერ ამ თვეს, უნაყოფო ძიძობას და გაკუდებულ ძუძუს წოვებს. 8. ტყუილად ვითმენდი, შვილებო, თქვენზე მშობიარობის ტკივილებს და ფუჭად ვეზიდებოდი აღზრდის უძძიმეს ტვირთს! 9. ვაი, ჩემს შვილებს, უცლოლებს და ცოლიანებს—უშვილძიროებს! თქვენს შვილებს და დიდღედის ბედნიერებას ვერ ველირსები! 10. მრავალშვილიანი დედა, ღირსეულ ვაჟთა მშობელი, ქვრივ-ოზრად ერჩები მრავალსაწყალობელი. 11. ისე ვკვდები, რომ ერთი შვილიც არ მჩრება დამმარხავი. 12. მაგრამ არ მოთქვამდა ამგვარ საგოდებელს კურთხეული და ღვთისმოსოში დედა, არცერთი მათგანი, სასიკვდილოდ მიმავალი, არ დაუკავებია, არც მწუხარება მორევია, როცა კვდებოდნენ ისინი, 13. არამედ აღმასივით მტკიცე გონება ჰქონდა შენარჩუნებული და უკვდავებისთვის ხელახლა შობდა შვილებს და რჯულისათვის თავის გასაწირად ღოცავდა მათ. 14. ო, დედავ, ღვთის მეომარო რჯულისათვის! ო, ბერდედავ, შენი სიმზნევით სძლიე მტარვალსაც კი და სიტყვით და საქმით მამაკაცზე ძლიერი გამოჩნდი! 15. შენს შვიდ შვილთან ერთად შეპყრობილი იდექი და უყურებდი ელეაზარის წამებას, ებრაულ ენაზე ეუბნებოდი შვილებს: 16. შვილებო, საბატიოა ასპარეზი, რომელზეც ერის სიყვარულის დასამოწმებლად ხართ ვაწყველნი, მამაცურად იბრძოლეთ მამაპაპეული რჯულისათვის. 17. სამარცხინო იქნება, ახალგაზრდები შეუშინდეთ სატანჯველს, როცა მოხუცმა კაცმა გაუძლო წამებას ღვთისმოსავობის გულისთვის. 18. გახსოვდეთ, რომ ღვთისგან გაქვთ მიღებული ეს წუთისოფელი და ღვთისთვის უნდა დაიმოთ სიცოცხ-

ლე. 19. ამიტომაც ვაღიგანებოდა უძმლოთ ყოველგვარ ტანჯვას ღვთისთვის. 20. ამას ესწრაფოდა ჩვენი მამაც, აბრაამიც, როცა მსხვერპლად სწირავდა ისაკს, ჩვენს წინაპარს; რომელიც არ შემდრკალა, დანა რომ დაინახა მამის ხელში. 21. მართალი დანიელი ღოცებს მიუვდეს, ხოლო ხანანია, ვახარია და მისაელი ვაგარვარებულ ქურაში ჩაყარეს, მაგრამ მათ გაუძლეს ცეცხლს. 22. და თქვენც, ასეთივე რწმენის მექონნი, ნუ გატყვდებით. 23. რადგან, დაუჯერებელია, ტანჯვა ვერ დათმინოს კაცმა, რომელსაც შემენებული აქვს ღვთის რჯული. 24. ამ სიტყვებით შვიდი შვილის დედა თითოეულ მათგანს ვეუბრებოდა, უმაღლეს მოკვდარიყო, ვიდრე ღვთის მცნებანი უარყო. 25. მათ ისიც იცოდნენ, რომ ღვთისათვის დახოცილნი ღმერთში იცოცხლებდნენ, როგორც აბრაამი, ისაკი, იაკობი და ყველა მამამთავარი.

მთავი მენიღებეა

1. ერთ-ერთი მცველი ამბობდა, როცა მას სასიკვდილოდ უნდა წაეყვანა ქალი, იგი თვითონ გადავარდა ცეცხლში, არავის არ მიაკარებინა ხელი ტანზე. 2. ო, დედავ, რომელსაც შვიდ შვილთან ერთად მტარვალის მძღაერობა გააქარწყელა ჩამალე მისი უკეთური განზრახვა და რწმენის სიმტკიცე გამოაჩინე. 3. შენ, როგორც სვეტებზე — შვილებზე მტკიცედ დაყრდნობილმა ჭერმა ღირსეულად გაუძელი სატანჯველთა შემარყვეველ ძალას. 4. მამ, გამხნევი, სულკურთხეულო დედავ, რომელსაც ღვთის იმედი გაქვს, მტკიცე და შეურყვეველი. 5. თავად მთვარეც კი არ არის ცაზე ვარსკვლავებითურთ ისე აღმატებული, როგორც შენ, რომელმაც გაუნათე ღვთისმოსავობის გზა ვარსკვლავთსწორ შენს შვიდ შვილს და, ღვთის წინაშე პატივით წარმდგარი, მათთან ერთად დამკვიდრდი ცაში. 6. რადგან შენი შვი-



ლები მამა აბრაამის ჭეშმარიტი შთამომავალი არიან. 7. რომ შეგვძლებოდა ხელოვანის დარად შენი ღვთისმოსავობის სურათის დახატვა, ვანა არ შეძრწუნდებოდა ყველა, ვინც დაინახავდა, თუ როგორ დაითმინა დედამ რჯულის გულისთვის შეიდ შეილთან ერთად სასიკვდილო სატანჯველი. 8. შესაფერისი იქნებოდა საფლავის ქვაზე ეს სიტყვები წარწერილიყო მათი ხსოვნისთვის ჩვენს ხალხში. 9. აქ მარხიან მოხუცი მღვდელი და მოხუცებული ქალი თავის შეიდ შეილთან ერთად, მსხვერპლნი მტარვალის მძლავრობისა, რომელსაც სურდა, შეებღალა ებრაელთა ცხოვრების წესი. 10. მათ იძიეს შური ხალხის გამო და ღვთის სასოებით დაითმინეს სასიკვდილო სატანჯველი. 11. ჭეშმარიტად ღვთაებრივი იყო ასპარეზობა, რომელშიც ჩაებნენ ისინი, 12. რაკი ჭირთათმენის განსაცდელში სიქველემ გაიმარჯვა. გამარჯვების ჯილდო კი უკვდავება მრავალეშიერ სიცოცხლეში. 13. დაიწყო ასპარეზობა უღვაზარმა და ჩაება ბრძოლაში შეიდი შეილის დედაც, იასპარეზეს ძმებმა. 14. მტარვალი მათი მოწინააღმდეგე იყო, მაყურებლები კი წუთისოფელი და ადამიანთა ცხოვრება. 15. გაიმარჯვა ღვთისმოსავობამ და მანვე გვირგვინით შეამკო მოასპარეზენი. 16. ვის არ გააოცებდა ღვთივგანაწესებული მოასპარეზენი? ვის არ შესძრავდა? 17. თავად მტარვალს და მთელ მის ამაღას აოცებდა მათი გამძლეობა, 18. რისი წყალობითაც ახლა ისინი ღვთის ტახტის წინაშე დგანან და საუკუნო ნეტარებაში არიან. 19. ხომ თქვა მოხუმ: ყველანი შენი ხელით არიან განათლულნი. 20. პატივდებულნი არიან ღვთისათვის განათლულნი, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მათი პატივი, არამედ ის, რომ მათი მეოხებით არის ჩვენი ხალხი მტერთაგან დაუძლეველი. 21. მტარვალის დასჯამ და სამშობლოს განწყენდამ თითქოს გამოისყიდა ერის ცოდვები. 22. ამ ღვთისმოსავთა სისხლითა და სიკვდილის წინაშე გაღებული

მსხვერპლით ისხანა ღვთისმოსავლებამ ტანჯული ისრაელი. 23. მათი სიამაცის, სიქველისა და სატანჯველში მათი გამძლეობის დამნახავმა ანტიოქოსმა თავის ჯარისკაცებს ისინი გამძლეობის მაგალითად დაუსახა. 24. ამან გაამაცა მისი მებრძოლები — ქვეითნი და მოალყენი; ყველა მტერი დაამარცხეს მათ და დახარკეს.

მთავი მოთხრობა

1. აბრაამის თესლის ნაშიერნი, ისრაელიანებო, დაემორჩილეთ ამ რჯულს და ყოველმხრივ გამოიჩინეთ ღვთისმოსაობა. 2. იცოდეთ, რომ ვნებთა უფალია ღვთისმოსავი გონება, იგი ძლევს არა მარტო სულიერ, არამედ ხორციელ ტყვიელებსაც. 3. ისინი, ვინც ღვთისმოსაობის გულისთვის სატანჯველში გზავნიან თავიანთ სხეულს, არა მარტო ადამიანებს აოცებენ, არამედ ღმერთთადაც იმკიდრებენ წილს. 4. მათი წყალობით ოცოვა მშვიდობა ერმა და სამშობლოში რჯულის ამდორძინებელმა დახარკეს მტრები. 5. ანტიოქოსი კი სიცოცხლეშიც დაისაჯა და სიკვდილის შემდეგაც მიეგო შური. როცა მან ვერაფრით აიძულა იერუსალიმელები გაურჯულოებულიყვნენ და მამამაჰეული ზნეჩვეულებებისათვის ეღალატნათ, დასტოვა იერუსალიმი და სპარსელთა წინააღმდეგ გაილაშქრა. 6. შეიდი შეილის დედა ასეთ შეგონებებსაც ეტყოდა თავის შვილებს: 7. მე უმანკო ქალწული ვიყავი, არასდროს გვეცდენივარ მამისეულ სახლს და წმინდად ვიცავდი ნეკნს, საიდანაც წარმოიშვი. 8. არ დავუღუპივარ შემაცოცნელს უღაბნოს ველზე, არც ჩემი სიქალწულის სიწმინდე შეუბღალავს მაცდურ გველს. 9. ქმართან გავატარე მოწიფულობის წლები. როცა თქვენ წამოიზარდეთ აღესრულა მამათქვენი, ბედნიერი კაცი იყო, რადგან მოესწრო შეილთა კეთილდღეობას და მათი უბედურებით არ გამწარებია წუთისოფელი. 10. ვიდრე

თქვენთან იყო, გასწავლიდათ რჯულსა და წინასწარმეტყველებს; 11. ვაკითხავდათ კენისგან აბელის მკვლელობის ამბავს, აღსავლენ მსხვერპლად მიტანილ ისაკზე და საპრობილეში მყოფთ იოსებზე. 12. ვიამბობდათ მოშურნე ფინხაზზე და გმოდერავდათ ცეცხლში ჩაყრილ ხანანიას, ყაზარიას და მიშაელის შავალითზე; 13. განადიდებდა დანიელს, ლომების ხაროში ჩაგდებულს და ნეტარად რაიხდა მას; 14. ჩაგვაგონებდათ ესაიას დაწერილ სიტყვებს: ცეცხლშიც რომ გაიარო, აღი არ დაგწვავსო. 15. გიგალობდათ დავითის საგალობელს, რომ ამბობს: ბუკრი ჭირი აღვას მართალ კაცსო. 16. გიყვებოდათ სოლომონის იგავეებს, სადაც ნათქვამია: მისი ნების მყოფელთათვის სიცოცხლის ხეა გამზადებულიო. 17. უდასტურებდა ეზეკიელს მის ნათქვამს: ნეტავ თუ გაცოცხლდება ეს გამხმარი ძველებიო? 18. არ

დავიწყებია, ესწავლებინა თქვენსგან მის სხვ ნათქვამი სიმღერა: 19. მე ვკლავ და მევე ვაცოცხლებო. ეს არის თქვენი სიცოცხლე და წუთისოფელიო. 20. ო, სასტიკი იყო ის დღეები, როცა ელინთა სასტიკი მბრძანებელი ცეცხლს ცეცხლზე უნთებდა შემზარავ ქვაბებს და გამძინვარებულ ახალ-ახალ საწამებლისკენ მიათრევდა აბრაამიანის ასულის შვიდ ყმაწვილს. 21. თვალის გუგებს უხვრეტდა მათ, ენას აძრობდა და შრავალგვარი სატანჯველით კლავდა, 22. მაგრამ ეწია მათ ღვთიური სამართალი და მიუზღო საკადრისი წვეულ მბრძანებელს. 23. აბრაამიანი ყმაწვილები კი გამარჯვებულ დედასთან ერთად შეუერთდნენ მამათა გუნდს და უმანკო და უკვდავი ხულები მიიღეს ღვთისგან. 24. მათი დიდება იყოს უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



ჩემი სახანი

ხასიათები და პორტრეტები

თუმცა ერიპააა, სად გადაუხვიე, მე რა შუაში ვარ, — აქ კო ინსტიტუტზე ვლაპარაკობდი, გორის ინსტიტუტზედა, უფრო პირველ ხანებზე ჩემი ჩახვლისა, ბოლოხანების გახსენება რო აღარცა კლირს?..

და მაინც ცუდი არ იქნებოდა, მომეწერო ისიცა, შეთქვა ისიცა, რო უფრო მეტი რისხვაც რო დაატყდა „ლიახვსა“.

ეს რისხვა დაგვატეხა კომიტეტმა, — ძალიან გრძელი სახელი რო ქქვია და ბოლოსდაბოლოს წიგნის გამოცემის კომიტეტი როა. წიგნისა.

ცუდი არ იქნებოდა, — მაგრამ გადაედებ.

ერთს მაინც ვიტყვი, გული რო არ მიამენს:

ვინც რო იქიდან აუხირდა „ლიახვსა“, უწიგნურობიდან ამოვიდა, უცებ ამოვიდა და ამოტივტივდა წიგნის სამყაროში: ამოტივტივდა და იტივტივა, იტივტივა და იტივტივა, იტივტივა და წაიდა ისევე სამყაროში, სამყაროში უწიგნურობისა. და კიდევაც ვუწინასწარმეტყველე, ეს მაინც ვუწინასწარმეტყველე და აუხდა. მაინც კმაყოფილია ბედისა, ამბობენ, დიდად კმაყოფილიაო.

ახლა აღბათ რო „ლიახვი“ გაახსენონ, ვერ გაიხსენებს, ვერ მოიგონებს, ვერც ვერას გაიგებს, — რა ლიახვი,

რო „ლიახვიო“, რა ატამი, რი ატამიო. მაშინ რვა წელი დაბრკოლდა „ლიახვი“, ვიდრე ტივტივა არ მოეშალა.

ოღონდ ის მაინც, ის ტივტივია საგულისხმოი, ის ამოტივტივებაი, ის ტივტივი და მოწვევტაი ის უეცარი, მოწვევტაი და დაქანებაი ფსკერისაკენა, დაქანებაი ქვასავითა, საგულისხმოა რაღა თქმა უნდა: თემა არის ტრაგედიისა ანთუ კომედიისა, შუაღედისა, — არა, არ არის. მაგრამ და რაო, არ უბიძგებენ აქეთკენა ჩვენი კრიტიკოსები ჩვენს დრამატურგებსა, არ უბიძგებენ. შრომა ასახეთო, იქით უბიძგებენ. შრომა შრომა, ყველაფერია, ოღონდ შრომაა, შრომა შრომაა, თემა არ არის დრამატურგიისა, არ არის, არ არის, რა უქნათ, არ არის, არ არის არ არის და უყარე კაკალი...

პოოოოო... იყო ასეთი დღეებიცა: გიხმობენო, მითხრეს.

გავედი. მანქანა დგას ინსტიტუტის წინა. ვიორგი ლეონიძე მიქნევს ხელს: ჩქარაო, ჩქარაო, გვაგვიანდება. მე არ ვიცი თუ სად გვაგვიანდება. უცბადვეც მიხსნის: ოსი მწერლების კრებაა ცხინვალში, უნდა მივუსწროთო. უკანა სავარძელზე, — მანქანისაი რაღა თქმა უნდა, — ალექსანდრე ქუთათელი ზის, ვანო ურჯუმილაშვილი ზის, თქვენ კო თქვენა, და მე რაღა მოხელე ვარმეთქი. არცა მცალიან. არც წახვლა მინდა. დე-

ლეგაციაში შენცა ხარო. პრეზიდენტმა დაგამტკიცაო. ჩაჯექიო. თავმჯდომარე თვითონაა. პრეზიდენტს თვითონაა. ეს-ვე არ იყოს, არ მინდა ვაწყენინო. ერთხელ მცხეთას მებატიყვებოდა, პირველი მოთხრობები რო გამოვაქვეყნე, რო არც მეგონა თუ მიცნობდა, თვითონ შემაჩერა: მცხეთას წამოდიო. ვერ გავყვევი. აქამდის ახსოვს: მაშინდელი არ იყოსო. ვუკლები. არ მინდა. ამაზე იტყვიან: გამომიბეს გორიჯურის ბატკანივითაო, გამომიბეს და მიმაფხოწილალებენ... შენ რო არ წამოხვიდე, მაშ ვილა არის ჩვენი მასპინძელიო, — მაქეხებს გიორგი, — აღარცხად ერისთავები, აღარცხად მახალბები, აღარცხად ფალავანდიშვილები, შენდა ხარ მოურავი მაგ ხეობებშისაო. მაქეხებს. ერთობა. აჩქარებს მძლოლსა: არ დაგვაგვიანდესო.

არც გავაგვიანდება.

საოლქო კომიტეტი მიგვიღებენ. მერე მიგვიძღვებიან კულტურის სახლისკენა. ხალხი შეყრილა. ხალხი ირუვა. აღმათ დარბაზშიც ვეღარ ეტყვიან. მე უცებ ვიღაც ჩამკიდებს ხელსა. თბილისელი ქალიშვილია. ვიცნობ: შორიდან ვიცნობ, აქ გულითადად ჩამეჭიდება: მინდა დავესწრო, მარტო არ დამტოვოო. გიორგის არაფერი არ გამოეპარება: მანიშნებს. მომბახის: არ ჩამოგვრჩეთ. ჩამოვრჩებიო. დარბაზი მართლაც გამოჭედოდა. კარებთან მაინც ვიპოვნით ადგილსა. წინ ნუღარ წავალთო, მყოფებს ქალიშვილი. არცა პღირს, ჰყერი უკვე დამბიძებულა. ზაფხულია. კარიდან მაინც აღწევს ნიავი, თავის დღწევაც უფრო ადვილია. კარგსაც არ ვეღვი აქ არაფერსა. აქამდეც ადვილად გავაგონებდნენ: აქ ოსეთიაო, ადვილადაცა და მუქართაცა, ადვილადაცა და ამ ბოლოდროს პო გაკვირვებითაცა: თქვენ აქ რა გინდათო. მწვავედ განიცდიდნენ, და ცხარობდნენ, ცხარობდნენ: აქ ოსეთიაო. ცხარობდნენ. ცხარობდნენ. აცხადებდნენ და ცხარობდნენ. ჯერ ნელ-ნელად: გულისებდნენ: ერთხელ ორჯო-

ნიკიძეშიც მიმტკიცებდნენ ქაქუცუნტყვი; დონიდან მტკვრამდის ოსეთშიც კოვის სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებელი რო არა ჰქონდათ ორჯონიკიძეში, ოსური საშუალო სკოლაც რო არა ჰქონდათ და ოსურზე უკეთ რუსულად რო შეტყველებდნენ, უკეთა, უკეთა, ზოგი რო ოსურად ვეღარც მოუქცევადა, რუსულად მოუქცევა, — დონიდან მტკვრამდისაო. ინებეთ დონის იქითაცა-მეთქი, დონს რო ადვილადაც ჩაქვიდებითმეთქი, დონი — პო წყალია თქვენებურადამეთქი, საბუთი ვიდეეთ, ამ მტკვართან რაღა ხელი გაქვთმეთქი. იცოდნენ: დონზე რო არ გაუშვებდნენ, დონს ახსენებდნენ სატრაბახოდა, ანთუ ტრამლინადა, მტკვრამდის ადვილად რო ჩასრიალებულიყვნენ. აქეხებდნენ და აგულისებდნენ: თქვენ თქვინო და ჩვენ ჩვენი ვიცოდეთო, აქეხებდნენ და აგულოვნებდნენ აქეთ უფრო მომეტებულადა, ამ გადმოღმაო, იქით თუ ტრაბახიო, აქეთ სიბუღელი გავიკვებულიყო. ვერ გაივლიდი ცხინვალში ადვილად, გბურღავდნენ თვალებითა, გაბოროტებული თვალებითა, ავი თვალებითა, შეშლილი თვალებითა. გბურღავდნენ. გხვრეტდნენ. გვიჯვნიდნენ. გფლეთდნენ. ესენი თბილისში არც ჩამოვიდნენ, კაკასიის მწერალთა შეკრება რო გამართა, ისინი ჩამოვიდნენ — ორჯონიკიძელები, ორჯონიკიძელი მწერლები, ესენი არა — ცხინვალელები. არც იქ ჩამოვიდნენ, არც აქ ვუნდივართ რაღა თქმა უნდა. იბღვირებიან. იბღვირებიან. ტყვედპყრობილებივით აკუავთ სცენაზედა: გიორგი, ალექსანდრე, ვანოცა ცხადია, თითქოს სამსაჯავრო უნდა გაუმართონ, თითქოს იქვე უნდა აკვიდონ სახრჩობელაზედაო. მეც მიმამატებენ რაღა თქმა უნდა, რა ვუყოთ თუ კართან მივმჯდარე, ვერა, ვერა, ვერსაით გავასწრებ, კარსაც მოსცნობია მძებნარე სახეები. გიორგის არც უნდა, რომ აქ დამტოვოს, კაცს მიგზავნის, პრეზიდენტში ამოდიო. უარს არ ვუთვლი. არცა ვჩქარობ და არც ვაპირებ: კრება გაზურდება, გადავავიწყდებთმეთქი.

პო.

ისინი ჩამოვიდნენ, ესენი არა.

რა დაემართათო, ცაგორავეი მეკითხებოდა, — ორჯონიკიძის მწერალთა მდივანი. ერთხელ იქ, ორჯონიკიძის სასტუმროში ბინა არ გამომიჩინეს. იმას მივაკითხე. დამეხმარა. იქიდან ვიცნობ. რატომ არა ჩანანო, პლიევიცა კითხულობს, ცხინვალელი ოსებიო რაღა თქმა უნდა, კაიუტუკოიცა. ესენი ორჯონიკიძიდან არიან, არ ვიცემოქი. არა და ვიცი, ერთი უხერხული ანდაზისა არ იყოს, თვითონა სტოლავენ და ჩვენ გვიწერებიან. ანდაზა უფრო სახიერია და თანაც გასართობი. წყრომით იწყება. რაღაც იწყება. როგორმე რო მოხერხდებოდეს ცხინვალს წასვლაო. დანიულება თხოვნაო. მეცა ვთხოვლობ მანქანასა. ვხად ველქეულში შევიქროლებთ. სუფრა მოგვალხენს რაღა თქმა უნდა. გამოცოცხლებიან ეს ჩემი სტუმრები. აღარცა ჩქარობენ მაინცდამაინცა, მაგრამ მაინც ცხინვალს ვეშურებით და მივალწვეთ კადეცა რაღა თქმა უნდა. მწერალთა განყოფილებაში არავინაა. „ფიდიუაგის“ რედაქციაში არავინაა. შინ მივაკითხოთ ვაფეზსაო. ვაფეზი ცხინვალის მწერალთა მდივანია. მიაკითხავენ. მე ფეზს ვითრევ: ჩამოვიყვანეთ და წავალ, თქვენ იცით და თქვენმა ვაფეზმა მეთქი. არაო, რას ამბობო, შენ ამდენი პარტიე გვეყო, ახლა ჩვენ უნდა გადავიხადოთო. ორჯონიკიძეშიმეთქი. არაო, აქვეო, ვაფეზს ვწვინებაო, სხვა რო არა იყოს რაო. აქვეო. ახლავეო. აფოფინებულან. ხალისობენ. მხიარულობენ. და: კოპებით შეჰხედება ვაფეზი, ამათ არც დაადის, — რად ჩამოხვედითო, — უტევს და უტევს. უტევს ცოლიცა ვაფეზისა. აღეწილა. ქალი უფრო კაპსობს. აღესილან ოსის ქალები უფრო აღესილან. რა კარგები იყვნენ, რას ემგვანებიან!.. რად იმახინჯებენ თავსა?!. ანთუ რა ჰქნან: ლესავენ და ილეხებიან!. მე აღარ მოვიციდმეთქი. ჩვენც მოვდივართო. ის ღამე ველქე-

ულში გავითენეთ. არ უთქვამდ ჩემთვის!.. თუ რასა დავობდნენ. თავაანთს უნდათქვამდ დავობდნენ. არც მე მითქვამს თუ რას მივმხვდარიყავი, რა ჯავრი მდალავდა. სუფრამ გაიტანა თავისი. ჭმუნვა გადაიყარა ჯერ რო პლიევემ, აჰყვენ სხვანიცა. ეს არის ჩვენი ვალაკტიონიო, ტრახაზობდნენ, თანაც ჰყვებოდნენ ანეკდოტებსა, ჩვენში რო ვალაკტიონის შესახება ჰყვებოდნენ, იმ ანეკდოტებსა. არც გასაკვირია: ლოთობა ყველგან ერთნაირია, სასმელი ყველგან ორგვარადა სჭრის, — ანთუ ავადა, ანთუ კეთილადა. ის ღამე კეთილად გავითენეთ. კეთილად დასრულდა კავკასიის მწერალთა კონფერენციაცა. აქ ეს კრება რისხვით დაიწყო. მაშინ სტალინიც თავის ადგილასა ბრძანდებოდა და ბერიაც. ახლა რო აღარ იყო აღარც რო სტალინი, ბერიაც აღარა. გამძვინვარებულიყო სიძულელი ქართველებსადმი. გამძვინვარდებოდნენ ასევე ხოლმე სპარსთა კარზედა, თურქთა კარზედა, მონგოლთა კარზედა, რო დაეცემოდა ჩვენთავანი განდიდებული, იქ რო ცხედარზე, აქ მერე ჩვენზე იყრიდნენ ჯავრსა, — ცულიანი თუ უცულიონიო, აგვეხოდა ყველა ერთადა. გამძვინვარებულიყო რუსთა კარი, ბერიაც ესაა რო ჩამოვვლოთ: დაეპატიმრებინათ თუ დაეხვრიტათ უკვე. და კითხულობდნენ დახურულ წერილსა ეგრეთწოდებულსა, ვითომ დახურულსა და ვითომ მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციებში, კითხულობდნენ და ავრცელებდნენ მილად საბჭოეთში და მილად ქვეყნიერებაზე ჩვენდამი სიძულვილსა, ავრცელებდნენ და ავრცელებდნენ. აეწყვიტა დიდმპყრობელ შოვინიზმსა, აეწყვიტა და ყველა ჩაეთრია, რუსები ჰოო და ჰოო, ჰოო და ცხადია, დანარჩენიცა, უამრავნი, „შემტკიცებულნი“ კომუნისტური ინტერნაციონალითა. აკითხებდნენ და არწმუნებდნენ: თითქოს რო ვანცბრომაში ყოფილიყვენ ქართველები, ბერიას წყალობითა, კოლმეურნეობა იმათ არ იცოდნენ თითქოსა, ჯარში ისინი არ მიჰყავდათ თითქოსა, სისხლი არ გამოსდნოდეთ

თითქოსა მეორე მსოფლიო ომშია. არცა შრომობდნენ, არც არასა ზრუნავდნენ თითქოსა, მხოლოდ ღრუობდნენ, მხოლოდ ფუფუნებდნენ თითქოსა, თითქოსა რაღა თქმა უნდა. დაიჯერებდნენ რუსები ცხადია, ვთქვათ ტაჯიკებიცა, ვთქვათ ბელორუსებიცა, ვთქვათ ყაზახებიცა და კალმიკებიცა ვთქვათ, სხვანოცა ვთქვათ, შორეულნი და უცნობნი ჩვენნი, მოძულენიცა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ეს რაო, — რა დამართნოდათ ამ ჩვენს ოსებსა: კოლმეურნეობაშიც რო ერთად იყვნენ, ქართველებთან ერთადა, ჯარშიც რო ერთად მიდიოდნენ, ომშიც რო ერთად იფლიტებოდნენ სტალინგრადსაო თუ ბერლინის მისადგომებთანა, ერთად რო დადიოდნენ ძაძებითა, ოხი ღედები ქართველ ღედებთან ერთადა, ერთად რო შიოდათ, ერთად რო სციოდათ, თუ რო უღზინდათ, უღზინდათ ერთადა, — რა დამართნოდათ, რა დამართნოდათ?! რაღა რაო და, — თურმე ქართული ანბანიც თავს მოგვიხვევია ამითთვის ძალადა. ეს არ იყო დახურულ წერილში, ამას უმეტებდნენ აგერ აქვე ამ ცხელ გულზედა. თურმე „ნართები“ არც კარვად გვითარგმნია, არც კარვად გამოგვიცია, არც სათანადოდ შეგვიფასებია. თხზუდნენ. და უმატებდნენ. თურმე ვხლუდავდეთ მათს კულტურასა და განათლებასა. თურმე. არც ეიცნობდეთ და არც არად ვაგდებდეთ მათს ლიტერატურასა თურმე. თურმე და თურმე. თურმე და თურმე. ვერც დაიხსომებ და ვეღარც გაიმეორებ, რამდენი ცოდვა ჩავვიდენია თურმე!.. გადაიროდი!.. კულტურაო თუ განათლებაო პო მთლად ჭკუას დაგაკარგვინებდა!.. ან ჩვენს განათლებას ჩვენ ვინა ვვაკითხავდა, ანთუ ამათსას ჩვენ ვინ ვვაკითხებდა?!

ვანო ურჯუმელაშვილი ჩამოდის პრე-ლიუმდიანა:

ახლავე აქ ამოდით, გიორგიმპაო.

ახლავემეთქი.

წამოვიწიე. ვერ გავინთავისუფლე მკლავი. არ მიშვებდა ეს ანაზღეული ქალიშვილი. მაინც დაეამშვიდე ვანო:

მოვდივარმეთქი.

სახეები მიგორავს ^{ქართული} ^{სხვადასხვა} ^{ენის} ^{გამოსცემს} ^{იგივესა} ჩვენ რუსული ანბანი გვიჩვენებდა, ამით ქართული შემოგვაჩვენესო. იგივესა. იგივესა. აფხაზები სხვასა ჩაჩხანებენ: ეგ ანბანი ჩვენ გამოვიგონეთ წინარე ათასწლეულებშიო, ჩვენ გამოვიგონეთ, ჩვენია და ქართველებმა წავკართვესო. ჩაჩხანებენ. ჩაჩხანებენ. თქვენია და თქვენი იყოსო, ტყუილად შესთავაზებ, — არ გვინდა, არ გვინდა, არ გვინდა!.. — ჩაჩხანებენ და ჩაჩხანებენ, წივიან და ჩაჩხანებენ. ისინი ისეო, ესენი ასეო. მიდი და ეფერე!.. როდემდისაო?! ვერ ეტყვი, მშვიერი განგაძლეთ, შიშველნი შეგმოსეთ, ფუტე მოვიდგით და ჭერი გადაგვბრუეთ, ვერ ეტყვი, ვერ ეტყვი, გადაგვეკიდეთ ახლა რისთვისა, ვინ რა ჩავკონათ, ვის ენას ასდევთ, ჭკუა-გონება რად არა გყოფნით, რა გულით თქვენცა, ჩვენ თუ ვაკვლავქვს, რად, არა გყოფნით?.. რად არა გყოფნით?! ვერ ეტყვი, ვერა!.. ვინ გათქმევენებს?! მოსკოვი მრისხანებს. თბილისიც გვირისხდება, — მოსკოვის თბილისი. ამით რაც ნებათ: მიწაც ჩვენია, ისტორიაცა, თქვენ წაეთრიეთო. ვაი უბედურნო!.. ვაი რო ჩვენა, ვაის მეტი თქვენც არა გელით. ვაი და ვაი!.. ტრიბუნა გუგუნებს, ანთუ ჩხავის, ჩხავის იგივესა. აჩხაველებენ და ჩხავიან, აქ თუ — მტკვრამდისაო, გუდათში — ენგურამდეო, და უკვირთ იმა მაჩხაველებელთა: აჭარა რატომ რიონამდის არა ჩემულობსო. აქეზებენ. უკეთებენ ცეცხლსა. არა ჩემულობს. უკვირთ. უკვირთ. უკვირთ და ცხარობენ: ისე არ გამოსდით, როგორც რო უნდათ. არ გამოსდით და გამოიყვანენ. გამოიყვანენ. ვინ იცის რა გველის ან დღეს ან ხვალეო. ვინ იცის!.. ვინ უწყის!..

„ჩვენთან!.. ჩვენთან ბატონო ალექსანდრე!.. იქ რა გინდათ?!”

ეს პო ესაა, ეს ქალიშვილი — წამოხტება, მიეგებება ალექსანდრე ქუთათელსა.

„გიორგი გადაგვერევა!..“ იღიმება მწარე ღიმილითა, ალექსანდრე რაღა



თქმა უნდა, „წამოდი!“ ხელსა მკიდებს. ქალიშვილი ისევ ჩამეკიდება. მალევე შემისვევს ხელსა. რჩება მარტოდა. თვალებს აცეცებს. იბუზება. გიორგის მიწის ფერი ადევს სახეზედა. ეხუპრებოდა მიხეილ ჯავახიშვილი: ქართულ მიწაში ჩაფლული ხარ ყელამდისაო. ყელამდისაო. ამათ შილად ჩაფლვა მოუნდომებით ამისი. გული უბაგუნებს, თითქმის რო მესმის, გული უბაგუნებს და ძლიერა გამოთქვამს, ანთუ მე არ მესმის თუ რას მავალებს:

„შენ უნდა გამოხვიდე!“

„მევე?!“

„შენა!“

„რა?!!!!..“

„რა და — უნდა გამოხვიდემეთქი!..“

„სად გამოვიდე?! რა გამოვიდე?“

„რა და, რაცა!!!!!!.. ჩვენი დელეგაციის სახელით შენ უნდა გამოხვიდე!“

„თქვენ აქა ბრძანდებით...“

„არა!. შენ გამოხვალ!“ თვითონ საზეიმო გამოსვლები იცის. მზადაც იქნება. ისე არც წამოვიდოდა. ზეიმს ელოდა ჩვეულებისამებრ. საზეიმოდაც განწყობოდა. აქ სხვა რამ დაჰხვდა. თბილისშიაც გაურბოდა კამათსა. მიშვეებული ჰყავდა ჭილაიები, ჟღერტები.

„ალექსანდრე?..“

„სად გინახავს ალექსანდრე გამოსულიყვეს?!“

„ვანო...“

„ვანო არა, ვართანუშა!“

ხმამალლა ამოსცდება გიორგისა. შთაინთქმევა ტრიბუნის გუგუნშია; ის პო ისევე და: არცა ვეთარგმნიანო. აი მოსკოვიო... იცის, ვის როგორ მიეფეროს, ყველაფერი იმის ხელთაა და იცის: თარგმნის და თარგმნის, თარგმნის და გამოსცემს ამათაცა, აფხაზებსაცა, შესჩენია აჭარლებსაცა, — მოგვეცით თქვენი აჭარული ნაწერებიო, მსოფლიოს პოეტებად გაქცევთ, მსოფლიოს რომანისტობას დაგიმკვიდრებთო, თარგმნის და თარგმნის განურჩევლადა, მრავალეროვან საბჭოეთისა თარგმნის; თარგმნიან იგივენი, უფრო ხელმოცარული რუსი პოეტები, იგივენი და იგივენაირადა —

ერთგვაროვნადა, რო დამკვიდრებენ ესედაცა ერთიმეორესა ეს მრავალეროვნობა და ტრაბახობს მოსკოვი, ტრაბახობს, ტრაბახობს: აი თუ როგორ შემომტყვიცებულა მთელი საბჭოთა ლიტერატურაო, აი თუ რასა ნიშნავს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურაო. ტრაბახობს, ტრაბახობს. ჩვენთან ჭკუა რო არა ჰყოფნით.. თარგმნონ ამათაცა, თარგმნონ ქართულადა ეს ჩვენი მოძმენი, თარგმნონ და გამოსცენ თუნდაც უნიჭონიცა, ყოვლად უნიჭონი, აგერ რო სწორედ უნიჭონი რო გაჰვეირიან ყველაზე მკვახელა, ყველაზე ცხარელა, თვითონ აქაც რო მოაბეზრეს თავი, როგორ რო მოიშორონ რო აღარ იციან. ახლა მაინც უკრავენ ტაშსა და აქეზებენ შეძახილებითა, ისედაც რო გადარეულთა. ისინიც არ აკლებენ, ვისაც რო მაინც ეთქმით მწერლები, აქაცა ხჯობნიან, ამ გადარევაში. შემთხვევა მომეცა მეთქვა თათბირზედა, ცკაში, მწერალთა კავშირის მდივნობა რო მომიხდა, საგამომცემლო გეგმების განხილვისასა: საკმარისი არ არის ოსური და აფხაზური თარგმანებიმეთქი. კიდევაც მეთაო, გეგმებს ვერ აუდიარათო, აღარ დამაცადა სახელგამის დირექტორმა. დასცეს კვერი სხვა დირექტორებმაცა. ვერც შეუსწორებდნენ, სხვა რიხი ჰქონდა იმ დირექტორსა: ლენინისათვის მიეწერა წერილები ჩვენში მენშევიკების ხელისუფლების დროსა. ლენინისაგანაც მადლობა მოსვლოდა. სხვა რიხი ჰქონდა იმის სიტყვახა, — ცკას მდივანიც ვერ შეუსწორებდა. ცკა ასრულებდა მოსკოვის გეგმებსა. მოსკოვს თავისი გეგმები ჰქონდა. ახლა პონორარიო. ამასაც ვეაბრალიან!. პონორარისათვის ერთმანეთსა სჭამდნენ. ერთი ცხოვრებოვის საჩივრები მომცეს მწერალთა კავშირში, უჩიოდა ცხინვალის მწერალთა განყოფილების მესვეურებსა: მე არ მიბეჭდავენ, მხოლოდ თავიანთსა საბეჭდავენ, რაც ფულია, თვითონ იჯიბავენო. ცკადან მოსვლოდათ, შეამოწმეთო, მორიგეთო, მე მომაჩვენეს. იქით მოხედები და შეიარეთ. მე რისი მომრი-

გებელი ვიყავი?! შევივლიმეთქი. ხაჩიერები უფრო მრავალმხრივი იყო, უფრო ღრმა მიზანი ჰქონდა. არა კმარობდა რო მწავრავენო, ბრალსაცა სდებდა: საბჭოთა იდეოლოგიასა ჰდღაღატობენო, ერთაშორის შუღლსა სთესხავენო, ისტორიას ამჯინჯებენო. ამისთვის ისჯებოდა ხალხი. იცოდა. ჰონორარსაც ამოგებდა და თანამდებობასაცა. იცოდა. იცოდა. მაგრამ აქ — ხაჩიერებსა თუ განცხადებებში წითელი ხაზი გახდევდა მხოლოდ ჰონორარსა. შენც მხოლოდ ამას მიაქციე ყურადღებაო, ეს ხაზები ცეკასიაო, — ასე ამიხსნეს მწერალთა კავშირში. მორიგეო ერთისიტყვითა. მორიგებულან: ჰონორარსაც ჩვენ გვაბრალიან, ჟურნალის მოცულობასაცა, პერიოდულობასაცა, ყველაფერსა, ყველაფერსა, — არა და — მართლაც ყველაფერი რო მოსკოვის კითხულია, თვით დამლაგებლის შტატიცა, ვითომ არ იციან!.. ხაჩიერები!.. ყველაფერი იციან და ყველაფერი მოზომილია. დარბაზიც გაუვსიათ. სად არის ამდენი მწერალი ოსებში?! იმრავლა, მაგრამ ასე მაინც არა. მოუყვანიათ მთელი ოსური ინტელიგენცია, რუსულენოვანს რო უწოდებენ, ცხინვალის თეატრის ოსური დასიცა, მოსკოვში რო აღზრდილან და აქ მხოლოდ სცენაზე რო ოსობენ. ესეც სცენაა, სცენაა და ოსობენ აქაცა რალა თქმა უნდა: ტრიბუნა რო დაგეცხებს, ისინი გუგუნებენ. ჩვენნიანი არაეინაა დარბაზშია. გარბის ქართული ინტელიგენცია, გარბის უკანომუხედავადა, ვინც რო არ გარბის, აძეკებენ, ერეკებიან ახილადა, განუკითხავადა. გარბიან და ერეკებიან. აქ ჩვენ მარტონი ვართ, მარტონი, საბატო სტუმრები რო გვეგონა თავი. თუცა მე რაო, — ეს ამათა, თორემ მე პო მივხედი, გორიჯერის ბატკანივით რო გამომიბეს ურმის ბოლოზედა!.. გორიჯვარში თუ არა, აჯერ ზღუდერზე პო დამდეს სამსხვერპლოზედა, რა ნუგეშია, — მსხვერპლი მსხვერპლია, ბატკანი — ბატკანი!..

გაეიქვე?..

რუსთველი მაინც არ დამძრახავს, სა-

დაც არა სჯობს, გაცლა ^{საქართველოში} გვახწავლის?.. არა, აქ მინჯელა ^{საქართველოში} ვინ დაწდობილა არ შეიძლებოდა. ვერც ამით მივატოვებ. არა და ახია ამითზე, — რატომ არ იცოდნენ თუ სად მოდიოდნენ, თუ იცოდნენ და, ვითომ მე რა ისეთი ფარ-ხმლად მიგულეს?! ახია, გავცილდე. წამოყვლეყვლავებულა ის ქალიშვილიცა, თითქოს რო მიხმობს: გამოიქეციო. კრების თავმჯდომარე აცხადებს, რო სიტყვა მე შეკუთვნის. ფეხები ტრიბუნასთან მიმათრევენ. მიმათრევენ, ვერ ვიტყვი, მე მივედიმეთქი. ვერც იმას ვიტყვი, რო შე ვლაპარაკობდი, — ვამბობდი, რაც რო არა მეჯროდა, ხან მაციუნებდა, ხან მაბრაზებდა, ვამბობდი, რასაც რო ამბობდნენ ქვენტები და ჭილაიები, კრიტიკოსები, ანთუ საბჭოთა კრიტიკოსები, სქემა მოსკოვში რო შემუშავებულეიო და მოსდებოდა მთელს საბჭოეთსა, მოსდებოდა და სავალდებულოც იყო; ვამბობდი, რო გრანდიოზულ აღმავლობას განიცდიდა სოციალისტური წყობილება, სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრება, — როგორც ამბობდნენ, — მაგრამ ეს ჯერ კიდევ სათანადოდ არ აისახებოდა საბჭოთა ლიტერატურაში, მართალია პოეზია გამოირჩეოდა მაგრამ დიდად ჩამორჩებოდა; პროზა, დრამატურგია, საბავშუო ლიტერატურა; აი რა ამოცანების წინაშე იდგა ოსური მწერლობა, აი რა ამოცანები უნდა გადაეწყვიტა. დასაქუეთის იმპერიალიზმის ხრიკები ამას ხელს ვერ უშლიდა. მრავალნაკადი კომუნისტური პარტია და მისი ლენინური პოლიტიბურო კვლავაც გამარჯვებების გზით წაიყვანდა საბჭოთა ხალხსა და ოსური მწერლობა დროულად გამოასწორებდა ჩამორჩენას პროზასა, დრამატურგიასა თუ საბავშუო ლიტერატურაში. იმედს ამისას იძლეოდა ის შთავონებული პოეზია, ოსი პოეტები რო უმდეროდნენ დიდად აღმავლობას სოციალისტური ცხოვრებისა; ვამბობდი და იმასაც ვამბობდი: ვერარა ძალა ჩრდილს ვერ მიაყენებს ჩვენს საუკუნოვან ძმობასა და მეგობრობასიმეთქი; ვამბობდი და მესმოდა, სიტ-



ყველა ესე გამოძახილს ჩემთანვე მოჰქონდა. მე მჯეროდა, რო სხვა ამბობდა, სხვას უესმენდი, ანთუ იგივე ფლენტსა, ანთუ იგივე ჭილაიასა, ანთუ იგივე შერკვილაძესა, ანთუ ვინც იყენენ, ჩემს ნათქვამად მაინც არ მეგულებოდა. ოღონდ ესეცაა: როცა რო წარმოუთქვი, შთაგონებული პოეზიამეთქი, ფხუკუნი, მომესმა, ფხუკუნი, ანთუ ხმაი ისეთი, რო უნდა გაიცინოს ადამიანმა და თავს რო იკავებს ძალდატანებითა. ეს იქიდანა — ბოლო რიგიდანა. ხმა მეცნო ცხადია. მერე აკისკისდა, გარეთ რო გავედი: გამიტაცა მოშორებითა, კისკისებდა და აღმოიტყოდა, — „შთაგონებული პოეზია!“ აღმოიტყოდა და მე მბაძაჲდა, კარგადა მბაძაჲდა, თითქოს რო მართლა მე ვიმეორებდი, — მე ვიმეორებდი და ისა კისკისებდა. ვიორგი ლეონიძე მილოცაჲდა. გადავრჩითო, შვებით ამბობდა. მხურვალედ მართმეჲდა ხელსა საოლქო კომიტეტის მდივანი: მდგომარეობა განმუხტეო. ოს მწერლებს უკვირდით: რა კარგადა გცოდნია ჩვენი ლიტერატურაო. ჩემზე უკეთ სხვებმა იციანმეთქი, თავს ვიკატუნებდი ალექსანდრე ფაზბეგისა არ იყოს, ხოლო ეს ახირებული ქალიშვილი კისკისებდა ისევე, იმეორებდა ისევე: „შთაგონებული პოეზია!“ „შთაგონებული პოეზია“.. — ისევე და კიდევ უფრო დამცინავადა. იმეორებდა. იმეორებდა. ალექსანდრე ქუთათელი იგინებოდა: ვინც რო თქვენ აქ ჩამოვათესლათო. აგინებდა ერისთავებსა, მაჩაბლებსა, ფალავანდიშვილებსა. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსაო, ვინ უფრო ველურებს ვადმორეკავდაო, ერთიმეორე რო დაეშინებინათო. ლენინს აგინებდა, სტალინს აგინებდა უცნაური და გაუგონარი უწმანური სიტყვებითა. სამება იტყოდა ხოლმე, — სამება, მაშინდელი მძლოლი მწერალთა კავშირისა — მე ჩემი დღენი შოფრებში ვტრიალებ და ასეთი გინება იმათგანაც არ ვამიგონიაო. მე გამეგონა, ისევე ამისგანა, ისევე ალექსანდრე ქუთათელისაგანა. ნავთლულის პატარა რესტორანში მოვხვდით. სასაკლაოსთანა. ომი დაგვშორდა. ბერ-

ლინს უახლოვდებოდა. ჯერ იმ რესტორანში წამოიწია. სახელი გაიფანტა. დი იცისო, კაი მწვალიო, ცუდიც რო დავიწყებოდა ხალხსა. მეც მოხვდი იქა ალექსანდრესთან ერთადა. სიმონ ჩიქოვანი მოთავეობდა, ვიორგი ლეონიძეც ვახლდა. კარი გავეიღეს ცალკე კაბინეტისა. კარი გავეიღეს და მარქსის პორტრეტმა შემოგვანათა. მე შენი წვერებით, დაიკვინა ალექსანდრემა, ჩვენ რას გვერჩოდი შე ასეთ ისეთოო და მოაყოლა და მოაყოლა და მოაყოლა, ყურით რო არ გაიფონებოდა, ისეთ-ისეთი სიტყვები მოაყოლა. სიმონი იცინოდა. ვიორგი იცინოდა. მე არ მოველოდი. ახლა გერმანიასაც ვტირებდა დედო, ბოლოს ამითიდა მოითქვა სული. აქ ველარ ერეოდა ჯავრსა დახვეწილი ინტელიგენტი, დახვეწილი ჯენტლმენი. ველარა ველაეს — მიხმესმეთქი.

ხოლო ისინი ალყას დამარტყამენ ქუჩაში:

შალვა აფხაიძე, მამია ასათიანი, თარჯიშანი მოსკოვიდანა, სხვა დროსაც რო შევხვედრივარ ვორშია და ერთიცა მომწვანო-მოყავისფრო კაცი: გოპალ ჰალდარიო, მაცნობს შალვა აფხაიძე, ინდოეთის პროკომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწეო, სტალინის სახლი ინახულაო. ახლა რაღა ვქნათ, აღარ ვიცითო, ისე როგორ გაებრუნდეთ, პური არ ვაჭამოთო. მე და მამიას მანეთიც არ გვიგდია ჯიბეშიო. მანქანა უცებ ჩამოგვიყენეს და გამოგვადევენეს მგზურებადაო. იცოდნენ ასე მწერალთა კავშირში, — ვიღას აღარ აჯიკებდნენ — თვითონ თავი მოებზრებოდათ და თუ წაგასწრებდნენ, შეგატოვებდნენ ხელშია. რამდენჯერ ჩემთვისაც შეუტოვებიათ!.. მესმოდა ამათი ვასაჭირი, მაგრამ და რაო, — მეც რო მეწყოდა ჯიბეი!.. ერთი რკინიგზის სეზონური ბილეთიდა მეგლო, საღგურს ვეშურებოდი თბილისს დასაბრუნებლად. შედით „ინტურისტშიმეთქი.“ მე ისევე ინსტიტუტს მივაშურე: ფული ვისესხე. ისინი უკვე მაგიდას მოსხდომოდნენ. ოფიციალტი შეკვეთას იღებდა. გაიხარეს. მოილხინეს.

შალვა თამალობდა. მამია არ აცდიდა. თარჯიმანი გაბეზრებულიყო, ნახევარსაც არ უთარგმნიდა ამათი გრძელი სადღევრძელოებიდან. სტუმარი ზოგჯერ შეკითხვებს ჩაურთავდა, ზოგს უბრალოსა, ისე, თავაზიანობისათვისა, ზოგსაც ისეთსა, რაც რო აწუხებდა. ესენი იბნეოდნენ. შალვა სიფრთხილით იყო ცნობილი. მამიას ციმბირი ერთხელ ვეგუნა, მეორედ აღარ წაიტეხდა კისერსა. თუმცა უინ უწყის ვის სად რა წამოეწეოდა. ფრთხილობდნენ მანცა. ფრთხილობდნენ. იბნეოდნენ. ისევ სადღევრძელოები ენებათ, დალოცვილი ქართული სადღევრძელოები. მე ვლუმდი. მღლიდა ლექციები, სადღევრძელოებიცა მღლიდა. პასუხი მანც ამათა მართებათ: შალვა კონსულტანტად ითვლებოდა მწერალთა კავშირისა. მამიაც იქ იჯდა, მწერალთა კავშირში იჯდა გამუდმებითა. თავმჯდომარე მაშინდელი — ირაკლი აბაშიძე — მფარველობდა. ესეც ერთგულობდა: იჯდა და ელოდა, წავიდოდა და გააცილებდა. მართებათ. სტუმარი წუხდა:

„ვაქებთ და ვადრდებთ ამ თქვენს ნაწარმოებებსა, ვთარგმნით, გამოცემთ. აწყვია მერე, არავინა ყიდულობს, არავინა კითხულობს, — მხოლოდ ზარალია. რა ვქნათ, აღარ ვიცით!..“

ამ თქვენს ნაწარმოებსაო, რო ამბობდა, საბჭოთა ლიტერატურასა გულ-ისხმობდა, შალვასას — არა, მამიასასაც — არა რაღა თქმა უნდა. ორივემ იცოდა.

„შეიძლება მთარგმნელები ვერ ერკვეიან. ალბათ სუსტ ნაწარმოებებსა თარგმნიან?..“ შალვა გაბედაეს.

„ღიახ!.. ღიახ!..“ მამია უდასტურებს.

სტუმარი თავს იქნევს უარის ნიშნად:

„მთარგმნელებს ჩვენ ვიწვევთ, საუკეთესო მთარგმნელებსა. ხოლო არჩევით ჩვენი არჩევანიც ისაა, რასაც აქ უმაღლესი პრემიები მიენიჭება.“

„მაშინ მანც მთარგმნელები თუ...“ ენა ებმის შალვასა.

მამია ახველებს.

„დასაყლურ... ბურჟუაზიულ ლიტერა-

ტურასაც იგევენი თარგმნელებს მუსხრანთ. ყიდულობენ. კითხულობენ...“ მამია უნდა რი ლიტერატურის გამოცემელნი მდიდრდებიან, ჩვენ!!!..“ მხრებს იჩნავს სტუმარი. „მთარგმნელები არა, მთარგმნელები არა, მთარგმნელები არ დაწიუნებენ. ისინი ოსტატები არიან. რასაც შეუკვეთავთ, ოსტატურადა თარგმნიან...“

ბრინჯივით იბნევიან. შველა უნდათ. ვეშველები: აქ ახლოს, ხეობაში მშვენიერი ტაძარიამეთქი. ჰო არ ინებებთ, დაათვალიეროთ, საგზალსაც გავიყოლებთ, საუბარიც უფრო გულდაია ბუნების წიაღშია მეთქი. ვინებებო. ავიყარე-ნით. იქ საუბარი ჩვენი ქვეყნის წარსულმა წაიღო. აღარც იბნეოდნენ. აღარც ტუნს იკვეტდნენ, — აღარც რო შალვაი, აღარც მამიაი. თარჯიმანი უღმერთოდა კვეცავდა. გაბეზრებულიყო. გაბეზრებულიყო.

ერთხელ სიმონ ჩიქოვანმა საბჭოს სხდომიდანაც გამოიყვანა. საბჭო იხილავდა ჩაჭრილების საკითხსა. მე არა მყავდა ჩაჭრილები. რექტორმა დაძმომო, დაუთმოებელობა რო უფრო მოსწონდა, დაძმომო მანცა, სიმონს მოერიდა რაღა თქმა უნდა. სიმონი ჰო ხშირადაც გვესტუმრებოდა, — მისი საღამო გაიმართებოდა თუ ვინმე სხვისა, ანთუ რაცთუ გაიმართებოდა, ეხალისებოდა გორში ჩამოსვლია. უყვარდა გორის საღამოები. ლიტერატურით გატაცებულიყო, ავიწყდებოდა ყველაფერი. ახლა ლიტერატურაზე საუბარი მხოლოდ გორშიდა შეიძლებაო, იტყოდა ხოლმე. მეც ვიმეორებდი, სიმონს ვიმოწმებდი და გული მოსდიოდათ თბილისში, უფრო იმათა, ვინც არა მწამდა და ვერცა ვფარავდი. არც რო ავად არ ვექცეოდი, არც გულთბილობა არ მეტყვობოდა იმათ მიმართა. არა. არა. სოფლადაც მეწვეოდა სიმონი მოულოდნელადა, — თვითონაც რო უცბად გადაეწყვიტა და ვინც რო შეჰხვედროდა გამოეყოლებინა ვაურჩევლადა. იცოდა სტუმარი რო ლეთისა იყო, მეც რო ვიცოდი, ლეთისა რო იყო, და არც ერიდებოდა, არცა ბოდიშობდა, თუნდაც რო უამური ხალხიც მოეყვანა, ჩემთვის

უამური რაღა თქმა უნდა, ერთხელ მაინც მომებოდიშა: კოწია ლორთქიფანიძე და ლაეროსი კალანდაძე მოჰყვნენ. მომებოდიშა. სტუმარი ღვთისაგმეთი, შევახსენე, ღვთისააო, დამიდასტურა. იმათ ნარდი მოითხოვეს მოხვლისთანავე, ვზამივე რო დანამღვევებუღიყვნენ. ითამაშეს უამრავი ხელი, დაღეწეს ნარდი, დაკვინტეს კამათელი, ამოიხრინწეს ყელი მჭახე შეძახილებითა, ვერც ფინი მოიკლეს და ადგომაც არ უნდოდო. სუფრა გველოდა, ადგომა არ უნდოდო. ყველა ხელი ლაეროსიმ წაავო. არ ეშვებოდა. ყველა ხელი კოწიამ მოიგო, ის უფრო მეტად არ ეშვებოდა, უფრო შმაგობდა, ვაფიცებუღიყო, კანკალეგდა სიფიცხისაგანა „ამისგან არ მიკვირს,“ „მიემართე კოწიასა, აგებს და ხელის გამობრუნება უნდა. თქვენ რატომ აღარ მოეშვებით, გამარჯვებული ჰო თქვენა ხართ?“. რა გამარჯვებაა თუ ძირისძირობამდის არ გაანადგურე მოწინააღმდეგეო, — შესძახა კოწიამა, გაკვირვებულმა: ამას რა უკვირსო. ახლაც არ იყო სიმონი მარტო: ორი მსახიობი ახლდა. ცოდნის გამაგრცლებელი საზოგადოების საგზურით ჩამოსულიყვნენ. ლექციები უნდა წაეკითხათ დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში. საგზურები ჩამოურთმევიათ, ბეჭედი დაურტყამთ, ახლა ხალხი სად შევიგროვოთო, წაკითხულად ჩავკითვალაო. ხდებოდა ასე. არავის არ უკვირდა. ესენი ალბათ ხამად თუ იყვნენ, მომზადებუღიყვნენ, ხალხმრავალ აუდიტორიებს ელოდნენ ალბათა, — მშრალად გამოესტუმრებინათ. რა ექნათ არ იცოდნენ, ვერც ისე მშრალად გაბრუნებუღიყვნენ, ისე მშრალად და უცნაურად ისე. იდგნენ. ტორღიალოდნენ. გორსა მწყრალადა. გაჰყურებდნენ მე ამათი მომერადო, — და ინსტიტუტისაკენ გამოსძლოლოდა სიმონი. მე „ქართლისაკენ“ გაუქები. გაიხარეს, დიდად გაიხარეს: შენ რო არ შეგხვედროდი, რა შთაბეჭდილება გავგვევებოდა გორისაო. სიფელია თუ ქალაქია თუ რაც თუ რა არის — ერთი კაცია, ფილოსოფოსობდა სიმონი, თუ იმას არ შე-

ხედი, ვერც ვერას გაიგებს და ნურც მხედა რავის განსჯიო. მოსკოვი ჩემსთვისაა ტერნაკიაო, კიევი — მიკოლა ბაქანიო, გერმანია — თომას მანიო, ასევე სხვაგანაცა, სადაც მოუხვედრივარ, თითო კაცით დამხსომებილი: ვაუმარჯოს თითო კაცსაო. ვაუმარჯოსო. ილოცებოდნენ. მსახიობებიც ივრებდნენ თითო კაცსა, — გორში შენ იქნები ჩვენი თითო კაციო. მაქეზებდნენ. მაღღეგრძელებდნენ. კარლო კალაძეს მაინც ვანუღექი მხოლოდ ერთხელა.

იროდიონ ქავთარაძემ დარეკა ინსტიტუტში: კარლომაო, გერმანელ მწერლებს ამაღვეწესო. მოვეყვებით. შენი იმედითაო. რატომ ჩემი იმედითამეთქი. კარლოს ჩემზე უკეთ მოუხსენება, სტუმრებს თუ როგორ უნდა უპატრონოსმეთქი. უარესი პასუხიც ეკუთვნოდა. არც მეგონა თუ არ მომერიდებოდა „მეჩენის“ განხილვის შემდეგა, მწერალთა კავშირში რო გამიმართეს. ამისთვის ყველაფერი — არაფერია, ანთუ ერთფერია, ანთუ იგივეა ყველაფერი. ჩემთვის იგივე — არაფერია. უფრო მკარგი პასუხი ეკუთვნოდა. შემოხვევით არაფერი წამოსცდნია. განხილვაზე, ანთუ დარბევაზემეთქი. მომზადებუღიყო. არც დაუმაღავს. წინასწარ გამოგვიტყდა, მწერალთა კავშირს რო ვუახლოვებოდით მე და ვახტანგი. ვუახლოვებოდითმეთქი, ანთუ უკეთ: ბერიას კედელთან გადავეყვართ, კედლის უკან რო ნაძვებს აეყარა, მანამღე ჭადრები აშოლტიღიყო. კარლო უგალობდა ბერიას ჭადრებსა 37-ში. უგალობდა, მამამისიც რო დაძხვრეტეს ერთ მრისხანე ღამესა სხვეთან ერთადა, საქართველოს სხვა გამასაბჭოებლებთან ერთადა. ეს თუ რადაო, გამასაბჭოებლებს თუ რაღას ერჩოდნენ 37-შიო, ეს კიდევ სხვა საკითხავია, ხოლო ვადაყრით მაინც იქ ვადავეყვართ, — ბერიას ჭადრებთანა ჰო: ჭადრები ჰო აენებათ, წიწვები დაერგოთ, პეიზაჟი შეცვლიღიყო, კარლოს ლექსს იგი შემოენახა: წამოიხარდნენ შენი ჭადრები, ჩამომეფარენ, ველარა ეხედავ შენს ნათელ შუბლსაო. ბერიას

სახალღეს ვასცქეროდა ფანჯრები კალაძეებისა. ჩამომეფარნენ. ვეღარა ვხედავო. ნათელ შუბლსაო, დაფიქრებულსა ხალხზე ზრუნვითა, შეწუხებულსა ხალხის მტრების ვერავობითაო. ვეღარა ვხედავო. მამა ვასწირა, „მეჩქი“ ვითომ რა იყო ამისთვისა?! ცხელი პური მიპქონდა თონიდანა. შინ მიდიოდა. არ ესწრებითო, — ჰკითხა ვახტანგმა, — „მეჩქინის“ განხილვასა გულისხმობდა ცხადია. ჯერ ამას შევახრამუნებო, — კარლომა, პური მიიტანა ტუნჯითანა, — მე რე ამასაო, — თავი გადმოიქნია ჩემსკენა. ხუმრობა გვეგონა. ავეყვით. ვავიციანეთ. სულ ხუმრობდა, სულ ერთობოდა. ენა პქონდა საოცრად მოსწრებული, მახვილი, სულ სიცილი იდგა იმის გარშემო. იტყოდი: არ გაჩენილა ამაზე ლალი ადამიანი დედამიწის ზურგზედაო. იტყოდი. იწამებდი. ოღონდ ესაა: ვერ გამოიყენა შემოქმედებაში ის სიმახვილე, ის მოსწრებულება, ის სიცოცხლე, ლექსებში ჰო ვერა და ვერა, კომედიებშიც — ვერა. კომედიები ტყუილად ეწერა იმის პიესებსა. ერთხელაც არ გაგვიციებოდა. ტყუილადვე ირჯებოდნენ საუკეთესო კომიკოსები მარჯანიშვილის სცენაზედა. ტყუილად. ტყუილად. ბევრი დიდი იურისტი ცხოვრებაში დაღვრემილი ყოფილა, დაღვრემილი, დარდიანი, ავადმოუბარი, ისე, ისე, რო სეიფტს ჰო მიზანტროპის სახელიც დაუშსახურებია!.. ეს არა, არა: აღვსილიყო რო ხალისითა, სიცოცხლითა, — აღმაფრენითა, — ნაწერს ჩაზედავი იმისასა და გულს შემოგვერებოდა. რაც იყო, იყო. გამოდიხარო, — ჰკითხა ვახტანგმა, ისე, უბრალოდა, რო იცოდა რო: კარლო ტრიბუნას არც ეტანებოდა, იჯდა დარბაზში და ღაზღანდარობდა. გამოვდივარო. არა მწყენია. თუმცა ვიცილი, ჩემდამი მტრულად რო განეწყით გამომსულელები, ამისგან მაინც არ ველოდი მტრობასა. თუნდაც რო ემტრო, ალბათ სიცილში ჩაივლისმეთქი. გარეგნობაც ჰო ისეთი პქონდა: რო იხუმრებდა, გარეგნობაც უწყობდა ხელსა. თანაც აგრეთვე: ვეპურმარილა რო ბევრჯერ ერთადა, ველქცეულშიაც

მწვევოდა ბევრჯერა. უტყრეს მტრულად ჩამოგვევანა. იქცეოდა იმგანადაც, მაგ იმგვარადა, მასპინძელი რო ის ევონათ. აღხენდა. მარანში უყვარდა. ქვევრის თავზე იმეკა უყვარდა. სახვიროდ იყო და საკვირველიცა: ბუქნიდა, ბუქნიდა და ვეება მუცელი აუღდაუდიოდა ბურთივითა, აუხტებოდა და დაუხტებოდა, აუვარდებოდა და დაუვარდებოდა, არა თუ კაციო — ვეება ბურთიო გვეგონებოდა. სასაცილოც იყო და საკვირველიცა: ბუქნიდა რო ისე ზღადაღურსა, ისე მსუბუქადა, ისე ლალადა, ყარაჩოღელები როგორ რო ბუქნიდნენ ბაღებშია ორთაჭაღლისა. ისე. ისე. და ეუკარაღვით ტაშა და შეეძახოდით: ტაში კარლო!.. ტუში კარლო!.. როგორ ვიფიქრებდი ამისგან ცულსა?!

თურმე ნუ იტყვი!..

არც თვალებს ვუჯერებდი, არც რო ყურებსა.

იჯდა ტრიბუნაზე ლოგებღაფღაფა კაცი, თვალები რო უციმციმებდა, ცოტახაც რო წანყალებდა, თითქოს რო ზამბარები ჩაუტანებია: თქულებშიო და ვერე მრისხანებდა: მიხვილ ჯავახიშვილს დაარქვეს ხალხის მტერიო, „არსენას“ ავტორსაო. გაიხსენეთ თუ როგორ ადამიანებსა ჰხატავდაო, — გმირებსა ჰხატავდაო. ესაო, ესა: დაკინებულსა და დაბეჩავებულ ადამიანებს გვიხატავსო, ჩვენი წყობლებით დაბეჩავებულებსაო. აი ხალხის მტერიო. იქნვედა მუმტებსა. იქნვედა. იქნვედა. ასე რო მახსოვს, აღარცა მეჯერა. გაზეთშიც დაიბეჭდა. ვამოწმებ. ასევეა. არც ხსოვნა იშლება და არც დაბეჭდილი. სხვებსაც არ დაუყრიათ ხეირი: სიმონის გარდა, ვიას გარდა, რეზოს გარდა. ის სხვები უმეტეს იყვნენ, ასევე უღმობელნი, ანთუ მოხერხებულნი, ვითომ: არც მწვადსა სწვავენ, არც შამფურსაო, უღმობელობასაც რო ვერა ჰფარავდნენ. ეგება შიშისგან დაზაფრულიყვნენ?... ანთუ რაც იყო: ასრულებდნენ პარტიულ დავალებასა. აღარც რა მესმოდა, ვეღარც რო ვხედავდი, ვინ ვისა სცვლიდა ტრიბუნაზედა. ღებნა ცმუკავდა. ცმუკავდა საყარძელზე სხდომის



თავმჯდომარისა, და რაც უფრო ცმუკავდა, ვატყობდი რომ უფრო მირტყამდნენ. მე ერთი მაფიქრებდა: მიმესწრო ბოლო მატარებლისათვისა, — დილაადრიან მეწყებოდა ლექციები. კიდევაც გავეშურე, აიშალა თუ არა ხალხი. კარებში ხელი მწვდა. ვახტანგმა შემაჩერა. ეგეც შენაო, ნიშნი მომიგო, კიდევ მოუხალე ქვევრი და უმღერე: ტაში კარლოო, ტუში კარლოო. გამეცინა. შვება ვიგრძენი. მატარებელშიც წამომცდებოდა: ტაში კარლო, ტუში კარლო. მგონია რომ — ლექციებზედაცა. არ დამვიწყებია კარლოს ამავი: გავამახსრე „დამართ-დადმართში“. სამაგეურო ვაღამიხადეო, — მისაყვედურა. რატომ დაავალეო, კითხვა ვახტანგმა. აბა რა მექნაო: პარტიული დავალეააო. თანაცაო: პრეზიდენტში გაიყვანათო. გაიყვანეს. არ მოუტყუებიათ. დემნაც გაიყვანეს პრეზიდენტში იმ განხილვის საფასურადა. უფრო ადრე „მნათობის“ ხარედაქციო კოლეგიაში გაიყვანეს ჩემს მაგივრად. ილვაწა. ისე ადვილადაც არა. ილვაწა. ილვაწა. უფასდებოდა. თუ ისევე კარლოს მიუებრუნდები: მაინც დაუთმე, მაინც რომ არ მომრიდებია. საიუბილეო ტელეფონში მიღებენო, მაუწყა, სცენარი ასე: თბილისიდან სოხუმს მივემგზავრებო. გზად გორს ჩამოვივლი რაღა თქმა უნდა და ეგება შეხვედრა გამომართო, სცენარში კარგად ჩაჯდებაო. ჩაჯდებათქო. კეთილიმეთქო. გვეწვია. დავხვდით.

არც გვიძნელდებოდა პოეტური საღამოები თუ შეხვედრები. ხალისობდნენ სტუდენტები, მიმხალმებულნიც გაწაფულიყვენ, ადგილობრივი მოლექსნიცა, გამოვიდოდნენ სტუმრის თანმხლებნიცა, — სტუმრის სტუმარნი, — მერე თვით სტუმარი, მერე სუფრა და სადღევრძელოები. არ გვიძნელდებოდა. მშენიერი საღამოები იმართებოდა, ოღონდ ერთია: ხალხის თავშეყრის მიხედვით ვიცოდით თუ რა სახელის პოეტი გწვევოდა. ესეც კო ვიცოდით, ასეც ეტყობოდა: გალაკტიონის საღამოზე ქალაქიდანაც მოგაწაყვებოდა ხალხი,

კლუბშიც ვეღარ ვეტოვდი, მინებ, გრიშაშვილის საღამოზედაც, ლეონიძის საღამოზედაცა, სიმონ ჩიქოვანის საღამოზედაცა, ახალგაზრდებიც გამოირჩეოდნენ, იმათაც ასდევდა ბუერი; ზოგისთვის გვეოფნიდა ფიზიკის დიდი აუდიტორიაცა. ნაკლები მაინც არ შეიფრებოდა. კარლოს შეხვედრაც იქ გაიმართა. იუბიტერების შუქზე ტრიალებდა კარლო. ლექსებს აფრქვევდა და ასდევდა ტაში. მაინც ტაში: ტაში კარლოო ბრწყინავდა პოეტი. ერთში შესცდა: ატენიც მინდაო. აქ შესცდა. ჯერ ვერ მიუხვდი. მერე გაირკვა: ამას ატენი რთულობისას ენახა. თურმე სულ ისეთი კვონებია ატენი: ამართული ვახუბი, დახუნძლული მტევნები, ნაწური მომჩქეფარე საწინახელებიდანა, — სულ ისეთი, ისეთი. ზამთარი იღვა, მშრალი ზამთარი, მაინც ზამთარი. ძირს ეყარა გაროკილი ვახი. ეს როგორი ატენიაო. სცენარში რთველი ჩაეწერათ. ზამთარია მეთქი.

XV

მაინც ფიზიკის დიდი აუდიტორია, — გვარგოდა ასე შეხვედრებისათვისაცა, მსჯელობებისა თუ განხილვებისათვის კიდევ უფრო მისწრება იყო. სამიხსო განწყობასა ჰქმნიდა ამფითეატრული განლაგება მერხებისა. იქით გვიწვევდა გული. ჩვენთვის ლიტერატურის აუდიტორიად იქცა. „პირისპირ“ იქ განვიხილეთ, „ცხოვრება ივანე მანაბლისა“ — იქა, „მკვდრის მშეცა“, „ქართული მჭევრმეტყველება“*, ქართული პოეზიის ინგლისური ანთოლოგიაცა, ბერსის თამარ ერისთავისეული თარგმანებიცა, ხერგი წულაძის* მერ თარგმნილი „ეფუხისტეაოსანიცა“, და სხვანიცა და

* წუხდა სერგი: საფრანგეთში დავიბადე და სამშობლო ისე ვრცელი წარმომედგინა, საფრანგეთი როგორიც არისო. აკერ ჩამოვვლი ჩემს სამშობლოში და ძალიან მევიწროვებო. მიჭირსო. ჩვენც გვიჭირს, ჩვენც ძალიან გვევიწროვებამეთქი.

სხვანიცა: „ცისკარცა“ (ჩვენი), „მერანიცა“, „ლიახვიცა“, იქვე ვმხელობდით „ეროვნულ ენერჯიაზე“, „ვიორჯი მერნულეზე“, „1832 წლის შეთქმულეზაზე“, „ჯაგოს ხიზნებზე“, „გველის პერანგზე“, „მკერდშობილ მერცხალზე“... — ამას სალიტერატურო წრის სხდომები ერქვა, გამოერეოდა შიგადაშიგა სტუდენტ-მწერალთა ნაწერების განხილვათა შორისა, გამოერეოდა, გასხლტებოდა, ვიმედონებდო: ეგებ რო უყურადღებოდ ჩაიაროსმეთქი. მაინც მიხმობენ უშიშროების განყოფილებაში გორისა: ნაციონალისტურ განწყობილებებს ჰო არ ამჟღავნებენ ეგ თქვენი ახალგაზრდა მწერლებიო, არაშეთქი. შევიცხადე, ტაძრებსა და ციხე-კოშკებზეც თუ წერენ ლექსებსა, წერენ, როგორც რო ხელოვნების შედეგებზემეთქი. ისე, უფრო თანამედროვეობას უმღერაიანმეთქი. აი ჩვენი აღმანახებამეთქი. ერთი კრებულის უკვე დაბეჭდილ ფორმებში ლენინზე ლექსები ჩავაკედინეს (ეს სხვა სათქმელია, სადაც ჩაწერე კიდევაცა). მაინც იფრთხილეთო. მეტი სიფრთხილე აღარც შეიძლებოდა. გერონტი არც მოვიწვევია, არც პავლე — არა, არც ვიორჯი გოზალიშვილი. გერონტის გავგო: მართლათ, უკვირდა, ახსოვს ვინმეს ის ჩემი წიგნიო. პავლემ — მაინც ვერ წამოვიდოდიო. გერონტი მაინც გვეწვია მერე, ლეო ქიაჩელთან ერთად გვეწვია. წარმოვიდგა მომხსენებლად. ლეო ქიაჩელის საღამო გახლდა. არ უყვარდა ვერცელი სიტყვები. გამოსვლაც არ უყვარდა თუ ერიდებოდა ბოლო ხანებშია, აქ მაინც გამოიღო თავი, ლეოსათვის გამოიღო. ვერც დავეტოეთ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში. განხილვად დავთქვით. საღამოდ იქცა. ვერ დავეტოეთ. კლუბიც გაივსო. ფეხზედაც იდგნენ. უსმენდნენ დიდი ყურადღებითა, ოფიციალური კრებებით მოხზრებულნი აქ ისვენებდნენ, თუნდაც დიდხანს გაგრძელებულიყო.

ვერ დავეტოეთმეთქი.

ვერ დავეტოეთ ვერც „ლამარელას“ განხილვისასა.

ვერც დავეტოდიო. მწერლები შირმაც ვერ დასტია თავის დაარბაზშია, — თავიდანვე მიხვდნენ, თავიდანვე „იმელის“ დაარბაზში მიიწვიეს ხალხი, მე და ვახტანგი ვეღარც რო მივხვდით. დროზე მივედით. გატენილიყო იქაურობაი. გარეთაც იდგნენ. ამოდ იდგნენ. ჩვენ გამოვბრუნდით. სწყალობდნენ გრიგოლსა საბჭოთა კრიტიკოსები, ნომენკლატურული კრიტიკოსები ესეიგი და რაღა თქმა უნდა. შთავრობა სწყალობდა. ეს არ აპატიეს, — ისტორიული რომანი არ აპატიეს. ისტორიას ჰო სდევნიდნენ, რაც რო შეეძლოთ, სდევნიდნენ საქართველოს ისტორიასა და ისტორიულ რომანსა საქართველოში. რუსეთში არა. დიდ მოდაში გახლდა „პეტრე პირველი“. რუსეთში არა. ჩვენში. სდევნიდნენ კონსტანტინე გამსახურდიასა, ლევან გოთუასა, ერისხანს ანჯღრიეს შალვა დადიანიცა „უბედური რუსისათვისა: როგორთუ რუსიო და როგორთუ უბედურიო. ანჯღრიეს. ანჯღრიეს. ანჯღრიეს. დაარქვა მერე — „ვიორჯი რუსი“. არ უყაბულეს: მხოლოდ სახელი შეუცვალათ. მასების რეკოლეციური აღმავლობა არა სჩანსო. არ უყაბულეს. გაცხარდა შალვაცა: არ გინდათ და ნუ გინდათ, აიღეთ და გადააგვეთო. გაცხარდა. დაეხსენენ. შალვა ავდილად არ ემეტებოდათ. ესახელებოდათ: ჩვენთან დგას ძველი ინტელიგენციაო. იდგა. არც გრიგოლი ემეტებოდათ. ხმაურსაც ასეთს როდი ელოდნენ. განაკრძობდნენ ჩვეულებრივ დევნასა, ამისთვის რო გამოფრთხილებულსა. უწვეულო რამ გამოვიდა. აქ ჩაერია პატრიოტული განწყობილებანიცა: თამარის შეილები გავეილანძლა „ლამარელამაო“, ჩვენი დიდი თამარისაო, ჩვენი წმიდა თამარისაო, ამ მოტივითა. სარჩელი მაინც ბევრად მეტი გახლდა რაღა თქმა უნდა. თავის ისტორიას იცავდა ხალხი, ისტორიულ რომანს იცავდა ხალხი, რახან რო ისტორია წართვეს, რომანებით მაინც რო შემოენახათ. აკი ტრაბახობდა კონსტანტინე გამსახურდიაცა: ქართლის ცხოვრებას ამოუყენებ მე ჩემი რომანების სერებესაო.



ტრაბახობდა. გრივოლის მიმართება აღარ უნდოდა ნოპენკლატურულ კრიტიკასა. ჩვენთან ისინი არც მოუვიწყვია. განხილვა ერქვა, შეხვედრად იქცა, საზეიმო შეხვედრად, თითქოს თბილისის ჯიბრზედაო. თითქოსაო და მართლაცაო.

ვერც „გმირთა ვარამის“ განხილვისას ვერ დავეტიეთ.

ლევანი მართლაც განხილვისათვის მომზადებულიყო. რო არ აკმარებდნენ ციხესა და კატორღასა, არც კრიტიკოსები აკლებდნენ ზელსა. არაფერს ამისას არ იწონებდნენ, ჯოჯოხეთის ცეცხლს უკიდებდნენ, სულიერად რო გაეტეხათ. პასუხიც არ შეეძლო: ვინ დაუბეჭდავდა?! „იქ შეიძლება რო ვილაპარაკო?..“ მკითხა, რო ვაუწყე: განხილვას ვუპირებოდათქი. აბა განხილვა რას მიქვიანოთქი. მომზადებულიყო. რაც რო დაჰხვდა, თავისად არ ეგულებოდა: ყვა-ვლები, მისაღმებანი, აღტაცებანი, მადლობანი, სტუდენტები რო გამოხთქვამდნენ, სხვისად ეგონა, თავისად არა, რაღა თქმა უნდა, ციხე-ციმბირის მეტი რო არაფერი ეგემა თავის ცხოვრებაშია, დაბრუნებულსაც რო არ შეხვედრიან კეთილად, ორჯერ უკვე დაბრუნებულსა და უკანვე გახშიბილსა ორჯერვე კვლავაც რო ხმობა ელოდებოდა, ისე იქაო, იმ შორულ კატორღლებშიო. ამას უქადდნენ კრიტიკოსებიცა. თავისად ეგულებოდა მერეცა, მერეცა, მადლობა რო გადაიხადა, თითქოს რო სხვის მაგიერად იხდის მადლობასაო, თითქოსაო, თითქოსაო: ახლა განხილვა დაიწყებაო, — ამბობდა. კონცერტი დაიწყო ჩვეულებისამებრა, სტუდენტთა კონცერტი. სუფრა მოკცვა ჩვეულებისამებრა ისიცა ცხადია. და ეტყობა რო გადაეწურა იმედი, აყვა, აყვა და იქ მისინა ფქვა სათქმელი თავისი. გული იჯერა კრიტიკოსზედა. ოქროსთავიანი კრიტიკოსი სძულდა: კალიმა მირჩევიან იმის დანახვასაო. სძულდა ერთი იმისი მოწაფიცა. სხვებს არად ავდებდა. უფლისციხის ამბავი სხვა იყო.

არც „ვაზის ყვაეილობის“ იქ არ მოხერხდებოდა, არც რამე მისი მოხერხდებოდა: განხილვა იმეტი. შეხვედრა იქნებოდა რაღა თქმა უნდა. ოღონდ რო ვამბობ: განხილვა არ მოხერხდებოდა იმეტი, ვამბობ იმეტი მაცა, ბოლომდის რო ვერავის ვერ წავაკითხე „ვაზის ყვაეილობაი“. გრაფომანები გააკვივონია. არსებობს აგრეთვე კითხვის მანიაცა. იმეიათი, იმეიათი. არსებობს მანიაცა. შემხვედრიან სტუდენტთა შორისა. აუარებულ წიგნის მოტულეში, თითოროლა ასეთი შემხვედრია. იმათაც გაუჭირდათ. ზემისათვის არც იყო საჭირო. მოსაწყვეტი არც იყო „ვაზის ყვაეილობას“ იუწყებოდა, ორატორები სხვას გაიძახოდნენ: „მთვარის მოტაცებაო“, „კონსტანტინეს მარჯვენაო“, „ღამით აღმაშენებელიო“, გაიძახოდნენ და მიესალმებოდნენ, ნაკლებად ახსენებდნენ „ლიონისოს ღიმილსა“, ნაკლება, ნაკლებადა, — ემანდ რო ვინ უწყის პარტკომსაც არ მოეკრას ყური რაიმესათვისა, — იმდენი რა უთხარი!. — და არ გაკვირისხდესო. კონსტანტინეს არაფერი არ უკვირდა: შეხვედრა მისი იყო, ზემი მის ეკუთვნოდა, ტაში მისი მონაპოვარი ვახლდათ, ტაში, არა მხოლოდ რო ინსტიტუტისა, — მთლად გორის ტაში. თლითვე ჩამოვიდა.

შეხედრა საღამოსათვის დანიშნული მთელი დღე დაჰყავით ერთადა. რატი ორბელიანის ეკლესიას ვეახელით, მოვიარეთ რუის-ურბნისი, შებლალული, მოოხრებული. ერთი რუის-ურბნისის კრება კიდევ გვინდა, ისე არაფერი გვეშველებო. მაგ კრებას დავით აღმაშენებელი უნდამეთქი. თუმცა და რაო: ბევრიცა ტრაბახობს დავითობასმეთქი. ილიაობასაც ბევრი ტრაბახობსო, მაგრამაო: მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცულღუტი და მანკიერიო. მეგონა: თვითონაცა ტრაბახობდა ილიაობასა, ანთუ მეტობასაცა ტრაბახობდა: მეგონა: ეკება რო საბაბიცა მქონდა. ანთუ შეეცდი. ანთუ თვითონვე თუ გადაიფიქრა. შემატყო ალბათა. ირიაბდ შემომხვდა. ჩვენი ურთიერთობა ცოტა გართულებულიყო. კეთი-

ლად დაიწყო, ყოვლად კეთილად. მაშინ ის „მნათობის“ სარდაქციო კოლეჯიაში იყო. ჩემი მოთხრობა გადაეცათ. მოსწონებოდა. შემახვედრეთო. ევახელი. მომეგება გულითადად, ისე, გულითადად, ვერაინ ილიტრებდა, ბზარი თუ რამ დაჰკრავდა ოდესმე ჩვენს მეგობრობასა. ვერაინსამუთქი. მე — მითუფრო!.. მაგრამ დრო დროა და ჟამი ჟამია. მას არ მოსწონდა ვასილ ბარნოვი, არც ალექსანდრე ვაზბევი არ მოსწონდა. ტბუ ედო ჯავახიშვილსა. რობაქიძესაც ტბუ ედო. წინ აღარავინ აღარ უნდოდა, გვერდითაც არავინ აღარ ეგულებოდა, მომავალსაც არ უწერებდა, პირველობდა, ერთადერთობდა, ტკებუოდა თავისი პირველობითა. ტკებუოდა. დროდადრო აღვიღდ წამოჰკრავდა ხელსა ვასილ ბარნოვსა, ვაზბევსაცა წამოჰკრავდა ხელსა. არ მოსწონდა. ჯავახიშვილს არც ახსენებდა, არც რობაქიძესა. ისინი უკვე აღარ არსებობდნენ ამისთვისა, ჩემთვის არსებობდნენ. არ მოსწონდა. ცოტა მართობდა ეს ამისი პირველობაცა. სხვებსაც ართობდა. არა, არა — ბეერს აცხარებდა, ართობდა — ცოტასა. მეც მართობდა. არ მოსწონდა. ჯერ ახალგაზრდა ხარო. შემიწყნარებდა. დიდხანს მაინც ვერ შემიწყნარებდა. და დაკვიდეა ჟამი განხეთქილებისა, ჩემთვის რო შაინც მოულოდნელადა, რო არც შევასუხებიავარ, ოღონდ მაინც რო მტყობოდა, ალბათა, ალბათა რაღა თქმა უნდა. დაკვიდეა ჟამი. და ჟამი იგი დღეი იგი სტალინის ძეგლის გახსნის დღე გახლდა გორში. თეატრის პირდაპირ ვილისმა ჩამიქროლა. უცებ დამუხრუჭდა ვილისი. მიძახედა ბორბლების ბრჭიალმა. ამირან გაბესკირიამ გამოჰყო თავი ვილისიდანა, გადმოჰტა და გამოქანდა ჩემსკენა. ვილისმა დაოთხა, გაჰქრა, თითქოს რო არც უნდოდა ის წამიერი შეჩერებაცაო.

„კონია არ იყო?!“ ვკითხე ამირანსა.

„კონია...“ ცალყბად მომიგო.

„სად გარბის?!“

„სოხუმსაო...“

„აქ შეყოვნებას არ აპირებდა?...“

„არა. არც იცოდა...“ **ერკინეშვილი**
 „ვერ დამინახა?...“ **გიგლიშვილი**
 „ჰა, ჰა, ჰა...“ უფვარდა ხითხითი ამირანსა. „ჯერ იმან დაგინახა... რა აწყენინე?...“

„არაფერი... მე მეონია მეგობრები ვართ.“

„მეგობარი... კონია და მეგობარი!.. ჰი, ჰი, ჰი...“ ხითხითებდა ამირანი. გული მომივიდა, ალბათ აუგად მომიხსენია, ისე ხითხითებდა. გული მომივიდა და ადვილად მოვიხტე გული. „ბურუსსა“ ვწერდი. ირონიული პასაჟები ჩავდეი აბაზაიძის გვარიითა. არავის ვასჭირებია, კონსტანტინე როცნო. კონსტანტინეს მით უფრო არ გაუჭირდებოდა რაღა თქმა უნდა. ეცნო. სწყენოდა. მეც ჰო მწყენა. ბარიბარს ვიყავით. დიდხანს მერე აღარც შევხვედრივარ, იმ წინახანებშიღა შევეფეთეთ ერთიმეორესა. მწერალთა კავშირის მორკინულ კარს რო მივაწევი მე აქედანა, ის თურმე შიგნით ეწყოდა. კარი დაძნებდა ისე ადვილად, ის მძიმე კარი, გამიკვირდა. გაუკვირდა რო ალბათ იმასაცა. შევეფეთეთ ამ გაკვირვებითა:

„სალამი ბატონ აბაზაიძისგანა!..“ გამომიწოდა ხელი.

„გაგიმარჯოთ ბატონო კონსტანტინე!..“ არ შევიცხადე. „ვაზის ყვაკილობის“ განხილვის ამბავიც იქვე მოვიფიქრეთ. იქვეც იცოდა, განხილვა რო არ იქნებოდა, საფარი იქნებოდა „საკოლმეურნეო რომანი“, — ომის შემდგომი საკოლმეურნეო ცხოვრება. იცოდა თუ რაც იქნებოდა. და უზაროდა, რო უწონებდნენ, დეწულს რო უფასებდნენ ახალგაზრდები, კარგად რო მსჯელობდნენ, ესეც უზაროდა. და გამოიღო თავი თვითონაცა, რაღას არ მოჰყვა!.. კონცერტმაც გაახარა. მე ჰო ვეროპა ჩემი ხელის გულივით ვიციო, — ამბობდა, — სხვა რო არავინ არ დავისახელო, თომას მანი ჰო ჩემი მეგობარიო; შენც იციო, სემინარებზე შევხვედრივარ დღეს ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებსაო; რითი გააკვირვებ იმათაო. ოღონდ ახლა რო იქ იყვნენ, ადვილად არ დაიჯერებენ, ეს-

ენი რო პროფესიონალები არ არიანო. „პო სტუდენტები არიან?“ რაღა თქმა უნდამეთო. „აი ჰხედავ, მეც დამაუჭებს!“

ყოფილა შემთხვევა, პროფესიონალიც რო მოვლენია სტუდენტურ კონცერტსა. ადგა იოსებ გრიშაშვილი შუა კონცერტის დროსა და სთხოვა გამომცხადებელსა: ჩემი შეუღლეე ჩართეთ თქვენს კონცერტშიო. შეუღლეე - ქეთევან ჯაფარიძე გვერდით უჯდა; კალთა დასწია, მაგრამ რაღაო, რაღა დროსაო: გამომცხადებელი ვადმოხტა ვგრევე სცენიდანა, გამოცხადებულნი მონაწილენიცა, წამოიწალა მავრუბელიცა, ციმციმ აიყვანეს ქალბატონი ქეთევანი სცენაზედა და ხმენად იქცნენ. კარგახანია აღარა მღეროდა ქალბატონი ქეთევანი. სცენას ჩამოსცილდა. დროდადრო რადიო გამოაცხადებდა: მოისმინეთ ქეთევან ჯაფარიძის კონცერტი იოსებ გრიშაშვილის თხოვნითაო. თურმე შინაც აღარა მღეროდა. ხუმრობდა იოსები: სიმღერით მომხიბლა და აღარ მიმღერიხო. ხუმრობდა. არცა ხუმრობდა, - აღარა მღეროდა. ისევ რადიოს მადლობელი ვარო, - იქაც განაცხადა იოსებმა, - ახლა თქვენი მადლობელიც ვიქნებიო. გვინ შეუღლდნენ. იოსებს კვლავაც შერჩენოდა ეშხი ახალგაზრდული, გზნებაი პოეტური. ქეთევანი ფრთხილობდა. დიდებით გადიოდა სცენიდანა. არ უნდოდა, ვინმეს რო დამახსოვრობოდა ხმა-ვახარული, არც რო გარეთა, შინაც არა. არ უნდოდა. ფრთხილობდა. ფრთხილობდა. ის, საღამო იოსებისა იყო. აქეს. ადიდეს მკითხველებმა. წაუკითხეს თავისი ლექსები. იჯერა გული თვითონაცა თავისი ლექსების კითხვითა. ქეთევანმაც აუბა მხარი. აღარც ვიხმამზე დაცხრა იოსები: ამღერეთ. ამღერეთო. თვითონ არავის ახვეწინებდა: წამოხტებოდა, კითხულობდა ლექსებსა, ძველ ლექსებსა რაღა თქმა უნდა, ახალი რო ახალგაზრდობასაც არ მოხწონდა, ალბათ იოსებსაც რო არ მოხწონდა. ხიმონ ვაჩეჩილაძეც ჩაერთა. იმანაც ძველი ლექსები გაიხსენა იოსებისა.

შენიც წაიკიხო. შეათამამე, იოსებმა ჩემი აღარ მახსოვსო. გიხსენებოდა აღარცა წერო. აღარცაო.

გალაქტიონის კვალზე იდექიო. ქალებში შეს კვალზე ისევე ვდგავო-პა, პა, პა, პა... პაო. პი, პი, პი, პი... პიო. იცინოდნენ გულიანადა, ძველებური ჭაბუკური სიცილით იცინოდნენ. განაწყენებულა ორი მეგობარიცა იქვე. იმავე აუდიტორიაშია, ეს იყო შეხვედრაზე სერგო კვლიაშვილთანა. ღებნა შეგველაია მოყვია თანა. არ ვულოდით. ჩემთვის იმდენი არაფერი ცხადია. შეხვედრას ვუძღვებოდი რაღა თქმა უნდა: სერგოს მივესალმე და ღებნასაც მივესალმე, ერთზედაც ვილაპარაკე და მეორეზედაცა. სტუდენტებმა ისა თქვეს, რაც რო მოეჭალებინათ. პროფესორ-მასწავლებელთაგან არც არავინ გამოიღო თავი. ღებნა გამოვიდა. აქო და ადიდა, სერგი ადიდა რაღა თქმა უნდა. ჩვენაო განუყრელი მეგობრები ვართო. მწერალი ეს არისო. ვინმე თუ ტრაბახობს ტეტრალოგიებითა, ტყუილი ტრაბახიაო. კონსტანტინე გამსახურდიას გადაკრავდა რაღა თქმა უნდა. ნამდვილი პროზაიკოსი ესა ბრძანდებო. რაც რო ამის პატარა მოთხრობებში მოიპოვება, სიზმრადაც არ მოელანდებათ ტრილოგიებისა თუ ტეტრალოგიების ავტორებსაო. აქო და აქო, ცაში აიყვანა. სერგომ შეიფერა. შედგა ტრიბუნაზე გამაყვებული, გოლიათივით შედგა ის წია კაცი, მადლობა მოიხადა და ჩამოვიდა. ხელები გაშალა ღებნამა, პირი დაალო და ენა ჩაუვარდა. მერეღა ლულულელებდა: ეს რა ჩაიღინაო. მე ენა მოვიქარგე, ცაში ავიყვანე. ამან ისედაც არ მახსენაო. შენც რო არაფერი გეთქვა, მე აქ ვითომ რისთვის მოვედი, მე რა მაგიისი მხლებელი ვარო. ვამშვიდებდი. არაო, ეს პირველი შემთხვევა არ არისო. ჩემს საღამოზე წავიყვანეო. მე ვგრო ვაქე, ჩემი თავი დავავიწყვე იქ დამსწრეთაო. ვეცე გამოვიდა. იქაც ასევე, მადლობა მოიხადა, ვითომ და რაო, მე

ვარ, რაცა ვარო. ლაპარაკი მაინც არ უყვარდესო, — პირი თუ მოხსნა, ვეღარ აუკრავო. ეგ ნავსი, ო ეგ თარსი, ეგაო. ნუ იტყვიმეთქი. ვიტყვიო. ვიტყვიო. სერგო არ აპყვა. ვითომ არ ესმისო. არა და არ გამორჩებოდა. ყურებსა ცქცებუდა, სადაც რო ხ-ანი გაისმოდა, ყველა-ის სიტყვა „ნავსი“ ეგონა, „თარსი“ ეგონა. ორივე ერთია რალა თქმა უნდა. ასე შეერქმიათ და ასედაც მოიხსენიებდნენ, — ვისაც როგორ ეხალისებოდა. გოგი შატბერაშვილი ჰყვებოდა: გავიგე, მწერალთა კავშირში რალაც მედლებს რო არიგებდნენ. ყველას აძლევდნო. მეც გავეშურე. აი და აგერა, სერგოს არ მოეკარი თვალი!.. გზას ვეღარ აუპტე-ვდი. შეჩერებით მაინც არ შეუჩერდო, თვლები დაეზუჭე, ისე მივესალმე და ისე ჩაუვარე. ქუჩაში ხალხი ირეოდა. იქვე სადარბაზოში შევუხუთე. — ხელი რო ჩამეკლო და ნავსი გამეჩხიბა. გამოე-ბრუნდი და რასა ეხედავო, — შეჩერებუ-ლა და თვალი მოუღვევებიაო. პირს კა-ტა შეტეო. სერგომ გაიცინა. ტყეილა მა-ბრალიან, არ დაიჯეროო. მაგრამ როგო-რად, როგორ არ დამეჯერებინაო, — მივედი კავშირში, მართლაც ყველას ურიგებდ-ნენ ი რალაც მედლი იყო, მე უარი მითხრეს, არ გეკუთნის, ნაპატიმრალი ხარო. ყველას თავისი ეშმაკუნა აზის ზურგზედაო, — ესეც სერგომ მითხრაო, — ჩემი რა ბრალიაო. ჰყვებოდა გოგი და უკვირდა: ან მე რამ შემაგლო სადარ-ბაზოში, ანთუ ის რალამ შეაჩერაო. სუ-ფრაზე მაინც დამშვიდდა ღემნაი. საყვე-ღურებიც არ მოუკლია, ოღონდ უკვე სიცილ-კისკისითა. თუცა რო კიდევ შესცდა ღემნაი: სადღეგრძელოც ვრცე-ლი წარმოთქვა, სერგოსი ცხადია, ისევე ასევე აქო და აღიდა. სერგომ მაინც არ შეიბერტყა ყური. ჩვენს მეგობრობას გა-უმარჯოსო, — ეს ვაიმეტა, მეტი არაფე-რი, სადღეგრძელოს რო სვამდა ღემნასი. ღემნამ დაუთმო: მაინც შენ მირჩენიხარ ტრილოგიებისა და ტეტრალოგიების მწერლებსაო. მეც შენ მირჩევნიხარო, თანხმდებოდნენ. გასჭირებოდა ორივესა, — ველარა წერდნენ.

რამდენი რამა მრჩება. ^{მტკიცესული} ამისი გამოტოვება მაინც არ იქნება, — ეს გალაკტიონია. ^{გალაქტიონი..} გალაკტიონი.. სტუდენტებმა თვითონვე მკითხეს: გალა-კტიონი არ გეწვევაო. მეც ასევე კკით-ხე: გორს არ ჩამობრძანდებამეთქი. თბი-ლისში მარჯანიშვილის ქუჩაზე შევხე-დი. ისე მოდიოდა, თითქოს არც არავის ამჩნევსო, — არც არავისა და არც არა-ფერსაო. უცებ შეუკონდა. შემამჩნია. მეც ჯიქურ ამ კითხვით მივუახლოვდი. „სი-ამოუნებით... სიამოუნებით... როცა მი-ბრძანებთ!..“ დრო იქვე დავთქვით. მომ-ხსენებულს თქვენვე თუ აირჩევთმეთქი. „ველაფერი... ვველაფერი იქნება!..“ და-ვიმედღი რალა თქმა უნდა. ბევრი ლაპა-რაკი ჰო არ უყვარდა გალაკტიონსა, — თავისი ხალამოები მაინც ბრწვინვალედ იცოდა, როცა მხატავენ თითქოს დაბნე-ულ კაცად მხატავენ გალაკტიონსა, ოღ-ონდ და მაინც, რაც უნდა იყოს, კიდევ ვიმეორებ: თავისი ხალამოების მოწყობა არც ეშლებოდა და ვერც ვერავინ მოუწყ-ობდა უკეთესადა. ყველაფერზე თვითონ კეიდა ხელი. მეც მინახავს: აფიშას რო თვითონვე აკრავდა მალაზიის ვიტრინა-ზე შიგნიდანა. სხვებსაც უნახავთ, — უფრო მეტი: წებოთი სავსე სათლითა და ფუნჯით ხელშიო, — უნახავთ, უკ-ითხიათ თუ შეუნიშნავთ: შენ რატომ ირეები, განა აკაკი ასე მოიქცეოდაო. „აბა ვინ ძამიკო, ვინ რას გაუკეთებ-და?!“ უპასუხნია, ალბათ თვითონაც ამ-ავე ყოფაში რო ეხილა აკაკი. მართა-ლიც იქნებოდა. ყოველშემთხვევაში მე დავიმედღი. როგორც ენებოსმეთქი. ინს-ტიტუტის კლუბში უნდა მივევლო. კლუბს მაინც დაეხედე წინასწარა. ჯერ აღრე იყო. მღუმარებდა ვეება დარბაზი. სცენაცა მღუმარებდა მღუმარებდა. ოღ-ონდ ილიმოდა სცენაი, ყვაილეუბი გამო-ედგათ დიდი ლარნაკებითა. ილიმოდა სცენაი და გალაკტიონიც ილიმოდა: იჯ-და პირველ რიგში მარტოღმარტოდა. იჯდა. ილიმოდა.

„პატონო გალაკტიონ, მარტო ბრძან-დებით!..“ შევძახე არცთუ ვაკვირები-თა.



„მე?.. მარტო?.. მარტო!.. მარტო..“
 ისევე იღიმოდა.

დარბაზი აივსო მაშინვე ცხადია, ახ-
 მაურდა. აგუგუნდა. შემოეხვივნენ გა-
 ლაქტიონსა გოგონები, შემოეხვივნენ,
 ფეხებში ჩაუღეს და ყვაილებით აი-
 ფანეს სცენაზედა. ეს იყო. მეტი არც
 არაფერი მოგვიმზადებია წინასწარა-
 მჯეროდა: ყველაფერი იქნებაო. და იყო
 კდეკაცა: მე რო მივეხალმე, მერე სო-
 სო შეგრელიძემ აიღო სიტყვაი, მერე
 სიმონ განჩინაძემ, მერე პოლიბრონ
 ცინცაძემ. გალაქტიონი უკვე ცმუკავდა.
 თვითონვე წამოღვა. თვითონვე განაგრ-
 ძო: იკითხა და იკითხა ლექსები, მართ-
 ლაც რო მგზნებარედა, მართლაც რო
 ვატაცებოთა, იკითხა და იკითხა, იჯერა
 გულიო, რო იტყვიან, მართლაც რო იჯ-
 ერა გული. „დიდებული იყო... დიდებუ-
 ლი!..“ მუუბნებოდა გასტუმრებისასა:
 „გამოფენა... დიდებული... გორი და გა-
 ლაქტიონი. გამოფენა. დიდებული. დარ-
 ბაზი... დარბაზი... მასალები, — რამდენ-
 იც გენებოთ... მე თვითონ... მე თვი-
 თონ... დარბაზი!..“ შემახსენა. ერთხე-
 ლაც მითხრა, შემახსენა, საყვედურიც
 იყო. ვერ აღუთქვი ვერც იმჯერადა,
 ვერც ამჯერადა. ყველაფერი ჭირდა,
 მითუფრო დარბაზები. გალაქტიონს
 დროებითი პო არაფერი არ ენება, — მარ-
 რადისობას შემხაროდა გალაქტიონი.
 გორში ისე ვერ გათამამდებოდნენ. „დი-
 დებულია... დიდებული!..“ მაინც ასე გა-
 მომეშვიდობა გალაქტიონი.

ერთდროული გამოფენები ისედაც მო-
 ხერხდებოდა. ისედაცა. არც კითხვა უნ-
 დოდა, არც გადაწყვეტილებანი. ლაღო
 გუდაიშვილის გამოფენა ასე მოეწყო.
 თუმცა ამას კითხვა უნდოდა, — ლაღო
 პო შერისხული მხატვარი გახლდა. თუ
 იკითხავდი, — გაჯანჯლდებოდა თუ არა
 და: მოხერხდებოდა შემოგველო ამდაგვა-
 რი ბრიფული ახირებებისათვისა. მოხ-
 ერხდებოდა. მერე რამდენი იყო!.. ხერხ-
 დებოდა. ესეც მოხერხდა. გამოფენა მო-
 ეწყო. შეხვედრაც მოეწყო, — დიდებუ-
 ლი!. გალაქტიონის თქმისა არ იყოს.
 არც ლაღო გახლდა დიდად მეტყველი:

ორ სიტყვას ძლივას ამოღერღავდა. თა-
 ვის ლექსებსაც ვერ წაიკითხავდა. რა
 თქმა უნდა, — გამოფენა მშვენიერი სუ-
 რათები და ის იყო... ოღონდ იცეკვა. სი-
 მონ ჩიქოვანმა წააქეზა სტუდენტები:
 ყარაჩოხული აცეკეთო. სიმონი ახლდა.
 სიმონი სიტყვითაც გამოფენა საღამოზე.
 ლაღოსთანაც წამომევა გამოფენის შესა-
 თანხმებლად. აცეკეთო. იცეკვენ. აცეკ-
 ვენ. ეს ის ცეკვაა, რამიშვილმა და სუ-
 ზიშვილმაც რო გამოიყენეს თავიანთი
 „ყარაჩოხელის“ დაღმისასა. სხვა ანსამ-
 ბლებმაც გამოიყენეს. ყველაზე დამახა-
 სიათებელი დეტალია ამ ცეკვაში. მხატ-
 ვრის თვალმა შენიშნა. შემოინახა, —
 აცეკვესმეთქი. დიდიხნის მერე ხელახა-
 ლი გამოსვლა იყო ლაღო გუდაიშვილი-
 სა, — დიდიხნის დვენის მერე. საოცარი
 სირევევენი გახლდათ: მღვეარსაც რო არა-
 ფერი გაეგებოდა, დვენისსაცა რაღა
 თქმა უნდა: რაღაო... რატომაო... რისთ-
 ვისაო...

გამოფენის დახურვის შემდეგ სურა-
 თები აფენდი კობერძეს ვაეატანე ლა-
 დოსთანა, ორი სურათი უკან დაებრუნე-
 ბინა ლაღოსა, — ორი მაგონდება, — ჩე-
 მთვის გადმოსაცემად. მე ინსტიტუტს
 დაუბრუნე. აფენდის უკეთ ეხსომება.
 არა.

აღარ გავწყვები საღამოებსა თუ შეხ-
 ვედრებსა. ცალკე წიგნი უნდა. ისევე ინს-
 ტიტუტი. თუმცა ესეც ინსტიტუტია. მა-
 ინც ინსტიტუტი ინსტიტუტადა...

ერთი უცნაური სავარძელიც იდგა სა-
 პროფესიოროში, — ვგონებ რო ვახსენე
 — ისიც ალბათ თუ შემორჩენილი რო-
 მელიდაცა ძველი სასწავლებლიდანა:
 ჩაჯდებოდი და ჩაიფლობოდი, ფეხები
 წაგივიდოდა მალა, მალა, აღარც
 თავი სჩანდა, აღარც რო ტანიო, ჩაიფ-
 ლობოდი და ვეღარც ამოხვიდოდი თუ
 ვინმე არ მოგეშველებოდა. კარგი რამ
 იყო დასასვენებლად, მოშველებითაც
 ვინმე უთუოდ შეგესწრებოდა, შეგესწ-
 რებოდა და მოგეშველებოდა უთუოდა
 რაღა თქმა უნდა.

ზოგჯერ ამითიც ერთობოდნენ ხოლ-
 მე, ზოგჯერაცაო და ხშირადაცა.

სიმონ განჩილაძეს აიყოლიებდნენ ხოლმე, აყოლიება რა არც უნდოდა სიმონსა, თავისი ჩონგური რა ყოველთვის აწყობილი ჰქონდა, არა, აყოლიება არ უნდოდა სიმონსა, მაინც ამოსუნთქვასაც არ დააციდებდნენ, აიხირებდნენ. ვილაკვიდაცანი: ეს საეარძელი სასულიერო სემინარიიდან შემორჩენილაო.

არაო, აღარც ამოსუნთქებდა სიმონი, ქალთა პროგიმნაზიიდან შემორჩაო, აღარც ამოსუნთქებდა და ამტკიცებდა დაბუჯითებითა, გატაცებითა, მინიშნებითა თუ დეტალებითა, ქალთა პროგიმნაზიიდან არისო, ამტკიცებდა და ამტკიცებდა მეტის ეშხითა, ქალებიც თუ შეესწრებოდნენ. ამტკიცებდა, არ ეშლებოდა თავისი ჩონგური, დამოკრავდა და ღიღინებდა, ღიღინებდა და ღიღინებდა.

ცოტა იპოლიტე უშლიდა.

ამას თავისი მსმენელი უნდოდა, იმას თავისი. აღარც იმდენი ადგილი რჩებოდა საპროფესოროში, ორად გამდგარიყვნენ. მაშინ ღერუფანში მიდებოდა სიმონი და ეყოფოდა ერთი მსმენელიცა, ოღონდ ედილინა თავისი ჩონგურზედა. ისეც მოხდებოდა, რა ასცდებოდა იმათი ცხრილები, სიმონისა და იპოლიტესი რაღა თქმა უნდა, ესეც მოხდებოდა და შეენაცვლებოდნენ ერთიმეორესა: წაბრძანდებოდა რა იპოლიტეი, სიმონი მაშინ ჩამობრძანდებოდა. ჩამობრძანდებოდა და მობრძანდებოდა თანამზავრებითა, რა უსმენდნენ, რა ზეპირად იცოდნენ რეპერტუარი მისი, ზეპირად იცოდნენ და უსმენდნენ მაინცა, ზოგჯერ „ბისზედაც“ რა ამეორებინებდნენ, ერთიმეც მართლაც რა მომდერალიაო, — ამეორებინებდნენ და იმეორებდა, იმეორებდა და იმეორებდა. დაუსრულებლადა, თხზულა ახლებსაცა, თხზულა და ჰყვებოდა, თხზულა და თხზულა, არა ჰქალაქობდა ფანტაზიაი. თხზულა და ჰყვებოდა, როგორც საკუთარ თავგადასავალსა, საკუთარსა, ნამდვილსა, უტყუარსა.

ქალი გახლდა საუბრის თემი სიმონისა, ქალი, სექსი, იოლი, მარტივი შემთხვევანი, ყოველგვარი გართულების გარეშე, რომანტიკული დამაბულობის გარეშე, ფათურაკების გარეშე, ჩქვეუტყე-

ლი, მარადიული და მარადიული სიმონისათვისა, ალბათ რა აგრეთვე სხვათათვისაცა, რა გარს ეხვიენენ, რა უსმენდნენ, გაბადრულიყვნენ, გაბადრულიყვნენ, გაბადრულიყვნენ, — სიმონის ირგვლე ყოველთვის ყველა გაბადრულიყო. აბა!..

ლიტერატურაშიც ქალი მხილავდა და უსათოდ ცოტა თავისუფალი ქალი. არჩევდა ასეთ პერსონაჟებსა, არჩევდა და შესაძამებდა, თითქოს რა მართლაც გაცოცხლებულიყვნენ, თითქოს რა მართლაც მოსულიყვნენ მასთან, ისინიც თითქოს ეთამაშებოდნენ, ანთუ თითქოსაო, ანთუ მართლაო, ეგება ზღვარიც რა წაშლილიყო.

ფატმანი მოსწონდა, შესტრფოდა ფატმანსა.

„ფატმანხათუნ!..“

იტყვოდა როგორღაც ვრუანტელიანდა და წამოებერებოდა თვალები, წამოებრდებოდა, თითქოს ნაპერწკლებიც დასცვივოდაო. მალე სიფიცე გადაუვლიდა, მოუნელდებოდა თვალები ისე, თითქოს ცრემლიც წამოუვარო. მაგრამ არაო, ცრემლი აღარ წამოუვიდოდა. აღარა.

„ფატმანხათუნ!.. ფატი!.. ფატუნ!..“

XVI

იმეორებდა და ეყვრებოდა. ეყვრებოდა.

მშვენიერებას სიმსუქნეში მხედავდა და ქალის სიმსუქნე მშვენიერების იდეალად დაესახა. ფატმანიდან გამოდიოდა თუ აქედან მიდიოდა ფატმანამდისა, ამის გარჩევას აღარ შეუდგები. ყოველშემთხვევაში ფატმანი მიაჩნდა „უფხისტყაოსნის“ უპირველეს გმირადა, მშვენიერების იდეალადაც კი ფატმანი მიაჩნდა, ეს კი თავისთვისა და რაღა თქმა უნდა, რუსთაველის იდეალადაც მიაჩნდა ფატმანი, რუსთაველისაცა, ანთუ პირველყოვლისა რუსთაველისადა. ფატმანსა სთვლიდა იდეალადაცა რენესანსისა, — რენესანსისა, — ქართული რენესანსისაცა და საერთოდ რენესანსისა, და ამით იწყებდა ქართულ რენესან-



სსა, ფატმანით იწყებდა. ამას ამტიციებდა ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებზედა, „თეზისებში“ ამასა ბეჭდავდა, ხოლო ისე კო გაგიხარია: გეტყვოდა წონასაცა ფატმანისა, სიმაღლესაცა, მილიმეტრების სიზუსტითა, მკერდის ზომასაცა, წელისა და გავის ზომასაცა, თითქოს თვითონვე სწონიდაო, ისაა, იქავე სწონიდაო, თითქოს თვითონვე ზომავდაო, ისაა, იქავე ზომავდაო, — შემოაულებდა ხელსა, მკლავებს შემოარტყამდა, მოსჭიმავდა საზომსა, ვითომ მოსჭიმავდა, მაგრამ ისე რო არტისტიტებსაც შემურდებოდათ. შემურდებოდათ. შემოაულებდა, შემოუვლებოდა და ამტიციებდა, ქალი ეს არის, სხვა ქალი აღარ არისო.

იყო იქ ერთი ასეთი ქალიცა, იმა წონისა თუ ზომებისაო. ანიშნებდნენ სიმონსა. უარობდა სიმონი: მაგას რომანტიკული სიყვარული უნდაო, მე ყველაფერი ფატმანური მზილავსო.

ავთანდილიც ეს არისო, ამტიციებდა სიმონი, ფატმანური სიყვარული იზილავს და თინათინს ამიტომ გაურბისო. გაურბისო. გაურბისო. ამტიციებდა სიმონი. თინათინს ისე ეტმასნება, ისე, ტახტს რახან მიესწრაფისო, ისე, ტახტისთვის თუ აიტანსო, თორემ მკვლე არის თინათინო, მისი ეშხისა არ არისო, მისი გუნებისა არ არისო, მისი ვნებისთვის არ გამოდგებაო, ისე ვერ მოჰყვება მკლავში, ვერც რო მოეჭდობა ისე, თუ ვიღაცაც არ ჩააყოლაო.

პო ცივიც არის თინათინო, — ცივია, ცივია, უგრძობელიო. არად მიუჩანს არც ავთანდილი, არც არავინ არად მიუჩანსო. არად მიუჩანს და არ განიცდის ავთანდილსაო, ცივი რო არის და მკვლეც რო არისო, და თინათინო რაღა თქმა უნდა, ხოლო ცივი იმიტომ არის, მკვლე რო გახლავსო, და მკვლე ბრძანდება იმიტომაცა, ცივი რო არის, ცივი, ცივი რო არისო, ყინულის ლოლუაო. აი თქვენი თინათინო: ყინულის ლუღუაო.

ჰკონია ისაა, რო შეაბობსო, ის ვიღაც მოყმეო, ჰკონიაო, თინათინსაო. ჰკონია და ჰგზავნის ავთანდილსა, წადი იგი მოყმე სძებნეო, მოსძებნე და მომი-

ყვანეო. მომიყვანეო. მომიყვანეო. ამა სხვაგვარად ვის შეუძლიან, ვერც ვერც ამტიციოს, რაღა ჰგზავნისო, რაღა ავლებს იმდენ განსადღელშიო, რაღაო, რაღაო, ვის შეუძლიან დაამტიციოსო. მეგობრობა რა სათქმელია, ყურით მოთრეული მეგობრობაო: რო არც გინახავს, რო არც იცნობ, რო არც გაგიგონია, გზა და კვალიც რო არ იცო. ვისაც რო ეტრფი, ვისაც რო შეჰხარი, იმას რო გასწირავ, რო ვერც გაგიგია, რაღაო თუ რისთვისაო, — რა მეგობრობაა, სადური მეგობრობააო. მაგრამ გასწირავ, რო არ ეტრფიო, მკვლე რო ხარო და ცივი რო ხარო, რო ავირჩევია მხოლოდ იმიტომ, რახან რო ქალი ხარ და რახან რო ქმარიც უნდა გყავდესო, რახან რო, რახან რო, გასწირავ, გასწირავო, დაქორწინება მეორედაც შეიძლება, მესამედაცაო, მითუმეტეს თუ ტახტზე ბრძანდებიო, ყველაფერი შეიძლებაო, წესის ფარგლებშიო, ზნეობის ფარგლებშიო ცხადია და რაღა თქმა უნდაო. ზნეობისაო.

ოღონდაო, ბუნება სხვა გახლავს ზნეობა სხვაო. რუსთაველი ბუნების შეილია და ავთანდილიც ბუნების შეილი გახლავსო. ბუნება წვენია, ბუნება ხორცია და ფატმანი წვენია და ხორციაო, — წვენი და ხორციაო.

აქეთ ისწრაფის ავთანდილი, თაკვიანვე აქეთ ისწრაფისო, ისწრაფის ისე, ქვეცნობიერადაო. ქვეცნობიერი რუსთველისაა, სხვები ტყუილად მიიკუთნებენო. უსენიც მკვლეა და თინათინიც მკვლეა, მკვლე მკვლეა და მკვლე მკვლისაო, ისაა ფარდი თინათინისა, ბუნებრივი და უშუალო ფარდიო, მაგრამ თინათინს ვერ მიჰკვრიან უსენს ქმრადაო, ბუნებრივი შერჩევა რო დარღვეულა, რო გაბატონებულია ზნეობრივი შერჩევაო, ვერ მიჰკვრიან და ის მაინც ეძებს ქვეცნობიერადაო: მკვლე მკვლევს ეძებსო, თინათინი უსენს ეძებსო, ქვეცნობიერადაო, ქვეცნობიერადაო, როგორც ავთანდილი ფატმანს რო ეძებსო, რო აღდგვს შერჩევა ბუნებრივიო, ბუნება ბუნებას

რო მიუხადავდეს, რო არ დაირღვეს ბუნებრივი პარმონიაო. რო არ დაირღვესო პარმონია რო არ დაირღვესო, ბუნებრივიო და ბუნებისაო, პარმონიაო. პარმონიაო.

პარმონია ღამე გახლავსო, ამტკიცებდა სიმონი, ღლე არ არის პარმონიაო, აი აპა, ყური დაუგდეო: „მომისწრაფე შეყრა შენი, რა შეღამდეს მოდი მალე“, დაუგდე ყური, გაიშორეო, — რა შეღამდეს, მოდი მალეო. მერეო: მერეო: „ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი“, გესმისო, გესმისო, პარმონია აი ეს არისო, ამტკიცებდა სიმონი. ამტკიცებდა და მოსწონდა მართლაცა სწორედ ეს „ლაღობა წყლიანი“, მოსწონდა, წყლიანი, წყნიანი, მოსწონდა, მოსწონდა. წვენი და ხორცი. ხორცი და წვენი. ქალი. ქალი. ფატმანი ანუ. მშვენიერება ფატმანური. ანთუ მშვენიერება სიმონ წველური, ლექსებსაც რო წერდა ახალგაზრდობაში, სწორედაც რო წველის ფსევდონიმიოთა, ოღონდ ეს უკვე დაწერე ერთხელა და კიდევაც გამოვაქვეყნე.

მიყვარს და რა ვქნა, ისაწყლებდა თავსა სიმონი, ხორცი მიყვარსო, უმიც მიყვარს და მოხარულიცაო, შემწვარიცაო, შემწვარიცაო.

მაინც როგორი უფრო გიყვარს, უფრო რომელიო, არ მოეშვებოდნენ თუ ჩააცივდებოდნენ, როგორც რო ბავშვს რო ჩასციებოდნენ.

დაფიქრდებოდა.

დაფიქრდებოდა.

არც ერთი არ დაითმობაო.

ფატმანს ყველგან გამოურევდა, რაზედაც უნდა ელაპარაკა. რას მიშერებო, უსაყვედურებდა თედო ბეგიაშვილი, ფელსა მჭრიო. რუსთველოლოგიას თედო კითხულობდა გორის ინსტიტუტში. რას გადამირიე სტუდენტები იმ შენი ფაშფაშა ფატმანითაო. ქალზე საუბარი თედოსაც უყვარდა. ასდევდა სიმონსა, ოღონდ იმდენად მაინც ვერა, რო ფატმანი ელიარებინა უმთავრეს გმირადა „ეფთხისრაიონისა“, ვერც იმდენად, რო მშვენიერებად ელიარებინა ფატმანი

დაეხსენიო, ეხვეწებოდა, ^{მეწერის შოვნები} მეწერის შოვნები, მერე წაუკითხე შენი წერხნიო. არაო, თავს იმართლებდა სიმონი, ისე ვახსენეო, რენესანსული ქალების დახასიათებაში გამოშერია როგორღაცაო. გამოშერიაო.

პოტიკასა კითხულობდა პირველ კურსზედა. მერე მე შეუდიოდი. და. „დეკამერონს“ რო მივატანდი, აფივეივდებოდნენ ბავშვები, ვივით, ვიცით, ბატონ სიმონმა წაგვიკითხაო. არც გამოჩნებოდა. არა, არაო. რას გამოჩნებოდა, როცა სულმუდამ გარს რო ეხვიენენ ფატმანი და ბოკაინოს ქალები, გარს ეხვიენენ და არ ასვენებდნენ, არც რო ცხადშია, არცა სიზმარში. მაინც სიზმარი უფრო მოსწონდა, სიზმარიც რო არ იყო, რა ეშველებოდა ადამიანსაო. და გაყურებდა სიზმარივითა ზოგჯერ ცხადსაცა, თუ სადმე ქალი გამოჩნდებოდა, ქალი, ფატმანური რაღა თქმა უნდა.

ერთად მივედით გორის ინსტიტუტში, თითქმის ერთადა. ცხინვალიდან გადმოსულიყო. აყრილიყო თბილისიდანა. ოჯახიანად არა, არა. სამსახურიოთ აყრილიყო. ასე მირჩევიანო, იტყოდა ხშირად, ეს გზა არ მამუხრებს სხვებივითაო. ჩაჯდებდა ჩამოხვალაო. თბილისშიც ვინდა ამდენი დროო, ერთი ადგილიდან მეორეს რო მიაღწიო. გაიწელა, გაიწელა თბილისიო, ბარემ გორს უწევს და ჩვენ უკვე ვაბათ ერთმანეთზეო. ანთუ დრო არ არის, რას ვუფროთხილდებითო, ანთუ ჩვენ ვინა ვკითხავს დროის გაფრთხილებასა სასაცილონი ვართ დროისთვისაო.

და იცინოდა თითქმის დროის მავიერადაო.

სახე უღიმოდა ისედაცა, უციალებდა თვალები ვოველთვისა, თუ მოიწყენდა, მხოლოდ მაშინა, ანთუ ქალი არსაით მოსჩანდა, ანთუ გვერდით თუ მიუჯდებოდა ვინმე გამხჭვალა, მჭლეი, სული რო ამოსდიოდა. მოიწყენდა. მატარებელში რაღა თქმა უნდა. ადგებოდა. გადაჯდებოდა. გამოსძებნიდა გარემოსა შესაფერისსა. გინეკოლოგი ვარო, წა-



მოსცდებოდა. დაესწავლა საიმისო ტერ-
მინებიცა. აყვებოდნენ ქალები, უცებ
აყვებოდნენ. მერე იცინოდა, აყვებოდა
და იცინოდა, გამოიმტყდნენო, რჩევა
მკითხესო, ვერჩაიყო. მისამართიცა
მთხოვესო. სადმე ბინა რო მომახელთე-
ბინა, კარგი პრაქტიკაც შექნებაო. იცი-
ნოდა. იცინოდა.

ერთხელ კომედიაც მიწოდდა დამეწე-
რა ამაზედა. მაგრამ აღარ აფჩქარებულ-
ვარ, რო არ მიმართლებდა თეატრი, არ
აფჩქარებულვარ, გადავდე, გადავდე და
გამეზნა სიუჟეტი, სახეებიც გამეზნა.

მატარებელში ყველა ჯურის ქალი
იყრიდა თავსა, ყველა ჯურისა რაღა
თქმა უნდა, ოღონდ ის არავის არ ანს-
ხეაებდა, არავისა, არც რო განათლები-
სა თუ ცენზის მიხედვითა, არც რო ვრ-
ოვნების მიხედვითა, არც რო რასიუ-
ლობის მიხედვითა არც რო რელიგიუ-
რობის თუ იდეოლოგიების მიხედვითა.
არა, არაფრის მიხედვითა, ერთადერთი
სახომი რო ჰქონდა — ფატმანური. ფატ-
მანურს ირჩევდა და მოიძებნებოდა ფატ-
მანური იქაცა, იქაცა, ყველგან მოიძებ-
ნებოდა ფატმანური.

„ქართლში“ იჯდა ხოლმე კარგახანსა.
შეჭამდა ერთ მათლაფა ბორშხა, შეჭა-
მდა მეორესა, შეჭამდა მესამესა თუ ხა-
სიათზე შეესწრებოდა, შეჭამდა თუ ჰამ-
და, ემასლაათებოდა ოფიცინანტ ქალებსა,
ემასლაათებოდა და ემასლაათებოდა.

მანეთს გვიზღის და ასი მანეთისას
ფურებს გვიჭედავსო, იცინოდნენ ოფი-
ციანტები, „ქართლის“ მაშინდელი ოფი-
ციანტები, თითქოს რო განვებ შეეკრო-
ვებინათ თუ ჩამოყვანათ რუსეთიდანა
სიმონის მოდელის მიხედვითა, თითქოს
განეკბაო.

ჰო.

თბილისიდან აყრილიყომეთქი, ეს
არაფერი, რო აყრილიყო, გამოჰყოლო-
და ანეკდოტები, ზოგი ცხინვალში მიმა-
ტებოდა, უგროვდებოდა გორშიაცა თან-
დათანობითა.

„ნიანგში“ ემუშაენა კარგახანსა, ერთ-
ხანს რედაქტორის მოვალეობასაც ასრუ-
ლებდა; ლეკანიც გახლდა დაუსწრებელი

ფაკულტეტისა უნივერსიტეტში თბილი-
სისა. იქიდან მოსდევდა თუ რაღა, რაღა
დევდა თუ რაც მოსდევდა. საყველური
დასცდებოდა ხოლმე თვითონაცა. ჩემი
სახელის გაგონება არ უნდათო, სტუდენ-
ტებს უშლიან, ჩემი წიგნი რო აიღონ
ხელშიო, თვითონ ცხვირი ვერ აუღიათ
ჩემი წიგნიდანა, ლექციებს ისე ვერ წაი-
კითხავენო. დასცდებოდა. დასცდებოდა
ისე, გაუბრაზებლდა თუ უბოროტოდა,
კიდევაც ერთობოდა.

იმ თავისი წიგნითა თუ წიგნებითაც
ერთობოდა თუ რა იყო, თავი არ გამო-
უდვია არასოდესა, არასოდესა, არასო-
დესა, ოდნავადაც არა, თუმცა რო დიდ-
ხანს ითვლებოდა სახელმძღვანელოდა
ლიტერატურის თეორიაში, ერთი უმაღ-
ლესი სასწავლებლებისათვისა, ერთი სა-
შუალო სკოლებისათვისა, ითვლებოდა
და გამოდიოდა ფოველ წელიწადსა, და რო
გამოდიოდა და გამოდიოდა ფოველწელი-
წადსა, და რო იზრდებოდა და
იზრდებოდა ტირაფი, პონორარი ჰო
იკლებდა რაღა თქმა უნდა, —
მაგრამ არაო, არ მიუშვებდა აქამ-
დისა, თვალი ეჭირა, ფრთხილად ეჭირა
თვალი, მიატანდა რო სახლერამდისა,
გადაამუშაებდა წიგნსა მაშინვე და აღი-
დგენდა სრული პონორარის უფლებასა.
გადაამუშაებდა. აღიდგენდა. და წაეწე-
რებოდა ხოლმე წიგნსა დროგამოშვები-
თა: „გადაამუშაებულნი“, „შესწორებუ-
ბური მუშაობა გიწვევსმეთქი.

ეუბუმე ერთხელა.
„თავს ვიკლავ!“
გაიხუმრა თვითონაცა.

აქედან ამოვიღებ და იქით გადავიტან
რამდენიმე თავსაო, იქიდან აქეთ ვად-
მოვიტანო, გავა დროიო და ისევე შევ-
უცვლი ადგილსაო. აბა რა კენაო, თუ
მიეუშვი ნებაზედა, კაკიცი აღარ მერგე-
ბაო. ნებაზე არაფერი არ უნდა მიუშვაო.
ისეო, სხვებიც ასევე აკეთებენო. იმათ-
გან ვისწავლეო.

წამწმდა წახედულობამაო:
ეს მე მოვავონე.
„არც ისინი ტყუიან.“
გამოესარჩლა სიმონი. გამოესარჩლა.

არც არავის ამტყუნებდა სიმონი. არც არას იწუნებდა. ესაა, რო მკვლე არ მოსწონდა. სხვას არ იწუნებდა, არაფერს იწუნებდა. იდეალი ჰო იდეალი გახლდა.

ოღონდ ის მაინც რო მოვახსენე: არა ტრაბახობდა იმ თავისი წიგნებითამეთქი, — არა ტრაბახობდა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ერთხელ გამოიღო თავი, გამოიღო და ძალიანაც გამოიღო, ეს მაშინა, დაფი და ნალარა რო შემოკრეს ამ ჩვენმა კრიტიკოსებმა, მაშინვე, მაშინვე, მაღლენკოვის მოხსენებისთანავე პარტიის XIX ყრილობაზე აიო და ტიპიურობის პრობლემის განმსაზღვრელი, გადამწყვეტი ნიშანსვეტიო, აიო და ამას ველოდითო, ამიერიდან ვველაფერი ნათელი იქნება ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზედაო, აიო და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სოციალისტური რეალიზმის კარდინალური პრობლემებიო, — სწორედ მაშინა, მაშინა, სწორედ, სიმონმაც მაშინ გამოიღო თავი, ჩაიღო პორთფელში ძველი გამოცემები თავისი სახელმძღვანელოებისა და უჩვენებდა ყველასა, აგერა დაჰხედეთ, აქა წერია ევ ვველაფერი, სწორედ ეგრე წერია, სწორედ ეგრე და ზუსტად ეგრეო. ოღონდ ესაა, რო იმ ხანად ამოელო „გადამუშავების“ მიზნითა, მერე აღარ ამოულია, რაც უნდა შეეცვალა თუ რაც უნდა გადაემუშავებინა, აღარ შეეხებოდა ტიპიურობის პრობლემასა, სწორედ ისევე რო ეწერა სიმონის სახელმძღვანელოებში, მართლაც ასევე რო ეწერა და რო უდასტურებდნენ კიდევაცა, — რაღა თქმა უნდაო, ერთი წყარო გაქვთ, ერთიდა იგივე წიგნიდანაა გადმოწერილიო. მე რას მამტყუნებთო, თავს იცავდა სიმონი, სახელმძღვანელოს ჰო არც ვვალეზა, ახალი პრობლემები გადსწვევითოსო, — თავს იცავდა რაღა თქმა უნდა. კრიტიკოსები მაინც გაჰყვიროდნენ თავისასა, აი და გადწყვედა სოციალისტური რეალიზმის კარდინალური პრობლემებიო. სიმონ გაჩენილადეს არა გულისხმობდნენ რაღა თქმა უნდა, სხვაასა გულისხმობდნენ, სხვას ადიდებდნენ, ანუ მაღლენკოსა, ვიდრე წყალმა არა ზიდა ისიცა.

და ისევე სიმონს რო მიუბრუნებდნენ რატომღაც ფულიანი კაცისგანაო მონი, სხვაგან არ ვიცო, ვორის ინსტიტუტში ასე ეგონათ, თვითონ რო არაფერსა წერდნენ, რო არაფერი გამოეცათ, მცირედთა გარდა, ვვლისხმობ ცხადია უმეტესობასა, რაღაც დიდი რამ ეგონათ, პონორარი, რაღაც საოცარი თუ ზღაპრული წყარო ეგონათ თუ ჩანსქერი ეგონათ, რო მოთქრიალებდა და აღავსებდა საღაროსა სიმონისა, აღავსებდა და აღავსებდა, რო არ აკლდებოდა არაფერი. ეგონათ. და შემოეხვეოდნენ სიმონისა, ჩაიყავი ხელი ჯიბეშიო, გველი ჰო არ გიზის ჯიბეშიო, ჩაიყავიო, ჩაიყავიო, შეუნდებოდნენ და შემოეხვეოდნენ, რო მოთავებოდა ლექციები, რო მოშივნულიყო ყველაი, დალილიყო და მოშივნულიყო.

ჯიბეში გაქერქილი მანეთიანი ეგლო ყოველთვის, გაქერქილი, მოკუნჭული, მოჭყლეტილი, ჯერ რო თვითონ ასწორებდა და ასწორებდა, მერე ოფიციალტები როღა გაასწორებდნენ ძლივასა. ეგლო. ბორშინათვისა. სეზონური ბილეთიც ისევე ეგლო, მატარებლის სეზონური ბილეთი, ისიც ისევე მოკუნჭული თუ მოჭყლეტილი, გარჩევა რო გაჭირდებოდა. კიდევაც უჭირდათ რევიზორებსა. შარობდა ზოგი, ანთუ ვერაფრით დარწმუნებულყო.

ერთად ავიღეთო, ემოწმებოდნენ სხვა ლექტორები, ემოწმებოდნენ და დაიფიცებდნენ ზატზედაცა, მაგრამ თავს აქნევდნენ რევიზორები, მითუფრო უარობდნენ, იმათ რო ტკიცინტკიცინა ბილეთები ამოელოთ, ამისა რო აღარაფერსა ჰკავდა. უარობდნენ. უკვირდათ.

შეჩვივნენ და აღარც უკვირდათ. აღარც მოსთხოვდნენ ხოლმე. ამასაც ეშველა, აღარ გადმოიბრუნებდა ჯიბეებსა, აღარც რო პორტფელს ამოაქოთებდა, რო ეძებდა, ეძებდა, რო აღარ ახსოვდა თუ სად რა ჩაედო, სად რა მოჰყოლოდა.

ი მანეთიანს ადვილადა ჰოულობდა, ისე ერთნაირად დაღეჭილსა, დაქმუჭუნულსა ერთნაირად, თითქოს იგივეა,



თითქოს არც ეხარჯვის, ანთუ უკანვე უბრუნებენო თუ უბრუნდებაო, — აღბათ უფრო რა უბრუნდებაო. ემჯობინებოდა ნატურისთვისა მართლაც რა ასე ყოფილიყო

შემოეხვეოდნენ ერთისიტყვითა. ჩიყაო. და ჩაიყოფდა. ჩაიყოფდა და ამოიღებდა... ი მანეთიანსა რაღა თქმა უნდა, რა არ ელეოდა, არ ელეოდა. ძუნწი ხარო, შეუძახებდნენ, აჰყვებოდნენ ერთიმეორებსა, შენი პურმარილის გემო არავინ იცისო. აჰყვებოდნენ, შეუძახებდნენ, რა დალლილიყვნენ ერთისიტყვითა, რა მოშივნულიყვნენ ერთისიტყვითა, თავიანთი სახლკარი ახლოს რა არ ეგულებოდათ, ხელფასის დღეც რა იგვიანებდა, თითქოს მართლაც რა იგვიანებდა, შეუძახებდნენ, აჰყვებოდნენ ერთიმეორებსა, სიმონს ვერაო, ვერ აიყოლიებდნენ ვერას დიდებითა.

ვერ აიყოლიებდნენ. ილიმოდა თავისთვისა, ვითომ სხვაზეა ლპარაკიო.

ილიმოდა და თვალს ჩამიკრავდა, მეც თუ იქ გახლდი. დააცდიდა დააცდიდა და ჩაერუოდა მერე: ერთი ამასაც ათქმევიეთო.

მათქმევიებდნენ. და ვიცოდი თუ რისი თქმაც უნდოდა სიმონსა.

ვიცოდი და ვყვებოდი: თუ რა დიდებული სუფრა გაეშალა სიმონსა თავის ოჯახშია, თუ რა ბრწყინვალედა თამაღობდა თვითონვე, თუ როგორ მოილხენდა, თუ როგორ მოაღზენდი სტუმრებსა, ვყვებოდი და მშველოდა თვითონაცა თუ რაიმე გამომრჩებოდა, მშველოდა და ვყვებოდი, ვყვებოდი და მოგვჩერებოდა დაღლილი ხალხი, დაღლილი და მომშეული, რთ ენატრებოდა თუ თითქოს რა კადვეკა ენატრებოდა ი გახრესილი თუ დაჩენილი მანეთიანი, ი სიმონის მანეთიანი. მოგვჩერებოდა.

მოგვჩერებოდა დაღლილი ხალხი. მალე ისვე აფივეფივდებოდნენ: შინ რაო, ეგ ჰო ოჯახობის სიკეთეა და ოჯახობის მარიფათიო. გაუმართავენ სუფრასა, დააბრძანებენ და ეგეც

მოილხენსო. მოლხენას რა უნდაო. შენ ისა თქვი ჯიბიდან თუ ამულია

აქა, აქა, აქ თუ ამოულია ფულიო. არ ეშვებოდნენ. რამეს თუ აგულებდნენ. ეგებ გავტუხოთო.

ეგეც უთხარიო, მანიშნებდა სიმონი, გააჩუშებდა მოფიჭვივეთა. დააცადეთ, მაშინ ერთიც დააცადეთო.

და ვყვებოდი: თუ როგორ ჩამომტოვა გორის სადგურში მატარებლიდან რთ გადავედიო. მოიცადეთ, ეგენი წაივინენ, მიეფარნენო, შენ უნდა დაგპატროფო. ვყვებოდი: თუ როგორ მივედიო ერთ პატარა სასადილოში სადგურის მახლობლადა, თუ როგორ გამოარბენინეს ორი ინლაური, ისაგ მოხარშული, რთ ასდიოდა და ასდიოდა ორთქლი, თითქოს გველოდნენო. ვყვებოდი: თუ როგორ აირჩია სიმონსა უფრო მოზრდილი, იმ ორთაგანა, ისედაც მოზრდილთაგანა, თუ როგორ გააჭრევიანა შუაზედა, თანაბრადა, შუაზედა, თუ როგორ დაიღო ნახევარი თვითონა, მეორე ნახევარი მე გაღმომიღო, თუ როგორ მიმართვა ერთი ნახევარი, მეორე ნახევარიც როგორ მიმირთვა, — ამით ჰო არ დაუტოვებთო, — მე რთ მხოლოდ ფრთა შევაჭერი. ვყვებოდი: თუ როგორ დაღია ღვინოი კათხებითა, ლუდის კათხებითა, ერთი თავშია, რთ გადაფლავა პირველი ლუკში, მეორე ბოლოშია, ბოლო ლუკმაც რთ არ დაადგა ყვლზედა, ვყვებოდი ასე და მშველოდა სიმონი, ისევე მშველოდა:

მთელი ინლაური ჰო მოვატანინეთო.

მთელიმეთქი.

ჰო რომელიც უფრო დიდი იყო.

დიდიმეთქი.

ჰო ორივე დიდი იყო.

ორივემეთქი.

ამათსავით ჰო არ მომიტხოვია „პორციპორციებიო“.

არა, ამათსავით არამეთქი.

ღვინოო, ღვინოო, ამათსავითა ეწრუპეთ პატარა ჭიქებითა, პატარა, პატარა, ჩაის ჭიქებითაო.

არა კათხებითამეთქი. ჰოოოოო.

პრომეთი.

ჰო კაი პური ვჭამეთო.

კარგი, კარგი, კარგიმეთი.

ჰოდა ასეო, ასეთი კაცი ვარ მეო: პურადთან პურადი ვარ და ძუნწთან ძუნწიო, გულადთან გულადი ვარ და მხდალთან მხდალიო, ასეთი კაცი ვარ მეო.

აქ ყველაფერი გასაგები გახლდა: პურადთან პურადიო, ძუნწთან ძუნწიო, გულადთან გულადიო, გასაგები გახლდა, რო ტრაბახობდა, ოღონდ ეს რა იყო: მხდალთან მხდალიო, ვეღარ აეხსნათ, ტრაბახს არა ჰკავდა რაღა თქმა უნდა, ეშმაკობაც არ უნდა ყოფილიყო, გულუბრველობადაც არ ითქმოდა, ისევ სიბრძნეს თუ უახლოვდებოდა, — ანთუ არცაო, არა, სიბრძნესაც არ უახლოვდებოდა, — ვეღარ აეხსნათ ერთისიტყვიითა.

არც თვითონ აპხსნიდა. ადგებოდა და გაიფხორებოდა სიმონი, ხიბლავდა სახელი პურადი კაცისა, გაიფხორებოდა. აჰყვებოდნენ. მოუწონებდნენ, ოღონდ ქისაში ჩაიყავი ხელიო: ქისაში, ქისაში, ქისაში ჩაიყავი ხელიო. საერთო ბინაში რო ერთად იძინებდნენ, მისდგმოდა რო საწოლები ერთიმეორესა, იქ შეემჩნიათ, შარვლის საღტეზე მიკერებული ქისაი, შიგნიდანა. ფული ექნება, აბა რა ჯანდაბა ექნებაო. ფული ექნებაო. და აჰყვებოდნენ. აჰყვებოდნენ. მაგრამ და რაო, — ვერ აიყოლიებდნენ. პლანეტები შეიცვლიდნენ ზნესა და სვლასა, სიმონი არა, ნირს არ შეიშლიდა.

ახლა თქვენ ისე ატრუებულხართ, სახლიც რო გაყვიდო, ვერ გაგაძღობთო.

ვერ აიყოლიებდნენ.

თუმცა თვითონაცა ყლაპავდა ნერწყვისა, ისიც იმათ დღეში იქნებოდა რაღა თქმა უნდა, ანთუ არცთუ იქნებოდა იმათ დღეშია, ბორშის ფული მაინც რო გადაედო, მაგრამ ჭამის მოყვარული გახლდა, არაფერი არ გაუხდებოდა ერთი მათლაფა თუ ორი მათლაფა ბორში. იმ ინდაურის ამბავი ჰო ითქვა, ის არაფერი, ანთუ იმდენი არაფერიო, თვითონვე უკეთ გამოსთქვამდა ხოლმე:

სადმე ვახშმად თუ ზნდაგუბრეცხა, ჩემი მეუღლეო, ორ მათლაფა ბორშს შინ შემაჭმევს უსათუოდო, წასვლის წინაო, იქ რო არ შემარცხვინოო. მერე იქაცა, გვერდით რო მიზის, მალიმალ მკლავს დამიჭურს ხოლმეო, მაინც რო არ შევარცხვინოო.

უყვარდა ჭამაი. უყვარდა.

სმა არ უყვარდა. თუ დაღვედა, წყალივით დაღვედა. ერთს მოიყუდებდა მამურალი კაცივითა, მოიყუდებდა და ძირს გაავდებინებდა რამხელა სასმელიც უნდა ყოფილიყო. ძირს გაავდებინებდა. არ აჰყვებოდა ქვიფსა თუ ხაღღვერძელოვსა. ერთიორს იტყოდა, ვთქვით თუ შეხვედრებზედა, ვთქვით თუ ე.წ. გამოსამშვებ საღამოებზედა, მოვალეობისათვისა იმასაცა, ერთიორსა და გრძლადაც არაო, სუფრაზე დრო რო არ ეთმობოდა, სფრა რო მხოლოდ სუფრად მიუნდა, მხოლოდ სუფრადა, აკადემიად რო არა სთვლიდა სუფრასა, არა სთვლიდა, და არც ედავებოდა ვინმე ისეთსა, ვინმე თუ მაინც აიხირებდა, ქართული სუფრა აკადემიააო, — არის და იყოსო, არ ედავებოდა, არც სხვა არავის არ ედავებოდა, არ ეთმობოდა არცერთი წუთი, სუფრა რახან რო სუფრად მიანდა, საჭმელს რახან რო ჭამა უნდოდა, საჭმელს რახან რო საჭმელი ერქვა და საჭმელად მოეშაღებინათ. მოსწონდა სიუხვე ქართული სუფრისა. აი რა მოსწონდა. აკადემიობას ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ელაპარაკათ. ელაპარაკათ. ელაპარაკათ. ექოთ. ექოთ. ექოთ ერთმანენი. გავიდოდნენ და ექორათ, ექორათ, ექორათ, ერთმანეთი. ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ერთი არ მოსწონდა: რო გვიანდებოდა გოჭის შემოტანაო, შემწვარი გოჭის შემოტანა რო გვიანდებოდა. ეს არ მოსწონდა. რო შემოაქონდათ ზარზემითა. მთელი, მთელი რო შემოაქონდათ. რო უნდა აქნათ იქვე, ანთუ ზოგჯერ რო აღარც აქნიდნენ, რო თითქოს უფრო რიტუალი გახლდა სუფრისაი, ეს არ მოსწონდა. მოითხოვდა რეფორმასა, სუფრის რეფორმას მოითხოვდა სიმონი: გოჭი თავიდან.

ვე შემოიტანეთო, შემოიტანეთ და ჩად-
გითო. თუ არ დაგიშლიათ, ბოლოსაც
შემოიტანეთ მეორე ვიკით. აი ასეთ რე-
ფორმას მოითხოვდა. სხვა არაფერსა,
სხვა არაფერში ედავებოდა ქართულ
სუფრასა. უკვირდა: შარვლის მოღა ისე
იკვლება, ვეღარას ვიკებ, სუფრის მო-
ღასაც მიხედვით ცოტაო. უკვირდა. მო-
ითხოვდა. ვეღარ ისვენებდა. მობრთვით
სიმონსაო, სიმონს მაინცაო. წამოეშვე-
ლებოდნენ. მაგრამ დიასახლისი შეჰყუ-
რებდა თამადასა, დრო იმან იცოდა.

სიმონი თამადას შენიშნავდა.
თამადა ეშუქრებოდა, იცოლუ, აზამ-
ბარს მოვითხოვო.

ოღონდ ის მაინც მოღა რო ახსენა სი-
მონმა, შარვლის მოღაი, შეიცხადეს
ერთბაშადა, — მიხვდნენ, რაღაც რო
მოსწონებოდა, ძალიან რო მოსწონებოდა,
ისე ვურადლებას რო არ მიაქცევდა. სი-
მონი, არა ცხადია.

ის იყო ვიწრო შარვლების მოღა რო
შემოდიოდა.

ალარც დაუთოება უნდოდა, აღარც
განსაკუთრებული ვურადლება არ უნდო-
შკეთრად იცვლებოდა: ყოველთვის და,
დაუთოებული რო უნდა გცმოდა კოს-
ტუმი მანამდისა, დაუთოებული, გაბე-
წილი, გატკეცილი, შარვლი მაინცა, —
ორმხრივ ნატკეცი რო უნდა ჩაჰყოლო-
და, — იცვლებოდა. იცვლებოდა. წინ
დამხვედროდა სიმონი მოღასა. შეემჩნია.

წინ დამხვედროდა. რო არ იცოდა ნაკე-
ციბი სიმონის შარვალმა, რო ამოძლე-
ჭოდა შარვალის იხე, როგორც რო ბი-
ლეთი სეზონური, როგორც ის საბორშე
მანეთიანი. პიჯაკიც ისევე. ოღონდ შარ-
ვალი მაინცა: ხან კოჭებზევით აუკან-
წრდებოდა, ხან ისე ჩახორცვდა, მიდი-
ოდა და მიჰკვიდა ქუჩასა. მუხლისთავე-
ბი ჩანთებივით ვადმოჰკიდებოდა, ხან
რო უკანაც მოეჰქცეოდა, ხან წინა, ხან
ჩაუბრუნდებოდა, ხან ამოუბრუნდებოდა,
ისევე და ისევე, ხან გვერდებოდა, აი
გასძვრება და დარჩება ქუჩაში, ვერც გა-
იგებს, რო აიღოს და წამოიცვასო. იტ-
ფოდი, აი ჰიპი ეს არისო, მაგრამ ჯერ
ჰიპი ვორში არ იცოდნენ, ხაერთოდ აქ-

ეთ რო არ იცოდნენ, თორემ გორგობრუნული
ჩამორნებოდა, ჯარ არ იცოდნენ ვერცერთსა
ხიტყვითა, ჯერ ის გახლდა თვალმისაცე-
მი.

და აიბზუებდა ცხვირსა სერგი მაკა-
ლათიანი, ცხვირს აიბზუებდა და ზურგ-
საც შეაქცევდა, თუ რო ხასიათზე არ
გახლდა სერგი, ზურგსაც შეაქცევდა და
ბუზლუნებდა:

აი ესეც პროფესორი გამიხადესო.

XVII

პროფესორობა დაუგვიანდა სიმონსა,
დისერტაციის დაცვა დაუგვიანდა, ანთუ
არად ავლებდა, ალბათა, ალბათა, ალბათ
რო მართლაც არად ავლებდა, თორემ
მაშ რო, — მოინდომა თუ არა, დაიცვა,
მოინდომა თუ არა, მიიღო. ფატმანი
იქაც შუაში გახლდა, იქაც იცავდა ფატ-
მანურ იდეალსა სიმონი. ესაა კვანძი ეპ-
ოსისა, უამისოდ ეპოსი არ იქნებოდაო,
უამისოდაო, უამისოდაო, „ფეხისტეფო-
სანი“ ეპოსი არ იქნებოდაო. ამისი ბა-
დალი ქალი არ იცის ჩვენმა ლიტერა-
ტურამა, მსოფლიო ლიტერატურამაც
არ იცის ამისი შესადარი ქალიო რა-
ღა თქმა უნდაო, რაღა თქმა უნდაო.

ასეთი დაცვა არავის ახსოვდა. თბი-
ლისში ცხადია მზიარულიობდნენ. ყვე-
ლას უკვირდა, ნუთუ მართალია, ნუთუ
აქამდის არ დაუცავს საღოქტორო დი-
სერტაციო. მზიარულიობდნენ. ერთხმა-
დაც გაავლდა.

იქ, კათედრაზე გამოწკეპილი იღვა
სიმონი, გამოწკეპილი და გატკეცილებუ-
ლი იღვა, ერთიორ საათს როგორმე გა-
უძლებდა საგულდაგულოდ დაუთოებუ-
ლი კოსტუმი, ერთიორ საათსა, მეტს
ვერ გაუძლებდა, ვერ ჩაჰყვებოდა გორ-
ამდისა, ვერა, ვერ ჩაჰყვებოდა, მიუხვეტ-
მოეხვეტებოდა, შემოუბრუნდებოდა თუ
შემოეფუტკნებოდა, და ბუზლუნებდა
სერგა:

ესეც პროფესორი გამიხადესო.
ბუზლუნებდა, ბუზლუნებდა სერგი.
და ერთ დღეს, რა იყო თუ როგორ თუ
რა მოხდა, ამდენი არ ვიცი, ოღონდ შე-
ვესწარო:
ჯერ რო ირინა მეფისაშვილი შემო-

მარტინსული

იჭრა ინსტიტუტში. ერთ მშვენიერ დღესაო, სჯობიან ითქვას, მშვენიერ დღესაო. შემოიჭრა ერთიხიტყვითა, გაოცებული, განცვიფრებული შემოიჭრა, გაღით, გაიხედეთ, ნახეთ სიმონი რა დღესაო. შემოიჭრა და გააკვირდა თითქმისა: ყველაფერს მოველოდი მავისაგანა, ამას აღარ მოველოდიო. გაფართოებულა თვალუბი, ბუნაწები ასვლოდა ფაღუხელა. გაიხედეთო. გაიხედეთო.

და გადაეკიდა ფანჯრებსა ინსტიტუტ-ინსტიტუტო, ოღონდ საპროფესორო გადაეკიდა.

და მოდის სიმონი, გამოწკეპილი, გატკეპილი სიმონი მოდის. ვინმეს პირდაპირ წამოსცდებოდა: დაუთოებულო. არ ივარგებდა. სულ სხვასა ნიშნავს დაუთოებულო, აღამიანზე როცა გადაიქვთა. არ ივარგებდა. მოდის გატკეპილი ერთიხიტყვითა, — თეთრი კოსტუმითა, თეთრი შლიაპითა, ჩალის შლიაპითა, ოღონდ თეთრი, თეთრი შლიაპითა, თეთრი ფეხსაცმელებითა, გულისპირითა მოციხფეროთი, ოღნავ, ოღნავ მოციხფეროთი, და თეთრი პალსტუხითა, მოდის, მოდის, მოდის მძიმელა, ჩვეულებსაშებრა, დიდი, მსუქანი კაცის შესაფერისადა, მოდის, მოდის.

ეს არაფერო რალა თქმა უნდა, რო მოდიოდა ასე მძიმელა, მძიმემძიმელა. შესაფერისადა, თავისი სხეულისა, ეს არაფერო, რო გამოწკეპილიყო, ესეც არაფერი, რო ჩამოკყოლოდა გორამდისა, — ეს უკვე ნიშნავდა რაღაცასა, ოღონდ ირინა უფრო იმას გაეოცებინა, იქვე, ვაგონში რო გამოეცვალა კოსტუმი სიმონსა, იქვე ვაგონშივე, რო მოახლოებოდნენ გორსა, იქვე ვაგონში, საგარეუბნი ვაგონში, რო გადაშლილა თავითბოლომდისა, ყველას თვალწინა, ქალიაო თუ კაციაო, შინაურია თუ გარეულიო სულერთია, ყველას თვალწინა, უკითხავდა, უბოდიშოდა, ურარაოდა, თითქოს მარტოაო, ანთუ არცთუ არაფერიაო, გამოეცვალა, უცებ გაეხსნა შეხვეული, მანამდე რო ციმციმ მოქქონდა, უჩვეულოდა, უჩვეულოდა, ციმციმა, ფრთხილადა, გაეხსნა

და გამოეცვალა, გამოეცვალა! მოეცვალა წიკპილიყო ასე ამგვარადა, ასე ჩაედგა ფეხი ბაქანზედა, ასე მოდიოდა, პორფელიანადა, რალა თქმა უნდა, იმ განუყრელი პორთფელიანადა, გადაქერქილი პორთფელიანადა, რო ჩაეტენა გამონაცვალი პორთფელში ჩაეტენა, გამობურთოდა.

მოდიოდა ერთიხიტყვითა, მძიმემძიმელა, თავისებურადა.

თითქოს იგვე მოდიოდა, მაინც სხვა მოდიოდა, სხვა სიმონი მოდიოდა.

ორი საათი მიბოძებიაო. ბრძანა სერვიმა.

ორი საათისა რა მოგახსენო, ოღონდ საღამოს ისევე ის გახლდა, ისევე ის სიმონი, ამოღეჭილი, ამოჭმუჭმული ერთიანადა, დალაქავებული თუ ამოგანგლული ერთიანადა, თეთრ ნაჭერს ასე რო დამწნეოდა. აღარც სიმონს რო მოეწონა, აღარ მოეწონა. ძველი კოსტუმი ამოათრია ჩანთიდანა, მუქი, ვაეისფერი კოსტუმი, მუქივე ზოლებითა. ახალი ჩაკუნჭა იმის ადგილასა. იმითი მოგვევლინა მეორე დღესა. მოგვევლინა ჩვეულებრივა.

რა იზამ, — ცდილობდა კაცი, ცდილობდა, ცდილობდა, კერ იტყვი, რო არა ცდილობდაო, ბუნებას გაჰქონდა მაინც თავისი, ხასიათს გაჰქონდა მაინც თავისი, ეცალე რამდენიც გენუბოხო.

ორი საათიც ბევრი ეგონა სერვისა.

ირინას მაინც უფრო გასაოცარი აღარაფერი აგონდებოდა: ადგა უცებაო... გაიძრო უცებაო... იქვეო, ვაგონშიო... პირი დავაღეთო... ასეთი არაფერი მინახავსო, ასეთი არაფერი გამიგონიაო... იფიცებოდა ირინა, თვით ირინაი, კაი, გვარიანი მოხწრებული სიტყვის პატრონი რო გახლდა, ენაშვარეც რო გახლდა ასეთ შემთხვევაში, მაგრამ რაღაც დაგვემართაო, დაგველო პირი და შევეურებდიო... მთელი ვაგონიო. ოღონდ აქ მაინც სხვათაშორისა: ერთხელ ყელქცეულში, ბაღში უცებ აიქნია ხელი ირინამა,—ვაი, ვაი, ჭინჭარმა დამსუსხაო, და ლამის სიცილით გაიკუდნენ დობილი მიხნი: თვითონ დასუსხავდა და ჭინჭარს



აბრალისო. ვაი, საბრალო ჭინჭარიო. ეს სხვათაშორისა.

ეს ანეკლოტი არ არის ცხადია. ამაზე არ ვამბობ. ანეკლოტი არ არის არც ესა, ოღონდ ვუბრუნდები ისეუ რო სიმონსა, იმაზე ვამბობ: რატომღაც ასე ემართებოდა, ანეკლოტურად ემართებოდა ყველაფერი.

აი თუნდაც რო:

სახელმწიფო გამოცდებიანო. სტუდენტები გოგონა უპასუხებსო. მშვენიერად უპასუხებსო. ხუთიო. კომისიის თავმჯდომარე ბრძანებსო. ხუთიო. თანხმდებიან წევრებიო. არაო, ერთი არა თანხმდებო, ეს სიმონი არა თანხმდებო, სამიც არ ეკუთვნისო. როგორთუ არაო, ხუთი ეკუთვნისო. ამტკიცებს გველაო. რაში ეკუთვნისო, უკვირს სიმონსაო, წინ არაფერი ადევს და უკან არაფერი აკერიაო, ფიცარივითააო, რაში ეკუთვნისო. უკვირსო, უკვირსო, უკვირს და არა თანხმდებო.

ამას დათიკო მოგიყვებოდაო.

იცინო სიმონმა.

გველას რეპერტურასა სცნობდა.

დათიკოო, — დავით განჩილაძესა გულისხმობდა.

„ნიანგში“ ვთანამშრომლობდი მაგის რედაქტორობის დროსაო, — ჰყვებოდა დავითი, — ჰონორარს ცოტას მიწერდაო. მე ჰო შენი ბიძაშვილი ვარმეთქი, გაუახსენებდიო. მართალიაო, ჩემო დათიკოო, შენაო ჩემი ბიძაშვილი ხარო, მაგრამაო ფული ჩემი ღვიძლი ძმა არისო.

იცინოდა დავითი, გულიანად იცინოდა, იცინოდა წინასწარავე, ვიდრე მოჰყვებოდა, ჰყვებოდა და თან იცინოდა, ტკბებოდა თვითონვე, რო ჰყვებოდა:

თვალში მოუვიდა ერთი გოგოიო, ამ თავის დაუსწრებელზედაო. ისიც არ იქნა და არ მოეშვაო, ვერადავერ უპასუხაო, ვერადავერ ჩააბარაო: მივიდოდა და ჩაიჭრებოდა, მივიდოდა და ჩაიჭრებოდაო. ეხვეწებოდა სიმონიო, ღვთის წინაშე, ეხვეწებოდაო, მიპასუხე რამეო. მერე ჩემი ბრალი აღარ იყოსო. ვერაფერი ვერ უპასუხაო. მოთავდა ამასობაში

გველაფერიო, დაუსწრებელისე კეცეჭეჭე: მოთავდაო. გამოიკეტა უნივერსიტეტი კიდეც მოვალე არ მოეშვა ის დალოცვილიო. საღლა მოხვალე, მორჩაო, ჰო მხელავო, შინ თუდა მოხვალე. მოვალე. არც დაფიქრებულა ის დალოცვილიცაო. მივიდაო, და ჩაიჭრაო. ჩაიჭრა, ოღონდ აღარ აუხირდა სიმონიო. შეეცოდა ბოლოსდაბოლოსაო. ხელი შეაპარა მკლავზედაო, თამთამა მკლავზედაო, შეაპარა და შესწორულაო: არ გვეკუთვნისო, მაგრამაო დავიწერ ნიშანსაო, აგრე კაი გოგო რო ხარო, აგრე მომხიბლავი რო ხარო. რასა ბრძანებთო, გამოსტაცა მკლავიო როგორ გვეადრებათო, ქმარი მყვსო, როგორ უუღალატებ ჩემს ქმარსაო. დამიხედეთ ერთი ამასაო, გაგულისდა სიმონიო: მე უნივერსიტეტს უნდა უუღალატო, ამის გულისთვისაო, მეცნიერებას უნდა უუღალატო, პედაგოგიურ ხინდისიერებას უნდა უუღალატო, ამას არ უნდა ერთ ცინგლიან ქმარს რო უღალატოსო, გაგულისდაო, ვაიბუტა სიმონიო.

ჰყვებოდა ასე, ჰყვებოდა და გადააბამდა, გადააბამდა და გადააბამდა:

მაგას რო ცოლი გარდაეცვალაო, სიმონსაო რაღა თქმა უნდა, პირველი ცოლიო. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა და ცხედარს რო შემოუვლიდა, ძლივს ეტეოდა სამძიმარზე მოსული ხალხიო. კედელზე შიშველი ქალის სურათი ებნია, ქინძისთავით ებნიაო. ვიღაცას დაეხატა, ფანქრით დაეხატა და ერუქებინა სიმონისათვისა, შენი გემოვნებისა არისო. თვითონ ირწმუნებოდა, მაღალაშვილისაო, მე არა მჯერაო, შიშველ ქალებს რო არა მხატავდა მაღალაშვილიო. ვიღაცას ერუქებინაო. სულერთი იყო სიმონისათვისაო, მიეტანა და ჩამოეკიდაო. ვიღაცა უთუოდ წამოედებოდა იმ სიციწროვეშიო. წამოედებოდა და შემოთდებოდა სიმონიო, ვეღარ იხვეწებდა ერთ ადგილსაო. ვიღაცას კიდეცაო ჩამოუვარდებოდაო. წამოუვარდებოდა სიმონი, ეცემოდა, აიღებდა, გადაბურტყავდა, გაასწორებდა ხელის გულითა, შეუბერავდა სულსა, გასწვევამოსწვედა მოსამძიმრეთა, დაკვიდებდა იმავე ადგილსაო. მოეშ-

ვი სიმონო, სიდედრმა სთხოვაო, პო
პხედავ ოჯახში ზარალი რო გაქვს, რა
დროს ევ არისო. რასა ბრძანებო, გუკ-
ვირდა სიმონსაო, სწორედაც რო ზარა-
ლი რო მაქვსო, ზარალზე ზარალი დაევი-
ტებო.

ისმენდა სიმონი, ისმენდა ბოლომდი-
სა, უცებ ხმასაც არ ამოიღებდა, კიდე
ელოდა, გააკრძელებსო, მერე დაასკვნი-
და ისევე: დათიკო გეტყოდაო. სხვასაც
გეტყოდაო. უნდოდა მოჰყოლოდი. თუ
არა და თვითონ მოჰყვებოდა, ვითომ
სხვისი ამბავიო. არა. ახსენებდა თავის
თავსა, გულიხსმობდა თავის თავსა, სა-
ხელობითაც მოიხსენიებდა, ოღონდ მა-
ინც ისე ჰყვებოდა, თითქოს სულ სხვას
შეეხებო. არა. სიმონი არ ასდევდა გა-
უცხოების თეორეტიკოსებსა თავს არ
იმტკრევდა ასეთ რამეზედა. ეს მისთვის
ბუნებრივი გახლდა.

თვითონ მოჰყვებოდა.

და მერე მასვე რო გაუმეორებდნენ,
უკვირდა თითქოსაო, ევ ვიღამ ვითხრა-
თო, უკვირდა თითქოსაო, რა თქმა უნ-
და თითქოსაო, ესეც რო ხერხია
იუმორისაო.

იცნობდა პოლიხრონ ცინცაძის რეპ-
ერტურასაცა. იცნობდა რომელია... მე-
გობარი ეს იყო მისი, თუ იყო, ეს იყო.
ამასაც თავისი რეპერტუარი ჰქონდა.
თუმცა რო არც ისე ვრცელიო, არც ისე
გადაჯაჭვური ერთიმეორეზედა, როგორც
რო რეპერტუარი დაეითისა, არც ისეთი
ცოცხალი თუ ფიცხელი მოყოლა იყო-
და პოლიხრონმა, მაინც თავისებური გა-
ხლდა ამბებიცა და თხრობაცა იმისი.

ასპირანტურა რო დაკამთავრეო,
ჰყვებოდა პოლიხრონი, იქვე გამანაწი-
ლესო, დაუსწრებელ განყოფილებაზედა
უნივერსიტეტიზაო. სულმოუთქმელად გა-
ვეშურეო, გავეშურე გახარებულიო, გა-
ხარებული და აფორიაქებული, ღეკან-
თან შეხვედრის მოლოდინითაო. ვინ არ-
ის, რას მოითხოვს, გამიგებს, გაუგებს
თუ რა იქნებაო. შევედი. შემხედა. ისე
შემხედა, რო დაუმომინდო. გამომ-
გზაუნესმეთქი, მოვახსენეო. ძალიან კარ-
გი თუ გამოგზაუნესო, მაგრამაო, რაც

უნდა იყო, ერთი შეკითხვა მაინც მექ-
ნება შენთანაო. გაესწორდო...
მეო. თვალცი გადავაველე ჩემს თავსაო,
სადმე ვინელი პო არ შემყოლოდაო.
დაემშვიდდო. დაველოდო. ოღონდ
პირდაპირ მიპასუხეო, უყოფმანოდ მიპა-
სუხეო. კრინტი ვეღარ დავძარიო, ამბობ-
და პოლიხრონი: ვიფიქრე, ვიღუპები-
მეთქი. უყოფმანოდაო. პირდაპირაო.
დაუფიქრებლადაო. გულმა ბავიბუგი და-
მიწყო. ამბობდა პოლიხრონი. ვიღუპე-
ბოდიო. ვმომბდი, რო ჩაეიჭრებოდი,
ვმომბდი რო აცილებას მომცემდო.
ვიღუპებოდიო.

და უცებ:

როგორი ქალები მოგწონსო, ესა
მკითხაო, გამხდრები თუ მსუქნებიო.

ესა მკითხაო.

არ ვიცნობდი და ამისი ახირებისა
არაფერი ვიცოდო, ოღონდაო ბაჭიების
ჭკუა ვიხმარეო, პირველზე შევჩერდი და
მოვახსენე: გამხდრებიმეთქი.

აბა ჩვენ ჩხუბი არ მოგვივა არასოდე-
საო, გამიცინა, წადი და მიპხედე შენს
საქმესაო.

რო გამოვედი, ოფლი წურწურით გამ-
დიოდაო, ამბობდა პოლიხრონი.

ეს ოფლი ოფლადა, წურწურა წერწუ-
რადა, მაგრამ დიდი რამ წინასწარმეტყ-
ველი ვერ გამოდგა სიმონი: ჩხუბი არ
მოგვივა არასოდესაო. ვერ აუხდა. თუმ-
ცა დიდი მეგობრები გახლდნენ, დიდი, დი-
დი უგულითადესი მეგობრები ბრძანდე-
ბოდნენ. დიდი. დიდი უგულითადესი.

ამისი უთქმელობა არ ივარგებს.

ოღონდ:

ერთხელ მოულოდნელადა მკითხა მე-
ცა, შენ როგორილა ქალები მოგწონსო.
შენ რა ვირჩევნიან, რა ვიპასუხობთმეთქი.

„რაც გინდა... ჩვენ მაინც ჩხუბი არ
მოგვივა.“

დამაიმედა სიმონმა.

მე ვველაფერში ანტიკური იდეალი-
საკენ ვიხრებიმეთქი.

„აჰ?“

ვითომ რო ვერც გაიგონა სიმონმა.
იცოდა ასეთი ჩაღმული შეკითხვები,
ნათქვამს რო ცოტა ჩაფიქრებოდა.



ანტიკურისაკენ ეიხრებამეთქი. გავუ-
მეორე.

„პოლიო...“

მაინც არ აჩქარდა სიმონი, მაინც არა-
ფერი მომიგო, თუმცაღა რაო, — პო და-
მაიმედა, ჩვენ მაინც ჩხუბი არ მოგვიყო.
პოლიხრონთან — მოუვიდა. არცერთი
რო არა ტყუოდა, არცერთი, არცერთი,
არცერთი. სიმონი პო — ხულ არა და
უგულითადესი მეგობრები გახლდნენ-
მეთქი. ასე იცოდნენ გორში. მეც ასე
გამაცნეს. ერთადაც აყრილიყვენ თბი-
ლისიდანა, დაუსწრებელი ფაკულტეტი
რო შეკვეცილიყო უნივერსიტეტში. ერ-
თად აყრილიყვენ. ცხინვალს გადაყვან-
ათ სიმონი ქართული ლიტერატურის
კათედრის გამგედა. ანთუ ჯერ სიმონი
აყრილიყო, პოლიხრონი ისევე იქავე, ის-
ვე თბილისში ექებდა ადგილსა. ექებდა
თუ ექებდა და ვერაფერი ვერ მოექებნა:
თრმე არც ისე მართალიყო ყოფილიყო:
ექებდა და კოეზბდო. ანთუ პოლიხ-
რონს ვერ ეპოვნა ვერაფერი და ისევე
სიმონს წაეყვანა თავისთანა, ჯერ რო
გადაბრძანდა სიმონი, ანთუ გადმობრძან-
და, მე რო იქ დავხვდი თუ ისაა, რო ჩა-
ვედი მეცა.

წაეყვანა და დაჰყავდა.

ერთად მიდიოდნენ, ერთად მოდიოდ-
ნენ, შეთვისებულებიყვენ ყმაწვილურადა,
ჯერთმანეთობა თითქოს არც შეეძლო-
თო, ერთადა ხეამდნენ, ერთადა ჭამდნენ,
ბორში იქნებოდა თუ ხარხო იქნებოდა, —
ხარხო უყვარდა პოლიხრონსა, სიმონი-
სათვის ხულერთი გახლდა, ამაზე არა-
ვის აუხირდებოდა, მითუფრო პოლი-
ხრონსა რაღა თქმა უნდა. არ აუხირდე-
ბოდა.

ჩერდებოდნენ ერთ ჭერქვეშაცა, ერთ
დიდ ოთახში, საერთო ბინისა, ერთ დიდ
ოთახში, რო ჩარიგებულყო სხვების
საწოლებიცა, რო ციოდა რაღა თქმა
უნდა და სიმონი ჯერ პოლიხრონის ლო-
განის გათბობას იხრუნებდა, ჯერ პო-
ლიხრონისა უხათოდა, — ჯერ იმის
საბანქვეშ შეაკურებდა იმ თავის განთქ-
მულ ნათურასა, მერე თვითონ შეიყოლე-

ბლა თავის ლოგინშია და უჩინოდ
ლამდისა ფეხისგაუნძრევლადაც უძინა
ეძინა, გულიანადა. სხვები არ ეკითხებო-
და, სციოდათ, სცხელოდათ, არ ეკითხე-
ბოდა. შეიძლებოდა ერთხელ ამღვარიყო,
სუნთქვა თუ გაჭირდებოდა, ამღვარიყო,
და გაჭირდებოდა რაღა თქმა უნდა, სა-
წოლები რო მიდგმოდა ერთიმეორესა,
საესე საწოლები, — ერთხელ ამღვარიყო
და ფანჯარა გაეღო.

მერე ის მაშინვე ჩაიძინებდა თავის
ნათურას ჩახუტებული, თბილადა, ტკბი-
ლადა, ჩაიძინებდა.

სხვები ბრაზობდნენ. ებრაზათ. იმას
ეძინა. ბრაზობდნენ, იმიტომ ჩამოსულა,
ჩვენ რო დავგზოცოსო.

მე გავაღე და თქვენ დაკეტეთო, თავს
იცავდა სიმონი, თქვენ რო აღვომა გეზა-
რებოლეთ, რა ჩემი ბრალიაო. თავს იც-
ავდა.

ჩხუბობდნენ, უფრო ეადვილებოდათ,
ადვომა მართლაც რო ეზარებოდათ.
ბრაზობდნენ, ჩხუბობდნენ, აღარ იცოდ-
ნენ, რითი რო ეძიათ შური.

ერთხელ ნათურა დაეკარგა სიმონსა.
გვეშველაო.

რაღაც ვეება ნათურა გახლდა, ბრია-
ლებდა, ვარვარებდა, ლოგინს პო უთ-
ბობდა და უთბობდა, ისეც თან დაჰქონ-
და განუყრელადა, შეხცივდებოდა და
ჩართავდა, სადაც რო მოხვდებოდა, ჩარ-
თავდა და უხვამდა ხელებსა, უბეში შეი-
დებდა და შემოეხვეოდა, შემოეხვეოდა
და კრუტუნებდა, კრუტუნებდა. საღ თუ
ეპოვნა არავინ იცოდა, არც გამოტყდე-
ბოდა. დაეკარგა და გაეხარდათ. ვერე ად-
ვილადაც არაფერი იშოვებოდა იმხანადა.
გზაკვალსაც უქსაქსავდნენ, აღარც გამო-
დისო, ომის წინ ამზადებდნენ ვერეთებ-
სა, დაბობებს და აღარ აღუდგენიათ ის
ქარხნიბო, გზაკვალს უქსაქსავდნენ და
იმხნეობდნენ თავსა.

ტოვოდათ იმხნეებდნენ თავსა. ჩამო-
ვიდა და სხვა ჩამოიტანა სიმონმა, ისე-
თივე ჩამოიტანა, ეგება ისიც იყო, ეგება
ხმა თვითონაც დაჰყარა.

პოლიხრონი თავისებურად ამხსნიდა:
თუ რამე აიხირა სიმონმაო, ქვას გაა-

პობსო, ქვეყნას გადაბრუნებს და თავი-
სას გაიტანსო.

პოლიხრონი ამბობდა. მეგობრები გა-
ხლდნენ. დაეჯერებოდა. ეგება ტრაბა-
ხობდა კიდეცა.

ჩამოიტანა და ატყდნენ ისევა კოლე-
გები, ატყდნენ. დაფრთხნენ: გადაგვწამ-
სო. მართლა ისე ვარებოდა. გადაგვ-
წვამსო და გარბოდნენ მეორე ოთახში,
ადგილს უცვლიდნენ უფრო გულმაგრე-
ბა თუ უფრო გულმშვიდებსა. და იქაც
მისდევდა შიში ზოგსა, გადაბარგდებოდ-
ნენ სასტუმროშია, მერე იქ ძვირი უჯ-
დებოდათ, გადმობარგდებოდნენ ისევა,
ვითა, ვკლახითა, ჩხუბითა, ქაქანითა.

სიმონს ეძინა თბილადა, ტკბილადა.
თუ უსმენდა, არც ესმოდა, გული არ
მოდიოდა და ეჩხუბათ, ექაქანათ, დაილ-
ლებოდნენ, ისევე თვითონ დაიღლებოდ-
ერთი ტყაპუჭვაცა კქონდა. გამტარები
ჩაეტანებინა. შური და ჩასართველი
ჯიბეში ედო. შესცივდებოდა და ჩარ-
თავდა, ჩართავდა, თბებოდა, ღუნღუ-
ლებდა, ანთუ წამოდგებოდა და დაძუნ-
ბულდებდა დაბმული დათვიეთითა, სადამ-
დისაც რო შური გაუშვებდა.

და ერთხელით, ჰყვებოდნენ ხოლმე,
რექტორთან იხმესო, ისაა რო შემოვიდა
ინსტრუქტშიო, თქმიდან რო შემოას-
წროო, იხმეს და შევიდაო. ვიდრე უს-
მენდა თუ თავისას რო ეტყოდა, ბარემ-
და იქვე ჩართო ის თავისი ტყაპუჭვი-
ცაო. მერე უცებ რო ორთქლი ავარდა,
თითქოს რო პოლიაო, რექტორს ეგონა
ხანძარი გაჩნდაო. ტელეფონს ეცაო. მე-
ხანძრეები იხმოო. მოცივდნენ ისინი-
ცა, ფანჯრები ჩაღწეს და იქიდან დაუ-
შინეს ჭავლი ვითომ რო ხანძარმოდე-
ბულ სიმონსაო.

ჰყვებოდნენ ასე და რექტორსაც გაა-
გონეს. იუარა რექტორმა. ჩემთან ასეთი
არაფერი მომხდარაო.

ცხინვალშიო.

ცხინვალის რექტორმაც იუარა.

სხვაგან იფოსო, თავისას არ იშლიდა,

ვინც რო ჰყვებოდა, მე შენ გეტყვი ერთ
ადგილს დაიძველებსო, ქვეყნის ინსტი-
ტუტები შემოუვლიაო.

იქ მაინც დაიძველა, გრძელად იმდენად
ტუტში. დაიძველა. აღარსად წასულა.
თუმცა შექმნილა იმდაგვარი ვითარება-
ცა, რო... ისაო თუ... ისაო თუ... ისაო
თუ... ჰა და ჰა... ისაო თუ... პოლიხრო-
ნიო. აბა!.. მერე რა გულითადი მეგობრე-
ბი გახლდნენ, რა გულითადი, — ყველა-
ფერს რო თავი დაანებო, ჯერ იმის ლო-
გინს გაათბობდა ხოლმეო.

მაშინ იმდენად ვერ გაარკვევდი, მე-
რეღა მიხედებოდი თუ მერეღა იტყვებ-
დი, რო მეგობრობაზე იძიეს შური, იმ
მეგობრობაზე, სწორედაც რო მეგობრო-
ბაზე, ნათურაზე იძიეს შური, სიმონის
ნათურაზე.

პირველი ავტომობილიც რო სიმონმა
შეიძინა?..

და ჩამობრძანდა ავტომანქანითა ერთ
მშვენიერ დღესა, იმა პატარა, პაწაწი-
ტელა „მოსკოვითა“, ომის შემდგომ
სულ მალე რო მოევიდა ქვეყანასა.

ძლივს გამოეტია სიმონი. როგორ გა-
მოძვევრიო, უკვირდა, რახან შეძერები,
მამ გამოძერები კიდეცაო, დაახვენიდა
სიმონი. უხაროდა, ეამაყებოდა; ეფერე-
ბოდა. ლაფი რო შესხმოდა თვითონა,
ხელს არ ჩაისვამდა, არ ჩაიშხვებამდა,
მტკერს არ ვაჩერებდა, ვინგლს არ გაა-
ჩერებდა მანქანაზედა, ეფერებოდა, ეფე-
რებოდა.

პირველი მანქანა და პირველი მძღო-
ლი!..

უკვირდათ, მძღოლობაც უკვირდათ
სიმონისა, მითუფრო უკვირდათ, ჯერ
რო არავის ეცადა სხვასა, საქმელო თუ
სარისკო რო ეგონათ, თუმცა აადვილებ-
და რექტორი: როგორაო, ამ მამაცხონე-
ბულმა მძღოლებმა ანბანი ძლივს იცია-
ნო, და მართავენ მანქანასაო, ჩვენ პო-
მეცნიერები ვართო, პროფესორები ვარ-
თო, ლოცენტები ვართო, ჩვენ რაღა
ღმერთი გავგოწყრებაო, — ასე უხსნიდა,
აადვილებდა ასე, — აგერა სიმონიცაო,
უადვილებდა, აადვილებდა რაღა თქმა
უნდა.

და დაბრძანდებოდა სიმონი თავისი
მანქანითა. და დააბრძანებდა პოლი-
ხრონსაცა რაღა თქმა უნდა, დააბრძა-

ნება. გამოიჭედებოდნენ ორივენი, გამოიჭედებოდნენ და ძლივას გამოეტეოდნენ, გამოიჭედებოდნენ ხენებითა, სიცილითა, ფართოფურთითა. ერთი წინა ჯდებოდა, სიმონი ცხადია, მეორე უკანა, ერთი სავარძელი არც ეყოფოდა ორივესა, თუმცა ორისთვის რო ვათვალისწინებულყო, უკანა ალბათ სამისთვისაცაო, ამათ თითოს არ ეყოფოდა, ორივე რო ბოხობა გახლდა, სრული, ჩაკურატებული. პოლიბრონი უფრო სწორი, გაშლილი წელშია, პიწინა და თავმოწონეო, სიმონი მოშვებული, მოშლილი თითქოსაო; პოლიბრონი წმინდად გაპარსული ყოველთვისა, შესწორებული კიკინებითა, თანაბრად გადალაგებული თუ განლაგებული თმის ღერებითა, საითათო ღერებითა, თხემზედა, სიმონი მოპარსული ერთპირიანადა, თავიპირიანადა, ხანა, ხან არცა, როგორც მოაგონდებოდა, როგორც მოუბრინებოდა, — არა, არა ჰგავდნენ ერთმანეთსა, არა ჰგავდნენ და ვერცა მხახავდი უერთმანეთოდა, გორში, გორშია, თორემ თბილისში ჯგონებ რო არც აწუხებდნენ ერთიმეორესა. არც აწუხებდნენ.

პოლიბრონი ლექტორია სულითა და გულითაო. ამტკიცებდა სიმონი. მოწოდებით არის ლექტორიო. ამტკიცებდა სიმონი. ფილოსოფიური ხილრმეებით შედის ლიტერატურაში, მაგისი ახსნილი ნაწარმოები არასოდეს არ დაეიწყებდა სტუდენტსაო. ამტკიცებდა სიმონი, თუ გადაკრავდნენ: მაინც თუ ასწავლის რამესა ვე შენი პოლიბრონიო; თუ გადაკრავდნენ მეთქი და გადაკრავდნენ ხოლმე, რატომღაც გადაკრავდნენ, მით უფრო მანქანით რო ჩამოაბრძანებდა ხოლმე, მიაბრძანებდა და მოაბრძანებდა, თვითონ რო ისევე დაჩანჩალებდნენ მატარებლითა.

სიმონიც თუ რამესა ასწავლის სტუდენტებსაო, არც პოლიბრონს მოეშვებოდნენ, თუ დაიმართობებდნენ ცხადია და რალა თქმა უნდა.

სულითა და ხორციით ესთეტიკოსია სიმონიო, ამტკიცებდა პოლიბრონი. მაგის ლექციებს არაფერი არ შეედრებოა,

უნდა უსმინო და დასტკებე, მეტრის არააო, რი, უნდა დასტკებო. აზრს არ სწავლობითხავთ, — სრული სიახლეებია ჩვენს ლიტერატურაშიო. ამტკიცებდა და ცხარობდა, გაცხარდებოდა, უცარი სწავოდა გაცხარებაი, რახან რო არ მოეშვებოდნენ, რახან რო თითქოს არც უჯერებდნენ.

სიმონს შეეძლო საღამომდის ემტკიცებინა აუღელვებლად, ემტკიცებინა დილაამდისაცა აუღელვებლად, ემტკიცებინა და ემტკიცებინა მოთმინებითა, პოლიბრონს არა, ეს არ შეეძლო, ანთებოდა, წაეკიდებოდა (ვეცხლი, წაეკიდებოდა, აბრიალდებოდა, აბრიალდებოდა თუ რაიმე საეჭვო, თუ რაიმე შხაკრული მოეჩვენებოდა შეკითხვასა თუ ისე ნათქვამში, აბრიალდებოდა, ისედაც რო ეჩხვლივით გახლდა.

ასე არა ჰგავდნენ ერთიმეორესა.

ასე შეგობობდნენ ერთიმეორესა. შეთვისებულნიყვნენ. შეთვისებულნიყვნენ.

და აღიზანებდნენ. შურდათო, ითქმის, ერთობოდნენ, ითქმის ისეცა, შური იძიესო, ითქმის, თვითონაც არ ეგონათო, ითქმის ისიცა, სხვაც ალბათ კიდევ რალაცას იტყვის, ოღონდ თვით ამბავი მაინც ესაა, ესაა და ისაა, რო აღიზანებდნენ და აღიზანებდნენ, არ ეშვებოდნენ და მაინც ვერ გასტკებეს ერთხანსა, კარგახანსა, ვერ გასტკებეს, ვერ შეუვიდნენ ვერსაიდანა. ვერაფრით არღვევდნენ მტკიცებათა სიმონისა, უფრთხოდნენ გაცხარებასა პოლიბრონისა, უფრთხოდნენ, უფრთხოდნენ, მაინც უფრთხოდნენ, თუმცა შიშით არ ეშინოდათ.

ბედისწერა მაინც უფრო უღმობელიაო. რასაც რო ვერ შესწვდებიან კაცნი, ეადვილება ბედისწერასაო, ანთუ მიეშველება, ცოტა ხელს აუკრავს, ცოტას აუქარებს და ვეღარ იხსნის ვერაფერი განწირულსაო.

უღმობელია ბედისწერაო.

ბედისწერაც ისაა, სადაც რო არ ელი, იქ რო იჩენს თავსაო. ბედისწერაც სწორედ ის არისო.

XVIII

ის არის ეტყობა.

თორემ ამისთვის აღარავის ეცალა. ატყდნენ უეცრად: ლექციებზე დასწრების გვემას არ ასრულებენ კათედრის გამგეებიო. ატყდნენ. იცოდნენ ხოლმე, ხან რაზე რო ატყდებოდნენ, ხან რაზე, ერთს ვაკეთებინებდნენ და წამოგაკეცავდნენ, მეორეხა, მესამესაც წამოგაკეცავდნენ, სამივეს ერთად გადაივიწყებდნენ, გაამაზვილებდნენ ყურადღებასა რაღაც სხვარამეზე, რო გაიხსენებდნენ ვინ უწყის როდის რო მივიწყებულსა. იცოდნენ ხოლმე. ატყდებოდნენ ხოლმე. და ატყდებოდნენ ამაზეცა: დასწრების გვემას არ ასრულებენო, ატყდნენ. ატყდნენ. გვეგმა საათებით გამოიხატებოდა. საათები ეწერა კათედრის გამგესა. ამის სანაცვლოდ აკლდებოდა საათები ლექციებისა, თავისი თავისი, რაღა თქმა უნდა. უნდა დასწრებოდა კათედრის წევრთა ლექციებსა, უნდა გაერჩია პირადად იმასთანაცა, პირადადა, უნდა გაეტანა კათედრის სხდომასხედაცა, ნაკლი ნაკლად გამოეტანა, ღირსება ღირსებადა; აეყოლებინა უნდა კათედრის წევრებიცა, შეეგზავნა-შემოეგზავნა ერთმანეთთანა, თავი მოეყარა, გაერჩია, შეესია ერთმანეთისათვისა, მერე მოერიგებინა, უსათუოდა რაღა თქმა უნდა, კეთილმშობლიური მიზნითაო რაღა თქმა უნდა, გამოცდილების გაზიარების მიზნითაო; და ყველაფერი ეს უნდა შესულიყო ოქმებში ცხადია და რაღა თქმა უნდა. დაწერილებითაო, ამომწურავადო, მოითხოვდა რექტორი, ვინც რო წაიკითხავს, გაიგოს ყველაგმა შინაარსი საქმისაო, გაიგოს თუ როგორა ვმუშაობთო. მოითხოვდა რექტორი.

მძიმე საქმე ვახლდა, ყველაზე მძიმე და უმაღური. ბევრი გაურბოდა, როგორც შექედლო, გაურბოდა. ხიმონს პოგაგონებაც არ უნდოდა, — ვის დაესწრებოდა, ვის ლექციას მოისმენდა, ვისას გაარჩევდა თუ ვის მიუთითებდა ნაკლსა, — რა სათქმელია; ხულ ოთხნი იყვნენ კათედრაზედა: თელი ბეგიაშვილი, ძველ

ლიტერატურაში, ქართულ ლიტერატურაში რაღა თქმა უნდა, ახალს პოლიზონი კითხულობდა, ახალს, გასაბჭოებაშიდისა, საბჭოთა ლიტერატურასა და ლიტერატურის თეორიას თვითონ უძღვებოდა ხიმონი, ლიტერატურის სწავლების მეთოდისათვის ხელი მოეკიდა ნიკოლოზ კანდელაკსა, — რომელს დაესწრებოდა, რომელს გაუჩნრიკავდა თუ გაუძქავდა ლექციებსა ხიმონი, — რა სათქმელია!..

ისე, ფორმალურად უნდა შეედგინა ოქმები, მეტი გზა არ იყო, — არც ამას აკეთებდა.

გვითვლიდნენ ოქმებსა ყოველ სხდომაზედა, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. და რაღა თქმა უნდა, ცხარობდნენ, ბრახობდნენ, იღვა კორიანტელი სიტყვებითსა, არ მოგვაკლებდნენ რო არც მუქარასა, არც წაქეზებასა, უფრო მუქარას არ მოგვაკლებდნენ, რაც იყო თუ როგორც რა იყო, შეგროვდა ოქმები, — შეგროვდა, გროვდებოდა, ანთუ მოგვარდა თუ მოგვარდებოდა დასწრების საკითხი, აქტუალური საკითხი იმჯერადა თუ იმ დადანებაზედა, მოგვარდა, გვარდებოდა თანდათანობითა, ოქმების მიხედვით მანცა გვარდებოდა.

ხიმონს მაინც არაფერი ეშველა.

სოსო ხარშილაძესაც არ ეშველა არაფერი.

თითო ოქმი წარმოედგინა ორივესა, პირველი ოქმი, საათების განაწილებისა, უიმისობა რო არც შეიძლებოდა, ხელფასს რო ვერ მიიღებდნენ უიმისობადა.

ხიმონი ბოდიშობდა, შავადა მაქვსო.

სოსო ჯიუტობდა, საბეჭდი მანქანები უნდა მისცეთ კათედრებსაო. ეს სხდომებზედა რაღა თქმა უნდა, ისე ხუმრობდა: ამას რა ენალელებაო, ჩემზე ხუმრობდა, დაჯდება და დასწერს, ამან თქვა, იმან თქვა, ამან თქვა, იმან თქვაო, მერე წაიღებს და თეატრში დაღვამსო, მე რაში მარგია, რო დაწეროო ან ვის რაში არგია, რო ჩამციებიანო.

მაინც დაჯდა და დაწერა. გასტეხეს. იმჯერად გასტეხეს. ხაღდაც გამოუძე-



ნეს ძველი საბეჭდი მანქანაი. ძველიაო, ახირდა. აღარ გაუვიდა. ლაბარანტი ახლა სწავლობს ბეჭდვასაო. აღარც ეს გაუვიდა. გასტეხეს იმჯერადა. დაჯდა და დაწერა, არც ისე ადვილადა რაღა თქმა უნდა, თითქმის მთელი წლის ოქმები რო დაუგროვდა ამასობაშია. რაღას იხამდა, — დაჯდა, დაწერა.

შინ გავაფრთხილეო, თვითონვე ჰყვებოდა, სამუშაო მაქვს და არ შემაწუხოთო. ცას ეწივნენ სიხარულითაო, თურმე ჰკონებიათ, გვეშველა, ჩაუჯდა სადოქტოროსაო. თითის წვერებზე დადიანო. ტელეფონის ზარს აღარ მატყობინებენო თურმეო. მე რა ვიციო. ბაზარში მე აღარა მგზავნიანო. აღარ მაწუხებენო. აღარც ავს მაგებინებენ, აღარც კარგსაო. თურმეო. თურმეო. მე რა ვიციო. თვალს შუაპარებენ ნაწერები რო იზრდება მაგიდაზედა, ცას ჰო ეწივნენ, ახლა მეცხრე ცაზე ადიანო. თურმეო. თურმეო. მე რა ვიციო. და ერთიცა ვნახოთ, აუფურცელია ის ნაწერები ჩემს მეუღლესაო, აუფურცლია და ჩაუჭვრეტია, ჩაუჭვრეტია და იქვე ჩაკეცილაო. მა რა დაემართებოდაო, სადოქტორო ეგონა და ოქმები დაძვებდაო, კიდევ კარგი რო გადარჩაო. თვითონვე ჰყვებოდა.

მერე ეს ოქმები, მართლაც რო შეედგინა და მართლაც რო ჩამოზიდა სოსო ხარშილაძემა, ერთად. ერთბაშად რო შეედგინა, ისე მოსვლოდა, რო ყველა თარიღი ყველა ოქმისა კვირა დღეს დამთხვეოდა. ისე მოსვლოდა. ესეც არ შეარჩინეს, გამოუტანეს და აფრიალეს ოქმები. კალენდარიც ზედ მიეზნიათ: ნახეთ, დარწმუნდით, ყველა ოქმი კვირა დღეზე მოდისო.

ვერ ითქმის თუ. რა დაემართა სოსოსა უცება, ვერ ითქმის, რო არაფერი დაემჩნეოდა ადვილადა იმის ჩამომხმარება და დაძაბულს სახესა, ყოველთვის დაძაბულსა ოღონდ რო ვიდრე რო მორჩებოდნენ მოდავენი მისნი, ის უკვე მზად ვახლდა, და რო გაისმა დამცინავი სიტყვები, უკანასკნელი დამცინავი სიტყვები: თურმე ესენი კვირა დღეებშიცა მუ-

შაობენო, დაუდასტურა მყისვე იმანაცა, — დიახ, ვმუშაბთო, კვირა დღეებში ვმუშაობთო.

მოუჭრა და დაუდასტურა, მოუჭრა მკვეთრადა, ფიცხლადა, მოუჭრა და მიიყვოდა, მიიყვოდა და მიიყვოდა: კაბინეტები ჩვენ არა გვაქვსო, თავი ვერსად მოგვიყვიაო, მთელს კვირაზედა ვართ გაფანტულნი ცხრილითაო, ერთ დღეს ერთად ვერ შეგვროვებულვართო და საერთო ბინაშიც ჰო გაჩერება არ შეიძლებაო, — მიიყვოდა და მიიყვოდა, დაურთო და დაურთო, სხვა რაღა მრჩებო, თბილისში ვვროვდებით და ჩემთან ვატარებ კათედრის სხდომებსაო, სწორედაც რო კვირა დღესაო. კვირა დღესაო. დაასკვნა და განა შეჩერდა, არა ცხადია, მაშინ ჰო სოსოც აღარ იქნებოდა, დაატრიალა და დაატრიალა: საერთო ბინაო, დაატრიალა და დააყენა კორიანტელი, აიყვანა, აიყვანა ხელში აიყვანა მსმენელები, შემურდებოდათ სახელგანთქმულ ორატორებსაცა.

რექტორს ჯერ არაფერი ეთქვა: რექტორიც იჯდა ისე, იმის სახესაც რო არ შესტყობია არაფერი, არც რო მაშინა, რო აღმოუჩინეს: კვირა დღესაო და რო იცინოდნენ ყველანი, არც რო მერეო, ცეცხლი რო დაანთო სოსო ხარშილაძემა, რო შეკრთნენ თუ შეშინდნენ კომისიის წევრები, ოქმები ვინც რო განიხილა ასე მკაცრად თუ ჩამიებითა, იჯდა, არაფერი შესტყობია. არც სოსოს სახეს რო არაფერი შესტყობია, ჩამომხმარსა, სანთელი რო გასდიოდა ლოყვებში, არც ამისასა, — მრგვალსა, გაბურთულსა, ვადატყეცილსა, არაფერი, არაფერი, არაფერი არ შესტყობია, ადგა ისე და ისე ბრძანა:

მართალიაო.
ბრძანა რექტორმა, დაამთავრა თუ არა სოსომა თავის გრძელი და მრისხანე სიტყვით.

მართალია სოსოი, ანთუ ამხანაგი ხარშილაძეო, მართალიაო, კათედრას კაბინეტი უნდა ჰქონდესო და თუ არა აქვს თავისი კაბინეტი, არ უნდა ვედა-

ოთ თუ ხად ჩაატარებს სხდომებსაო. არ უნდა ვეღაოთო. კვირა დღე ვითომც არც გაუგონია, სადაო, — ამაზე შედგა რექტორი. ჩვენი ბრალიაო, შედგა ამაზედაცა. მაგრამაო არც ჩვენა ვსხედვართ გულხელდაკრეფილიაო ამხანაგო ხარშილაძეო. ახალ საერთო ბინას ვაშენებთ სტუდენტებისათვისაო, ახალს ვაშენებთო, დიდსა და თანამედროვესაო, ძველი შემოგვემატება სასწავლო კორპუსადა, შემოგვემატება, ჰო არ დაგვაკლდებო, შემოგვემატება და ინებეთ მაშინ კაბინეტებო. ინებეთ. ჯერ უნდა მოვითმინოთო, რა ვიქნათ უნდა მოვითმინოთო, მერე კაბინეტებსა ვპირდებითო, რამდენიმე ოთახსა ვპირდებითო, თქვენ ერთს მოითხოვთ, შე მეტს ვპირდებითო,

ჩვენცაო.

ჩვენცაო.

ჩვენცაო.

ჩვენც ვინდაო. წამოდგნენ და წამოდგნენ. თქვენცაო, თქვენცაო, თქვენცაო, დაჰპირდა და დაჰპირდა რექტორი, დაჰპირდა ვველასა. მერე ჩვენ რადაო, წამოიჭრნენ ფიზიკოსები. ეტყობა, ადრევე შეეპირებინათ, ეგონათ, ხელიდან გვეცდებო.

წამოიჭრნენ ფიზიკოსები და წამოიჭრა სოსოცა: თქვენც კიდევ რამეს მოითხოვთო, წამოიჭრა სოსოცა, ისედაც გადავიღობათ ნახევარი ინსტიტუტო. სადაც რა მოუძველდებათ, სადაც რას გადაყრიან, აქ ეზიდებით და ჯართის საწყობებად გადაგვაქციეთო. როგორთუ ჯართისაო, ვაიწიეს ფიზიკოსებმა. როგორაო და სწორედაცაო, ვაიწია სოსოცა, ხმაც მისცეს აქეთიქიდანაცა, ვაიწიეს და გამოიწიეს, ბიჭობა უნდოდა იმათ გაშველებასა, დიდი ბიჭობა უნდოდა, უნდოდა და შეჰყვირა რექტორმა, ერთი შეჰყვირა და გაიკმიდეს ხმაი, ჯერ კიდევ სჭრიდა რექტორის ყვირილი, სჭრიდა, სჭრიდა:

არ დაგვაცდითო, ავაშენითო, ჯერ ჰო დოკუმენტაციაც არ შეგვიდგენიაო. დვინო არხად იყო და ეშმაკები ტიკებს მოარბენინებდნენო. ასეო და ასეო. შეგვირებაცა სჭრიდა და ანდაზებიცა. ხმაც

გაიკმიდეს და მორთეს სიცილიცა. თუმცა დავა მაინც გრძელდებოდა, გრძელდებოდა, ორმხრივ რო უტვედნენ სოსოსა, კომისია კომისიადა და ის ფიზიკოსებიც რო აიტეხა. ისინი მაინც იმდენი არაფერიო, ის ფიზიკოსები, სოსოსათვისა, ის კომისია აბრაზებდა, კომისია თუ კომისიები, უახლოესი ხელქვეითებიდან რო გამოჰყოფდა რექტორი და რაც შეიძლება გაზვიადებულად რო წარუდგენდნენ ხოლმე კვლევისა თუ რევიზიის შედეგებსა, გაზვიადებულად, ესა და ქვეყანა იქცევო. ის აბრაზებ-რექტორი კიდევაც ღმობიერი კაცი-აო, იტყოდა სოსოი, ამათ რო უჯერის და აქამდის არ დაუხოცივართო. ღმობიერიაო, ღმობიერიაო. იტყოდა ისე, თითქოს ებრალება, ანთუ ამართლებსო, გვეგონებოდა და შეცდებოდი, — კიდევაც შეცდებოდნენ ხოლმე: ქებას მორთავდნენ თუ გამართლებას მოჰყვებოდნენ რექტორისა და იქვე ავად მოუჭრიდა სოსოი:

ეგრეთი ხალხი არც ეხვევა გარშემო, თვითონ რო კაი კაცი იფოსო.

ასე მოუჭრიდა, ასე ავადა.

„ჯართიც“ ჩარჩებოდა გულში რექტორსა, ეშწავებოდა „ჯართი“, ეშწავებოდა. ფიზიკოსების ლაბორატორიებსა გულისხმობდა „ჯართადა“ სოსოი. ლაბორატორიებსა. იმ ლაბორატორიებითაცა ტრაბახობდა რექტორი, თვითონ რექტორი ტრაბახობდა. იმ განთქმულ „ბლოკნოტშიც“ ეთმობოდა დიდი ადგილი იმ ლაბორატორიებსა, ზებირად მეტსაცა ლაბარაკობდა. თვითონვე დაუძლოდა ჩამოსულთა, უჩვენებდა, თავსგამოიდებდა, უსმენდა, ხამოვნებდა, მოახსენებდა მერე საბჭოსა, ასე და ასე მოგვიწონესო. სოსო თურმე „ჯართს“ უწოდებდა, გულში ჩარჩებოდა რადა თქმა უნდა. ჩარჩებოდაო და ჩარჩა, ჩარჩა და წააქეცავდა ხოლმე.

ისე, რო ითქვას, უცხო თვალისათვის მართლაც აღბათ რო მოსაწონი გახლდა, ის ლაბორატორიები, რადგან რო მოსწონდათ, ანთუ ამბობდნენ, ყოველშემთხვევაში იზობდნენ, მოგვეწონსო, მაგრამ



არაეის არას არგოდა, არც რო სტუდენტებსა, არც რო არაეისა, აქ არაფერი არა კეთდებოდა, სასწავლოდაც არ გამოდგებოდა, გამოუკვტათ და იყო, მოვიდოდნენ და ჩამოატარებდნენ, ამისათვის ვარგოდა მხოლოდა, ვარგოდა და ჩამოატარებდნენ, კარგად ასრულებდა ამ მოვალეობასა, კარგად ასრულებდა, ალბათ ესეც რო საჭირო გახლდა.

მაინც გადაარჩინა თავისი ოქმები სოსომა, აღთქმაც მიიღო ოთახები ექნებაო, მერე შენ იცი თუ როგორ კაბინეტებსაც მოაწყობო. აღთქმაც მიიღო და მუქარასაცა ჰკავდა: ენახეთ თუ მერე რას მოეკიდები, რითი იმართლებ მერე თავსაო. მუქარაც იგრძნობოდა და ზემოცა წინასწარი. იგრძნობოდა.

სიმონს ვუბრალოდა ოთახი ჰქონდა, ის ამითიც რო ვერ დაიძვრუნდა თავსა, ყველაზე უკეთება ოთახი ჰქონდა, ნათელი, მოზერხებული, ალბათ რო ყველაზე უკეთესი მთელს ინსტიტუტშია. ერთი სურათი კვიდა რუსთაველისა, ეს იყო და ესა, არა. ორი კარადაც იდგა. ერთი ცარიელი, თაროებიც მირეკობოდა, მეორეში ორი თუ სამი ხელნაწერი ჟურნალი შერჩენილიყო, ოდესღაც რო შეედგინათ, რო არც გადაუფურცლა სიმონსა, რო არც იცოდა თუ ვის დარჩენოდა.

რუსთაველის სურათი კორნელი კეკელიძეს ჩამოეტანა, პირველად რო დაარსდა ინსტიტუტი, რუსთაველოლოგიის კურსი რო თვითონვე წაიკითხა.

არც რო ამითი ასვენებდნენ სიმონსა, არც ამისათვისა ჰკარგავდა სიმონი მოსვენებასა. გაუკეთებო, მოაწყობო, ჰპირდებოდა, და ჰპირდებოდა.

მერე ნიკოლოზ კანდელაკმა იღო თავსა. და ადგენდა პროექტებსა ნიკოლოზი, ჯერ ზეპირად ადგენდა. ნიკოლოზი. ანთუ კოლია, ბატონი კოლია, როგორც ინსტიტუტში რო უწოდებდნენ, ადგენდა ზეპირად, ანთუ ჰყვებოდა, მჭკერმეტყველებდა, ორატორობდა, ისე უბრალოდ რო არაფერს იტყოდა, ჯერ ასე. ზეპირადამეთქი,

მერე პროექტიც ჩამოიტანა, ნახაზებიც ჩამოიტანა, მოახხენა რექტორსა და მოახხენა, კათედრის გამგეს ცალკე არა, — მაინც ყურს არ დამივდებსო, — გამოჰყვინა საპროფესოროში და უხსნიდა ყველასა, ცალცალკედაცა და წვეილწვეილადაცა, გაუფგაუფადაცა და ისეც ცალცალკედა, უხსნიდა თუ ორატორობდა, სულერთია არ იღლებოდა, არა ბეზრდებოდა.

მერე რაღაც არ მოეწონა, თვითონვე თუ შეუწინდნენ ვიდაცანი, სულერთია რაღა თქმა უნდა, გადასდო ის პროექტი, სხვა შეადგენინა, ჩამოიტანა და ეახლა ისევე ჯერ რო რექტორსა, მერე მოჰყვებოდა ისევე, მოჰყვებოდაო და მოჰყვება ცხადია. ოღონდ და მაინც რაც უნდა ყოფილიყო კაბინეტზე აღარას ვდაეებოდა სიმონსა რექტორი. კოლია კანდელაკის იმედი რო მიეცათ, აღარც უხსენებდნენ კაბინეტსა, ოქმებს მოითხოვდნენ უფრო მტკიცედა, უფრო გულმოსულადა, მოითხოვდნენ და აღარც აცდიდნენ: დაესწარიო, უბრძანებდნენ, ბოლოსდაბოლოს დაესწარიო, არა და კომისიას გამოეყოფთ, შენც დაგესწრებიან, და სხვებსაც ისინი დაესწრებიანო.

ასე შეუწინდნენ და ასე გასტეხესო. და შევიდა სიმონი პოლიხრონის ლექციაზედა. ასეც იქნებოდა: ერთად რო ჩამოდიოდნენ კვირის დასაწყისში, ანთუ თვითონვე ჩამოაბრძანებდა და მიაბრძანებდა სიმონი პოლიხრონსა, ასეც იქნებოდა. თედო და კოლია კვირის ბოლოს ჩამოდიოდნენ. იმათაც ჩამოეყვებო, იქადადა სიმონი, ისე იქადადა, თვითონვე რო არა სჯეროდა, რო არა სჯეროდათ არცა მოდაეუთა იმისასა, არა სჯეროდათ და ემუქრებოდნენ, ჩამოეყვანთო, ჩამოგაბრძანებთო.

და შევიდა სიმონი პოლიხრონის ლექციაზედა ერთისიტყვიითა.

შევიდა და გამოვიდა, არაფერი ისეთი არ მომხდარა, მხოლოდ ესაა, თვითონვე სთხოვა პოლიხრონსა სიმონმა: შენვე უკარნახე ლაბარანტსა შე-

ნი ლექციის ანალიზით; ოქმშიც შენვე შეატანინეო, როგორც ვინდოდესო, შენ უკეთ იციო, ესაა და ესა, მეტი არაფერი არ მომხდარა.

მაგრამ არა სძინავს ეშმაკსაო, ნათქვამია, ეშმაკი წულის ფერიაო, ნათქვამია, კიდე ბევრი რამ არის ნათქვამი, ყველას გახსენება დანავსავს კაცსა, თუმცა და რაო, ერთიც დანავსავს და ის დასწრებაც ისე დაინავსა საბოლოოდ რო დაშორდნენ ერთმანეთსა სიმონი და პოლიხრონი, ისე დაინავსა ისე. ისე. ისე დაინავსა.

როგორი ლექციაა ჩატარაო, კეთილხერ სიმონსა.

მშვენიერიო, არც დაფიქრებულა სიმონი, პოლიხრონი რო შეეფერებოდაო, სულ ფალოსოფიურ განახლებებში მიჰყავდა ლექციაო.

ლექცია როგორ მოვიწინა გამგემაო, გამგემაო, კეთილხერ პოლიხრონსა.

თვითონვე კეთილხერი, ღაბაბი ჩამოუშვა პოლიხრონმა, სიამაყის ღაბაბი. კეთილხერი.

მერეო.

მერეო და...

მერეო და...

„ჰო?! რაო?!“

ენა არა სცოდნიაო.

ვისაო, არც დაფიქრებულა პოლიხრონი, დაიბრაწა, დაიბრაწა და გაეცხხლდა პოლიხრონი.

ვისაცაო. „ამწყო...“ ამბობდაო.

და შეიშალა პოლიხრონი, შეიშალა, გადარია. ისედაც ბევრი არ უნდოდა, ამან გონება მილაღ დაუპნია: „ამწყომა...“, „ამწყომა...“

იცოდნენ სისუსტე პოლიხრონისა, „ამწყო...“ ვერ ამბობდა, ვერც ამბობდა და არც ეშვებოდა. ბედისწერაც აქ ჩასაფრებულყო თურმე, ბედისწერა იყო, ეშმაკი იყო თუ რაც იყო თუ რაცა ბრძანდებოდა, აქ ჩასაფრებულყო, აქ ჩამომჯდარიყო, აქ ელოდა მოუთმენლად. ზოგი იტყვის, მოთმენებითაო, მოთმენი ვახლავს ბედისწერაო. იყოს მოთმენი. ეგება ღირსებაა ეს ბედისწე-

რიბა, კაცთათვის მაინც სუფილად ფილა ღირსებაცა და უბედურებაცა დისწერისა, სულერთი ყოფილა, ბედისწერა ბედისწერააო.

აქ ჩასაფრებულყო, — „ამწყო...“ იცოდნენ სისუსტე პოლიხრონისა: „ამწყო...“ ვერ ამბობდა. ვერც ამბობდა არც ეშვებოდა მეტი. არც ეშვებოდა. ახლა რო თითქმის აღარც ახსენებენ ამ სიტყვასა, მაშინ თითქმის მიხელებულყო. გრამატიკოსებსდა თუ შერჩენილათ. მიხელებულყო. მაინცდა მაინც პოლიხრონი აღარ ეშვებოდა. თითქოს ვერ გასძლებდა უიმისოლაო, ანთუ ვინ უწყის სიტყვა შესწენოდა, სიტყვაი, შესწენოდა და აღარ ეხსენებოდა: ადგა კრიჭაზედა, ვერ გადავლებდა, ვერ მოიშორებდა, ვეღარ გადაულაპავდა, გადმოუკარდებოდა კბილებიდან: „ამწყო... ამწყო... ამწყო...“ გადმოუკარდებოდა ასე ზედიზედა, ვეღარც რო შესწევებდა, ვეღარც რო მოაბამდა ახრსა.

შეგნინათ სტუდენტებსაცა რაღათქმა უნდა. რა გამორჩებოდათ სტუდენტებსა?.. აჭავჭავდებოდნენ თუ წამოსდებოდათ სხვა ლექტორებსაცა, სწორადა ცხადია, რა უნდოდა ამ სიტყვის თქმასა, აჭავჭავდებოდნენ მაინცა, გამოცოცხლდებოდნენ, პოლიხრონი რო გაახსენდებოდათ.

იცოდა პოლიხრონმა, ეს იცოდა, თუ რა ელონა ის აღარ იცოდა. გადაკიდებოდნენ ერთმანეთსა, გადაღერძილევნენ.

ერთობოდნენ ამითიცა, იცინოდნენ ჩუქჩუმადა, ზურგთუკან იცინოდნენ, ახლა აგერ საბაბი მიეცათ, აპხადეს, გამოიტანეს, გამოაშკარავეს, სიმონს შეახოცეს: ასეც აღარ შეიძლებათ, იქნევენ თავსა, ქვეყანას მოსდო, სიმონმაო, ვითომ სიმონმაო, არწმუნებდნენ პოლიხრონსა, იქნევენ თავსა და არწმუნებდნენ, არწმუნებდნენ და თანაუგრძნობდნენ.

და ბევრიც არ უნდოდა პოლიხრონის დარწმუნებასა. დარწმუნდა. მოიშალა, მოიფუტკნა პოლიხრონი. თითქოს რო



სამომხად დაემგვანა, თითქოს რა მოიბუზა კიდევაცა, მოიბუზა, ვასაცივდა თითქოსაო. ვეღარავის ვკარებოდა და ვერც მიეტოვებინა ვეღარავინა, ეგონა იმაზე იცინოდნენ, იქაცა, იქაცა, იქაცა, ვეღარ გაეგო, ვის გაქცეოდა თუ ვის წასდგომოდა თავზედა. ძნელი რამ გახლდა, ძნელი, ძნელი.

უფროც ერთობოდნენ. ერთობოდნენ. ავად ერთობოდნენ. ტკებოდნენ, მოსვენება რა დაჰკარგა პოლიხრონიშა. ტკებოდნენ. ხარობდნენ, რა აიყარა პოლიხრონი სიმონის ვკერდიანა, მეორე ოთახში რა გადაინაცვლა; აღვილად აიყარა და ძლივს გადაინაცვლა, აქეთ გადმოხვლა რა არავის უნდოდა, ისედაც რა ურიდებოდნენ სიმონის ოთახსა, ფანჯრის გაღებას რა არ იშლიდა სიმონი. ცივი გაზაფხული დადგა, ცივი, ცივი, ქარიანი, თოშიანი. ვიღაცა გადმოვიდა, ვიღაცამ მაინც თანაუგრძნო პოლიხრონიშა.

აღარც მანქანაში ჩაუჯდა ცხადია და რაღა თქმა უნდა. აღარც სიმონი დადიოდა მანქანითა. მისდევდნენ ისევ მატარებელსა, მისდევდნენ. მოსდევდნენ. სიმონი სხვა ჯგუფსა, პოლიხრონი სხვასა, იქით სიმონს რა აღიზიანებდნენ, აქეთ რა პოლიხრონი უკეთებდნენ და უკეთებდნენ ცეცხლსა.

სიტყვაც შეაზუღდრეს ერთიმეორესა, მართო გაბუტვა არაფერიო, სიმონს რა მაინც ვერ გაეგო თუ რას გადაურია პოლიხრონი, პოლიხრონი რა ვითომც გაეგო და სწორედ იმიტომაც ვადარეულიყო, ანთუ ვერ გაეგო, ანთუ მოტყუებულიყო რაღა თქმა უნდა, წამოგებულიყო ანკესზედა, ეგდო რიყეზედა და ფანთხალებდა, რა არც შეეგლოთ ტაფაზედა, რა ერთობოდნენ, ეგდოს ვერ და იფანთხალოსო თუ არა ჰქონია მეტი ჰქუაო. საოცარია, აყუდრიდნენ თითქოსაო, ამუნათებდნენ თვითონ პოლიხრონიშა. საოცარიაო.

დაბლვერილიყო პოლიხრონი, დაბლვერილიყო, თითქოს ქვეყანას დამღუბებოდა, მთელ ქვეყანასა. დაბლვერილიყო

და, უცებ გაიხარა, გაიცისკრებულყო მუქში მოვიდა თბილისიდანა, სიმონის მანქანაში მიაჭყლიტაო. პასუხისგებაშიც მიუციათო. ვინ იცის ეს მერამდენედ მიაჭყლიტაო, რაც რა გააჩნია მანქანაში აყრისო, ლამის დაამშობს ცოლშვილიო.

რა ჩემი ცოლშვილის დარდი აუტყდაო, ბურტყუნებდა სიმონი, რა უნდა, რას გადაამკადაო.

შენი კათედრა უნდაო, ჩააწვეთეს სიმონისა.

არც შეუცხადებია სიმონსა, ინებოსო, ორივე ხელით დამითმიაო.

დამითმიაო. მაგრამ ვერევე ჰო არ გადაიცემოდა ხელიდან ხელშია, ყანწი ჰო არ იყო, აზარფუშა ჰო არ იყო, — არა ცხადია.

იქით პოლიხრონი აქეზებდნენ, შენ უნდა იყვე კათედრის გამგეო. აქეზებდნენ და აქეზებდნენ.

პოლიხრონიშა, სხვა კათედრაზე გადამიყვანეთო, მოითხოვა. მაშინ ჯერკიდევ არსებობდა პატარა კათედრები, დიდი კონტიგენტი გააჩნდა ინსტიტუტსა, იტანდა ინსტიტუტი, დიდი-შედარებითა რაღა თქმა უნდა, შემდგომ კონტიგენტთან შედარებითა. იტანდა ქართული ლიტერატურის კათედრასა ოთხი კაციითა და ერთი გამგითა, ანთუ ამ ოთხთაგანა ერთი რა გამგე გახლდა. უარი მოახსენეს, სხვაგან გადაყვანაზე ცხადია. მაშინ ცალკე მაგიდა დაადგმევინა პოლიხრონიშა ქართული ლიტერატურის კაბინეტშია, ერთი რუსთაველი რა ეკიდამეთქი და ორი პროექტი უკვე ჰქონდათ თუ როგორი რა კაბინეტი მოეწყობოთ. ის მაგიდა თავისად გამოაცხადა, XIX საუკუნის ლიტერატურის მაგიდად გამოაცხადა, გამოეყო კათედრასა, ანთუ თითქოს რა ცალკე კათედრა შექმნა.

აინუნშიც არ ჩაუგდია სიმონსა. სხვას ალბათ ესეც გაავიკებდა. აინუნშიც არ ჩაუგდია სიმონსა.

იჯდა პოლიხრონი და წერდა და წერდა იმ თავის ახალ მაგიდაზედა თუ მუშაობდა და მუშაობდა გამოცალკეებულ

კათედრაზედა. წერსო, იმედოვნებდა სიმონი, ალბათ ოქმსა წერსო. ოქმს პო მოითხოვდნენ, მოითხოვდნენ და მოითხოვდნენ, აჩქარებდნენ და აჩქარებდნენ სიმონსა, სიმონი არ აჩქარებდა პოლიხრონსა.

ხოლო პოლიხრონი წერდა და წერდა: „ანრდილის“ ანრდილი სწორედ ისაა, „კომუნისტური მანიფესტი“ რითაც იწყებაო: ანრდილი ბორგავს ვეროპაშო... წერდა და წერდა, ვინ დაიცადა, თორემ დაწერდა. ვინ დააცადა?..

ოქმი სიმონს შეუდგენიაო, არ დააცადეს, არ მოასვენეს პოლიხრონი, არ მოასვენეს, არ ამოასუნთქეს, სტენოგრაფიულად აღუდგენია შენი ლექციაო, პო იცი, რა მესხიერებაც აქვს სიმონსაო, პო იციო, — სტენოგრაფიულად აღუდგენიაო, „ამწყო...“ ჩაუსვამს ყოველი სიტყვის შემდგომაო, იმუქრებაო, ან შეუნდა ვიყვე, ან ევაო, მტკვარში გადაეუძახებო თავის მაგიდიანაო, თავის XIX იანდაო. მტკვარშიო. იმუქრებაო. შეუნდნენ და შეუნდნენ, აქედანა, იქიდანა, ხაით გაქცეულიყო, აღარ იცოდა, გზადაც პო მისდევდნენ და იქაც პო გახლდნენ რაღა თქმა უნდა.

ჯერ გაუძლებდა გულდინჯი კაცისა, მერე პოლიხრონი, — ავარდა, დავარდა, შესძრა ინსტიტუტი. შესძრა. შეიჭრა რექტორთანა გამზადებული განცხადებითა: მაგისი მოთმენა აღარ შემიძლიანო. გამანთავისუფლეთო. განთავისუფლდესო, წააწერა რექტორა. გაფითრებული გამოვიდაო, ვინც რო შეესწრო, ვინც რო შეესწრო ამტკიცებდა მერე, ქალაქის ფერი ეღო.

ამას არ ელოდა პოლიხრონი, არა, სხვას ელოდა. ანთუ როგორც ურჩევდნენ თურმე: იმოქმედო. სიმონი მაინც ათვალისწინებულია. კათედრის ამ არეულობას არ აპატიებენო. შენ ოღონდ იმოქმედე, იმოქმედე, იმოქმედო. და იმოქმედა. და შეეწირა.

XIX



მერე ნოდარ აღანიამ მოჰკიდა ხელს XIX საუკუნის ლიტერატურის კურსსა. მერე იმანაც მალე მიატოვა, დაუბრუნდა ისევ თბილისსა. როგორღაც ბედი არა სწყალობდა XIX საუკუნესა გორის ინსტიტუტში. ისედაც პო არა სწყალობდა ბედი. იცვლებოდნენ და იცვლებოდნენ ლექტორები. ბოლოს საქმე აქამდისაც მივიდა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე რო წერდა თავის ანგარიშში სამინისტროსადმი: გორის ინსტიტუტში არ ასწავლიან XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურასო, საერთოდ ქართულ ლიტერატურას არ ასწავლიანო, იქამდისაც მივიდა, ოღონდ ეს ბოლოსა, ბოლოსა, რო აიწეწა და აიწეწა ვველაფერი.

ნოდარი ასწავლიდა, ის ჯერ ადრინდელი წლება გახლდა, ადრინდელიც რო არა ყოფილიყო, ნოდარი ასწავლიდა და საუკეთესოდაც ასწავლიდა. უხაროდათ ნოდარი, სტუდენტებს უხაროდათ.

სალიტერატურო საღამოებსა თუ შეხვედრების მშვენებადაც იქცა ნოდარი. ის პატარა კაცი, ძველი შედარებაა, მაგრამ მაინც მართლა არწივივით ავგა ხოლმე ტრიბუნაზედა, როგორღაც იხრდებოდა, როგორღაც იმატებდა, სიტყვა აზიდავდა თითქოსაო, ღაზათიანი და მადლიანი სიტყვაი.

გოლიათებს სიტყვა ამცირებდა, მწერი, ღატაკი, გამოფშუტული სიტყვაი. აქ შედარებას აღარც მივმართავ, აღარც ახალსა. ოღონდ ესაა, რო გაგიკვირდებოდა, ისინი თუ რაღად ეტანებოდნენ ტრიბუნასა, მითუფრო რო საზეიმო ტრიბუნასა. გაგიკვირდებოდა.

ამშვენებდა ნოდარი იმა პატარა სერობებსაცა ლექციების მერე რო იმართებოდა. მაშინ ჯერ კიდევ საღამოს ფაკულტეტი არ გააჩნდა ინსტიტუტსა. საღამო თავისუფალი ვაკონდა. რა საქმეც არ უნდა გამოგვჩენოდა, მაინც „ქართულში“ შევიკრიბებოდით. გვიცნობდნენ.



რადაც ისეოსაც გადაგვიანავდენ, ცოტა რო ჰქონდათ. ისე რო ათქვა, ცოტა ჰქონდათ რო ვველაფერ. ცოტაცა გვეოფინდა, ჰქონდათ რო ვველაფერი. ცოტაცა გვეოფინდა, უფრო საუბარი შეგვიყოლიებდა, უფრო ლექსი შეგვიყოლიებდა. ნოდარი აქ გახლდა შეუღარებელი. სიმბოლისტები იცოდა თითქმის ზეპირადა, ის იყო რო ვადადაც აქსნეს სიმბოლისტებსა და აფრქვევდა ნოდარი თითქმის რო ჩუქად დაზეპირებულ ლექსებსა. თავის ლექსსაც გამოურედა, ეს სულ ბოლოსა, სიმთვრალის შერე, მხოლოდ ერთ ლექსს გამოურედა, — „ოდა ლობიოს“, მართლაც რო ოდასა, მეტად გავრცელებულ ღირიკულ ჟანრსა ჩვენში, იმხანებში, ოღონდ ლობიოს რო არაეინ მიუძღვნიდა რაღა თქმა უნდა, არაეინა, ნოდარის გარდა. და კარგი რამაც გახლდა სიმთვრალეშია, იციანოდნენ, იცინოდნენ და ამეორებდნენ ცალკეულ სტროფებსა, ვისაც რო რომელი უფრო მოსწონდა.

ნაირნაირი ზღაბი ირეოდა „ქართლში“, უფრო მეუდრო ადგილი გვეჩვენა. თითქოს აღმოჩნდაო: ძველი ხიდის მიდამოშია, მტკვრის ხიდისა რაღა თქმა უნდა, აქეთა, აქეთა, ქალაქისაკენა, პატარა სასაუზმე, ნახევრად სარდაფშია. „როტონდაც“ სადაც იქ უნდა ყოფილიყო, — ის გორის „როტონდა“.

ასე მახსოვდა ხოლომონ ზუციშვილის ერთი პატარა წერილიდანა, გორის გაზეთში რო დაიბეჭდა. ასე მახსოვდა. დაბეჯითებით, ვერ გამერკვია. შერეც რამდენჯერ მინდოდა მეკითხა ხოლომონისთვისა, — ახლაცა, ახლაცა, მახსოვს, ვიდრე რო შევხვდებოდე. მაგრამ რო შევხვდები, ის სულ გარბის, საღამოსაც რო ძლივს რო მოასწრებ, სულ რო გარბის, გარბის რომელიდაც სალიტერატურო საღამოზედა, სადაც არ უნდა იყოს რომელიმე დიდ ორგანიზაციაში თუ სულ პატარა ბიბლიოთეკაში სულერთია, გარბის რო მიუსწროს, რო გამოვიდეს მოგონებითა თუ რაღაც ახალ ცნობებითა, გარბის, გარბის, ხოლო რო გამო-

რბის საიდანაცა, უნდა იცოდე, რო იქნება უკვე სიტყვა წარმოსთქვა. ესე რაღა ღიბისში, გაზეთებიდანაც ამოვიკითხავ, ვველგან რო გახლავს, მთელს საქართველოში, სადაც რო მწერლის ოუბილეა, სადაც რო სახლმუზეუმში იხსნება მწერლისა, სადაც რო მწერალს მოივინებენ, თუნდაც როო, და სწორედაც როო, უფრო იმათი გულდამწვარი ჭირისუფალი რო ბრძანდება ხოლომონი.

გორში ხოლომონს ბოლოსდა ჩაეუსწარი, ბოლო წელსა. დაარსებიდან მოსდევდა ინსტიტუტსა. აღბათ რო გამოგვებოდა ბოლომდისაცა, ოღონდ იმეამად „კადრების გამტკიცება“ დაეკალებინათ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვისა. ღირსებაც ეს გახლდა ხელმძღვანელისა, ნაკლსაც ამითი შეუფასებდნენ. რექტორი დაფაცურდა რაღა თქმაუნდა, შეაეწროვა „შემთავსებელი“, ანთუ მოითხოვა, ჩვენთან გადმოდიოთ „ძირითადში“. ხოლომონმა ისევე თბილისის უნივერსიტეტი არჩია, სადაც რო „ძირითადი“ ერქვა. ხოლომონიც XIX საუკუნის ლიტერატურის კურსსა კითხულობდა, როცა რო ასწავლიდნენ ქართულ ლიტერატურასა გორის ინსტიტუტში. ასწავლიდნენ.

და მაინც:
სადაც იქავე უნდა ყოფილიყო „როტონდა“.

მაინც იქ გვერჩინა.
ცოტა დაბალი კარი ჰქონდა. ღამის რო ცხრაკეცად მოხრილიყო გედონ ნაგროზაშვილი უკვე თეატრს გადაეწვევი. და ვერეც გახლდა, როგორდაც ერთგვარი ბოქემა იყრიდა თავსა: ლიტერატურებისა, თეტრისა, სამხატვრო თუ სამუსიკო სასწავლებლებისა.

ნოდარი ისარივით ჩაეშვებოდა ხოლმე. არაფერი არ ეპატარაებოდა ნოდარსა.

პატარა სასაუზმე გახლდამთქი, სულ რამდენიმე მაგიდა ეტეოდა და ერთიმეორეს მოვადგამდით იმასაცა. ველარც ველარავინ ჩამოდიოდა. სწორედ ეს გვი-

ნდოდა და ეპოვეთ კიდევაცა თუ რო მართლაც რო ეს გვინდოდა.

ოლონდ ესაა, რო აკვითვალისწუნა მებუფეტემა. ანთუ ეგება, გამგეც რო ის გახლდა, მზარეულიცა, მებუფეტეცა, რალა თქმა უნდა. პატარა სასაუზმე იყო, სახელდახელიო. ჩამოდიოდნენ და მიდიოდნენ. სწრაფადა. სწრაფადა. შესჭამდნენ და იხდიდნენ, — მიწოდებას ვერ ასდიოდა, ფულის მიღებას ვერ ასდიოდა. ამაზე აეგო შემოსავალი, გეგმაც ამაზე, მოგებაცა, თავისიცა და სახელმწიფოცა, მებუფეტესა რალა თქმა უნდა. ჩვენ ჩავიდოდით და ჩერდებოდა ავტომატი. ლექსები არ ითვლებოდა გეგმაში, არც ლამაზი სადღეგრძელოები არ ითვლებოდა გეგმაში, მოგებაშიც არა, საკუთარ მოგებაში მებუფეტისა. ჩერდებოდა ავტომატი. ვეღარას ავსებდა ჩვენი დანახარჯი, რაც უნდა მეტი ეანგარიშა, რაც უნდა მეტი, ვეღარას ავსებდა და აკვითვალისწუნა მებუფეტემა.

როგორ არ ვეფერებოდით, — სადღეგრძელოები ქო თავისთავადა, ლექსებიც უძღვნეს ახალგაზრდა პოეტებმა, თვით ნოდარ აღნიამაც უძღვნა ლექსი, გედღონმა საკუთარი სკაში დაუღვა. თეატრში, ვაჟა ფანულია კარებშივე შეეგებებოდა, რო არ შეეყოვნებინა მებილეთუსა, — მაინც არაო, არაფერი სჭრიდა, რახან ერთი აკვითვალისწუნა, აკვითვალისწუნა და აკვითვალისწუნა. იმის გახალისებას ეუნდებოდით, გვიხაროდა თუ გაიცინებდა, იმდენ სადღეგრძელოსაც ვეუბნებოდით, რამდენსაც რო გაიცინებდა.

ვალეო არჩეაძე ჰხატავდა და ჰხატავდა: თუ როგორ გაიცინებდა თუ როგორ ჩამოსტიროდა ცხვირპირი, ჰყატავდა და უძღვნიდა, შეინახეო, შეინახეო, ვინ იცის როგორ გამოვადგესო. მაგრამ არაფრად არ ავღებდა იმ ნახატებსა ის ჩვენი ლიბიონი და არც ეს ჩვენი მოდილიანი არ ეშვებოდა. უფრო კარგადა რიედებოდნენ ბევო და ფიროსმანიო.

და ერთიცა ენახოთ, გამოცემული და გვებდა ერთ მშვენიერ ღრუბელს, მშვენიერ „როტონდაი“. ფირნიშიც მოეხსნათ. აღარც ის ჩვენი ლიბიონი შეგვებედრია სადმე. აღარც გვიძებნია, „ჯიგარხანაში“ გადავინაცვლეთ.

სახელი თავისთავად შეერქვა.

სადგურის უბანში გახლდა. ჯიგარხანა წავმდნენ. ნეღლი თევზი ჰქონდათ. თევზს ჩუმადა ჰყიდნენ, „უფატურო საქონელი“ ერქვა, ისჯებოდნენ თევზით მოვაჭრენი, „იოლი გამდიდრების მოყვარულები“ ეწოდებოდათ, ისჯებოდნენ ჩუმადა ჰყიდნენ. ჯიგარი საფარი გახლდა. თუშცა რო შეწვის ნებაც რო არა ჰქონდათ, — ყურმა უნდა გავკეთებინათ, ანთუ „გულიაში“, საერთო სტანდარტები როგორც რო დართავდნენ ნებასა. ჩვენ გვიწვავდნენ. დიდი პატივისცემა გახლდა. ლექსებიც უხაროდით, თეატრში ისეთი საპატიო შეხვედრაცა. ოლონდ უფრო ის უხაროდით, რო არ დასჯიდნენ, ჩვენი გულისთვისა, რახან რო ღვიძლს შეგვიწვავდნენ, რო აპატიებდნენ, როგორი რევიზიაც არ უნდა დასხმოდით თავსა. თევზსაც მოვკართმევდნენ, ოლონდ ეს უნდა თავზე აგველო, ვითომ რო გარედან შემოვიტანეთ. მაინც ეშინოდით, მაინც აცეცებდნენ თვალებსა, მგონია, რო მჭირებიც ვყენათ გზაჯვარედინებზე. ამოისუნთქავდნენ რო გაჰყიდნენ უკანასკნელ შეხვევასა, — თითო კილოგრამად რო შეეხვიათ თევზი, — ამოისუნთქებდნენ, მიწყნარდებოდნენ ცოტა ხანსა, ალბათ თუ ითვლიდნენ თავნსა და მოგებასა, რაც იყო ცოტახანს მიწყნარდებოდნენ, მერე: ანთუ დაგვეწვევოდნენ, ეს ხანდახანა, უფრო წავიდოდნენ თავიანთ გზაზედა. როცა რო გვენება, ჩვენ მაშინ დაეტოვებდით იქაობასა. კარს გავიხურავდით, თავისით იკეტებოდა.

მართლა რო „ჯიგარხანა“ იყო.

თავისი ნიშანიცა ჰქონდა ამ შეკრებებსა: არტალაზე როგორა ხარო, შეეკითხებოდნენ, ვაცივითაო, უნდა ეპასუხ-



ნა, ლუარსაბისა არ იყოს. ასე იწყებოდა, თავდებოდა ასე ხალისითა.

და აი ერთ დღელს დერეფანში ინსტიტუტისა, ფანჯრის რაფაზედა, ფურცლები დაფინა თედო უთურგაიძემა. ძილი გამიტყდა წუხელისაო. ნახე, აი თურა შევაღვინეო. იცინოდა. მეც მაინებდა ასე წინასწარა. ძილი გამიტყდაო. გაუტყდებოდა.

თუში ვარო, გვიხხნიდა, კენახი ჩვენიში ახალი კულტურაო, ღვინოს ნუ დამაძალებთო.

არც აძალებდნენ რაღა თქმა უნდა. ისე მაინც შეუძახებდნენ. შეუძახებდნენ. შეუძახებდნენ. ისიც აყვეებოდა ცოცოტაობითა. გაუტკბებოდა ხოლმე და ეტყობა, რო გართობა სცადა, რახან რო გაუტყდა ძილი: ჩამოეწერა და ჩამოეწერა, — ესაო და, მეარტალეთა საზოგადოებაო, ესაო და, პრეზიდენტიო, ესაო და, მრჩეველთა საბჭოო, ესაო და, დავთარხანის გამგეო, ესაო და, მოღარეთუხუცესიო... და მე მართლაც კამიტყდა სიცილი, ბოლომდისაც რო აღარ შევევეი. ამიტყდა სიცილი. მამინ „ბორაიყზე“ უკვე ვფიქრობდი და მოუუვევი თუ როგორ შეადგინა თავისი რუკაი ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავისი მოგზაურობის რუკაი: სად თუ მისულიყო, საიდან თუ სად გადასულიყო, ხალხური სიმღერები რო ჩაეწერა, და მერე ეს რუკა თუ როგორ ჩაუვარდათ ხელში ხელისუფალთა, თუ როგორ გამოიყენეს, თუ როგორ დასაჯეს უდანაშაულო ხალხი. ამიტყდა სიცილიმეთქი, სიცილით მოუუვევი.

დახია თავისი ფურცლები თედომ, ისე უთქმელადა, დახია, დაკუნა, დაახროვა ფანჯრის რაფაზედა.

ვალეო რამიშვილი წამოგვადგა თავსა, — ვალერიანი რაღა თქმა უნდა.

რა ამბავიაო, იკითხა ვალეკომა.

„გამოთხოვება ბავშვობანასთანა...“

მიუგო თედომ. მოხვეტა ნაკუნები.

წაიღო. ურნაში ჩაჰყარა.

„რა გეჩქარებოდათ?“

ვალეკომა თქვა. სინანულით კრწმუნული ბავშვობა რო ყველას ენახებოდა...

ოლონდამეთქი, მე მაინც თედოს რო არ ვეშვებოდი, შენ რო უფრო გამოცდილი კონსპირატორი იყვე, დასწავდიმეთქი. თითქოს რო აწრიალდა თედო. მერეც მივახედვებდი ხოლმე, ვანიშნებდი იმა ურნასა. მერე. მერე. ისიც რო მალე წამოვიდა, ნოდარ აღანიასი არ იყოს, მერე რო ისეც რო დაგვიბრუნდა, იქამდისა, რო მოითმინა ინსტიტუტის დახურვამდისა პედაგოგიური ინსტიტუტისა, მოითმინა, ბარემ მიყარა ერთი მუკა მიწაცა, ვალი მოიხადა ჭირისუფლისა. მოიხადა. აღასრულა. წმინდა ვალი.

მე მაინც ისეც იქ ვუბრუნებდი:

რექტორმა ისეც სიმონი არჩია. ოქმები ჰო, — მაგრამ ერთხელაც იქნებოდა ჩაუჯდებოდა სიმონიცა, სოსოსი არ იყოს, ჩაუჯდებოდა. კაბინეტი ჰო... უკვე შესაძებ პროექტი ჩამოეტანა კოლია კანდელაკსა: საოცარი რამ გახლდა... თვითონვე ბრძანებდა, ოლონდ ჯერ არ გამოეფინა საპროფესოროში, ჯერ უნდა რექტორს ვაჩვენო.

თითქოს რო ვედარც იცლიდა რექტორი, უთვლიდა: მე ისიც მომწონდა, ერთიც მომწონდა, მეორეცაო, მჯერა ეს უკეთესი რო იქნებო. გააკეთეთო. მაგრამ მანამდე, გაკეთებამდე, უნდა აეხხნა, უნდა დაემტკიცებინა, ეს იყო ეშხი კოლია კანდელაკისა, სიამოვნებდა ამითა, ტკბებოდა ამითა, მტკიცებითა ტკბებოდა.

სხვა ვერაფერი გაიტაცებდა. დაე თუნდაც რო უმნიშვნელო რამ ყოფილიყო, ოლონდ ემსჯელა, ემტკიცებინა. მნიშვნელოვანი თვით მსჯელობა გახლდა იმისთვისა, მტკიცება გახლდა მნიშვნელოვანი თვით მსჯელობა გახლდა იმისთვისა, მტკიცება გახლდა მნიშვნელოვანი, არსებითი, თორემ სჯანი მსჯელობისა, როგორიც უნდა ყოფილიყო, აღარ დაგიდევდა იმდენადა.

აი რო თუნდაც:

მე რო პირველად შევესწარი საბჭოს სხდომაზედა, ინსტიტუტისა, ჰო, ინ-

სტიტუტისა, ქალაქისა რო ყოფილიყო, მაშინ არაფერი, — ამტკიცებდა დიდის გულმოდგინებითა, რო საათი იმიტომ გამოუკონებიათ, დრო უწვევოსო, ხოლო თუ არ უწვენებს დროსა, მაშინ ის საათიც აღარ არის და როგორც არ უნდა ჰკავდეს საათსა, აღარც აღარსად არ უნდა იდოს, აღარც აღარსად არ უნდა ეკადოს საათის ნაცვლადო, — ამტკიცებდა, ასაბუთებდა ლოგიკური თანმიმდევრობითა, ამითი დაიწყო თავისი სიტყვითა და ამითი დაამთავრა, კატონისა არ იყოს: კართაგენი უნდა დაინგრესო, — საათი უნდა მოიხსნასო. საათი.

ის საათი იქვე ეკადა, ინსტიტუტის შესასვლელთანა, დიდი, ვეება, ქუჩის საათი, იქვე ეკადა და იქვე ჰკილია, და მე არ მახსოვს, რო ემუშაოს ოღესმე სწორადა, მე არ მახსოვს და არც არავის ახსოვს, — იგაფეს ამტკიცებდა კოლიაცა, არავეს ახსოვსო. ან იღვა, იღვა, იღვა, და იღვა უძრავადა წლობითა, წლობითა, ან დაიძროდა, აღბათ ისევე, თავისთავადა, და მოძრაობდა, როგორც რო ენება. და უნდა მოიხსნასო, მუშაობას გვიშლისო, ამტკიცებდა კოლია კანდელაკი. რა საკითხზეც არ უნდა გამოსულიყო, რაზეც არ უნდა ელაპარაკა, იწყებდა ყოველთვის უთუოდ ამგვარადა: რისთვისა ჰკილია ის საათი ინსტიტუტის კარებში?... რა არის საათი?... რისთვის გამოიგონა საათი ადამიანმა?... რა როლი მიეკუთვნება ადამიანის ცხოვრებაში საათსა... და როგორ შეიძლება რო მოშალოს ადამიანი მოშლილმა საათმა?... — იწყებოდა ასე, ასე ამგვარადა და აპხსნიდა მერე თანმიმდევრობითა, დაწვრილებითა, რო არ გამოსტოვებდა არაფერსა, ერთხელ რო ეთქვა, იმავე წყობითა, და თანმიმდევრობითა იმავეთი.

რექტორი ამაზე არაფერს უპასუხებდა, ანთუ ჩაურთავდა უბრალოდა: დავაფნეთ ეგ საკითხი ქალაქის წინაშე, დავაფნეთ და კიდევ დავაფნებთო, ასე ჩაურთავდა, ანთუ არაფერს არ უპასუხებდამეთქი. ვიმეორებ ამას იმიტომ,

ერთიორჯერ რო სცადა ფრანგულ რექტორმა: აქ ეგ არ არის მთავარი, მთავარი საკითხი დგას და ამაზე ვილაპარაკოთო, — სცადა და არ გამოუვიდა, ვილაპარაკოთო, თავის ბერძნულ მოექცა ნიკოლოზ კანდელაკი და ილაპარაკა და ილაპარაკა, ვიდრე არ მივიდა მაინც იქამდისა, რო წესრიგია ხაფუძველი ყოველგვარი საქმისა, ყოველგვარი მოქმედებისა, ხოლო წესრიგი შეუძლებელია იქ, სადაც დროა აღრეულიო. მივიდა და მივიდოდა მაინც იქამდისა, დაინარჩუნებდა ბურთსა და მოედანსა, ლამის დაკარგავდა სხდომის სადავესა რექტორი, — და აღარც აღარას ჩაურთავდა, აღარც აღარასა ჰპირდებოდა, აღარც აღარას უპასუხებდა, არც იღიმოდა, არცთუ დრამატულსა თუ ტრაგიკულ იერს მოიერთავდა საბუხედა, უსმენდა დინჯადა, მოთმინებითა, ვითომდა დიდი გულსიყურითა, იქამდე, ვიდრე რო სხვეები დაკარგავდნენ მოთმინებასა. აცდიდა. შესცქეროდა. ვიღაცა მაინც შეუძახებდა დარბაზიდანა კოლია კანდელაკსა. ის მაინც თავისას არ დაიშლიდა, მაინც მივიდოდა იქამდისა: უნდა ჩამოიხსნას!.. უნდა ჩამოიხსნას! — მივიდოდა და გამოსცემდა ბრძანებასავითა. მაგრამ და რაო, — კართაგენი დაინგრა, იმას არაფერი ეშველა, იმ საათსა რაღა თქმა უნდა, კოლია ისე დაიღუპა, რო არაფერი ეშველა, ჰკილია ისევე, ისევე ისე. უქმი და უმაქნისი, ჰკილია და ეკიდება ისევე, რო არ ეშველა და არც არაფერი ეშველება არასოდესა.

კოლია ისე დაიღუპამეთქი...
მოულოდნელად დაიღუპა, მოულოდნელადა.

უცებ დაიბნა, უცებ შეიპყრო მელანქოლიამა, უცერად გამოიცვალა კაცი, გამოიცვალა. ტრაბუნა უხაროდა, მსმენელი უხაროდა, აუარებელნი ყოფილდნენ თუ თითოთროლანი, უხაროდა არც რო აუარებელი აკლდა, არც რო ეზამუშებოდა თითოთროლანი; ჰყვებოდა ერთგვარადა, ერთნაირი გატაცებითა, ჰყვებოდა და ეხიბლებოდა თვითონაცა,



რო მხიბლავდა მსმენელთა, — მხიბლავდა მსმენელთა, — მხიბლავდა, მხიბლავდა, მართლაც რო მხიბლავდა ჭეშმარიტი ისტორიული ხელოვნებითა; პო მოგვკლებოდა ამგვარი ხელოვნება, — მოგვკლებოდა და ის აღავსებდა, ანთუ აღადგენდა და რაზან რო აღარც სკოლა არსებობდა საამისოდა, აღარც რო აღარსად მასწავლებელი მოიძებნებოდა და აღარც რო მოწაფე გამოერეოდა სადმე, თვითონვე იქცა სკოლადაცა, მასწავლებლადაცა, მოწაფედაცა.

მხვეწავდა ხმის კილოსა, — ბუნებისგანაც მიამიჭებოდა ხმაი იმდაგვარი, მჭვერმეტყველური, მაინცა მხვეწავდა, ზომავდა მახვილსა, სიმკვეთრესა და განლაგებასა მახვილებისა; ირჩევდა ღვოშასა, ამოწმებდა, ეკითხებოდა; და ხუმრობდნენ ლექტორი ქალები, რო ჩააცივდებოდა თურმე: პო მოგვწონეთო, პო კარგად ვიდექო, ეგება ცოტა პროფილითა სჯობდეს, ისე შემომხედეთ, ისე უფრო თუ მოგვწონებთო, პალსტუხი თუ მოგწონთ, ხელები პო მოგწონთ, პო კარგად მიჭირავსო, ხუმრობდნენ ქალები, უნდა რო ვდნებოდეთ, ისე მოვიხიბლოთ რო შევხედავთო. ხუმრობდნენ ქალები.

ხუმრობდნენ და მართალიც გახლდა, შთამბეჭდავი რო უნდა ყოფილიყო ორატორი რაღა თქმა უნდა, შთამბეჭდავი, გარეგნულადაცა, მეტყველებითაცა, ველაფრითა, ველაფრითა, იცოდა და ეშხადებოდა ასედაცა ყოველი საჯარო ლექციისათვისა რო ცალკე, საერთოდაცა, თუმცარო არც მოსდებოდა ზედმეტი არაფერი, არც არა მოჰკლებოდა თვალისათვისა. თვალი სჭამს და თვალი ჰყლაპავსო.

არაფერს მოკლედ არ გამოხსიქამდა ჩვეულებრივ საუბარშიცა, უნდა აეხსნა უსათუოდა, გაერჩია, დაემტკიცებინა, უსათუოდა, უსათუოდა, რაც უნდა უბრალო რამ ყოფილიყო, რაც უნდა ნათელი რამ ყოფილიყო, არა იმიტომ, თითქოს რო მაინც დამტკიცება უნდოდეს ისედაც ნათელსა, არა, არა რაღა

თქმა უნდა, ნათელი ნათელიცა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ხედვებისა, ინც ისაა, ისა, ხელოვნება ისაა, ის ახსნაა სინათლისა, ის ტრფიალია სინათლისა, ის აღტაცებაა სინათლითა, სიტყვას რო ძალუძს, ზოლო ეს არ მიიღწევა დუმილითა, არც ორიოდ სიტყვით არ მიიღწევა, არც რო მხოლოდ შორისდებულებით არ მიიღწევა, — მჭვერმეტყველებით მიიღწევა, სიტყვით მიიღწევა, სიტყვათა ელვარებითა, სიტყვითა, სიტყვებითა, სიტყვათხელოვნებითა; და იდგა ყოველთვის ასე, საჭრეთელი და ჩაქუნი რო ეყვრა ხელთა მოქანდაკესა ვითა, ყოველთვისა, ყოველთვისა, იდგა და ჰქმნიდა სიტყვებითა ქანდაკებასა, ჰქმნიდა და ჰქმნიდა, ყოველთვისა, ყოველთვისა, დიდსა თუ მცირესა, სულერთი გახლდა, ოღონდ ფორმაში ყოფილიყო, ოღონდ რო ფორმა არ დაჰკარგოდა, როგორც რო სპორტსმენები იტყვიან.

და ასეც გახლდა, სულ ასე იყო: ორატობდა ორ კაცთანაცა, ორასთანაც — პო რაღა თქმა უნდა.

და მერე გვეყვებოდა თუ როგორ ახდედნენ მსმენელები, თამარზე რო ელაპარაკებოდა, დავით აღმაშენებელზე რო ელაპარაკებოდა, რუსთაველზე რო ელაპარაკებოდა, გურამიშვილზე რო ელაპარაკებოდა, ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე რო ელაპარაკებოდა, ამოწმურავი რო გახლდა ეს ჩვენი კურთხეული ლიტერატურაი თუ ისტორიაი, რო არც ეგონა, რო ამოწმურავდა და რო არც ის ეგონა რო ამოწმურებოდა ანთუ თვითონა, არა, არ ეგონა. ზოგჯერ ვერ ასწრებდა შინ დაბრუნებასაცა, პირდაპირ მოდიოდა ინსტიტუტში, პირდაპირ საფურო ლექციებიდანა, რაიონებიდანა, მთელს საქართველოს რო მოჰყენოდა იმიხი ლექციები, მართლაც რო სრულიად საქართველოსა, — პო ვერ ასწრებდა შინ დაბრუნებასაცა, ინსტიტუტში რო არ გახცდენოდა საათები. და რო მოვიდოდა, და რო მოვიდოდა, ვერ იფიქრებოდა, ნამგზავრიაო, არც სამოსზე არ შე-

ეტყობოდა, არც დაღლილობა არ შეეჭვობოდა.

იღვა გაშლილი, მხრებში გაშლილი, ასე უნდაო, და ფოველთვის იღვა, — სიტყვა დგომელა უნდა ითქვასო. ღაბაბს დაძღა არ დაუშვებდა, სიტყვასაც აკლდება ელფერიო, მსმენელსაც ღიმილი მოერევიაო.

და აი მივდექ... მივდექ, ღამის რო კოდექსი შევადგინო ორატორული ზელოვნებისა, მაგრამ ეს არ მინდა რაღა თქმა უნდა, აქ ეს ამდენი საჭიროც არ არის, როცა სხვა მინდა — აღვადგინო სახეები იმ ადამიანთა, იქ რო დამხვდნენ, უმთავრესად იმ ადამიანთა, თავიანთ საქმეს რო შეეფერებოდნენ, ლექტორობა რო შეეფერებოდათ, ინსტიტუტს რო შეეფერებოდნენ, თუმცა განსხვავებულიყვნენ ბუნებითა, ხასიათითა, განსხვავებულიყვნენ, მაგრამ საქმეს მინც შეეფერებოდნენ, შეეფერებოდნენ სტუდენტებსა აღმზრდელებადა, მასწავლებლებებადა, უმთავრესად იმ ადამიანთა; და ისე ვატყობ, ბევრიც გამოძრება იმათგანაცა, როგორღაც ისეთი რკალი მოკვეება, როგორღაც ისე მოიყრის თავსა, ბევრიც გამოძრება; კომპოზიცია ისეთი მოსდევს, გამოძრებიან, რა უყუოთ შერე. — ეგება ისევე მიუბრუნდე აქვე თუ არა, სხვა ადვილასა. ეგება ვინ უწყის.

ჯერ იმას ვამბობდი:

და იღვათქი, იღვა, იღვა, სულ ფეხზე იღვა, დამჯდარს ვერ წააწყდებოდი, და სადღაც ის იღვა, სიტყვაც იმას ეპერა, ანთუ ადვილადაც ვერავინ ჩამოართმევდა სიტყვასა. ვერა, ადვილად ვერა. ვთქვათ სოსო თუ ჩაერეოდა, ისევე სოსოი, მოთმინება რო არა ჰყოფნიდა, მაინც მოუჭრიდა, მაინც წართმევდა სათქმელსა, მაინც თვითონვე განაგრძობდა:

მართალიაო ვდგევართო. მატარებელს ველოდებითო, ჰყვებოდა კოლიაი. სოსო ცხარობსო, პო სულა ცხარობს, ცხარობს და ცხარობს სოსოი, ცხარობს და იღანძღებაო, იღანძღება და ჰყვირისო, პო სულა ჰყვირისო, და-

ლაგებული ღაბარაკი ამისა... ჰყვირისო ღილი, ჰყვებოდა კოლიაი, ჰყვირისო და ჰყვირისო: — შე უეციო, შე უგნურო, ამდენი როგორ ვერ გაგვეგებო, ჰყვირის ამასაო, მერე უფრო მომიახლოვდება და ჩურჩულით მეტყვისო: ასე ვუთხარი დეკანსაო, ჰყვებოდა კოლიაი, მე ვიციანი, ვიციანი, სოსო ისევე განაგრძობს ყვირილსაო: არაფერი შენ არ გაგვეგება, ვერც გაიკვებ ვერასოდეს ვერაფერსა და იმდენი ჰქუაც არ მოგვაპოვება, შენთვის რო ვგდო, უაზრო ბრძანებებს რო დაანებო თავიო, ჰყვირის ამასა და მომიახლოვდება, ტუნებს მომიტანს ყურებთანაო, ასე მოვახსენე პროექტორსაო, ჰყვებოდა კოლიაი, მე ვიციანი, ვიციანი, სოსო ისევე თავისას გაჰყვირისო: იმასაც ვვახლებიო, იმასაც არ დავაკლებ თავისასაო, ასე მოვახსენებო, შე დათვო, დათვო, ემაგხელა თავი რო გაბია, იმდენი ჰქუა როგორ არ გიდექს შიგა, რო მიძხვდე, ვინ სად დასევა, ვის რა საქმე ჩააბარო, ასე ვეტყვიო, ასედაახეო, უარესსაც ვეტყვიო, შე დათვო, ჰყვებოდა კოლიაი, შე დათვო, და მე მაძხენს თითსაო, ძლივს გასაგონად ყურშიც ჩამახებესო, — რექტორსაო, ასე ვეტყვიო... მე ვიციანი, ვიციანი და შემოგვეყურებს ხალხი, მატარებლის მომლოდინე ხალხი, შემოგვეყურებს და ვერ გაუგია, ან ეს თუ ვინაა, ასე რო მღანძღავს, ანთუ მე ვინა ვარ, ასე რო მღანძღავს და ვიციანი, ვიციანი, მიხარიან, ღამის ცას ვეწიო სიხარულითაო, ჰყვებოდა კოლიაი. თვითონვე ჰყვებოდა.

დიდხანს ვერ მიუხვდიო, ჰყვებოდა კოლიაი, როგორც იქნა მიუხვდი ამდენსა და ახლა გაურბივარო, სოსო თუ ჰყვირის, მე ვიძალეები, შორიახლოს ვერ ვეკარებიო, ჰყვებოდა კოლიაი და უხსნიდა სოსოსა, ეს უკვე ინსტიტუტში რაღა თქმა უნდა: როგორ შეიძლება რო ყვირილით დაიწყო ღაბარაკიო, ყვირილით შეიძლება დაამთავრო, ანთუ დროდადრო გამოურეო, დაწყება არ შეიძლება ყვირილითაო.

შენი გაკვეთილები შენთვის შეინახე, მაინცა ჰყვიროდა სოსო ხარშილაძე, მე ციცერონობას არ ვაპირებო, როგორც რი მარუხებს ხმაც ისე მერჩისო.

და აღარ გვეოფაო, მაინც ურჩევდა კოლიაი, მოულა უნდა ხმასა, ზომიერად უნდა გამოიყენო.

სასაცილოდ არა ჰყოფნიდა სოსოსა, — მოვლიაო, რომელი ვანო სარაჯიშვილი მე გვინივარო. ვჰყვირი და ვერაფერს ვაგონებ, ჩურჩულით, ვინ რას გამიგონებსო. არა, არ გამოადგებოდა სოსოი მოწაფედა კოლია კანდელაკსა, არ გამოადგებოდა, სხვა სტილისა თუ სხვა სკოლის ორატორად თუ მიიჩნეოდა, — რი დიწყებდა მღელვარება, თავიდანვე, ვერევე გავიდოდა ბოლომდისა, მღელვარება, მღელვარება ლამისა რი იქვე დაირღვეს, იქვე დიშალოს ნაწილებადო, იქვე დაიგლიჯოს თუ დანაკუწდესო, ხელებსაც რი ისევე იქნედა, რი ივრიბებოდა თუ იწვლებოდა მთელის ტანითა, რი ეცვლებოდა სახეი ისე, ზოგჯერ რი ველარც შეასწრებდი თვალსა, შუბლი ხად მოექცა თუ ნიკაბი სადაო, ტუჩები სადა აქვს და სიტყვები საიდან ამოიფრქვევაო.

ეს რი კამათის დროსაო, ანთუ რი ჰყვებოდა, თუნდაც უბრალოსა, უმნიშვნელოსა, ლექციის დროსაცა, სტუდენტებთან ლექციებისა, — და აბა რას გაიზიარებდა კანდელაკის ორატორულ პრინციპებსა, — არ გაიზიარებდა. არც იმის ზომიერებისა თუ სრული წესრიგისა თუ კომფორტისადმი მიდრეკილებას გაიზიარებდა. არ ვეთანხმებო, მტკიცედაც განუცხადა. და ჩამოუხსნა სოსოს წრთენასა ნიკოლოზ კანდელაკი.

ისე ვერ გასძლებსო. მოწაფე უნდა. სკოლა უნდაო. ერთობოდნენ.

ერთხელ ნესტორსაცა წვრთნიდაო. იყო ასეთიცა: ნესტორ შექვაბიშვილი. ვერაფერი გააწყო, ვერაფერი ვერ ჩაა-

გონაო. ერთობოდნენ. ბედი არა აქვს მოწაფეებშიო, არისტოფანეს სიტყვააო, სი არ იყო სო. ერთობოდნენ.

მოაგონებდნენ და თვითონვე ჰყვებოდა ხოლმე:

მეცოდებაო. ვეფერებოდო. რი დაბრუნდაო. ქუთაისის ინსტიტუტიდან აივანებს... და გორს დააბრუნეს. მოტეხილიყო. დაჩაგრულიყო. მეცოდებოდაო. თანავეუკრძნობდო. ლექციების მერე სადილად ევაპტირებოდო, კვირაში ერთხელა ვხვდებოდით და ეს იყო მეტი თანაგრძნობა თუ მეტი პატივისცემა არ მიხერხდებოდაო. ჰყვებოდა კოლიაი. ვსადილობდით, სადილს როგორც შეეფერებოდაო, ღვინოს მხოლოდ ერთ ბოთლს ვითხოვდი, ერთადერთსაო, ვჯერდებოდით ამ ერთ ბოთლსაო. ეს წესი დაედით, ამ წესს ეადექითო. ერთხელ მეორეც მოვიტხოვეო. თუ რატომაო, არ ვიციო. ეშმაკი შემიჯდა თუ ეგ გასწირა ღმერთმა, არ გამეგებო. მეორეც მოვიტხოვეო. მეორეც გამოცვალეთო და ეტყობა, მეტი მოუვიდა, აილენა ეს ჩვენი ნესტორიო, აილენა და ფეხზე წამოიჭრაო, ფეხზე წამოიჭრა და აყვირაო: ძუნწი ხარ, ძუნწი ხარ, ძუნწი ხარო. მთლად რესტორანი ჩვენ მოვკაჩრდაო. მზარეულებიც გამოიჭრნენო.

დაჯექი, ვეხვეწებიო, დაჯექი და წყნარად მითხარი, რა დაგიშავე მეთქი. ვუხვეწებოდით.

არაო, ჰყვირის, ქვეყანამ უნდა გაიგონოსო, რა კაციცა ხარ, რა ძუნწიცა ხარო.

რადაო, რა დაგიშავემეთქი. ვევედრებიო.

რადაო და იმადაო, ერთ ბოთლს რი იტხოვდი, რა იყო ის ერთი ბოთლიო, რატომ მეორეც არ მოგქონდაო.

მაგიტომამეთქი, ჩემი ნესტორმეთქი, ვერე რი არ გაგიქებულეივაი და სადილიც არ დაგეკარგამეთქი. ჰყვებოდა კოლიაი, ჰყვებოდა და ნანობდა, რაზე დაპკარგა სადილიო. აღარც დამიპატიენია იმის მერეო.

ჰყვებოდა კოლიაი და ერთობოდნენ:

არაო, არაო, მიუტევებდი მაგასაო, მაგრამ მოწაფედ არ გამოვადგაო, ვეც სხვა სკოლაა, სხვა სტილია. სხვა ხელისუფლებაო. ერთობოდნენ. ერთობოდა კოლიაცა. ურჩევდნენ და ურჩევდნენ მოწაფეებსა და ერთს ურჩევდნენ ისეთსაცა, რო ვერ გაიგებდი, რა ენაზე ლაპრობდა, ვერ გაიგებდი, ვერ გარჩევდი, იყო ასეთიცა, ლექტორთა შორისა რაღა თქმა უნდა, იყო ასეთიცა, ნუ გაიკვირებ, იყო ასეთიცა. უარესი არ იყო რო?..

ინსტიტუტი მაინც უკეთესად მოხჩანდა, უკეთესადა თუ საუკეთესოდა, საუკეთესონიც რო ბრძანდებოდნენ ინსტიტუტში, ანთუ ვიდრე რო ისინი იყვნენ — საუკეთესონი, საუკეთესონი რო სჭარბოდნენ ინსტიტუტში, საუკეთესოდაც მოხჩანდა ცხადია და რაღა თქმა უნდა. მერე?.. კი მერე?... მერე... არაფერი.

მარტო კაცი პურიჭამამიც ბრალიო და მერე უფრო ახალგაზრდებს მიეკვდლა კოლია კანდელაკი, — ბატონი კოლია, როგორც რო მიმართავდნენ ახალგაზრდა მეგობრები. მიმართავდნენ თავზიანადა და უხმენდნენ აგრეთვე თავზიანადა სოლომონ ლიონიძის სიტყვასა მეფე ერეკლეს დაკრძალვაზედა, უხმენდნენ და უხმენდნენ თავზიანადა და მოთმინებითა, რადგან რო ასე გრძელდებოდა დიდხანსა: ჯერ რო გადასწყვიტა რო გამოეცა, მერე რო შეუდარა ვარიანტებსა, მერე რო შეადგინა კომენტარები, მერე რო გადასცა გამომცემლობასა; მერე რო იღო და იღო გამომცემლობაშია, მერე რო ვიორგი ლეონიძე უსაველურებდა, — სოლომონი ლეონიძეა და არა ლეონიძეო, შენ როგორც რო ავიხიარებდით, მერე რო ამტკიცებდა, კოლია კანდელაკი ცხადია, ლეონიძეა და არა ლეონიძეო, მერე რო ისევ იღო

გამომცემლობაშია, ვიდრე რო კრწმევენიო აღიო ადამიანსა, თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის მაშინდელ მესვეურსა... მერე რო... მერე რო... მერე რო...

მერე და მერე, რო გაგრძელდა ასე დიდხანსა, რო ვეღაფერსა ჰყვებოდა მერე, ჯერ რო უთუოდ წარმოისთქვამდა სოლომონის სიტყვასა და წარმოისთქვამდა ყოველთვის სხვადასხვანაირადა, ალბათ რო ეტებდა მაშინდელ ხმასა, მაშინდელ კილოსა, კნესისა თუ ტკივილის მაშინდელ კილოსა, ხმის დუღილსა სოლომონისა ერეკლეს ცხედართანა. უთუოდ წარმოისთქვამდა.

ზეპირად წარმოისთქვამდა რაღა თქმა უნდა. ზეპირად დაისწავლეს იმისმა ახალგაზრდა მეგობრებმაცა, მაინც უხმენდნენ მოთმინებითა, ვარიანტულ სხვაობებსაც რო მოადევნებდა, კომენტარებსაც რო მოადევნებდა თანმიმდევრობითა და სრულყოფილადა, — უხმენდნენ, უხმენდნენ მოთმინებითა, ვიდრე შეთვრებოდნენ; და რო შეთვრებოდნენ, რო აქშლებოდათ საღერღელი ლაპარაკისა სხვებსაცა, კოლია მოიწყენდა, მოიწყენდა, თუმცა იცოდა, რო არ შეიძლებოდა ჭმუნვის დარები ორატორის სახეზედა, სწორედ ისეთი ორატორისა, თვითონ რო გახლდა, — უფრო საელჩო ორატორისა, საზეიმო ორატორისა, ყოფოდა გამეორება სოლომონისაცა, აღარ შეიძლებოდა რო დაჰღაროდა ის ისე გადაკრიალებული, გადატკეცილი სახეი, არ შეიძლებოდა, იცოდა და მაინც მოიწყენდა, ახსოვდა და მაინც მოიწყენდა, გასძლებდა აგრე თუ გასძლებდა რაღა თქმა უნდა, თუ ვერ გასძლებდა, გაეცლებოდა ბოდიშობითა, თუ გორში გახლდნენ რაღა თქმა უნდა, თუ გორს გარეთა: აიხიარებდა, წავიდეთო, აიხიარებდა.



ამიტომ ვეჭვობ

რად გაუუჯერდე საკუთარ თავს — ამ მარტოხელა სიმარტოვეს.
რა დაეყვებო?

რა მიქნია მე მისთვის კარგი?

ამრავლა სეველა, სამშობლოში რაც დაახვედრეს —
ღვთისმშობლის მიწა — ცრემლითა და სისხლით ნაქარგი.

რად დავეძღურო საკუთარ თავს, რისი გულისთვის?

როს სადღაც ჩრდილში შეყუჩულისთვის,
წინ წასადგომად ერთხელაც არ მიკვრია ხელი,
სულ უკან-უკან ვეჭაჩებოდი
და ერთადერთმა მე ვიცოდი მისი სახელი?

ამიტომ ვეჭვობ: არაფერს გვევდრი,
თუნდაც ქვეყნიდან გადაიკარგო,
გაიპოე, კარგო, რადგან ხარ ერთი,
ვინც აუპაღლე და გავეიტოლე,
ვისაც ვაგეშე სიმწარის გემო, —

რისი ყვედრება? რა საყვედური?
მე შენ კიდევაც მომწონხარ, ჩემო.

ოღონდ გათენდეს

თეთრად ნათვეო ღამეებო,
რა პოეტი ვარ — თქვენ არ გიცნობდეთ!
მძინარე ქვეყნის

შვედარ სიხუმეში
არ გრძელდებოდეს ჩემი სიცოცხლე.

თეთრად ნათვეო ღამეებო,
ფიქრის საბანში გამოხვეულნო,

მძიმე ღღებების ორეულებო,
შავად ნაწერო ჩემო რვეულო, —

მე თქვენ ღამაზად გადაგათეთრებთ,
ოღონდ გათენდეს,

კარგად გათენდეს!

აი, ეს არის!

ო, უტიფარი პირველობის მელიდურობაჲ!

ო, პირველობაჲ — ელეთ-მელეთო

ნამოუარდნაზე მიმდგარ ნაყოფის!

ოი, პირველო! ჭკუათმყოფელის

შმაგ სიგიჟემდე მისულო ვნებაჲ!

ო, მახვილივით მიშვერილო თითო — ძახილით:

„აი, ეს არის“!

N-ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენზე ნაკლებად სურნელებას ქართული
სიტყვის,
ქართული სიტყვის ფერს და გემოს
შენზე ნაკლებად,
მის სილამაზეს, მის სიცოცხლეს,
თუნდაც მის სიკვდილს
ვინც გრძნობდეს... რა ვთქვა?
ბილწი სიტყვა ხელში მაკვდება.

მეწერელის კორაუსი

მავანთა და მავანთა გასაკონად

ეზი მოწყენილი.
მარტო ვარ.
შორს შთებს გავეურებ ნათოვარს.
ვიღაცამ დააკაკუნა —
კარი გაუღე მათხოვარს.

ის სხვა კარისკენ წავიდა,
მე ცოცხალ-მკვდარი დამტოვა;
შემოვბრუნდი და გულში ვთქვი
(ეზი ცოცხალ-მკვდარი,
მარტო ვარ):

ფული მთხოვა და არ მქონდა,
ერთი თეთრიც კი არ მქონდა!
ისეთი სახე მივიღე,
შევეცოდე და გამშორდა.

აქ სად მოხულხარ, ბედკრულო,
აქ ხომ მწერლები ცხოვრობენ,
თუმც კი შენს დღეში არიან,
შენსავეთ ვერ მათხოვრობენ.

პალაღი

სიყვარული ხომ დაგვიზრა,
როგორც ვვაკილი ჭრელგულა,
სირცხვილიც გაქრა —
აქ მისგან
არავინ გაწითლებულა.

ჭაბუა აპირეჯიბის წიგნში —

„პორა მპორბალი“

გორა — გორაა!
რალაა ეს გორა მპორბალი?!
გორა თუ ბორბავს,

ოქ ცეცხლი დულს ამოსადული,
ამოიფრქვევა ლავა ცხელი და ბობოქარი
და ამობუგავს, რაც რამ არის ამოსაბუვი!

მაგრამ ეს ცეცხლი თუ გულშია მხოლოდ მპორბავი?
მაგრამ ეს გორა თუა მხოლოდ ერთი ჭაბუკი?
თუ უკუღმართად ბრუნავს მისი ბედის ბორბალი
და მის ქაღალქსაც სისხლიანი მტკვარი წაუღის?



ქართველი
წიგლიერები

უნდა იაროს მამინ გორამ
თავის ნებაზე!
ჩამოიშოროს უნდა გზიდან ყველა სატანა!
ამ მტკერის ბუტბუტი ვადათარგმნოს კაცის ენაზე
და ცივი ზამთრის ვინულებიც მტკვარს გაატანოს!

ახეც მოიქცა ერთი კაცი
გვართ ორგვართ —
გადარჩენილი თუთამხია — გორა მბორგალი!

ქარი და მუნა

მუქართ, შლივინ-შლივინით
ტყეში შევარდა ქარი,
უმალ მუნას სწვდა ქოჩორში,
მუნამ მოსტეხა მხარი!

ტყიდან ლასლასით გამოსულს,
კლდე გადმოსძახებს ხალი:
რა შენი ხალლაბუცოა,
ქარო, ხე ნამეხარი?!

ჩვეულებრივად

ჩვეულებრივად ვათენდა დილა,
დაიფშენა ღამე, ვით შავი ღოღი
და შეატოკა ნიაქმა ფრთხილად
აყვავებული ალუბლის ტოტი.

წითელ ბურთივით მზე მთაზე იდო
და ცის კალთები ისწოდნენ აღში,
ჩვეულებრივად შეენოდა მინდორს
მწვანე ბალახი, ყვავილი, ბაეშვი.

სულ არაფერი იქ არ შეცვლილა,
ჩვეულებრივად ბორგავდა ზღვისებრ,

ჩვეულებრივად ძვრდა ეს გული,
ჩვეულებრივად უვარდა ისევ.

მერე საღამო მოვიდა მშვიდი,
ჩვეულებრივად ჩამოწვა ბინდი;
ჩვეულებრივად დაღამდა ეს დღეც,
თავის ბუდეში სულდგმულნი შესხდნენ.

ყოველი მოხდა ჩვეულებრივად,
გამეფდა ღამე კვლავ ბუნებრივი,
ჩვეულებრივად, ჩვეულებრივად
ცა იყო...

არაჩვეულებრივი!

კველი ბარათის კითხვისას

ნეტავი იმ დროს,
როცა ამ ბარათს
გზავნიდი ჩემთან
მთრთილვარე ხელით,
როს სიყვარულის
წვარო ანკარა
აბობოქრებულ ზღვას ჰკავდა
დეღვით;

როცა ვეიფვარდა,
ვეჯეროდა, ვწამდა
ცა უნათლესი,
გზები უგრძესი,
როს ოცნებები მიგვანდდა
ტაძრად,
თავშეფარებულთ
ცის ხილურჯეში;

როს სააღერსოს
მეძახდი სახელს,
დღეს რომ ესოდენ
ფღერს სასაცილოდ, —

ვაი, წასვლის ვამს
მე შენს ვერ მნახველს
ვაი, სიცოცხლის წყაროვ,
დაცლილო...

მოგონებები ცხოვრება

რა გული მწყდება,
რა გული მწყდება,
რომ დასაძინი ვახლა ოცნება
და რომ გონების თვალი ვერ სწედება
გრძნობებით ნაშენ იმ საოცრებას.

მოგონებათა წყება და წყება,
მკედარი წარსულის კვლავ გაცოცხლება;
ამ გულგრილობის დასავეწეებლად
იმ სიყვარულის ახლად დაწყება.

ნება

რაც წასულა, ის წარსული გახლავთ,
მოცელილი დროის მჭრელი ცელით, —
ნეტავ წერილს მომიტანდნენ ახლა,
თუნდ უცნობი ხელით ნაწერ წერილს.

ნეტავ მართლა მიაშებდნენ ტკივილს,
ნეტავ მართლა გაიხსენონ ძველი,
რაც მე უკვე ვაბატე, იმის
თუნდ უცნობი ხელით ნაწერ წერილს.

ნეტავ მართლა სიყვარულზე მწერდნენ,
იებს კრეფდნენ და ატანდნენ წერილს,

ან მადლობას — ნაგვიანვეს ესდენ,
ჭირში მყოფს თუ გაუწოდე ხელი.

ან წლების წინ გაუმხელელ გრძნობას
დღეს მიმხელდეს თამამი და ქველი,
ან ვილაცას სურდეს მეგობრობა,
ყიამეთში უმეგობროდ შთენილს.

სინამდვილეს ოცნებები ახლავს,
აღარაფერს როცა აღარ ელი, —
ნეტავ მართლა მომიტანდნენ ახლა
საიდანღაც გამოგზავნილ წერილს.

სად გაქრა?

აგერ ვარ მე და...
აგერ ხარ ისე, —
გრძნობა რომ იყო,
სად გაქრა ისა?
გული არ გქკონდა
ჩვენ თითქოს ქვისა,

მავრამ რაც გქკონდა,
რა იქნა ისა?
ჩვენ არ შევეცვლილვართ,
რაც ვიყავთ, ის ვართ,
ვამ სად წავიდა
რაც იყო, ისა?

აღმადგენს მკვდრებით

ზანდახან ისე გადიან თვენი,
არ დამიდგება ლექსების რთველი;
დგას გაძარცვული ჩემი ვენახი
და ვაზის ტირილს ამოდ ელის.

ამ დროს მგონია, აღარ ვარ, მოვკვდი,
მოელო ბოლო ყოველგვარ ლოდინს;
თუმც მშვიდობაა კვლავ ჩემს ოჯახში
და სამიმარზეც არავინ მოდის.



მე კი ვეფლები და ეჭვი მღეუნის
 (პოეტის ტანჯვას გაიგებს ვერვინ!)
 მოკვდი თუ კვლები!
 თუ კვლები, მოკვდი!
 არ შეერხვეა არავის ნერვი.

ამ დღეში რომ ეარ და მკვდარ
 ერთი პატარა, მამაცი ლექსი
 ყოვლის მკურნალი, ვით ქრისტე ღმერთი,
 მოვარდება და...
 აღმადგენს მკვდრებით.

გახსენება

სადღაც, კახეთის ტყეში
 (რა ხნის ამბავი არი!)
 დანით ამოჭრეს ხეზე
 ჩემი სახელი — მარი.

და, რა თქმა უნდა, იმ ხემ
 თუ აიყარა ტანი,

ტაში აიჭრა ალბათ
 ჩემი სახელი — მარი.

და მოშრიალე ტვერში,
 განათებული მთვარით
 იმ ტყეს კივილით იკლებს
 ჩემი სახელი — მარი.



მალაქიას უპროსპალება

მოთხრობა

მალაქიამ კოპიტის ტოტები ფრთხილად გადასწია და გაიხედა.

ღელეზე ლეონინა იბანდა ტანს. ჩამოწევი არ ისმოდა. მხოლოდ ქალის კათქათა სხეულზე დაცემული წყლის შხეფები ხმაურობდნენ საოცრად, გამოიგნებლად. აქეთ-იქით კი მარგალიტის მარცვლები იხნოდნენ. მზის სხივები ძლივს ატანდნენ ოდნავ მოძრავ ფოთლებს შორის, და ირგვლივ წყლის, ნემოს, ხეებისა და ველური ყვავილების სურნელება დაფრქვეულიყო. გამარინდებელი სიმყუდროვე. უცებ სადღაც კოდალამ ატეხა კაკუნი. რაღაც უჩვეულო, სასიხარულო წამი დგებოდა ქვეყანაზე.

ხავსმოკიდებული ღოდები და მათ შორის დაკლანძილი ნაკადული, ხახამა, ღუმფარა, გვიძრა, ანწლი, ზღმარტლი, მაჟალო, პანტა, ბირკაბარკა... და სისხლითა და ხორციით ხავსე ქალის სხეული... ზღაპარიყო, ზღაპარიყო, ღელეს ნიტი ნამჯდარიყო.

როდესაც ლეონინა შემობრუნდა, ფოსტის გამგემ ვეღარ გაუძლო, თვალები მოხუჭა და ხეს მიეყრდნო. უპირველეს ყოვლისა სინანულმა მოიცვა, ასე იშვიათად რომ ამოდიოდა ღელეზე ტანის დასაბანად. შემდეგ სეველა-ვარამი დაუფულა, მწუხარების ყველაზე მტკივნეული ნაირსახეობა, საკუთარი თავის უგუნუ-

რობისა და უმეცრობის აღმოჩენა, თვალნათლივ დანახვა. „მალაქია, დაგეფსა თვალები, უჭკუო კაცის მხახველსა რა მოაშორებს ნაღველს?“

როდესაც გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ლეონინა ნივვზის ფოთლებით იმშრალეზდა ტანს. შემდეგ ვახუნებული კაბა ჩაიცვა, თავზე ნაჭერი წაიკრა და მხარზე თეთრეულით ავსებული ტაშტი შეიღვა.

ხიბლი გაქრა. მაგრამ სამუდამოდ დარჩა მოგონება და სასიამოვნოდ მტკივნეული, მოუშუშებელი ტრილობა.

მალაქია საფარიდან გამოძვრა და გულბრყვილო იერი მიიღო. ცაცხვის ხიდან ქორი აფრინდა. საით, მშვენიერო მტაცებელი? თვალი გააყოლა და ჯიბიდან პაპიროსი ამოაძვრინა. ოდნავ უკანკალებდა ხელი. ბილიკზე ქრონიკული შიმშილით შეწუხებული კუდამოძულები კალენიკის ბახულა გაძუნძულდა, ლეონინას ჩაურბინა და გაუნინარდა. ლეონინამ მალაქიას უთხრა:

— გამარჯობა, მალაქია.

— გაგიმარჯოს, ლეონინა, — კაცმა შნოიანი და მრაველისმეტყველი მხერა შეაგება.

ქალმა წენვოსფერი თვალები შეანათა:

— გასაგრილებლად მოდიხარ?



— აბა, საღლაბუკოდ ხომ არ ამოვი-
ლოდი, შე ქალო?

— უი, რაჲა გეკადრება... აბა, წავედი.
ლეონინა გზას გაუყვია, ნეულებრივი
ლეონინა, ყოველდღიური.

— ლეონინა, — დაუძახა მალაქიამ.

— რა იყო?

— შენს ადგილზე, ყოველდღე ამოვი-
ლოდი დღეზე და წყალქვეშ დაედგებოდი
დიდხანს.

— რაჲა?... რას ბლიყინებ, ვერ მიგიხი-
ვდი.

— რაა მისახვედრი?!
ერთხანობას ლეონინა გაუყუებული იდ-
გა. შერე აილანძა, ტაშტი ძირს დადგა
და იწივლა:

— უი, შე ჭლექიანო, შე მუნიანი ტუ-
რების დასაგლეჯო.

მალაქიამ გააბოლა, ყურის ბიბილო
მოისრისა, ჰაპიროსი მიწაზე დააგდო,
ფეხით გასრისა და თვალმოჭუტულმა
გახედა მეზობლის ქალს.

— ქალო, ქალო, კვანწია, თეთრი კაბა
გაცეცია... ლეონინა, წელზე ნიკოლოზის
მანეთიანის ხელა ღამაში ხალი რომ არ
გქონდეს მიტყეპნილი, არ შეგარჩენდი
მაგ სიტყვებს.

— უი, შე გაგრიავ, შე შუბლგარეცხი-
ლო, შე დასამიწებელო!.. ამოწყდი, ამ-
ენდი... არა, მაპატიე, ამოშენდი, შეჩვენ-
დი!.. მიშველეთ! მიშველეთ!

მალაქიას ერიდებოდნენ სოფელში.
მატაროცი ვახლდათ, უთქმელის წამთქ-
მელი, მწლაკვე ენის პატრონი, გამქილი-
კავებელი, მათრახივით ხმარობდა უპა-
ტროსო, ობოლ სიტყვებს. იმ თვეში ისე
გაწებლა ვასილა, რომ ამ პატიოსანმა
კაცმა მთელი სამი დღე ასლოკინა. ვასი-
ლა ისტორიას, ბოტანიკას და გეოგრა-
ფიას ასწავლიდა სოფლის სკოლაში. იმ
დღეს მშვენიერი საღამო იდგა, გრილი,
მშვიდი, ნაზად დაბინდული და ციცი-
ნათელმით დამშვენებული. სოფლის რა-
მდენიმე ადამიანი წყლის პირას იჯდა
და ტყბილად საუბრობდა. ვასილამ ზურ-
ვი მოიფხანა, გრივლამ დაამოქნარა,
მთარეც ამოვიდა და მწუხრი მშვიდო-
ბიანად უნდა დამთავრებულიყო, რომ
უცერვი მალაქიამ აიტეხა, დედამიწა

ბრტყელიაო, ფოსტის მარკასკეფი კანტა-
კუთხედი ფორმისაა და გარეგნულად
ლი არტყია, წყალი, მარა რანერი, უზ-
არმაზარი. გეოგრაფიის მასწავლებელმა
წაუყურა. გრივლამ, ორი თვის წინ
სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-
ლა რომ გამოუცხადა მაგარ სასმელებს,
თქვა: „ცდები, აფხანაკო, დედამიწა ჭუ-
რის ფორმისაა.“ მაშინ გეოგრაფიის მა-
სწავლებელმა ვეღარ მოითმინა და იუკა-
დრისა, დედამიწა მრგვალიაო, შემდეგ
წვეტიანი ისარიც სტეორცნა ორთავეს,
ეს ყველა მესამე კლასელმაც კი იცისო.
მრგვალი რომ იყოს, ნიშნის მოგებით მი-
უგო მალაქიამ, შავი ზღვა გადაიქცეოდა
და თურქებს დიდი ხანია წალეკავდათ.
„გვეიდა წვეროში,“ — თქვა ვასილამ.
„ბურთის ქვედა მხარეზე მყოფი ადამიან-
ები კი ცაში გაფრინდებოდნენ, — მშვი-
დად გააგრძელა მალაქიამ, — რადგან
კაცი ხე როდია, ფეხვებით რომ იყოს
მიმაგრებული მიწას.“ „წორია,“ — კე-
რი დაუკრა გრივლამ. „ჩუ! — იყვირა
ვასილამ, — ქარაფშუტობას არ აქვევთ,
ჯობია პირში წყალი ჩაიგუბოთ ან ბო-
ქლოში დაიდოთ ტურებზე. მოკუმულ პი-
რში ვერც ბუზი შეფრინდება და ვერც
სინერჩტე გამოხტება... არავინ ვაგი-
ვით, თავი მოეჭვრებათ.“ მაშინ მალაქი-
ამ სვეერიანეს საზამთრო მოატანინა და
ხელში დააჭვრინა, საზამთროზე თბის
კურკლი დაღო. „ეს შენ ხარ,“ — უთხრა
ვასილას. ვასილას ეწყინა და ინდაური-
ვით გაიფხორა, მაგრამ კრინტი არ დაუ-
ძრავს. „მართალია, მოგზაურობა არ
გიყვარს, მაგრამ, ვთქვათ, ერთ მშვენიერ
დღეს ნამუსმა შეგაწუხა, როგორც გეოგ-
რაფი და გზას დაადექი... რა მოხდება მა-
შინ?“ მალაქიამ კურკლი საზამთროს
მოპირდაპირე მხარეზე გადაადგოდა. მე-
რე ხელი გაუშვა. „აი, ასე მოსწყვებოდი
დღეიკო მიწას და სამუდამოდ გაუწინარ-
დებოდი.“ „წყალი არ გაუყა,“ — თქვა
გრივლამ. „ახლა დარწმუნდი, რომ დე-
დამიწა არ შეიძლება მრგვალი იყოს?“
ვასილა მაინც არ დაეთანხმა. „გაშანშა-
ლებული ჭორია და ახლავე გაგაქრავთ
სამარტხეინო ბოძზე, ამას ბევრი ლაპა-
რაკი არ უნდა, რადგან აგნოსტიციზმის

პლატფორმაზე დგახართ და ვულგარული გეოგრაფიის თაყვანისმცემლები ბრძანდებით.“ „ბულგარული კიტრი ჯიშანია,“ — დასძინა სევერიანემ. „რა შუაშია კიტრი“ — იფიქრა გეოგრაფიის მასწავლებელმა. „იმ შუაშია, რომ... მარტოთუბნის კარტოგრაფია თუ გაქვს შედგენილი?“ — იკითხა მალაქიამ. „მე მსოფლიო გეოგრაფიას ვასწავლი ბავშვებს.“ „ამაშია მთელი უბედურება, ვასილა... მარტოთუბნელ ბაღებს ვიდრე აპენინების და პიმალაის ადგილმდებარეობას ასწავლიდე, ჯერ მშობლიური სოფლის მთაკორტოხები, ხოდაბუნები და წყაროები უნდა აჩვენო, ფეხით მთატარო ჭალები და მინდვრები, ღრანტეები და ფერდობები... აჰა, თუ მეტყვი, საანა ყვირილას სათავე?... აჰა, თუ დამინახელებ იმ ადგილს ზემო იმერეთში, საიდანაც ორი ნაკადული იწყება, რომელთაგან ერთი შემდეგ შავ ზღვაში ეშვება, მეორე კი კასპიის ზღვაში... ვასილა, შეიძლება სადმე კიდევ წააწყდე ესეთ სასწაულს, თუნდაც ედემის ბაღში?... მისისიპის ან ნილოსის არსებობა თუ არ იცის ჩვენებურმა კაცმა, დიდი უბედურება როდია. უბედურება ისაა, ერთხელ მაინც თუ არ დაგიყვინთია ვეირილაში, ძირულაში ან რიკოთულაში.“ „ორი ერთს მეტაკეთ ხომ?... მაგრამ იცოდეთ არ დაგნებდებით თუ სიმართლისათვის უკანასკნელ ამოხუნთქვამდის ვიბრძოლებ... ხოლო ბოლოს და ბოლოს რას ამიხირდით!“ — წამოხტა გაბრაზებული მასწავლებელი, — ბოლოს და ბოლოს გეოგრაფიას შეთავსებით ვასწავლი, ჩემი ძირითადი საგანი კი ბოტანიკაა.“ „მოგეცა ლხენა, ესეც უბედურებაა, ყველაფერს რომ მივედ-მოვედებით... არც ბოტანიკის ინიბიანი ვესმის... სინამდვილეში გლეხი ხარ და ყაზახად რომ დარჩენილიყავი, შენისთანა სანდომიანი და ბრძენი მეორე არ იქნებოდა მარტოთუბანში. კაცი მაშინ ფუჭდება და გლაზაკავდება, როდესაც მისთვის შეუსაბამო ადგილს, თანამდებობას იკავებს. მაშინ მიმართავს ხრიკებს და სამარცხეინო ილეთებს... კაი კაცი ხარ, პატიოსანი, ჩერჩეტი და კეთილი... დე-

დამიწა ბრტყელია. არე-მარე ესევე ხეხით უნდა მიიღო, როგორც მარტოთუბნელშია. სად გინახავს მომრგვალებული ტბა ან ველი? არაწრფელი დამოკლებულება ხალას ბუნებას შეურაცხყოფს. ამიტომ დროზე უჩვენე ბრაწი ტყუილს.“ „დედამიწა მრგვალია, ფოსტის გამვე მოწინავე შეხედულების ადამიანი უნდა იყოს. ხოლო თუ არ გადათქვამ, სასამართლოში გინივლებ.“ ბევრი იპაექრეს და ლანძღეს ერთმანეთი. ერთი ორჯერ თითქმის ისე მოიქცნენ, როგორც ორღობის ძაღლები. ვასილას ლიყაზე ორი კურცხალი გადმოუვარდა და სლოკინი აუვარდა. მაგრამ ბოლოს მაინც შეარიგეს, რადგან შეუძლებელია თანასოფლელები მტრად იქცნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ერთს მრგვალი ფორმა იზიდავს, მეორეს კი ბრტყელი. „საერთოდ კი, — დასძინა სევერიანემ, — დიდი მოწინაილება და სიტუტუცე დამყარდებოდა დედამიწაზე ყველა ერთ აზრს რომ იზიარებდეს, და შავი ყოველთვის შავად ქნებნობდეს, თეთრი კი თეთრად... მითხარით რა კაცია ის კაცი, რომელსაც ეჭვი არაფერში არ ეპარება. მაშინ კაცობრიობა ვერ შექმნიდა პირამიდებს და მფრინავ ხალიჩებს, ხელოვნურ ხიზილალას და დამაქრულ ღვინოს.“ გადაწვეოტეს ამ საპაექრო საკითხზე წერილი გაეშანშალებათაა გეოგრაფიის ინსტიტუტისადმი. პასუხს მოთმინებით დალოდებოდნენ. მანამდის კი თავი შეეკავათ უპატიეკემულო გამოხდომებისაგან და ერთმანეთს ისევ დარბაისლურად მოაფრობოდნენ. მერე ავი ქარი ამოვარდა და გაკვარდნენ...

მალაქიამ ზურგი შეაქცია ლეონინას და აღმართს აუყვა. კაცი სოფელშიც ეძებს განმარტობას, მოფარებულ ადგილისაკენ მიისწრაფვის, მიეშურება.

ჩერო მოძებნა და წამოწვა.

იქვე, შორიახლოს, ჭრელი ჰეპელა დაფარფატებს, შავწინწკლიანი ჭიამაია დედას დაემებს, სხარტი ხელიკი ქვევ შორის სხლტება, ღელეს წყალი მირაკრაკებს დაქანებულზე, ქორი წიწილას მიაქროლებს გაღმა ტყეში. პაუ, ქორი, ნუ ფრენ მაღლა, პაუ, მალაქია, ნუ პეიტ-



რობ, წაუძინე. რა მოხდა, თუ შეზღუდუ-
რო ვერ გახდა. ხვითო არ არსებობს,
სამართლსავეთ მოვინილია. დიდი ქა-
ლაქებიც დიდი ბედუნა როდია. არ ავი-
სრულდა წადილი, მოტყუებული დარ-
ხა? წაუძინე, გაგივლის... გახსოვს ერ-
თხელ, შემოდგომაზე, ენკინისთვეში,
ურემზე დაგდებული მკვდარი მამა რომ
შემოიყვანეს ეზოში?... რამდენი წლის
იყავი მაშინ?... თორმეტის... მამა უმც-
როს მძახავით გეპყრობოდა, ოცი წელი
განსხევება თითქმის არაფერია. ერთად
დალოდით ტყეში, ყანაში, წისქვილში.
დანა დაარტყეს. შორაპანში და მეზობ-
ლებმა მეორე დღეს ამოიტანეს სიფელ-
ში. მაშინ შუშის თვალებით შემოგხედა
საბოლოოდ და სამუდამოდ შევირყია
მოუწიფებელი, მოუშხადებელი სუ-
ლი... ეშმაკმა დალაზეროს, რას არ უძ-
ლებს ადამიანი! ორი წლის შემდეგ ჭლე-
ქით დასწულებული დედა გარდაეცვა-
ლა ჭიათურის საგადამყოფოში. ახლა
კი გაჯიბვირდება, თქვეს თანახმულე-
ლებმა. მაგრამ ამით თავიანთი უმცრე-
ბა გამოამჟღავნეს. გაუძელი. ოღონდ
ბიბის, რა არის უბედურება, მაგნი-
ტია თუ ჭაობი? ერთხელ თუ ჩაგითრია,
არ შეგეშვება. თექვსმეტი წლისამ ჯო-
ყოთთან მარჯვენა ხელი დატოვე, შეხ-
ტომისას საბარგო მატარებლის ვაგონის
ქვეშ ჩაჯარდი და იდაყუხეშით გადაგია-
რეს ბორბლებმა. დროა მკურნალი? ალ-
ბათ არა, თვითონ ადამიანია ექიმი და
ჯადოქარი. ხოლო თუ ბედი ბოროტია,
სამაგიეროდ ხალხი კეთილია, ორიოდ
კაცი მაინც. ფოსტალიონად დაგნიშნეს.
შემდეგ გამეც გახდა. რემა, ფარა და ნა-
ხირი არ გაგაჩნდა. ზღვა, ვეშები, კუნძუ-
ლები გაქრნენ, და დაგრა ჩუმი, უცნაუ-
რი სვედა და ტანჯვა. ვაბოროტდი? ცო-
ტათი, ალბათ... მაგრამ დღეს, რაღაც
შეიცვალა, რაღაც სხვანაირად აფორიაქ-
დი, მშვენიერმა სხეულმა სულ სხვანაი-
რად დაგანახა სამყარო, მიხი სამკაულე-
ბი — ქორი, ჭიამაია, წაბლი, ბახულა,
ყვირილა და უზარმაზარი თვალი პატი-
ოსანი — ადამიანი... ხილამაზე, მშვენიე-
რება გვიხსნის... ჰაუ, ბუნებით შეეობრე
მალაქიაც, წაუძინე, გაგივლის...

წაუძინა.

როდესაც წამოხდა, გაიხმობდა მის
დასავლეთისკენ გადაწვერილი ფეხები
რე წყალში თავკომბალებს მოჰკრა თვა-
ლი. „ხომ არ გამოვუდევ? — გაიფიქრა
მალაქიამ, — ღირს კი, დაიბრუნებ უკან
ამით იმ წლებს?“ დიდი ხანია მიხვდა,
რომ მოთმინება და ბედთან შერიგება
საიმედო იარაღია მამაკაცისთვის, ყო-
ველ შემთხვევაში იმ ადამიანისათვის,
რომელსაც ცალი ხელი აკლია.

წყაროსთან გრიგოლას და სვეერიანეს
გადაეყვრა. ორი მარტოთუხელი სეირს
უყურებდა და იღრიჭებოდა... ძიძგი-ძიძ-
გი მამალა!.. უთანასწორო ბრძოლა.
თუმცა არა, ბრძოლა არ ყოფილა. დიდი,
დონდროხა ჭრელი მამალი დაუნდობლად
კორტნიდა მამლაყინწას, გამხდარს, უჯი-
შოს. გაქცევას ცდილობდა და ვერასვნი-
ვერ ახერხებდა, ძალიან შეფერთხილი
გამოიყურებოდა. წელან, რამოდენიმე წუ-
თის წინ, ღობის ქვეშ გამოძვრა და ბი-
რისპირ შეეხება უბედურებას. არ მო-
ვლოდა აქ თავის მტერს. დაბნეული,
დარტყიანებული ხაცოდავად წრიალე-
ბდა ერთ ადვილზე. ხასიკვილიოდ ცემ-
დნენ. მალაქიამ ფეხი მოუქნია მამალს.
ფრინველმა დაიფრთხილა, განზე გახ-
ტა და გაკვრებულმა გამოხვდა. ამასო-
ბაში მამლაყინწამ დრო იხელთა და მი-
იმალა. ჭრელი მამალი კი ერთხანობას
გაქცევებული იდგა, შემდეგ ყოყლიყო და-
სძახა და ამაყად გასწია თავის პარამხა-
ნისკენ. აკაკანებული დედლები თანდა-
თან წყნარდებოდნენ. როდესაც მალაქია
წაეიდა, გრიგოლამ აზრი გამოთქვა:

— რაღაც ძველებურად არ გამოიყუ-
რებოდა, ბზიკმა ხომ არ უკბინა ერთ
ადვილზე?

— ხი-ხი-ხი, — ჩაიცინა სვეერიანემ
და წითელი ღრძილები გამოაჩინა.

— არა, რავა მშვიდობის მტრედივით
გაიფხორა.

მალაქია აგურის სახლთან შედგა. ვა-
ხილას ბიჭი ჭივოს თლიდა ეზოში. დი-
ლინებდა.

— მშრომელებს დიდება, — დაძახა
მალაქიამ.

— გაჩარჯობა, ბიძია, — მკვირცხლად

უპასუხა ბესომ, — შემობრძანდით... კინასი არ შეგეშინდეს, არ ირქინება.

გამოაქვნიერებული თბა შუა ეზოში იდგა...

— მამაშენი სახლშია?

— კიუ.

— გამოუძახე.

— ახლავე, უფროსო.

ვასილას არ ეჭაშნიკა მალაქიას დანახვა. უსიამოვნო ფრუანტელმა დაურბინა ტანში.

— უკ, როგორ გამახარე, შემობრძანდი, რას გაკვებულხარ მაგ ორღობეში.

მალაქია ეზოში შევიდა. წუმქეში აიოხანზლული ღორი ბიის ხეზე ზურგს იფხანდა გამალებით. „აუკ, რა მწვადები გამოვა,“ — ნერწყვი გადაყლაფა ფოსტის გამქემ.

— საქმე მაქვს შენთან, — მალაქიამ თავი მოიქექა.

— რა საქმე? — იკითხა დაეჭვებულმა გეოგრაფიის მასწავლებელმა და შეიღიშვილი მიწაზე დაუსვა. „რაცხა ოინს მიმზადებს... ისევე ამიხიბრდება, მაგრამ ახლა აღარ მოვუთმენ, გლობუსს გამოვუტან.“ ვასილა ტუნების კვენტას მოჰყვა. „შაკიკი ხომ არ მოვიმიზეზო?“

ამ ორჭოფობაში რომ იყო, საიდანღაც ბახულა გამოვარდა, ვასილას სამი წლის შვილიშვილს მჭადის ნატეხი გამოსტაცა ხელიდან და მოუსვა. ატყდა ალიაქოთი.

როდესაც დაშოშმინდნენ, ფოსტის გამქემ გეოგრაფიის მასწავლებელს უთხრა:

— უბადრუკი ვარევნობის მიუხედავად, მაინც ოქროსავით ხალასი ხარ... მომწონხარ, სიმართლეს რომ არ გაექეცი და გამოქვამულში რომ არ დაიმაღლე.

— რა მოხდა, ადამიანო? რა მოველანდა?

— ეხლა უფლება გაქვს ტყეში ფინხი მობოჭო, რიყეზე გამოიტანო, ცეცხლი დაანთო და დამწვა... ვრიგოლასათვის რომ შემეტია, მაშინვე კულს ამოიჭებდა და ნამამაძალდარ ღვინოს მიეტანებოდა, ვითომ დარდის გასაქარებლად. პირდაპირ ვეტყვი, შენ კი მოვალეობას არ უღალატე და მტკიცედ დაიცავი ობოლი დედამიწა.

— რაცხა ცუდი ფერი გადევს, მალაქია.

— ჯანდაბას ჩემი თავი დაგვიტყუდა... სალ-სალამათად.

— რა მოხდა, მაინც?

— დედამიწა მრვეალია, ცამდე მართლი ხარ.

— რაეა, წერილი მიიღო სვევრიან?

— არა, ჩემით მივხვდი... მოკლედ, ხაბურხაკია.

— აგაშენა ღმერთმა, მარტოთუბანში შემოვიდა სინათლე და განათლება, გული აუნუფდა მასწავლებელს.

— ასეა, წყვიდადს — სინათლე ენკვლება, ჭირს — ღბინი.

— დიდი სურვილი მაქვს გადაგვხელო მალაქია გადაგვხვია.

— ასეც ვიციდი, — თქვა ვასილამ, გონებით დაჯილდოებული რომ იყავი ისეთი ვაჟაკი, ისეთი ვაჟაკი, რომელიც არ შეიძლება. ყველა იმედი გამომართლე... ახლა კი ალალი გულსასწრაფოდ ჭურისთავზე გაატიფო.

— რა შეთქმის, მხოლოდ ამას დავებ ჭურისთავიც მშვენიერებაა... წამითქვინ.

მუნმა ქაიელი იცის, აურაცხელმა ჭირვებამ — ცხერიის წაწვეტიანე ღორის მწვადის წარმოდგენამ — ნერვის ყლაკვა, ცოლიკაურმა კი — გულგადაშლა, ტკბილი მასლაათი და ეშმაკით ამჩატება.

ღვინოს წრუპავდნენ და თვალს შესციციებდნენ ერთმანეთს. ყოველწინარეს მშვიდობა შეაქვს და ომი აკვს. მერე ახსენეს მსწრაფლწარმავადრო, ეტლის სიმუხთლე. აღღვერძელწინაპრები. შიგადაშიგ ვასილა ვირემს კულ კითხვებს აძლევდა მალაქიას. ფოსტის გამქემ გულდიად პასუხობდა. იმსაღამოს მეზობლის ყველა საიდუმლო მითყო მასწავლებელმა, ვარდა ერთის რამდენი არ უტრიალა, მაინც ვერ გამსციცტლა ფოსტის გამქემს საოცარი ხასიათოვნო ფერისცვალების მიზეზი.

ძალიან მოილხინა ვასილამ. ისე დაარხენდა, რომ ბოლოს იკითხა:

— ბიჭო, მართლა ჭურის ფორმის ხარ არ არის დედამიწა? რაცხა ძალიან საწაულმოქმედია ეს აპაინებული ეშმაკურიჭელი.

უხარხარული კაპუტის ამონახსნებად

როდესაც მცეცა, მე ვიზრდები, ეხლები უხარხარული
და თვლა აღარა აქვთ ჩემს ხელებს, ჩემს თვალს, ჩემს მუხლებს.
და ვასრულებ მოძრაობებს, რომლებიც არც კი დასიზმრებია სხეულს.

როდესაც მცეცა, ბრძაველება სამყარო
და შემოძლია უტიფრად მიაჩერდეს დავსებულ თვალსში.
ჩემი ხელები კი იზრდებიან, სცივით და იზრდებიან,
იტოტებიან, როგორც ქუჩები —
ელებიან მთელ ქალაქს, მთელ სამშობლოს, მთელ დედამიწას
და თოვს.

როდესაც მცეცა, მე შევრბივარ პირველივე სასადილოში,
ხადაც შენ მიცდიდი მუდამ, როცა მე მციოდა,
და მუდამ იყავი ისეთი, როგორც უნდა იყოს ქალი, როცა მე მცეცა,
და მერე ვსვამდით ჩაის, ვთბებოდით,
ღაღღაღღილი მინებიდან მონანდა ქუნა,
რომელსაც სციოდა

და ტანზე ეყარა ავტო-ბუსებს.
შენ ზოგჯერ გრძნობდი, რომ მე ვიტანჯები,
რომ ჩემი ხელები იზრდებიან, იტოტებიან, ელებიან მთელ დედამიწას,
რომ თვლა აღარა აქვთ ჩემს მუხლებს, თვალს,

და მეუბნებოდი: ნუ ღელავ, დაწყნარდი,
ჩვენ შეგვიძლია გაბედულად ვილაპარაკოთ,
თამამად დავდით პირობები, ბოდიშები ადვილად ვიხალოთ,
რადგან, სულ ერთია, უხერხული პაუზები თემისთანავე ააშრობენ
თითოულ სიტყვას,

კვალსაც არ დატოვებენ ჩვენი ნათქვამიდან
და შეგვიძლია გაბედულად ვილაპარაკოთ.

„კარგად ვარ“, გუებნებოდი მე: და ჩემი მოცახცაზე მუხლები
აზანზარებდნენ კლდეებს, ნაგებობებს.

„მესმის“, მკასუხობდი: და ჩემს ათრთოლებულ ხელებზე
თავს ველარ იმაგრებდნენ მანქანები, მოქალაქენი.

იმშუშნებოდნენ თბილ საბნებში გაბვეული ქალიშვილები.
გარდაცვლილები ხელს იღებდნენ სამყაროში დაბრუნების ფუჭ ოცნებაზე.

ჩვენ ახლაც აქ ვართ, სასადილოს გრილ კუთხეში მიფუქვლები,
ერთი ჭიქიდან ვწრუპავთ ჩაის, თანდათან ვთბებით,
უხერხული პაუზები იწვლებიან:

კიდეც ცოტაც და, ველარ გასწვდება იმით სიგრძეს
ჩვენი პირის ჭრილის ზომები

რომ ღიმილები გადავაფაროთ.

როდესაც მცევა, მე ბევრად მეტს ვლაპარაკობ, ვიდრე შენ გესმის:

მე მინდა, ვცდილობ, მეტი სიტყვა შემოვანწიო,
 რათა შენ, როგორც ბავშვობაში, იატაკზე დაჯდე.

სხვა ყველაფერი დაივიწყო

და ჩემი სიტყვებით სახლი ააშენო,

რომელსაც, თუ მოვიინდა, თვითონვე დაანგრევ;

რათა შენ, როგორც დიღობაში, ჩემი სიტყვები თაროებზე ჩამოალავო,

სერვანდების ვიტრინებში გამოვიწიო,

კედლებზე დაკიდო;

რათა შენ, როგორც სიბერეში, ჩემი სიტყვები ექიმთან წაიღო

და დამშვიდდე, როცა ანალიზის პასუხი გამცნობს,

რომ ამ სიტყვებზე, მართალია, ერთი-ორგან აღინიშნა ნაკბილარები,

მაგრამ ისინი კიდევ დიდხანს გაცოცხლებენო;

რათა შენ, როგორც სიკვდილში, მთელ სამყაროს მიაწერო ჩემი სიტყვა.

როდესაც მცევა, მრავლებიან ჩემი გულები,

ჩემი სიზმრებით იბერება ყველა ბალიში,

ყველა პოეტი ჩემს ლექსებს დასდევს —

ვინ პეპლის საჭურით, ვინ შურულულით, ვინ კიდევ თოფით,

და ეს არავის უცნაურად არ ეჩვენება,

რადგან არ სმენიათ არც ერთი მკვდრისაგან, სხვის საფლავში
 ჩამასვენესო.

როდესაც მცევა, ზამთარია.

ან გვიანი შემოდგომა.

ან სიყვარული:

როგორც ტოტები ფოთლებისაგან, ჩემი გრძნობები სიტყვებისგან
 იმარცხებიან

და ჩვენ ერთმანეთს უხერხული პაუზებით ვესაუბრებით

და შენ ყოველთვის ისეთი ხარ, როგორც ყოველთვის —

ჩემი მომლოდინე

გრილ სასადილოში,

სადაც მე და შენ აღარ დავდივართ,

სადაც ძვირფასმა რესტორანმა დაიღო ბინა,

სადაც აღარ სვამენ ჩაის.

როდესაც მცევა, მე შენ მყავხარ!

და ასე იქნება მუდამ,

ვიდრე ზამთრობით ბელურები თბილ ქვევლებში გადაფრენას დაისწავლიან.

ზარატუსტრა 2

მეტი გზა არ მაქვს, აი ბავშვი. ცოტა ხნით უნდა შეინახოთ.

ორიოდ თვეში ამოვალ და უკან წავიყვან.

მეტი არც ფული მაქვს. წასაყვანად რომ ამოვალ, დანარჩენსაც

მაშინ მოვიტანთ.

ორიც გავიდა, ოცდაორიც, არ ამოსულა. ისე კი, მიიხრეს, ცოცხალიაო.

რა შექნა, გზრდილი. თან კიდევაც შემოგეჩვიე.

აი ახლა ყველაფერი თვითონვე იცე.



რომ არ გეკითხა, არც გეტყვოდი. მაგრამ მკითხე და გიპასუხე.
აწი, როგორც ვინდა, ისე მოიქეცი.
კარგი, როგორც მინდა, ისე მოვიქცევი.
თან, შენი არ იყოს, მეც ხომ შემოვიყარდი.
მაგრამ, ვინდაც გამამტყუნონ, დღეის მერე აღარავის ვათხოვებ სხეულს,
თუნდაც ძმა იყოს, არ ვათხოვებ! თორემ რა არის:
მე ვათხოვებ, ისინი ცვეთენ.
შენი საქმისა თვითონ იცი, მე კი გაგზარდე.
ღიახ, გამზარდა. სხვათამორის, არც ისე ცუდად.
გამოვეთხოვე და დავეში კაცთა საღვთოში —
საჩქო საქმე უხვად იყო, არ მოვეცდენილვარ.
მერე კი მითხრეს: აუარე, დედად არისო.
ველა საქმე გადაეღე და მასთან წავედი:
ვერ მივესწარი.
უკვე მოეშუშებინა სიკვდილი
და ახლა მორცხვად ილიმებოდა.

მეზობარი შანჯარა

კ. ბ.

(სიწუმეც ხომ შეიძლება იყოს დახვეწილი) დიდი ხანია
მზის სხივები ვერ ატანენ მის ნაოჭებში. დღეებმა იკლეს, ღამეებმაც.
დიდი ხანია
ვოველდღე (მე მას ვუთვალთვალე) ფანჯარას უზის
და ამზურებს თავის სიკვდილს. დიდი ხანია
ვერ შეუბღაუთ ვერც მზისა და ვერც მთვარის სხივებს
მის ნაოჭებში—ლაბირინთში. დიდი ხანია,
შერჩა მის სახეს ორი თვალი,
როგორც ორი აბეზარი სტუმარი გაცარიელებულ სუფრას,
რომელიც უკვე აალაგა დიასახლისმა
და დაუტოვა თითო ჭიქა, ნაკლული ბოთლი.
ორი თვალი, რომლებშიც ჯერ კიდევ, ინერციით, ბრუნავს სამყარო,
როგორც ბორბალი წაქცეული ველოსიპედის.
ღრომ წაიბორძიკა თითქოს —

მაგრამ არ დაეცა, თავი შეიმავრა, გზა განავრძო და: აი ფანჯარა,
მოპირდაპირე სახლის ფანჯარა: ის კი აღარ ჩანს, მოხუცებული,
მაგრამ მე ვეცი, ისევ იქ არის,
ვერ ვხედავ, მაგრამ ვეცი, იქ არის:
იმდენხანს იგდა ფანჯარასთან, ბუნებრივია, გამჭვირვალემა
გადავლო მინებისაგან.



მეგობრივი აქტიურობა

ლტოლვილი მწერლის წიგნიდან, სა-
სიგნალო ეგზემპლარის გარდა მთელი
ტირაჟი (10 ათასი) აფხაზეთის ომმა
რომ შთანთქა.

გარდაცვალების სიმღერა

დოკუმენტური მოთხრობა

ნოდარ დუმბაძისა და ედიშერ
ყიფიანის თანალობა

1.

სამარისებური სიჩუმეა; გაბზარული
გულის განელეებული ფეთქვა მწვეთა-
რას წყაპუნს ერთვია, რომ განგავის
ზარი თუნდაც ჩუმად დაარისხოს. სი-
ცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, მოხედეთო,
თითქოს მოხედვა აკლდეს უჩვეულო
პაციენტს!

მკურნალ ექიმს ტყუილად ეჩვენება,
იზოლირებულია ავადმყოფი: არავინ
შედის და, ცხადია, არც არავინ გამო-
დის სიკვდილ-სიცოცხლის საჭილდო
არენიდან, — სინამდვილეში მწერალს
თავს ახვევია თავია ნაწარმოებთა გმი-
რები, მათ შორის ახლადშობილიც.
მართვევბევით პირი დაუბრენიათ და
მოძღვარს რომ შესციცინებენ: რაკი
სული ჩაგვიდგი, ბარემ დაგვაფრთიანე,
ბუდიდანაც აგვაფრინე, თორემ ცოდ-
ვანი ვართო.

„თეთრი ბაირაღების“ დიდი ნაწილი
გადაშლილია, კვალი — ბოლომდე გაუ-
ტანელი: არა და მწერალი ლამისა ზედ
გადაყვეს შუა გზაზე დარჩენილ პერ-

სონაქებს, ვირის აბანოში სუნთქვა რომ
ეკვრით: მოდი და მიატოვე შენი სუ-
ლის ამონაფრქვევი ტიპები, ისე რომ
შემოგტირიან, როგორც მშობელს დამ-
შეული პატარები.

ბეწვზე გადაარჩინეს, საამქვეყნოდ
მოახედეთო თუ არა, მწერალს ეჩვენება,
ქვეყნის მკურნალი თავზე ადგას: ბე-
ბია, ილიკო, ილარიონი, ხატია, სო-
სოია... შექირვებულ გულზე მტლედ
ედებთან ჩვენც აგერა ვართო; შეგული-
ანებული, შუალამის მყუდროებაში ქა-
ლადლსა და ფანქარს სასთუმალიდან
დააძვრენს თუ არა, თითქოს თავის პირ-
მშობებს გულში იხუტებსო, გულადმა
წამოწოლილი, ბრძენი იაკობივით ეკვი-
დება სიტყვას, — თეთრ ყანაში შავი
ხნულის ვავლება, კვალის ბოლომდე
გატანა წერა კი არა, სუნთქვია მწერ-
ლისთვის, სიცოცხლე! მით უმეტეს,
როცა ბოლომდე გასასვლელად კალ-
მის ერთი მოსმია საჭირო, — ერთი ძა-
ლუმი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა და ფინი-



შემდეგ ვასვლიც განადგებულ იქნება, მიზანი — მიღწეული, რის შემდეგ, თუ საშველი აღარაა, სიკვდილს დანებდება ოსტატი, მოისვენებს, მაგრამ იმ ერთი ნაბიჯის გადადგმას არ იტყვი? ზოგჯერ ბოლო ლუკმა ყელში რომ დაგადგება, დგება წუთი, სუნთქვა შეგაკვრება, ნერწყვიც ვერ გადაგიყვალავს, — ერთ ბეწოსაც რამდენჯერ უკლმა შეუტრიალებია ბედის ბორბალი, წყალში ჩაუყრია წვითა და დაგვით მონაგარ-მონაპოვარი!

მწერალი ებოდიშება ზაზა ნაკაშიძეს, ლიმონას, ტიგრანას, შოშიას... შუა ზაზე რაფერ დაგტოვებთო — წერს, შლის, ხევის: შემოქმედება — სიამოვნება, გულის არეში ტკივილებსაც რომ უყუჩებს, წერა — პასუხისმგებლობა!

ბრძენს უთქვამს: მწერალი არის კაცი, რომელსაც წერა ეძნელებაო, თავად უნდა იტანჯო, რომ სხვას ასიამოვნო! ამის მიღწევას ტიტანური შრომა უნდა, ჭაფა, წუა კბილიდანაც ოფლი რომ გდოიდეს! ყოველ ფრაზას იმდენს უტრიალებს, ვითომ სულაც არ ეჩქარება კვალის ბოლომდე გატანა, — პასუხს რომ ჩაუღრმავდება, ამ ქვეყანას აღარაა, თავი ავიწყდება, მით უმეტეს თუ ნატვრისთვალნი იპოვა, — მისთვის ჩვეული ხატოვანი თქმა, ფრთიანი ფრაზა, მოქმედებია საუკეთესო ვაგარძელება, სახე, შტრიხი. — ყოველივე დიდი შევება, დაღლას რომ ავიწყებს! მერე ბავშვივით ელოლიაგება ყოველ „აღმოჩენას“, მერამდენედ უბრუნდება: აი, თუნდაც ნოეს კიდობანიც წამოეშველა ციხის დასახატავად თუ არა, სიხარულით ცას ეწია:

„ბოლოს შედგა იგი რკინის სარკმელდატანებული შავი და ბნელი სახლის წინ და მებრძანა:

— შევედ შენ კიდობნად!

— მეშინია! — ვთქვი მე და უკან დაიხიე.

— შევედ შენ კიდობნად, რამეთუ მოჰხადოს ღმერთმა წყლით რღუნა

ქვეყანასა ზედა ორმოცთადადღეოთქმული ორმოცთადამეთა და აღზოცნა პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა.

— რაშია საქმე, ბატონო, რატომ, რისთვის, რა დავაშავეთ ასეთი? — გამიკვირდა მე.

— თქუა უფალმან ღმერთმან ჩემს მიმართ! ჟამი ყოვლისა ხორციელისა მიწია წინაშე ჩემა: რამეთუ აღივსო ყოველი ქუეყანა უსამართლობითა მათგან და აჰა მე განვხრწნი მათ და ქუეყანასა.

— ასე ვითხრათ?

— ასე თქვა უფალმან ჩემს მიმართ.

— კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ვკითხე მოხუცს.

— მე ნოე ვარ.

— რომელი ნოე?

— ნოე! — გაიმეორა მან და კვლავ დამადო მხარზე ხელი.

— აა! — ვთქვი მე და მაშინღა მივხედი, ვის ველაპარაკებოდი. ჩემ წინ წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამა, ნოე იდგა, იქნებოდა ასე 596-600 წლის, მაგრამ საოცრად მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

— სად არიან, ბატონო ნოე, თქვენი შვილები: სემ, ქამ და იაფეტ?

— შენ ხარ ძე ჩემი, ზაზა!

— სად არიან ცხოველები?

— ჩვენ ვართ ცხოველნი და პირუტყვინი და მხეცნი!

— სად არიან ფრინველები?

— ჩვენ ვართ ფრინველნი და ქვეწარმავლნი; ნულა აყოვნებ, შევედ შენ კიდობნად! — მაშინ გაიღო ბნელი შავი სახლის დაბნული რკინის კარი და მე შევედ კიდობნად...“

ნაწარმოებში როგორ მორგებულია ნოეს კიდობანი — ციხის კარდაბნულობას ხატავს. სწორედ რომ მწერლური მიგნებაა, აღმოჩენა! გახარებულია ოსტატი ამალეებული. მერამდენედ უბრუნდება ტევად, დამუხტულ ნაკანს, რომელიც აჩქარებს მდინარებას, წინ ექაჩება მთავარ დინებას, რომ წამოეშ-

ველოს ფინიშის მისადგომებთან შეყოვნებულ მოძღვარს, რომელსაც ერთი სული აქვს, კვალი ბოლომდე გაიტანოს. ბოლო-ბოლო ნოეს კიდობნიდან დაიხსნას შთამბეჭდავად დახატული პერსონაჟები, მათ შორის, ცხადია, ზაზა ნაკაშიძე, რომელიც დასაღუპავად განწირული გემის კაპიტანივით სულ ბოლოს დატოვებს ნოეს კიდობანს, მონიშნული აქვს, წარმოსახული, თუ როგორ დასრულდება ცხრაკლიტულში გამოკეტილთა დუღილი:

„— გათავდა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედ, — ჩაესმა ყურში ნაცნობი მოხუცის ხავერდოვანი მოალერსე და თბილი ხმა. — გამოვედ კიდობნისაგან და აღუშენ საკურთხეველი უფალსა — და მერე უფრო შორეულად, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერი თბილი და მოალერსე ხმა. — აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას!“

მაგრამ მანამდე კვლის მიტანას არ იტყვი? ნოეს კიდობანში გამოწყვედულთა ვნებათღელვა ხომ უნდა გამოფინოს სამზეოზე ისე, რომ არც ერთმა მათგანმა არ დაკარგოს თავისი სახე, ის განუშეორებელი, რითაც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. ის, რაც თავად განუცდია, უნახავს, გულისგულში გაუტარებია, ავულიანებს: მოძღვარო, შენ ოღონდ კალამი მოიმარჯვე, დანარჩენი ჩვენზე იყოსო, მაგრამ ამ მოძალებასაც გაძლება უნდა არჩევანის ვაკეთება შეუმცდარად — ათი ვარიანტია, ცხრა — მაკდური, ერთი — ნაღდი, ყველაზე ოპტიმალურად რომ გადმოსცემს „ბნელი და შავი სახლის“ ციებ-ცხელებას. ყოველივეს აწონ-დაწონვა უნდა, შერჩევა, საუკეთესო გაგრძელებას მიყოლა, წარმოჩენა. ფიქრებში რომ ჩაიძირება, შევიძლია „იოდოფორმის, სპირტის, ქაფურის“ სუნით დამძიმებულ პალატაში შეხვიდდე ფეხის წვერებით, შორიხლოდან მიაჩერდე, დააყოვნო, მიაყოლო, თუ როგორ ევლება თავს თავი-

სი სულის ნაწილს — უნებლურად მზრახველი ხდები, უნებლურად მყუდროებას რა თავით დავურღვევო, უჩინმარინის ქუდს იხურავ, უკან გამოდინარ ადუღებული.

რე გაეწყობა: ჭეშმარიტი შემოქმედის ჩვევა სიტყვასთან ჭიდილისას ასე გატაცება, თავდავიწყება, ჩაყოლა-ჩათრევა! ვინ იცის, რამდენჯერ წაასწრეს ასე თავდავიწყებულს, კვლის ბოლომდე გატანით გატაცებულს.

კონსილიუმიც გაიმართა: რა ვილონოთ, თუნდაც დროებით ჩვევა რომ მოვაშლევინოთო.

— რამდენჯერ გავეფრთხილეთ, — თავი ამოდ იმართლა მედიცინის დამაც, — მაინც არ იშლის თავისას.

— გეტყობა, — დასძენდნენ, — წერა მისთვის შეებაა, მდგომარეობის შესუსტებება.

— ჰოო, — უკან დაიხია პროფესორმა, — გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორიც, — ყოველ ინდივიდს, მით უმეტეს მწერალს, თავისებური მიდგომაც უნდა, ამ შემთხვევაში მიუღებელი დათმობითაც შესაძლოა, მდგომარეობა მართლაც შევეშუსტებუქოთო, პოზიცია დათმო სამედიცინო სამსახურმაც ისე, რომ ამაზე არაფერი ცოდნოდა პაციენტს, რომელსაც ერთი სული აქვს, ბოლომდე გაიტანოს კვალი, ამით ზურგიდან მოიხსნას ტვირთი, მოიხადოს ვალი, — ნოეს კიდობნიდან გამოიყვანოს „ცოდვილი“ გმირები, თავისუფლება მიანიჭოს ადამის მოდგმას, შევებით ამოისუნთქოს თავადაც. უამისოდ არ იქნება გაზარეული გულის მოსვენება, აფორიაქებული სულის დავანება. წერს, შლის, ხევის, თავიდან წერს, ეჭიდება სიტყვას, სულ მცირედი დარჩა, ერთი ბეწო, მაგრამ არის სამანი, რომლის გადაღახვა აღმატება ერთი ადამიანი შესაძლებლობას, ბოლო-ბოლო იგრძ-

ნო, ამოწურა თავისი შესაძლებლობა, მეტი აღარაა.

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი...“.

2

განსაცდელის ეამს მეგობრის გამოცხადება ნატვრის ახდენა, შეგებას ერთბაშად განიჭებს, იქნება საშველიო. ჩანს, განგებაააც თავისი თვალი და ყური აქვს, არაფერი გამოეპარება: განუყრელი მეგობარი საავადმყოფოში სწორედ დაბარებულღვივით თავს წაადგა სულთმობრძავს თუ არა, საამქვეყნოდ მოიხედა პაციენტმა, თითქოს იღბალზე, შეგებითაც ამოისუნთქა: ძმაცკი. ფართო შუბლით, კეთილი გამოხედვით სასიცოცხლო ელექსირს ასხივებს გულალმა გაწოლილი, სიტყვასთან ჭიდილში დაღლილი მწერლის თავზე, რა დროს წოლაათ.

— ლამღამობით წერდი, ძმაო...

— როგორ თუ წერდი, ძმაო?!

— შენ გამოგებ, ძმაო: ლექსს მე კი არ ვწერ, თვითონ მწერსო, უთქვამს პოეტს,

— მესმის, ძმაო.

— ხატოეანი თქმა, ფრთიანი ფრაზა, პასაჟი რას მოვასვენებს, სანამ ქალაღზე არ გადაგიტანია.

— მესმის, ძმაო.

— მით უმეტეს თავზე რომ გახვევია შენი საყვარელი პერსონაჟები... ასე და ისეო, თავიანთ ნება-სურვილზე გატარებენ... როგორ თუ შეუძლოდ ხართო, გაგონებაც აღარ უნდათ: ვისი ინფარქტი, რომელი გულის ტკივილიო, — ჩვევისამებრ, ხუმრობით იმსუბუჭებს მდგომარეობას, რომ მეგობარი შეამზადოს ანდერძის მოსასმენად, ეს უკანასკნელი თხოვნა შემისრულეო, თუნდაც მიანიშნოს უპიტყვოდაც; თუმცა მეგობრის სიახლოვემაც იმდენად შეაგულიანა, გაეყვა:

— ბოლო თავი დამრჩა დაუწერელი, ძმაო... ამდენი ჩათვა წყალში რომ არ

გადაიყაროს, არ დაიზარო: ჩემი სიტყვების უწყისი შენზე უკეთ... მონიშნული

მაქვს დასასრულიო... ჩემებურად მოუქციე...: ბოლო თავის დაწერა შენთვის მომინდვია...: ჭირში მყოფთ შუა გზაზე ხომ ვერ დაფტოვებდი...: არა და მეტი აღარა ვარ ვკვდები, ძმაო... რა იყო?! — გულალმა გაწოლილმა შენიშნა, ფერი როგორ ეცვალა მეგობარს, მწერალს, გულისყურით რომ ისმენდა აღსარებას.

„თხოვნას შეგიარულებო, რომ ვუთხრა, იფიქრებს, ჩემი მდგომარეობა უიმედო ყოფილაო. — ციებ-ცხელება შემოეყარა ძმაცაც: ვერც „ჰო“ უთქვამს, ვერც — „არა“. ერთი პირობა გადაწყვიტა, ეთქვა: შენ მიერ დაწყებული შენვე უნდა დაასრულოო, ამით გაემხნევენინა, სასიკვდილო რა გჭირს, ძმაო, გამაგრდიო, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა ამის სათქმელად: „ჩანს, — გაიფიქრა, — მტერს უღამდება“, — იგრძნო, ცივმა ოფლმა გადაასხა.

— რა იყო, ძმაო?!

— მე... არაფერი.

— ისეთი რა გითხარი?!

— არაფერი...

— გეტყობა გულზე შემოგეყარა, ძმაო.

— არაფერია, გამიელის.

— შენ რა შუაში ხარ, ძმაო?!

„სწორედ რომ შუაში ვარ: ვერც „ჰო“ მითქვამს, ძმაო, შენა თხოვნაზე, ვერც „არა“.

— ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა: ამისობაში შედიცინის და რომ შემოვიდ პაციენტის მისახედად, შემთხვევით ისარგებლა ძმაცაცმაც, სხვა დრო შიშოველიო, რიგიანად ვერც გაიმი ეიღობებია სიკვდილის პირისპირ ფარ-ხმალდაყრილ მეგობარს. ეჩვენება, მიქელგაბრიელიც თან გამოიტყუა: შორიხლოს მოჰყვება კვალდაკვალ, ემუდარება: ოღონდ იმ დალოცვილს შეეშვი, აღროვე კვალის ბოლომდე გატანა, მის სანაცვლოდ აგერ ჩემი თავი შენი ფეშქაშიო.

არც ახარავს, შინ როგორ დაბრუნდარაწვა. გრძნობს, სიკვდილი მას მოუბრუნდა, არ ეშვება, მეგობარი თუ არ გამეტება ჩემთვის, თავად ჩამბარდებიო. სიკვდილ-სიცოცხლის კიდილი ხანგრძლივი გამოდგა, შეუვლილი:

— მეგობრის სატყვარი გულთან მიიტანე.

— გულთან მივიტანე რომელია?

— ჩემი ყურადღებაც ამიტომ მიიტყე.

— ღმერთო, უშველე ჩემს მეგობარს.

— სამაგიეროდ, შენი თავი ჩემი არჩევია.

— ოღონდ მეგობარს შეეშვი...

სიკვდილსაც მოეწონა ძმაკაცის თავგამოდება მეგობრის გადასარჩენად, დაენანა მართლაც ცოდვა კია, ასეთი რაინდული სულისა და გულის ვაჟკაცს ასე ნადრევად რომ დაეუღამოო:

— რა ვქნა, — ამოიხენეშა, — ჩემი რჩული ასეთია: მკვდარ სულებს კარგებიც თუ არ გამოვურიე, ჩემ გამოვინ შემოიკრავს თავზე ხელს.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეა გულისათვის“...

კმარაო, შესძახა ხელ-ფეხშეკრულმა სიკვდილმაც და დასძინა:

— ეს რა გულითად ვაჟკაცებს გადაეყარე, — უკან დაიხია: — რა წერას აუტანიხართ, ლოცვას წერს, დალოცვილი?! გადროვებ, უსულგულო კი არა ვარ, თქვენისთანები თავიანთ ნებაზე მატარებენ. ხომ გსმენია: სიკვდილიც ცოტას მოიცილიაო, ქართველები რა ხალხი ყოფილხართო, რაინდული საქციელით მოხიბლულს, ჭირის ოფლმა გადაასხა: ვადროვებ, რომ დასრულოს ლოცვა, თორემ რა თავით შეველევით, ფერი ეცვალა:

— რა იყო, სიკვდილო?!

— მეც ცოდვა ვარ.

— ასეთი ქველი ვაჟკაცის საქციელმა მომხიბლაო...

— რა ვქნა, — ამოიხენეშა სიკვდილომაც: — ჩემი რჩული ასეთი, ჩვევას რას გადავალ, თვალს რომ დავადგამ, ვერ შეველევით. იანთს რას წერ, დალოცვილი?! ოჰო, ლოცვა: უფალო, შეიწყალე მეგობარი ჩემი, ოღონდ მისი თავი მიცოცხლე... სანაცვლოდ სიკვდილს ჩემივე ნებით ვბარდებიო, აი, სიკვდილის შევილიო, სიხარულით ცას ეწია მიქელგაბრიელი.

მეგობარი მეგობარს გადაჰყვა, სიკვდილის წინ ლოცვაც დაუწერია: ბევრს არაფერს ვთხოვ, უფალო, ჩემი ძმაკაცი, „ძამა“ გადამირჩინე, კვალი ბოლომდე გაატანინე, სიცოცხლე გაუხანგრძლივე, აღღვარებულე... სიკვდილი რას იტყვისო?! ფეხებში ჩაუფარდები, მუხლებში შემოვევლები, თავს რომ შევატყუებ, იმდენად გაუშაძლარი ღორმუცელა როგორ იქნება, ძმაკაცსაც არ შეეშვასო... — ყოველივე რომ განხიანდა, მკითხველების აღუღება შემდეგ იკითხეთ! მწერალი მწერალს გადაჰყოლია, აი, აი, მეგობრობის ნიმუშიო, ესეც ახალი საფიქრალი:

— სავადმყოფოში ვერ შევსულვარ.

— მეგობარი ვერ გვინახულებია.

— სადაა, ძამა, ჩემი ძმაკაციო, რომ იკითხოს...

— ხომ ვერ ეტყვი, ასე და ასეო...

3

„ძმაკაცმა, ცხადია, გულთან მიიტანა ჩემი თხოვნა; სადაცაა გამომეტყვლება, მეტყვა, ნატვრა აგისრულეო; მანამდე გულზელდაკრეფილი ხომ არ ვიქნები, რაკი გული უცემს და სულიც უდგას, ნოეს კიდობანში გამომწყვდეულ ცოდვისშვილებს თავდაც მიგხედაეო. კვალს წინ ეჭაჩება მწერალი, თუნდაც კიდევ ერთხელ მოხაზოს, თუ როგორ აქვს მონიშნული ფინალი; ლიმონა, ტიგრანა, ზაზა... აგულიანებენ, თუ გული გიზამს, კი, ბატონო ნოდარ, გასაჰირში გვაყურყუტე, გნებავთ, ვირის აბანოში მუღმივად დაგებოვეო: „რა სიკვდილი, — ჩაენმის, — რისი სიკვდილი, შენი გულის ამბავი რომ ვიცით, რას შეგველევით მანამ, სანამ

ნოეს კიდობნიდან არ დაგვიხსნი, ჩვენც ხალხი ვართო", — გულაღმა ვაწოლილი, ნაცნობებს ეჩურჩულება, ებოდიშება, ვასპირში რა თავით ჩაგტოვებთ, ეს რა გიფიქრიათო.

●
თვალწინ უდგას გაუხარელი ბავშვობა, ობლობის სუსხი: ოცდაჩვიდმეტში მამამისი შორ გზას რომ გაუყენეს, დედამისიც უკან მიაყოლეს; დეიდათან იზრდებოდა სოხუმში; მშობლიურმა გურიამ შეიფარა ძნელბედობის ვამს, უფროს დასთან ერთად დააფრთიანა; კთხვამ რომ გაიტაცა, თბილისმაც გაუღო უნივერსიტეტის კარები; მამის პალტომ, დიდხანს ბიძამისი რომ ატარებდა, მშობლიური სითბო აგრძნობინა ყმაწვილკაცს: შორი გზიდან დაბრუნებულმა, ნაადრევად გაქალაჩა-ვებულმა დედამ ვერც იცნო ღვიძლი შვილი — შუალამით მძინარეს საბანი გადახადა და ზურგზე ხალი რომ უპოვა, კიდევ ერთხელ გამოიტირა თავისი შავი სვე-ბედი..

●
ლექსს რომ დაწერდა, ახლობლებს უკითხავდა; მეტწილად უფროსი და იყო პირველი „კრიტიკოსი“, სულ რომ უწუნებდა ქაშნიკს; საშინაო კრიტიკის მოსაგერიებლად, ახსოვს, ერთხელ იხიმანდრა: დიდ პოეტს დაეაესხა სტრიქონები, შიგა და შიგ სწავთა მარგალიტებიც რომ ჩაავვირისტა, ეგონა, კრიტიკის თვალში ფონს ადვილად გავიღოდა; მიზანს მაინც რომ ვერ ეწია, გულიანად იხარხარა: ჩემი კი არაა, დიდი გალაკტიონისააო; ამ ფანდით კბილი რომ მოჭრა პირველ მკითხველთა შემოტყვას, პროზაშიც სცადა ბედი და მოეჩვენა, ერთბაშად იპოვა ნატვრის-თვალი: ის, რაც უნახავს, განუტღია, თვალწინ უდგას, პირველი კვალიც უშუალო, შთამბეჭდავი; მაშინ იგრძნო, იმას, რასაც თავად კარგად ხედავ, ისე დახატავ, მკითხველსაც უკეთ წარუდ-

გენ, ისე მოაჩვენებ, თითქოს ცოცხალ ადამიანს ხედავდეს, ფერით, მისხარა-მოხვრით გამორჩეულს, ვინაში წინ ნაცნობი შემოეყარა, სადღაც რომ უნახავს..

ამსობაში მოეჩვენა, სააედამყოფოს მისაღებში ერთი ამბავია, ხმაური, ზურვიკლასთან ვინ არ გვიშვებსო, ბებია, ილიკო, ილარიონი ცერებზე შემდგარან, წინ ვინ გადაუდგათ; აგერ ხატი-აც ხელებს აფათურებს შეუვალი პალატის კარებზე, აოსოია, რა იყო..

— შემოუშვით, ძამა — უნებლიეთ რომ დაიკვნესა, თვითონაც გაელიმა.

უპირველეს ყოვლისა, თავად მას სულ თავზე ადგანან თავისი საყვარელი პერსონაჟები; უსინათლო ხატია — მისი გულის ტყვილი! სოსოია ეუბნება, ხატია, მიბრუნდი იქითკენ, შარვალი უნდა ჩავიცვაო, ის დღე სამაზაოვრო გამოდგა, დაუფიქვარიც შემოქმედისთვის: ასეთი „აღმოჩენა“ დიდ სიაპოვნებას რომ არ ანიჭებდეს მწერალს, მართლაც გაჭირდებოდა კვალის ბოლომდე გატანა; ამჯერად ნოეს კოდობანმაც ფრთები შეასხა, აგულიანებს: რაკი გული გამიხსენი, მეც კარს გავიღებ, რომ ცხოვრებიაეული წარღვნიდან „ცოდვისშვილები“ დაიხსნაო.

„შემდეგ თქვენი თქვენ იცით“, — ჩაესმის.

„მე კი ვიცი, ძამა, მარა სიკვდილი რომ არ მეშვება?..“

„რა ჭირი მინდაო?!“.

„როგორ თუ ჩემთვის არა გკალიაო? ვეუბნები: მიზანი რომ შეგძრავს, როგორ გინდა შეელიო განუხორციელებელ ოცნებას, — ჭირში ჩაცენიულნი მიატოვო და ხელიც ჩაიქნო-მეთქი..“.

ერთი სული აქვს, თუნდაც თავად დაიწვას, დაიფრფლოს, ოღონდ კვალი ბოლომდე გაიტანოს. ჩვევისამებრ, სტვას შვება მიანიჭოს, ცხრაკლიტულიდან დაიხსნას მამა იორამი, ლიმონა, ტიგრანა, ზაზა ნაკაშიძე.. საამისოდ ხელის ერთი წაკვრაც კმარა, რომ მიზანს ეწიოს, მამაკაცს სთხოვა, ასე და ასეო,

ის კი არა და არა ჩანს: „იქნებ, — შფოთავს, — იქნებ...“ — ფიქრის დასრულებაც აღარ უნდა, რა იციო. მეგობრები თავს ახვევია, მაგრამ რა თავით მოიკითხოს ძმაცაი: ხომ არ უჭირსო? ერთი კია! თავი აღარ ახარავს. პირადი სატიკივარი როგორღაც გადაავიწყდაო. თავადვე ეკვიდება სიტყვას, რომ კვალი ბოლომდე გაიტანოს შეგება მოკვდაროს ბნელი სახლის ბინადართ, სუფთა პაერი აღირსოს; მით უმეტეს ის დალოცვილებიც ისე მახვილსიტყვაობენ, მუცელი ხელით უკავია მათ მოძღვარსაც. მოდი და არ მიხედო, ეშმაკს ანდერძი არ აუგო, შორიხლო რომ ხარხარებს, მეტი არაა ჩვენი მტერიო..

4

ჩემი შენ გითხარიო; გული მოგიკალიო; — როგორ თუ ძმაცაი მე ვადამყვო, იუმორითაც გამორჩეული პაციენტი თავზე ჩამოხველა; კეჭაქუხილს ცის ნატეხიც ჩამოპყვა; გულის ცრემლებით გამოიტირა მეგობარი მწერალი, მას რომ ვადაპყვოლია; ნემსით სითხე რომ შეუყვანეს დედოფარლგში, მოეჩვენა, ძმაცაის სიტომაც დაუარა მთელ სხეულში; ჩემი სატიკივარი, ეტუობა, გულთან ახლოს მიიტანა; უიმედო მდგომარეობამ, ჩანს, ცეცხლი წაჰკიდა, დაიწვა; დაიფერფლა, — ვადამყვა თავი მანაცვალა; ჭრისტე ღმერთით სრკვილითა სიკვდილი დაბარგუნა, რომ საამქვეყნოდ მომეხედო, ცოტენაეულმა თავდადებამ სულიერი ენერჯის მოძალეა აგრძნობინა, გულ-მკერდის არეში ტკივილები გაუყუჩა-მოუშუშა, ღამისაა ფეხზეც წამოაყენოს, რაღა წოლის დროაო.

— როგორა ხარ, ზურიკლა?

— უკეთ, ილიკო! ძმაცაიმა სული მომათქმევინა.

— შემოგველოს ბებიაშენი, ნენა.

— საკვდილი ცოტას მოიცდის.

— აბა როგორ, სოსოევი, ^{ხატის} ხმამ შეძრა ავადმყოფი ^{მედიკოსის} ძმაცაის ვა-
ლიც უნდა გადავიხადო.

— ღმერთი გისმენს, ნენა!

მანამდე აულაც არა მცალია ეშმაკის მოგზავნილისკენ მისახედავად.

— შენი ჭირიმე, შენი, ნენა. სიკვდილს რა ხელი აქვს ჩემს ზურიკლასთან, ამ ჭოხით თავს გაუუხეთქავ იმ სასიკვდილეს, იმას!

— ჯვარი ნუ გაქვს, ბებია, თავადაც მოვაყუჩებ.

— ღმერთი გისმენს, ნენა!

— იქნებ, არც სმენია, შემოკმედება საკვდილის სიკვდილიაო.

— შენ გაიხარე, ნენა, ეს რა მითხარი!

— მე კი არა, ბრძენს უთქვამს.

— დაილოცოს იმ ღვთისნიერის სახელი!

— შესაძლოა, — ზუმრობს თავისებურად, — სიკვდილმა არც იცის, ვისთან აქვს საქმე; ბევრს თუ გააჭირვებს, იმდენა მიზამს, უკვდავს გამხდის.

— პაი, ღმერთო...

— ..სულ უფრო შემავალიანებს, რომ სანთელი აუუნთო ძმაცაცსაც.

— ღმერთი გისმენს, ნენა, — ბებიას ლოცვა რეფრენივით ჩაესმის.

— ძმობის საგალობელიც რომ არ ვთქვა, რა გზა მაქვს; თავს იმდენი მეგობარი მახვევია, უკან დასახევი არც მაქვს.

— მიდი, მიდი, ზურიკლა! — ილიკოს შემახილიც ამხნევებს.

— ხელი ჩავიქნო და სიკვდილს ნებით რომ ჩავბარდე, შესაძლოა, ისევ ვადამყვეს რომელიმე მათგანი, ჭირზე ჭირი დავიმატო, კვლავაც ცოღვა ავიკიდო.

— ჭკუის კოლოფი ხარ, სოსოია! — მოუწონა ხატამ.

— ერთადერთი ხსნაა: ისევ წვა, კიდილი სიტყვასთან, რომ კვალი ბოლომდე გავიტანო, ახალ აღმართსაც შევექიდო.

— ღმერთი გისმენს, ნენა!



— თქვენც გჯეროდეთ, გურამ, არჩილ, რევაზ, მუხრან, ჯანსუღ... არსადაც არ ვაპირებ წასვლას, სანამ მეგობრის ვალიც არ გადამიხდია... ეს რა მიყო, დალოცვილმა: ქრისტე ღმერთით გადაწყვიტა, თვითონ ეწამა, რომ მე გადავერჩინე. — სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა, რამაც მეც შემაგულიანა.

— მიდი, მიდი, ზურიკელა, კაცოც შენ ყოფილხარ და ქუდიც გხურებია, — მოუწონა ილიკომ, ილარიონ ბრუციანს რომ სანთლით დაექმებს, ეს ყაზახი სად დამეკარგათ.

— ცხოვრება, ძამა, — მეგობარ მწერლებს მიმართავს, — თავადაც რომ არ გვაგულიანებდეს, ამ ცოდვილ მიწაზე არათუ კვალის ბოლომდე გატანა, სუნთქვაც გაპირდებოდა!

ჩაესმის:
— ზურიკელას ენაცვალოს ბებიაშისი, ილიკო, ილარიონი,
— მე ვხედავ მზეს, სოსოია..

5

1974 წელი. 20 აგვისტო. აგუძერა. ზღვისპირა აგარაკი. უახლოესი მეგობრის თავშემოწირვით შეძრული მწერალი თავისებურად „ისვენებს“ — ეჭიდება სიტყვას, იმდენად ჩაღრმავებია ფრაზას, ჩვევისამებრ, არც შეუნიშნავა, თავზე როგორ წავადექი: მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი ისე ხატავს, თითქოს ეს-ესაა შორეული ცურვის შემდეგ ნაპირზე გამოსულაო. ზოლებიანი საბანაო ტრუსით რომ ზის, სადაცაა ზღვას მიაშურებს, მწერლისა და მეზღვაურის პროფესიას, ძამა, ერთმანეთს ვუთავსებო; შორიახლოს ზღვაც ღელავს, დროა, ჩემგენაც მოიხედოთ; ის დალოცვილი კი ამქვეყნას აღარაა — წერით გატაცებული თავის პერსონაჟებს გადაყალიბა, ესიყვარულება, თქვენს იქით გზა სადა მაქვსო. მოდი და მყუდროება დაურღვე, კალმის მორიგი მოსმა დაუშალე,

ნატერისთვლივით ნაპოვნი აზრი გააქვებინე: „ესეც მწერლისეულს ცეცება, ჩაღრმავება-ჩაყოლა თავდავიწყება“, — უსიტყვოდ უკან გამობრუნება და მეზობლიშება.

— უკაცრავად, ძამა!
როგორც ყოველთვის, სხივიანი თვლები უცინის; მისთვის ჩვეული იუმორით აზვებს სათქმელს; სიკეთის სითბოს ასხივებს. სულაც არ იმჩნევს, რომ გადალილია, ძმაცაცის აღსასრულით შეძრული, თავდავიწყებული; ეტყობა, მახლობელთან შეხვედრა ახალისებს, მით უმეტეს „დიდი ღვინია კირთა თქმა...“ თავს იკავებს, იქნებ, ნადრევიც იყოს უკანასკნელი თხოვნის გამხელაო, — რამდენჯერ გადაიფიქრა ერთი სათხოვარი, მეგობრის გამოჩენისას სულ რომ ეძალემა. თუნდაც ერთმა იცოდეს, მოსვენებას რა გართმევსო, ვერა და ვერ გადაუშლია გული; მე რა ნატერის ამსრულებელი ვარ, არ შეყოვნდეს, „ზოგჯერ თქმა სკობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — ამჯერადაც თავს იკავებს (რასაც მოგვიანებით გამომხელს), თითქოს ეს მეგრძნოს, ვეკითხები:

— ბატონო ნოდარ, თქვენი ვმირები საოცრად გამოკვეთილნი არიან, სიციცხლით აღსავსენი. მკითხველს ეჩვენება, ყოველი მათგანი საღდაც შეხვედრია, უნახავს, როგორ აღწევთ ამას?

— მწერალი ცხოვრებიდან იღებს მასალას, ამავე დროს თვითონაც ავსებს. ამდიდრებს მას, ქმნის მხატვრულ სინამდვილეს. ჩემი ვმირების უმეტესობას ჰყავს თავისი პროტოტიპები, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი ნატურის ასლი იყვნენ. ისინი ჰგვანან და კიდევაც არ ჰგვანან პირველწყაროს. მწერლის ხელოვნება იმაშია, კონკრეტულიდან აღებულ ხასიათს რამდენად მისცემს ზოგად ტიპურ ელფერს.

— მკითხველს ეჩვენება, თქვენ ხშირად ნამდვილ ამბავს აღწერთ.

— ამის მიზეზია ის, რომ ნაწარმოებში ვიყენებ ნამდვილ და არა მოგო-

ნილ გვარებს. ბევრ მკითხველს ჰგონია, ჩემს მიერ აღწერილი ამბავი უტყუარია, ზუსტად მომხდარი. ასეთი შემთხვევაც მქონდა, ძამა-ნაცნობი მეუბნება: სკოლაში მართლაც იყვნენ ასეთი მოსწავლეები, თქვენ რომ ასხელებთ მაგრამ, რატომღაც, ხატია არ მახსოვსო. მწერალს ხომ აქვს უფლება სინამდვილიდან აღებულ სახეებს გვერდით ამოუყენოს მოგონილი გმირებიც, რომ უკეთ გამოხატოს სათქმელი, შექმნას მხატვრული სიმართლე, მხატვრული სინამდვილე.

— ცხადია, — ვუმოწმებ, — რა ურთიერთობა გაქვემდებარდათ თქვენი ლიტერატურული პერსონაჟების პროტოტიპებთან?

— ბევრი მათგანი, ძამა, ჩემი უშუალო ნაცნობია, მახლობელიც. მე დავიბადე თბილისში; ორი წელიწადი ვსწავლობდი სოხუმში, მეცამეტე სკოლაში; სხვათა შორის კლასიდან კლასში გადასვლის ატესტატიც მიდასტურებს ამას; ოთხი წელიწადი გავატარე გურიაში, ბებიასთან; მიმუშავია ტყვარჩელის შახტში. ახიბლარას მალაროში ერთი თვეც საკმარისი აღმოჩნდა, მეგრძნო, თუ რაოდენ ძვირფასი მალაროელის პროფესია.

— „ნუ გეშინია დედა“—შიც იგონებთ ტყვარჩელს.

— დიახ. მწყემსის კომბალიც მქვარია ხელში და მესაზღვრის ფხიზელი ძილიც მიგეშია, ძამა. პროფესიით სოფლის მეურნეობის ეკონომისტი ვარ. ცხადია, ნანახი, განცდილი გამოვიყენე მხატვრულ შემოქმედებაში. ახლო ურთიერთობა მქონია ჩემი ლიტერატურული პერსონაჟების. პროტოტიპებთან, ბევრთან არც შემდეგ შემიწყვეტია ეს ურთიერთობა. უნდა გამოვიტყდეთ, ძამა, ბევრმა მათგანმა ჩემს ნაწერებში იცნო საკუთარი თავი, ზოგმა კიდევ მიბაძა ლიტერატურულ გმირს. მქონდა ასეთი შემთხვევა! მკითხველთა წერილები მივიღე იმაზე, ერთ-ერთმა უარყოფითმა გმირმა თუ როგორ იცნო საკუთარი თავი. მკითხველები მად-

ლიერებით მწერდნენ, რეგულარულად დელობითი ზემოქმედებებიც პროტოტიპზე ლიტერატურულმა გმირმა — პირველი იმულებული გახდა მიეზაძა მეორისთვის, ლიტერატურული გმირისთვის, გამოსწორების გზას დაადგა.

— ლიტერატურის აღმზრდელით როლიც სწორედ ამბავია. ბატონო ნოდარ, თქვენი ლიტერატურული გმირებიდან რომელი უფრო მოგწონთ, გიყვართ?

— მშობლისთვის ყველა შვილი ერთნაირად საყვარელია.

— „თეთრი ბაიარაღების“ ბოლოსიტყვაობაში თქვენ წერთ: წიგნი, რომელიც წინ გიღვეს, მკითხველო, ჩემი გმირის ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელია... თუთმეტი წელი ვედექი ამ ბიჭს კვალშიო...:

— დიახ, „თეთრი ბაიარაღებით“ დასრულდა ერთი დიდი ციკლი რომანებისა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“, „თეთრი ბაიარაღები“ გვიჩვენებენ ერთი მთავარი გმირის ზრდა-დავითებას, ჩემთვის მთავარია, ძამა, ვუჩვენო ახალგაზრდა ადამიანის სულის მოძრაობა, გულისძაბილი სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა გარემოში, წინააღმდეგობებსა და სიძნელებებთან კიდილში. იგი იბრძვის, მარცხდება, ისევ წელში იმართება... ისევ გაჭბილება, კვლავ ფეხზე წამოდგომა, სულიერად განწმენდა... და აჰა, შეაბიჯა ცხოვრებაშიც! ახალგაზრდის აღზრდა-ფორმირება მეტად რთული პროცესია და მისი ჩვენებაც პირველხარისხოვან პრობლემად მიმჩნია დღენათვის.

— რას გვეტყვი მწერლის ოსტატობაზე, ბატონო ნოდარ?

— ჰემინგუე ამბობდა, მწერალი აისბერგს უნდა ჰკავდესო, — ეს ნიშნავს, სტრიქონებს შორისაც უნდა იკითხებოდეს დაუწერელი ფრაზა, აზრი. მწერალი ხომ სახეებით აზროვნებს, კვებტეჭით მეტყველებს, მინიშნე-



ბებით ხატავს და ქმნის ერთიან სურათს. სოფელში ყველას სჯერა, რომ ხატია ხედავს, მაგრამ ამაზე სიტყვაც არაა ნათქვამი ნაწარმოებში, მხოლოდ ერთმა ფრაზამ მიანიშნა მკითხველს:

„— შებრუნდი იქით! — ვუთხარი ხატის უქმყოფილომ და შარვალს ხელი წამოვაველე. ხატის გაელიმა და მაინც მიბრუნდა“, — სოსოიას მინიშნება ნათელია. ასევე ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო და დამემთავრებინა „თეთრი ბაირალები“. მთავარია იცნობდე ცხოვრებას, კარგად იცოდე ის, რაზეც წერ. „ნუ გეშინია დედა“ რომ დამეწერა, მესაზღვრის ფაჩა ჩაიცივი, მაგრამ მარტო ესეც არა კმარა. მთავარია ალღო, უკეთ რა ფორმით გამოხატო სათქმელი მწერლის გამარჯვება დიდი სათქმელის უბრალოდ, ნათლად, საზოგადოებრივად გამოხატვას. უპირველეს ყოვლისა.

— ამას, ბატონო ნოდარ, თავად თქვენ აღწევთ ჩინებულად. ამიტომაცაა კარგ მთქმელს კარგი გამგებიც რომ ჰყავს — თქვენი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ოცდახუთ ენაზე.

ქული ხურავს; ჯილა წარბეჭედა მწერს სოებში შემალული სხივიანი თვალები შორს იმზირებთან, ლამისაა გაელიმოს, თითქოს წინასწარ ეგრძნოს, ინტერვიუ გულს როგორ გაუხსნიდა, წყრილად მიამბო, საავადმყოფოშიც როგორ ევიდებოდა სიტყვას. რომ გაუჭირდა, ძმაცას როგორ გაანდო, დაეწერა ბოლო თავი, შევად მონიშნული რომ ჰქონდა... ჩემი გასაკვირი გულთან მიიტანა, ძამა ზედ გადამეყო. ვიგრძენი, შეფარვით მიმანიშნა: ინფარქტგადატანილს, რომ დამიღამდეს. შენ იციო, ჩამაფიქრა: ანდერძივით დამუხტულმა სიტყვებმა, ბუნებრივია, ცეცხლი მომიკიდა.

— რა იყო, ძამა?! — ცრემლი გაერთა მის ალერაიან თვალებში: — ახლა შენც არ შემოგეყაროს გულზე. — მისთვის ჩვეული ღიმილით შევბა მომანიქა, სული მომათქმევინა.

შორიბალოდან ნიბლიამ დაიღურქულა, ზღვამ ამოიხენეშა..

— რაზე მუშაობთ ამჟამად: — კითხვა შევებარე, რომ გული ბოლომდე გადავაშლევინო.

— ვმუშაობ ახალ მოთხრობაზე, რომელშიც დახატული იქნება მზის თვლით (ამოსვლიდან ჩასვლამდე) დანახული სამყარო. წლებულს გამოვაქვეყნე რამდენიმე მოთხრობა: „კორიდა“, „დიდრო“, „ძალი“ და „უმადური“. ჩაფიქრებული მაქვს რომანი, რომელზეც წინასწარ საუბარი ნაადრევი იქნებოდა..

1974 წელი, 22 აგვისტო. გამოქვეყნებულია „მწერალი და ცხოვრება“ პორტრეტით: როგორც ზღვისპირელს, მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი აცვია, ფართო ფარფლებიანი

1974 წელი. 25 აგვისტო. აგუძერა. შეკირვებული მწერალი თავისებურად „ისვენებს“: თითქოს კვლავაც მესაზღვრეა ირგვლივ შემოხვეულ გმირებს საბრძოლო დაეალებას აძლევს, ვინ სად იმსახუროს, ვინ მოთხრობაში დაიკავოს საგუშაგო, ვინ კიდევ ახალ ძმობის საგალობელში რომლის სახელი ჯერ არ ითქმის; თვითელს ადგილს რომ მიუჩენს, შევბას გრძნობს, ლხენას — შეუძლია ზღვასაც მიხედოს, ნამდვილი მოაგარაკე გახდეს, დამსვენებელი, ადამიანებთან ურთიერთობა სიამოვნებს, იმუხტება, შესვენების შემდეგ ისევ და ისევ რომ შეეჭიდოს სიტყვას. მეც ამით ვსარგებლობ, ვეუბნები: ის, რაც მან მიამბო, შთამბეჭდავი მოთხრობის თემაა, ღრმა ფსიქოლოგიური მუხტით შეკრული ძმობის საგალობელი: შეუძლოდ მყოფმა რომ იგრძნო, ძმაცაცმა გულთან ახლოს როგორ მიიტანა მისი სატიკივარი, როგორ თუ ზედ გადამე-

ვაო: თავი დაავიწყა: რაკი ასეთი ერთ სულ, ერთ გულ ძმაკაცი მყოლია, სადაური უკანდახევა, ხელის ჩაქნევა, პირი-ქით, მე უნდა ვიცოცხლო, თუნდაც სიტყვაში გავაცოცხლო ზედ გადაყოლილი მეგობარი, — ასეთი ცოტნესეული თავდადება სიკვდილის პირას შეყოვნებულ კაცს სწორედ საამქვეყნოდ მოგაბრუნებსო...

— მართალი ხარ, ძამა, — თვალები გაუბრწყინდა, სახე გაუნათდა: როგორ დაეტყო, თავადაც ბევრი ეფიქრა ამაზე და მეც რომ უნებლიეთ კვერი დავუკარი, ცხადია, ნატვრა აღსრულდა: მწერალი ასე შეფარვით კბილს რომ არ უსინჯავდეს ჩანაფიქრს, კვალის ბოლომდე გატანა მართლაც გაჭირდებოდა.

— ოღონდ, — ვეუბნები, — ისევ ნოდარ დუმბაძე თუ დაწერს ძმობის საგალობელს, თანაც ყველაზე უკეთ-ხშირი, ჭილა წარბები რომ აუთამაშდა, შუბლი გაეხსნა:

— ენახოთ... ვმუშაობ ახალ რომანზე, — ჩაფიქრდა, — ენახოთ, ძამა.

როგორ ნაწყენია, რომ ბევრს შურს მისი- გულგატეხილია: შური, ძამა, რატომ უნდა აბრმავებდეს და აყრუებდეს ადამიანსო, — მავანს არ მოსწონს მისი გაბედული იუმორი- კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო.

ამ თემაზე საუბარს თავი აარიდა, ამოიკვნესა:

— საოცარია ზღვა, — შორეთს გაპყრებს...

ისევ წვა, დუდილი წეხს, ხევესა უმთვალავი შესაძლებლობა, ზგროთი მისი ნაკადი, საუკეთესო, დანარჩენი — მაკდუნებელი, მატყუარა; თეთრსა და შავს ამოცნობა უნდა, საუკეთესოს — ბოლომდე გატანა! ეჩვენება, თავზე ადგას მეგობრის ორანიც, აგულიანებს: მე შენი სიცოცხლე მინდა, ძამაო, დღეგრძელობა, მეტი არაფერიო.

„ვიცი, ძამა, — პააუბობს, — ლოცვაც დაგიწერია: უფალო, მეგობარი გადაშირჩინე, მიცოცხლე, სამაგიეროდ, ჩემი თავი ჩაიბარეო“.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი კირსა არ დამრიდალ“...

„ისეთი მეგობრები მყოლია, სიკვდილს რა ხელი აქვს ჩემთან!“

„ღმერთი გისმენს, ძამაო!“

„ჩემი კვალი ბოლომდე გაიტანე-მეთქი, რომ გთხოვე, გულზე შემოგეყარა, ძამა, ზედ გადამეყვი“.

„სწორედ იმისათვის, რომ თავადვე გასულიყავი ბოლომდე. ნოდარ დუმბაძე რომ წერს, ტყუილია, ისე მე რას მოვეტყევედი! ისეც რომ არ იყოს, რა პირით უნდა მეთქვა: თბოვნას შეგირულე, ჩემი თავი შენ გენაცვალოს-მეთქი“.

„ახლა შენი და ჩემი მე უნდა ვიტვირთო, ძამა“.

„მდგომარეობას შეეუშუსუბუქებ-მეთქი, ჩანს, უშველებელი ტვირთი აგვიდე, ძამაო, მპატიე“.

„პირიქით, ძამა — შესძახოს უნდა, — შენი თავდადებით ისეთი სული ჩამბერე, საამქვეყნოდ მომაბრუნე, სადაცა კვალი ბოლომდე გავიტანო... „თეთრი ბაირაღები“ რა ხანია, დავასრულე. იმ კვალზეც გეუბნები, შენმა თავდადებამ რომ შთამაგონა“

„ჩემი რა სათქმელია, ძამაო?!“

„ეფიქრობ, სწორედ რომ მეტად საყურადღებოა, ანთებული სანთელი, ძამა, თაობებუ რომ ასწავლის, თუ როგორ უნდა წუთისოფლის გატანა“.

„ღმერთი გისმენს, ძამაო“, — იგრძნო, სიკვდილიც როგორ ჩამდგარა სიცოცხლის სამსახურში.

წინ მორიგი მწვერვალია, — არც ისე ადვილად მისადგომი. ჯაფით დასაპყრობი! რა დროს გულზელდაკრეფთა: ერთი სული აქვს, უკვდავეყოს მას გადაყოლილი ძმაკაცი, მკითხველიც ჩააფიქროს, თუ რაოდენ დიდია თითოეული ჩვენთაგანის ვალი საზოგადოებაში, რომ სიცოცხლემ ნაადრევად არ ჩაიმუხლოს!



„მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს. მიქია...“.

ისევ ინფარქტი! „...ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო, უცებ გულისკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე ვიღაცამ თითქოს მკერდი გაუხსნაო, შიგ დაკოჭრილი ხელები ჩაუყო და გულის ყურძნის მტევანი დაუწურა. წურავდა ნელა, დიდი მონდომებით: ერთი, ორი და სამი, სამი და ოთხი... ბოლოს ისე მოუჭირა ხელი, ისე დაუწურა, სისხლის ნატამალიც არ დაუტოვა შიგ და ასე გამოშრალი და დაქყლეტილი მიაგდო სადღაც კუთხეში“...

ნატერის ამსრულებელი მწერალი წუთებს ითვლისო, ფეხზე დადგა ზღვისპირა ქალაქი, წყლან ბაჩანა რომ იგონებდა: „სოხუმში, ჩერნიაევა, ვენეციის ხიდი, მეცამეტე სკოლა, ომის წინა წელს რომ სწავლობდა... მეორე საავადმყოფოს წინ დღისით და ღამით ერთი წყვეტა: — ოხერა, ცენსა, ლოცვა, ღმერთო უშველეო. ღმერთივით პროფესორები თავზე რომ წაადგნენ, ქვეყნისა და ხალხის სითბომ ტკვილები ერთბაშად გაუყურა, მოუშუშა: „ხალხნო, — შესძახოს უნდა, — თქვენი გულების ფეთქვა ჩემსაა რომ შემოუერთდა, თავს ისე ვგრძნობ: სიკვდილს რა ხელი აქვს ჩემთან. ძამა“, — ისე გამხნევედა, ღამისაა წამოდგეს.

— პროფესორებს ჩემი სახელით სთხოვეთ, ძამა, სხეებსაც მიხედონ,
— ახლავე, ბატონო ნოდარ.
— ნანულო, — მეუღლეს უხმო.
— გიამენი
— ვგრძნობ, გვერდითა პალატაში ვიღაცას უპირს. ნემსები ორივეს გვეყოფა...

— ახლავე, — ქალბატონი უსიტყვოდაც ხვდება შეპირებულის გულის ძახილს.

— უთხარი, აგერა ვარ...

მედიცინის გამორჩეულმა თვალმა, დე... უურმა თხოვნა რომ შეუსრულდა, მწერალი გადარჩენილი პაციენტი მწერალს ემადლიერება; დალოცვილმა ჩემკენაც რომ მოიხედა, სიცოცხლე მაჩუქაო.

— გიძკურნალა?

— ის დალოცვილი რომ არა, — ელიმება, — მოსკოვიდან, თბილისიდან სახელგანთქმულ პროფესორება მე ვინ მაღირსებდა, ძმობილო.

...„ძამაც“ მისთვის ჩვეული იუმორით იფერებს: ეჭიმის პროფესიაც შევითავსეო.

7.

ძმაკაცის სიკვდილით დათრგუნვილმა სიკვდილმა არ მოიშალა თავისი კოფაკით სამჯერ შემოულრინა მწერალს, აამიფეჭერ გაქსაილებული, კუდამოძეებული გაბრუნდა უკან, ეს ვის გადაეყარეო. უნდა იცოდე, ვისთან გაქვს საქმე, ძამა, — მე და ჩემი პერსონაჟები, უანგარო მეგობრები მკითხველებთან ერთად ერთ მუშტოვით შეკრულნი რომ ვართ, შენ რას დაგვაკლებო, თავი ისე უჭირავს შემოქმედს, თითქოს მართლა იყოს ხუმრობის ხასიათზე. ძმაკაცის თავდადებამ, ზედ გადაყოლამ მთელი თორმეტი წელიწადი გაუხანგარძლიოვა სიტყვასთან ქიდილი, ქვეყნის ძმაკაცის ვალიც რომ გადაიხადა, ჩაბარდა მიქელ-გაბრიელს:

— აღარ მეშვები, სიკვდილო?!

— აჟი მადროვეო... მოგვიანებით მოგაკითხე.

— რისი გაცემაც შეიძლებოდა, არ დამიშურებია სხვათათვის.

— მაინც ვერ შეგვალევი.

— ტყუილად ირჩები, სიკვდილო! ზურიკლა, სოსოია, ზაზა, ბაჩანა... თვით ბებიაც, ილიკოც, ილარიონიც... მე ვარ, იმდენი ვართ, შენ რა ხელი გაქვს ჩემს მოდგმასთან.

— ოპო, — შეყოვნდა სიკვდილიც, შეფიჭრიანდა.

— ახლა მკითხველებს არ იკითხავ, ძამა.. არ იფიქრო, შენი ვაიტანე: ბოლო-ბოლო მიწის ვალიც ხომ უნდა გადავიხადო, ამიტომ ვითომ გნებდები, ძამა, — მთლად სასაცილოდ აიგდო კაცობრიობის დაუძინებელი მტერი, თანაც დაგვმოძღვრა: „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევეწყუოთ და შევაშველოთ და ვცადოთ როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე..“.

● „მარადისობია კანონი“ რომ აღმოაჩინა, „გული ვაჩუქე, ძამა, გული“, —

იტყოდა ბოლო-ბოლო ^{გაცვდას გული,} — მზის ენერჯით მომუშავე ^{მარტონი} ია. სამაგიეროდ, ხელოვნურ გულს ჩაგიდგამთო, რომ შესთავაზეს, შორს დაეკირა: არა, ძამა, ხელოვნური გულით ჩემი სიცოცხლე ვერც წარმომიდგენიათ, მართლაც სად მზიანი გული, სად ხელოვნურიო. უკან რომ დაიხიეს, მდგომარეობა თვითონვე განმუხტა, როცა თქვა:

— მოდი, ძამა, ერთი ვიმღეროთ! — „სიცოცხლის ნიშანტდაცილი ხელი გადახვია“ მასთან გამოსათხოვებლად მოსულ მეგობრებს და რომ წამოიწყო, მოეჩვენა, ზედ გადაყოლილმა ძმაც-მაც ხმა ააყოლა. ეა იყო ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილის უკანასკნელი ამოსუნთქვა, მარადისობის სიმღერა, რომლის ექო ჭერაც არ დამცხრალა და არც არასოდეს განელდება..



„ის, რომ დღეს გულაუთაში ბევრი აფხაზი ცხოვრობს, ეს ბზიფის ოლქის უფროსის მაიორ დ. ჭავჭავაძის დამსახურებაა. მუქაჯირობის დროს მან ათასობით მოტყუებული დააბრუნა უკან და არ გაუშვა თურქეთში, რისთვისაც ის სიკვდილით დასაჯეს“.

XIX საუკუნის ქართული ქრონიკა

მუქაჯირობა და ქართველი მონღოლები ინტელიგენცია

ვინც კავკასიის ხალხების ისტორიაში ოდნავ მაინც ჩახედულია, მან იცის, რომ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენაში ქართველებმა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ამიტომაც იყო, რომ კავკასიის ხალხები, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა, ტუტუმტყებივით ერთიანდებოდნენ საქართველოს გარშემო და საერთო მტერს საკადრის პასუხს აძლევდნენ.

საქართველოს იგივე ბუფერული როლის შესრულება შეუძლია დღესაც. კავკასიელები თავიანთი ვაჭკაცობითა და რაინდობით სწორედ იმით გამოირჩეოდნენ, რომ უბედობაში ჩავარდნილს ჩაწიხლვით კი არ ეშუქებოდნენ, არამედ მკურნალად და მასველად ველინებოდნენ, მხარს უმაგრებდნენ, იმედს უწერგავდნენ, დღეუპვისაგან თავდახსნაში ეხმარებოდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ

საქართველოს მწვლბედობის ეამს, მხარდაჭერის მაგიერად, მის წინააღმდეგ ხელს აღმართავდნენ, მასთან ღზინსა თუ ჭირში წილნაყარნი, მეზობელი, მონათესავე და მეგობარი ხალხები, რომელთა ბედი ისტორიულად ყოველთვის ქართველი ერის ძლიერებაზე იყო დამოკიდებული.

დღეს იმპერიის შავნელი ძალები, ავანტიურისტები და პროვოკატორები, ცდილობენ კავკასიის ხალხების ისტორიის ფაღსიფიკაციის გზით, ესა თუ ის მოვლენა ქართველი ხალხის დისკრტიზაციისათვის გამოიყენონ და აუმზედრონ მეზობელი ხალხები. აფხაზეთის პროვოკაციულ ომს სწორედ ასეთი დონისძიებების მთელი წყება უძღოდა წინ. აქ გავიხსენებ მხოლოდ ერთ ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებას, რომელიც ჩატარდა 1992 წლის 21 მაისს ქ. სოხუმში, ფეხბურთის სტადიონზე. იგი მიეძღვნა მუქაჯირობას. მას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და

სახლკარგარეთის დიასპორების წარმომადგენლები. მიტინგი დემარშებსა და დემონსტრაციებში გადაიზარდა. მომიტინგეების მიერ გამოტანილი ლოზუნგები და ტრანსპარანტები ანტიქართულ მოწოდებებს შეიცავდნენ. მუჰაჯირობაში ქართველები დაადანაშაულებს, ხოლო მიტინგზე გამოსულმა სომხური რეაქციული საზოგადოება „კრუნკის“ წვერმა, სოხუმელმა პედაგოგმა სედა სარქიანიამა ქართველები აფხაზთა გენოციდში დაადანაშაულა.

ამ ღონისძიებას მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფესტივალი სოხუმში, რაც როგორც შემდგომ გაირკვა, მხოლოდ შირმა იყო. ამ ღონისძიების უკან იმალებოდა გამაღებელი შეიარაღებული მზადება, რაც უახლოეს დროში აფხაზეთის ქართველთა დარბევასა და გენოციდს ითვალისწინებდა.

გამოჩენილი აფხაზი მეცნიერი, პროფესორი ვიორჯი ძიმარია, რომელმაც მუჰაჯირობას კაპიტალური ნაშრომი მიუძღვნა, ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ განიცადა აფხაზი ხალხის ეს ტრაგედია ქართველმა ერმა, რომლის მოწინავე ინტელიგენციამ შთელ კავკასიაში ყველაზე გაბედულად გაილაშქრა მეფის რუსეთის მიერ განხორციელებული ამ არაადამიანური აქტის წინააღმდეგ და ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მუჰაჯირთა ნაწილი მაინც სამშობლოში დაბრუნებულიყო, რაც კიდევ მოხერხდა.

მკითხველს უფრო ნათელი და სწორი წარმოდგენა რომ ჰქონდეს მუჰაჯირობის გამოწვევებზე მიზეზებზე, მის შედეგებზე და ამ ფაქტისადმი ქართველთა დამოკიდებულებაზე, შევეცდებით, პირველწყაროებზე დაყრდნობით მოკლედ მიმოვიხილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდი.

„მუჰაჯირობა“ არაბული სიტყვაა და იმნიშვნავს გადასახლებას, რაც კავკასიაში ოსმალების ბატონობის დამყარებიდან დაიწყო და დროთაძოვრებით პირველ მსოფლიო ომამდე ვაგრძელდა.

მუჰაჯირობა დაკავშირებულია კავკასიის ომებთან, საგულხრანის ტყვეობას დაწვევასთან და რუსეთ-ოსმალეთის ომებთან. იგი ძირითადად მოიცავს XIX საუკუნის 50-70-იან წლებს, თუმცა ქართველი ისტორიკოსის ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მუჰაჯირობას აფხაზეთში ადგილი ჰქონია 1660 და 1770 წლებშიც. ეს გამოწვეული იყო თურქი დამპყრობლების რელიგიური პოლიტიკის შედეგად (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, თბილისი, 1912).

მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზები, აბაძეები, ბედეულები, ყუბანისპირელი ნოღაელები, ჩერქეზები, უბიხები, ჩერნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, აფხაზები და სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი ქართველები.

რუსეთის ხელისუფლებას სურდა მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით პოლიტიკური სიმშვიდისათვის მიეღწია კავკასიაში, ესარგებლა ამ მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით.

თავის მხრივ ოსმალეთსაც ხელს ამლეკდა კავკასიელთა მის ტერიტორიაზე ჩამოსახლება. მუჰაჯირების მეშვეობით ის ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაუსახლებელი ადგილების ათვისებას, რაც სახალხო მურნეობის განვითარებასა და ქვეყნის თელავისუნარიანობას შეუწყობდა ხელს.

ამგვარად, რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესები მუჰაჯირობის საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა, რის გამოც ამ მიმართულებით მათი პოლიტიკის გარეგნული გარდაუვალი გახდა. ეს პოლიტიკური ფარსი კავკასიის მთიელებისთვის შეუცნობელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის დემორტაციის წინააღმდეგ აშკარად ილაშქრებდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია. ეს უკანასკნელი ამხელდა მუჰაჯირობის დამდუპველ როლს კავკასიის ხალხების ისტორიაში, აშკარადაც ამ შეფარულ პოლიტიკაში ჩადებულ ბოროტ ზრახვებს.



გადასახლებული ხალხების დამცველთა შორის ერთ-ერთი უპირველესი იყო დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მუქაჯირობის დროს კაკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. იგი არც რუსეთის ხელისუფალთ კრიტიკაში ემხილა მუქაჯირობის ტრაგიკული შედეგები. 1862 წლის 4 მაისს, რუსეთის სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილ პატაკში გენერალი გ. ორბელიანი წერდა: „ამჟამად ინტენსიურ ხასიათს ღებულობს თურქეთში ჩერქეზი ბავშვების და ქალების გაყიდვა, ბუნებრივია არის მონაცემები უკანასკნელ ორ წელიწადში კაკასიელ მთიელთა მნიშვნელოვანი მასის გადასახლების. მათ შორის ვინც სამშობლოში დაბრუნდა, ვვებთან, რომ იძულებული ხდებოდნენ გაეყიდათ ბავშვები და ცოლები, რათა მათთვისაც და თავისთვისაც შეენარჩუნებინათ სიცოცხლე“ (გ. ძიძარია, მუქაჯირობა, სოხუმი, 1976, გვ. 228, რუსულ ენაზე).

მუქაჯირობის პირველ პერიოდთან დაკავშირებით გ. ორბელიანი 1872 წელს წერდა, რომ 200 ათასზე მეტი ჩერქეზი გადასახლდა ყუბანიდან, აფხაზეთი მოსახლეობისაგან დაიცალა. ახლა აჭარის და ყარსის მოსახლეობა, თვით სომხებიც კი, გაურბიან ამ ხოლერას (იხ. ლიტერატურული მატრიანე, თბილისი, 1940, გვ. 300-301).

სამწუხაროდ მუქაჯირობას მზარს უჭერდნენ კაკასიის მთიელთა სოციალურად დაწინაურებული ფენები და სასულიერო წრეები. ზედაფენებს ემინოდნენ, რომ ისინი სოციალურ და პოლიტიკურ პრივილეგიებს დაკარგავდნენ რუსების ხელში. ამიტომ ოსმალეთში გადასახლება ხსნიდნენ ერთ-ერთ გზად მიანდნათ.

სასულიერო წრეები მორწმუნეებს ამინებდნენ, რომ რუსეთი მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა, მაღალ ვაჭრისტიანებდა. ოსმალთა მრავალრიცხოვანი ემიგრები კი თავგამოდებით არწმუნებდნენ რუსეთის ცარიზმისაგან შევიწროებულ მთიელებს, რომ ერთმორწმუნე ოსმალეთი მათ ცხოვრე-

ბის ნორმალურ პირობებს შეუქმნებოდა. ცნობილია ქართველმა მწერლებმა ლევან მჭედლოშვილმა (კრაზანამ) აფხაზ მუქაჯირობებზე პირველმა შექმნა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც 1878 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა. მასში ავტორი ემობს აფხაზეთა იძულებით გადასახლებას ოსმალეთში და აღწერს მუქაჯირობის ტანჯულ ცხოვრებას უცხოეთში, ამავე თემას ეხება მისი წერილი, გამოქვეყნებული იმავე გაზეთის 1879 წლის 123-ე ნომერში, სადაც წერს: „აღამიანს ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ სიბრალული არ გამოიწვიოს აფხაზი ქალების ტანჯვამ, რომლებიც ძონძებში ჩაცმულები, გამხდრები, შიმშილისაგან გაყვითლებულები, თავიანთი ბავშვებით, მუხლებზე დგომით ევედრებოდნენ ბაიუმში მყოფ დიდ მთავარს და თხოვდნენ პატიებას“.

აფხაზ მუქაჯირობებზე გულისტკივილით წერს მწერალი ი. ხონელი (ი. ბახტაძე) თავის მოთხრობაში, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდს ასახავს.

აფხაზეთის მუქაჯირობებზე ასევე მამხილებელი სტატიები და მასალები აქვთ გამოქვეყნებული საზოგადო მოღვაწეებს: კ. მაჭავარიანს, ნ. ჯანაშიას, ზ. ჭიჭინაძეს და სხვ. ზ. ჭიჭინაძე თავის წიგნში ცალკე თავს უძღვნის მუქაჯირობას აფხაზეთში, ავტორი არაერთხელ შენიშნავს, რომ „მხოლოდ იძულებით, პროვოკაციითა და მოტყუებით დატოვეს აფხაზეთში თავიანთი სამოთხის მსგავსი მიწა-წყალი და აღმოჩნდნენ უვარგის მიწებზე, უმძიმეს მღვდომარეობაში. მეგრე და რამდენი დაიღუპა? ან რა ვააკეთეს ისეთი, რომ ასეთი მკაცრი და არაადამიანური სასჯელი გამოეტანეს მათ“ (გვ. 168).

ქართული ეროვნული მოძრაობის მეთაურის ილია ჭავჭავაძის შესახებ, მუქაჯირობასთან დაკავშირებით პროფ. გ. ძიძარია წერს: „ი. ჭავჭავაძე თავის სტატიაში, რომელიც გამოდიოდა საერო სათაურით „სამშინაო მიმოხილვა“, ასევე ეხებოდა განსახილველ საკითხს და მძაფრად აკრიტიკებდა თურქეთის

სახელთანოს მმართველ წრეებსა და რუსეთის ცარიზმს. აფხაზთა და აჭარელთა გადასახლების შესახებ ის წერდა: „თუ (რუსეთის) ხელისუფლებას ხურს ხალხს თავისი კეთილი ვული აჩვენოს, მაშინ ეს საჭიროა ახლა, როცა ხალხი დახმარებას ითხოვს. ხალხი კი სახელმწიფოს ძალა და საფუძველია“ (იქვე).

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი თავისი პუბლიცისტური წერილებით არაერთხელ გამოექომაგა აფხაზებს, უმისრად იცავდა მათ რუსული იმპერიული კოლონიზატორული პოლიტიკის შეეწირულობისაგან. როდესაც რუსიფიკატორები აფხაზებს დალატში დებდნენ ბრალს, გ. წერეთელი ამის საპასუხოდ წერდა: „ვიყოთ გულახდილნი, აფხაზეთში იყო უბრალო უკმაყოფილება ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ. ადრე ზუსტად ასეთივე მდგომარეობა იყო ზუგდიდის მაზრასა და ზვანეთში. „კავკასიაში ქრისტიანობის გამაურცელებელი საზოგადოების“ ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთში მუსულმანები უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ. მართალია, მათ შორის ქრისტიანობას ზოგი ნომინალურად აღიარებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქების მიმართ თანაგრძობა არ შეიძლება რელიგიურ ფანატიზმზე ყოფილიყო დამყარებული“ („კოლოს“, 20. X, 1877).

გ. წერეთლის ცნობით, თურქეთში 48 ათასი აფხაზი გადასახლდა. ს. მესხისა და სხვათა უწყებით კი — 30, 35, 50, 60, 80 ათასი. მთლიანად აბაზები, უბიხები და აფხაზები 180 ათასი უნდა ყოფილიყვნენ, ან გაცილებით ნაკლები. მაგრამ არა 200-300 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი დემოგოგიურად გაიძახის. 1983 წლის მსოფლიო დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საზღვარკარეთ მეოფ აფხაზთა რაოდენობა 4-5 ათასით თუ განისაზღვრება. რატომღაც ანგარიშს არ უწყვენ იმასაც, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ღვაწლისა და ბრძოლის შედეგად აფხა-

ზთა დიდი ნაწილი სამშუქვეყნო ფაქტორუნდა.

მუჰაჯირობის წინააღმდეგ თავისი პუბლიცისტური წერილებით აქტიურად ილაშქრებდა სერგაი მესხი, რომელიც წერდა, რომ თურქეთში გადასახლებულებს ელოდებოთ შიმშილი, სიღატაკე, სიკვდილი (ს. მესხი, „ნაწერები“, თბ., 1903, 404). შემდეგში ს. მესხი არაერთხელ დაუბრუნდა ამ თემას და მთელი გაბეღულებით იბრძოდა კავკასიის ხალხთა ეროვნული და სულიერი ჩაგვრის წინააღმდეგ.

1878 წელს „დროებაში“ ს. მესხმა გამოაქვეყნა სტატია „აფხაზები და აფხაზეთი“, სადაც აფხაზეთის თვალწარმტაც ბუნებასთან ერთად დიდი გულისყურითა და სიბოთით წერს აფხაზთა შესახებ, რომ აფხაზები და ჩერქეზები ჩინებული ხალხია და სხვ.

მაშინდელი აფხაზები საქართველოს ისეთივე პატრიოტები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ქართველები. ქართველების წინააღმდეგ მათი მოწამლეა ინტენსიურ ხასიათს მუჰაჯირობის შემდეგ იღებს. ისიც ცხადია, რომ აფხაზების გადასახლება თურქეთში ძალდატანებით ხასიათს ატარებდა და მომდინარეობდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წიაღიდან. ასევე ცხადია შეურიგებლობა ამ არაადამიანურ აქტთან ქართველი საზოგადოებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი დ. მაჭავარიანი იმ ტრაგიკულ წლებში დიდი გულისტკივილით წერდა: „მომეტებული ნაწილი აფხაზებისა, რომელიც ხომალდებზე წაიყვანეს გადასახლებლად, სტიროდნენ, ბღაონეს, ზელუს თავიანთი სამშობლო ქვეყნისაკენ იშვერდნენ და, როცა ვვეთხოვებოდნენ, ამბობდნენ: მოახსენეთ რუს მთავრობას, რომ ჩვენ ჩვენს ნებით არ მივდივართ. ძალად მივყვართ და ამის გამო მტრის ტყვეებად ჩავკეთვალთ და არა მოლაღატკებადო“ (ს. მესხი, თხზ. ტ. III, გ. 21).

იმ დროიდან ქართველი საზოგადო მოღვაწენი ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ რუსეთის მთავრობა,



რომ აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები ხელისუფლების მოღალატეები არ არიან, რომ თუ ღრუ დადგებოდა საამისოდ, მათ უკან დაბრუნებაზე უარი არ ვთქვათ, „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა ამას არ დაუშლის და ნებას მოსცემს ვველა აფხაზს, რომელიც ხელახლად თავის ქვეყანაში დაბრუნების და დასახლებას მოინდომებს, კაცთმოყვარეობის გარდა ამას მოითხოვს სამართლიანობაც“, — წერდა მაშინველი ქართული პრესა.

ყოველივე ამის შემდეგ პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იგივე მთელი კავკასიელები იმპერიის შესვეურთა წაქეზებით შეთქმულებას აწვებენ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით. არც ერთ მთელს არ დასცდენია, რომ ქართული მოწინავე ინტელიგენციის ძალისხმევით შემდეგ მუჰაჯირების გარკვეული ნაწილი სამშობლოს დაუბრუნდა.

ოსმალეთში გადასახლებულ მთელთა ნაფუძარზე რუსეთის ხელისუფლება რუსებს, ბულგარელებს, ბერძნებს, სომხებს, ესტონელებსა და სხვა ხალხებს ასახლებდა. აფხაზეთში ქართველების ჩასახლება ოფიციალურად აკრძალული იყო. ამით მეფის რუსეთი ეთნიკურ საყრდენ ბაზას ქმნიდა ამ რეგიონებში ფეხის მოსაკიდებლად. 1883 წლის 16 ნოემბრის „დროებაში“ ამასთან დაკავშირებით ვ. წერეთელი შემდეგს წერდა: „აფხაზეთის ნამოსახლარი ადგილები დაურიგეს ვველას, ვინც კი მსურველი იყო... აქ მოვიდნენ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ბერძენი, რუსი, ბულგარელი, ჩემეცი, სომეხი და მრავალი სხვა“. ეს პროცესი ბოლშევიკური იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე კიდევ უფრო მეტ ინტენსიურობით გრძელდებოდა. აფხაზეთის საცეცხლე წერტილად გადაქცევა და მისი საქართველოსაგან მოწყვეტის იდეა თანდათან მწიფდებოდა, ამისათვის მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის შერჩევა იყო საჭირო. ცარიზმის მზაკვრული მიზანი

მუჰაჯირობის შემდეგ იყო — მრეწველობაში ამხედრება ქართველების წინააღმდეგ

ამის შედეგი დღეს მთელი განათლებული მსოფლიოსათვის ნათელია.

მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებულ ადგილებს გადამთიენი ისაკუთრებდნენ და არა ქართველები, როგორც ზოგიერთს ჰგონია. პირუკუ, ქართველებს საერთოდ ეკრძალებოდათ აფხაზეთში ჩასახლება. ვველა დანარჩენს უფლება ეძლეოდა აფხაზეთში დამკვიდრებისა. მაგრამ ჯერ შევეხებით აფხაზთა აყრის ფაქტს, თუნდაც დღი-წებელდის ხეობიდან, იმის გარკვევის მიზნით, თუ რომელი სოფლები ეკავათ და რა გვარებს ატარებდნენ. აი, ესენიც:

1. სოფელი აქითარწიხუ („აქითა“ აფხ. „სოფელს“ ნიშნავს): აყუსა, აგრუა, ვარდანი, ავირუა, ქეტბა, კუამბა, ხუარა, გიც;
2. სოფელი შვხუაწაა ქაბად (შვხუაწების უბანი): შვხუაწა (მრავალრიცხოვანი გვარია), კამბა, გაბაია, აბიხუ, ავირუა;
3. სოფელი ამტყელი: ზახუბა, ამჭბა, აშუბა, ციბა, ხუარაა, ჭკაღუა, ავირუა, იაშბა, აბიშბა, ახბა, კაცება, ღბარ;
4. სოფელი აუშთა: ჩხაფ-იფა, ჭკაღუა, კუამბა, ხუარაა, აბიშბა, იაშბა, აშბა, ამჭბა, კაბბა, ანდრიბა, ამცბა;
5. სოფელი ფშაური: აგრუა, აბინა, აბდალა-იფა;
6. სოფელი უიაა: აგრუა, ჩხუნგურია, იაშბა, ვიბა, მულა;
7. სოფელი ბეშოკუარა: კუამბა, აგრუა, ბილბა, ხურხუმალ, ნართია, აყარაჩ, ბრასკილი;
8. სოფელი აბგარა: კუკაა, აგრუა, ღაწაა;
9. სოფელი მრამბა: აშუბა, აყუსა, ხურხუმალ, აგრუა, ამონძე, არკარიძე, კორიძე, აყარაჩ, აშხარუა, აშუბა, ჯაბუა, ბიტბა, შარმათ, ბაუიდან, კარჩხელია, ახბა, თაშბა;
10. სოფელი შვაკუარან: კაბბა, კაბბა, არგუნ, აგრუა, ხუარაშ, ვიბა;
11. სოფელი ჯამბალი: აქაუიბა, ყვარდგალ, არღუნ, ღაზბა, ახბა,



ჯაფარ, ბილბა, აგუმაა, იაშბა, კუაძბა, შეხუაწაა, ლაფან;

12. სოფელი ფ ი შ ვ თ ა : იაშბა, აგრუა, ლაზბა, ჯინჯალ, არლუნ, კუარჭია, გირჯინ;

13. სოფელი ა ზ ა ნ თ კ ა : წეაწეა, აგრუა, თარბა, ავირბა, მოლაა, ლაკიბა;

14. სოფელი ა ბ გ ა ლ ა ხ უ ა რ ა („აბგა“ აფხ. — „მგელი“): კუაძბა, ავირბა, შლარბა, აკუშ, აგრუა, კუწნია, ფაღბა, გულია, ლამია, ხურხუმალ, სარია, აყუსბა, ბილბა, სანგულია, ჰაგბა, გაბრიფა, გუმბლა, აკაბა, ნარდია, ფარანი, პაპბა, ბარჩან, უჩანა, მოლაა;

15. სოფელი ყ ა დ ა : ბაშნიხუ, არლუნ, ციკა-იფა, ახბა, აგრუა, მიხალია, ხუართანია, ამიშბა;

16. სოფელი ა ბ გ ი რ ძ ი ხ ა (აფხ. „შინდნარი“): ლაკება, მარხუალია, ლაკვიება, აბიხუბა, აბიგბა, აკუაძბა;

17. სოფელი წ ე ბ ე ლ დ ა (წაბალ): გერდელია, მოლაა, იაშბა, პაპბა, სამაა, ახბა, აკაბა, კაცება, კუაძბა, აგრუა, ლაკვიება;

18. სოფელ დ ა ლ : აგაბაშ-იფა, კუჯბა, ახბა, წაწეა, გუნბა, არლუნ, ბიგუა, ყურდგალ, ამჭბა, ამიშბა, მარშანი, მატუა, ჯოლია, თარბა, აგრუა, ბადია,

19. სოფელი ა ქ ა რ ა : აყარან, იაშბა, ბილბა, ლაზბა, ბარჩან, აგრუა, ახბა, თარბა, გუმბა, გირჯინ, ამიშბა, გუნბა, ჩალაყუა, პაპბა, ქანჯია;

20. სოფელი ყ ა მ გ ა რ ა : იაშბა, აგრუა (ველაზე დიდი გვარი);

21. სოფელი ზ ი მ ა : კუჯბა, კუარჭია, ბილბა, აშეა, შეხუაწაა, აგრუა, იაყუსბა, შლარბა, ახბა, ბარჩან, ჩიტია, თრაფში, აყარან, ჯინჯალ, ბადია, აფსა, აკუაძბა, ვიბა, ფშანიფშელია, ერნი;

22. სოფელი შ ვ ა ქ ე : შეხუაწაა, ცირგუშ, ლაკობა, ქაბბა, ფშალია, სანია, სამაა, ამიშბა, ბარჩან, აგრუა, გირჯინ, ჰალუაში (ხალუაში);

23. სოფელი ქ ა რ დ ა : კაბბა, ბარჩან, ციბა, შეხუაწაა; აგრუა;

24. სოფელი თ ა ფ შ ი ფ ა ი კ ა ბ ლ ა (თაფშ-იფას უბანი): ბაუიდან, ჯაბუა, ხუარაა, აკუაძბა, ამიშბა, ლაფან,

ლაციეშბა, ბადია, თარბა, კუაძბა, ზოუ, აკარია; ზ ი მ ლ ი მ ი თ ე ნ ა

25. სოფელი ა მ ჭ კ ა რ ა : იაშბა, აგრუა, აშეა, ბიტება, ბარჩან, ახბა, გაბლია.

26. სოფელი ლ ა თ ა : სიჭინაა, აყარან, აგრუა, ამიშბა, ხაატ, კუაძბა, ვარდანი, საბუა;

27. სოფელი დ გ ა ნ წ ვ ი შ : საღარია, ახბა, გუნბა, არგუნ, ბაგუა, გუამბა, მატუა, წაწეა, აგრუა (მდრ. ვაზ. „აფხნი ვაფშ“, 30. V, 1, 2, VI, 1990).

ამ მასალიდანაც ირკვევა, რომ:

ა) აფხუები მუჰაჯირობის დროსაც ცხოვრობდნენ მხოლოდ მთიან ადგილებში;

ბ) მათში ბევრია გააფხუებული ქართველი (აგრუა, ვარდანი, ავირბა, ხუარა (ხორავე?), ვაბაია, ჭკადუა, ჩხუნგურია, ნართია, კუკაა (კუკაეა), ამონძე, არკარიძე, ჯაბუა, კარნხელია, აგუმაა, ჯინჯალ (ჯინჯოლია), კუარჭია, წეაწეა, კუწნია, გულია, ლამია, სანია, სარია, ნართია, უჩანა, მიხალია, ხუართანია, მარხუალია, გერდელია, წაწეა, ბიგუა, კურდგალ (კურდლელია), მარშანია, მატუა, ჯოლია, ბადია, ჩალაყუა, ქანჯია, ჩიტია, თრაფში, ფშანია, ფშელია, ფშალია, აკარია, ხალუაში, გაბლია, საბუა, საღარია, ბაგუა, სიჭინაა (სულ 50-მდე).

გ) წებულდა-დალის ხეობა ისტორიული მისიმიანეთია, სადაც ადრე შუა საუკუნეებში სვანთა ერთ-ერთი ტომი ცხოვრობდა. „მისიმიან“ სვანს ნიშნავს — „მუშანიანს“, ე. ი. წარმოშობით სვანი. ამ ფაქტზე მეტყველებს ამ მხარის ძველი ტოპონიმიკა, მათ შორის მხარის გეოგრაფიული სახელი დ ა ლ ი. დ ა ლ სვანურ ენაებშია პანთეონში ნადირთა და მონადირეთა მფარველი ქალ-ღვთაებაა, რომელიც ცხადია, მოდის მატრიარქატის ხანიდან. VI ს. ბიზანტიის იმპერიის ჯარებთან ბრძოლაში მისიმიანთა დიდი ნაწილი გაწედა, მაგრამ სამშობლო მაინც შეინარჩუნეს. მისიმიან — სვანებს დიდი წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ არაბი დამპყრობლებისათვისაც... მისიმიანეთიდან იყვნენ სვანი მარუშიანები და ვარდანიძე-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს აფხაზეთის სამეფოსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დ) როგორც ზემოთ ჩამოთვლილი გვარებიდან ჩანს, აფხაზეთის მთიან ადგილებში განსახლებულან არა მარტო აბაზები, არამედ სხვა ადიღური ეთნიკური ჯგუფები: აბაძეების, შაასულების, ბველუსების, ჩემგუების, ასევე ყაბარდოელები, ჩერქეზები. შესაძლოა მათი გარკვეული ნაწილი ყარაჩაიდან იყო, რაზედაც უნდა მიუთითებდეს გვარი ყარაჩ და აყარაჩ. ამას ადასტურებენ აფხაზური ვადმოცემებიცა და სხვა მასალები. ამ გვარებში მოიხსენიებიან გააფხუებული ქართველები, რომელთა გვარებიც ზემოთ ჩამოთვალეთ. ცხადია, ისინი XVII ს. ტრაგედიის ნაშთნი არიან. მათ შორის (და არა მარტო) განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი გვარია აგრუა, ავირუა, რომელთა შთამომავალნი დღევანდელი აგრბები უნდა იყონ (სხვათა შორის, ესეც ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია აფხაზეთში). ა გ რ უ ა

აფხ. „მეგრულს“ ნიშნავს. აფხაზული გვარი ზოგადეთნონიმური წარმომავლობისაა. აგრუები, ცხადია, XVII საუკუნეში აფხუების მეშვეობით შარვაშიძეთა მიერ დაპყრობილი აფხაზეთის მეგრული მოსახლეობის ნაშთია.

ნიშანდობლივია, რომ ტერმინი „აგრუა“ (=მეგრელი) აფხუებში „მონის“ სინონიმად იხმარება. ესეც XVII საუკუნეში მათ მიერ აფხაზეთ-ეგრისის მეგრული მოსახლეობის დარბევის, აწიოკების, ამოწყვეტის, გადარჩენილი ნაწილის მონებად და მოსამსახურებად ქცევის ისტორიული რეალობიდან მოდის.

ახლა იმის შესახებ, რუსეთის ხელისუფლებამ თუ ვის მისცა სარგებლობაში დალი-წებელდის ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები და ადგილები, იქიდან აფხაზთა მუჰაჯირობის შედეგად აყრის შემდეგ, ნაწილი ამ ადგილებისა სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, ნაწილიც სამხედრო პირებს, ვადაშითელ წარჩინებულ პირთ ან ღვთის მსახურებს. აი, ისინიც:

მაიორი სერდინი	207,5
პოლკ. დიანკოვ-ტარასოვი	304
პოლკ. ბუმი დე კაცმან	354,5
უფრ. მრჩ. მიხნევინი	200
გენ. შტ. პოლკ. ფრეიერი	500
პოლკ. შავროვ	425
პოლკ. ვედედნსკი	381
პოლკ. კრასნიცი	807,5
პოლკ. ლინევინი	526,5
გენ. ლეიტ. კრავეიანი	1497,5
კოლ. მრჩ. ვორონოვი	462
პოდპოლ. ბუტკევიანი	200
მაიორი როგოზინსკი	200
მრჩ. სემენნიკოვი	1500
კაპიტ. ივანოვსკი	100
პოდპოლ. ზახაროვი	336,5
თავ. ვიტკენშეინი	7743,5
კოლ. მრჩ. ნიკოლაევი	261
კოლ. ასის. ვასილუვი	150
პოლკ. თავ. ნაკაშიძე	300
ქაული გორდევეი	150

დეხეტინა	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	(მათ ბოლომდე შეინარჩუნეს ეს მამული წებელდაში).
„—“	
„—“	
„—“	
„—“	
„—“	(შემდგომ შეიძინა გრ. ბობრინსკიმ)
„—“	
„—“	
„—“	
„—“	

კოლ. მრჩ. კონოპაცკი	150	„—“
კაბ. ხანიცკი	250	„—“
პოდპოლ. ოშაროვი	150	„—“
პოლკ. ბებუთოვი	300	„—“
პოლკ. ნაუროცკი	300	„—“
გენ. ბიუშაკინი	300	„—“
პოლკ. ჩიჭოვი	300	„—“
პოლკ. კიშელსკი	300	დესეტინა
პოლკ. ბარათოვი	300	„—“
პოლკ. რინკოვი	300	„—“
პოლკ. თაყ. ჯორჯაძე	300	„—“
პოლკ. შომბელი	300	„—“
პოლკ. კოსკუ ზაბოროტენკო	300	„—“
პოლკ. ხოზბაშევი	300	„—“
პოლკ. ნემბერ	300	„—“
პოლკ. ვოისკო ორანსკი	300	„—“
უფრ. მრჩ. მოშინი	500	„—“
პოლკ. შელკოვნიკოვი	600	„—“
პოლკ. ფოგელი	400	„—“
პოლკ. ზელიონი	500	„—“
ბლ. ლოჩინი მაკაეარიანი	400	„—“
პოლკ. გვექუსტერი	500	„—“
მაიორი კოზენკო	300	„—“
მაიორი ივანოვი	300	„—“ (ივანოვები აფხაზებიც არიან)
უფრ. მრჩ. სარაჯევი	1000	„—“

ასე იქნა განაწილებული მიწები გუმისთის, გულაუთისა და ვაგრის მაზრებშიც. აფხაზეთში თანდათან იწყეს დენა რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და სხვ. როგორც აღენიშნეთ, ქართველებს აფხაზეთში ჩასახლება საერთოდ აკრძალათ ოფიციალური განკარგულებით. თავის დროზე აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი სიმონ ბასარიაკი პირიქით წერს, რომ მუჰაჯირობის შემდეგ თითქოს აფხაზეთში ენგურს-გალმელები სახლდებოდნენ. ზემოთ მოტანილი სია ამის ერთ-ერთ უარსაყოფ

საბუთად გამოდგება. ამ ხიაში ხელსაში ქართველია დასახლებული, აქედან ორი ოფიცერი, რუსეთის არმიისა და ერთი სასულიერო პირი (ს. ბასარია, აფხაზეთი, გვ. 77).

ქართული მოწინავე ინტელიგენციის აქტიური ჩარევის შედეგად აფხაზ მუჰაჯირთა გარკვეული ნაწილი მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნდა. თუ როგორ დაუფასეს მათმა შთამომავლებმა ქართველებს ახი წლის შემდეგ ეს ღვაწლი დღევანდელ აფხაზეთა ხინდისზე იყოს!



„გველის მჭამელის“ პრობლემები და ლიტერატურული კრიტიკა

წერილი მთორა

ამ სათაურით გამოქვეყნებულ პირველ ნარკვევში დაეინახეთ, თუ რამდენად არაერთგვაროვანი იყო კრიტიკოსთა და მკვლევართა დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველას პოემისადმი „გველის მჭამელი“. აზრთა რადიკალური დაპირისპირება არასოდეს დამცხრალა. ეს ეხება როგორც პოემის იდეურ გაგებას, ისე მის საერთო შეფასებას მხატვრული ღირებულების (კომპოზიციური აგებულებისა და პერსონაჟთა ხახეების დახატვის) თვალსაზრისით.

ველა კრიტიკოსი თუ მკვლევარი, მათი განათლების დარგის, იდეური მრწამსის, ესთეტიკური შეხედულებისა თუ შემოქმედებითი განწყობის შესაბამისად, მათთვის საინტერესო ან სასურველ პრობლემასა და იდეურ გააზრებას ხედავდა ამ პოემაში.

მაგალითად, „გველის მჭამელის“ თემად ერთს თუ რწმენის დაცვის საკითხი მიაჩნდა, მეორეს მინდიათ ფოკლისმცოდნეობა და ინდივიდუალიზმი ანტირესეგბდა, მესამეს — სიბრალულის საკითხი, მეოთხეს — პიროვნებისა და სოციალურების ურთიერთობა, მეხუთეს — „გველური ხაწვისიდან“ მომდინარე ცოდნა, მეექვსეს — გარებული პიროვნების ბედი, მეშვიდეს — ადამიანის მიერ ინსტიქტის ან ინტუიციის საშუა-

ლებით გარემოს, ბუნების „წვდომის“ შესაძლებლობა და ა. შ.

ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი არც შემდგომ პერიოდში განელებულა. მართებულად წერდა გრიგოლ კოქნაძე: „ვაჟა-ფშაველა დიდი ხელოვანია და ამიტომ კვლევა-ძიების რომელიმე ერთ დონეზე ნამდვილად დაუძღვევლია იგი“ („ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, 1975, გვ. 6). ამ აზრს ადასტურებს გამოკვლევების სიუხვე, რომლებიც კონკრეტულად „გველის მჭამელის“ პრობლემებს ეხება. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ პოემის ფილოსოფიურ, მითოსურ, ზნეობრივ, სოციალურ და სხვა ასპექტებზე, ცდილობენ, უფრო ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ ეს „უცნაური“ ნაწარმოები.

გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც, სირთულისა და ბოლომდე გაურკვეველობის გამო, ხაჭირიობდა უფრო ვრცელ და საფუძვლიან ანალიზს. ასეთებია, მაგალითად:

1. ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან.
2. მითოსური და ჯადოსნური მოტივები და მათი ფუნქცია პოემაში.
3. სოციალური გარემო და პიროვნების ზნეობრივი მოვალეობა.

4. თბულებს პირდაპირი და ალევორიული აზრი.

პირველ საკითხზე უკვე გავცანიო გრივოლ კენამის მოსაზრებას, რომელიც ამ ნაწარმოების თემად მიიჩნევდა გარე სამყაროს საიდუმლოებათა წვდომას ინტუიციის საშუალებით. ისიც აღინიშნა, რომ ბუნების შემეცნების „საუკეთესო საშუალებად“ ინტუიციის აღიარება თვით ქოუმის ავტორის, ვაჟა-ფშაველას, მსოფლმხედველობის არასწორი კვალიფიკაციის პირობას ქმნის.

ახლა ვნახოთ განსხვავებული თვალსაზრისი ამავე საკითხზე. საარსებო გარემოსთან ადამიანის დამოკიდებულების პრობლემას განიხილავს ბენო დობორჯიანიძე წიგნში „ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ (თბ., 1962), აგრეთვე გამოკვლევაში „გველის მჭამელი“ როგორც ფილოსოფიური პოემა („ლიტერატურული ძეგლები“, ტ. XV, თბ., 1963). ამ პოემის მთავარ საკითხად მკვლევარს ბუნებაში ადამიანის ადგილისა და როლის გარკვევა მიაჩნია. მისი აზრით, მინდიას ტრაგედიის მიზეზი ის ვახდა, რომ მან მოინდომა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების შეცვლა. მინდიამ „გააფართოვა საზოგადოების ცნება, მასში სრულფლებიან წევრებად შეიყვანა უხულონი და უასაკონი; შემდეგ კი მიზნად დიოსახა იქონიოს ყველაფრისადმი ერთნაირად კეთილგონობიერი დამოკიდებულება. ეს კი აბსოლუტურად შეუძლებელია“ (დასახ. წიგნი, გვ. 123).

კონკრეტულად რა პრობლემა დგას მინდიას წინაშე ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხში? ბუნება მას მკაცრ პირობებსა და მოთხოვნას უყენებს. „ამ გარიგების მიხედვით მინდიამ საკუთარი თავის და მთელი კაცობრიობის არსებობის აუცილებელი „ეკონომი“ უნდა უარყოს და ადამიანზე ბუნების ბატონობა უნდა აღიაროს“. მინდიამ უარი თქვა ხის მოჭრასა და ნადირის მოკვლაზე, რის გარეშეც ადამიანის მოკვლას არსებობა არ შეუძლია. „ბუნების მოვლე-

ნებს მინდიამ ისეთი უფლებების უფლება) მიანიჭა, რომლითაც საკუთარი მე გადაუღებელი კატასტროფის წინაშე დააყენა“ (დასახ. წიგნი, გვ. 125).

როგორც ვიცით, მინდიას საზოგადოებასთან, მეზობლებთან და საკუთარ მეუღლესთანაც კამათი აქვს ცხოვრების წესის, საარსებო გარემოსთან ურთიერთობის პრინციპის გამო, რაც ეთიკის სფეროს განეკუთვნება; კერძოდ, აუცილებელი საჭიროებისათვის უნდა ისარგებლონ თუ არა ცოცხალი ბუნებით, მათ ირგვლივ არსებული ფლორითა და ფაუნით, მაგალითად, მოჭრან ხე ცეცხლის დასანთებად, მოკლან ნადირი შიმშილის ასაცილებლად და ა. შ. მაგრამ ეს დავა (უფრო სწორად — მხედველობა) იმ დონეზე მიდის, რომ ამის გამო მინდია და მისი თანამომქმენი ერთიმეორეს მტრად არ მოეკიდებიან. აქ არ წარმოიქმნება ისეთი კონფლიქტი, როგორც „ალუდა ქეთელაურში“ ან „სტუმარ-მასპინძელში“ ხდება. მინდია არ ავადმდებულებს სხვებს, რომ მაინცდამაინც მისი პრინციპით იცხოვრონ, ის ურჩევს მხოლოდ და მისი ზემოქმედება ამის იქით არ მიდის. დაინახავს რა საკუთარი ოჯახის უკიდურეს გაჭირვებას, მინდია ბოლოსდაბოლოს თვითონვე უარყოფს ცხოვრების მიხედვით წესს, რის გამოც კარგავს ბუნებასთან განსაკუთრებული ურთიერთობის შესაძლებლობას. ამ მდგომარეობას უწოდებენ მინდიას კონფლიქტს ბუნებასთან; მაგრამ ეს უფრო საკუთარ მრწამსთან მისი კონფლიქტია.

საიდუმლო ცოდნისაგან დაცლილი და უსასოქმინილი მინდია საკუთარ ცოლ-შვილს ეშუქრება დახოცვით, რადგან მეუღლეს, მზიას, თვლის აღნიშნული უბედურების მიზეზად. იგი მზად არის, დახოცოს შვილები — საკუთარი ნერვი და მომავალი. ე. ი. მინდია სპობს (თუნდაც წარმოდგენით, რაც არაა გამოორიცილებული, რომ ნამდვილად მოხდეს) საკუთარ ოჯახს, საკუთარ არსებობას. ეს ხომ მისი პირადი ტრაგედიაა! ე. ი. კოლიზია ხდება არა პიროვნებასა და



საზოგადოებას შორის ან პიროვნებასა და ბუნებას შორის, არამედ თვით პიროვნების არსებაში, მის გულსა და გონებაში.

ზოგადი დასკვნისაგან ჯერ თავი შევიკავოთ და მინდიას მოღვაწეობის შედეგი სრულად გავითვალისწინოთ.

ცნობილია, რომ ზოგი მკვლავარი მინდიას სახეში პოემის ავტორს ვაჟა-ფშაველას წარმოიდგენს, თითქოს მინდიას პირით ვაჟა საკუთარ შეხედულებას ვეამცნობდეს ბუნებასთან ადამიანის დამოკიდებულების შესახებ. ბ. დობორჯინიძე იცავს ადრე გამოთქმულ (აღ. ქუთელია, დ. ბენაშვილი) სავსებით მართებულ თვალსაზრისს, რომ მინდია ვერ იქნებოდა ვაჟა-ფშაველას იდეური მრწამსის გამომხატველი. ადამიანთა ცხოვრების მინდიასეული პრინციპი ალოგიკური და სამომავლოდ უპერსპექტივოა.

ეს აზრი თვით პოემაში მოცემული რთული ურთიერთობის ობიექტურ ანალიზს ემყარება. მკვლევრის ზოგადი თვალსაზრისი ასეთია:

„ევაჟამ მინდია არაადამიანური წვალებისა და ტანჯვისათვის გაიმეტა: კაცობრიობის ჭკუის სასწაულად ისეთ წინააღმდეგობრივ გზაზე დააყენა, რომლის გათელვასაც ვერც ერთი ტიტანი ვერასოდეს ვერ შესძლებს... ავტორმა კარგად იცის, რომ მინდიამ ადამიანების ბუნებითი არსებობის რკინის კანონის წინააღმდეგ აღმართა ხელი და ამიტომ იგი აუცილებლად უნდა დამარცხდეს (იქვე, გვ. 142—143).

წევნ ვეთანხმებით ბ. დობორჯინიძის დასკვნას, მის ნაზრეუში მხოლოდ ერთი რამ საჭიროებს დაზუსტებას, — საკითხი ამგვარი ფორმულირებით: „ბუნებაში ადამიანის ადგილის გარკვევა“ არის თუ არა ვაჟას ამ თხზულების მთავარი თემა? ამის შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, რაც მთავარია; ბ. დობორჯინიძემ დასაბუთებულად უარყო იმ მკვლევართა ილუზიური შეხედულებები, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალურად მოწყობას შესაძლებ-

ლად თვლიდა მინდიასეული პოემის მიზანძევით.

აქვე დავიმოწმებთ მიხეილ კვხელავას აზრს: „მინდიასეული ადამიანი მხოლოდ იდეალურია და არა რეალური. იგი განსხვავებულია და, მაშასადამე, განდგომილიც“... ვაჟა-ფშაველა „გვანჯერებს, რომ მინდიას უთიკური იდეალი აბსტრაქტულია, ცხოვრების სინამდვილეს მოწყვეტილი... მინდიას ტრაგედიის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ის მარტოა თავისი მაღალი იდეებით. ვაჟას აზრით კი, ყოველი მარტოკაცია, რაც არ უნდა დიდბუნებოვანი იყოს ის, მაინც განწირულია“ („ფაუსტური პარადიგმები“, II, 1961, გვ. 124, 131).

ასეთსავე თვალსაზრისს გამოხატავს გურამ ასათიანის მსჯელობა: „ცხოვრება ბრძოლაა — ეს „ფაუსტური“ აზრი წარმოადგენს ვაჟას მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს. ამ მრწამსის მიხედვით, მინდიას ფილოსოფია უთუოდ დასამარცხებლად განწირული ფილოსოფიაა. მას არ შეუძლია იარსებოს, რადგან იგი არ შეესაბამება არსებობის ობიექტურ კანონზომიერებას. ...მინდია ტრაგიკული პერსონაჟია. ის არის უღერესად კეთილშობილი, უფაქიზესი ზნეობრივი მოთხოვნილებით შეპვრობილი მეოცნებე რაინდი, რომელიც მარცხდება სასტიკ რეალობასთან საბედისწერო შეჯახებაში“. „...მინდიას სიბრძნე მშვენიერია, მაგრამ თავისი შედეგებით ის არ არის სიკეთის მომტანი სიბრძნე; სხვა რომ არაფერი ეთქვათ, იგი მინდიას საკუთარ შეილებსაც კი აძულებს“ (გ. ასათიანი, „ვეფხისტყაოსნიდან ბაზტრიონამდე“, 1974, გვ. 378, 383).

2. პიროსური პოტივები. მიწიერი ყოფისა და ღმერთთან „თანაზიარობის“ შეუთავსებალობა

როგორც ამ ნარკვევის პირველ ნაწილში ვწერდით, მითოსურ ელემენტს ვაჟას შემოქმედებაში პირველად ვრი-

გულ რობაქიძემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, მითოსური მოტივის ვარიანტია მინდიას სულიერა კავშირი ბუნებასთან, რაც იწვევს შეურიგებელ კოლიზიას მის მიწიერ არსებობასა და მალაღ, ზოგადკაცობრიულ იდეალებს შორის.

„გველის მჭამელის“ ფაბულის პარალელებს ქართველებისა თუ სხვა ერების მითოსური თქმულებებიდან და ჯადოსნური ზღაპრებიდან უხვად იმოწმებენ მიხეილ ჩიქოვანი (ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956, გვ. 61-93) და ამბერკი გაჩეჩილაძე (გადმოცემა „ხოვას მინდიზე“ და პოემა „გველის მჭამელი“, თბ., 1959, გვ. 61, 52). ხალხური გადმოცემების მიხედვით, გველისგან მომდინარეობს ნაყოფიერება, დოვლათიანობა, ცოდნა, მკურნალობა, ჯანმრთელობა; გველის ენის შეხებით ადამიანი შეიძენს ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა „ენის“ ვაგების უნარს. ცნობილია აგრეთვე სიზმრის წინასწარმეტყველური მნიშვნელობის რწმენა და სამკურნალო ბალახების პოვნის სხვადასხვა საშუალება.

პოემის მითოსურ საფუძველსა და ვაჟა-ფშაველას მიერ მის გააზრებას აკაკი ბაქრაძე ასე განაზოგადებს: „უძველეს ქართულ მითოლოგიურ პანთეონში „ქაჯეთი“ საიქიოს, შავეთს, ხულეთს, ქვესკნელს გულისხმობს, ხოლო ქაჯები ქვესკნელის ღვთაებებად ყვდათ წარმოდგენილი... მინდიას ქაჯეთში ტყეობაც სწორედ გველისმჭამელის ქვესკნელში ყოფნას გულისხმობს.“ („გველის მჭამელი“ და ქართული მითი, „მნათობი“, 1968, № 6, გვ. 162-163).

თამაზ ჩხენკელმა სცადა უფრო ნათლად და სრულად წარმოეჩინა „გველის მჭამელის“ მითოსური ძირები და აეხსნა ისეთი სიმბოლოებისა და მოტივების მნიშვნელობა, როგორიცაა: ქაჯეთში ტყვედ ყოფნა, გველის ხორცის ჭამა, მცენარეთა „მეტყველება“ და სხვ.

შველურის თქმით, „მინდიასგან შინაგანა, ატუციური სიბრძნის მოხვე-

ჭას ვაჟა ხსნის მითოსურე მრედილით — ქვესკნელს შთახდომიდა და გველეს ხორცის ჭამით“ („ტრაგიკული ნიღბები“, თბ., 1971, გვ. 284).

მინდიამ უდიდესი ტანჯვის სახლად — 12 წელს ქაჯებთან ტყვეობის შემდეგ გადალახა ჩვეულებრივი ადამიანურიობის სახლად. მან გაიგო, რომ სამყაროს განუყოფელი ნაწილია, ხოლო „ბუნების საიდუმლოსთან წილნაწარობა ღვთიურ ცოდნასთან, ზეცასთან კავშირის ბადალია“ („ტრაგიკული ნიღბები“, გვ. 271). ზეკაცურ ცოდნასთან ზიარება და მისი მალალი დანიშნულება ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფას ველარ ითავებს. „პოემა წარმოგვიდგენს ტრაგიკულ ბედს იმ ადამიანისას, ვინც ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან, ღმერთთან თანაზიარობის შინაგანად, ინტუიციურად მოპოვებულ უნარს კარგავს, ვისთვისაც უდიდესი ღირებულება ამ თანაზიარობისა თუ კავშირისა ზეცობის ანუ ღვთაებრივი ცოდნისაგან „დაცარიელების“ შემდეგ ცნობიერდება“ (იქვე, გვ. 261).

უჩვეულოა როგორც მინდიას ცოდნის შეძენის გზა, ისე მისი დაკარგვის პირობები. თ. ჩხენკელი წერს; „მისთვის, როგორც ოჯახისა და საზოგადოების წევრისათვის, ე. ი. სოციალურად დასაზღვრული არსებისათვის, ძნელი ან შეუძლებელი იყო შეენარჩუნებინა ბუნების ღვთაებრივ მთლიანობაში თავისა არსებობის განსაკუთრებულობა. ადამიანური ყოფისა და ღვთაებრივი არსებობის შერიგება კრახით დასრულდა“ (იქვე, გვ. 261-262).

თ. ჩხენკელის აზრით, მინდიას, როგორც ღმერთთან ზიარებულს, არ ჰქონდა ცოლის შერთვის უფლება. მან ეს პირობა დაარღვია, რაც საპედისწერო გახდა მისთვის, „მინდია ქალით განსახიერებული მღვდრულ-მატერიალურა ყოფისაგან მოცთუნებული ადმოჩნდა“ (იქვე, გვ. 276-281).

თ. ჩხენკელის მეცნიერული ერთადეცითა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებახადმი დიდი სიყვარულით დაწერილი

წიგნის არაერთი ღირსება და ზოგიერთი ნაკლიც აღნიშნული აქვთ: სარგის ცაიშვილს („ცისკარი“, 1973, № 2), რევაზ თვარაძეს („წერილები“, 1979, გვ. 62-64), შზია შენგელიას („ცისკარი“, 1985, № 6, გვ. 147-153). მათ ნათქვამს აღარ გავივივრებთ, იმას კი ვიტყვი: თ. ჩხენკელის გამოკვლევების, კერძოდ „ფერისცვალების“, წამკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვაჟა-ფშაველას მთავარი მიზანი უძველესი ქართული მითოსური სამყაროს რეამინაცია იყოს, მკვლევრის ნააზრევსა და მსჯელობაში იწრდილება ის პირველხარისხოვანი სოციალური და ზნეობრივი პრობლემები, რომელთა არსის საჩვენებლად მწერალი მითოსურ თუ ზღაპრულ-ჯადოსნურ მოტივებს იყენებს.

მინდიას ტრაგედიის საგულისხმო ახსნა მოცემული შოთა ესტაშვილის წიგნში „მითოლოგია, რელიგია და სინამდვილე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ (თბ., 1985, გვ. 113-135). ავტორი კარგად წარმოაჩენს მითოსური მახალისის გამოყენების, მისი მხატვრული ტრანსფორმაციის სხვადასხვა ასპექტს და არკვევს პიროვნების ტრაგედიის სოციალურ შინაარსს. წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები მინდიას შინაგანი გაორების მიზეზი, მასში ადამიანური და ზეადამიანური თვისებების დაპირისპირება, შემდეგ კი გმირის გამოფხიზლება ყოვლისშემძლეობის ილუზიიდან და მისი გათავისუფლება „მონქენებითი ზეადამიანური სიბრძნისაგან“. მკვლევრის აზრით, „ვაჟა-ფშაველა ამ პოემაში მითოლოგიურ-რელიგიური თქმულების დემითოლოგიზაციას ახდენს“ (გვ. 126).

3. სოციალური პარამო და პიროვნების ზნეობრივი მოვალეობა

სოციალური ურთიერთობის ანუ პარონებისა და საზოგადოების დაპირისპირების მიხედვით „ველის მკამელის“

თემატიკურ-იდეური ანალიზი მოცემულია კ. აბაშიძის, მ. ზანდუკაძის, მ. მახარაძის, დ. ბენაშვილის, დ. ქუშიშვილის, ა. გაჩეჩილაძის, ალ. ჩაველიშვილის გამოკვლევებში. მათ სცადეს გაერკვიათ დაპირისპირებისა და შეუთავსებლობის მიზეზი პიროვნულ (ოჯახურ) და საერთო სახალხო ინტერესთა შორის. დასახელებულ მკვლევართა მოსაზრებებზე ჩვენ შეძლებისამებრ ვისაუბრეთ ნარკვევის პირველ ნაწილში.

ამავე საკითხს განიხილავს შზია შენგელია ვრცელ გამოკვლევაში სათაურით „უცნაური პოემა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“: 1980, № 8; 1982, № 5; 1985, № 6; 1987, № 8. შევეცდებით მოკლედ გადმოვკეთ მისი თვალსაზრისი „ცისკრის“ 1982 წ. № 5-ში დაბეჭდილი ნარკვევის მიხედვით.

მკვლევარი ვურადლებას აქცევს პოემის დასაწყისს, რომელიც ხელნაწერ ავტოგრაფებშია, მაგრამ ვაჟა-ფშაველას ბოლო ვარიანტში არ შეუტანია და ამიტომ არ არის ბეჭდურ გამოცემებში. აი ეს დაწუნებული დასაწყისი:

გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულთქვამს
და ოხრაგს სოფელი...
დედის ბედს შვილი დახტირის,
შვილისას ტირის მშობელი.
ტირილსაც ბოლო ექნება, რა
მოიღლება გუნება,
ან იქ სინანულს რა უნდა, ხაცა არ
არი ცდუნება?!
ისე ვნდებით და ვიღვეით, არა
გვაქვს გაგებულება,
ბუნების ძალთა სიბრძნისა ვერ ვცანით
დიდი თხზულება.

(ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IV
1964, გვ. 338).

აქ მინიშნებულია სამ მოტივზე, რომელთა განვითარებას ავტორი, ალბათ, ვარაუდობდა პოემის სიუჟეტში: 1. „გაჭირვებული ცხოვრება“, რომელიც მშველელს ელის; 2. „ცდუნება“ და ამის გამო „სინანული“; 3. „ბუნების ძალთა სიბრძნე“ და მისი შეცნობის სა-

მწეღე. როგორც ვთქვით, ვაჟას, პოემას დასაბეჭდად რომ ამზადებდა, აღარ მოსწონებია ასეთი დასაწყისი. ამის მიზეზი ორგვარი შეიძლება იყოს: 1. პოეტმა საჭიროდ არ ჩათვალა თხზულების მოტივების (პრობლემების) წინასწარ ასე შეშვლად წარმოჩენა. ი. ვეგენიძე შენიშნავს: „ნაწარმოების წამყვანი ტენდენციის თუ ძირითადი იდეის დაფარვა — ეს ვაჟასეული მხატვრული მანერაა, ვაჟას მრავალი თხზულებისათვის ნიშანდობლივი და ერთგვარ ესთეტიკურ პრინციპამდე აყვანილიც კი. ამით პოეტი კიდევ უფრო ზრდის მხატვრული ქმნილების მიმზიდველობას, მის ემოციურ ძალას“ („ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“, 1977, გვ. 190). 2. შესაძლებელია, წერის პროცესში ავტორის აზრთა მდინარებამ სხვა მიმართულება მიიღო, ვიდრე დაწყებისას ჰქონდა მოფიქრებული; იქნებ სხვა პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ცდუნებისა და სინანულის თემა, ან ბუნების ძალთა სიბრძნის ამოცნობა იყო. მაშინ არსებული დასაწყისი აზრობრივად შეუფერებელი იქნებოდა პოემის ფაბულისა და სიუჟეტისათვის.

როგორც ჩანს, ამ მეორე ვარაუდს მზია შენგელია უსაფუძვლოდ თვლის, ძალაში ტოვებს აღნიშნულ პროლოგს და ითვალისწინებს მას, როგორც პოეტის ნებისა და აზრის გამოხატულებას. მსჯელობა ასე ვითარდება: „გამეცნიერების“ შედეგად მინდიას ესმის მცენარეთა „საუბარი“. მან გაიგო, რომ სამკურნალო ყვავილები თავისი ნებით წირავენ სიცოცხლეს ადამიანთა სასარგებლოდ. „ყვავილი ბუნების რჩეულია, მინდია — ღმერთის, ყვავილი ბუნების გვირგვინია ყველა მნიშვნელობით, მინდია — ადამიანთა საზოგადოებისა — „ბრძენია“. ყვავილი სიცოცხლეს სწირავს ადამიანთა საკეთილდღეოდ, მინდია?.. სწორედ აქ დაუგო ვაჟა-ფშაველამ თავის გმირს მახე“. („ციცქარი“, 1982, № 5, გვ. 125). როგორც მკვლევარი შენიშნავს, მინდია „ვერ ჩაწვდა

საქმის ვითარებას, უნდა ჩაწვდომოდა კი, რადგან ვაჟა-ფშაველამ სწორედ ამ ყვავილშილა „ბუნების ძალთა“ ის „დიდი სიბრძნე“, რასაც აღრე შეგვიპირდა“ (იქვე, გვ. 123. იგულისხმება ავტორის მიერ უარყოფილი პროლოგი. ხაზგასმით ნენია — ვ. ა.).

მოცემული პოსტულატების მიხედვით ეს მსჯელობა ლოგიკურია, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს, რა იგულისხმება „ბუნების ძალთა სიბრძნეში“? ან მაინცდამაინც ყვავილი რატომაა „ბუნების რჩეული“?

მინდია მის ახალ ცოდნასა და შესაძლებლობას „ქვეყნის სარგოდ“ იყენებს. მაგრამ ეს ხორციელდება იმ პირობების დაცვით, რომელთაც თვით ბუნება კარნახობს, რადგან „ცოდნა“ მინდიას „სუსხად და ვალად“ მიღებული აქვს „ზეცადან“, ე. ი. ღმერთისაგან. შეგრძნებისა და მიხედვრის გაფაქიზებული უნარი და ახალი მსოფლგაგება არ აძლევს მინდიას ნადირის მოკვლის ან ხის მოჭრის ნებას. მისი საარსებო პირობება მაქსიმალურად შეზღუდულია. მან უნდა იცოდეს, რომ ასეთ პირობებში ოჯახს, ცოლ-შვილს ვერ შეინახავს. თუ ასე იცხოვრებს, მას დააკლდება პირადი კეთილდღეობა და ეს იქნება მისგან გაღებული მსხვერპლი. სამაგიეროდ საზოგადოებას დიდ სარგებლობას მოუტანს.

მინდიამ ეს არ გაითვალისწინა, ცოლი მაინც შეირთო და რიგითი ადამიანით ცხოვრება მოინდომა. ამან გამოიწვია ცოდვის ჩადენა ბუნებისა და ღმერთის მიმართ, ცოდვამ კი — ღვთაური სასჯელი, — მზიას სიზმარში მინდიას, მისი ოჯახისა და სხვა ხალხის დაღუპვა წარმოდგენილია როგორც ღვთის ნების აღსრულება („ციცქარი“, 1982, № 5, გვ. 125-130).

მინდიას პიროვნების სრულყოფილად გაგებისა და მისი ცოდვისა თუ დანაშაულის სიმძიმის დასადგენად მნიშვნელობა აქვს იმასაც, იცოდა თუ არა მან, რა მოჰყვებოდა ჩვეულებრივ ადამიანურ პირობებში ცხოვრებას, ანუ ბუნებას-



თან ურთიერთობის მისეული პრინციპის დარღვევას. მზია შენგელიას მიაჩნია, რომ მინდიას არ სცოდნია საკუთარი ცხოვრების აზრი: ვერ შეივსო, რომ მისი ძლიერი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა უნდა ყოფილიყო: „მინდია ვერ ჩასწვლება თავისი მოვალეობის არსს, მისი მოწოდება არ აღმოჩნდა საკმარისი იმ დიდი როლისათვის, რომელიც მას ვაკა-ფშაველამ მიაკუთვნა — მინდიამ შექმნა ოჯახი“ (იქვე, გვ. 127). ამის შემდეგაც არ იცოდა მან, თუ რა მოჰყვებოდა ბუნებასთან პარზონული ურთიერთობის დარღვევას. „მინდიამ ოჯახის ინტერესებზე დააყენა წინა პლანზე: სხვათაგანად მოქცევა მას არ შეეძლო. დაიღუპა და ქვეყანაც დაღუპა“ (იქვე).

მიხეილ გავაშელის აზრით კი მინდიამ გაორფებული ზნეობით ცხოვრება დაიწყო: „მინდიამ ცოდვილიანი ქმედების ჩადენა მოინდომა ისე, რომ უცოდველი დარჩენილიყო... მინდიას ეს არცოდნით არ მოხვლია. მისი უნარის არსება სწორედ იმაშია, რომ შეგნებულად ჩადენილ ცოდვას არავითარი ზნეობრივი გამართლება არ მოუძებნება. ამიტომაც რომ თავისხავე ქმედებას იგი აფხაებს როგორც თავის მოტყუების ცდას“... („ცისკარი“, 1991 № 5, გვ. 158).

ზემოთმოტანილ შეხედულებათა მიხედვით, მინდია ნამდვილი გმირი მაშინ იქნებოდა, თუ ცოლის ჩივილსა და საყვედურს ვურად არ იღებდა და ოჯახს დახალუპავად გაწირავდა ან, უფრო უკეთესი, თუ ცოლს საერთოდ არ შეართავდა. ე. ი. მინდიას თავი უნდა შეეწირა საზოგადოებისათვის, ეშრომა და ებრძოლა მათი უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის, საკუთარი კი არაფერი ჰქონოდა, არც ოჯახი, არც მშვიდი ცხოვრება, არც მე და შემკვიდრე.

საზოგადოების ასეთი სათავისო, ეგოისტური დამოკიდებულება პიროვნების მიმართ იქნებ იმით მაინც ყოფილიყო გამართლებული, თუ პიროვნების

მიერ ვადებული მსხვერპლი ქვეყანას, ხალხს ხანგრძლივი კეთილდღეობის მომცემს, რობებს შეუქმნიდა და სამომავლო ვითარების სწორ გზაზე დააყენებდა. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამის გარანტია ვერ ექნებათ. ბუნებასთან მინდიასეული ურთიერთობის პრინციპით საზოგადოება ვერ იცხოვრებს, ხოლო გარეშე მტრებთან მიდრეკილი უპარტკელობა დროებითია. ხალხის უსაფრთხოება მხოლოდ მინდიას სიცოცხლის ხანგრძლივობით იქნება განსაზღვრული, სიკვდილის შემდეგ საზოგადოებრივ და საქვეყნო საქმეში მას შემკვიდრე არ დარჩება. ხალხი მინდიას რჩევას ბრძად მიჰყვება და საიმედო მეთაურის დაკარგვის შემდეგ სრული განადგურება თუ არა, მძიმე მარცხი და დიდი ზარალი მაინც გარღვეული იქნება.

ასეთია მოვლენათა მოცემული მსვლელობის ლოგიკა და ძნელია თქმა, რა სჯობდა ხალხისთვის ან თვით მინდიასთვის — ყოფილიყო იგი ცისა და მიწის, ყველა სულდგმულისა და უსულა ბუნების საიდუმლოს მცოდნე, თუ საზოგადოების ერთ-ერთი რიგითი წევრი.

ისიც უნდა გვახსოვდეს, „გველის მკამელში“ ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენივეს გასაკები, მატერიალისტური მსჯელობის ფარგლებში ვერ თავსდება. აღნიშნავენ, რომ შეუძლებელი ხდება ყველა მოვლენის ლოგიკური ახსნა ან მათი შეთანხმება ერთიმეორესთან. „პოემის მთლიანმხატვრულ სტრუქტურაში... შესამჩნევია ურთიერთგადამკვეთი მხატვრულ-აზრობრივი ასპექტების ერთგვარი შეუსაბამობა“ (თ. ჩხენკელი, გვ. 262). მაგალითად, მინდია არ სჭრის ნედლ ხეს, მაგრამ კლავს ადამიანს (მტერს); ნადირის ან ფრინველის მოკვლა ცოდვად მიაჩნია, მაგრამ იმ ცოდვის გამოხსნად მინაური პირუტყვის (ხარებისა და ძროხების) ხატისთვის დაკვლით ცდილობს; ყვავილები და ყანის თავთავები სიამოვნებით სთავაზობენ თავის თავს ადამიანთა სასარგებლოდ და მოხახმარად, ხეს კი სიცოცხლე სათავისოდ უნდა და მინდი-

ას ეხვეწება, რომ არ მოჭრას. თ. ჩხენკელის აზრით, „ამ წინააღმდეგობას მითოსური და სოციალური პლანების შეუთანხმებლობა ბადებს“ (გვ. 265).

ამ მოსაზრების აღმძვრელ მომენტებზე მსჯელობს მ. შენგელია და ცდილობს აღნიშნული „არალოგიკურობის“ ახსნასა და გაბათილებას (იხ. „ციხკარი“, 1985, № 6, გვ. 147-149). ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხში საუკვო და სადავო აღარაფერი დარჩა; მეორე მხრივ, სავსებით ვეთანხმებით მ. შენგელიას იმაში, რომ თ. ჩხენკელი მითოსურ მოტივებსა და მოდელებს ნამდვილად არსებულზე მეტ ფუნქციას ანიჭებს, „ყველაგან და ყველაფერში მითოსურ პარველწყაროს ეძებს“ და, მისი აზრით, პოულობს კიდევ, მაგრამ დასკვნები ყოველთვის დამაჯერებელი არ არის. „სამწუხაროდ, მკვლევარმა ბევრგან მაინც იქ ვერ გაავლო, სადაც მთავრდება მითოსი და იწყება ვაჟა-ფშაველა“ (იქვე, გვ. 152).

* * *

„გველის მკამელის“ კიდევ ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს: „რეალურსა და მითოსურს შორის საზღვრის წაშლით ვაჟა პოემის მრავალი ასპექტით წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის“ (რ. ხირაძე, მითოსურ ხილვათა და ჩვენებათა ფუნქცია; იხ. წიგნში: „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, 1975, გვ. 390). ეს თეზისი ასე გვესმის: არსებობს იმის პრობები, რომ სხვადასხვა მკითხველმა ან მკვლევარმა მისთვის საყურადღებო პრობლემა წამოსწიოს წინ ან პერსონაჟის (მაგ. მინდიას) ზასიათსა და მოქმედებას თავისებური ახსნა მიეცეს მორალურ-ეთიკური თუ სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტით. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარმოვიდგინო მინდიას, — როგორც: 1. ღვთაებრივი ძალის თანაზიარ, ყოელისშემძლე გმირს; 2. ბუნების კარნახის მოიმიდევ, ინტუიციის ბრძაღ

მიმდევარ მისანსა, თუ 3. წერილმანა ყოფითი საქმეებით დაკავებული მარჩენალს.

ზემოთ ენახეთ, რომ მინდიას მარცხს („სიბრძნის“ დაკარგვას) სხვადასხვა მიზეზი ეძებნება, მაგ.: საკუთარი მოვალეობის ვერგაგება, ქორწინების ტაბუს დარღვევა, უნებლიე შეცდომა, შეგნებულად ჩადენილი ცოდვა და ა. შ.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ „მინდია მაღალი ცოდნის, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ადამიანია, ამიტომ იგი ბოლომდე ვერ დარჩა მთლიან პიროვნებად“ (ა. გაჩეჩილაძე, „გადმოცემა ხოვას მინდიზე“... 1959, გვ. 64). ამ აზრს აღრე ჩვენც ვიზიარებდით; მაშინ ჩვენ ეუფირობდით, რომ მინდიას ტრაგედიის მიზეზი იყო მისი ნებისყოფის სუსტე; რომ ამ პიროვნული ნაკლს გამო ვერ შეძლო მან საზოგადოებრივ და კერძო (ოჯახურ) ინტერესთა შეთავსება. ამავე თვალსაზრისს სხვა მკვლევარი შემდეგი ფორმულირებით გამოხატავს: „მინდიას იდეალის რეალიზება, ავტორის აზრით, მხოლოდ ძლიერი ნების პრობლემა შესაძლებელი“, ან: „მინდიამ ვერ შეძლო სულიერ პრინციპთა ურყევად დაცვა. იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი თავის წინაშე დამარცხდა, როგორც სუსტი ნებისა და ფსიქიკურ ღტოლვათა სუბორდინაციის უნარს მოკლებული პიროვნება“. ეს თეზისები მოცემულია დ. წიწკოლაურის თავისთავად საინტერესო წიგნში „ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები“ (1982, გვ. 153, 157).

მაგრამ მოტიანილი თეზისები, აღბათ, ვერ გამოხატავს სრულად მინდიას საზოგადოებრივ ასპარეზზე დამარცხებასა და პიროვნული ტრაგედიის არსს. საკითხის ასე დაყენება, ახლა პრობლემის გამარტივებად გვეჩვენება; ეუფირობთ, რომ მასზე დაყრდნობა თხზულების მთავარი თემისა და დედააზრის მიგნებასა და სწორად განსაზღვრას გავვიძინებებს. რა თქმა უნდა, პოემის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად (თემა-

ტიკის ნაწილად) უნდა მივიჩნიოთ რწმენისა და ზნეობრივი პრინციპის დაცვისა და ამ საქმეში ადამიანის ნებისყოფის მნიშვნელობის საკითხი, მაგრამ „ველის მკამელში“ უფრო ზოგადი და უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა დგას. ავტორმა პოემის მთავარი გმირი ისეთი უნართა და თვისებებით აღჭურვა, რომ მან დიდი მისია უნდა აღასრულოს, — ხალხის მეთაურის როლი იკისროს და საზოგადოების ცხოვრება და მოქმედება სასიკეთოდ წარმართოს.

ასე წარმოჩნდება ნაწარმოებში რჩეული პიროვნების, ხალხის წინამძღოლის სახე, მისი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების წინაშე. ამავე დროს მინდია მოქმედებას ისეთი წინააღმდეგობრივა, ცნობიერი და არაცნობიერი მოტივები წარმართავენ, რომ მათი შერიაგება-შეთავსება ადამიანურ შესაძლებლობებს აღმატება.

ძალიან განზოგადებულად, სქემატურად „ველის მკამელის“ ფაბულა ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მასში თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება ცხოვრების ორი წესი, — სათნოებისა და პუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული მინდიახეული იდეალი და ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების, ზევსურთა ტომის ცხოვრება, როგორც საარსებო გარემოსთან, ბუნებასთან, ისე სხვა ტომებთან მიმართებით.

მინდია ცდილობს, საკუთარ ოჯახში მაინც განახორციელოს მისი იდეალი. სიკეთისა და სათნოებით ცხოვრებისა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით ხდება შესაძლებელი და ისიც — მუდმივ ოჯახურ უსიამოვნებათა თანხლებით. საბოლოო ანგარიშში მინდიას ცხოვრება მაინც ძალმომრეობის პრინციპს ემორჩილება, — იგი იძულებული ხდება ბუნებას აქტიური, მომხმარებლური პოზიციით მიუდგეს; ამავე დროს თავის ტომთან ერთად ებრძვის და ძარცვაუხსნებას სხვა ტომებს ან, უარეს შემთხვევაში, თავს იცავს მათგან. ასეთ ძალადობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში კი სათ-

ნოებით და საყოველთაო ცხოვრების პრინციპი თავისთავად უქმდება. ასე აღმოჩნდა მინდიას იდეალი ცხოვრების უღმობელ კანონზომიერებასთან წინააღმდეგობაში, რამაც ბუნებით კეთილშობილი და ზნემაღალი პიროვნება ტრაგიკულ აღსასრულამდე მიიყვანა.

4. კახი სიპოლო და მხატვრული ალჰორია

1989 წელს პარიზში დაიბეჭდა **კახი კაშიას** სოლიდური მოცულობის (400 გვ.) წიგნი „ველის მკამელი“, გაგების ცდა. მკვლევარი ვაჟა-ფშაველას თხზულებას განიხილავს ქართული კულტურის ფართო კონტექსტში, ვერცლად მსჯელობს ვაჟას სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, კერძოდ — ცნებებზე: პიროვნება, საზოგადოება, ერი, პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ნაციონალიზმი, ეროვნული თვითგამორკვევა, თავისუფლება, და მათს ვაჟასეულ გაგებაზე. მინდიას პიროვნება **კაშიას** წარმოდგენია კაც-სიმბოლოდ, რომელიც ქართველი ერის ბედკრულ ისტორიას გამოხატავს. აი რამდენიმე თეზისი თვით წიგნიდან: „მითებრივი არსება გამოპყიფეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთაგან პოემას „ველის მკამელი“, რომელიც ქართველი ერისა და ქართული კულტურის **მითურქმნილი ისტორიაა**, ანუ პიროვნებაში განსახიერებული ერის სულიერი ყოფის და, ამავე დროს, თვით ვაჟას პიროვნულა ყოფის **ტრაგიკული ისტორია** არის. (დასახ. წიგნი, გვ. 2).

„პოემის მითებრივი განფენა აშკარად გვესაუბრება რაღაც პირველსაწყის ცდუნებაზე, რომელიც ყოფიერების არსებას განსაზღვრავს... მინდია ჳამს გველს და თავისუფლდება, შეიქმნება ყოვლისმცოდნე და სიკეთისმოქმედა, ე. ი. აღადგენს თავის მითურყოფას სა-

მოთხეში. და აი, ამ დაბრუნებულ სამოთხეში მინდია კვლავ "ცდუნდება" და ჭკარავს ყოველივეს, „კვდება“ ანუ მკვდარ კაცად იქცევა... აი ამ უკანასკნელ გზაზე უჩანს მას ცოლი ცდუნების პირველწყაროდ¹ და უბედურების მიზეზად, ისევე როგორც უჩნდა იგი ადამს“ (იქვე, გვ. 90-91).

„მასშობილო ბუნების მოკვლით მინდიამ მოკლა კულტურა. მინდია კულტურისმკვლეელია. კულტურა ერის არსებობის ფორმაა: მინდია ერისმკვლეელია...“ „გზა, რომელსაც მინდია გადის, ესაა გზა ქართველი ერისაც, გზა თავნებობით ცდუნებისა, ცოდვისა, მონანიებისა და საკრალური თვითმკვლელობისა“ (იქვე, გვ. 299).

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება მკვლევრის ეს დასკვნები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მიზნებს. პირადად ჩვენ „გველის მკამელის“ შინაარსში ასეთი ფართო განზოგადების საფუძველს ვერ ვხედავთ. ჯ. კაშია კიდევ ოთხი წიგნის დაწერას გვპირდება ამ პოემასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გასარკვევად. უნდა დავულოდოთ, როგორ ჩამოყალიბდება საბოლოოდ ავტორის თვალსაზრისი.

ჯ. კაშია პირველი არაა, ვინც „გველის მკამელში“ სიმბოლური აზრი დაინახა, მაგრამ ასეთი დიდი მისია — მთელი ერის ისტორიის გამოხატვა და მისი ბედისწერის, არასახარბიელო მომავლის წინასწარ ჩვენება — ერთი კაციისთვის (მინდიასთვის) და თუნდაც პოემის ავტორისთვის არავის დაუკისრებია. ცნობილია იმ ვართაგავას მოსაზრება, რომელიც მინდიას მიიჩნევდა სიმბოლურ სახედ, ხოლო მთელ პოემას — „როგორც ალგეორიას, როგორც ერთგვარს ხერხს და მანერას განყენებული აზრის განსახორციელებლად“, მაგრამ მკვლევარმა ვერ მიაგნო იმ დედააზრს, რომელიც პოემის ავტორის თვალსაზრისის გამოხატველი იქნებოდა. მის მიერ მოტანილი რამდენიმე თეზისი (მაგალითად: „დიდ სიბრძნეში დიდი მწუხარებაც არის“, ან „რო-

ცა ბრძენი და მკურნალი უკლები წინა...“² ლავს ბუნების სიყვარულს...“³ მათის ან წახლება, დაღირდება; დაჭკარავს ხელის სიმშვიდეს“) საეჭვოა, რომ ვაჟა-ფშაველას მთავარ სათქმელს გამოხატავდეს.

ბ. დობორჯგინიძის თქმით, „მინდია სიმბოლური, წარმოსახვითი, ალოგიკური სახეა“. ურთულესი საკითხი, რომელიც ვაჟამ დააყენა და პოეტური ხერხით გადაწყვიტა „იყო მინდიას, როგორც სიმბოლურ-წარმოსახვითი პიროვნების ამქვეყნიურ მოქმედებაში და შეუბა“. მკვლევრის აზრით, მინდია იმიტომ მარცხდება, რომ „მას არ შესწევს უნარი მოვლენათა არსებაში ჩახედოს და მათ შორის ლოგიკური კავშირი გააბას... მინდიამ მართლაც ვერ შესძლო ერთ აზროვნებით მიმართებაში დაეკავშირებინა ხევისურთა თემისა და სხვა თემის ადამიანები, ამაღლებულიყო ადამიანობის ზოგადი ცნების გაგებამდე...“ მინდიას ყოველი მოქმედება განპირობებულია არსებული სიტუაციით: „ხე ან ნადირი ეუბნება: არ მომკლავო, და ისიც წინააღმდეგაა მათა მოკვლისა. ამავე დროს ადამიანები მას მტრეთთან ბრძოლისაკენ მოუწოდებენ და მინდიაც მზად არის ბრძოლისათვის“ (დასახ. წიგნი, გვ. 128-130).

ესაა სათნოებისა და, ხერხოდ, ადამიანის ცხოვრების წესის არასწორად, ცალმხრივად გაგება. მინდიას მდგომარეობას შეეფერება ვაჟას შემდეგი სიტყვები: „ფიქრი უსამზღვროა, ვითა სამყარო, და უკეთუ ადამიანი მიჰყვა ფიქრს, ვინ იცის სადამდის მიიყვანს; შეიძლება კლდეზედაც გადასჩეხოს, ხოლო ისიც შესაძლებელია, — სამოთხეში ამოაყოფინოს თავი. შეიძლება ისე ვაიფაქიზოთ ფიქრი, პურსაც ვეღარა ვჭამდეთ და წყალსაც ვეღარა ვსვამდეთ — ცოდვავო, ვამბობდეთ, ვეღარ ვამიჯვბდეთ დედამიწაზე ფეხს — შეურაცხოფას ვაყენებთო; ვეღარცა ვხნავდეთ დედამიწას, რადგან ხენა კვლასა ჰგავს — ხანის-საკეთის მიწაში გატარება ხმლისა და ხანჯლის ცხოველის სხეულ-



ში გატარების მსგავსია... ღმერთმა და-
იფაროს კაცობრიობა, — ზემოხსენ-
ებულმა ფიქრებმა შეიპყრას; რაც ბო-
ლო ექნებოდა ამ მახინჯ ფიქრებს,
ყველაც კარგად წარმოიდგენს“ (ტ. IX,
1964, გვ. 207).

ეს სიტყვები დაიწერა 1901 წელს
(როდესაც „გველის მჭამელი“ გამო-
ქვეყნდა), ხოლო დაიბეჭდა 1902 წლის
იანვარში და ისე გვეჩვენება, თითქოს
„გველის მჭამელის“ თემაზე საუბრის
გაგრძელება იყოს... ვაჟა აქ აშკარად,
პუბლიცისტური პირდაპირობით გვეუბ-
ნება იმასვე, რაც პოემამ მხატვრული
სახეებით გვიჩვენა. სხვა წერილში პო-
ეტი წერდა: „რა საბრალო იქნებოდა
კაცობრიობა და მისი ცხოვრება ამ დე-
დამიწის ზურგზე, რომ გამოთავყანე-
ბული თეორიების მოხვედრების გვე-
მაზე მიმდინარეობდეს?! მაგრამ არა.
ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუ-
თარი წესი და რივი აქვს და ჩვენი
თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ
გზაზე სვლას“ (ტ. IX, გვ. 393). ვაჟა
მიგვანაშნებს: პიროვნებას შეიძლება
სწამდეს, რომ კეთილშობილური საქ-
მისათვის, საზოგადოების ბედნიერები-
სათვის შრომობს და იბრძვის, მაგრამ
მისმა მოღვაწეობამ ხასიკეთო შედეგი
მანც ვერ გამოიღოს. გენიალურ მწე-
რალს თავის ან სხვისი მოტყუება, ამო-
ღამელება, სინამდვილის შელამაზება
არ უყვარს, მას ისე გვიჩვენებს, რო-
გორც არის. ცხოვრება უმეტესად მკაც-
რია, უსამართლო და ჩვენთვის მიუღე-
ბელი, მაგრამ ეს სინამდვილეა და
მწერლის ღირსება ისაა, რომ ცხოვრე-
ბის ნამდვილ, ობიექტურ სურათს გვი-
ხატავს.

ნაწარმოების აზრი (იდეა) და ავტო-
რის მიზანდასახულობა შეიძლება სხვა-
დასხვაგვარად იქნას გაგებული როგორც
შემდგომ თაობათა, ისე მწერლის თანა-
მედროვეთა მიერაც. ეს განპირობებუ-

ლია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური
მდგომარეობით, საზოგადოებაში ხელ-
რივ ღირებულებათა შეცვლით, მოცე-
მული დროისათვის პოპულარული ფი-
ლოსოფიური ან რელიგიური მოძღვრე-
ბით, აგრეთვე მკითხველის გონებრივი
სიმწიფით, განათლების დონით, მისი
სულიერი განწყობილებითა და მისწრა-
ფებით. ამას თუ დაეუმატებთ „გველის
მჭამელში“ მოქმედებათა პარალელურ
მიმდინარეობას რეალურ და მითოსურ
პლანებში, რაც პოემას ართულებს და
მოვლენებს ზოგჯერ ურთიერთსაწინა-
აღმდეგო აზრობრივი ასპექტებითაც
წარმოადგენს, აღარ უნდა გაგვივირ-
დეს, მის პრობლემატიკას, ავტორის
იდეურ ჩანაფიქრსა და მიზანდასახუ-
ლობას მრავალი ფორმულირება რომ
მოექმენა. ესენია: **თემატიკაში** —

1. სამყაროს საიდუმლოებათა შემე-
ცნების ცდა (გ. როლაქიძე).
2. სიბრძნე, ყოვლისმცოდნეობა (იპ.
ვართაგავა, ს. დანელია, შ. რადიანი).
3. საკუთარი რწმენისა და პრინცი-
პის დაცვის საკითხი (კ. აბაშიძე).
4. ბუნების საიდუმლოს წვდომა ინ-
ტუიციით (გ. კიკნაძე).
5. „გველური სიბრძნის“ ბუნება (დ.
ბენაშვილი).
6. სიბრალეულის ფარგლების, საზღ-
ვრის საკითხი (ა. ქუთელია).
7. პიროვნებისა და საზოგადოების
დაპირისპირება (მ. ზანდუკელი, ა. მა-
ხარაძე).
8. პირად (ოჯახურ) და საზოგადოებ-
რივ ინტერესთა დაპირისპირება (ს. გა-
ჩეჩილაძე).
9. ბუნებასთან ადამიანის დამოკიდე-
ბულების ზნეობრივი და ესთეტიკური
პრინციპები (ბ. დობორჯგინიძე, მ.
კვესელავა).
10. ბუნებასა და ადამიანთა ფსიქი-
კას შორის არსებული დაფარული კავ-
შირის გაგება (დ. რამიშვილი).
11. გაორებული პიროვნების ტრაგე-
დია (ა. გაჩეჩილაძე, ა. გაწერელია).

12. ადამიანის გონებრივი და სულიერი შესაძლებლობანი; ღმერთთან „თანაზიარობა“ (თ. ჩხენკელი).

13. თავის თავის შემეცნებისა და სრულყოფის შესაძლებლობა (დ. წიწკოლაური)

14. ცხოვრება და ტრაველია პიროვნებისა, რომელიც შემთხვევით ვახდა ერის ბელადი (მ. შენგელია).

15. ადამიანური ცოდვა და ლეთიური მსჯავრი (ჯ. კაშია).

ამ საკითხთა უმეტესობა ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის ან სოციოლოგიის საგანი უფროა, ვიდრე პოეზიისა, მაგრამ არაერთხელ დაუსახელებიათ ისინი ვაჟა-ფშაველას, როგორც შემოქმედის, პოეტური ასახვისა და მხატვრული განსჯის ობიექტებად.

„გველის მჭამელის“ იდეას ანუ ედდააზრს სხვადასხვა დროს (სხვადასხვა მკვლევარნი) ასე განსაზღვრავდნენ:

1. მაღალი იდეალისათვის მებრძოლი მარტოკაცი განწირულია (გ. რობაქიძე, მ. კვესელავა).

2. იღუპება ის, ვინც ღალატობს თავის თავს, თავის იდეალს (კ. აბაშიძე).

3. ყოვლისმცოდნეობას ადამიანის არსება ვერ იტყვის (ს. დანელია).

4. ბუნების შემეცნება შესაძლებელია ინტუიციის საშუალებით (გ. კიკნაძე).

5. სიბრალულის ნიადაგზე ბუნებას განსაზღვრულ სამეფოში პარმონის განხორციელების იდეა და ამ საფუძველზე სულიერი კავშირის დამყარება უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზენაეს კანონს (დ. ბენაშვილი).

6. სამშობლოსა და საზოგადოების სამხახური უმაღლესი მოვალეობაა (ს. გაჩეჩილაძე).

7. „ხალხისადმი პარმონიული სამხახურის ქადაგება“ (ა. ჩაველიშვილი).

8. სუსტი ნებისყოფის ადამიანი დიდ სახალხო საქმეს ვერ გააკეთებს (ა. გაჩეჩილაძე).

9. ადამიანისა და გარემომცველი სინამდვილის დაპირისპირება ისეთი ბუ-

ნებითი აუცილებლობაა, რამდენიმე უბრალოდ თვით ადამიანის კარგად ნაშენავს, ანუ (იგივე აზრი სხვანაირი ფორმულირებით): მინდათ იდეური მრწამსი ყალბია; მისი იდეალი ადამიანთა არსებობის კანონს ეწინააღმდეგება (ბ. დობორჯინიძე).

10. ბუნებისა და ღმერთის ხავსებასთან ზიარებულისთვის მასთან თანაზიარობის დაკარგვა უდრის სიკვდილს (თ. ჩხენკელი).

11. მოვლენათა მკვლელობას, სინამდვილეს, ცხოვრებას, გვხვ ვერ უცვლის ვერც რჩეული ადამიანი, გმირი, თუ ვნებათ, „ზეკაციც“ და ვერც მხოლოდ გონებრივად მოუშფიფებელი კულექტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობა (ი. ვეგენიძე).

12. ერის ბელადად მხოლოდ ის პიროვნება შეიძლება იყოს, რომლის ამქვეყნიური ცხოვრების არსს ქვეყნის კეთილდღეობა წარმოადგენს (მ. შენგელია).

თავისუფლად შეიძლება აზრთა კრიალოსანი ვუწოდოთ ლიტერატურის თეორეტიკოსთა, კრიტიკოსთა, ფილოსოფოსთა თუ ფსიქოლოგთა აქ წარმოდგენილ ღებულებებს, რომლებიც მათ „გველის მჭამელის“ თემატიკურ-იდეური ანალიზის შედეგად ჩამოუყალიბდნენ. როგორც ვხედავთ, სურათი მრავალფეროვანია. ვგელა პრობლემა თავისთავად საინტერესოა.

მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, რომ ვაჟა-ფშაველას სურდა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ჩვენება, ბუნებაში ადამიანის ადგილის გარკვევა. გარემოს შემეცნების ოპტიმალურ საშუალებათა მიგნება და ა. შ. მაგრამ არც ერთს არ დაუყენებია კითხვა: რამდენად აქტუალური იყო ეს პრობლემა მე-19 საუკუნის დასასრულს ან რა მნიშვნელობა ჰქონდა უდიდესი პოეტური ნიჭისა და უსაზღვრო მხატვრული აზროვნების მქონე მწერლისათვის ამ ანთროპოლოგიური თუ ზოგადფილოსოფიური საკითხების განხილვას?



ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვაჭა-ფშაველას დაბადებამდე დიდი ხნით ადრე კაცობრიობას გარკვეული ჰქონდა ბუნებასთან დამოკიდებულების პრინციპი, მასში ცხოვრების წესი და ბუნების მოვლენებთან საკუთარი ინტერესის შეთანხმების საშუალებანი. ამ საკითხებზე მსჯელობა ვაჭას, როგორც პოეტს, არაფერს მისცემდა, ხოლო მეცნიერული პრეტენზია ბუნებისმცოდნეობაში მას არ ჰქონია. ვაჭა, ცხოვრობდა რა დედამიწაზე, თავისი ქვეყნის ბუნებას უდგებოდა სალი მატერიალისტური თვალსაზრისით, როგორც აუცილებელ საცხოვრებელ გარემოს, ხოლო როგორც მწერალი, შემოქმედი, — აღიქვამდა პოეტის ზედვით, როგორც ესთეტიკურ განცდათა აღმძვრელსა და სამშობლოს ცნების ერთ-ერთ ნივთიერ გამოვლინებას.

რაც შეეხება ბუნებასთან მინდიან არაორდინალურ, უცნაურ დამოკიდებულებას, ეს ფოლკლორული მასალა მწერლის ხელში და არა თვითმიზანს. აუცილებელია იმ პრობლემის მიგნება, რომელთან მისასვლელ გზად თუ ხიდად ავტორი იყენებს აღნიშნულ მასალას.

მტკიცება არ უნდა, რომ ვაჭა-ფშაველა ჯანსაღი პატრიოტული შეგნების მქონე და სოციალურად უაღრესად აქტიური მწერალია. იგი ცხოვრობს მისი ერის ცხოვრებით, მისი წარსულით, თანამედროვეობითა და მომავლის იმედით. ვაჭა დაუფოვნებლივ ეხმაურება ერისთვის მნიშვნელოვან ზნეობრივ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს. მას საუკეთესოდ ესმის ამ ფაქტორების მნიშვნელობა მწერლისათვის და სავანგებოდ აღნიშნავს კიდევ: „შინაგანი ღირსება (მწერლისა) ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავის მწერლობის საგნად და რა დარებულიობისა ეს მოვლენანი, რამდენად დამოკიდებულია ამ მოვლენებზე ბედი და უბედურება, სიკვდილი და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა, — და რამდენად ცხოვლად, ნილად, შკა-

ფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მნიშვნელობას... ყოველი ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ მწერალი რამდენად ღრმად და ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საჭირობოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მავნებლობა, თუ სარგებლობა... წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი, უიმისოდ, რომ მას არ აწუხებდეს ტკივილები ადამიანთა ცხოვრებისა“ (ტ. IX, 1964, გვ. 294).

რას უნდა მიეზიდა ვაჭა-ფშაველა, როგორც მწერლისა და მოქალაქის, ყურადღება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე? ბევრი რამ გამხდარა სახელოვანი მწერლის მხატვრული ასახვისა და პუბლიცისტური მსჯელობის საგნად. მათ შორის იყო კაცობრიობის ინტორიის თანამდგევი, ძველი და მარად ახალი პრობლემა ადამიანთა ურთიერთობისა — როგორც პიროვნებათა, ისე სოციალურ ჯგუფებსა, ერებსა და სახელმწიფოებს შორის. პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, მწერლები — ყველა, ვისაც შეეგნებოდა ჰქონდა ადამიანის კეთილდღეობისა და სამართლიანი ცხოვრებისათვის ბრძოლის აუცილებლობა, ექებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მმართველობის ახალ ფეხებს. იქმნებოდა ახალი თეორიები, ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძღვრებები.

ჩვენი აზრით, ამ ახალი გზის ძიებისა და იღვური ბრძოლის ალგორითული სურათია მოცემული „ველის მჭამელში“. ხოლო მინდიას სახეში, მის მოქმედებაში რომელი პოლიტიკური მმართველობა იგულისხმება, ამაზე შეიძლება წარმოდგენა მოგვეცეს თვით ავტორის — ვაჭა-ფშაველას სოციალური და იღვრული თვალსაზრისის გათვალისწინებამ და 1900-იან წლებში შექმნილმა მისმა ნაწარმოებებმა, — ლექსებმა: „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ (1907 წ.), „თამარქელა — ჭკუათხელა“ (1909); პოემამ „მთათა ერთობა“ (1908); პუბლიცისტურმა წერილებმა: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიო-

ტიზმი“ (1905), „ვერ მოკლეს“ (1907), „მცირე შენიშვნა“ (1910), „სხვათა შორის“ (1910) და სხვ.

პირადად ჩვენ მინდიაში ვხვდავთ მხატვრულ სახეს საზოგადო მოღვაწისა, რომელსაც კეთილშობილური მიზნები აქვს და, თითქოს, უნარი და მოწოდებაც მაღალ იდეებზე ოცნებისათვის. იგი თავდაუზოგავად შრომობს და იბრძვის ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ მცდარი ზოგადი მსოფლმხედველობის, ადამიანობის არსის განმსაზღვრელი ფაქტორების და საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითადი კანონის ვერ გაგებისა, და ამის შედეგად არასწორად შემუშავებული მთავარი სამოქმედო კურსის გამო ხალხისათვის ზიანი უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე.

ვაჟა-ფშაველას ეპიურ თხზულებებში მათი დედააზრი პირდაპირ, დეკლარაციულად არასოდეს არის მოცემული. ავტორი მკითხველს ფიქრისა და განსჯის შესაძლებლობას უტოვებს, რათა მან თვითონ შეაფასოს ამა თუ იმ პერსონაჟის მოქმედება, და სათანადო დასკვნაც თვითონვე გამოიტანოს. ამ შემთხვევაშიც ასეა; ვაჟა-ფშაველა კონკრეტულად არ განსაზღვრავს „გველის მჭამელის“ თემასა და იდეას, მაგრამ ი. ვართავასადმი პასუხში, მსჯელობს რა პოეტური შემოქმედების თვისებაზე, აღნიშნავს იმ სიუჟეტურ კვანძებსა და მოტივებს, რომლებიც თვითონ შეთხზა და შეიტანა პოემაში. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა: მინდიას მხედართმთავრული ნიჭი, მისი ბაასი (კამათი) ცოლთან, დიალოგი ზევისპერთან, ქალების (მზიასა და სანდუას) საუბარი და ზევსურთა ლაშქრის მარცხი. მინდიას არასწორი რჩევის გამო, პირველი თავისთავად დიდად მნიშვნელოვანი იყო მტრებით გარემოცული და მუდამ საფრთხეში მყოფი ხალხისათვის. ცოლთან კამათში კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდა მინდიას საიდუმლო ცოდნის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მისი დაკარგვის გამო მოსალოდნელი საერთო საზღალო, აგრეთვე პი-

როვნული ტრაგედია. ზევსპერთან შენიშვნის დიალოგში, აგრეთვე „მცირე შენიშვნა“ სანდუას საუბარშიც ეს წუხილი ჩანს. უკანასკნელმა, წაგებულმა ბრძოლამ კი მინდიას ყოველგვარი იმედი მოუსპო და ისიც დაანახვა, რომ არა მარტო თვითონ დამარცხდა, როგორც პიროვნება, არამედ სხვათა (თანამომძმეთა) უბედურების მიზეზიც გახდა.

ხალხურ გადმოცემებში, რომლებიც ვაჟამ გამოიყენა, ამ მომენტთაგან არც ერთი არ იყო, როგორც პოეტი წერდა, ხალხური ამბავი „მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს“ (ტ. IX, 1964, გვ. 364). ამ პოემის დრამატიზმს სწორედ ზემოთ აღნიშნული მომენტები განსაზღვრვენ და წარმოაჩენენ ხალხის მეთაურად მყოფი პიროვნების როლსა და მის ზნეობრივ მოვალეობას მასზე დაკისრებული დიდი მისიისა წინაშე.

აქედან გამომდინარე, „გველის მჭამელის“ ზოგად, მთავარ პრობლემად ავტორს უნდა დაესახა რჩეული პიროვნების, ხალხის მეთაურის ცხოვრება, მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. პოემის დედააზრი, რომელიც ავტორის ჩანაფიქრს შეიძლება გამოხატავდეს, ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: ნებისმიერი იდეა, თუნდაც ძალიან მოშობილავი და საინტერესო, თუ ის არ ეთანხმება ცხოვრების ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებას, თუ არ შეეფერება ხალხის ფსიქიკურ წყობასა და საარსებო გარემოს, განუზოცი-ელლებელი დარჩება, ან საზოგადოებრივ სათვის საზიანი აღმოჩნდება.

ნაწარმოები, რომელიც ასე სხვადასხვაგვარად წაკითხვისა და გააზრების საშუალებას იძლევა, თავისთავად რთულია. ამ სირთულეში ზოგი მის ღირსებას ხედავს, ზოგიც — ნაკლებ. ერთი რამ უდავოა: მკითხველი მას მუდამ ყვოლება და ყოველი ახალი წამკითხველი ვაჟას ამ დიდებულ თხზულებაში მისთვის სასურველ თემას აღმოაჩენს და მისი აზროვნებისა და მრწამსის შესაფერ იდეას ამოიკითხავს.

ქველი რევოლუციონერები— ახალი რევოლუციის მსხვერპლნი

ქართულ მწერლობასთან დაკავშირებული უფროსი თაობის სამუელს — ს. თალაკვაძეს, რ. კალაძესა და ბ. ბინიანიშვილს აერთიანებს ძველი რევოლუციური, ბოლშევიკური წარსული, სამრეწველო მოღვაწეობაში ამ წარსულის თემატიკის დამუშავება, საგამომცემლო — ჟურნალისტური საქმიანობა და, თავისთავად ცხადია, რეპრეზირება, რაშიც მთავარი როლი სწორედ რევოლუციური წარსულის ასახვაში სახელმწიფოს პარტიული ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო ჯიუტი პოზიციის დაჭერამ შეასრულა.

ხევასტი გიორგის ძე თალაკვაძე (1888—1937) პროლეტარულ მწერალთა პირველი პლედის წარმომადგენელი იყო. ის 1909 წლიდან იბეჭდებოდა და უმთავრესად ისტორიულ — რევოლუციურ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები დაგვიტოვა. ესაა „ჩემი მოგონებანი“ (1921), სტილისტურად სუსტი რომანები „1905“ (1930), „ახალი ახვირთება“ (1932), „გადასასვლელი“ (1933), რომელშიც გვარიანი სიმპატიურადაა გამოყვანილი დამბეზღებულნი და გამყიდველები (ბოლშევიკები ხომ კომუნისტური იდეისათვის ჩადენილ გამცემლობასა და უამყიდველობას მაღალი იდეალებისათვის სამსახურის გაწვევად თვლიდნენ!).

ჩვენს დროში ს. თალაკვაძეს რევოლუციისა და საქართველოს კომპარტიის ისტორიის კომისიის მდივნობა მიანდევს, 1923-26 წლებში რედაქტორობდა ამ კომისიის ისტორიულ ჟურნალს „რევოლუციის მატინეს“, რომელშიც, სხვათაშორის დაბეჭდა თავისი ვრცელი ნაშრომი „საქართველოს რევოლუციური მოძრაობის წარსული. 1870—1905“ (1923, № 1-5).

ს. თალაკვაძის უმცროს თანამედროვე მწიგნოს, რომლის ობიექტურობა სანდოა, სევასტი ჩვენთვის ასე დაუხასიათებია: პატიოსანი ადამიანი, მაგრამ სუსტი მწერალი იყო.

და როდესაც მიხედნენ, რომ მხოლოდ პროლეტარულ მწერლებზე დაყრდნობით ბევრს ვერაფერს მიაღწევდნენ და სხვადასხვა გუგულებიდან გამოსულ მწერლებს მიეცათ ხმის ამოდების უფლება, როცა ამ მწერლებმა გაბედეს მიეთითებინათ პროლეტმწერალთა სუსტ მხატვრულ ნაწარმოებებზე ე. წ. „წითელ ხალტურაზე“, — პირველი, ვინც ტრიბუნასთან დადგა და დაგმო სუსტი ნაწარმოებების წერა, ის მწერალი იყო, ვისაც „წითელ ხალტურაში“ გულისხმობდნენ (ს. თალაკვაძე), მაგრამ არ ასახელებდნენ.

ღმერთმა შეუნდოს! მწერლობაში იმას აკეთებდა, რაც შეეძლო. მთლად მისი ბრალიც არ იყო — ჩაუნერგეს,

მხოლოდ პროლეტარიატი ქმნის ყოველივე ღირებულსო.

სხვათაშორის, ორიოდე სიტყვა პროლეტარულ - ბოლშევიკური შეგნების თაობაზე. ეს შეგნება პროლეტარიატს თავში ბოლშევიკებმა ჩაუღეს, ს. თალაკვაძე კი ბოლშევიკ რევოლუციონერთა ძველ გვარდიას ეკუთვნოდა და იქნებ მეტისმეტად პრინციპულიც იყო. აი, როგორ დახასიათა ხევასტი მისი რეაბილიტაციის თაობაზე 1956 წ. 24 აგვისტოს დაკითხულმა ს. ეულმა: „პატრიოსანი, გულდია კაცი იყო, სწორხელოანი, უყვარდა სიმართლის თქმა. აქტივობა ვეღვას, განურჩევლად პაროქიებისა. ამით შესაძლებელია აიხსნას ის, რომ ზოგიერთებს ის არ უყვარდათ“ (საქმე № 7982, ფ. 385—386).

როცა ეს შეგნება და პრინციპულობა მარტო კლასობრიობას ვერდნობდა და ემხაზურება, ბევრ ოინს გიზამს და ერის საზიანო საქმესაც გაგაკეთებინებს.

ასე დაემართა ს. თალაკვაძესაც: 1919 წელს დამოუკიდებელ საქართველოში დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გურიის აჯანყების მოწყობა იკისრა (ფ. 388).

ევონა, რაც რუსეთში ხდება, საქართველოშიც ის უნდა მოხდესო.

გასაბჭოების შემდეგ მან ძველი ბოლშევიკისათვის დამახასიათებელი იდეური პრინციპულობა გამოიჩინა და იდეურად მკენედ მიჩნეული გამოცემებისაგან გაწმინდა (წაიკითხე — გალარიობა) ჩვენი წიგნის პალატა (რომელსაც ხელმძღვანელობდა 1926—1936 წლებში). სწორედ ეს უპატაკა ს. თალაკვაძემ დაპატიმრებამდე ათიოდე დღით ადრე (1936. 12. VIII) კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ლ. ბერიას: „როცა ჩემს დაწესებულებაში ჩვენი საკონტროლო სარქივო ბეჭდური ცალების იდეურ გაწმინდას ეხებოდა საქმე, მე არ შემეძლო ჩემს განსაკუთრებულ მდგომარეობაში) პასიური ვყოფილიყავი აქ, დაუ-

ღვერობა გამოემჩინა, სიჭინჭრე უნდა დუნებოდა. და სინამდვილეში უნდა მტკიცე ყოფილა. ამხ. ვალოდია მირცხულავა კარგი ამხანაგი და კარგი ბიჭია, მაგრამ სათანადო ობიექტურობით იქ ვერ გაერკვა. ოფიციალურ ინსტრუქციამდე შეუღდექი ამ საქმეს (როცა ცეკაში შესვლის დროს შემთხვევით გავიგე ეს აკრძალვა წიგნებისა). მე თითონ საკუთარი ინიციატივით დავაყენე ეს საკითხი მთავლიტში და საბიბლიოთეკო სამმართველოში, რადგან ისინი პირვანდელი ინსტრუქციის ძალით ასეთი წიგნებიდან გაწმინდას მხოლოდ ბიბლიოთეკებს უპირობდნენ, ჩვენზე არ ფიქრობდნენ მის გაერცელებას (როგორც არა ბიბლიოთეკაზე). მე ავღმარო საქმე, რომ ჩვენს საკონტროლო სარქივო ცალებზეც გაერცელებულიყო ეს. ამიტომ, მართალია მე დირექტორი ვარ იმ დაწესებულისა, საცა ეს დარჩენილი ტროცკისტული წიგნება აღმოჩნდა, მაგრამ ასეთ ვარემოებაში მიხბდა ეს, რომ საყვედური ჩემზე არაა სამართლიანი. ეს დანაშაულებრივი სიმძიმე აქ მთლად მთავლიტმა და საბიბლიოთეკო სამმართველომ უნდა ზიდაინ, იმათ უშუალოდ ეხებოდა ეს საქმე. მე ჩემმა პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ვერ გამომართლა იმედი, ვლახად ვამიკეთა საქმე, მაგრამ ეს შემდეგ მევე გამოვახსწორე, როგორც კი შევნიშნე“ (ხაზგასმა ს. თალაკვაძისა. საქმე № 7982. ფ. 284).

მაგრამ ლ. ბერია ამ ფასადაც როგორ დაუფიქვბდა ს. თალაკვაძეს მის აბურხად ავდებას (სხვათაშორის, ბევრი შეიქნა ბერიას დაციუნის მსხვერპლი). აი, რას იგონებდა ს. თალაკვაძის ცოლი სოფიო თალაკვაძე ნ. ხრუშჩოვისადმი 1955 წ. 10 სექტემბერს მიწერილ განცხადებაში:

„განსაკუთრებით აქტივობა ის ბერიას, რომელსაც იცნობდა 1920 წლიდან, როცა მენშევიკების მიერ გასახლებულ რიგ აქტიურ ბოლშევიკებს შორის ვიყავით მე და ჩემი ქმარი. ბერია მაშინ მუშაობდა ბაქოში აზერბაი-



ჯანის კბ ცკ-ის საქმეთა მმართველდ. სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, რომელთანაც ჩვენ ერთ ბინაში ვცხოვრობდით, თალაკვაძე გულს უწყალებდა ბერიას: „საიდან ვაჩნდი, როგორ მოხვდა პარტიასი, აქამდე კაცი შეიღოს არ უნახვებარ!“ და ა. შ.“ (საქმე № 7982, ფ. 323).

ასე შემდეგ — დასძენს ს. თალაკვაძის მეუღლე. მართლაც, ლ. ბერიას აბურად აგდებას შემდეგაც აგრძელებდა ს. თალაკვაძეც და ზოგი სხვაიც, — კარიერის მალე დამთავრებას უწინასწარმეტყველებდნენ...

მაგრამ ლ. ბერია თანდათან ყოვლისშემძლე ვახდა და შური იძია მის მაგინებლებზე. ბრალდების გამოხატვა ვაუჭირდებოდა თუ რა!

აი, ს. თალაკვაძესაც დასწამეს ტერორისტულ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, ამ ორგანიზმის ცენტრთან მჭიდრო კავშირი (1937. 22. V. ფ. 16).

ამ ფურცელზე ს. თალაკვაძეს მიუწერია: „ჩემთვის წამოყენებულ ბრალდებებს ვთვლი სრულიად უადგილოდ, უსამართლოდ, რომელსაც სინამდვილეში არაფერი საერთო არა აქვს ჩემს საქმესთან. ს. თალაკვაძე“.

დაკითხვებზეც, (1936, 23. VIII. ფ. 24-27; 11. IX. ფ. 35-50, და ა. შ.), რომლებსაც ბახჩო ქობულოვი ატარებდა, უარყოფდა ამ ბრალდებებს.

ამას ისიც დამატა, რომ ს. თალაკვაძემ 1925 წელს გამოცემული თავისი წიგნი „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის“ სტალინს გაუგზავნა, მისგან კი არცთუ სასიამოვნო პასუხა მიუღია: ჩემი სანქციის გარეშე ჩემზე არაფერი დაწერო (იხ. ს. თალაკვაძის ცოლის განცხადება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურას (ფ. 327).

მოგვიანებით მოსკოვშივე გაუგზავნა ნაშრომი „ბელადის პორტრეტი“. ეტყობა, არც ეს მოსწონებიათ. პასუხის ღირსიც არ ვახადეს.

როგორც ვთქვით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ს. თალაკვაძეს თავზე საყრელი ჰქონდა მასალები, მ. შ. მოგონებები რევოლუციური წარსულის შესახებ. თანაც თვითონ ამ მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა და კარგად იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა, ვის რა ავტორიტეტი ჰქონდა მაშინ.

მაგრამ ს. თალაკვაძეს განათლება აკლდა (მან ხომ მხოლოდ თვითგანათლება მიიღო) და ვერ მოერეოდა მასალას, მის ანალიზს და ა. შ.

ამასთან მას ძველმა ბოლშევიკურმა პრინციპულობამ (ამ შემთხვევაში — მოსაწონმა) არ დაანება ჩველაფერა სტალინისათვის მიეწერა.

მაგრამ ასეთი პრინციპულობის გამოჩენას უკვე არც სტალინი და არც ბერია აღარ ითმენდნენ.

ერთხელ ს. თალაკვაძეს ბ. მდივნისთვის უთხოვია: დამითქე ერთი საღამო, ჩემს ახალ პიესას გაეცანიო. როგორც სევასტიმ დაკითხვაზე თქვა, ბუღუს ურჩევია: „თავი დაანებე წერას. ახლა წერა არ შეიძლება, ვინაიდან რაღაცამ გამოიჭიკურნ, ისე არ დაწერ, როგორც ითხოვენ. სულს ამოგზდიან. უკეთესია, მოიცადე, მერე იქნება შესაძლებელი დაწერა, როდესაც უკეთესი დრო დაღება“ (ფ. 62).

მაგრამ კაცს რომ წერის მისწრაფება შეიპყრობს, მნელია მისი შეჩერება.

საქმე ისევ და ისევ შინსახკომის მოხავეარებული შეიქნა. ეილაყეებს ათქმევინეს ტერორისტული ორგანიზაცია გვექონდა და მისი წევრი ს. თალაკვაძეც იყო.

რა თქმა უნდა, ისიც გაუხსენეს რომ 1927 წ. ფრაქციული მუშაობისათვის პარტიიდან გარიცხეს, შემდეგ, როგორც თვითონ აღიარა (ეს მართლაც მისი პრინციპული პოზიცია იყო და არა 1937-38 წლებში ცემატყვიით დაწამებით გამოგლეჯილი აღიარება), კვლავ ოპოზიციაში ვიყავი, ლეგალურად ვაცხადებდი, რომ ზოგ რამეში მზარს არ უუჭერდი ახლანდელ ხელმძღვანელობასი (ფ. 314).

ამისათვის კიდევ დააპატიმრეს 1929 წ. 9 იანვარს (ფ. 306), 17 იანვარს კი სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ (გპუ) დაადგინა: 3 წლით შუა აზიაში იქნეს გასახლებული (ფ. 314). შემდეგ დეკლარაციათ ვადამდე, 1929 წ. 23 აგვისტოს გამოუსვიათ ტაშკენტიდან (ფ. 319).

მაგრამ ახლა სხვა, საშინელი დრო დგებოდა, ასე იოლად არ მოგეშვებოდნენ.

მართლაც, 1936-ე წ. 20 აგვისტოს ს. თალაკვაძე სამუდამოდ წაიფანეს.

მთელი წელიწადი გაჟიდა დავითბებში. ბოლოს პერიასა და სტალინის ტერორისტული გზით მოცილებაზე ფიქრიც კი დააბრალეს.

ვინ მიიღებდა მხედველობაში თხოვნას (შინაგან საქმეთა კომისრის გოვლიძის სახელზე 1936. 28.IX; ფ. 286) — სიცოცხლე შემიწარუნეთ, თუ რამე მაქვს დანაშაული, გამოვიხადო. 1937 წ. დასაწყისიდან ხომ საშინელუბამდე გამკაცრდა შინსახკომის გამოძახების მეთოდები (ამის თაობაზე მსხვერპლთა ჩვენებასთან ერთად შემდეგ ნარკვევებში თვით ჯალათების აღიარებასაც მოვიხსენო).

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის დახურულ (სასამართლო სხდომაზე (თბილისი. 1937. 25 ივნისი), რომელიც მოწვევების გარეშე ჩატარდა, თუმცა თავი დამნაშავედ კვლავ არ ცნო, ს. თალაკვაძეს დახურვით მიუსაჯეს (ფ. 295-296), ხოლო მეორე დღეს (26. VI) კიდევ დახვრიტეს (ფ. 297).

სხვათაშორის, როგორც ხალხის მტრის ცილი, 1938 წ. დააპატიმრეს და 8 წლით გადაასახლეს სევასტის მუდღე სოფილ, ისიც ძველი რევოლუციონერი და პარტიული 1914 წლიდან, სევასტის ორი ძმაც კლიმენტი და ხევერიანე ამ ვხას გაუყვნეს, ხოლო შვილი ვახტანგი ფრონტზე დაკარგულა.

1957 წ. 9 აგვისტოს იმავე სამხედრო კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ თალაკვაძის წინააღმდეგ ჩვენების მიმკერ-

მებს (ს. ჩიხლაძე, ს. ქაფიანი, მ. ჯუღაშვილი, მ. მელიანი, ბ. მდივანი, მ. ჯუღაშვილი) მტრულ პირობებში აიძულეს ამ ჩვენებათა მიცემა, რომ თავის მხრივ ისინი არავითარ კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ორგანიზაციაში არ ყოფილან და რეაბილიტირებული არიან, — გააუქმა 1937 წლის განაჩენი.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ამის საფუძველზე 1957 წ. 6 დეკემბერს ს. თალაკვაძე მწერალთა ორგანიზაციის წევრის უფლებებში აღადგინა (ლესხა, 8-1-1853-121).

ახლა მკითხველს უნდა წარუდგინოთ თბილისის სასულიერო სემინარიის კიდევ ერთი აღზრდილი, რომელიც ბევრის მსგავსად რევოლუციონერი გახდა. და თუმცა მან სიღარიბის გამო უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, შემოსხენებული სემინარია ისეთ მყარ და მრავალმხრივ ცოდნას აძლევდა თავის აღსაზრდელებს, რომ ამ ადამიანმა აქ მიღებული განათლება გვარიანად გამოიყენა თავის რევოლუციურ-ლიტერატურულ-ჟურნალისტურ მოღვაწეობაში.

რაქდენ თომას ძე კალაძე (1871—1937) იმ პირველი რამდენიმე კაციანი კრების მონაწილეა, რომელიც ე. ნინოშვილის ინიციატივით იქნა მოწვეული 1892 წ. მიწურულს ქიათურაში (ყვარიაში) და რომელზეც საფუძველი ჩაეყარა პირველ მარქსისტულ-რევოლუციურ ორგანიზაციას საქართველოში (ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე კ) 1894 წ. ქვეყანას ემცნო, რომ შეიქმნა მარქსისტულ-რევოლუციური სოციალისტური ჯგუფი — მესამე დახი).

შემდეგ 1898 წ. ბოლშევიკი რ. კალაძე შეიფანეს მუშათა პირველ სოციალისტურ-დემოკრატიულ მარქსისტულ კომიტეტში როგორც მარქსისტი ინტელიგენტი. ამავე წელს ერთ-ერთი მომწიფობა საქართველოში პირველი მასობრივი არალეგალური მაისობისა...

1907 წლიდან უმათავრესად ლიტერატურულ შრომაში ჩაება — ქართული ბოლშევიკური არალეგალური გაზეთის



„ბრძოლის“ გამოცემაში მონაწილეობდა...

ყველა ამ სოციალურ-დემოკრატიულა, მარქსისტული თუ ბოლშევიკური ანტი-ეროვნულად იღვებოთ შეიარაღებამ რ. კალაძე იქამდე მიიყვანა, რომ, როცა მასი სამშობლოს მომავალი წყდებოდა, — დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. აი, რას წერდა იგი რომანოვების დამხობის შემდეგ: „ნურავინ იფიქრებს, რომ... ავტოკეფალიას და ფედერაციას რაიმე პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდეს“, „ავტოკეფალია, ქართველი სამღვდლოების დამოუკიდებლობა“, ე. ი. კლერკალიზმის ქართულ ნიადაგზე გამაგრება სულაც არ ეთანხმება ქართველი ხალხის საბილო მიზანს, სულაც არ შველის სოციალიზმის ქართულ ნიადაგზე დამყარებას, პირიქით იგი მას მეტად შეუშლის ხელს. ამიტომ ჩვენ ამ ავტოკეფალიას უნდა ვებრძოლოთ“ (რ. კალაძე, მორიგი კითხვები, ერთად თუ ცალ-ცალკე? ე. „პირველი ნაბიჯი“ 1917, № 4).

გასაბჭოებისთანავე, როცა სწორედ ისე უკუღმართად წაიყვანეს საქართველოს საქმე, როგორც რ. კალაძის პარტიას სურდა, ხალხმა კი იგი შეაჩვენა — რაჯდენი იცავს ამ პარტიას და მის ყბადღებულ კლასობრივ ინტერესებს: „როცა კითხვა დგება — რომელი სახელმწიფო — ბურჟუაზიული უფრო მტკიცედ იცავს სამშობლოს, ეროვნულობას, თუ მუშურ-გლეხური, — ჩვენ ვამბობთ, რომ მუშურ-გლეხური, ვინაიდან ის ისე ვერ უღალატებს ამ სამშობლოს, ამ ეროვნებას, ვით ვერ უღალატებს თავის საკუთარ კლასობრივ ინტერესებს“ (დამოუკიდებლობა და საბჭოთა საქართველო, „კომუნისტი“, 1921, 26 V. № 69).

მაგრამ რ. კალაძემ თავის უფრო დიდ ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგებთან — ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთად ხომ კარგად იცოდა, რომ ქართველ გლეხებსა და მუშებს სწორედ ის „ბურჟუაზიული“ სახელმწიფო უნდა დაედასტურებინათ, რომლის გინებაში დალიეს სულა

ფ. მახარაძისა და შემდგომი თაობის კომუნისტებმა! იცოდნენ, მაგრამ მისწრაფებოდნენ, რომ პარტიული ინტერესების გამო უნდა ელაპარაკნათ, რომ ასეთი ცრუ დაპირებებით მუშები და გლეხები დაეშოშინებინათ, თავიანთი ხელისუფლება გაეძლიერებინათ.

მათ გაძლიერებაში რ. კალაძესაც შეაქვს წვლილი. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის ეს წარმომადგენელი ამ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი ვახდა (1921), მისი ჟურნალის — „ქურას“ (1922) თანარედაქტორი, 1921 წელს სამი თვით ვახუთ „კომუნისტის“, შემდეგ ჟურნალ „რევოლუციის მატაინეს“ რედაქტორი, მთავლიტისა და ცენტრარქივის უფროსი იყო.

და როდესაც კომუნისტები მომძლავრდნენ, თვალის ასახვევად კალაძე წუხდნენ ეროვნული თავისებურებებისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, აი რას წერდა რ. კალაძე 1927 წელს: „საქმე ის კიარაა: ხალხმა თავისებურება და განსაკუთრებული სახე შეინარჩუნოს, არამედ ის, რომ კულტურულად დაწინაურდეს და განვითარდეს“ („პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 4).

ერთი სიტყვით, სულერთია ქართველი იქნები თუ რუსი, მთავარია კულტურული და განათლებული იყო.

ესეცა, პროლეტარული მწერალა, კრიტიკოსი გ. მუშიშვილი რ. კალაძეს პირიქით, იმისათვის გმობდა, რომ ეროვნულობას მარადიულ კატეგორიად თვლისო („მნათობი“, 1927, № 11-12). ვითომ რ. კალაძე მიხვდა, მისი პარტიის დანაირები სამოთხე მაინცდამაინც არ ამართლებს და ეროვნული სახე არ დაეკარგოთ?

თუმცა... მერე ვნახავთ, რომ რ. კალაძე ლ. ტროცკის მსოფლიო რევოლუციისაკენ იბრებოდა, ეს კი ისევ და ისევ ეროვნული თვითმყოფადობის საწინააღმდეგო იყო...

დიახ, რ. კალაძეს რალაც-რალაცეება არ მოსწონდა სტალინის მმართველიო

ბაში, ტროცკის მიემხრო და ოპოზიცი-
აში ედგა არსებულ პარტიულ ხელ-
მძღველთაგან.

ერთხანს ასეთ რამეს ითმენდნენ, მე-
რე პარტიული სასჯელითა და სხვა
ქალაქებში გასახლებით ამოშინებდნენ,
ბოლოს კი სასტიკად უსწორდებოდნენ.

მხედველობაში არ მიიღეს მისი რე-
ვოლუციური წარსული და უკვე დაპა-
ტიმრებული ტროცკისტების ვერა ღუმ-
ბაძისა და ბენო კალანდაძისათვის გა-
მოგლეჯილი ჩვენებით 1936 წ. 20 ნო-
ემბერს დაპატიმრეს. ბრალად დასდეს
არალეგალურ კონტრრევოლუციურ
ტროცკისტულ ორგანიზაციაში მონაწი-
ლეობა და შინაგარეობის შინაგან ციხის
ერთკაციან საკანში შეადგეს.

დაკითხვაზე (1936. 27. XI; რ. კალა-
ძის საქმე № 8329, ფ. 33—42). რ. კა-
ლაძემ თქვა: 1929 წლამდე მართლაც
ვიყავი საქართველოში იატაკქვეშა
ტროცკიზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.
მერე ჩამოეშორდიო. არ დაუჯერეს, აი-
ძულეს, ეთქვა ალბათ, ისიც, რაც სი-
ნამდვილეში არ იყო, მაგრამ უნდოდათ,
რომ ეღიარებინა.

მაგრამ რ. კალაძემაც იცოდა და
სხვებმაც, რომ ხელისუფლებას სხვა
რამეც აღიზიანებდა, კერძოდ, ბოლშე-
ვიკებმა რომ ხელში ძალაუფლება აი-
ღეს და ლენინის სიკვდილის მერე სტა-
ლინი გვარიანად მომაგრდა. ნელ-ნელა
საქართველოში პირველი მარქსისტულ
მუშათა წრის შექმნიდან დაწყებული,
ველაფრის მიხთვის მიწერა დაიწყო,
— როგორ შეეძლო რ. კალაძეს ეს მო-
ეთმინა და არ ევეირა — მართალი არა-
აო.

პოდა, ჩხრეკისას (სხვათაშორის,
განზრახვას მისი ბინები თბილისში და
სოფ. ეწერშიც) მისი ბინიდან წაღებუ-
ლი წიგნი ამიერკავკასიის ბოლშევი-
კური ორგანიზაციის ისტორიის შესა-
ხებ რ. კალაძის ჩასწორებებით აჭრე-
ლებული აღმოჩნდა. აქტში აღნიშნეს:
თბილისის სოციალ - დემოკრატიულ
პირველ ცენტრალურ ჩგუფში ამოუშ-
ლია ა. წულუკიძის გვარი და თავისა

შეუტანია, მარქსიზმის საქართველოში
გავრცელებას ნ. ჟორდანიასა და ფ. შა-
ხარაძეს მიაწერსო და ა. შ. (რ. კალა-
ძეს აგრეთვე, ბინაში აღმოაჩნდა მისი
დღიურები, საქართველოში ნაციონალ-
უკლონიზმისა და ტროცკიზმის ისტო-
რია — 22 დიდი რეკული, ნ. ჟორდანი-
ას, ზინოვიევის და სხვ. წიგნები).

დაკითხვაზე რ. კალაძემ ისიც თქვა
(თუ ათქმევინებს) — ენუქიძეს მიეწე-
რე: პარტია აქებს კეცხოველს, მე და
თქვენ კი, ვინც აქტიურ მუშაობას ვე-
წეოდით, უყურადღებოდ გვტოვებენო
(ფ. 27).

ვერ იგრძნო რ. კალაძემ, საით მი-
დიოდა საქმე და რა საშინაში იყო დიდ
პარტიულ ისტორიაში თავის გაყოფა,
მიუთმეტეს ბერიასა და სტალინის ხე-
ლის ხლება — ერთ-ერთ დაკითხვაზე
აღიარა: ბერიას წიგნში სტალინის რო-
ლიც გადიდებულიაო (ფ. 29—30).

ამ საკითხზე კიდევ ალაპარაკეს
(7. XII. 36. ფ. 70—71):

პარმენ ცინცაძემ მიაპბო: მასთან
მიხულა ისტორიის ინსტიტუტის წარ-
მომადგენელი და შეკითხვაზე: „გლუხ-
თა მიტიზგებზე 1906—1907 წ.წ. საქარ-
თველოში ვინ გამოდიოდა, მე დავასა-
ხელე ტროცკისტი თედო კალანდაძეო.
ამასთან ცინცაძემ აღშფოთებით მით-
ხრა, რომ თედო კალანდაძის ნაცვლად
ვიღაც სხვა ჩაწერესო.

...მე სოლიდარობა გამოიუცხადე ცინ-
ცაძეს, მეც ავღშფოთდი, იმის გამო,
რომ თურმე ისტორიის ფაქსიფიცი-
რება ხდება და ისტორიის კვლევის ინ-
სტიტუტი შეცდომაში შეყავთ“.

რ. კალაძე შემდეგ დაკითხვაზეც შეე-
ხო ამ საკითხს: არაქელ ოქუაშვილმა
ჩემთან საუბარში თქვა 1897 წ. თვით
მე შევქმენი თბილისის რკინიგზის სა-
ხელოსნოებში პირველი მუშათა წრეო.
მეც მეთანხმებოდა ჩემი ნარკვევების
სისწორეში. ბერიას მოხსენების მერე
კი „კომუნისტში“ წავიკითხე ოქუაშვი-
ლის მოგონება — სრულიად საწინააღ-
მდეგოს ამტკიცებდა (ფ. 99, 103—104).



და ბოლოს რ. კალაძე მოუთავსებიათ ს. თალაკვაძის საკანში. ამ უკანასკნელმა ბ. ქობულავს შეატყობინა (1936. 22. XI, ფ. 113—116) რ. კალაძის ნაღაპარაკვეთი: გასული საუკუნის „90 წლებში არც სტალინი, არც კეცხოველი მუშათა ორგანიზაციებში არ იყვნენ. პირველ მარქსისტულ კომიტეტში ჩემთან ერთად შედიოდა სევერიან ჯუღელი და შატილოვი. ლადო კეცხოველი ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდა“.

ბერიას მოხსენებაზე თქვაო: „...ეზ ისტორია არაა, ამიტომ მე მასში ძალზე ბევრი არსებითი შესწორება შევიტანე... ალბათ ამიტომაც დამაბატიმრებს... ვერ გამიგია, რათ უნდათ ეს ბავშვური, გამოგონილი ფაქტები!!!“

...სტალინის პოლიტიკით მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია არ მოხდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო“. სტალინი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებით შემოიფარგლა და ამიტომ გაძლიერდა ფაშიზმი. ტროცკი რომ ყოფილიყო, სულ სხვანაირად იქნებოდაო.

რ. კალაძეს სთხოვდნენ — დაესახელებინა, ვინ თანაურგმობდა ქართველ ტროცკისტებს (ამ მოთხოვნის დროს რომ ცემა-წამებისაგან უკან არ იხვედნენ, ეს კარგად მოგახსენებათ). შემდეგ, 1936, 17. XII, დაკითხვაზე დაახასიათებინეს ამ სიაში მოხსენიებულნი: „1932 წ. ბოლოს თუ 1933 წ. დასაწყისში მე წერილობით მიემართე საქართველოს კ. ცკ-ის მდივანს ბერიას და ვთხოვე ნება დაერთო გამოქვეყნებინა ჩემი მოვონებები მეფის იატაკქვეშეთში სტალინის მუშაობაზე. ბერიამ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორს მალაქია ტოროშელაძეს დააუგლა შეემოწმებინა ჩემი ხელნაწერი და ამის შესახებ დასკვნა წარმოედგინა. ტოროშელაძემ გადაათვალიერა ეს ხელნაწერი და ყოვლად უსაფუძვლოდ ჩააცივდა ჩემს მიერ ნახსენებ ზედმეტ სახელს, რომლითაც ლადო კეცხოველი 1899 წელს იხსენიებდა სტალინის („საწყალი ბიჭია“) და წინა-

დადება მომცა ამომელო ეს სახელი ამის შემდეგ ტოროშელაძემ დასაწყისად ჩაიკონება და დარწმუნება, რომ საერთოდ არაა საჭირო სტალინზე წერა, ვინაიდან როგორც მან თქვა: „კარგად დაწერ, დაგადანაშაულებენ, რომ ვაბედე და დავარტყამენ, ხოლო მოკრძალებულად დაწერ და მაინც დავარტყამენ და ბელადის დაუფასებლობაში დაგადანაშაულებენ“ (ფ. 92—93).

სხვათაშორის, ამ სიაში (ფ. 59—60) ძველ რევოლუციონერებთან, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად მწერლებიდან, როგორც ქართველ ტროცკისტთა თანამგრძობონი, დასახელებული არიან: ბ. ბიბინიძე, 3. საყვარელიძე, ს. ეული, ნ. ქურაძე (ზომლეთელი), ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, ა. დუღუჩავა, მ. ჯავახიშვილი. ვიმეორებთ, მხოლოდ როგორც თანამგრძობონი.

ამდენად შეიძლება ითქვას, ძირითადად მართალია ამ უბედური მსხვერპლის უფროსი შვილი, პოეტი კ. კალაძე, რომელიც მამის რეაბილიტაციის შემდეგ დაწერილ ვრცელ ლექსში („მამა“) გვარწმუნებს, რ. კალაძეს „არას“ მეტი ვერაფერი ათქმევინეს, თუმცა ბევრი აწამესო:

თუ სიჩუმით იბრძვი — ერთი სიტყვა
კმარა,
საიღუმლოს უკეთ იცავს ერთი „არა“.
ციხის ჯურღმულს, დაე, საამბობად
დარჩეს —
სამი დამე წყალში მღვარი როგორ
მტანჯეს,
ძლივსდა შერჩათ ძარღვებს თბილი
სისხლის ფეთქვა,
კბილს ვიმტვრევდი კბილით —
სიტყვა რომ არ მეთქვა!

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გამსვლელ სესიაზე 1937 წ. 12 ივლისს დახვრეტა მიუსჯა რ. კალაძეს და როგორც მაშინ კანონით განმტკიცებული იყო არასასურ-

ველ პირთა ხელად მოცილება, ის მეორე დღესვე (13. VII. 37) დახვრიტეს (ფ. 187).

დალუპეს 66 წლის დამსახურებული კაცი... მის დამსახურებას, ნაშრომ - ნაშრომად წარს კი უნდა დავაძღვოთ წიგნები: „მოკლანი მოუსვენარი (ნოე ჩხიკვაძე)“ - 1922, „ეგნატე ნინოშვილი“ (1927), „ანტონ ფურცელაძე“ (1929); გამოკვლევა „მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორია. 1885-1923“ (ვ. რევოლუციის მატანე“, 1923, № 1-5); თარგმანი კ. მარქსის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (1923).

გავა ხანი და იგივე კოლეგია (რატქმა უნდა შეცვლილი შემადგენლობით) 1960 წ. 13 ოქტომბერს გააუქმებს ამ განაჩენს, როგორც უსამართლოსა და უსაფუძვლოს (ფ. 191-192).

რეაბილიტირებული რ. კალაძე 1960 წ. 24 ნოემბერს მწერალთა კავშირის წევრის უფლებებშიც აღადგინეს.

ბართლომე (ბარონ) ექვთიმეს ძე ბიბინეიშვილიც (1883-1937) ოზურგეთის სამკლასიანი საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1898 წლიდან და რევოლუციური საქმიანობისთვის მეფის ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ დააპატიმრა და გადაასახლა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ერთხანს დაუფასეს რევოლუციონერობა: 1921 წ. 25 თებერვლიდან იყო თბილისის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, რევოლუციის მუზეუმის (1926-31), სახელმწიფო გამომცემლობის (1933-1936) და საჯარო ბიბლიოთეკის (1936-37) დირექტორი.

ბ. ბიბინეიშვილის მწერლური შემოქმედება რევოლუციურმა ბიოგრაფიამ ასახარდოვა - ასე შეიქმნა მდიდარი მასალის შემცველი მოკონებანი „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“ (1926), „რკინა-კაცი (ამხანაგი კამო)“, „ფოლადის სამეული. სტალინი-ენუქიძე - კეცხოველი“ (1929), „საიდუმლო გვირაბი“ (1930), „მენშევიკურ სამოთხე-

ში“ (1931), „ლადო კეცხოველი“ და სხვ.

მაგრამ არც ბ. ბიბინეიშვილს უშველა რევოლუციურ ბრძოლაში გაწეულმა რისკმა, არც მენშევიკების ვინება მიიღეს მხედველობაში და არც ცნობილ რევოლუციონერთა ხოტბა, პირიქით, ალბათ სტალინის სიამოვნებით მართანდნენ ენას: ბარონ ბიბინეიშვილმა ენუქიძესა და კეცხოველთან გაგათანაბრა, ნუთუ ამ ძველ რევოლუციონერს არ უნდა ახსოვდეს რომ თქვენ იმთავითვე გამორჩეული იყავით და ვეველაზე მაღლა იდგით.

ასეთი ან მსგავსი ბრალდებები საესებით საკმარისი იყო იმ დროს (თუმცა ბრალდების გარეშეც ბევრი გაუგზავნიათ ციმბირსა და მოუსავლეთში).

მართლაც, ნამდვილი მიზეზი ბ. ბიბინეიშვილის დალუპებისა შეიქნა მისი ბიოგრაფიული წიგნი „კამო“, ჯერ კიდევ 1935 წ. დაკითხვისას თქვა ეს ორმა ადამიანმა:

ალექსანდრე ლევანის ძე თუმანოვის (რომლის სიძეც იყო ბარონი) ჩვენებაში (1936. 5. X) წერია: ბარონის წიგნის „კამოს“ გამოცემა შეაჩერეს იქამდე, „ვიდრე მან მასში ხაზი არ გაუსვა ამხ. სტალინის როლს. ბ. ბიბინეიშვილის ნათქვამიდან ვიცი, რომ მან გააზვიადა ამხ. სტალინის როლი ამ წიგნში მას შემდეგ, რაც მამია ორახელაშვილმა შენიშვნა მისცა: პირვანდელი ტექსტი, სადაც ამხ. სტალინის როლი დაკინებულა, მიუღებელია“. (ბ. ბიბინეიშვილის საქმე № 8518, ფ. 47).

ბარონის წიგნი კამოზე მოსკოვში უნდა გამოეცა ძველი ბოლშევიკების საზოგადოებას, რომლის წევრი მიხეილ ივანეს ძე კარაპეტიათი თბილისში სწორედ ამის თაობაზე ჩამოსულა და უსაუბრნია ავტორთან. ამ საუბრის შესახებ კარაპეტიათმა დაკითხვაზე თქვა (1935. 21. VIII; იქვე, ფ. 49): ბარონმა მითხრა: მაიმულებენ პარტიის ისტორია გაეყავალო, წინადადება მომცეს გადაეკეთო „კამოს“ ჩემს მიერ თავდაპირველად შედგენილი ტექსტი და ახალ



ტექსტში წინ წამოვიწყო სტალინის როლი, თუმცა სტალინის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ მოძრაობაში“.

ეს მიუთითებს ბ. ბიბინეიშვილის დაპატიმრების მიზეზად მისი საქმის გადასინჯვისას (1956. 25. VI) დაკითხულმა ივანე სიმონის ძე ფრანგულიანმა (ფ. 273—274) და ალფეს სიმონის ძე ხელაძემ („კამოს“ გამო პარტიკულევიანი კი გამოიბახეს; კიდევ ერთი წიგნი კქონდა შემუარული, ორივეში ცოტა იყო სტალინზე, ბევრი უსიამოვნება შეხვდა და დაპატიმრების მიზეზიც ეს იყო ფ. (276—277).

სხვათაშორის, ბარონს ზემოხსენებულ აღ. თუძანოვთან ქობულეთში უფროა ძველი ბოლშევიკების საზოგადოების დაშლის თაობაზე, ამაზე თუძანოვს უთქვამს: ეს საზოგადოება შედგებოდა ლენინთან მომუშავე ხალხისაგან, საზოგადოება დიდ ავტორიტეტს იძენდა და მისი გაუქმების მიზეზიც ეს იყო: „ბელადი ვერ იტანდა კონკურენციას“ (ფ. 51).

მაგრამ 1903 წ. ბ. ბიბინეიშვილის დაპატიმრება ხელს სხვანაირად გააფორმეს. დაპატიმრეს 29 იანვარს ბრალდებით: კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული საქმიანობისათვის, კონტრრევოლუციურ ცენტრთან (ბ. მდივანი, მ. ტროსკილიძე...) კავშირისათვის, გამოიყენეს რა 1936 წ. ანტიპარტიულა ლაუბობისათვის გამოცხადებული პარტიული სასჯელი — საყვედური გაფრთხილებით.

მერე გამოჩნდა სერგო ქავთარაძისა და სახელგამის დირექტრობისას ბ. ბიბინეიშვილის მიადგილის ლიდა გასვიანის ჩვენებები. ამ უკანასკნელს უთქვამს: ბარონს „პირადად ვიცნობდი როგორც ჩვენი კონტრრევოლუციულა ტროცკისტული ორგანიზაციის წევრს“ (საქმე № 7982, ტ. 2, ფ. 388).

ეს ჩვენებები ძალდატანებულსა და ნაკარნახევს გავს (მართლაც გვიან ს. ქავთარაძე იტყვის: არავითარი კონტრრევოლუციური ცენტრი საქართველოში არ იყო, მაგრამ 1937 წელს ყალბი ჩვე-

ნებები მივეცი, რადგან ვერ ვიხსენებ უკანონო მეთოდებით გვაიმუშავებდნენ ბიბინეიშვილის საქმე, ფ. 244).

სანამ ბარონს დაკითხვებზე მათთვის სასურველი პასუხების მიხავემად ამხადებდნენ და ამუშავებდნენ, თებერვალში მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა: ბ. ბიბინეიშვილი, „როგორც კონტრრევოლუციონერი, ტროცკისტი და ხალხის მტერი, გამოირიცხულ იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან“ (№ 5 ოქმს ხელს აწერენ დ. ლემეტრაძე, და ბ. ვლენტი; სხდომას ესწრებოდნენ ს. ეული და ვ. გაფრინდაშვილი — ლხცა 8-2-37 ს).

აპრილში დაკითხვებზე ბ. ბიბინეიშვილმა ტროცკისტები კი დაასახელა, მაგრამ კატეგორიულად უარყო: მათთან ტროცკისტულ - კონტრრევოლუციურა საუბრები და ურთიერთობა არ მქონია, ორგანიზაციის წევრი არ ვყოფილვარო (ფ. 22—25, 29—33, 38—39), ჩემი დანაშაული კი ისაა, რომ დავუშვი ლაუბობა, რისთვისაც საყვედური მივიღე. ანტიპარტიულ ლაუბობას მერეც ვუშვებდა, ბოლშევიკური სიფხიზლე მოვადუნე, რადგან ვერ ვარჩევიდი, ვინ იყო ღირსეული. გ. სტურუასთან ლაპარაკი უშიშროებას არ შევატყობინე, შვილის — ირაკლის დაპატიმრებისას დავუშვი ყოფიანი, ამის გასაგებად ცკ-ში დავდიოდიო (სხვათაშორის, დაპატიმრებული და გადასახლებული იყო ბარონის მეორე ვაჟი ვალერიანი და მისი ცოლი ფ. 31—33).

დაკითხვებიდან /გამოყოფთ მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებს:

გამომძიებლის შეკითხვაზე — 1935 წ. გამოვიდა ტ. ტაბიძის წიგნი, რომელშიც იყო ცნობილი ფაშისტების გრობაქიძისა და ლადო ღუმბაძისადმი მიძღვნილი ლექსები. როგორ დავუშვი ეს თქვენ — გამომცემლობის დირექტორმა? — ბ. ბიბინეიშვილმა ასეთი პასუხი გასცა: ეს უშუალოდ ჩემს მოადგილეს ლ. გასვიანს ეხებოდა, მან თქვა ეს ლექსები ცკ-მ, ძველმა და ახალმა კულტპროპმა პ. აღნიაშვილმა და კ. ორა-

გველიძემ გაუშვაო (1937. 9. IV. ფ. 34).
საბრალდებო დასკვნაში (ფ. 169—
170) ნათქვამია: იყო მემარჯვენეთა
კონტრევიოლუციური ორგანიზაციის
წევრი, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტრო-
ცისტულ ნაციონალისტურ ტერორის-
ტულ ცენტრთან და ა. შ.

ბ. ბიბინეიშვილმა წევრობაც იუარა
და კავშირაც: ხელი არ მოაწერა დას-
კვნას. სსრკ უმაღლესი სასამართლოს
სამხედრო კოლეგიის გამსვლელ სესია-
ზეც უარყო ლ. გასვიანის, ს. ქავთარა-
ძის, კარპე მოდებაძის ჩვენებანი —
ცილს მწამებენო.

მიუხედავად ამისა 1937 წ. 27 ივ-
ნისს დახვერტა მიუსაჯეს, რაც მეორე
დღესვე მოიყვანეს სისრულეში (ფ. 273-
274).

ასეთი მდგომარეობა იყო საქართვე-
ლოში, მაგრამ არც სხვაგან იყვნენ
დალხინებულნი. ბ. ბიბინეიშვილის საქ-
მეში აღმოჩნდა მთარგმნელ ვიორგი
ნამორაძისაგან მიღებული შემოფოთე-
ბული წერილი (ის უკრაინაში ცხოვ-

რობდა, იქაურ გამოცემულ შუშა-
ობდა): უკრაინაშიც დახვერტებულა,
გამომცემლობაში ბევრს აპატიმრებენ,
როგორც ნაციონალისტებსო (ფ. 38—
39).

ბ. ბიბინეიშვილის ამბავს კი შემდეგი
ცნობით ვამთავრებთ: მისმა ახლობლებ-
მა დაახლოებით ასე იცოდნენ: ბარონი
1937 წელს თბილისში დახვერტესო.
მაგრამ მწერალ ჭ. ამირეჯიბს გადასახ-
ლებაში (1950. შუა აზია) შეხვედრაა
კაცი, რომელიც თავის თავს ბ. ბიბინე-
იშვილს უწოდებდა და გათავისუფლე-
ბული, იქვე გარდაცვლილა.

თუ ბარონი არ დახვერტიათ და მა-
ნამღე მოწერის ნება არ ჰქონდა, გათა-
ვისუფლებულმა მანც არ შემოთვალა
რაიმე? ან იქნებ (გაბოროტებულმა?..
დაჩანანაკებულმა?...) აღარ ისურვა სა-
ქართველოს შეხმინებოდა? ან ნუთუ
სხვამ დაირქვა მისი გვარ-სახელი?
მაგრამ რისთვის?

ვინ იცის! ვიციით, რომ 1937 წელს
გააქრეს და 1956 წელს გაამართლეს.



მარსელ პრუსტი—ერთი ნიჰნის მწერალი

„ვენტიის ნაწარმოებების მონოტონურობაზე რომ დაუფიქრდი, ალბერტინს ეუხსნიდი, რომ დიდ ლიტერატორებს არასოდეს ერთზე მეტი წიგნი არ შეუქმნიათ“...

პრუსტი.

„დაკარგული დროის ძიებაში“ — პრუსტის მთელი ცხოვრების ნაწარმოებია. ნიშანდობლივია, რომ პრუსტის ნაწარმოების დასასრული ზუსტად ემთხვევა მისი ცხოვრების დასასრულს. 1922 წლის გაზაფხულზე, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, მწერალმა ხელეხტ ალბარეტს მოუხმო და განუცხადა: „იცით, ამ ღამით დიდი რამ მოხდა. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, მე დაეწერე სიტყვა „დასასრული“ და დაუმატა — ახლა კი, შემიძლია მოკვდე“.

ეს დასასრული მარსელ პრუსტის ხანგრძლივი ინტელექტუალური და მორალური სრულქმნილების, სიმწიფის შედეგითაა, რომელსაც იმაღლორულად შეიძლება „პიროვნული აღმასვლაც“ ეწოდოთ და საკუთარი უნივერსალური სამყაროს გამოსახატავად ლიტერატურული ფორმის შექმნაზე რთული მუშაობის ნაყოფადაც წარმოვიდგინოთ.

ამკვარად, „ძიებანი“ ერთხა და იმავე დროს „თვითაღზრდისა“ და „თვით-

განსწავლის“ რომანია, რადგან მასში პრუსტი არა მარტო თავისი ცხოვრების ისტორიას და საკუთარ თავზე გამარჯვებას მოგვითხრობს, არამედ ინდივიდუალური სტილისა და აზრის დააყრობის ისტორიასაც ვკამცნობს (გადმოგვეყმს), — ანუ „დაკარგული დროის ძიებაში“ ერთდლოულად ცხოვრებისა და წიგნის შექმნის ისტორიაა. მისი კმირი ცხოვრებაში ეძიებს ბედნიერებას, მთხრობელი კი — თემას წიგნისათვის, რომლის დაწერაც უნდა. ეს თემა კი ნაწარმოების ბოლოს გამოჩნდება, — იმ დროს, როცა იგი წყვეტს ცხოვრების თხრობას. თხზულების საგანი ცხოვრებაა, უკვე განვლილი და ნაცხოვრები, შეწერებული ცხოვრება, როგორც წარსულის რეტროსპექტული მოგონება სიკვდილის ზღურბლითან. ნაწარმოების ბოლომდე მწერალს არ სტოეებს უიმედობა და კმირის ცხოვრებისადმი სასოწარკვეთილი დამოკიდებულება, მისი გარდასული და აწმყო ცხოვრების პესიმისტური განცდა. მხოლოდ „მოპოვებული დრო“-ის ცნობილ ეპიზოდში კერმანტების ეზოს

უსწორმასწორო ქვაფენილი ბადებს მასში უცნაურ გრძობას, რომელიც ოდესღაც ბავშვობაში თითქოს უკვე ჰქონდა (მაგ.: ჩაიში დასველებული „მადლენით“ გამოწვეული), მაგრამ ამ უგვრძნებს უკვე სხვა ენერგიით იღებს და ხვდება, — ეს ბედნიერება, ამ დროს რომ ეწვია, აწმყოსა და წარსულის შეგრძნებათა შეცნობიდან მოვიდა, და მაშინვე მყისიერად იცნობიერებს, რომ სწორედ ეს არის მისი ნაწარმოების თემა. ნაწარმოები მხოლოდ უკვე წარსულად ქცეული, ასე ვთქვათ, „ნაცხოვრები ცხოვრების“ ახსნა; „ნაცხოვრები ცხოვრებისა“, რომელიც აზრსა და ფორმას წარსულიდან შეიმოსავს.

„და მე მივხვდი, რომ ლიტერატურული ნაწარმოების მთელი მახალა, ჩემი წარსული ცხოვრება იყო“. ცოტა აღრე კი ამბობს:

„მე მივხვდი, რომ მთავარი წიგნი“ — ერთადერთი ნამდვილი წიგნი დიდმა მწერალმა კი არ უნდა მოიგონოს, რადგან ეს წიგნი თითოეულ ჩვენგანში უკვე არსებობს, არამედ იგი თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა თარგმნოს, მწერლის მოვალეობა და მოწოდებაა — შეასრულოს მთარგმნელის სამუშაო.

ავტორი ამგვარად „ძიებანს“ აღწერს, როგორც „მთავარ წიგნს“, „ერთადერთ ნამდვილ წიგნს“. თუკი იგი ნამდვილად ერთადერთი წიგნის ავტორია, საინტერესოა თვალის გადაკლება იმ მცდელობათთვის, რომელთაც იგი „ძიებანის“ მოპოვებამდე მიიყვანეს.

„ჯან სანტი“ და „სენტ-ბევის წინააღმდეგ“ „ძიებანისაგან“ დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ რომანებს არ წარმოადგენს. ეს გახლავთ მომავალი შედეგების შექმნამდე აჭრელებული ათასობით კვერდი, რადგან პრუსტს, როგორც შემოქმედებით პიროვნებას, თავის თავში ერთზე მეტი ნაწარმოები არასოდეს უტარებია, რამეთუ მას მხოლოდ ერთი ცხოვრება ჰქონდა.

1895—1899 წლებში უკვე დასრულებული „ჯან სანტი“ შავი ხელნაწერი უფროა, ვიდრე რომანი. მისთვის პრუსტს არასოდეს მიუცია თხრობითი ფორმა: სათაურსა და ნაწილების თანმიმდევრულ განლაგებაზე გამოძეგმული გაისარჯა. ჩარჩო, თემები, პერსონაჟები ერთიანობას ქმნიან. ეს ის ნაწევრები და ფრაგმენტებია, რომლებიც შემდგომში „ერთადერთ ნამდვილ წიგნში“ მიიღებენ თავის დასრულებულ სახეს. რამდენიმე ეპიზოდი — ჟანის კოლეჯის წლები, ფალოსიფიის მახწავლებლის — ბელიეს (დარუს) პორტრეტი და ა. შ. გამოუყენებელი დარჩება. მოხლება ცვლილებებიც: ჟანის მიერ განცილებილი დამცირებანი ვერდურინის ტანჯულ სანიეტს მიეწერება; ქალების მადეკარი დალტოში, ბატონ ლე შარლუსად იქცევა და სხვა. მაგრამ, ცხადია, რომ მრავალი ეპიზოდი „ძიებანის“ ეპიზოდების პირველად სახეს წარმოადგენს: ბავშვის განცდები ღელის კოცნის მოლოდინში; თამაში ელისეის მინდვრებზე მარი კოსიშეოთან — ხანამ იგი ფილკერტ სვანი გახდება; არდადეგები ეტრეში, რაც კომბრეს პირველსახეს წარმოადგენს, ფონტენბლოს სტრატეგიული საუბრები; ეჭვიანობა, რომელსაც მადამ S-ის წარსული იწვევს ჟანში; მშობლების საუბრის ვახსენება, უმცირესი პირველსახე ვერმანტების გრანდიოზული სცენისა, სადაც დროის მიერ გარდაქმნილი ფელა პერსონაჟი იფრის თავს. პრუსტის ფსიქოლოგია უკვე აღმოჩენილია: გულის წყვეტილი მუშაობა ჩვენი წარსულის სურათს ქმნის; დროის ბეჭედი უკვე ჩანს ადამიანის თვალეშში; ხანამ იგი ვერმანტების პრინციან გამოჩნდება, ჟანის ბაბუის თვალეშში ხედავს, სადაც კლავ ცოცხლობს „მადამ რეკამიეს ჟესტი, იმპერატორის შემოსვლა“.

და, რაც მთავარია „ჯან სანტიში“ უკვე ჩანს პრივილეგირებული მომენტების აღქმა, რა თქმა უნდა, „ძიებანამდე“ მათ ძალზედ დიდი გარდაქმნა



განიცადეს. იბადება შეკითხვა: წარსულის აწმყოში შეცნობას უდროობა იქვევს თუ წარსული? რაიმე სიახლის აღმოჩენისთანავე მწერალს ორაზროვნების შეგრძნებები უნდება, რადგან ის, რასაც და რა დროსაც შემოქმედი შეიგრძნობს, იმ დროშივე რჩება. „ცხოვრების ყველა სცენა, გვერველება, რომ მომდევნო, შემდგომ სცენაში იხსნება, ისევე, როგორც ეს ჩვენი მეხსიერების სცენებში ხდება“.

ცხოვრების ხაიღუმლოებას ქმნის მისი წარსულად გარდაქმნა, რაც უკვე აღმოჩენილია, მაგრამ „ძიებანის“ რემინისცენციების სრულყოფილებასთან, რა თქმა უნდა, ამ და სხვა მაგალითებს საერთო არა აქვთ.

1908-1909 წლებში შექმნილი „სენტ ბევის წინააღმდეგ“ თავისი სათაურითა და განზრახვით სენტ ბევის შესახებ და სენტ ბევის წინააღმდეგ შექმნილი ნაშრომი წარმოადგენს მთხრობელის საუბრებს დედასთან. ამ საუბრების მხატვრული ქსოვილი მოგონებებით, პორტრეტებითა და კრიტიკული მოსაზრებებით იქსოება. ამ დაუსრულებელი ესეის რომანული მახალა უფრო აზღოხაა „ძიებანთან“, ვიდრე „ჟან სანტიისა“.

რა აკეშირებს „სენტ ბევის წინააღმდეგ“ „ძიებანთან“? სენტ ბევი ნაწარმოებს აფახებს მწერლის ვანათლებითა და სოციალური მდგომარეობით. ის ამტკიცებს, რომ როგორცაა ავტორი, ისეთივეა მისი ნაწარმოები. იმდენად ღრმად სწამს ამ მოსაზრების ჭეშმარიტება, რომ თავს უფლებას აძლევს განაცხადოს - ბატონი ბეილი არ შეიძლება გენიოსი იყოს, ვინაიდან ის უბრალოდ ლაზღანდარააო. იგივე აზრი აქვს უღბლო შარლ ბოდლერზეც. მარხელ პრუსტი თვითდასარწმუნებლად სურს სჯეროდეს, რომ ნიჭი ვანათლებლაზე კი არა, რაღაც უფრო დიდ საიდუმლოზეა დამოკიდებული და რომ როგორც სოციალური, ისე შემოქმედებითი „მე“ სრულიად სხვადასხვა

ფენომენებს წარმოადგენს. მისთვის იდუმალი კავშირი ტკივილსა და მშობიერებას შორის უზენაესია. პრუსტი თვლის, რომ დიდ ნაწარმოებებს მხოლოდ ის ადამიანები ქმნიან, რომელთაც „სტკივით“, „ბოდლერი, უფრო მეტად კი დოსტოვესკი, - წერს იგი 1901 წელს 30 წლის ასაკში, - ეპილეფსიის კრიზისის დროს ისეთ შედეგებს ქმნიან, რომელთა მსგავს ერთ აბზაცსაც კი ვერ შექმნის ათასი ჯანმრთელი ხელოვანი“, სენტ ბევის უარყოფით პრუსტი საკუთარი შემოქმედების საფუძველს აშენებს, ეძებს ლიტერატურის ცნების თავისებურ გააზრებას. ისევე, როგორც „მოპოვებულ დროში“ „სენტ ბევის წინააღმდეგში“ წარმოავიდეგება რომანისტი, რომელსაც არ შეუძლია წერა მანამდე, ვიდრე ღრმად არ შეიგრძნობს და არ გაისივრძეგანებს თავად არსს ხელოვნებისას. „ძიებანის“ არსი კი არხად ისე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არაა წარმოდგენილი, როგორც „სენტ ბევის წინააღმდეგის“ წინააღმდეგობის გვერდებში. ეს ტექსტი „სვანების მზარის“ ცნობილ დასაწყისს ვეახხენებს, სადაც მთხრობელი, რომელსაც აქამდე კომბრესთან მხოლოდ ფრაგმენტული სურათები აკეშირებდა, ამ წარსულის არსს ჩაიში დასველებული ნამცხვრის გემოს შეგრძნებით შეიცნობს. რა თქმა უნდა, სხვაობა აქ გასათვალისწინებელია ორ ტექსტს შორის - „სენტ ბევის წინააღმდეგ“-ის წინააღმდეგობა მსჯელობაა და კონსტატირება, „ძიებანის“ ტექსტი კი - მოთხრობა, სადაც უფრო ფართო და ზუსტი ანალიზი გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტექსტში მოცემულია ზოგიერთი „მხატვრული მიგნება“, „ძიებანი“ მთავან მხოლოდ ორს სესხულობს: სვენებში არსებული დატვეკვებული სულის ზღზურ თქმულებებთან ალუზიას და იაპონური ყვავილების წყალში არგვლისა და გარდასახვის სურათს. მაგრამ ეს ორი ტექსტი ურთიერთგანსხვავებულ ეფმტებს იწვევს. საბო-

ლოდ, წინასიტყვაობა ფინჯან ჩაისა და ვენეციის დღით გამოწვეულ რემინისცენციებს უახლოვდება, რაც ნაწარმოების ბოლოს უნდა ვეძიოთ, როცა მთხრობელი გერმანტების ეზოში შედის პრინცისა და პრინცესას მიერ გამოართულ წვეულებაზე დასასწრებად. განსხვავება არსებითია, რადგან ორი რემინისცენცია, წინასიტყვაობაში ერთსა და იმავე პლანზე რომ მოჩანს, საბოლოოდ ნაწარმოებში იმდენად შორდება ერთმანეთს, რომ მათი ფუნქციებიც კი იყოფა. პირველი რემინისცენცია მთხრობელის ცხოვრებისეული მოვლენაა, რომელმაც მას საშუალება მისცა წარსულით ეცხოვრა მისგან ყოველგვარი აზრის გამოტანისა და გამოყენების გარეშე. ამრიგად, წინასიტყვაობა შეიცავს იმ მახალას, რომელიც გავრცობასა და განვითარებას „ძიებანში“ პოვეებს.

ამრიგად, „ძიებანამდე“ პრუსტს მისგან განსხვავებული არაფერი დაუწერია. ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ნაწარმოების გარდა არაფერი შეუქმნია. 1913 წლისათვის ნაწარმოები სამი ტომისაგან შედგებოდა: „სევანების მხარეს“, „გერმანტების მხარეს“, „მოპოვებული დრო“. პრუსტმა უპიკველია, სიკვდილის მოახლოება იგრძნო და სიტყვა „დასასრულიც“ დაწერა. წლიდან წლამდე ნაწარმოების ჩარჩოები გაფართოვდა, იგი ახალი, გაუთვალისწინებელი ეპიზოდებით შეივსო, მაგრამ მაინც ერთ ნაწარმოებად დარჩა, — ერთი დასაწყისით და ერთი ფინალით. პრუსტი არასოდეს ფიქრობდა, „ძიებანის“ გარდა სხვა რამ შეექმნა, ბალზაკის „ადამიანურ კომედიამზე“ მეტიც რომ გამოსვლიდა. იგი მხოლოდ ერთი წიგნის „მოკვარი, ერთადერთი ნამდვილი წიგნის“... შექმნაზე ფიქრობდა.

არსებობენ რომანის ისტორიაში ეუღლი შედეგები: მაგრამ არც მადამ ლაფაიტი, არც ლაკლო, არც კონსტანტი რომანული სამყაროს შემოქმედნი არ არიან. პრუსტის ნაწარმოებში, ისე

როგორც დიკენსთან, ბალზაკთან, ტოევსკისთან შეიგრძნობა, რომ დაულალავ შემოქმედებით ენერგიას. პრუსტმა შემლო მთელი ამ შემოქმედებითი ენერგიის ერთი ნაწარმოების სიერცეში შემოტანა და „დატეენა“, მაშინ, როცა მისი გენიოსი თანამოკალმენი განუწყვეტლივ ახალ-ახალ წიგნებს ქმნიდნენ. ბალზაკს პირველი შედეგების შექმნამდე ათამდე ცუდი რომანი ჰქონდა დაწერილი და მას მთელი ცხოვრების მანძილზე დასაწერი წიგნების აჩრდილი არ შორდებოდა. როცა იგი გარდაიცვალა, ოთხმოცდანიშნული ნაწარმოების ავტორს, კიდევ ორმოცდათერთმეტი რომანისა და მოთხრობის სათაური და გეგმა დარჩა განუხორციელებელი. იგივე შეიძლება ითქვას დიკენსზე, ზოლანზე, პარდაზე, პენრი ჯეიმსზე, ტოლსტოიზე, სტენდალზე, ფოლკნერზეც კი. პრუსტის დანაწევრებული დიდი რომანი ერთ მთლიან სამყაროს ქმნის. მაგრამ ეს დაყოფა აუცილებელია სწორედ მისი გამთლიანებისათვის. რომანისტიც ვაღია სხვადასხვა ისტორიების, პერსონაჟების, ადგილების საშუალებით შექმნას სამყარო. როგორც პრუსტის შემოქმედების ცნობილმა მკვლევარმა გაეტან პიკონმა შენიშნა, ამ ჰემშირიტიბაში დასარწმუნებლად სრულიად საკმარისია მწერალთა დღიურების გაცნობა. ვთქვათ, ბალზაკის წარმოსახვა მოქმედებაში მოჰყავს „მამა ვორიოს“ სიუჟეტს. დოსტოევსკისათვის, რომელსაც ათეიზმზე სურს რომანის შექმნა, სტაჟროვინის მიერ ხდება ამ პრობლემის არსობრივი გამოხატვა. პრუსტი კი მიიჩნევს, რომ რომანისტიც ნაწარმოები უნდა გადმოცემდეს სამყაროს სრულ და განუყოფელ გამოცდილებას, ხოლო ყოველივე დანარჩენი — პერსონაჟები, სიუჟეტი, გარემო — შემოხვევით საშუალებას წარმოადგენს. პირველად ის პრუსტის შემოქმედებაში „გარეგანის“ უკან იმალება, გადმოდის წინა პლანზე. ის, რასაც „ძიებანამდე“ ქმნის პრუსტი, საშხადისია



დიდი ნაწარმოებისათვის, რადგან მას მიზნად მხოლოდ ერთი ნაწარმოების შექმნა აქვს დასახული.

თავისთავად იბადება კითხვა, რატომ არ დაიწერა „ძიებანი“ თავიდანვე, პირველად? განა „ჯან სანტის“ აკლია გამოცდილება, ცხოვრების ცოდნა, შემთხვევითობათა გამოხატვის გარეგნული ფორმები? აქ, მართალია უკვე მოძიებული და მიკვლეულია გამოხატვის საშუალებები, მაგრამ პრუსტს ამ ნაწარმოებში ჯერ კიდევ არა აქვს ნაპოვნი „საკუთარი ხმა“.

ეს ხმა, მანამდე რომ არსად გამოივლახებულა, უკვე „ძიებანის“ პირველი სიტყვებიდან ისმის. ეს ხმა მოდის სიჩუმიდან და ნელნელა ეფინება და ანათებს ცხოვრების სურათებს...

რა ხდება ამ ნაწარმოებში ისეთი, რაც მანამდე არ მომხდარა? რა არის იქ ისეთი, რაც სხვაგან არ გვხვდება, როგორ იძენენ თემები, სტრუქტურები და მხატვრული საშუალებები იმ ინდივიდუალობასა და ძალას, რაც თავად არ გააჩნიათ?

დავიჯეროთ, რომ ეს სრულიად ახალი ძალა იშვა უცარი, მყვსეული ნათელხილვისაგან, რომელმაც მიხრობელს მოძავალი ნაწარმოების დაბადება ამცნო? პრუსტმა „საკუთარი ხმა“ იმისთვის აღმოაჩინა, რომ საბოლოოდ გაიგოს რა აქვს სათქმელი? განა თავად არ ამტკიცებდა, რომ ნაწარმოებს, კი არ იგონებენ, არამედ საკუთარ თავში ჰოულობენ და აღმოაჩენენ? მან საკმაოდ კარგად არ იცის, საით მივყავართ თხრობას, როცა ალუზიას შინაგან განვითარებაზე აკეთებს? პირველივე გვირგვინებიდან, გვიხატავს რა ბავშვის განცდებს როცა სვანები მის მშობლებთან ვახშობენ და ღედა საკიცნელად არ ამოდის, იგი აანალიზებს იმავე განცდას, სვანს ოდეტთან განშორების შემდეგ რომ დაუფულა. მიხრობელი განუწყვეტლივ წინ უსწრებს თხრობას. ფოკლეთის, როცა იგი იმ წამებს ხედე

ბა, ახლანდელი გრძნობა წარსულის სიღრმეში სასწაულ ხმას რეგულირებს, ძებს, ვერ ხედება ეს რისი ნიშანია, მაგრამ ბოლოს, როცა გერმანტების უსწორმასწორო ქვაფენილი იტალიის ღლეებს გაახსენებს, ახერხებს ამ წამების მნიშვნელობის ახსნასა და გააზრებას. ეს ბოლო სცენა ნაწარმოების საფუძველია, რაც პირველი სიტყვებიდანვე იგულისხმება. პირველი სიტყვებიდანვე შემოქმედებითი კანონის ჩამოყალიბება - ესაა შემოქმედებითი სიბრძნე. უნდა ვეპარაუდოთ, რომ პრუსტი აქ თავისთავზე მოგვიოხრობს. „ტყვე ქალში“ ლაპარაკია თანამედროვე ნაწარმოების თავისებურებაზე, როცა ავტორი საკუთარი კონილიების შევსებული მსაჯულია და თვითღამკვირვებელია. და სხვათა შორის, პრუსტი „ძიებანს“ წარმოვივადგენს ზუსტ, მყარ კომპოზიციად, რომელსაც ხშირად ტაძარს ადარებს.

ტაძარი თუ სიმფონია? ნათელია, რომ „ძიებანი“ შტკიცედ, მკვიდრად შეკრული, მისი ჩარჩოები კი - მკაცრად შემოსაზღვრული: ჩაიში დასველებული „მადლნი“, მარტენილის სამარკლობი, ვენტის სონატა, გერმანტების ეზოს უსწორმასწორო ქვაფენილი...

ნაწარმოების ბოლოს, გერმანტების ეზოში იყრის თავს ყველა პერსონაჟი. საცნაურდება და გათვალსაზიროვდება მთელი წიგნის მანძილზე განცდილი და შეძენილი გამოცდილებები: პირველნი არქიტოხნი არიან. რომლთაც სხვანი მიესხადებიან: ოდეტისადმი სვანის სიყვარული - მიხრობისა და ალბერტინის სიყვარული. მადმუზელ ვენტისა და მისი მეგობარი ვოგონას სიყვარული - სოდომსა და გომორს. ყველა ორპენტი ქმნის უკვე შეცნობილ ერთიანობას, რაც დასაწყისშივე გათვლილი და ნაგულისხმევი.

როცა „ძიებანისა“ და „ჯან სენტის“ ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მყოფ გვერდებს ვადარებთ, ვრწმუნდ-

ბით, რომ თბრობისა და თემის იდენტურობის მიუხედავად, ძალზე იშვიათია შეგრძნებითი და ენობრივ-გამომსახველობითი დეტალები, ერთი წიგნიდან მეორეში რომ ზუსტად გადადიოდეს. ხოლო თუკი გვხვდება ფრაზები, რომლებიც ტრანსფორმაციული სახით გადადის, ისინი თითქმის ყოველთვის პერსონაჟთა ფრაზებს წარმოადგენს.

ეს არ გახლავთ ის ფრაზები და ის ენა, ნაწარმოების სიერცესა და არსს რომ ქმნის, არამედ საზოგადოდ ის ენაა, რომელიც შეიძლება საერთო იქონოს სხვადასხვა წიგნებისათვის. საოცარია, რომ ნაწარმოები, რომლის მიზანი სამყაროს შექმნა კი არა, ცხოვრებაზე ულ გამოცდილებათა შემოქმედებით განვითარებაა, სრულიად უარყოფს და თავიდან იშორებს ყოველივე იმას, რითაც ერთხელ უკვე ისარგებლა, ანუ — ფრაზების აგების გამოცდილებას.

მაგრამ ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ შემოქმედება გამოცდილებას არ ეფრდნობა, რომ ენის კანონები და არსებობის კანონები არავითარ კავშირში არ არიან ერთმანეთთან, მაგრამ თუკი ენა გამოცდილებას ეფრდნობა, მაშინ იგი მაინც მუდმივი განვითარებითა და მოძრაობით იძენს მას. მწერალი სიტყვებში ისე გრძნობს თავს, როგორც — ტყეში, რადგან მხედველობა დისპონციასა და სიხშირეზეა დამოკიდებული.

ენა პრუსტთან ყადაღას ადებს გამოცდილებას, რომელმაც წერა ასე დაიწყო: „დიდნის, მე ადრე დავიძინე“ — ეს ენა სხვა სიერცემ, სხვა მღვდლობობამ, სხვა სამყარომ გამოიწვია. ეს ფრაზა ლეგიტიმურად ანარქულია იმ სამყაროსი, რომელიც არ არსებულა და არც მის შემდეგ არ იარსებებს. მკითხველი ცნობს და აღიქვამს ამ სამყაროს ყველა ფერსა და მოძრაობას მასში; მას თავისი სპეციფიური ძალა და ნიშანთიხევა აქვს, რაც პრუსტის მხატვრული სამყაროს ადევნავთ. მაგრამ ეს ადეკვატურობა არ გახლავთ სი-

ზუსტე ფრაზისა, რომელიც მწერლის მიერ არსებულ სიერცეს ასახავს ან გადმოგვცემს. ეს გახლავთ მეტისმეტად არსებითი, რელევანტური სიტყვა, თუ შეიძლება ითქვას, ის „სიტყვა-ფერიტა“, რომელმაც უნდა შექმნას სამყარო და ბოლომდე, ფინალამდე აცოცხლოს იგი.

„უან სანტიედან“ ამ პირველ სიტყვამდე, ამ პირველ ფრაზამდე არის მერყეობა, პირველ რიგში Je-სა და Il-ს, ანუ „მე“-სა და „იგი“-ს შორის. ვინაიდან პრუსტს შეუძლია ილაპარაკოს ნაწარმოების ენით, ანუ შეუძლია ისაუბროს გულახდილობის ენით, საშუალება აქვს გამოიყენოს „მე“... ამბობენ, „ძიებანი“ არასოდეს შეიქმნებოდა, თუკი პრუსტის დედა, ვისაც იგი მუდმივად ატყუებდა, უფრო დიდხანს იცოცხლებდა, ვიდრე იცოცხლა. მაშინ პრუსტი 1905 წლის 26 სექტემბერს გარდაიცვალა, ხოლო მწერალი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მუშაობას 1907 შეუდგა.

მაგრამ „ძიებანის“ „მე“ როდი გულისხმობს ავტობიოგრაფიულ გულახდილობას. სხვათა შორის, პირიქით „მე“-ს „ი“-ად (სხვად) გადაქცევა რომანის ერთ-ერთი მთავარი მიზანიათქმულია. მაგ., ბალზაკის შემოქმედება უფრო დიდ მუხტს იძენს, როცა იგი საკუთარ ბიოგრაფიასთან კავშირს წვევტს. ფრაზა, რომ „არ შეიძლება საკუთარი თავის დაწერა“, ეს ფლობურის კატეგორიული კრიტერიუმი. კაფკას დღიურებშიც ასეა: კაფკამ საკუთარი შესაძლებლობები იგრძნო, როცა „ვერდიტის“ წერას შეუდგა და შემთხვევით Ich-დან Er-ზე გადავიდა. ამიტომ პრუსტის ნაწარმოები არ გახლავთ გამოწაკლისი, რომლისთვისაც ესთეტიკის ახალი კანონები შეიქმნა. მაგრამ თუკი პრუსტისეულ „მე“-ს მიმართ ორაზროვნება გაგვიჩნდება, მაშინ შეგვიძლია მისი სიტყვები მოვიტანოთ, რომელიც ანდრე ჟიდმა თავის დღიურში 1921 წლის 14 მაისის თარიღით შეიტანა, როცა ჟიდმა მო-



ისურვა, პრუსტისათვის გაეცნო მომავალი წიგნის გეგმა, მარსელმა უპასუხა „შევიძლიათ, ვველაფერს მოჰყვით, მაგრამ იმ პირობით, თუ არასოდეს იტყვიან „მე“-ს, რაც, როგორც ვიცი უმატებს, ჩემი საქმე არ იყო“.

არის თუ არა „ძიებანის“ „მე“ ბიოგრაფიული პერსონაჟი? დიახ, არის მამინ, როცა იგი მთხრობელს აღწერს. როცა მოპოვებულ დროში“ კითხულობთ — „და მე მივხვდი, რომ მთელი მასალა ლიტერატურული ნაწარმოებია ჩემი წარსული ცხოვრება იყო“, ან — „თუკი მე მასზე ვფიქრობდი, ჩემი გამოცდილების მასალა, რომელიც ჩემი წიგნის მასალად იქცა, სენახისგან მოდიოდა“ და ა. შ. არავითარი ვჭკვი აღარ არსებობს, რომ „მე“ იმ ინდივიდს არ ეკუთვნის, ვინც წერს და ვის მიმართაც ვიცი უნდობლობის განიცდის; და კითხვასაც სწორედ ეს „მე“ უშლის. „მე“ ყოველთვის ბიოგრაფიული და ინტელექტუალური ქვეტექსტი, რადგან ისტორიის გამო ყოველთვის ისაა, ვინც წერს და ამბავი, რომელსაც იგი გადმოგვცემს, სჯობს კომენტარებით, რომელიც „მე“-ს ეკუთვნის. მაგრამ, როცა კითხულობთ: „დიდხანს, მე ადრე დავიძინე“ — ვფიქრობ, ეს დამთხვევა, ხეათოდ ქრება. იგი ვინც წერს, განასხვავებს იმისგან, ვინც განიცდის, „მე“ ერთდროულად მთხრობელ ინდივიდსა და კანმმარტებელს მიეწერება.

გამოცდილება, რომელიც მთხრობელს მიეწერება, ყოველთვის არ ემთხვევა იმას, რაც პრუსტს სინამდვილეში რეალურად თავად განუცდია. მაგ., ავტორს არ განუცდია სიყვარული, რომელიც მის გმირს ალბერტინის მიმართ აქვს. რეალურ პერსონაჟთან ყველაზე ახლოს ბატონი შარლუსია, რომელიც გრანდიოზული შეტამორფოზების შემდეგ გამოვლილ პერსონაჟს ემსგავსება. თხრობისეული „მე“ განუსაზღვრელად უფრო ფართო და რთული ადამიანია, ვიდრე ბიოგრაფიული

„მე“: იგი წარმოგვიდგება ხანს ^{სწორედ} ამგვარი ამბების გმირად, ხან — ^{დასერი} ბლად, ხან — მეოცნებედ, მისი მასშტაბები წარმოსახული, გამოვლილი სამყაროს მასშტაბებს უტოლდება. თხრობისეული „მე“ პრუსტის ისტორიას კი არ შეესატყვისება, არამედ მის გამოცდილებას — გამოცდილებაში კი მხოლოდ ის არ უნდა ვიგულისხმობთ, რაც ერთმა ადამიანმა თავისი ცხოვრების მანძილზე გააკეთა, მოიპოვა და გადაიტანა, არამედ — მისი შეხვედრებიც საზოგადოებასთან. რადგან „მე“, რომელიც ნაწარმოებში მოქმედებს, სრულიად არაა პირადული ცნობიერების ექო და ანარეკლი, არამედ სამყაროს ნათელი და ფართო სარკეა, რომლის ჩარჩოც ქვეყნიერებისაკენ მიმართული თვითშეგნებაა. ამის შესახებ თავადვე პრუსტი აცხადებს ხშირად:

„გენიალურ ნაწარმოებებს ისინი კი არ ქმნიან, ვინც ყველაზე დახვეწილ სამყაროში ცხოვრობენ, ბრწყინვალედ საუბრობენ და დახვეწილი კულტურა აქვთ, არამედ ისინი, ვისაც ძალუძთ საკუთარი თავი ისეთ სარკედ აქციონ, რომ ოაიათი ცხოვრება, როგორც უბრალოდ არ უნდა იყოს, საზოგადოებრივად თა ინტელექტუალურად, გონებრივად უძაღვლოებების შტაკიც გენიას არ ღაღადეს და არა განყენებულად სოქტაკლისას“.

რამდენად უფრო ნათელი და ფართოა „ძიებანის“ „მე“, ვიდრე „ჟან სანტიეს“ „იგი“, რომელიც ბიოგრაფიული სიფიწროვის ჩარჩოებს ვერ სცილდება. ყოველივე ისე ხდება, თითქოს პრუსტის შემოქმედების ბედ-იღბალი სწორედ „იგი“-ს სიცხადისა და მასშტაბურობის „მე“-ს არსების გაშლასა და განვითარებასთან დაკავშირებას ეფუძნება; რადგან „ძიებანის“ პირველი სიტყვიანიდანვე ვერძნობთ, რომ ნაწარმოების ბოდი მთხრობელის დროისადმი მიმართებაში მთხრობელის პოზიციაზეცაა დამოკიდებული. „ჟან სანტიეს“ ისტორიაა კაცისა, რომელიც მიიწევს

იმ მომავლისკენ, რომელზეც წარმოდგენაც კი არა აქვს; ამიტომ თბრობა მიმდინარეობს გრამატიკულ დროში Imparfait. ხოლო „ძიებანის“ პირველი სტრიქონებიდანვე ცხოვრება წარსულად გვეკლინება, გამოცდილება — დასრულებულად: სიტყვებს მომავალი აქვთ, ნაწარმოები შესაქმნელია, მაგრამ იგი იქნება იმ ცხოვრების წვდომით, რომელსაც მხოლოდ წარსული ვაჩნია. ნაწარმოებს დროისადმი ორგვარი დამოკიდებულება აქვს: ერთი — სამომავლო, უცნობი მომავლისკენ მიმართული, მეორე — გერმანტების დილის შემდგომ, დაკვირვებებისა და რეტროსპექტიული აღდგენისა. მაგრამ ის, ვინც პირველ გვერდებს ქმნის, ამას ვერ დაწერს, თუკი გერმანისტების დილა უკვე გარდასული არ იქნება; რეალურ ცხოვრებაში მომავლის განვითარება ავტონომიურად მიმდინარეობს, ნაწარმოებში კი იგი ილუზიური ხდება; დროის რეტროსპექტიული მოძრაობით განხორციელებულ ნაწარმოებში ცხოვრება წინ მიიწევს მხოლოდ უკან, წარსულისაკენ ხედვით, რის ნათელ დასტურსაც წარმოადგენს პირველივე გვერდები, სადაც ცნობიერება მომავლისაკენ მზერის ნაცვლად წინა ღამეში ანუ წარსულში ბრუნდება, და ამ წარსულს პირველი სურათი — თავისი ოთახისაკენ მიმავალი ბავშვი — ის კაცია მომავალში, რომელმაც ყველაფერი იცის, რასაც კი ცხოვრება ამ ბავშვს უზღადებს, რადგან ცხოვრება უკვე განვლილი და დასრულებულია.

„ძალიან ბევრი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ კიბის კედელი, რომელზეც მე ეხედავდი მის ჩრდილს, დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს...“ და „ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრება კვლავაც დუმს ჩემს ირგვლივ“ — პრუსტი თბრობის პროცესში არსებულ წამს მხოლოდ აწმყოში წარმოადგენს, — მას მომავალი არა აქვს, „მე“ საშუალებას აძლევს წარსულის მომავლით შექმნას აწმყოს ეფექტები. იმის გამო, რომ

თბრობის მანძილზე ნაწარმოები არ არსებობს, ცხოვრებას ეფექტები სიმძაფრეს კარგავენ, მას ჩრდილივით თანსდევს წარსულის რეტროსპექტიული გახსენება და გაცოცხლება, რომელიც ილუზიური ცნობიერების ნაყოფია. ეპქიანი საყვარლის, მიტოვებული ბავშვის განცდათა სურათი სწორედ იმიტომამა დამცხრალი, რათა დაგვარწმუნოს, რომ ეს ტანჯვა დასრულებულია და იგი აღარასოდეს აღარ განმეორდება, რეჟისორმა იცის შემდგომ რა მოხდება:

„დიდხანს, მე ადრე დავიძინე...“

პირველივე სიტყვებიდან ნაპოვია ენა, — „მე“ — უნაპირო საშუალებას იძლევა, ხედვის გაფართოებისა და ცხოვრებისადმი რეტროსპექტიული დამოკიდებულებისა. ეს პირველი სიტყვები თითქოს ნაწარმოების ერთგვარი გვემა, მაგრამ, რა თქმა უნდა, — საკუთარ პოტენციურ შესაძლებლობათა გვემა. ადამიანი იღვიძებს ოთახში და მის თვალწინ, მის წინაშე მხოლოდ დამეა... ამასთან არ იცის ვინაა, მხოლოდ ის იცის, რომ არსებობს და ცდილობს თავისი თავისა და სამყაროს გახსენებას, აღდგენას. და აი, პრუსტის ძირითადი სამკვიდრებელი და ადგილსამყოფელი: ოთახი და იმ ოთახების ყველა ეპიკური ჩამონათვალი, სადაც კი ოდესმე გამოძვლიძებია. ეს გახლავთ ორმოცდაათსტრიქონიანი ფრაზა, რომელშიც ოთახები აღწერილია ურთიერთსაპირისპირო რადიუსით. ლოკური განვითარების მიხედვით: ზარის ოთახებს მოსდევს ზაფხულის, მთაშორის, ბალბეკის ოთახის აღწერა — რომელიც მხოლოდ მეორედ კითხვისას შეიცნობა. ეს გახლავთ ადგილი, სადაც დიდი ფიგურები, დიდი ღვთაებები და უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ თავშესაფარში, ამ სიბოძოში (რომელსაც ბუდესაც ეძახიან), მეტია ცდუნება ძილს, ღამეს მიეცე, რომელიც იმ ტყუილისა და ილუზიისაგან ვაგათავისუფლებს, ცხოვრება რომ ჰქვია. მაგრამ



ხომ არაა ეს გაღვიძებისა და არა დამინების ისტორია? ღამე, ისევე, როგორც ცხოვრება, თანამონაწილე ხომ არაა დაიწვევების, შეუცნობლობისა და სიკვდილისა? აქ, ამ თავშესაფარში - ოთახში, იწყება ბრძოლა სიკვდილისა და სიცოცხლის წინააღმდეგ, დღისა და ღამის წინააღმდეგ. გაღვიძების ეს სურათები პირველი ნაბიჯებია პრუსტის სამყაროს შესაქმნელად. აქედან იწყება პრუსტისეული ხედვის ფორმირება, მისი ლეგიტიმაცია, დაბადებისა და არსებობის გამართლება, მაგრამ ეს იმ საგალობლის დასაწყისიცაა, რომელიც იმაედროულად მის შემოქმედებით დაბადებას მოასწავებს, ვინაიდან „ძიებანი“ იგი ცდილობდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღწეოდა ქვეყანას, როგორც დიდი მწერალი. - „ერთადერთი ნამდვილი წიგნის ავტორი“. და მოვლინებოდა სიკვდილსაც, რადგან სწორედ „ერთადერთი წიგნის ავტორობა“ მას იმაედროულად სიკვდილის პერსპექტივაში გადაიხვრის.

პრუსტი ვერ შეძლებდა ნაწარმოებზე დიდხანს ეცოცხლა, რადგან მისა დასასრული შემოქმედების დასასრულსაც მოასწავებდა.

„დიდხანს, მე ადრე დავიძინე...“ - ამ პირველმა ფრაზამ შვა რეტროსპექ-

ტივის აზრი, რომელიც სტრუქტურულად გაცნობიერებით „ნაისახა“, უფერულმა მომენტებმა აზრი შეიძინეს, რემინისცენციები, რომლებიც „ჟან სანტიესა“ და „სენტ ბევის წინააღმდეგში“ „მხოლოდ წამიერ“, წვეტილ ეფექტებად აღიქმებოდა, „ძიებანში“ გუნიალურ ასოციაციებად გადაიქცა. „მოპოვებულმა დრომ“ კი საბოლოოდ ცხადყო, რომ „ძიებანი“ მოგონებისა და სიკვდილის შემოქმედებითი შეუღლებით შობილი პირმშოა.

„ახლა კი შემიძლია მოვკვდე“, - იტყვის პრუსტი, რომელმაც მშვენიერად იცის, რომ დაბადება დასასრულის, სიკვდილის გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, პრუსტის მიერ ადრეულ პერიოდში შექმნილი ორი ნაწარმოების - „ჟან სანტიესა“ და „სენტ ბევის წინააღმდეგ“ - ანალიზი და მათი შედარება „ძიებანის“ ტექსტთან, ვერაწმუნებს, რომ მათი ავტორი შეიძლება მხოლოდ ერთი მთლიანი ნაწარმოების ავტორად ჩაითვალოს, რადგან ყველა სხვა ნაწარმოები პრუსტისა მხოლოდ იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რამდენადაც მათში პირველად, მაგრამ მკრთალად გამოიკვეთა ის თემატიკა და ხმა, რომელიც „ძიებანში“ მთელი ძალითა და სისავსით აფლვდა.



„ნ. დავითიშვილი“

(ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები და ნ. ნიკოლაძესთან დუელის ისტორია)

„ნ. დავითიშვილის“ ფსევდონიმით სამი წერილია დაბეჭდილი XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაში, ესენია: „ფიქრი და შენიშვნა“, ივ. 1879, № 1; „ფიქრი და შენიშვნა“, ივ. 1879, № 2; ფიქრი და შენიშვნა“, ივ. 1879, № 3; გაზ. „დროებაში“, 1880 წელს ხელმოუწერლად დაბეჭდა ვრცელი პუბლიცისტური წერილი „ფიქრი და შენიშვნა“ (№№ 28, 30, 39, 41) ირკვევა, რომ წერილების ეს სერიაც „ნ. დავითიშვილს“ ეკუთვნის. გაზ. „დროებაში“, 41-ე ნომერში დაბეჭდილი წერილის ბოლოს აღნიშნულია: „ეს უმეცარი ყბედობა „ივერიის“ ენაზე ახალი ამბაკი არ არის. ამ საგნის თაობაზე შეონია კიდევ ლაპარაკი მკითხველთან („ივერია“, 1879 წ. № 1. „ფიქრი და შენიშვნა“) და გამეორება საჭირო აღარ არის“ და მართლაც აღნიშნულ წყაროში დაბეჭდილია მითითებული ნაწარმოები, რომელსაც ხელს აწერს ნ. დავითიშვილი.

შემუარული ცნობით „ნ. დავითიშვილი“ ნ. დ. ქანანოვის ფსევდონიმია. „დამახასიათებელია, — წერდა გრ. ყიფშიძე. — რომ მათ შორის („ივერიის“ თანამშრომლებს შორის — ლ. ჭ.) ერთს მუდმივს და უამაგიორიანს თანამშრომელს, რაც იშვიათი იყო იმ დროს, ძალიან ნაკლებად ჰქონდა ცოდნა ქართულისა, მაგრამ სულ რამდენიმე თვეში ისე შეათვისებინა ილიამ დედა-ენა, რომ მის

ნაწერებს კაცო ძნელად გამოარჩევდა თვით ილიას ნაწერებისაგან. ეს თანამშრომელი იყო ნ. დ. ქანანოვი (ნ. დავითიშვილი), დღეს ბაქოს სახელმწიფო ბანკის გამგე“ (კრებული „ილია“, 1987, გვ. 71). ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ცნობა მიღებულია „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილებისათვის და როგორც უხედავთ მათ კიდევ ემატება გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი წერილების სერიაც.

„ნ. დავითიშვილის“ საკითხი კრიტიკულად არავის არ შეუსწავლია, ჩვენი აზრით კი, იგი სათანადო გამოკვლევას მოითხოვს. აქ მოტანილი ცნობებიც კი დამაფიქრებელია. გაზ. „დროების“ ხელმოუწერელ წერილებში, რომლებიც ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ პრის მიმართული, ქართულის „ძალიან ნაკლებად“ მცოდნე ნ. ქანანოვმა თუნდაც თვით ილიასაგან „ხელ რამდენიმე თვეში“ შესწავლილი ქართულის პატრონმა, როგორ იკადრა „ივერიის“ ენის შესახებ ნ. ნიკოლაძის აზრისათვის „უმეცარი ყბედობა“ ეწოდებინა. ან იგი როგორ ამაღლდა იქამდის „სულ რამდენიმე თვეში“, რომ იმის წერილებს „კაცო ძნელად გამოარჩევდა თვით ილიას ნაწერებისაგან“. ჩვენის მხრივ შეგვიძლიან დაუშვავით, რომ ნ. დავითიშვილის სახელით ცნობილი წერილები თავისი სიღრმითა და პუბლიცისტური მგზნებარებით უპიკველად აღემატებინ იმ დროს ილიას სახელით ცნობილ სხვა

წერილებს. „დროებაში“ დაბეჭდილი წერილების სერია „აი ისტორიის“ ტყუპისცალად გამოიყურება.

დამოწმებული ცნობებით აღბრუნებულ უფრო ადლიერებს გრ. ყიფშიძის მიერ მოწოდებული სხვა ცნობების წინააღმდეგობრივი ხასიათი ნ. დავითიშვილის ვინაობასთან მიმართებაში. „ამ დროს (70-80-იანი წლების მიჯნა — ლ. ჭ.) ვკუთვინის, — წერს გრ. ყიფშიძე, — ილიას ვალაშკრება ჯერ თავის ქართულის დასაყავად, შერე ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ და შემდეგ მზრუნველის იანოვსკისა და „М. Вѣд“-ის იფრისის მოსაგერებლად... პოლემიკა თან და თან ვაცხარდა. 1880 წელს „დროება“ და „ივერია“ შეერთდნენ... ახლა პოლემიკა ილიამ გადაიტანა ვაზეთის ფურცლებზედ“. (გრ „ილია“, 1987, გვ. 71). „ივერიის“ ენის დასაცავად „ვალაშკრება“ მოცემულია ნ. დავითიშვილის წერილებში, როგორც „დროების“ 41-ე წერილში თვითონ ავტორმაც მიუთითა, და სხვაგან არსად. რადგან ეს „ლაშკრობა“ ილიამ მოაწყო, „ნ. დავითიშვილის“ ვინაობიდან, ცხადია, ნ. ქანანოვი გამორიცხულია. ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კრიტიკას „ივერიაში“ აწარმოებდა ილია და რადგან ეს პოლემიკა მას შემდეგ „დროებაში“ გადაუტანია, აქაც ნ. ქანანოვი გამორიცხულია — ვაზეთში დაბეჭდილი „ფიქრი და შენიშვნა“ მთლიანად ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კრიტიკის წარმოადგენს.

გრ. ყიფშიძის ცნობების აქ მოცემული ანალიზიდანაც ვიჭირობთ, ნათელია, რომ მას შეცდომა მოუვიდა მაშინ, როცა წერილები, რომლებსაც მისივე სიტყვით „კაცი ძნელად გამოარჩევდა თვით ილიას ნაწერებისაგან“, ნ. ქანანოვის ნაწარმოებებად გაგვაცნო. ეს შეცდომა გამოიწვია თავის ნაწერების პუბლიკაციის ილიასეულმა სისტემამ, რომელიც შესწავლილი გვაქვს ფსევდონიმ „ჩიტორელიძის“ შესახებ დაწერილ ჩვენს გამოკვლევაში („ქართული შურნალისტიკა“, 1881 წ.). აქ დოკუმენტუ-

რად ნაწევრები გვაქვს, რომ ილია თავის ნაწერებს აქვეყნებდა სხვა ცნობების ინიციალებით, სხვაზე მიმანიშნებელი ფსევდონიმებით და ეს გარემოება რედაქციის წევრებმა არ იცოდნენ; მეტიც, წყნარად არწმუნებდა მათ, რომ წერილებმა მინიშნებულ ავტორს ეკუთვნოდა; ასე იყო, როცა „საქართველოს მოამბეში“ თავის „სხარტულას“ ვ. ჩიქოვანის ინიციალები „გ. ჩ.“ მიაწერა; ასე იყო, როცა ვაზ. „ივერიაში“ „ჩიტორელიძეს“ მ. ყიფიანის ადგილსამყოფელი „ძაუ-ჯივაუ“ მიაწერა; ასე იყო, როცა გვიან „ახალმოსულის“ შესახებ თანამშრომლებს არწმუნებდა, რომ იგი ახალშენიშვილს ეკუთვნისო; ამ შემთხვევასთან გვაქვს აქაც ადგილი: „ნ. დავითიშვილი“ შეიცავდა ნ. დ. ქანანოვზე მინიშნებას, რომლის ნამდვილი შინაარსი გრ. ყიფშიძისათვის უცნობი იყო და მან ჩვენც მცდარი ცნობა მოგვწოდდა. გრ. ყიფშიძისათვის პირველად არც ვაზ. „ივერიაში“ „ჩიტორელიძის“ ვინაობა იყო ცნობილი — იგი მ. ყიფიანს მიაწერა, რაც გვიან გამოასწორა ილიას თხზულებათა ი. გუდვენიშვილისეული გამოცემისათვის წამძღვარებულ თავის ნარკვევაში; აქ მან „ჩიტორელიძე“ ილიას ფსევდონიმად აღიარა, ასეთი იყო სარედაქციო კოლეჯის ცნობა და გადაწვეტილება.

რადგან უცნობი იყო, რომ „ნ. დავითიშვილის“ ფსევდონიმით არსებული პუბლიცისტური წერილები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, ამიტომ იხინი, ცხადია, ვათვალისწინებულნი არ არიან ილია ჭავჭავაძესთან და, აგრეთვე, ნ. ნიკოლაძესთან დაკავშირებული ისტორიული-ლიტერატურული საკითხების შესწავლის დროს, აღნიშნული წერილების ანალიზი, ერთის მხრივ, უფრო ნაკლებ ხდის, რომ ისინი ილია ჭავჭავაძის ნაწერებია, ხოლო, მეორეს მხრივ, ახუსტებს ჩვენს წარმოდგენას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესახებ. ამ უცნობი მასალების მიხედვით სინათლე ეფინება ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის დუელის გამომწვევ ფაქტსაც, რომლის

შესწავლა მას იდულოლოგიური დაჯახების ხასიათს აძლევს.

* * *

ილია ჭავჭავაძის მიერ გაზ. „დროებაში“ 1880 წელს „ფიქრი და შენიშვნის“ სათაურით გამოქვეყნებული წერილების სერიაში გაკრიტიკებულია ნ. ნიკოლაძის ნაწარმოებები, კერძოდ, „მამულის სიყვარული და მსახურება“. იგი შემდგომში — 1914 წელს დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ნაწერების მეორე წიგნში, რომლის წინასიტყვაობაში კარგად ჩანს, რამდენად ჰქონდა ავლილი გვერდი, ნებისთ თუ უნებლიედ, ამ ნაშრომის შესახებ ილიას რეაგირებას. გამოცემლები წერდნენ: „ეს თხზულება მისმა ავტორმა, ნ. ნიკოლაძემ, დასწერა 1879-ში და დაიბეჭდა 1880-ში თბილისში ავტორის მიერ შედგენილ „სახალწლო“ ალმანახში, ე. შავერდოვის წიგნის მალაზიის საფასით.

ახლა ამ ნაწარმოებს ხელახლა ებეჭდეთ ცალკე წიგნად. ჩვენ ვესურს ეს შინაარსიანი და სასარგებლო წიგნი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადოთ, მეტადრე იმის გამო, რომ ალმანახი, რომელშიაც ის მოთავსებული იყო, ამჟამად სრულიად აღარ იშოვნება...

საკვირველია და სამწუხაროც, რომ ამ თხზულებისათვის ჩვენს პრესას თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მოუქცევია, ჩვენს მწერლობაში მის შესახებ არაფერი დაწერილა, არც არაფერი თქმულა, კრიტიც არავის დაუძრავეს. ჩვენ არ ვიცით, რა იყო ამის მიზეზი და არც შევეუდგებით ახლა ამის გამოკვლევას, მხოლოდ ვიტყვი, რომ ვინც ამჟამად ამ წიგნს წაიკითხავს და ჩაუკვირდება მის შინაარსს დარწმუნებული ვართ, დაგვეთანხმება, რომ ავტორის შეხედულება სამართლიანია და დედაზრი, რომელზედაც დამყარებულია მთელი მსჯელობა, ჭეშმარიტებაა.

თუკა წიგნი დაწერილია ოცდათხუ-

თმეტი წლის წინათ, მაგრამ სრულიად შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. მართალია, მას აქვთ ქვეყნიერებაზე და ჩვენშიაც ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ ამ წიგნის შინაარსი დღესაც ახალია და არსებითად საჭიროა, მისი მნიშვნელობა ჩვენმა საზოგადოებამ გაითვალისწინოს...“ წინა გამოცემლების მოტანილ შენიშვნას პროფ. დ. გამეზარდაშვილი თავის მხრივ უმატებს: „ამ სიტყვებს უდავოდ ატყვია ავტორის ხელი“, რის გამო იგი კიდევ უფრო მეტადაა საყურადღებო“ (ტ. 7, 1985 წ. გვ. 465). ხოლო ნ. ნიკოლაძის შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში განხილვებული მეცნიერი წერდა: „მასში პასუხი აქვს გაცემული ყველა იმ კითხვას, რომელსაც იმდროინდელი ცხოვრება და აზროვნება აყენებდა. იგი მისი ავტორის ჭეშმარიტი აღსარებაა, რომლის წინააღმდეგ ხმის აძლევა მასთან არაქვს გაუბედავეს“ (ნ. ნიკოლაძე, 1983 წ., გვ. 84, ხაზი ჩვენია — ლ. ჭ.). როგორც ქვემოთ დაეინახავთ, ნ. ნიკოლაძის „სახალწლოს“ შესახებ წინა და თანამედროვე გამოცემლები ცდებიან. მას არამე თუ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და გაუბედეს კიდევ, არამედ გადააჭარბეს მას, რამაც საქმე ილია ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის დუელამდის მიიყვანა.

გაზ. „დროებაში“ 1880 წელს (№№ 28, 30, 39, 41) ხელმოუწერლად დაიბეჭდა „ფიქრი და შენიშვნა“, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ნ. ნიკოლაძის მიერ 1879 წელს გამოცემული ალმანახისადმი. „უფ. ნიკოლაძემ ხელახლად გამოყო თავი ქართულს მწერლობაში და გამოსცა წიგნი სახელით „სახალწლო“, — წერს უცნობი ავტორი; იგი მკითხველს პირდება, რომ „ჩემი ყურადღება მიქცეული იქნება განსაკუთრებით უკანასკნელ წერილზედ („მამულის სიყვარული და მსახურება“ — ლ. ჭ.)“ მაგრამ გაკვრით სხვა წერილებიც აქვს დახასიათებული.

„ფიქრი და შენიშვნის“ ავტორი ეხება ალმანახში მოთავსებულ „სტუდენ-



ტობის პირველ დროზე“ და წერს: „ამ წერილს, რომელიც უფ. ნიკოლაძეს თითქმის ორას გვერდზედ გაუჭრულე-ბია, არაუთარი საზოგადო ინტერესი და მნიშვნელობა არა აქვს. რო იცოდეთ, რა არ ჩაუწერია უფ. ნიკოლაძეს ამ წერილში; დახე, რა რიგად მკვარება ნიკოლაძეს თავისი თავი. მოკეოლია და დაწერილებით უამბობს მკითხველს თუ, გიმნაზიიდან გამოსული, როგორ და რა ვხით წასულა ქუთაისიდან პეტერბურ-ღში“. „უფ. ნიკოლაძე მარტო თავის თავისათვის და თავის ნაცნობებისათ-ვის თუ სწერს, თორემ სხვას ვის უნდა ვეღლა ეს გაჭრელებული, ყოვლად უაზრო და უმნიშვნელო ყბე-ღობა, როგორც მაგალითებრ შემდე-გი“. აქ წერილის ავტორს წიგნიდან მო-აქვს ვრცელი ამონაწერი, სადაც დაწე-რილებით არის მოთხრობილი ნ. ნიკო-ლაძის პეტერბურგში ჩასვლა და შეხ-ვედრა „ღრეჭიასთან“, რასაც ურთავს თავის დასკვნას: „ვის რად უნდა მეთქი ვეღლა ეს ცუდუბრალო ლათა-იობა (ხაზი ყველგან ჩვენია - ლ. ჭ.), რომელიც თავიდან ბოლომდე მოკირ-წყლულია უფ. ნიკოლაძის წერილი? მაგრამ რა პასუხია? - გამოჩენილია და სახელგანთქმულის კაცის სიცოცხლეში ყოველიფერი ღირსშესანიშნაია: სჭამს თუ სვამს, სძინავს თუ ღვიძავს, ლაპა-რაკობს თუ ჩუმით არის, ყველა ამაში ისახება მისი დიდება, ნუთუ არა გჯერათ ნიკოლაძის დიდე-ბა? აბა დაუგდეო ყური უფ. ნიკოლა-ძეს, როგორ მისულა უნივერსიტეტში ეგზამენის დასაჭერად“. აქ „ფიქრი და შენიშვნის“ ავტორს მოაქვს ვრცელი ციტატი, რომელიც სავსეა ფრჩხილებ-ში ჩასმული კითხვის თუ ძახილის ნიშ-ნებით. მაგ. კითხვაზე - „კუშკის იც-ნობო“ ფრჩხილებში უცნობი ავტორი წერს: „უფ. ნიკოლაძეს დაბადებამდის-ნაც კეოლია გამოჩენილი ნაცნობები“. ბოლოს ნ. ნიკოლაძის სტუდენტობის წლების აღწერას ასე ამთავრებს: „უფ. ნიკოლაძის ავტობიოგრაფიულ მოთხ-რობაზედ ლაპარაკს ჰქვინეს სიტყვებით ვაკათავებ: „თავის თავის აღწერა, ამ-

ბობს ჰქვინე, არამც თუ საშისმარებელ-ში შეუძლებელიც არისო. კაცს უნდა იყოს წრეს გადახული ქატი, რომ აქოს თავისი თავი, სულელთაგან უსულელე-სი, რომ საქვეწმოდ დასძრახოს თავის თავი. ვარდა ამისა არა კაცს, რაც უნდ ვულწრფელად უნდოდეს ლაპარაკი, მარ-თლის თქმა თავის თავზედ არ შეუძ-ლიან. ეს ვერ შეძლო ვერც წმ. ავგუს-ტინმა, ვერც ჟანეაკ რუსომ“. უცნობი ავტორი „ჩატს“ სქოლიოში განმარ-ტავს: „ამის ბადალი სიტყვა ქართულს ენაზედ არ არის, ამას ეტყვიან ტ რ ა - ბ ა ხ ს, ც რ უ პ ე ნ ტ ე ლ ა ს, ყ ვ ე - ლ ა ს მ ხ რ ი თ პ რ ა ნ ჭ ი ა ს“.

ზემოთ აღნიშნული გვერდია, „ნ. და-ვიითშვილის“ წერილების ანალიზიც ნათელს ხდის, რომ ისინი ილია ჭავ-ჭავაძის ნაწარმოებია. დაკვირვების სა-შუალება შემდეგაც გვექნება, მაგრამ ვფიქრობთ, აქ ხაზგასმული სიტყვები უკვე მეტყველებენ ჭეშმარიტებაზე. ნ. ნიკოლაძის წერილს „მაშულის სიყვარულზედ“ შეიძლებოდა ვაკვიზიანები-ნა ილია ჭავჭავაძე, რადგან ეროვნული მიმართულება ცრუპატრიოტიზმად ჰქო-ნდა მას გამოცხადებული, რასაც საკუ-თარი აზრით თეორიულადაც ასახულებ-და. ნ. ქანანოვს რა რჯიდა ამის გამო. როგორ წარმოვიდგინოთ: ნ. ნიკოლაძემ ეროვნული მიმართულება უსაფუძვლოდ და ცრუპატრიოტიზმად გამოაცხადა, ილიამ ამას ყურიც არ ათხოვა, ხოლო ნ. ქანანოვს გული აუღულდა, რამაც აიძულა იგი საპასუხო წერილების ხე-რია „მაშულის სიყვარულის“ ავტორის გაამაჟულაულებით დაეწყო: რომ იგი წერს: „ყბედობას“, „ცუდუბრალო ლათაიობას“, თავის „დიდებას“, „სულელთაგან უსუ-ლელესია“, „ტრაბახა, ცრუენტელა და ვეღლას მხრით პრანჭიაა“. სხვა წერი-ლების მიხედვით დავინახავთ, რომ ნ. ქა-ნანოვი ქართული პუბლიცისტიკის ლოშს ირონიულად შენიშნავს, შენ რა ქართუ-ლის მცოდნე ხარო და სხვ. ვანა აქ, თუ ნ. ქანანოვს ეიგულისხმებთ ვრ. ყიფში-ძის მცდარი ცნობის მიხედვით, ეს პა-ტიოსანი მოღვაწე კომიკურად არ გამო-იყურება? რამდენიც უნდა თავებდი ყო-



წერს იგი, — რასაკვირველია, მოინდომებთ შეიტყობთ, თუ ვინ არიან „ერუპატრიოტანი“. ვინაა ის მტერი, რომლის დასამარცხებლად ასე მძიმედ აღჭურვილია უფ. ნიკოლაძე. ხად არის ის საჯაროდ მომქმედი მკვებელი მიმართულება, რომლის გაქარწყლება ჩვენდა ხანიკეთოდ მოუსურვებია უფ. ნიკოლაძეს. „ერუპატრიოტნი“ ვახლავა: „ივერიის“ მწერლები, მკვებელის მიმართულების ბუდე არის „ივერია“ (ეხლა „დროება-ივერია“ იქნება).“

„ფიქრი და შენიშვნა“ „აი ისტორიის“ ტყუპისცალად გამოიყურება თავისი თეორიული ხიდრმიითა და პუბლიცისტური პათოსითო, გუაქვს ნათქვამი ამ ნაშრომის დასაწყისშივე. ამ უცნობი ნაწარმოების მთლიანობაში აქ გაცნობა, ცხადია, შეუძლებელია, ამიტომ რომელიმე მსჯელობას მოვიტანთ, რათა მკითხველმა წარმოიდგინოს, რამდენად სწორია ჩვენი შთაბეჭდილება. დრეპერის თეორიის გამო ნ. ნიკოლაძის გაკრიტიკების შემდეგ იღია წერს: „კმარა, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა უშველებელი არეულ-დარეულობა სუფევს ავტორის მსჯელობაში და მოსაზრებაში; რა დაბალის ჯიშისა და დაბალის ფასისაა ის საქონელი, რომელიც უფ. ნიკოლაძეს მიუწვდენია მკითხველისათვის, როგორც „დამჯდარი და სამეცნიერო გამოკვლევა“. რა საცოდავად მოუხეხტია აქა-იქა ვითამდა მეცნიერების რაღაცა ნაფხრეწები — დახუთ, სულ — ცარიელი კი არ გამოვსულვარო „ერუპატრიოტებთან“ საბრძოლველად, არამედ ჩემის პირით თვით მეცნიერება ლაპარაკობსო. რასაკვირველია, ერუპატრიოტებისათვის“ ეს გარემოება, ცოტად თუ ბევრად, სასახელო ხინანს. ადვილი არ ყოფილა მათი დამარცხება. მაგრამ თვითონ უფ. ნიკოლაძის შესახებ კი ვიმეორებ: „არა ყოველმან, რომელმან რქვას — უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“.

ველაზედ უწინარეს უნდა მოვახსენოთ, რომ უფ. ნიკოლაძემ თვითონაც არ იცის, რაზედ ლაპარაკობს. ყოველი

ხალხის ცხოვრება თავის მსგეველურებაში ამა და ამ კანონს ემორჩილება. ამ ბოზს უფ. ნიკოლაძე და ამ კანონის შესაფერი მაგალითები მოჰყავს ლიტერატურის ისტორიიდან. საიდან შეადგინა უფ. ნიკოლაძემ ეს კანონი, ამას ქვემოდ ვნახათ, ეხლა კი მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ავტორს არა აქვს მტკიცედ განსაზღვრული სავანი ლაპარაკისა და ხან ერთს ვადასცემს, ხან მეორეს. მართალია, ხალხის ცხოვრებისა და ლიტერატურას შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობა, როგორადაც ყველა მოვლენათა შორის ამქვეყნიურებაზედ. მაგრამ რა გამოდის აქედამ? არაფერი, ვარდა იმისა, რომ ყოველ-გვარი მოვლენანი გადაბმულნი არიან ერთი-ერთმანეთ-შორის. ამ მოვლენათა თითოეულ გვარს აქვს მაინცა და მაინც თავისი საკუთარი ვითარება, საკუთარი მსველელობა. ფიზიკურ და ხიმიკურ მოვლენათა შორის, რასაკვირველია, ძალიან მჭიდრო ურთი-ერთობა სუფევს, მაგრამ, თუ ხიმიკურის კანონის გასამართლებლად მოიყვანეთ მაგალითი წმინდა ფიზიკური მოვლენა, — აქედამ უმეცრება გამოვა და არა „მეცნიერი გამოკვლევა“. ვინც ლაპარაკობს „სლავიანოილებზე“ და „ზაქედნიკებზე“, ლაპარაკობს იმ ბრძოლაზედ, რომელიც არსებობდა ერთ დროს რუსულის ლიტერატურის ორ მიმართულებას შორის, რუსეთის ცხოვრების „უკებრუნებული“, თუ სხვა, რომელიმე პერიოდი (ხანა) აქ რა შუაშია? რაშიც უნდა მღვთმარობდეს სლავიანოფილთა ქადაგება, მაინც სლავიანოფილებს საკუთრივ არას დროს არ შეუდგენიათ არავითარი ცალკე „სტადია“, „პერიოდი“ რუსეთის ცხოვრების მსულებლობაში იმ მნიშვნელობით, რომლითაც ხმარობს ამ სიტყვებს უფ. ნიკოლაძე*. სლავიანოფილების დროს (არც არა სხვა დროს) რუსეთის ხალხს „საკუთარი წინა-პრების წესების აღდგი-

* სწორედ მოვახსენოთ, უფ. ნიკოლაძეს „სტადია“, „პერიოდი“, „შკოლა“ დომხალივით აუჩრევია ერთი-ერთმანეთში. ესეც, რასაკვირველია, ვერაფერი ნიშნია „სამეცნიერო გამოკვლევისა“.

ნება“ არ მოუნდომებია და „მათ ყურ-
მოჭრილ მონათ“ არ გამხდარა (უფ. ნი-
კოლაძის უკუბრუნებული პერიოდი ხომ
ამას ნიშნავს). გარდა ამისა, ნუთუ უფ.
ნიკოლაძის აზრით, ეხლა, როდესაც რუ-
სეთის „მეოთხე პერიოდი“ დასდგომია
სლავიანოციდლების ხსენებაც აღარ
არის?

მაგრამ რას დასდევს უფ. ნიკოლაძე,
რომელიც იკვებხის კიდევ: რო მინდო-
საო, არამედ საფრანგეთის ლიტერატუ-
რის ისტორიიდან მოვიყვანდი მაგალით-
სო, არამედ საფრანგეთის ლიტერატუ-
რის ისტორიიდან, ან გერმანიის ლიტე-
რატურიდამაც შემიძლიან მაგალითი
მოვიყვანო. ჩემის აზრით კი აქ არა-
ფერია დასაკვები, მაგრამ კაცია და გუ-
ნება: შეიძლება იმისთანა კაციც გამო-
ჩნდეს, რომელმაც დაიკვებოხ: თუ ერთ
სისულელეს არ დამჯერდები, ათს ან
თხუთმეტს კიდევ მოგართმევო. არა, რა
მაგალითია, თუ შენც იტყვი, მკითხვე-
ლო, „ის ბრძოლა, რომელიც საფრან-
გეთში გამართულიყო ცრუ-კლასებს და
რომანტიკოსებს შუა“ და სხვ.? უფ. ნი-
კოლაძის აზრით, რომანტიკოსები, რა-
საკვირველია, „მესამე, უკუბრუნებული
პერიოდი“ წარმომადგენელი იქნები-
ან. თუ ასეა, მამ როდისღა ეღიროება
საფრანგეთს მეოთხე პერიოდი, ე. ი.
перед самобытного творчества, რად-
განაც რომანტიკული შკოლა (მიმართუ-
ლება) ახლაც მშვიდობით ბრძანდება?
ძალიან ენანობ, რომ უფ. ნიკოლაძემ არ
მოიყვანა ვეღა ეს მაგალითები, მეტად-
რე გერმანიის ლიტერატურა ლესინგას
დროს („დროება“, № 39).

ფიქრობთ, ეს ერთი მაგალითიც საკ-
მარისად გვარწმუნებს იმაში, რომ მთე-
ლი კრიტიკული წერილი ურყევი ღო-
ვიკითა და ლიტერატურული მოვლენე-
ხის ღრმა ცოდნით ხასიათდება. აქ ავ-
ტორის დადგენის თვალსაზრისით სა-
ყურადღებოა ილიასათვის დამახასიათე-
ბელი პუბლიცისტური ხერხი და გამო-
თქმები, იგი მოწინააღმდეგის გამტყუ-
ნების შემდეგ იუმორით აბიაბრუებს მას:
„რა საცოდავად მოუხვევტია აქა-იქ ვი-

თომდა შეცნიერების რაღაცა ნათესე-
წები“, „უფ. ნიკოლაძემ თვითონაც არ
იცის, რაზედ ლაპარაკობს“, „უფ. ნიკო-
ლაძე... იკვებხის... შეიძლება იმისთანა
კაციც გამოჩნდეს, რომელმაც დაიკვე-
ხოხ: თუ ერთ სისულელეს არ დამჯერ-
დები, ათს ან თხუთმეტს კიდევ მოგარ-
თმევო. არა, რა მაგალითია, თუ შენც
იტყვი, მკითხველო“ და სხვ. მთელი
წერილი ასეთი პოლემიკური გამონათ-
ქვამებით ხასიათდება. აკრიტიკებს რა
ნ. ნიკოლაძეს დრეპერის კვალდაკვალ
საზოგადოებრივი განვითარების კანო-
ნების ბაუშვის ზრდასთან შედარების
გამო, ილია შენიშნავს „სწორედ მო-
ვახსენოთ, ეს იმისთანა მახსარად ავდე-
ბაა, თვითონვე ნიკოლაძის მიერ წამო-
ყვნიებული აზრისა, რომ ამაზედ უკე-
თესის დაღიწვის მოგონება ძნელია“. ბო-
ლო წერილში (დრ. № 41) ილია აანა-
ლიზებს ნიკოლაძის მიერ სლავიანოფი-
ლებისა და ცრუ-პატრიოტი „ივერიე-
ლების“ იგივეობის მტკიცებას და შე-
ნიშნავს: „ეს ნაწყვეტი (ნ. ნიკოლაძის
დაპირება, რომ „მზათა ვარ... უფრო სა-
ფუძვლიანათ დაეამტკიცო ის ხელმო-
რეთ“ — ლ. ჭ.), — წერს ილია, — რა-
თაც უნდა ღირს. უკანასკნელი სიტყვე-
ბი სრულს ნებას მაძლევენ ვთქვა, რომ
უფ. ნიკოლაძეს ვაგებაც არა აქვს ლი-
ტერატურისა. მისთვის მწერლობა მარ-
ტო მუშტი-კრივი ყოფილა მწერალთა
შორის, — მკითხველს რას დასდევს?
არა, ვაგონილა, თქვენი ჭირიმე. ჯერ
ისე ტყუილ-უბრალოთ წარმოვირთავთ,
და თუ არ დამიჯერებენ, მერე დასამტ-
კიცებელ საბუთს მოვიყვანო! აი, გამრ-
ყვნიელი ლიტერატურაც ამას ჰქვია!“.
ნ. ნიკოლაძის მიერ ცრუ-პატრიოტები-
სადმი წაყვნიებული ბრალდებების გან-
ხილვის შემდეგ, წერილის ბოლოს, აკე-
თებს დასკვნას: „კარგი და პატიოსანი.
ახლა მიბრძანეთ, ვეღა ამ აზრების
გამოსათქმელად, რა საჭირო იყო „დამ-
ჯდარი და სამეცნიერო გამოკვლევა“,
„ოთხი სტადია“ და სხვ.? რისთვის გა-
იჭირა უფ. ნიკოლაძემ საქმე და გამოა-
შკარა თავისი უცოდინარობა?



კიდევ იმისთვის, რომ ვერაფრით ვერ დაამტკიცა „ცრუ-პატრიოტების“ დანაშაულობა და ფიქრა, ჩემს ლათიანობას ამით მაინც მივცემ ხარწმუნო შეხედულებას“.

უფიქრობთ, მოტანილი ამონაწერებიდან კარგად ჩანს ილია პოლემისტი და მწერალი, ხოლო მათი ნ. ქანანოვისათვის მიკუთვნება კი ისევ კომიკურ მდგომარეობაში წარმოგვიდგენს მას. უკანასკნელს განა შეეძლო ნ. ნიკოლაძესთან ამდაგვარი კამათი? ან იგი ნებას მიხედა თავეს ნიკო ნიკოლაძე დაეხასიათებინა, როგორც მკვეხარა, უცოდინარი, რომელსაც „გაგებაც არა აქვს, რა არის ლიტერატურა“ და ამიტომ რომავეს „ტყუილ-უბრალოთ“, ლათაიებს უყვება მკითხველს. ცხადია, აქ ნ. ქანანოვი არაფერ შუაშია. ხაერთოდ, ავტორის დადგენის დროს, როცა ასეთ შემთხვევათან გვაქვს საქმე, დაკვირვებას მოითხოვს ისიც, პუბლიცისტური წერილი მწერალს ეკუთვნის, თუ ავტორს, რომელსაც არამც თუ მხატვრული ნაწარმოები, თავის სახელით არც ერთი პუბლიცისტური წერილიც კი არ დაუწერია. „ფიქრი და შენიშვნა“ დაწერილია ილიასთვის დამახასიათებელი პუბლიცისტური პათოსით და მხატვრული ხერხების მოშველებით: იუმორით, სარკაზმით, მკითხველისადმი მიმართვით, რაც ჩვეულებრივი და დამახასიათებელი ნიშანია ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედებისადმი.

ნ. ნიკოლაძეს თავის წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცრუპატრიოტების ენობრივი პოზიციის გაკრიტიკებისათვის. ი. ჭავჭავაძე „დროებაში“ დაბეჭდილ „ფიქრსა და შენიშვნაში“ მასზე აღარ ჩერდება და შეთხვევას „ივერიანში“ დაბეჭდილ თავის წერილზე მიუთითებს. „ეს უმეცარი ყბელობა, — წერს იგი, — „ივერიის“ ენაზე ახალი ამბავი არ არის. ამ, ხაჯნის თაობაზედ მქონია კიდევ ლაპარაკი მკითხველთან („ივერია“, 1879 წ., № 1, „ფიქრი და შენიშვნა“) და გამოორება საჭირო აღარ არის“ („დრ.“ № 41) ეს მითითებაც გა-

მორიცხავს ნ. დ. ქანანოვს. რა თქმაობაა წინააღმდეგვს პამპულას ჩანს აზურავს, თავის ეინაობას ასეთი მითითებით არავეინ ამელავენებს; ილიამ ეს მითითება გააკეთა იმიტომ, რომ ავტორობის გამომვლავნება ფსევდონიმით დატული იყო.

მითითებული წერილი, რომელსაც „ნ. დავითიშვილი“ აწერს ხელს, თავის შესვლით ლამის მხატვრული ნაწარმოებია. „კაკო ყაჩაღში“ მურმესთან შეხვედრას ავონებს მკითხველს, როცა ავტორი სვედიანად აღწერს ჩვენი ცხოვრების, კერძოდ კი ლიტერატურის სავალალო მდგომარეობას. „არის მრავალი სიმღერა“ — წერს ილია, — რომელიც სვედიან კილოზეა თქმული და რომელსაც თავიდან ბოლომდე მწუხარება დართული აქვს, მაგრამ მაინც გვსიამოვნებათ მისი ვავონება, გვსიამოვნება იმდენად, რამდენადაც გამოთქმულია იგი მწუხარება (ხაზი ჩვენი — ლ. ჭ.).“ ქართული ლექსისა და მელოდიის მსმენელზე ზემოქმედების ეს დახასიათება ი. ჭავჭავაძეს გამეორებული აქვს აღნიაშვილის ხორის გამოსვლასთან დაკავშირებით მუსიკის შესახებ დაწერილ გაზ. „ივერიის“ მოწინავე წერილებში და „ნიტორელიძის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ „ფელეტონებშიც“. კრ. ფიფშიძის ცნობა კვლავ კომიკურ მდგომარეობას ქნის: ილია ნ. ქანანოვის აზრებს იმეორებს, ხოლო „ქართულის ძალიან ნაკლებად მკოდნე“ მოღვაწე კი „კაკო ყაჩაღის“ ჯერ დაუბეჭდავი ნაწილის ტექსტის რემინისციებით ელაპარაკება მკითხველს („კაკო ყაჩაღი“ ამის შემდეგ, შურ. „ივერიის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა მთლიანად). ასეთი რამ ბუნებაში ჯერ არ მომხდარა.

შურნ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ეს წერილი მრავლად შეიცავს ილიასთვის დამახასიათებელ სპეციფიურ გამოთქმებს, წინადადებებს და აზრებს, რომელიც გამოთქმულია ქართული ხალიტერატურო ენის განვითარებისათვის ხალხის მეტყველების ძველი მწერლობის

მიღწევებით შეხვევის შესახებ. ილია ცხოვრებისა და ლიტერატურის ურთიერთობაზე თავის აზრს ავითარებს, როგორც რეალური ვითარების, ისე უცხო მწერალთა შეხედულების დამოწმებით და მისთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციით შენიშნავს: „ამით იმას კი არ ვამბობთ, რომ ჩვენს აწინდელ ლიტერატურას მართლა და თვით საქმით ეპყრას ეს უპირატესობა და ნამდვილად იყოს წინამძღოლი და მითავე ცხოვრების მიმდინარეობაში. სრულიად არა. ყველასათვის ცხადია ჩვენის მწერლობის დაკარდნილი და საციოდავი მდგომარეობა“. თუ ლიტერატურა „წინამდგარია“, — ფიქრობს ილია, — მნიშვნელოვანი მოქმედი ძალაა“. ამ შემთხვევაში „იქ ცხოვრება წინამდგარია“. თუ ცხოვრების სხვა მხარეებიც სათანადო განვითარებას განიცდის, მაშინ ლიტერატურაც აქტიურია და „თვითონ ჰბადავს ამ მიმართულებას და მით მთლად ხელთ იყვრება ხალხის სურვილსა და გულის წადილს — თუ იგი ხალხი ცოცხალია და ხულს უდაგავს — თუ მამაკვდავია“.

ლიტერატურის „თვითმყოფობის“ განვითარებისათვის ენის მნიშვნელობაზე ვრცლად ჩერდება ილია და განმარტავს, მისი აზრით იმ გაუგებრობას, რომელიც ახასიათებდა ნ. ნიკოლაძის, როგორც „ივერიის“ ენის შესახებ ადრინდელ გამოანთქეამებს, ისე „სახალწლოში“ დაბეჭდილ წერილს — „მამულის სიყვარული და მსახურება“. „თუ კაცის ჭკუა-გონება ვმანწილობიდანვე გამოზრდილია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ სწავლა-განათლება მიუღია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ უფიქრია მას თავის სიცოცხლეში — უფიქრია უცხო ენაზე, ვაბედვით შემძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში იგი სანახევროდ ამოგლეჯილია თავის სამშობლოდამ, სანახევროდ დაკარგულია თავისი ქვეყნის ჭკუა-გონების თვით — მოღვაწეობისათვის“. თვითმყოფობა, ილიას აზრით, „სფერაა, სადაც ფრთას ისხამს ხაკვარტომო, სახალხო ლიტერატურა“. „ივერიას“ გა-

მოსელის დღიდან უკვირდნენ უნამ, რა ძველი ენაა, რა მამამაწმინდაა, „ოპ, რა ძველი აზრებია! რა დამძალი აზრებია“. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ნ. ნიკოლაძე: „ბოლოს იქამდისინ მივიდა საქმე, რომ თვით ჩვენ განცხადებაშიაც კი ძველი ენა დაინახეს, როგორც მაგ. ნიკოლაძეს მოუვიდა. ერთი რუსული ანდაზაა: „სულელს რომ ლოცვა დააწყვებინო, შუბლსაც გაიწეხავსო“. ნიკოლაძესაც ამგვარი დაემართა. ვილასაც უწურულებია მისთვის (თვითონ ნიკოლაძე კი აბა რა ქართულის მცოდნეა, თუ შენ იტყვი, მკითხველი) — „ივერიაში“ ძველი ენა არის. ისიც მოჰყოლია და გაიძახის, — ხაცა რივია და ხაცა არა, — „აი თქვე ასეთისეთებო, ძველი ენით სწერო, განაო!“. ილიას უსარგებლო შრომად მიანია ნ. ნიკოლაძესთან მკითხველს გაეგებინოს „ძველისა“ და „ახლის“ განსხვავება: „მე ვიცი, ვაგებინებ მკითხველს, თუ რას ეძახიან „ძველს ენას“ და ან რაში არხებობს „ახალი ენა“, შენ არ მამაკვდე!“ — გულისტკივილით შენიშნავს მწერალი ნიკოლაძის და მისთანათა მიმართ. ისინი გაიძახიან „წერთ ისე, აი, მაგალითებო, როგორც ჩვენა ეწერთო“, რაც სასაცილო მოთხოვნად მიიჩნია ილიას.

მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს ი. ჭავჭავაძეს ამ წერილში ძველი და ახალი ქართულის ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, დამოუკიდებლობის დროს ქართველი ხალხის ლექსიკონი მდიდარი იყო და ენა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, თავისუფლების დაკარგვის შემდეგ კი ახალ ვითარებაში ენის ლექსიკონი ვალარბდა; „თუ ვოველი ნალეწი თქვენის ჭკუისა ჩასტით იმ მცირედ და ღარბ ლექსიკონში, — წერს ილია, — რომელიც საშინაო სახმარებლათ არის შერჩენილი, აზრიც დაგეფანტებათ და იმ საქმესაც უღალატებთ, რომლის წინ — წადგომა მჯერა, — გულში ვიღვივით“. მოტანილი თეორიული შეხედულების მიხედვით არის გარჩეული „ივერიის“ შესაქე ნომერში გ.

თუმანიშვილის „აღმანახის“ ენა, სადაც ნ. დავითიშვილი ცხადყოფს კონკრეტული მაგალითების მიხედვით, რომ არც თუმანიშვილს და არც სხვებს წარმოადგენდა არა აქვთ, რა არის „ძველი“ და რა არის „ახალი“. ამ მაგალითების აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა.

განხილული წერილიდან აქ მოტანილი შეხედულებანი ლიტერატურისა და ენის განვითარების, აგრეთვე, ნ. ნიკოლაძის კრიტიკის შესახებ, ილია ჭავჭავაძისათვის სავსებით ბუნებრივი და საინტერესო შეხედულებანია, მაგრამ აბა, ახლა ისინი მივაკუთვნოთ გრ. ყიფშიძის ცნობით „ქართულის ძალიან სუსტად მცოდნე“ ნ. ქანანოვს, ვფიქრობთ, კვლავ კომიკური სიტუაცია იქმნება, რის ღირსიც არ არის ეს სარუდაქციო მუშაობის შესრულებისათვის კარგი მუშაი. იგი საყველბურს ქართული მოძღვრავს ჩვენი კულტურის მოღვაწეებს, რომ კაცი ეროვნულ ენაზე უნდა იყოს განვითარებული, თორემ არაფერი არ გამოუვა; თავის თავს აქ, ცხადია, გამოიჩინოს თვლის რადგან, მიუხედავად სხვა ერის წარმომადგენლობისა, ილიაზე უკეთესი წერილების დაწერა შეუძლიან, მეტიც, მას იმდენად გამოჯღარი აქვს მწერლის შემოქმედებითი პოტენცია, რომ „კაკო ყინაღის“ ჯერ უცნობი ტექსტის რემინისცენებიც მოსდის მსჯელობის დროს. იგი თავის ცოდნით ნამდვილად ექსტაზშია შესული და ნ. ნიკოლაძის ქართულის ცოდნა სასაცილოდაც არ ვოფნის, ასწავლის მას და სხვებს როგორც ქართული ენის ისტორიული განვითარების კანონზომიერებას, ისე კონკრეტულ მაგალითებზე „ძველისა“ და „ახლის“ რაობას.

ვფიქრობთ, ურწმუნო თომაც რომ იყოს კაცი, ნ. ქანანოვს ზემოთ აღნიშნული კომიკური სიტუაციებისათვის არ გაიმეტებს; გრ. ყიფშიძის მიერ თავის მცდარი ცნობით „ნ. დავითიშვილის“ პუბლიცისტური წერილების ნ. ქანანოვისათვის მიკუთვნება, როგორც ამ ნაშრომის თავშიც გვქონდა აღნიშნული, გაუგებრობაზეა დაფუძნებული, ეს წე-

რილები, როგორც დავინახეთ, დასაწყისში ვრ. ყიფშიძეც აღნიშნავდა, რომ მათ ილიას წერილებისაგან ვერ განასხვავებს კაცი; აბა, სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო, ილიას წერილებს, რასაკვირველია, მისი წერილებისაგან ვერ განვასხვავებთ. ამდენად, ვფიქრობთ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი აზრი, რომ „ნ. დავითიშვილის“ ხელმოწერით ცნობილი „ფიქრი და შენიშვნა“ ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწარმოებებია.

* * *

როგორც დავინახეთ, რაც ნ. ნიკოლაძის ნაწარმოების 1914 წლის გამომცემლებისათვის „ჭეშმარიტება“ იყო, ის ილია ჭავჭავაძისათვის უციოდინარობას, ლათაიებს და ვებულობას წარმოადგენდა. თანამედროვე გარდასახვდიდანაც პროფ. დ. გამეზარდაშვილისათვის ნ. ნიკოლაძის ნაწარმოებში რაც იმ დროს დასმულ საკითხებზე ძლევამოსილ პასუხებად ჩანდა, ილია ჭავჭავაძისათვის ძირშივე თეორიულად მცდარი მსჯელობანი იყო, რასაც მწერალი დიდი ერუდით ამტკიცებდა. ზემოთ ილიას უცნობი წერილების გაცნობის დროს ჩვენ წამოვიყვით ნ. ნიკოლაძის შესახებ ილია ჭავჭავაძის მწვავე გამოხატუებები, რომელთა წაკითხვა და მოსმენა დღეს არავის გვსიამოვნებს, მაგრამ საჭირონი არიან ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად.

ილია ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის დეული 1880 წელს დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იწვევს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარებს შორის. ბოლო დროს ამ ფაქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოამჟღავნეს ნ. გრივალაშვილმა და პ. ნაცვლიშვილმა სპეციალურად დაწერილ საგაზეთო წერილში „დეული“ და ბატონმა აკაკი ბაქრაძემ მონოგრაფიაში „ნიკო ნიკოლაძე“ (1989 წ.). „დეულის“ ავტორებმა ანალიზისა-

თვის გამოიყენეს ცნობილი მასალები: გრ. ვიფშიძის მიერ მითითებული გზა. „დროების“ მოწინავე წერილი და ილიას და ნ. ნიკოლაძის ფონდებში დაცული დუელის ოქმი. აკაკი ბაქრაძემ კვლევა გააფართოვა ახლად მოხმობილი მასალებით; მან გამოიყენა ყურადღების გარეშე დაჩენილი ი. მეუნარგიას ცნობა, რომ დუელში „ობზორის“ მოწინავეს გამო ილიამ გამოიწვია ნ. ნიკოლაძე ორთაბრძოლაში (აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია საგაზეთო წერილის ავტორებმა რატომღაც ვერ გამოიყენეს).

ნ. გრიგალაშვილი და პ. ნაცელიშვილი არსებული მასალის ანალიზის შემდეგ წერენ: „რამდენჯერმე წაეკითხეთ ის მართლაც მწვავე წერილი, რომელიც დუელის მიზეზი გამხდარა, მაგრამ... თუ ეს წერილი სადღელოა, მაშინ დღევანდელ ჩვენს პრესაში გამართული ყველა მეორე პოლემიკა დუელით — ანუ მკვლელობით თუ თვითმკვლელობით უნდა დამთავრდეს“ („დუელი“ გაზ. „სახალხო განათლება“, ოქტ. 1990 წ.). წერილის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მიზეზი ამ მოღვაწეების ადრინდელი პოლემიკა შეიძლება იყოს. ზემოთ ჩვენ ამიტომ შევნიშნეთ, რომ ნ. გრიგალაშვილმა და პ. ნაცელიშვილმა რატომღაც ვერ გამოიყენეს აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია, რომელიც წინა წლებში იქნა გამოცემული. პატივცემულ მეცნიერს ამ მხრივ აქვს წარმართული კვლევა-ძიება. მას ციტირებული აქვს საბანკო პოლემიკის დროს ერთმანეთის შესახებ ილიას და ნ. ნიკოლაძის მკვეთრი გამოხატულებები, მაგრამ იქაც ცხადია, რომ „დუელის“ ავტორებისა არ იყოს, არაფერია სადღელოდ დასახები, მით უმეტეს რომ დუელის მიზეზად განვილი ამბავი არ ხდება, დუელი ინიშნება შურადაცხოფისთანავე; ილიას წერილების ხერხის ბეჭდვა დამთავრდა „დროების“ 41-ე ნომერში, „დროების“ მიზეზად ქცეული „მოწინავე“ გამოქვეყნდა 46-ე ნომერში — 29 თებერვალს, რომლის გამო გრ. ვიფშიძის ცნობით ნ. ნიკოლაძემ დუელში გამოიწვია ილია ჭვა-

ჭვაძე, ხოლო „ობზორის“ ^[ქვემოთ ნიშნული] დაიბეჭდა მარტის პირველში. ^[ნიშნული] გამო ილიამ, ი. მეუნარგიას ცნობით დუელში გამოიწვია ნ. ნიკოლაძე.

რადგან ამ საუკუნოვან საინტერესო ინციდენტს ახალი მასალებით, უფრობით, ნათელი ეფინება, ერთხელ კიდევ უფროდ საჭიროა დაეიმოწმოს დუელის მიზეზად ქცეული ილიას და ნიკოლაძის გამონათქვამები. „რა ძალა და გავლენა უნდა აქონდეს იმისთანა ვაჭეთს, — წერდა „დროებაში“ ილია ნ. ნიკოლაძის „ობზორის“ შესახებ, — რომელიც ყველას და ყველაფერს თავის კუდაზიკურ თაუ-მოყვარეობით უყურებს და შესწერებაა, რომელიც არავის და არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი სულელური აზრი დაიცავს და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს... ნიკოლაძე... „ობზორი“ და ლიტერატურული პატიოსნება — მოდი და ნუ გავცივებ! ერთად დადევით ცეცხლი და წყალი. აფსუსი არ არის, რომ იმისთანა კარგი ხიტცვა, როგორც „ლიტერატურული პატიოსნებაა!“ ნიკოლაძის კალმის წვერიდამ გამოდიოდეს და ჭუჭყიან „ობზორის“ თაბახზე იბეჭდებოდეს“. როგორც სამართლიანად წერს აკაკი ბაქრაძე, „არც „ობზორი“ დარჩა ვალში, მეორე დღესვე პირველ მარტს, აახლა პახუხი „დროებას“: „სხვა საქმეა ბატ. ჭავჭავაძე, ავტორი „კაცია ადამიანისა“, ყოფილი რედაქტორი „საქართველოს მოამბესი“. ამ ლიტერატორმა უნდა იცოდეს, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რა იბეჭდება მის ვაჭეთში. ჩვენ სიამოვნებით ვიყენებთ შემთხვევას სწორედ მას დავაკისროთ პახუხისმგებლობა ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიის წინაშე ვაჭეთ „დროებაში“ ფეხმოდგმული ყველა საცოდავი ილეთის სიხამაკლის გამო. იგი ჩვენ გავცივებებს (ხაზი ჩვენია — ლ. ჭ.), ოღესაც მან იცოდა, რომ ნამდვილი მწერლები, აიღებენ რა ხელში კალამს, მოვალენი არიან მიადწიონ არა წამიერ გამარჯვებას, სიცრუისა და ჩაწყობის გზით, არამედ პრესაში ისეთი უაქვლა-



ციო განაჩენის დამკვიდრებას, რომლის უფრო სამართლიანობა მომავალში რატეფიციერებული იქნება ლიტერატურის მიუღლომელი ისტორიის მიერ, ჩვენ გვხამოვნებს და ვამტკიცოთ, რომ პრაქტიკული ცხოვრების ვითარებამ აიძულა ბ. ჭავჭავაძე დავიწყოდა ეს ჩამოკვეითებინა იგი იმ ადამიანების დონემდე, რომელნიც ტყუიან, თუმცა შევსებული აქვთ, რომ მათი სიცრუე ხვალევე იქნება მხილებული. სურთ ერთი ტყუილისაგან თავი იხსნან მეორე ტყუილით, კიდევ უფრო საცოდავი სიცრუით...“ — „ობზორი“ ამასაც არ დასჯერდა, „შენიშნავს აკაკი ბაქრაძე, — და დაამატა — ნუთუ ბატონი ჭავჭავაძე გონებრივად ვეზომ დაბლა დავცაო“. (ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, 1989 წ., გვ. 108-109).

მოტანილი ამონაწერები ქვეტექსტების გახსნის გარეშე, რაშიც ახლად გამოვლენილი მასალა გვეხმარება, გაუგებარია. „ობზორის“ 29 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო ხელმოწერილი წერილი „მტრები უკეთესია მეგობრებზე“, სადაც ავტორი „დროების“ პუბლისტებს ლიტერატურული პატიოსნებისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ იქ არაფერია ისეთი, რომ ილიას ნ. ნიკოლაძე გამოეღანძლა. ნ. ნიკოლაძემ თავის წერილს სათაურად მისცა „პრესის მატყუარები“ და კერძოდ, ილიასაც სიცრუისა და ტყუილების თქმა უკაფინა; თვითონ წერილის ტექსტში არაფერია ისეთი, რომლის გამო მკითხველს უნდა დაეჯერებინა ილიას გონებრივად დაქვეითება. ნ. ნიკოლაძეს ილიას დიდი დანაშაული და ტყუილებისადმი განხილი მაიდრეკილება მოიარებოთ აქვს მითითებული. მისი აზრით, სწორედ მას (ილიას) ეკისრება „პასუხისმგებლობა ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსის წინაშე გახეთ „დროებაში“ შეხმოკიდებული ვველა საცოდავი ილეთის სისამაგლის გამო. იგი ჩვენ გავეცივებს“.

10. „მნათობი“, № 6

რა უნდა გაეგო ილიას დეკრეტის სახავედა იგი ნ. ნიკოლაძეს კუდაბეჭდა და სულელური აზრების მატარებლად, ან რატომ უწოდებდა უკანასკნელი ილიას პრესის მატყუარას, დღეს ჩვენთვის ვეიქრობოთ, გასაკებია. ილიამ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ „დროებაში“ წერილების სერია „ფიქრი და შენიშვნა“ ხელმოწერლად და ამავე დროს სხვაზე მინიშნებით დაბეჭდა, ამდენად იგი ნიკოლაძისათვის პრესის მატყუარა იყო. ილიას მიერ ნ. ნიკოლაძის კუდაბეჭდა და სულელური აზრების მატარებლად დასახევა გარდავლით კონდენსირებული გამოხატვა იყო ილიას პოლემიკური წერილების დედააზრისა, ამიტომ ნიკოლაძემაც განსაკუთრებით მტკივნეულად განიცადა იგი. პუბლიცისტმა, ცხადია, ძალიან კარგად იცოდა, სინამდვილეში ვინ ეკამათებოდა მას „დროებაში“, ამიტომ შეურაცხყოფის დროს სწორედ ილიას მისამართით წერდა, „იგი მე გამოგვებსო“.

როგორც ვხედავთ, დუელის მიზეზი იყო ილია ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის პოლემიკა და არა ამ მოღვაწეთა პირადი ურთიერთობა. მათი მოთმინების ფიქლა აზრთა დაჯახების დროს აივსო, ხოლო „დროებისა“ და „ობზორის“ მოწინავეები კი მხოლოდ უკანასკნელ წვეთებს წარმოადგენდნენ. თვით ეს წვეთებიც გამოწვეული იყო იმ პოლემიკური უკიდურესობით, რომელიც მოცემულია, როგორც ილიას „ფიქრი და შენიშვნაში“, ისე ნ. ნიკოლაძის „მამულის სიყვარულსა და მსახურებაში“. პირველის მკვეთრ გამონათქვამებს უკვე გაოცანბა. ისინი გამოწვეული იყო ნ. ნიკოლაძის წერილის არა მარტო საერთო ბოლისით, რომ ქართულ კულტურაში მოწვეული მიმართულება უმნიშვნელო და ხედმეტია, არამედ პირადად ილიაზე შეურაცხყოფელი მითითებებითაც.

ნ. ნიკოლაძის „საახალწლოს“ გამოსვლამდის შერნ. „ივერიის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილში „ფიქრი და შენიშვნა“, როგორც უკვე აღნიშ-

ნული გეჰონდა, ნ. ნიკოლაძის ენობრივი შენიშვნების გამო ილია ამტკიცებდა, რომ მან ქართული ენის განვითარების ბუნება სრულყოფილად არ იცის, მისი ენა ვერაფერი ქართულია; ეს ყოველივე აიხსნება იმით, რომ კაცი, რომელიც განათლებას უცხო ენაზე იღებს და შემდეგშიც მწერლობაში იგივე ენას იყენებს, „ამ შემთხვევაში იგი ხანაზე-როდ ამოგლეჯილია თვისის ქვეყნის ჭკუა-გონების თვით — მოღვაწეობისათვის“. ეს, ცხადია, საწყენი იყო ნ. ნიკოლაძისათვის და, ჩანს, თავის მხრივ სამაგიეროს გადახდა განიზრახა.

„მამულის სიყვარული და მსახურება“, როგორც ილია ჭავჭავაძის კრიტიკიდან დავინახეთ, წარმოადგენდა „ივერიელების“ წინააღმდეგ გალაშქრებას. ნ. ნიკოლაძემ მიზნად დაისახა, რომ არარობამდის დაეყენა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მიმართულების მნიშვნელობა. პუბლიცისტის აზრით, ღრუპერის თეორიის კვალდაკვალ და ბავშვის ზრდის მაგალითის მიხედვით, სამშობლოს სიყვარული სტიქიური მოვლენაა, რომლის ერში განვითარებისათვის „პაიკების“ თავგამოდება საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ ქართველი „ცრუპატრიოტები“ ისეთი „პაიკებია“, რომელთაც არ იციან, როგორ ემსახურონ სამშობლოს“. როგორც დავინახეთ, ილიამ მეცნიერული ხილრმით უარყო ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა თეორიული საფუძველი და მასზე დაყრდნობით გამოთქმული ენობრივი თუ სხვა მოსაზრებანი.

ნ. ნიკოლაძემ თავის წერილში ნამდვილი მოღვაწის სახე დაახასიათა ტურგენიევის მხატვრული გმირის — ინსაროვის მიხედვით. აქ ხალხისთვის თავდადებულების თვისებების ჩამოთვლის დროს ისეთებიც დაასახელა, რომლებიც მინიშნებით საერთოდ უარყოფდნენ ილიას ჭეშმარიტ პატრიოტად ყოფნას. მაგ. „მამულის ნანგრევებზე ვერ გაიშენებს ის (ინსაროვივით თავდადებული მამულიშვილი — ლ. ჭ.) თავის კერძო ბედნიერებას, მამულისთვის ფუჭი ოხვ-

რით ვერ მოინდომებს და ვერ მოახერხებს შეძლება ან კეთილდღეობა მისთვის. ის ვერ გასუქდება, როცა მისი მამული მჭლეთ არის, ვერ გაძლიერდება, როცა მისი თანამემამულენი გალატაკებულნი არიან... იგივე ყმაწვილი, რომელიც ამბობს: „ღარიბნი ვართო“, მიბრძანდება და ორას მანეთის ტანსაცმელს ყიდულობს ან ყოველ ხალხის ხან სამ თუმანს აგებს ბანქოში, ხან ხუთს, ხან ათს, ხან ასხაც და უფრო მეტსაც, გულწრფელად, რომ უყვარდეს იმას თავისი მამული და მწერლობა, ნუთუ შესაძლო იქნებოდა ამკვარი შემთხვევა და სხვ. („საახალწლო“, 1886, გვ. 309-313. ხაზი ჩვენია — ლ. ჭ.). როგორც ვხედავთ, მოცემული მინიშნებებით გასუქებული ილია, რომელიც ხანდახან ბანქოსაც თამაშობდა, გამოირიცხულია იმათ რიგებიდან, ვისაც გულწრფელად უყვართ „თავისი მამული და მწერლობა“. აი, ნ. ნიკოლაძის ნაწარმოების საერთო პათოსთან ერთად ეს პირადი შურაცხყოფაც იყო მიხეზი იმ მკვეთრი გამოთქვამებისა, რომლებსაც ზემოთ ვავეცანით ნ. ნიკოლაძის „მამულის სიყვარულისა და მსახურებისადმი“ ილიას მიერ „დროებაში“ მიძღვნილი კრიტიკული წერილების სერიაში — „ფიჭრი და შენიშვნა“; ყოველივე აღნიშნულით აიხსნება, აგრეთვე „დროებაში“ ილიას მიერ დაბეჭდილი „მოწინავეის“ მკვეთრი გამოთქვამებიც.

ნ. ნიკოლაძემ პასუხი ვერ გასცა ილია ჭავჭავაძეს. მან ვერ დაიცვა ღრუპერის თეორია და მასზე აგებული სოციალური თუ ლიტერატურული შეხედულებანი. აზრთა ჭიდილის პუბლისტმა დაუსაბუთებელი ბრალდებები დაუპირისპირა: რომ ილია პრუსის მატყუარაა, იგი გონებრივად დაქვეითებულია. ფსევდონიმის არსი თავისთავად შეიცავს „ტყუილით“ თავის ვინაობის დაფარვას, მაგრამ იგი დანაშაულად ვერ არავის მიუხსენია, ამდენად ნ. ნიკოლაძის ბრალდებაც ვუმართლებელი იყო. რაც შეეხება ილი-



ას გონებრივად დაქვეითებას, ეს კამათში უნდა გამოვლავლებულიყო და არა ლიტონი განცხადებით. როგორც ვხედავთ, უსაბუთოდ შეურაცხყოფილი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, იონა მუხარაგიას ცნობით, დუელში გამოიწვია ნ. ნიკოლაძე. ამ ორი მოღვაწის ურთიერთობის შემდგომი განვითარებიდან, ვფიქრობთ, ჩანს, რომ ისინი თავიანთ დუელს ახალგაზრდული ჟინით ხსნიდნენ, ცნობილია ნ. ნიკოლაძის მოსწრებული მიმართვა ილია ჭავჭავაძისადმი: წელს ხად ისვენებთ, ბორჯომში ილია კოჯორი. ილიამ უპასუხა: არსად, ნი ბორჯომი, ნი კოჯორი. აქედან თვალახინია, რომ ნიკომ და ალიამ მომხდარი სამწუხარო ინციდენტი იუმორის საგნად აქციეს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძემ და ილია ჭავჭავაძემ დუელის „დანაშაული“ ერთმანეთს აპატიეს, ეს ფაქტი მაინც ისტორიული მნიშვნელობისა იყო და რჩება ისევე. ახლა, როცა ხელთა გვაქვს ილია ჭავჭავაძის ახლად გამოვლენილ ნაწერებში ნ. ნიკოლაძის „მაშულის სიყვარულისა და მსახურების“ ანალიზი, ამ ორი მოღვაწის მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობისათვის გვერდის ავლა უთუოდ ვეღარ მოხერხდება, არადა ამას ადგილი ჰქონდა ნ. ნიკოლაძის შესახებ დაწერილ ყველა გამოკვლევაში. თვით დ. გამეზარდაშვილის ნაშრომებშიც, სადაც „მაშულის სიყვარული და მსახურება“ „ჭეშმარიტებად“, „აღსარებად“ და იმ დროს დასმულ საკითხებზედ პასუხის ვაკემად არის გამოცხადებული, ერთი სიტყვითაც არ არის გამოყენებული იგი ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად. თუ აღნიშნულ ნაწარმოებში მოცემული ნიპილისტური შეხედულებანი ეროვნული მიმართულებისა და მისი მედრომის ილია ჭავჭავაძის შესახებ ისტორიულად, აგრეთვე, დღევან-

დელი გარდასახედიდანაც სწორედ იმისაა შინა რას ვერნით ილიას ყველა ჯურის მოწინააღმდეგეებს. ჩვენი აზრით, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა დღეს ისეთ დონეზეა, რომ ილიას ახლად გამოვლენილი ნაწერების გარეშე ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს როგორც სუბიექტურსა და მცდარს, სათანადო შეფასება უნდა მისცემოდა.

აღნიშნულზე ჩვენ მხოლოდ სათანადო სპეციალისტების ყურადღებას მივაქცევთ. ილიას და ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობრივი ურთიერთობის სრულყოფილი შესწავლა, თუნდაც მათი ამ პოლემიკური ნაწარმოებების მიხედვით, ვფიქრობთ, ცხადია, რომ ამ ნაშრომში ჩვენს მიზანს არ შეიძლება წარმოადგენდეს. ჩვენ მხოლოდ ილიას ახლად გამოვლენილი ნაწერებიდან ზოგიერთ ამონაწერს მოვიტანთ, რომელიც საკითხით დაინტერესებისათვის წინასწარ წარმოუყენას კმნის:

„ვიცი წერს ილია, — რომ ეს ანალოგი (შედარება) მთლად უფ. ნიკოლაძის მოვინილი არ არის, ვიცი რომ არიან მეცნიერნი, — მაგ. დრეპერი, — რომელნიც ხალხის ცხოვრებას მთლად ადარებენ კერძო ადამიანების ცხოვრებას. დრეპერის აზრით, როგორც კერძო ადამიანი იბადება, ბერდება და ბოლოს კვდება, ისე ხალხიც იბადება, ბერდება და კვდება... რა გამოდის აქედამ? არაფერი, გარდა იმისა, რომ დრეპერი ამ აზრისაა. უფ. ნიკოლაძეს სრული უფლება აქვს დაეთანხმოს უფ. დრეპერს; მაგრამ არავითარი უფლება არა აქვს, იმ კილოზე ილაპარაკოს, თითქო ყველა ეს შეურყეველი ჭეშმარიტება იფოს მეცნიერებისა. მაგრამ, როგორც ეტყობა არც თვითონ ნიკოლაძე ეთანხმება მთლად დრეპერს, რადგანაც ამბობს — „ხალხის ზღაც იმნაირივე რაგზე წარმოებს დასაწყისში, როგორც ბავშვისა“. ეს სიტყვა დასაწყისში განსაკუთრებულ ფერს ახდებს უფ. ნიკოლაძის ქადაგებას და მხდის მას (ქადაგებას) ავტორის საკუთარ მოგონებათ. კარგათ

მესმის უფ. ნიკოლაძის ორ წყალს შუა დგომა: ერთის მხრით უფ. ნიკოლაძეს დასჭირდა დრეპერის აზრი, ანუ უკეთ ვთქვათ, დრეპერის ანალოგია, მეორეს მხრით, ახსოვს რუსეთის გამოჩენილ მწერლის (რომელსაც უფ. ნიკოლაძე წამ და უწუმ ამოეუღებდა ხოლმე, საცარიეგია და საცა არა) აზრი, რომ ხალხი არას დროს არც ბერდება და არც კვდებათ თავისით და ამის თქმა ბრიყვობა არისო. უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკდონელსავე მოიქცა: აიღო დრეპერის ანალოგია, შუაზედ გასჭრა, ე. ი. ჩაურთო სიტყვა „დასაწყისში“, ხალხის ცხოვრების მსვლელობა მხოლოდ დასაწყისში ემსგავსება ადამიანის სიცოცხლის მსვლელობასო, მერე კი აღარაო. როდემდე, სადამდე, რას ნიშნავს „დასაწყისში“? გულა ამაზედ სურას უკაცრავად. აი, საქმის „მეცნიერი“ გადაწყვეტა ამას ქვიან.

პირ-და-პირ დრეპერის ანალოგია რომ აუღო უფ. ნიკოლაძეს და მასზედ დაეყარებათ თავისი შემდგომი მსჯელობა, მაშინ, რასაკვირველია, არც არაქონს მოკითხავდა საბუთს. მსურველს შეეძლება საბუთი პირდაპირ დრეპერის თხზულებაში მოეძებნა (იპოვიდა, თუ არა — ეს სხვაა). ეხლა კი, ვიპოვებ, უფ. ნიკოლაძემ მოიგონა თვისი საკუთარი ანალოგია და გულ-მსუბუქად, წარბ-მეუკრელად ბრძანებს ვით უეჭველს, მეცნიერების ტექსტარტებას. დაფიქრდა თუ? შენ არ მომიკვდე, ბრძანა და გასწია: „დასაწყისში თითოეული ხალხი უძლეური და უსუსურია, მალე „მას ძიძა ან მომვლელი უნდება...“ და სხვ. და სხვ. შედარება შესაძლებელია მხოლოდ ერთისა და იმავე გვარის საგანთა შორის. ვიდრე შედარებდეთ ორ საგანს ერთი ერთმანეთში, უნდა დაამტკიცოთ, რომ ეს ორი საგანი მართლა დასადარებელი არიან. თქვენი შედარება მხოლოდ ამ პირობით შეიქმნება რისთვისმე გამოსაყენი და მხოლოდ მაშინ მიეცემა მას რაიმე სამეცნიერო ღირსება. თორემ შეიძლება შედარებისაგან სა-

მეცნიერო კი არა, სამასხრად მოვიდეს, როგორც გამოვიდა უფ. ნიკოლაძის შედარებისაგან: ხალხით (სწორედ, როგორც კერძო ადამიანი) დაიბადება თუ არა, მაშინვე ძიძას ან (თუ დედა თვითონ აწოუებს, განა!) მომვლელს უყურებენო, ხელფეხს მაგარი არტაშენით უკარავენო... მთელი საუკუნოები რჩებაო ხალხი ამ ნაირად აკანში, შემდეგ კბილები ამოხდის, ღონე ეძლევა... და სხვ. და სხვ.

სწორედ მოვახსენით, ეს იმისთანა მასხრად აგდება თვითონვე ნიკოლაძის მიერ წამოყენებულის აზრისა, რომ ამაზედ უკეთესი დაცემის მოკონება ძნელია“ („დროება“, 1880, № 39).

„უფ. ნიკოლაძე ბრძანებს — წერს ილია „დროების“ მითითებულ ნომერში, — ეს ჩემი „ოთხი“ ჰეროიდი ყოველი ხალხისათვის აუცილებელიაო, რადგანაც სხვა ხუთს, ექვს, ოცს ხალხს ამ გზაზედ გაუვლიაო. აქ კი სწორედ მოვახსენით, მებრალება უფ. ნიკოლაძე: სრულიად დაიწყება ზემოხსენებულის რუსის გამოჩენილ მწერლის აზრი ამ გვარ საბუთებზე და ჩამდგარა რუსეთის აწინდელი დროის „პლუტოკრატების“, რაზმში, რომელნიც, სხვათა შორის, ამბობენ: რაც შეიძლება მალე უნდა მოვაშორეთ გლეხი მიწასაო და „პროლეტარიატი“ გავაჩინოთო, რადგანაც ვეროპის ზღის კანონი ამას მოითხოვსო. თუ კი ისინი... ჩვენც... და სხვა. მებრალება მეოქი უფ. ნიკოლაძე, რადგანაც არა მგონია მისთვის სასიამოვნო იყოს ეს მეზობლობა.

თითქმის ესევე უნდა ითქვას იმაზედაც, რასაც უფ. ნიკოლაძე ამბობს შესახებ კერძო პირზედ ისტორიაში, მითომ იგი „პაიკი“ იყოს და სხვა. ვინც ამისთანა ყოვლად „ბურჟუაზიულ“ აზრს (სენსერისა იქნება) აღიარებს, მას აღარ შეშვენის „ინსაროებზე“ ლაპარაკი“.

როგორც ვხედავთ, დრეპერის თეორიის გამო ილია ნ. ნიკოლაძეს აკრიტიკებს ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებებზე მინიშნებით. ცნობილია ი. ჭავჭავაძის ღრმაზროვანი შეხედულებანიც ის-



ტორიაში პიროვნების როლზეც, მაგრამ აქ მან სათქმელი მოკლედ მოსჭრა, რადგან „ცრუპატრიოტებში“ იგი ყველაზე გამოჩენილი ნ. ნიკოლაძის „პაიკი“ იყო და მხეველობას თავის დაცვის ხასიათი მიეცემოდა. ვფიქრობთ, მოტანილი ამონაწერები (ნაშრომის დასაწყისში და სხვაგან მოტანილებთან ერთად: საზოგადოებრივი მოვლენების ლიტერატურის ისტორიის მაგალითებით ახსნა და სხვ.) გეიჩვენებენ, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი უდავოდ მეცნიერული პოზიციებიდან არის უარყოფილი. როცა ილია „დროების“ მოწინავეში პუბლიცისტს მკაცრად შენიშნავდა, რომ იგი „არავის და არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი სულელური აზრი დაიცავს და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს“, ნათქვამის უკან ილიას ახლად გამოვლენილ პუბლიცისტურ წერილებში ნ. ნიკოლაძის მცდარი აზრების შესახებ მეცნიერული საფუძვლიანობით მიღებული დასკვნები იდგა.

ილია ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის განსხვავების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საყურადღებოა ილიას კიდევ ერთი შენიშვნაც: „უფ. ნიკოლაძის აზრით, ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ ეკონომიკური უსწორ-მასწორობა შეამციროს, ეცადოს რომ უსამართლო უთანასწორობა მოსპოს, და სხვაკვირველი ახალი აზრები ჰქონია უფ. ნიკოლაძეს!“ ამ აზრებისთვისაც კიდევ ამოეყუდა რუსის გამოჩენილ მწერალს და ამბობს: „მიეცით ხალხს საკვები, და სწავლას ის თვითონაც შეიძენსო“, გონიერათ თქვა ამ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუპატრიოტები ოდესმე დიდ პატივს სცემდნენ“. როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკიზე მითითებითაც ამტკიცებდა, რომ ძირითადი იყო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, ხოლო ილიას ასეთი მიმართულება არ აკმაყოფილებდა, თუნდაც იგი ჩერნიშევსკის ავტორიტეტით ყოფილიყო გამაგრებული. ცნობილია, არ უარყოფდა რა

ქართული ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნებს ვას, ილიასთვის ბრძოლისათვის მიმართულება იყო ეროვნული თავისუფლების მოპოვება. ადვანად, ახლად გამოვლენილი ნაწერების შუქვსადაც უარყოფილია ნ. ნიკოლაძის „მამულის სიყვარულსა და მსახურებაში“ მოცემული თეორიული საფუძვლები და საზოგადოებრივი შეხედულებანი, ჩვენი აზრით, არააბიექტურად გამოიყურება, 60-იანი წლების შემდეგდროინდელი ყველა საზოგადოებრივი აზრის ერთი-ეროვნულ-განმათავისუფლებელი მსოფლმხედველობისადმი მიკუთვნება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5); ეს ერთიანი ნაკადის თეორია ზემოთ მოცემული პოლემიკის ფონზე, ჩვენი აზრით, გადახასნივია. რანაირად შეიძლება მოღვაწეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მსოფლმხედველობა ჰქონდეს, როცა მას ილიას მიმართულება „ცრუპატრიოტობად“ და მამულზე უსარგებლო ოხვრად მიაჩნია.

ილიას ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის არშემდგარ დუელს, როგორც ახლად გამოვლენილი ნაწერები გვიჩვენებენ, წინ ნამდვილი და შემდგარი იდეოლოგიური დუელი უძღოდა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, ისე პოლემიკის კულტურის ამძლვებლსათვის. ილიამ, როგორც ვრ. ყიფშიძეც აღნიშნავდა, შინაურების შემოტყვევისაგანაც მედგრად დაიცვა თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია მისი მეცნიერული საფუძვლების განმტკიცებით. დუელის შემდეგ ქართველი მოღვაწეებისათვის თვალსაჩინო ვახდა, რომ ლიტერატურული პოლემიკა ზღვარდაუღებელი არ შეიძლება იყოს, თორემ მას კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს. 80-იანი წლების შემდეგდროინდელ პუბლიცისტიკაში გამოკვეთილად ჩანს ილიას და ნ. ნიკოლაძის დუელის გათვალისწინება: თვით დუელანტები, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვები თავის წერილებში ხშირად

შენიშნავდნენ, რომ ისინი ეხებიან საზოგადოებრივად მტკივნეულ საკითხებს და კერძო პიროვნება არა ჰყავთ მხედველობაში (ილიას თქმით „სახეში“)

დუელის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის, სხვა პროგრესულ მიმდინარეობებზე გამარჯვება გამოიხატა, როგორც პირადად ილიას მაგალითით, ისე საზოგადოდ ამ მიმართულების წარმატებით. ილია ჭავჭავაძემ 80-იანი წლებიდან იანოვსკისა და კატკოვის წინააღმდეგ გალაშქრებით, „განდევილისა“, „ოთარანთ ქვრივისა“ და სხვა მხატვრული ნაწარმოებების დაწერით, პუბლიცისტიკის მარგალიტების: „აი ისტორიისა“ და „ქვათა დაღის“ შექმნით, „ივერიის“ რედაქტორობასთან ერთად „მოწინავეებისა“ თუ სხვა ხელმოუწერლად დაბეჭდილი ნაწერების სახით, რომლებმაც ჩვენს გამოკვლევებში მოცემული დასაბუთებების მიხედვით ამ ტომს გადააჭარბა, თავის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი მასშტაბით კარგად დაუმტკიცა მოწინააღმდეგეებს, ვინებრთვად როგორც „დაქვეითება“ განიცადა მან. რეაქციის შემოტყვის პერიოდში ილიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის საბრძოლო დროშა სახელოვან დროშიონთან ერთად დაუხრელად ატარა XIX საუკუნის დასრულებამდე. იგი გვახსენებდნენ დღესაც, XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერული დასაბუთებით ილია ჭავჭავაძისადმი მიკუთვნებული ახლად გამოკვლილი ნაწერების რაოდენობამ ამ ტომს გადააჭარბა. ცნობილია, ამის შედეგად ილიას არსებული ავტოგრაფული ოცტიმეულად გადაიტყა და მისი ხუთი ტომი უკვე გამოცემულია. მუშაობა გრძელდება. ჩვენს წლიურ ნაშრომებში, რომელთა პუბლიკაცია არსებული ვითარების გამო, სამწუხაროდ, გაძნელებულია (მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის თითქმის ჩაშლა), კვლავ გვაქვს მოცემული მტკიცებანი,

რომლის მიხედვით ილიას ფუტკომეულს 3-4 ტომი უკვე მიუძღავს. არამცაღმდეგ მნიშვნელობისაა იმ მრავალტომეულების მასალა, რომელიც აკადემიურად მომზადებული დევს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების სეიფებში. მაგ. გ. წერეთელს თუ დღეს ორი ტომით ვიცნობთ, სეიფში დევს თორმეტი ტომი, თედო რაზიკაშვილს თითქმის არ ვიცნობთ მთლიანობაში, სეიფში კი აკადემიურად მომზადებული სამი ტომი დევს, შიო არაგვისპირელის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ვერა და ვერ განხორციელდა საიუბილეო შეპირებების მიუხედავად, სეიფში კი დევს ჩვენგან აკადემიურად მომზადებული სამი ტომი, რომელიც დიდძალ უცნობ მასალას შეიცავს. ასევეა სხვა კლასიკოსების მიმართაც.

აღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, რომ საზოგადოების კულტურული განვითარება აშკარად ჩამორჩა მეცნიერების მიღწევებს. კლასიკოსთა მიერ ჩვენთვის შექმნილი საზრდო სეიფების არტახეზშია მოქცეული, ხალხი კი სულიერ დევრადაცაის განიცდის. ჩვენი დიდი ჰუმანიტების მეშვეობით მოძღვართა სიტყვას მოკლებულნი ეშმაკის გზას დაადგნენ და შარაგზის ყაჩაღობა გმირობად მიაჩნიათ. ამდენად, უფიქრობთ ამ მიმართულებით, როგორი ეკონომიური გაჭირვებაც უნდა გვქონდეს, ზარების დარისხებაა საჭირო. უნდა შეიქმნას სპეციალურად კლასიკოსთა გამოცემის დანიშნულებით ლიტერატურული ფონდი, როგორც ეს გააკეთეს XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისშიც, წერა-კითხვის მცირეცოდნეობისა და ცნობილი აღრუელობების დროს. ამის გაკეთება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თვითდინებას დავემორჩილებით, ვერც ილიას უცნობი ნაწერების და ვერც სხვა კლასიკოსების მდიდარი მეშვეობის გაცნობას ქართველობა ნახევარი საუკუნის განმავლობაშიც კი ვერ ეღირსება. ამას რა მოჰყვება, დღევანდელი ვითარება მისი სწინდარია.

„ჭაშნიკი“ — 265

„ჭაშნიკმა“ ისევ გაგვახსენა თავი. ვვხდის, რომ პოეტაიკის ამ პირველ ქაშარმან მისი დაწერიდან 265 წელი შესრულდა. საკმაოდ გრძელი ისტორიაა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მამუკა ბარათაშვილამდე თეორიული ტრაქტატი არა თუ პოეტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობის არც ერთ სფეროში არ დაწერილა, „ჭაშნიკს“ კიდევ შუტი ფასი ედება. იგი პირველი ქართული ტრაქტატი, პოეტაიკის სახელმძღვანელო, „ლექსის სწავლის წიგნი“.

უშედეგო აღმოჩნდა ყველა მცდელობა „ჭაშნიკის“ მიხნევისა ჩვენში ადრე არსებული ანალოგიური ნაშრომის რესტავრაციად, ანდა არისტოტელესა თუ პორაციუსის შეხედულებათა გამოახილვად. იგი ორიგინალური თხზულებაა, ვახტანგ VI-ის დაჯალბებით დაწერილი ემიგრანტი პოეტის მამუკა ბარათაშვილის მიერ.

გამორიცხული არ არის, რომ პოეზიის ქვეყანაში, სადაც 5 საუკუნის წინ „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა, ლექსის წეს-კანონების შესახებ ადრეც რაიმე დაწერილიყო, მაგრამ ფაშთა სიავემ ყველაფერი შთანთქა და, აი, შეგვრჩა „ჭაშნიკი“. შეგვრჩა პირუანდელი, ავტორისეული ნუსხით და მოხდენილი, უნიკალური დასაწყისით: „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“.

ყოველივე ზემოთქმული ვალდებულს

ავტორის პოზიციას რედაქცია არ იზიარებს.

როულ ტრაქტატს დიდი გულისყურით მოვეკიდოთ. მცდელობა არ დაგვივლია, „ჭაშნიკის“ ავტოგრაფი ათეული წლების განმავლობაში სათუთად ინახებოდა პეტერბურგში ითანე ბატონიშვილის კოლექციაში. შემდეგ, 1900 წელს, ალ. ხახანაშვილმა დაბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ მოკლე განხილვა-შეფასებით. 1920 წელს გიორგი ლეონიძემ ცალკე წიგნად გამოსცა ვრცელი გამოკვლევით, ხოლო 1954 წელს გ. მიქაძემ მეცნიერულად დადგენილი ტექსტით და კომენტარებით გამოაქვეყნა მის მიერ შედგენილ „ქართული პოეტიკის ქრესტომათიაში“. აკაკი გაწერელია მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“ (1953 წ.) ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიას „ჭაშნიკით“ იწყებს.

საგანგებოდ აღინიშნა „ჭაშნიკის“ დაწერის 250 წლისთავი. რესპუბლიკის თითქმის ყველა ჟურნალი და გაზეთი გამოეხმებურა ამ თარიღს. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში სპეციალური სამეცნიერო სესია ჩატარდა. სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები: „მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (გ. მიქაძე), „ჭაშნიკის“ ესთეტიკური პრობლემატიკა“ (გ. ჯიბლაძე), „ჭაშნიკის“ ვერსიფიკაცია“ (ა.გ. ხინთიბიძე), „ჭაშნიკი“ და ნორმატიული პოეტიკის ტრაქტატები“ (რ. ბარამიძე), „ჭაშნიკის“ ტრადიციე-

ბი ქართულ ლექსმცოდნეობაში“ (აბ. სილაგაძე), „ჭაშნიკი“ და ვაქტანგ VI“ (ბ. დარჩია), „ჭაშნიკის“ უნა და სტილი“ (ნ. კოტინოვა), „ჭაშნიკი“ და ხალხური შემოქმედება“ (ჯ. ბარდაველიძე). სესიას უძღვებოდა ალ. ბარამიძე.

იმავე 1981 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა „ჭაშნიკი“ ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტით, ვარიანტებით, კომენტარებითა და გამოკვლევით. გამოცემა ორენოვანია. ითარგმნა არა მხოლოდ ტრაქტატის ტექსტი, არამედ გამოკვლევა და შენიშვნებიც, რუსული თარგმანი ეკუთვნის გიორგი წიბახაშვილს. მაგრამ „კრიტიკის“ 1984 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა აკაკი ვაწერელიას რეცენზია — „მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ ახალი გამოცემის გამო“, რომელშიაც ავტორმა სრულად წარმოვედგინა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება როგორც „ჭაშნიკის“, ისე მისი გამომცემლის მიმართ.

რეცენზიის პირველსავე აბზაცში ვკითხულობთ: „ახალი გამოცემის ტექსტი ხელახლა შედარებული ხელნაწერებთან. წიგნში დაბეჭდილია „სწავლის“ რუსული თარგმანი, დართული აქვს შენიშვნები (რუსულად). გასწორებულია შეცდომები“ (გვ. 114). როგორც ვხედავთ, ნახსენები არ არის, რომ გამოცემას დართული აქვს გამომცემლის ვრცელი ნარკვევა — „ჭაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა“. საერთოდ რეცენზიაში თითქმის ყოველთვის ჩვენ მოხსენიებული ვართ, როგორც მხოლოდ გამომცემის რედაქტორი.

მეორე აბზაციდან მამუკა ბარათაშვილის დამცირება იწყება: „მამუკას ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მან თავი მოუყარა ქართული ლექსის ზოგიერთი საზომისა და სტროფის ნიმუშებს. თუმცა იგი ამ სფეროში ორიგინალური არაა — მას წინ ედო საბას მიერ გაჩაღებული „ქილილა და დამანა“ (იქვე).

ამავე აბზაცში „ჭაშნიკის“ ავტორი დახასიათებულია, როგორც კომპილატორი („მამუკა კომპილატორი“). სინა-

მდეილემი „ჭაშნიკი“ ლექსის ადრინდელი საზომთა თავმოყრა კი არ არის, არამედ მათი ანალიზია. თავმოყრა მხოლოდ ტრაქტატის მეოთხე ნაწილზე — ქრესტომათიაზე ითქმის, რომელშიაც წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანისა და ვაქტანგ VI-ის მიერ შემოღებული სალექსო ფორმები. ხოლო შაირი, გრძელ-შაირი, ჩახრუხაული, გრძელჩახრუხაული, შეწყობილი, მდენარი, წყობილი მრავალმუხლი, გრძელედი შაირი სამკვეთი და სხვ. მეტრიკის კანონების მიხედვით არის განხილული.

„ახლა ეს ვთქვათ, თუ ლექსი როგორ უნდა სთქვას, ვისცა უნდა“, — ასე იწყებს მამუკა ბარათაშვილი თავისი თხზულების შესაშვ, ძირითად ნაწილს. კერძოდ შაირის (თანამედროვე ტერმინოლოგიით — ძალადი შაირის) შესახებ ნათქვამია: „ეს შაირი თითო სტრიქონი ოთხად გაიყო. დახედე, თითო-თითო ორი სიტყვა შეუწყვიტა, თუ ერთი, თუ მეტი. ის მეოთხედი გაიჭრება, მერმე მეორე მუხლი მოეშვოს, მერმე შესაშვ და მერმე მეოთხე. ისიც გახინჯე, თავის მუხლი როგორ არი და იმას ქვეითები როგორ არის. აგრევე სტრიქონი თავისა როგორ არის. მეორე, შესაშვ და მეოთხე სხვა სიტყვა რომ ასე გააწყო, ლექსი იქნება“.

„ჭაშნიკის“ ამ ნაწილზე გვაქვს ნათქვამი (და არა მთელს ტრაქტატზე, როგორც რეცენზენტის მოგვაწერს), რომ სკრუპულოზური სიზუსტით არის შესრულებული-თქო. ამ სიტყვას ძალზე გულშიანება რეცენზენტი. „სკრუპულოზური“ კი მეტს არაფერს ნიშნავს თუ არა ზედმიწევნით ზუსტ, დაწვრილებით განხილვას რაიმესი. მამუკა ასწავლის ახალგაზრდა პოეტებს ლექსის დაწერას („სწავლა ლექსის თქმისა“), ლექსწყობის ანა-ბანას. სწავლება სწორედ ანბანით იწყება.

ახლა ვიკითხოთ, რატომ არის მამუკა ბარათაშვილი „კომპილატორი“? თურმე იმის გამო, რომ საზომის სქემათა გრაფიკული გამოხატვისას იგი მიმართავს არაბულ-სპარსულ პოეტიკაში მი-

დებულ წესს — ლექსის საზომის გადმოცემას სილაბურად განსაზღვრული რაიმე სიტყვით („მიჯნური“ და მისი ვარიანტები). ეს არის და ეს. სხვას ვერაფერს ვიპოვით „ჭაშნიკში“ არა ორიგინალურს, სხვათაგან გადმოტანილს. კომპილაცია კი ნაშრომში სხვადასხვა ავტორთა შეხედულებების თავმოყრას ნიშნავს. არავითარი ამის შესავალი. „მამუკა ბარათაშვილი ქართული ლექსის ბუნების ცოდნას ამჟღავნებს“ (კორნელი კეკელიძე), „ჭაშნიკში“ გამოთქმული მოსაზრებანი ქართულ ლექსზე მამუკას უშუალო დაკვირვების შედეგია“ (გ. მიქაძე).

ლექსის საზომის გადმოსაცემად არაბულ-სპარსული პოეტიკისათვის რომ არ მიეძართა, არამედ, ვთქვათ, ინგლისურ ან გერმანულ პოეტიკაში მიღებული ტერფებისათვის (ქორე, დაქტილი და სხვ.), მაშინ იგი კომპილატორი არ იქნებოდა. ასეთია რეცენზიის ავტორის ლოგიკა.

და ეს დამამირებელი ეპითეტი — „მამუკა კომპილატორი“, სხვათა და სხვათა წყალობით, გადადიოდა ვაზეთიდან ვაზეთში, ჟურნალიდან ჟურნალში, წიგნიდან წიგნში და მამუკა ბარათაშვილი „კომპილატორის“ იარღივით შევიდა პოეტიკაში გაუცნობიერებელი მკითხველის ცნობიერებაში. ასე დავაფასოთ ჩვენი წინაპრის ამაგი.

იმ პოლიტიკური არეულობის, დაცემისა და დაკნინების ვაჟს, როცა მეფე ქვეყნიდან არის გადახვეწილი და სამშობლო დაღუპვის პირას დგას, ემიგრანტი პოეტი თავისი ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ფიქრით პოეტიკის სახელმძღვანელოს წერს და ჩვენ კი, იმის ნაცვლად, რომ მაღლობით მაინც მოვიხსენიოთ, დაცვინით და აბუჩად ვივადებთ მას.

მაინც რატომ არის ასეთი მკაცრი და დაუნდობელი ჩვენი რეცენზენტი? „ჭაშნიკის“ ავტორს ქართული ლექსი სილაბურ ლექსად მიაჩნია. იგი სიტყვას არ სძრავს ლექსის მახვილზე, ტონურობაზე, ტერფოვანებაზე. მართალია, არც მარცვალს (სილაბას) ახსენებს, მაგრამ

სილაბურად განსაზღვრულ ლექსის საზომის გადმოცემას სილაბურობის პოზიციასზე ლომას ნიშნავს. მაგალითად, მაღალი შიარის მიმუკასული სქემა: მიჯნურობა/მიჯნურობა/მიჯნურობა/მიჯნურობა — იფიგა, რაც 4/4/4/4. სილაბურობის სასარგებლოდ შეტყვევებს ცეზურებიც, რომლითაც დასერილია „ჭაშნიკში“ ფიქსირებული სალექსო ფორმები. აკაკი გაწერულია კი უღმობლად ებრძვის ყველას, ვინც კი ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობას არ აღიარებს. „ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიაში“ ამ ნიშნით ჰკავს შეფასებული ჩვენი ლექსწყობის მკვლევარი. კერძოდ, საკმაო პატივს მიაგებს მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა და, ბუნებრივია, ქართული ლექსისაც არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იგი ტონურად (სილაბურ-ტონურად) მიანნდა. მის სამეკერდიან ნარკვევში, რომელიც შეცდომებითაა საკვს, ქართული ლექსის საზომები ტერფებითაა გადმოცემული, რაც სრულიად საკმარისი ვახდა აკაკი გაწერულიასათვის, რომ ევგ. ბოლხოვიტინოვი ქართული ლექსის მკვლევართა შორის ავტორიტეტად მიეჩნია. ამავე დროს, იგი ამ საგანგებო დანიშნულების ნაშრომში სრულიად არ ახსენებს ვრიგოლ ვიფშიძეს, რომელსაც ეკუთვნის „სიტყვიერების თეორიაში“ (1898 წ.) მოთავსებული ნარკვევი „ქართული ლექსწყობა (ვერსიფიკაცია)“. არ ახსენებს იმიტომ, რომ ვრ. ვიფშიძე დამაჯერებლად ასაბუთებს ქართული ლექსწყობის სილაბურობას.

„მამუკას სქემები იმიტომ არის უვარგისი, წერს რეცენზენტი, რომ ვერ ითვალისწინებს ტაქების აქცენტურ რიგს. არ იცნობს ტერფის ცნებასო“. თუკი არუზის სისტემას მიძართა, რატომ მასში არსებული ტერფები არ დაინახაო, არუშიც ხომ გამოყოფენ სალექსო ტერფებსო? (119, 123).

არუზი მამუკას ესაჭიროებოდა მხოლოდ და მხოლოდ სილაბურად განსაზღვრული სიტყვებით ლექსის საზომის გა-

დმოცემის გამო, რომ სცოდნოდა, ფრანგულ ლექსწერობაში საზომს ციფრებით გადმოსცემდნენ (33/33), მაშინ ფრანგულს მიმართავედა (თუმცა მაშინაც „კომპილტორი“ იქნებოდა!).

მამუკა ქართველი პოეტია და იცის, რომ ქართულ ენასა და ლექსში არ არსებობს გრძელი და მოკლე მარცვლები, რაც არუზის მეტრულ სისტემას ქმნის, იცის, რომ ქართულს არც ძლიერი და თავისუფალი მახვილი ახასიათებს, რომ სალექსო ტერფი ჩამოაყალიბოს.

რეცენზენტის სიტყვები, თითქოს ჩვენ „ჭაშნიკის“ გამოცემელს, ასეთი მაგალითები შეგნებულად არ მოგკონდეს“, მართებული არ არის, სათანადო ციტატაც მოვიტანეთ ვ. მიქაძის ნაშრომიდან „მამუკა ბარათაშვილი“ (გვ. 41), ხოლო გამოკვლევის 45-ე, 48-ე, 49-ე და სხვა გვერდებზე საგანგებოდ არის მოტანილი „ასეთი მაგალითები“.

განსაკუთრებით მკაცრია რეცენზენტი გამოცემლის მიმართ, როცა ვამბობთ: „ჭაშნიკს“ აქვს რაღაც საერთო პოეტიკის ზოგად თეორიასთან“. „ყველაფერი ეს ტყუილია!“ ხაზგასმით წერია „კრიტიკის“ 119-ე გვერდზე.

არისტოტელეს ბუალოსთან ერთად იქ ვახსენებთ, სადაც პოეტიკის ნორმატიულობაზე ვსაუბრობთ. „ჭაშნიკი“ ხომ ნორმატიული პოეტიკის სახელმძღვანელოა?! „ნორმატიულობა მაშინ პოეტიკის საერთო თვისება იყო“, – ვწერთ ჩვენ (მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 40). „წარსულში ყველა პოეტიკა არსებითად ნორმატიული იყო“, – ვეიბრუნებს სიტყვას რეცენზენტი („კრიტიკა“, გვ. 116) და ვეიდასტურებს ჩვენსავე ნათქვამს.

სხვას რომ თავი დაეანებოთ, განა სპარსულ მოლექსებზე უშუალო მითითება და რაიმე სიტყვით ლექსის საზომის გადმოცემა არ ნიშნავს მსოფლიო პოეტიკასთან „რაღაც“ კავშირს?! აღმოსავლეთი გამოვითმით მსოფლიოს ცნებიდან?

„ასეთი ვარაუდის დაშვებაც არ შეიძლება“, – გვსაყვედურობს რეცენზენტი, როცა ვწერთ: „ეს დიდი მოძრაობა

ვერობულ პოეტიკაში მამუკა ბარათაშვილისათვის ალბათ სრულად უცნობი არ იქნებოდა“ („სწავლა ლექსის თქმისა“, გვ. 39). რას ვგულისხმობდით? ნიკოლა ბუალოს გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ საფრანგეთს ეწვია სულხან-საბა ორბელიანი და იმყოფებოდა ლუი XIV-ს კარზე, სადაც ბუალო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. განა მწერალი და მეცნიერი, „ქილილა და დამანას“ გამლექსავე არ დაინტერესდებოდა ბუალოს პიროვნებით და მისა „პოეტური ხელოვნებით“ და რაიმე ცნობას არ ჩამოიტანდა მის შესახებ? მართალია, „მოგზაურობაში“ ამის თაობაზე იგი არაფერს წერს, მაგრამ ნუთუ პირად საუბარში თავის ვაზრდილ მეფესთან – პოეტთან და მეცნიერთან ამის შესახებ არაფერს იტყოდა?! ან თავად ვახტანგ VI-ს – უგანათლებულეს მეფეს, არაფერი ეცოდინებოდა პოეტიკური ტრაქტატების შესახებ და როცა თავისი ამაღლის წევრს ანალოგიური თხზულების დაწერას ავალებდა, ნუთუ სათანადო რჩევადარიგებას არ მისცემდა?

უფიქრობთ, ასეთი ვარაუდის დაშვება საკსებით შესაძლებელია.

ამრიგად, მამუკას რომ „ვერობულ ენაზე შექმნილი არც ერთი საპოეტიკო ნაშრომისათვის ხელი არ მიუწვდებოდა“ (აკ. ვაწერელია), იმას არ ნიშნავს, რომ მათ შესახებ სრულიად არაფერი სცოდნოდა. ეს „ჭაშნიკის“ არქიტექტონიკასაც ეტყობა. იგი პოეტიკის ტიპური სახელმძღვანელოა. იწყება შესავლით, ე. ი. ზოგადთეორიული ნაწილით; შემდეგ განხილულია ქართული ლექსის ფორმები („ლექსი მრავალ ხმა არის“); მესამე თავში დაწერილებითი საუბარია იმაზე, თუ ლექსი როგორ უნდა დაიწეროს („ახლა ეს ვთქვათ, თუ ლექსი როგორ უნდა თქვას, ვისცა უნდა“) და ბოლოს დართული აქვს ქრესტომათია იმ სალექსო ფორმებისა, რომლებიც თხზულებაში განალიზებული არ არის.

მამასადამე, საეჭვო არ არის, რომ „ჭაშნიკის“ ავტორმა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით – არაბულ-სპარ-

სულ პოეზიაზე უშუალო მითითებით თუ ვეროპულ ტრაქტატებზე ზოგადი წარმოდგენით — იცოდა, როგორ უნდა დაიწეროს პოეტიკის სახელმძღვანელო.

დავუბრუნდეთ მთავარსა და არსებითს, რის გამოც დაიწერა ეს თავიდან ბოლომდე ნიპილისტური რეცენზია: მამუკა ბარათაშვილს ქართული ლექსწყობა სილაბურად მიანია, რეცენზენტის ვრცელი მონოგრაფია „ქართული კლასიკური ლექსი“ კი ქართული ლექსწყობის სილაბურ-ტონურობის მტკიცებაა. „ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიაში“ ავტორი წინ წამოსწევს იმათ სახელებს, ვინც მის პოზიციაზე დგას. ერთ-ერთ ასეთ მკვლევრად მან თვითურაზ ბაგრატიონი მიიჩნია. როცა შევეკამათეთ, რომ თვითურაზის სიტყვები: „განმსინჯველი ლექსთა ქართულთა ამას შინა შესცდების ფრიად, უკუეთუ არა უწყის ესე, რომელ სტიხთა შინა ხმოვანთაგანთა აქესთ თვითეულს ძალი სრულისა სამარცვლისა რომელიმე ადგილთა შინა“ — არ გამოდგება იმის დასტურად, რომ აქ ავტორი ძლიერ (მახვილიან) და სუსტ (უმახვილო) მარცვლებს გულისხმობდეს, რომ ძალი ძლიერს კი არ ნიშნავს, არამედ ძალას: ქართულში ყოველ ხმოვანს ყველა შემთხვევაში მარცვლის შექმნის ძალა არა აქვსო (იხ. ჩვენი „ქართული ლექსის ბუნებისათვის“, 1956, გვ. 6), — ჩვენს შენიშვნას დუმილით აუარა გვერდი. თვითურაზ ბაგრატიონის ნაშრომს მამუკა ბარათაშვილის ვაგლენაც ეტყობა.

ასე რომ, რეცენზენტი ამაოდ ცდილობს ძველ მკვლევართა მიმხრობას.

და ეს „დაბალ თეორიულ დონეზე დაწერილი თხზულება“, რომლის ავტორი ბატონ აკაკისაგან პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას, და მისი საგანგებო გამოცემა, რომელიც ტექსტიკითა და მთელი მეცნიერული აპარატით რუსულ ენაზეა თარგმნილი, რეცენზენტისათვის ძნელი მოსაწვლელი აღმოჩნდა. მასში „ქართული კლასიკური ლექსის“ ავტორმა თავისი პატივმოყვარეობის შეღავა დაინახა.

ესეც „ჭაშნიკთან“ დაკავშირებით მოხდა. ერთ ცნობილ ლიტერატურულ მუშაობაში ჩვენს „ჭაშნიკის“ ჩვენეული გამოცემა მივართვით სათანადო წარწერით. შემდეგ, როცა პირადად შევხვდი, კვითხე, მიიღე თუ არა მეთქი. მიპასუხა: მივიღე, წაეკითხე და დაეხიე, რადგან მე მოხსენიებული არ ვიყავიო.

ამბიციურობა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის დამლუკველი სენია!

მაგრამ გავყვეთ რეცენზიას. მორიგი საყვედური ჩვენს მიმართ ასეთია: რატომ არ მიმოვიხილეთ „ჭაშნიკამდე“ არსებული პოეტიკური ტრაქტატები მთლიანად და ორი-სამის დასახელებით დავექაყოფადით. იყო კი საჭირო და აუცილებელი? შემატებდა იგი ნაშრომს რაიმეს, თუ პირიქით, კვლევის ობიექტის გამოკვეთას შეუშლიდა ხელს? ზოგი თავის გამოსაჩენად წერს და ზოგი კი იმ საგანის გამოსაჩენად, რაზედაც წერს.

ორიოდე სიტყვა ცალკეული „შეცდომების“ შესახებ, რასაც რეცენზენტი „ჭაშნიკში“ პოულობს. მისი აზრით, მამუკასეული ცეზურა ვერ გადმოსცემს საზომის სქემას და, ამდენად, ვერ ამართლებს დანიშნულებას. მაგალითად, სქემას — „მიჯნურთათვისგან — მიჯნურთა (მიჯნურთათვისგან—მიჯნურთა“ (5/3/5/3) — ვერ გამოხატავს სტრიქონი: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“, რომელშიაც სალექსო მუხლები გადასმულია. ხოლო სქემა: „მიჯნურობა/მიჯნურობა/მიჯნურობა“ (4/4/4/4) არ შეესაბამება სტრიქონს: „მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა“, რადგან მეორე ნახევარტაქები 2/6-ია და არა 4/4).

ორივე შენიშვნა უმართებულოა. რიტმული ინერსია: 3/5 და 5/3 (განსხვავებით 4/3 და 3/4-სგან, ანდა 2/5 და 5/2-სგან) იტანს ურთიერთშენაცვლებას. დამატებითი მახვილი, რომელიც ხუთმარცვლიან სიტყვას ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის (მომიგონებენ) სამმარცვლიანი კადენციის გამოყოფის საშუალებას იძლევა: ონებენ, გიორგი წერეთლის პიპოთეზა „ოქროს კვეთი ვე-

ფხვისტყაოსანში“ (3+5=8) სწორედ ამას ემყარება. თორემ პოემის დაბალ შაირში ნახევარტაქები უმეტესწილად ასეა დაყოფილი: 5/3 („ლაშქარმრავალი, ყმანი“). იგივე ვიორგი წერეთელი, რომელმაც პირველად მიუთითა 2/6-ის შემთხვევაზე „ვეფხისტყაოსანში“, მიჯნის ფაქტორის გამოყენებით იოლად ხსნის ზემოხსენებულ „შეუსაბამობას“. „თავი ვაი/+თავისწინა“ მაღალი შაირია, ხოლო „ჩვენი სა/+ხარაჯონია“ — დაბალი.

თუმცა „ჭაშნიკის“ არც ერთ მკვლევარს და მათ შორის ჩვენც არ გვითქვამს, რომ მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი უნაკლოა, ანდა მაღალ თეორიულ დონეზე დგას. ვერსად ვერ იპოვიდა რეცენზენტი ჩვენს გამოკვლევაში ადგილს, სადაც ეწეროს: „ქართული პოეტიკა მამუკას შემდეგ დიდად არ გამდიდრებულა“ („კრიტიკა“, გვ. 121), რომ იგი „ეტალონია“ და სხვა ამისთანები. ხოლო ჩვენი სიტყვები: „ჭაშნიკი“ როგორც პოეტიკური ნაშრომი, უფრო საფუძვლიანი და პროფესიულია, ვიდრე ამ სფეროში ყველა შემდეგდროინდელი გამოკვლევა XIX საუკუნის მიწურულამდე“, გულისხმობს კოტე დოდაშვილის ნარკვევს „ქართული ლექსწყობა“, რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა და არა იმას, რასაც რეცენზენტი ვარაუდობს. სხვა ადგილას ეწერს: „თავისთავად ცხადია, პოეზიას, რომელსაც... რუსთველი ჰყავდა, უფრო ღრმა და საფუძვლიანი პოეტიკური ნაშრომი შეუფერება“ („სწავლა ლექსის თქმისა“, გვ. 68). „განსაკუთრებით სუსტია „ჭაშნიკის“ პირველი, ზოგადთეორიული ნაწილი“ (იქვე), რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ კომენტარს ემყარება.

მაგრამ მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატს თავისი ღირსებანი აქვს. ზოგ მათგანზე თვით აკაკი გაწერულია მიუთითო „ქართულ კლასიკურ ლექსში“ (როცა უფრო მაღალი აზრისა იყო „ჭაშნიკზე“). იგი წერდა: „მას (ჭაშნიკს) თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (გვ. 48); „გურამიშვილისა და ბესიკის

ლექსწყობა ბევრით არის დაჯღაღებული მამუკას ამ პაწია ტრაქტატის (გვ. 121-122) რეცენზიაში კეთილმოლოთ: „...ბარათაშვილის ტრაქტატი ქართული ლექსის სწავლის წიგნად არც თავის დროზე გამოდგებოდა დიდად“ („კრიტიკა“, გვ. 124); „ბესიკს მგონი იგი ხელშია არ აუღია“ (იქვე).

„ქართულ კლასიკურ ლექსში „კეთილმოლოთ: „მამუკამ ბევრი ტერმინი შემოიტანა ქართულ ლექსწყობაში: ლექსი, მუხლი, სტრიქონი, ხმა, გაყოფა, იგივე ცეზურა“ (გვ. 46). ჩვენ დაუშვით: ლექსის ბოლოები (იგივე რითმა), ბოლოერთი (მონორითმა), სტრიქონის თავი და ტანი, რაც შემდეგ გურამიშვილმა გამოიყენა: „ტანსა რაც გინდა უფაი, თავს ნუ შემირყევო“. სალექსო ფორმების სახელწოდებათა ერთი ნაწილი, რომლებიც საბას მიერ იყო შემოტანილი „მან პირველმა აქცია თეორიული მსჯელობის საგნად“ („სწავლა ლექსის თქმისა“, გვ. 54).

„ჭაშნიკის“ კიდევ ერთ ღირსებაზე მიუთითა აკაკი გაწერულია: „მამუკა პირველი იყო, რომელმაც 16-მარცვლიან შაირში ორი საზომის („კრძელი“ და „მოკლე“ შაირის) არსებობა აღნიშნა“ („ქართული კლასიკური ლექსი“, გვ. 45).

ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება ვერწმუნოთ რეცენზენტს, რომ „მამუკას ტრაქტატში რაც „ორიგინალურია“ (ე. ი. რაც მას ეკუთვნის) არაერთარ თეორიულ ღირებულებას, არ შეიცავს?“ („კრიტიკა“, გვ. 118).

რეცენზენტი ალბათ გაანაწყენა ჩვენმა მცირე შენიშვნამ: მაღალი შაირის ნაცვლად მამუკა ხმარობს ტერმინს „შაირი“ და არა „მოკლე შაირი“, არსებითად კი ჩვენმა სიტყვებმა: „ჭაშნიკის“ სათანადო შეუფასებლობის მიზეზი ისიც არის, რომ ქართული ლექსწყობის ხილბურ-ტონურობის დამცველნი არ იზიარებდნენ მამუკა ბარათაშვილის თვალსაზრისს ლექსის ბუნების შესახებ“ („სწავლა ლექსის თქმისა“, გვ. 68). ჩვენში კი, განსაკუთრებით კოტე დოდაშვილის ნარკვევის შემდეგ, უკანასკნელ

ხანებამდე გაბატონებული იყო აზრი ქართული ლექსწყობის სილაბურ-ტონურობისა, რასაც ყველაზე მეტად აკაკი გაწერელიამ გაუმავრა საფუძველი.

„ჭაშნიკის“ ღირსება ისიცაა, რომ მასში დამღეულია აღწერითი პოეტიკის დონე. ავტორი ფორმა-შინაარსისეული პარონიმის საკითხს სვამს: „ამგვარი იგაგები ამ ხმას უფრო გაწყობაო“. ამაზე-დაც ღუმს რეცენზენტი.

ბოლოს რეცენზიის ავტორს „ჭაშნიკის“ კრიტიკა რელიგიის სფეროში გადააქვს. მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი იმიტომაც არის ჩვენთვის მიუღებელი, რომ მასში „სეფიანელთა ეპოქის დროინდელი სპარსულ-მუსულმანური ორიენტაცია იგრძნობა“, ლექსის საზომთა ანალიზი „მაჰმადიანური სისტემითა“ მოცემული, იგი „არაბულ-სპარსულ-თურქული პოეტიკიდანაა პირდაპირ წამოღებული“ („კრიტიკა“, გვ. 119) და სხვა და სხვა. იმდენჯერაა ეს ყველაფერი ხაზგასმული და გამაფრებელი, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ რაიმე დანაშაული იყოს ჩადენილი.

სპარსულ-მუსლიმური ორიენტაცია კადევაც რომ იგრძნობოდეს „ჭაშნიკში“, განა შეიძლება ამ ნიშნით პოეტიკური ნაშრომის დაწუნება? პოეტიკა ხომ საზოგადოდ შორს დგას ყოველგვარი რელიგიისა და პოლიტიკისაგან! მაგრამ რომ არ იგრძნობა? როგორც აღნიშნული გვაქვს და რასაც სხვებიც ადასტურებენ (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ!) მამუკამ არაბულ-სპარსულ პოეტიკას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის მიმართა, რომ ლექსის საზომის სქემა სიტყვებით გამოეხატა.

ასე შეაფასა რეცენზენტმა მამუკა ბარათაშვილის პოეტიკური ტრაქტატი, დაწერილი ორნახევარი საუკუნის წინათ, რომელიც წინ უსწრებდა ბევრ შუასაუკუნეობრივ ტრაქტატს და, კერძოდ, რუსეთში ლომონოსოვისა და ტრედიაკოვსკის ანალოგიურ თხზულებებს.

ამ რეცენზიის თითქმის პარალელურად მოსკოვში, რუსულ ენაზე დაიწერა

რეცენზია „ჭაშნიკის“ ჩვენს ქვეყანაშიც ცემაზე. მიუხედავად იმისა, კრძალვითაა ცემა რუსულ ენოვანიც არის, ავტორმა მიხეილ გასპაროვმა საჭიროდ მიიჩნია თანავეტორად მიეწვია ქართული ენის მცოდნე და ქართული პოეტიკის მკვლევარი დიმიტრი სლივინაიკი. რეცენზია გამოქვეყნდა იმავე ჟურნალ „კრიტიკაში“ (1985 წ. № 2) და დედნის ენაზეც - „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (1985 წ. № 7).

მიხეილ გასპაროვი ლექსის საქვეყნოდ ცნობილი თეორეტიკოსია, შედარებითი მეტრიკის მცოდნე და ანტიკური ლიტერატურის მკვლევარი, რამაც მას საშუალება მისცა, თანავეტორთან ერთად, ვრცლად განეხილა მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი არა მხოლოდ იზოლირებულად, არამედ ადრინდელ ევროპულ ტრაქტატებთან მიმართებაში.

რეცენზიების ურთიერიშედარებით ამკარაა, რომ პირველი ტენდენციურია, „ჭაშნიკის“ დამცირების მიზნით დაწერილი, მეორე კი ობიექტური და მიუკერძოებელი. დაიწყოთ რეცენზიის სათაურით. მ. გასპაროვი და დ. სლივინაიკი „ჭაშნიკს“ კლასიკური პოეტიკის ნიმუშად მიიჩნევენ („კლასიკური პოეტიკის ახალი გამოცემა“). მათი აზრით, ტრაქტატი „ხაინტერესო კულტურულ-ისტორიული ძეგლია“. მასში გამოყენებული ყველა ძირითადი ტერმინი: „ხმა“, „ტაქტი“, „მუხლი“, „ტანი“, „თავი“ და „ბოლოები“ ლექსის სილაბურ სისტემას განკუთვნება („ლიტერატურნაია გრუზია“, გვ. 184). კერძოდ, ვრცლად არის საუბარი „ხმაზე“, რომელიც მთლიან სალექსო ფორმას გულისხმობს და მოიცავს არა მხოლოდ რიტმიკას, არამედ რითმას და სტროფიკასაც. „ლექსის საზომის ხრულიად ასეთსავე არადაწვევრებულ აღქმას ვხედავთ დასავლეთევროპულ სალექსო კულტურის ადრეულ სტადიაზე ანტიკურ ლექსშიც... და შუასაუკუნეების ლათინურ ლექსშიც“ (იქვე). „ცნებათა ეს სისტემა წინასწარ მოცემული კი არ არის, არამედ შემუშავებულია სტიქიურად, ნაკარნახევია თერო

მხალით... ახალმა ლექსმცოდნეობამ (XVIII-XX ს.ს.) ეს განსხვავებულია მეორე პლანზე გადასწია... და მისი აღორძინების ცდა სამწუხაროდ უშედეგო აღმოჩნდა" (იქვე).

ამრიგად, ისეთი, საქმეში ღრმად ჩახედული, მეცნიერი, როგორც მ. გასპაროვია, „ჭაშნიკში“ ძველთაძველი ლექსწყობის ანარეკლს ხედავს, ჩვენ კი იგი მიგვიჩინა „პრიმიტიულად“, „ქართული-სათვის უცხო და შეუფერებელი კერძი-ფიკციური სქემების... დანერგვის ცდა“.

„ჭაშნიკის“ ძირითადი ნაწილიდან ქრესტომათიაზე გადასვლასთან დაკავშირებით რეცენზენტები წერენ: „ასეთი გადასვლები თეორიულიდან ქრესტომათიულ ნაწილზე ლექსმცოდნეობისათვის ცნობილია დასავლეთევროპული პოეტიკური ტრაქტატებიდანაც“ (გვ. 185).

მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა „ჭაშნიკის“ მოქცევა „მსოფლიო პოეტიკის საერთო არეალში“.

მაგრამ მივევით რეცენზიას: „ამგვარი მანერა ეჭვს არ იწვევს, თუ რომელ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში თავსდება მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი. ესაა ახალი კულტურული აღმავლობისათვის ძალთა მოკრება ვახტანგის კარზე, ლექსის სფეროში კი — წარსულიდან ნაანდერძევი სალექსო ფორმების ინვენტარიზაცია, მათი გააზრება, პრაქტიკული ათვისება და ექსპერიმენტული გაფართოება. მამუკა ბარათაშვილი მხოლოდ ქართული ლექსწყობის ნაციონალურ ტრადიციებს ეყრდნობა, უპირატესად პრაქტიკულს, წერილობითად დაუფიქსირებელს“ (გვ. 185). შემდეგ: „მამუკა იცნობს სპარსულ მოშიარეთ, მაგრამ ქართული ლექსწყობის მიხედვით აღწერას არაფერი აქვს საერთო არაბულ-სპარსულ არუზთან (გარდა მნემონიკური ზერხისა — სქემისა, რომელიც შედეგაა ერთი და იმავე ეტალონის, „მიჯნურის“ სიტყვათფორმებისაგან). არც ვრძელ და მოკლე მარცვლებზე (თუნდაც პირობითზე, როგორც ეს სპარსულ და თურქულ არუზშია) და არც

მახვილიან და უმახვილო მარცვლებზე მის ტრაქტატში ჩქამიტ კი არ იმისი“ (გვ. 185).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რეცენზიის შემდეგი ადგილი: „უკანასკნელი ხუთი საუკუნის ახალევროპული ტრადიციის მიხედვით სილაბური ლექსწყობა აღიქმება, როგორც არასრულფასოვანი „ტერფოვანი“ აღნაგობის ლექსწყობასთან შედარებით“ (გვ. 186). ამას მოსდევს საუბარი ქართულ და სომხურ ლექსწყობაზე: „მშობლიური სილაბური ლექსის სილაბურ-ტონური ინტერპრეტაციის ასეთივე ტენდენციები იყო და დღესაც ძლიერია ქართულ ლექსწყობაში (ა. გაწერელია) და სომხურში (გ. აბელიანი). დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ამგვარი მიდგომის გადასინჯვა. მისი დამცველების მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის მიუხედავად. ეს გადასინჯვა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია სილაბურობის საერთო პრესტიჟის ამადღლებასთან თანამედროვე მოწინავე ლექსმცოდნეობაში... ამ ვითარების გასაუმჯობესებლად ქართული სილაბურობისადმი მიძღვნილი მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატის გატანა ფართო სარბივლზე განსაკუთრებით სასარგებლოა“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, უმართებულოა, როცა სილაბურ ლექსწყობას ამრეხით უფურებენ. უმართებულოა აკ. გაწერელიას მიერ „თეორია სიტყვიერებისა“-ს ავტორის მედიტონ კელენჯერიძის დამოწმება, რომ სილაბური ლექსწყობა არის სიცოცხლეს მოკლებული, მშრალი, უმსგავსო, უძრავი, კაბინეტური და ნამძალადევი („ქართული პოეტიკის ქრესტომათია“, 1954, გვ. 193).

შედარებითი მეტრიკის ცნობილი მკვლევარი ირვი ლევი ზახვასხით მიუთითებს, რომ სილაბური ლექსი ისეთსავე როლს ასრულებს ფრანგულ პოეზიაში, როგორსაც სილაბურტონური ლექსი ინგლისურ ან გერმანულ პოეზიაში. იქედან გამომდინარე, არც სალექსო სისტემის, არც მკითხველთა აღქმის თვალსაზრისით, არაერთიარო საფუძველი არა



გვაქვს სილაბურ-ტონური ლექსწვობა ვერსიფიკაციის უმაღლეს ფორმად მივიჩნით (ირფი ლევი, თარგმანის ხელოვნება, 1974, გვ. 17. რუსულ ენაზე).

აქვე მ. გასპაროვი, როგორც დიდ მეცნიერს შეეფერება, საჭიროდ თვლის განაცხადოს: „ცხადია, ქართული ლექსის ბუნების საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი... მაგრამ მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი იძლევა მკაფიო თეორიულ სქემას, რომლის შესაბამისობის ზარისხი სხვადასხვა ეპოქის ქართული ლექსის რეალურ კანონზომიერებებთან ახალი, თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული გამოკვლევებით უნდა შემოწმდეს“ (იქვე).

ამრიგად, მ. გასპაროვს, თავის თანაავტორთან ერთად, მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი, ერთი მხრივ, მიაჩნია ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ლექსის ანარქლად, რაც ქართული ლექსწვობის ნაციონალურ ტრადიციებს ვერდნობა; მეორე მხრივ კი, მას იყენებენ აღრინდელი მიდგომის გადასასინჯად, რაც დაკავშირებულია თანამედროვე ლექსმცოდნეობაში სილაბურობის პრესტიჟის ამაღლებასთან. ასეთია უცხოელ

სპეციალისტთა თვალით დანახვების შნიკი“.

აკაკი გაწერელიას რეცენზია კი, მისი ავტორის მეცნიერული პრესტიჟისა და განსწავლულობის მიუხედავად უარსაყოფია.

„ჭაშვიანი“ თავი გაგვახსენა მეტი. ასე დავიწყეთ ჩვენი გამოკვლევა. გასახსენებელი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატი ყურადღებას არ იქცევს ღრმა თეორიული გააზრებით, მაგრამ მასში სწორად არის მინიშნებული ქართული ლექსის ბუნება, ხასიათი. ქართველ ლექსმცოდნეებს იგი მხოლოდ საიუბილეო დღეებში როდი ახსოვთ, მას ხშირად მიმართავენ კიდევ თავიანთ კვლევა-ძიებით საქმიანობაში ზოგიერთი საღაო საკითხის გადაწყვეტის დროს.

ნუ დავაკვირვდება, რომ მამუკა ბარათაშვილის „სწავლა ლექსის თქმისა“ პირველი საფუძელიანი დაკვირვებაა მშობლიური ლექსის სტრუქტურაზე, საძირკვლის ჩამყრელია ქართული პოეტიკისა და ხშირად შეგვახსენებს არა მხოლოდ სპეციალისტ მკვლევარებს, არამედ მთელს ერს, რომ „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“.



206სტონ ნაინილი

მეშუარები

ნაწივვტავი წიბინდან „მორე მსოვლიო რიბი“

თავი IV

ალოფ პიტლერი

1918 წლის ოქტომბერში კომინოსთან ბრიტანელთა შემოტევისას ერთი გერმანელი კაპრალი ქლორგაზით მოიწამლა და დროებით მხედველობა დაკარგა. სანამ იგი პომერანიის ჰოსპიტალში იწვა, გერმანიამ მარცხი იწვინა და რევოლუციაც. ერთი უსახელო ავსტრიელი საბაჟო მოხელის ვაჟს ყმაწვილურ ოცნებებში თავი დიდ მხატვრად ესახებოდა. ვენის სამხატვრო აკადემიაში რომ ვერ მოხედა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერთხანს დედაქალაქში დარჩა საცხოვრებლად, მოგვიანებით კი მიუნხენში გადასახლდა. დროაღრო ხაზლების მღებავად მუშაობდა, უმეტესად კი ნებისმიერ შემთხვევით სამუშაოს გამოჰკრავდა ხოლმე ხელს, ხულს იქით არაფერი ებადა და სასტიკი, თუმცა ფარული ბოლმით გულგახიებული მტრული თვლით უცქერდა მის წარმატებათა გზაზე დაბრკოლებად აღმართულ კაცობრიობას. ბედუკუღმართობას კომუნისტთა რიგებში არ მიუყვანია. მის გულში ხულ უფრო

და უფრო ღვიუდებოდა მისთვის არაბუნებრივად კეთილშობილური და ყოველგვარ ზღვარს გადახული გრძნობა თავისი რახის ერთგულებისა, გერმანიისა და გერმანელი ხალხის მხურვალე და მისტიური თავყვანისცემისა. ომი რომ განაღდა, მგზნებარე მზადყოფნით ეცა იარაღს და ოთხი წელი იმსახურა ბავარიის პოლკში, დასაუღეთის ფრონტზე. ასეთი იყო ალოფ პიტლერის ხვედრი თავდაპირველად.

1918 წლის ზამთარში ჰოსპიტალში მწოლიარეს — უმწუხარ და თვალისჩინდაკარგულს — თვისი პიროვნული მარცხი მთელ გერმანულ ხალხს თავსდამტყდარი ბედუკუღმართობის წილხლომილად ესახებოდა. სამხედრო მარცხით გამოწვეული ელდა, წესრიგისა და კანონიერების მოშლა, ფრანგთა ზარბეიში — ეს ყველაფერი პოლკის გამომჯობინებულ შიკრიკს განაცდევინებდა მძაფრ ტკივილს, მთელ მის არსებას რომ მსჭვალავდა და იმ განაოცარი და მძლე-თამძლე ხულისკვეთებით აღაცხებდა, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნას ან კი-



დეკ დაღუპვას მოასწავებს. გერმანიის მარცხი მის წარმოსახვაში მოვლენათა ბუნებრივი განვითარებით ვერა და ვერ აიხსნებოდა. უთუოდ სადღაც ჩასაფრებულიყო ვაიუშველებელი და საზარელი მუხანათობა. მარტოხელა, გულნათხრობილი, ჩია ჯარისკაცი კატასტროფის შესაძლო მიზეზებზე განსჯა-ფიქრს მისცემოდა. თუმც კი ზომავდა და წონიდა მხოლოდ საკუთარი გონებაშეზღუდულობის კვლობაზე. ვენაში გერმანელთა უკიდურესად ნაციონალისტურ დაჯგუფებებს ეტმასნებოდა და სწორედ მათგან ირწმუნა სხვა მეორე რასის, ნორდიული სამყაროს მწაგვრელთა და არაკეთილმოსურნეთა — ებრაელთა ავისმქნელობა და ძირგამომთხრელი ქმედებანი. მისი პატრიოტული რისხვა და მდიდართა და წარმატებულთადმი შური ერთ მთლიანობად შეირწყა და ყოვლის წამლეკავ სიძულელიში გადაიზარდა.

რა სანახაობა გადაეშალა თვალწინ მხედველობადაბრუნებულ ამ უსაჩინო პაციენტს, რომელიც, როგორც იქნა, საავადმყოფოდან გაწერას ეღირსა და კვლავაც სამხედრო ფორმაში შემოსილი ლამის ბავშვური მედიურობით შეკურნება კვყვანას? შემზარავია მარცხით მოგვიღო ელდა სასოწარკვეთილებისა და შურაცხადობის ატროსფეროში, მის ირგვლივ რომ სუფევდა, წითელი რევოლუციის ბღღვრიალა მონახაზები იკვეთებოდა. მიუნხენის ქუჩებში დაქროდნენ ჯავშანავტომობილები, მოხეტიალე მგზავრებს პროკლამაციებს, ან კიდევ ტყვიებს რომ აყრიდნენ. მისივე ამხანაგები, გამომწვევად წითელი სამკლავურები რომ დაეკოსებიანთ სამხედრო ტანსაცმლის სახელოებზე, მრისხანე ლოზუნგებს გაიძახოდნენ და უმხედრდებოდნენ ვეელაფერს, რაც ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის ამქვეყნად. ერთბაშად ყველაფერი ცხადი შეიქნა, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე. გერმანიას ლახვარი ჩასცეს ზურგში, ახლა კი ჩასაფრებული გამომრჩენები და ინტრი-

განები, წყველი ბოლშევიკების ინტელიგენტთა საერთაშორისო შეიქმნელების ანამზრახველნი. მის თვალწინ განსხივდა განგებისაგან დანაკისრი — ეხსნა გერმანია ამ ჭირვარამისაგან, შური ეძია მისთვის მიყენებულ ტყველთათვის და იმ გზით წარძლომოდა სხვებზე აღმატებულ რასას, ბედისწერას კარგა ხანია მისთვის რომ განემზადებინა.

მისი პოლკის ოფიცრები, სულით ხორცამდე შემრულნი თავიანთ ჯარისკაცთა მეამბოხური და რევოლუციური განწყობით, ძალზე მოხარულნი იყვნენ, რომ ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, შერჩენოდა ბალავარშეურყვევლი სული. კაპრალმა პიტლერმა სამხედრო სამსახურში დარჩენა მოისურვა და პოლიტიკური განათლების სფეროში ინსტრუქტორად ანუ ავენტად დაიწყო მუშაობა. ამნაირად შენიღბულმა ხელი მიჰყო მეამბოხურ და მავნებლურ ზრახვათა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. სულ მალე უშიშროების ორგანოთა ოფიცრებმა, რომლის სამსახურშიც ის იდგა, ათასგვარი ჯურის ადვილობრივი პოლიტიკური პარტიის კრებაზე დახწრება დააჯალა. ერთ საღამოსაც, 1919 წლის სექტემბერში, კაპრალი გაემართა გერმანიის მუშათა პარტიის კრებაზე, რომელიც მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში ტარდებოდა; აქ მან პირველად მოისმინა საუბრები, მისსავე იდუმალ მწრამსს რომ ეხმებებოდა, გერმანიის უფსკრულის პირას მიმყვან ებრაელთა, სპეკულიანტთა და „ნიუმბრის დამნაშავეთა“ საქმიანობასთან დაკავშირებით. 16 სექტემბერს იგი ამ პარტიაში შევიდა, სულ მალე კი თავისი სამხედრო მოღვაწეობისდა კვალად პარტიული პროპაგანდა გააჩადა. 1920 წლის თებერვალში მიუნხენში გაიმართა გერმანიის მუშათა პარტიის პირველი მასობრივი მიტინგები, სადაც სადავეები ხელთ ეჭვრა თავად ადოლფ პიტლერს, რომელმაც 25 პუნქტად ჩამოაყალიბა პარტიის პროგრამა. ახლა იგი უკვე პოლიტიკური მო-

დაწევა გახლდათ და ერის სახსნელად კამპანია გააჩაღა. აპრილში იგი დემობილიზებულ იქნა და ამიერიდან მთელ ძალ-ღონეს პარტიის რიგების გაფართოებას ახმარდა. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ პირუანდელი ლიდერები გააძევა და ნიჭიერებისა და მგზნებარე სულისკვეთების წყალობით თავის პიროვნულ ნებას დაუმორჩილა პიანოხით მონუსხული ამაღლა. ის უკვე „ფიურერი“ გახლდათ. პარტიამ შეისყიდა მეორეხარისხოვანი გაზეთი „ფილიკსიმერ ბეობახტერ“ და თავის ორგანოდ აქცია.

კომუნისტებმა უმაღლესი შეიქმნეს თავიანთი მოხსენებელი და სულ ერთივად იმის ცდაში იყვნენ, რამენაირად ჩაეშალათ პიტლერის მიერ მოწყობილი მიტინგები; 1921 წლის მიწურულს მან თავისი პირველი მოიერიშე რაზმები ჩამოაყალიბა. მანამდე მთელი ეს წრებრუნვა მხოლოდ ბავარიით შემოიფარგლებოდა. ახლა კი იმ ბედურულ ვითარებაში, გერმანია რომ იმყოფებოდა ამ პირველი ომის შემდგომ წლებში, რაიხის ამა თუ იმ უბანზე უკვე არაერთი გერმანელი იღებდა ყურად ახალი მახარობლის სიტყვებს. უნაპირო რისხვამ, 1923 წელს ფრანგთა მიერ რურის ოკუპაციამ რომ გამოიწვია მთელს გერმანიაში, უამრავი მომხრე შესძინა ახლა უკვე ნაციონალ-სოციალისტურად სახელდებულ პარტიას. მარკის გაუფასურებამ ფუძე მოუშალა გერმანიის საშუალო ფენას, რომლის არა ერთი და ორი წარმომადგენელი, უიმედო და სასომიხდელი, ახალ პარტიას მიჰკვდებოდა და მძულვარებაში, შურისმგებლობისა და პატრიოტულ თავგამებებში პოულობდა შეებას.

პიტლერმა იმთავითვე ცხადყო, რომ ძალაუფლების მოპოვების ერთადერთი გზაა აგრესია და ძალადობა ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ — რესპუბლიკისა, მარცხით გამოწვეულმა გაწბილებამ რომ შვა. 1923 წლის ნოემბერში „ფიურერის“ ირველივე შემოიკრიბა შეუპოვარ მხარდამჭერთა ვკუფი, რომელთა შორისაც ღირსსაყენობნი იყვნენ გერინგი, ჰესი, როზენბერგი და რე-

მი. ამ საქმის კაცებმა გადაწყვიტეს რომ დაჰკრა ვაიმარ, ეცადათ ბუნებრივ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. გენერალმა ფონ ლუდენდორფმა თვისი სამხედრო სახელი ხარისკო საქმეს შეაწია და თავგამებებით ჩაება პუტნში. ომამდე ხშირად გაიგონებდით ამგვარ გამონათქვამს, — „გერმანიაში რევოლუცია არ მოხდება, რადგან ამ ქვეყანაში ყველა რევოლუცია მკაცრად აკრძალულია“. ამ შემთხვევაში ხსენებულ განაწეს ხორცი შეასხეს მიუნხენის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. პოლიციამ ტყვია დაუშინა დემონსტრანტებს, ოღონდ ყველა ღონეს ხმა-რობდა, აცილებინა გენერლისათვის, რომელიც სულ წინ-წინ მიიწვედა და ბოლოს იმავე პოლიციელთა რიგებში ამოყო თავი, სადაც დიდი მოწიწებით შეხედნენ. ოცამდე დემონსტრანტი მოკლეს. პიტლერი მიწას განერთხა და მყის მიეფარა თვალს სხვა პარტიულ ლიდერებთან ერთად. 1924 წლის აპრილში მას ოთხი წლის პატიმრობა მიუხაჯეს.

გერმანელმა ხელისუფლებმა თუმცა კი წესრიგი დაამყარეს და სასამართლომაც განიკითხა დამნაშავენი, ამ ქვეყნის შვილთ უმეტესწილად იმგვარი გრძნობა დაუფლებოდა, რომ სასჯელისათვის იმეტებდნენ მათ სისხლს სისხლთაგანს და ხორცს ხორცთაგანს, რომ ხელისუფალნი უცხოთა წისქვილზე ასხამდნენ წყალს და წირავდნენ გერმანიის ყველაზე ერთგულ შვილებს. პიტლერის პატიმრობის ეადა ოთხი წლიდან ცამეტ თვემდე შეამცირეს; თუმცა ლანდსბერგის ციხეში გატარებული თვეები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მოესწრო შეგვრულებინა ძირითადი მონახაზი ტრაქტატისა „მისი კამპფი“, რომელშიაც გადმოცემული იყო მისი პოლიტიკური ფილოსოფია და რომელიც მიუძღვნა იმხანად პუტნში დაღუპულთა ხსოვნას. იმ დროს, როდესაც იგი საბოლოოდ მოექცა ხელისუფლების სათავეში, არც ერთი წიგნი არ იმსახურებდა უფრო გულმოდგინე შესწავლას მოკაემირე სახელმწიფოთა პოლიტიკურ

და სამხედრო ხელმძღვანელთა მხრიდან, მასში ჩადებული იყო ყველაფერი: გერმანიის აღორძინების პროგრამაც, პარტიული პროპაგანდის ტექნიკაც, მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაც, ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს კონსტრუქციაც და მტკიცებაც გერმანიის მთელ მსოფლიოზე ბატონობის კანონიერებისა. ეს იყო ახალი ყურანი ბრძოლისა და ღვთისმოსაობისა — მაღალფარდოვანი, სიტყვაჭარბი, უფორმო, მაგრამ ახალაღმოჩენებით მდიდარი.

ძირეული თეზისი „მაინ კამფანი“ პარტიკა: აღამაინ არის მებრძოლი ცხოველი; აქედან გამომდინარე, ვინაიდან ერი მებრძოლთა ერთიანობაა, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც შეწყვეტს ბრძოლას არსებობისათვის, სასიკვდილოდაა განწირული. ქვეყანა ან რასა, რომელიც ხელს იღებს ბრძოლაზე, ახვევ განწირულია დასაღუპავად. რასის ბრძოლისუნარიანობა მის სიწმინდეზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი გაწმენდა წამბილწავი უცხო თესლისაგან. ებრაული რასა, რაკი ყველგან აქვს ფეხი მოკიდებული, უცილობლად პაციფისტად და ინტერნაციონალისტად წარმოგვიდგება; პაციფიზმი კი მომაკვდინებელი ცოლვაა, რაკი არსებობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას გულისხმობს. ამიტომ ყოველი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, მახებში გაადვილოს ნაციონალისტური გრძნობები. პიროვნებაში ინტელექტის განვითარება როდია არსებითი. ნებისყოფა და შეუპოვრობა — აი, რა არის უმთავრესი. პიროვნება, მგრძანებლობისათვის დაბადებული, ბევრად უფრო დასაფასებელია, ვიდრე სხვათა ნების მორჩილი ასიათასობით აღამაინ. მხოლოდ უხეში ძალა უზრუნველყოფს რასის გადარჩენას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გასამხედროება. რასამ უნდა იბრძოლოს; უმოქმედო რასა იგანგება და იღუპება. გერმანული რასა თავის დროზე რომ გაერთიანებულიყო, ახლა უკვე მთელი დედამიწის ბატონ-პატრონი იქნებოდა. ახალმა რაიხმა თავის სა-

მწესოში უნდა შეკრიბოს მთელი რასაში გაბნეული ყველა გერმანული მენტე. რასა, რომელმაც მარცხი იწვნია, გადარჩება, თუკი კვლავ იწამებს თავის ძალას. უწინარეს ყოვლისა, არჩიას უნდა ჩაუნერგო რწმენა თვისი ძლევა მოსილებისა. გერმანელი ერის კვლავ აღდგინებისათვის აუცილებელია ხალხმა ირწმუნოს, რომ იარაღის ძალით სავსებით შესაძლებელია თავისუფლების მოპოვება. პრინციპი არისტოკრატულობისა გონივრულია თვისი არხით, არასასურველია ინტელექტუალიზმი. განათლების საბოლოო მიზანია აღზრდა გერმანელისა, რომელიც, მცირეოდენწრთონაგამყოფილი, უმაღლესი ხარისხისკაცად გარდაიქმნება. უდიდესი ისტორიული ქარტეხილები წარმოდგენილი იქნებოდა, ფანატიკური და ისტერიული ენებათაღელვით ნახაზრდოები მამოძრავებელი ძალა რომ არ ჰყოლოდა. ბურჟუაზიული კეთილშენაძენის — მშვიდობიანობა-წყისრივიანობის ამარა ვერაიენ ვერაფერს გახდებოდა. ქვეყნიერება დღესდღეობით ამგვარი ქარტეხილის გზას დასდგომია და ახალმა გერმანულმა სახელმწიფომ იმისთვის უნდა იბრუნოს, რომ რასა მომზადებული შეხვდეს საბოლოო და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათ ამქვეყნად.

კეთილსინდისიერება საგარეო პოლიტიკაში სულაც არ არის აუცილებელი. დიპლომატიის დანიშნულება ის კი არაა, ქვეყანა გმირულად დასაღუპავად გაიმეტოს, არამედ იღუაწოს მისი ხსნისა და აღორძინებისათვის. ინგლისი და იტალია, — აი, ორადროს ქვეყანა, რომელთა მოკავშირეობაც მისაღები იქნებოდა გერმანიისათვის. არც ერთი ქვეყანა არ დაიჭერდა კავშირს ჯაბან პაციფისტურ სახელმწიფოსთან, დემოკრატები და მარქსისტები რომ განაგებენ. ვიდრე გერმანია თითონვე არ მიხედავდა თავის თავს, არც სხვა ვინმე გაუმართავდა ხელს. ვერც ზეცისადმი აღელენილი ზემთავონებული დაღადისი და ვერც ერთა ლიგაზე დაწყარებული ღვთისმოსაური იმედები ვერ დაუბრუნებენ მას

დაკარგულ პროვინციებს; მათი დაბრუნება მხოლოდ იარაღის ძალითაა შესაძლებელი. გერმანიამ ძველი შეცდომა არ უნდა გაიმეოროს — თავის ყველა მტერს ერთბაშად არ უნდა შეერკინოს; მან უნდა აირჩიოს მათგან ყველაზე საშიში და მთელი ძალ-ღონით შეუტეოს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია კვლავ მოიპოვებს თანასწორობას და თავის ადგილს დაიმკვიდრებს ამ მზის-ქვეშეთში, მსოფლიოც აღარ იქნება ანტიგერმანული. საგარეო პოლიტიკაში გერმანიამ არანაირი სენტიმენტალიზმი არ უნდა გამოიჩინოს. საფრანგეთზე იერიში, მხოლოდ და მხოლოდ სენტიმენტალურ მიზეზთაგან გამომდინარე, სიბრძივე იქნებოდა. გერმანიას სჭირდება ევროპაში თავისი ტერიტორიის გაფართოება. გერმანიის ომამდელი კოლონიური პოლიტიკა მცდარი იყო; ამდენად, ის უნდა უკუაგდონ. გაფართოების მიზნით გერმანიამ მზერა უნდა მიააფროს რუსეთსა და, მეტადრე, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. რუსეთთან ფოკლვგარი ალიანსი დაუსეპებელია. დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთთან ერთად ომის გაჩაღება დანაშაული იქნებოდა, რადგან საბჭოეთს მიზნად დაუსახავს საერთაშორისო იუდიზმის აღზევება.

ასეთი გახლდათ მისი პოლიტიკის ქვაკუთხედი.

* * *

შიდაპარტიული შუღლით დათრგუნულ და გადაქანცულ გამარჯვებულებს, რომელთაც საკუთარი გასაჭირიც თავზე-საყრელად ჰქონდათ, არც თუ მაინცდამაინც გაუმახვილებიათ ყურადღება ადოლფ ჰიტლერის დაუდგრომელ ბრძოლაზე, ან კიდევ იმაზე, რომ მისგან თანდათანობით ეროვნული მასშტაბის ფიგურა იკვეთებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ ნაციონალ-სოციალიზმი ანუ „ნაციონალური პარტია“, როგორც მას უკვე უწოდებდნენ, დიდ სახელს მოიხვეჭდა

გერმანული ხალხის მასებში. მას შემდეგ, რაც მისი ძალაში, სახელმწიფო-აპარატში თუ მრეწველთა დასში — რომელსაც არც თუ უსაფუძვლოდ ზარავდა კომუნისმის ანტილი — და ამდენად, გერმანულ ფოფაში მძლავრად ფესვგადგმული, მიუღი მსოფლიოს ანგარიშგასაწევ ძალად იქცეოდა. როდესაც 1924 წლის მიწურულს ჰიტლერი ციხიდან გამოუშვეს, მან განაცხადა, ხუთი წელი დამკვირდება ჩემი მოძრაობის რეორგანიზებისთვისო.

* * *

ვაიმარის კონსტიტუციის დემოკრატიულ მუხლთაგან ერთ-ერთი რაიხსტაგში არჩევნების ნატარებას ორ წელიწადში ერთხელ ითვალისწინებდა. იმედონებდნენ, რომ ეს მუხლი გერმანული ხალხის მასებისათვის უზრუნველყოფდა თავის პარლამენტზე სრული და გამუდმებული კონტროლის შესაძლებლობას. პრაქტიკულად ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ისინი გამუდმებით ცხოვრობდნენ მშფოთვარე პოლიტიკური ციკლებელისა და განუწყვეტელი საარჩევნო კამპანიების ატმოსფეროში. ასე ამკვარად, ჰიტლერის წინსვლასა და მისი დოქტრინის სრულყოფას ზუსტად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ. 1928 წელს მას რაიხსტაგში 12 ადგილზე მეტი არა ჰქონია. 1930 წლისათვის ეს რიცხვი 107-მდე გაიზარდა, 1932 წლისათვის კი — 230-მდე. იმ დროისათვის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისათვის ჩვეული დისციპლინა უკვე გერმანიის მთელ სხეულში შეჭრილიყო და მის წარმომადგენლებსაც ყველგან მოეკიდებინათ ფეხი. დიდი გასაქანი ჰქონდა ებრაელთა ყველანაირად დაშინებას თუ დამცირება-შურაცხყოფას...

ნამდვილ პოლიტიკურ ძალას გერმანიაში და ქვეყნის მდგრად სტრუქტურას ომის შემდგომ წლებში წარმოადგენდა რაიხსერის გენერალური შტაბი და არა თვალის ასახვევად შეითიხნი-



ლი რესპუბლიკური მთავრობანი და დემოკრატიული ინსტიტუტები, გამარჯვებულთა მიერ რომ იყო თავსმოხვეული და მარცხის სუნი დაკრავდა. გენერალური შტაბი ნიშნავდა და ცვლიდა პრეზიდენტებსა და კაბინეტებს. მარშალ პინდენურგის სახით მან ჰპოვა სიმბოლო თვისი ძალაუფლებისა და თვისი ნების აღმსრულებლისა, მაგრამ 1930 წელს პინდენურგი უკვე 83 წლისა იყო. ამ დროისათვის ხასიათშიც ჭირვეულობა შეჰპარვოდა და გონებრივი შესაძლებლობანიც გვარიანად დაქვეითებოდა. სულ უფრო და უფრო ეპარებოდა სიძაბუნე, დესპოტიზმი და მიკერძოებულობა... გერმანელებისათვის კარგა ხანია ცხადი შეიქნა, რომ მოუწევდათ უზუცესი მარშლისათვის შესაფერისი შემცველის გამოძებნა. სწორედ ამ ახალი კაცის ძიებას თანაქმთხვა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მძაფრი აღმავლობა-განვითარება. 1923 წლის მიუნხენის პუტჩის დამარცხების შემდეგ პიტლერმა წამოაყენა ვაიმარის რესპუბლიკის ფარგლებში კანონიერების უმკაცრესი დაცვის პროგრამა; თუმც იმავე დროულად ნაცისტური პარტიის გასამხედროებულ და ნახევრადგასამხედროებულ ფორმირებათა გაზრდა-გაფართოებას გეგმავდა და ავლუიანებდა. სა-სთავდაპირველად ძალზე მცირერიცხოვანი რაზმები, მოიერიშეთა რაზმები ანუ „ფაისფერაკურანგვიანები“ თავიანთი მცირე, მკაცრი დისციპლინის მქონე ბირთვით (სს) ისე გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, რომ მათმა საქმიანობამ და პოტენციურმა ძალამ სერიოზული საფიქრალ-სახსრუნავი ვაუჩინა რაიხსვერს...

რაიხსვერმა გულდასმით გაიაზრა ქვეყანაში დატრიალებული ამბები და თავი აიძულა ელიარებინა, რომ იგი, როგორც ნაცისტური მოძრაობის ოპოზიციამი მყოფი სამხედრო კასტა და ორგანიზაცია, ვეღარ შეინარჩუნებდა გავლენას გერმანიაზე. ორთავ ვჯუფს აერთიანებდა ხაერთო ამოცანა — გერმანიის უფსკრულიდან ამოყვანა და მარცხისათვის შურისძიება; ოღონდ რაიხსვერი

განასახიერებდა კაიზერული მოწყობის მოწესრიგებულ სტრუქტურას. უმაკრებდა ფეოდალთა, არისტოკრატთა, მიწათმფლობელთა და სხვათა შემღებულ ფუნებს გერმანული საზოგადოებისა, სა კი მნიშვნელოვანწილად იქცა მემოხოვითა მოძრაობად, რასაც კიდევ უფრო აღვივებდა გაღიზიანებულ და ადგზნებულ ავისმქნელთა უკმაყოფილება და გაკოტრებულთა სასოწარკვეთილება ისინი იმაზე მეტად როდი განსხვავებოდნენ მათ მიერვე განქიქებულ ბოლშევიკთაგან, ჩრდილო-პოლონელი რომ განირჩევა სამხრეთელისაგან.

ნაციისტურ პარტიასთან დავა რაიხსვერისათვის დამარცხებული ქვეყნის ნაკუნ-ნაკუნ დაგლეჯის ტოლფასი იქნებოდა. 1931-32 წლებში არმიის მეთაურებმა გაითეთინობიერეს, რომ როგორც საკუთარი თავის, ისე ქვეყნის სასარგებლოდ თავიანთი ძალებით უნდა შეკავშირებოდნენ სწორედ იმათ, ვისაც აქამდე უპირისპირდებოდნენ საშინაო პოლიტიკის საკითხებში გერმანული გონისათვის ჩვეული სიმტკიცითა და სიმკაცრით. თავის მხრივ პიტლერსაც, თუმც კი კლდეს გაანგრევედა ძალაუფლების ციტადელში შესაღწევად, სულ თვალწინ ედგა დიდი და ბრწყინვალე გერმანიის ხელისუფალნი, სიჭაბუკის წლებიდანვე აღფრთოვანებისა და ერთგულების გრძნობას რომ აღუძრავდნენ. ასე რომ, თანხმობის ბუნებრივი წინამძღვრები ორთავ მხარეს მოეპოვებოდა. არმიის შესვეურებმა თანდათანობით გაიცნობიერეს, რომ ქვეყანაში ნაცისტური პარტიის უდიდესი ზეგავლენის გამო გერმანული სახელმწიფოს თავკაცად პინდენურგის ერთადერთი მემკვიდრე პიტლერი უნდა ყოფილიყო. პიტლერს, თავის მხრივ, შეგნებული მქონდა, რომ გერმანიის აღორძინების მისეული პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო კავშირის დამყარება რაიხსვერის მმართველ ელიტასთან. გარიგება მოხდა და გერმანიის არმიის თავკაცები შეუდგნენ პინდენურგის დარწმუნებას, რომ რაიხის ხაერაულო კანცლერად პიტლერი ელიარებინა. ასე რომ,

პიტლერმა — რომელიც დასთანხმდა „ფაისფერპერანგიათა“ საქმიანობის შეზღუდვას, მათი გენერალური შტაბისათვის დაქვემდებარებას და დროთა განმავლობაში, თუ საჭირო შეიქნებოდა, მთ ალკევთასაც — მოიპოვა გერმანიის ყველაზე გავლენიანი ძალების მხარდაჭერა, მიიღწია ადმინისტრაციული იერარქიის მწვერვალსა და აშკარა ცვლილებებს გერმანული სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებაში. შორს გაიჭრა კაპრალი..

თავი V

კალიების შემოსევის წლები (1931-1935 წწ.)¹

1931 წელს ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული ინგლისის მთავრობა ერთი შეხედვით თითქოს ერთ-ერთი უძლიერესთაგანი იყო, არადა, ბრიტანულ წერილობით წყაროებს თუ ვენლობით და მართალს ვიტყვით, ყველაზე უსუსური გახლდათ. პრემიერმინისტრი მისტერ რამსეი მაკდონალდი, აქედანაც და იქიდანაც სიმწარენაწევნი, გამოიჯვინდა სოციალისტურ პარტიას, რომლის შექმნასაც მიუღი სიცოცხლე შეაღია. იმ დროიდან მოყოლებული, ხელისუფლების სათავეში მოქცეული — ხელისუფლებისა, ეროვნულად რომ ნათლავდნენ, არადა, ბევრწილად კონსერვატული რომ გახლდათ — ჯაგრიან განსჯა-ფიქრსა და უმოქმედობას მისცემოდა. მისტერ ბოლდუინს ნაღდი ძალაუფლება ერჩია მოჩვენებითს და ჩრდილში მდგომი, ერთობ მშვიდად მართავდა ქვეყანას. საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედგა სერ ჯონ

საიმიონი, ლიბერალთა ერთ-ერთი ლიდერი. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების ძირითად საქმიანობას ეწეოდა სვეილ ჩემპერლენი, რომელმაც სულ მალე შეცვალა სნოუდენი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე. არჩევნებზე გაშავებულ ლეიბორისტულ პარტიას, რომელსაც ბრალდებოდა ფინანსური კრიზისი, სათავეში ედგა პაციფისტი მისტერ ჯორჯ ლონსბერი. ამ ხელისუფლების თითქმის ხუთწლიანი მმართველობის ხანაში — 1931 წლის იანვრიდან 1935 წლის ნოემბრის ჩათვლით — ევროპის კონტინენტზე საერთო ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა..

* * *

ამ დროს კი სრულიად გერმანია არა ცხრებოდა, ქვეყანაში დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა.

1932 წლის მაისში, ბრიუნინგის კაბინეტის დაცემის მომდევნო წელს, ბერი რამ მოხდა. პაპენი და პოლიტიკური მხედართმთავარი შლაიხერი აქამდე იმასა ცდილობდნენ, ჭკუა და ხერხი ეზმარათ და ასე ემართათ გერმანია. ახლა ის დრო წარსულს ჩაბარდა. პაპენი, რომელმაც ბრიუნინგი შეცვალა კანცლერის პოსტზე, იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ქვეყნის მართვას პრეზიდენტ პინდენბურგის ამაღლისა და რაიხსტაგის უკიდურესად ნაციონალისტური ჯგუფის მხარდაჭერით. 20 ივლისს გადაიდგა გადაწყვეტი ნაბიჯი, — ძალა იხმარეს და განდევნეს პრუსიის სოციალისტური მთავრობა. როდესაც პრუსიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მხოლოდ ფიზიკური ძალის მოშველიებით თუ დამყრვენიებთ ფარ-ხმალსო, კეითხეს, მაინც რა ოდენობის ძალა გჭირდებათო და შემდეგ თავისი საწერი მაგიდიდან გამოათრიეს. მაგრამ პაპენის მეტოქეს ძალაუფლება სწყუროდა. შლაიხერის უარაუდით, ძაღლის თავი დამარხული იყო იმ ძალების წიაღში, ქარიშხალივით რომ შემოჭრილიყო გერმანიის პოლიტიკაში და აღოლფე პიტლერის სულ

¹ თთი წლის შემდეგ ბიბლიის კარგად მცოდნე სერ თომას ინსკომმა, თავდაცვის კოორდინაციის მინისტრმა, ამ შეხედვლ ხანას, რომლის მეშვეობითაც მას ერგო, ხატოვანი ბიბლიური გამოთქმა მოუსადაგა: „წლები, კალიებმა ჩომ შთანთქმეს“.

უფრო მზარდ ძალაუფლებასა და სახელმძღვანელოებას ამოჰფარებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ პიტლერულ მოძრაობას რაიხსვერის მორჩილ თანამდგომად ვაიხდიდა და ამ ვზით ორთავ მზარეს თავად გაუწევდა მუთავაღურებობას. 1931 წელს დამყარებული ურთიერთობა შლაიხერსა და რემს - ნაციისტების მოიერიშეთა რაზმების ლიდერს - შორის მომდევნო წელს კიდევ უფრო გაღრმავდა და შლაიხერსა და თავად პიტლერს შორის ურთიერთკავშირად გამოიკვეთა. ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ორთავ მათგანს თითქოს მხოლოდ პაპენი ელობებოდა და, კიდევ, პინდენბურგისაგან მისდამი გამხელილი ნდობა.

1932 წლის აგვისტოში პრეზიდენტის პირადი გამოძახების საფუძველზე პიტლერი ბერლინში ჩამოვიდა. ჩანს, დაქვრა ფაშმა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისა. ფიურერის ზურგს უკან იდგა 13 მილიონი გერმანელი ამომრევული. მას შეეძლო მნიშვნელოვან თანამდებობას წაჰპოტინებოდა მთავრობაში. გარკვეული თვალსაზრისით ახლა იგი იმ დღეში იყო, მუსოლინი რომ იმყოფებოდა რომზე ლაშქრობის წინააღმდეგ. მაგრამ პაპენი არად დაგვიდევდათ იტალიის უახლეს ისტორიას. მას პინდენბურგი უმაკრებდა ზურგს და სულაც არ ფიქრობდა თანამდებობაზე ხელის აღებას. მსცოლანმა მარშალმა თვალი ჰკიდა პიტლერს; ვვაა, რომ დიდად არ მოხიბლულა. „ის კაცი კანცლერად?! მაგას პოსტმეისტერად ვაიხხდი; ჰოდა, დადგეს და ლოკოს მარკები, რომლებზეაც ჩემი თავია გამოსახული“. სასახლის წრეებში პიტლერი ისეთი წონიანი როლი გახლდათ, მისი მეტოქეები რომ იყვნენ.

ქვეყანაში შფოთსა და მღელვარებას მოუცვა ამომრევულთა ჯარი. 1932 წლის ნოემბერში იმ წელს მეხუთედ ჩატარდა არჩევნები სრულიად გერმანიაში. ნაციისტებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალათ და მათი 230 მანდატი 196-მდე შეიკვეცა; ისე რომ, სასწორი კომუნისტებისაკენ გადაიხარა. ჰოდა, მოვარე-

ბულ-გარიგებული ძალაუფლება ვიურერისა შეირყა. იქნება, გენერალი შლაიხერი ბოლოს და ბოლოს უმისოდაც ითვლად გასულიყო ფონს. გენერალმა პინდენბურგის მრჩეველთა წრეში კეთილგანწყობა მოიპოვა. 17 ნოემბერს პაპენი გადადგა და მის ნაცვლად კანცლერი გახდა შლაიხერი. მაგრამ, თურმე ნუ იტყვიოთ, ახალ კანცლერს ის უფრო ეხერხებოდა, ფარულად ემოქმედა, ვიდრე ხელისუფლების სათავეში ეღაწა დაუფარავად. მას უთანხმოება მოსდიოდა უამრავ ხალხთან. მის წინააღმდეგ პიტლერი შეეკრა პაპენსა და ნაციონალისტებს, კომუნისტები კი ნაციისტებთან ქუნური ბრძოლითა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გაფიცებით შეუძლებელს ხდიდნენ მის ყოფნას ხელისუფლების სათავეში. პაპენი შეეცადა პიროვნული ზემოქმედება მოეხდინა პრეზიდენტ პინდენბურგზე. განა ბოლოს და ბოლოს საუკეთესო გამოსავალი არ იქნებოდა პიტლერის დამოშინება და მოელი პასუხისმგებლობისა და ტვირთის მისთვის აკადება?! პინდენბურგი, როგორც იქნა, უხალისოდ დასთანხმდა. 1933 წლის 30 იანვარს აღოლფ პიტლერმა გერმანიის კანცლერის თანამდებობა დაიკავა.

ყველამ, ვინც აპირებდა და შეეძლო წინ აღსდგომოდა ახლებურ წესებს, მალე საკუთარ თავზე იწვნია პატრონის ხელი. 2 თებერვალს აიკრძალა გერმანიის კომუნისტური პარტიის ყველა მიტინგი თუ დემონსტრაცია და მთელს გერმანიაში განაღდა კომუნისტების კუთვნილი საიდუმლო იარაღის ამოღება. დაგვირგვინება იყო 1933 წლის 27 თებერვლის საღამო. რაიხსტაგის შენობა ცეცხლის აღში გაეხვია. გამოიძახეს ვაიხსფერჰარანგიანთა და შაპერანგიანთა რაზმები და მათი დამხმარე ნაწილები. ერთ ღამეში დაპატიმრეს ოთხი ათასი კაცი, მათ შორის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა. ამ ღონისძიებათა გატარება დაველა გერინგს, იმხანად პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს.

ეს ღონისძიებანი იყო წინამძღვარი მო-
მაჯალი არჩევნებისა და ახალი რევი-
მის ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგე-
ების — კომუნისტების დამარცხებისა.
საარჩევნო კამპანიის ორგანიზებას ხე-
ლი მოჰქიდა გებელსმა, რომელსაც არც
ხერხიანობა აკლდა და არც თავგამო-
ლება.

მაგრამ გერმანიაში ჯერ კიდევ მრავ-
ლ იყო ძალები, რომელნიც ვერ შეკ-
გუებოდნენ პიტლერიზმს და მტკიცედ,
შუუპოვრად წინ აღსდგომოდნენ მას.
კომუნისტებმა და იმ მრავალრიცხოვან-
მა გერმანელებმა, თავგზააბნეულნი და
სასოწარკვეთილნი მათთან ერთად რომ
იყრიდნენ კენჭს, 81 მანდატი მიიღეს,
სოციალისტებმა კი — 118 და პაპენისა
და ჰუგენბერგის ნაციონალისტებმა —
52. პიტლერმა კი — მათმა მოცილებ —
მიიღო ნაციტებისათვის მიცემული 17
მილიონ 300 ათასი ხმა და 288 მანდა-
ტი. ასე და მხოლოდ ასე — ათასნაი-
რი ხრიკებითა და ოინებით — შეძლო
პიტლერმა მოეპოვებინა არჩევნებში გე-
რმანელი ხალხის ხმათა უმეტესობა. რა-
იხსიტავში მას ჰქონდა 288 მანდატი
დანარჩენ პარტიათა 251 მანდატის წი-
ნააღმდეგ, სულ მხოლოდ 37 მანდატით
მეტი. ცივილიზებულ პარლამენტურ
მთავრობაში თავჩენილი რიგითი პრო-
ცესების მიმდინარეობისას ასეთ საგუ-
ლისხმო რაოდენობის უმცირესობას დი-
დი წონა და გავლენა ექნებოდა ქვეყ-
ანაში, მაგრამ ახალ ნაციტურ გერმა-
ნიაში უმცირესობას უნდა გავცნობი-
ერებინა, რომ მას ყოველგვარი უფლებე-
ბი აყრილი ჰქონდა.

1933 წლის 21 მარტს პოტსდამის სა-
გარნიზონო ეკლესიაში ფრიდრიჰ დი-
დის აკლდამის სიახლოვეს პიტლერმა
ვახსნა მესამე რაიხის პირველი რაიხს-
ტაგი. ეკლესიის შენობაში იხზდნენ რა-
იხსეერის წარმომადგენლები — სიმბო-
ლო გერმანელთა დაუსაბამო ძლიერები-
სა — სა-ს და სს-ის უფროსი ოფიცრე-
ბი, აღორძინების გზაზე მღვარი ვერ-
მანიის ეს დი წარმომადგენლები. 24

მარტს რაიხსტაგის უმეტესმა ნაწილმა,
ყველა მოწინააღმდეგე რომ დაიკრძალა
და დაზაფრა, 441 ხმით 94-ის წინააღ-
მდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმის თა-
ობაზე, რომ კანცლერი პიტლერი აღე-
ჭურვათ საგანგებო უფლებამოსილებე-
ბით ოთხი წლის ვადით. კენჭისყრის
შედეგების გამოცხადებისთანავე პიტ-
ლერმა გაჰხედა იქ მსხდომ სოციალის-
ტებს და მიამახა, აწი თქვენ აღარაფე-
რში მჭირდებითო.

არჩევნებით გამოწვეული საყოველთაო
აღტყინების ვითარებაში ნაციონალ-სო-
ციალისტური პარტიის მოხვიემ კოლო-
ნების წარმართული თავჯანსიკვით გა-
მსჭვალულმა განირაღდნებულმა პროცე-
სიამ თვისი წინამძღოლის თვალწინ
დაწალიკებით ჩაუქროლა ბერლინის ქუ-
ჩებს. ხანგრძლივი იყო მათი ბრძოლა
და ძნელად გასაცნობიერებელი უცხო-
ელისათვის, მით უფრო, თუ მას მარ-
ცხის სიმწარე არ უწევნებია. და აი, რო-
გორც იქნა, გამოჩნდა ადოლფ პიტლე-
რი. მაგრამ მარტო როდი იყო იგი. მან
განცდილი მარცხის სიღრმისეული შრე-
ებიდან ამომხურა ბნელი პირველყო-
ფილი ვებანი, რომლებიც ჩაბუდებუ-
ლიყო ყველაზე რიცხვმრავალ, ყველაზე
ქმედით, უღმობელ, წინააღმდეგობრივ-
სა და ბელუკულმართ რასაში ევროპისა.
ვით გრძნებულმა, გამოიხმო შიშის ზარ-
დამცემი სახება ყოვლის შთანმოქმელი
მოლოხისა, რომლის ქურუმიც თავად
იყო და განსხეულებაც. ჩემი მიზანი არ
გახლავთ აღწერა წარმოუდგენელი სი-
სასტიკის და სიმდაბლისა, რომლის გა-
მოიხობითაც იქმნებოდა მძულვარების
და ტირანიის ეს აპარატი, აწ დახვეწას
რომ საჭიროებდა. ამ ამბების გადმოცე-
მისას ჩემი ერთადერთი მიზანია უცი-
ლობლად წარმოუდგინო მკითხველს ის
ახალი და შემზარავი ფაქტი, რის წი-
ნაშეაც აღმოჩნდა ჯერაც გონდაბინდუ-
ლი მხოფლიო: გერმანიას მართავდა
პიტლერი და გერმანია იარაღდებოდა.

* * *

ვიდრე გერმანიაში ეს მომაკვდინებელი ცვლილებები ხდებოდა, მაკდონალდ-ბოლდუინის მთავრობამ თავის მოვალეობად მიიჩნია განსაზღვრული ვადით მკვეთრად შეეპყრობინა და შეეზღუდა ფინანსური კრიზისით გამოწვეული ჩვენი ისედაც მოკრძალებული შეიარაღება და ჯიუტად თვალს ხუჭავდა შემაშფოთებელ სიმპტომებზე ევროპაში. მისტერ მაკდონალდმა და მისმა კონსერვატორმა და ლიბერალმა კოლეგებმა — გაშმაგებულნი სულ იმას რომ ცდილობდნენ, გამარჯვებულთა განიარაღებაც იმ ჩარჩოებში მოექციათ, დამარცხებულთათვის რომ იყო განსაზღვრული ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით — მთელი რივის წინადადებანი წამოაყენეს ერთა ლიგის წინაშე და მოსინჯეს ყველა სხვა არხი, რომელიც კი ხელმისაწვდომი იყო მათთვის. ფრანგები, თუმც მათი პოლიტიკური ცხოვრება კვლავ არც თუ დიდად მნიშვნელოვანი ძვრებითა და უწყვეტი ცვალებადობით ხასიათდებოდა, დაჟინებით ებღაუჭებოდნენ თავიანთ არმაას, რადგან მასში ხედავდნენ საფრანგეთის არსებობისა და მისი ყველანაირი აღიანისის ბურჯსა და საყრდენს. ამგვარი განწყობის გამო მათი მისამართით გაიხმოდა საყვედურები, როგორც ინგლისის, ისე შეერთებული შტატების მხრიდან. პრესისა და საზოგადოებრიობის თვალსაზრისი საქმის ჭეშმარიტ არსს როდი ეფუძნებოდა, მაგრამ მტრული დამოკიდებულება აშკარად მომძლავრებულყო.

როდესაც 1932 წლის მაისში თქმთა პალატაში ყველა პარტია ხოტბას ახაზმდა განიარაღების დიდმნიშვნელოვანებას, სავარეო საქმეთა მინისტრმა დასახა ახალი გეზი იარაღის იმ სახეობათა კლასიფიკაციისა, რომელთა გამოყენება ნებადართული ან შეზღუდული იქნებოდა. მან ამას ხარისხობრივი განიარაღება უწოდა. შეცდომის მხილება უფრო იოლი იყო, ვიდრე პალატის წევრთა დარწმუნება. მე, აი, რა განვატყობად:

„სავარეო საქმეთა მინისტრმა მოგვარებენა, რომ ძნელია იარაღის დაჯიშვის ტყვეობით და თავდაცვითი იარაღის გორიებად. ეს მართლაც ასეა, ეინაიდან თითქმის ყველანაირი იარაღის გამოყენება შეიძლება როგორც თავდასაცავად, ისე საიერიშოდ როგორც აგრესორის, ისე მისი ძალმომრეობის უდანაშაულო მსხვერპლის მიერ. დამპყრობლისათვის საქმის გასაძნელებლად მძიმე იარაღი, ტანკები და მომწამლებელი გაზები უნდა მიეკუთვნოს შემტყვევით იარაღის მაგნიკატეგორიას. მაგრამ საფრანგეთში გერმანიის შეჭრა 1914 წელს იარაღის აღნიშნულ სახეობათა გამოუყენებლად დაგვირგვინდა. მძიმე იარაღი უნდა განვიხილოთ, როგორც შემტყვევითი იარაღი. იგი უპრიანია ციხესიმაგრეში; იქ ის უცოდველია და უწყინარი თავისი არსით. მაგრამ, აბა, ველზე სცადეთ — რაც, თუ ამის საჭიროება შეიქნა, მოხდება კიდევ — მყის გადაგეარდება, გაბოროტდება და შესარკინებლად აღიმართება, რის გამოც უნდა აიკრძალოს ცივილიზებულ სამყაროში. ახლა ტანკი ვთქვათ. გერმანელები, საფრანგეთში რომ შეიჭრნენ, გამაგრდნენ იქ და სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში გაანადგურეს 1500000 ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცი, რომლებიც ლაშობდნენ საფრანგეთის მიწაწყლის გათავისუფლებას. ტანკი იმისთვის გამოიგონეს, რომ მას დაეჯახნა ცეცხლი ტყვიამფრქვევებისა, რომელთა წყალობითაც გერმანელები საფრანგეთში გამაგრებულიყვნენ და მან აურაცხელი ადამიანის სიცოცხლე იხსნა მომხდურთაგან მშობლიური მიწაწყლის გათავისუფლებისას. ახლა კი, როგორც ჩანს, ტყვიამფრქვევი, ანუ იარაღი, რომლის წყალობითაც გერმანელები ინარჩუნებდნენ 13 ფრანგულ პროვინციას, ჩაითვლება უცოდველ და თავდაცვით იარაღად, ტანკი კი, მოკავშირეთა სიცოცხლეს ბურჯად რომ ედგა, ყველა მართალმა თუ ღირსეულმა კაცმა უნდა დაგმოს და აირიდოს...“

უფრო მართებული კლასიფიკაციისას უნდა აიკრძალოს მასობრივი განადგურების იარაღი, განურჩევლად ყველგან

სიკვდილს რომ თესავს და ჭრილობებით სერავს არა მარტო ბრძოლის ველზე მეომართ, არამედ სამოქალაქო პირებსაც — მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, რომელნიც კარგა მანძილით არიან დაშორებულნი იმ არე-მიდამოს. აი, რა მიმართულებით შეუძლიათ, ჩემის აზრით, იმედინად წინსვლა ჯენევაში შეკრებილ გაერთიანებულ ერებს..“

ბოლოს მე მივეცი ჩემი პირველი ოფიციალური გაფრთხილება მოახლოებული ომის თაობაზე:

„ჩემთვის ერთობ დასანანი იქნება თვალის გასწორება იმისათვის, რომ გერმანიის სამხედრო ძლიერება გარკვეულწილად გაუთანაბრდეს საფრანგეთისას. მას, ვინც ამას მართებულად ან თუნდაც კეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნევს, სრულებით ვერ გაუცნობიერებია, თუ რაოდენ სერიოზული საფრთხის წინაშეა ევროპა...“

* * *

ხელისუფლების სათავეში ვგრძობ წოდებული ეროვნული მთავრობის ყოფნისას საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მეტად იხრებოდა იქითკენ, რომ თავიდან მოეშორებინა გერმანიაზე ყველანაირი ფიქრი... და მაინც, როცა 1932 წელს გერმანიის დელეგაციამ განიარაღების თაობაზე მოწვეულ კონფერენციაზე კატეგორიულად მოითხოვა მისი ხელახლა შეიარაღების უფლებაზე ყოველგვარ შეზღუდვათა მოხსნა, ამან სერიოზული მზარდაჭერა პოვა ინგლისის პრესაში. „ტაიმსი“ წერდა „უთანასწორობის დროულ აღკვეთაზე“, „ნიუ სთეისსენი“ კი — „სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უპირობო აღიარებაზე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ 70 მილიონ გერმანელს ნება ეძლეოდა ხელახალი შეიარაღებისა და ომისათვის მზადებისა, მაშინ როდესაც ამასწინანდელ შემზარავ ბრძოლაში გამარჯვებულ ქვეყნებს იმის უფლებაც კი არა ჰქონდათ, რომ რაიმე საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ. მძლეველთა და ძლე-

ულთა სტატუსის თანახმად უფლებიანობა, თანასწორუფლებიანობა, თანასწორუფლებიანობა — რამეტ მილიონიან საფრანგეთსა და გერმანიას შორის, — გერმანიისა, რომლის მოსახლეობა თითქმის ორ იმდენს მითვლიდა!..

პოპულარობით ატაცებულმა მისი უდიდებულესობის მთავრობამ 1933 წლის 16 მარტს გამოაქვეყნა მისი ავტორისა და სულისჩამდგმლის პატივსაცემად ე. წ. „მაკდონალდის გეგმა“ სახელდებული დოკუმენტი. გეგმის ამოსაკალი პუნქტი გახლდათ მიღება არმიის ფრანგული კონცეფციისა მოკლევადიანი სამსახურით, — ამ შემთხვევაში იგი განიხილვებოდა რვა თვით, რის შემდეგაც ვთავაზობდა თითოეული ქვეყნისათვის მეომართა ზუსტი რაოდენობის დღეგნას. საფრანგეთის არმია, მშვიდობიანობის დროს 500 ათას კაცს რომ მიითვლიდა, 200 ათასამდე მცირდებოდა, გერმანიისა კი შესაბამისად იზრდებოდა და იმავე რიცხვს უტოლდებოდა. იმ დროისათვის გერმანელთა შეიარაღებული ძალები, რომელთაც თუმცა ვერ კიდევ არა ჰყავდათ მრავალრიცხოვანი გაწვრთნილი თადარიგოსნები — რადგან ამისათვის საჭირო იყო ყოველწლიურად სამხედრო სამსახურში სისტემური გაწვევა — ეჭვს გარეშეა, უკვე მიითვლიდნენ მილიონზე მეტ ნაწილობრივ შეიარაღებულ მგზნებარე მოხალისეს, აღჭურვილთ ნაირგვარი უახლესი იარაღით, რომელსაც მათთვის ამზადებდნენ ცვალებადი პროფილისა და ნახევრად პროფილშეცვლილი ქარხნები.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის საფრანგეთს, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთს, ჰქონდა მძიმე საარტილერიო იარაღის უდიდესი მარაგი, მაშინ როდესაც გერმანელთა არმიის იარაღი განადგურდა, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა. მაკდონალდი იღწვოდა ამ ამკარა უთანასწორობის აღსაკვეთად და ამ მიზნით მოუწოდებდა მოძრაი საარტილერიო იარაღისათვის 105-მილიმეტრიანი ან 4,2-დიუმიანი ზღვრული კალიბრის დაწესებას. 6-დიუმიამდე-კალიბრიანი არსე-



ბული იარაღის შენარჩუნება დასაშვები იქნებოდა, მაგრამ ძველის ახლით შეცვლისას 4,2 დიუმამდე უნდა შეზღუდულიყო. ბრიტანეთის ინტერესები, ესოდენ განსხვავებული საფრანგეთის ინტერესებისაგან, 1935 წლამდე დაცულ უნდა ყოფილიყო გერმანიის სამხედრო-სახლგო შეიარაღების სამშვიდობო შეღმკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის ხარჯზე; ამ ვადის გასვლისთანავე კი უნდა მოეწეათ ახალი საზღვაო კონფერენცია. გერმანიას ეკრძალებოდა სამხედრო ავიაციის ყოლა შეთანხმების მოქმედების პერიოდში, მაგრამ სამ მოკავშირე სახელმწიფოს უნდა შეემტირებინა საკუთარი სამხედრო-საჰაერო ძალები, თითოეულს — 500 თვითმფრინავამდე.

მე დიდი გულისწყრომით ვადევნებდი თვალს ამ შეტევას საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებზე და მეცადინეობას გერმანიისა და საფრანგეთის ძალების გათანაბრებისა...

მაგრამ ფრანგებს ეყოთ გამბედაობა დაბეჯითებით მოეთხოვათ, რომ მათი მხიმი სამხედრო აღჭურვილობის განადგურება ოთხი წლით გადაევადებინათ. ინგლისის მთავრობამ მიიღო ეს შესწორება იმ პირობით, რომ საფრანგეთის თანხმობა მისი არტილერიის განადგურების თაობაზე დაფიქსირდებოდა საგანგებო დოკუმენტში, რომელსაც დაუყოვნებლივ მოაწერდნენ ხელს, საფრანგეთი დასთანხმდა ამ მოთხოვნას და 1933 წლის 12 ოქტომბერს სერ ჯონ საიმონმა, რომელმაც გამოთქვა შემოთხოება იმის თაობაზე, რომ გერმანიამ ბოლო კვირებში შეიცვალა თავისი პოზიცია, ამ წინადადებათა პროექტი განსახილველად წარუდგინა განიარაღების საკითხებზე მოწვეულ კონფერენციას.

შედეგი სრულიად მოულოდნელი გახლდათ. პიტლერმა, ამჟამად კანცლერმა და თუკაცმა სრულიად გერმანიისა, ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე გასცა ბრძანება საყოველთაო-სახალხო ომისათვის გადამწყვეტი სამზადისის გაჩაღებისა როგორც საწურთნელ ბანაკებში, ისე საწარმოებში; იგი უკვე

გრძნობდა ძლიერ ზურგს. მეს, იმისთვისაც, საც კი არ შეუწუხებია თავისი მოქმედებით, იმისთვისაც, რომელთა თავზე მოხვევაც უნდოდათ მისთვის; ავღებული ქსტით უბრძანა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს დეტრეებისათ როგორც კონფერენცია, ისე ერთა ლეგა. ასეთი ბედი ეწია „მაკდონალდის გვემას“...

* * *

... მკითხველი უთუოდ შემიძნობს ამ პირადული ხასიათის მცირედ გადახვევას.

1932 წლის ზაფხულში ჩემს წიგნზე — „მარლბოროს ცხოვრება“ — მუშაობასთან დაკავშირებით მოინახულე იმ ადგილები ნიდერლანდებსა და გერმანიისა, სადაც მას არაერთი ბრძოლა გადაეხადა. ჩვენმა ოჯახურმა ექსპედიციამ სასიამოვნო მოგზაურობა განახორციელა მარლბოროს მიერ 1705 წელს ვანელილი მარშრუტით — პოლანდიალუნაი; ამასთან, გადავლაზე რაინი კობლენცთან. ვიდრე ამ მშვენიერ ადგილებში ერთი ღირსშესანიშნავი უძველესი ქალაქიდან მეორეში გადავიდით, მე, ბუნებრივია, ცნობებს ვაგროვებდი პიტლერულ მოძრაობაზე და დავერწმუნდი, რომ ეს იყო ყოველი გერმანიელის განსჯა-ფიქრის უმთავრესი საგანი. შევიგრძენი პიტლერიზმის ატმოსფერო. ბლენაიში ბრძოლის ველზე გავემგზავრე და მშვენივრად გავატარე რამდენიმე დღე.

ოტელ „რეინამი“ ჩემს ერთ-ერთ თანამგზავრს ერთი ჯენტლმენი გაეცნო. პერ მანფშტენგლი — ეს გახლდათ მისი გვარი — ხულ „ფიურერზე“ ლაპარაკობდა, რომელთანაც, როგორც ჩანს, ერთობ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. რაკი ხალისიანი და კარგი მოსაუბრე ჩანდა და ინგლისურადაც მშვენივრად მეტყველებდა, სადილად დაეპატივე, იგი ზემიწეებით საინტერესოდ მსჯელობდა პიტლერის მოღვაწეობასა და შეხედუ-

ლებებზე. ისე ლაპარაკობდა, იფიქრებდით, მოჯადოებულიაო. შესაძლოა, დავალებულიც კი ჰქონდა ჩემთან ურთიერთობის დამყარება და აშკარად მოწადინებული იყო რამენიარად ესაიმოვნებინა ჩემთვის. სადილის შემდეგ ფორტეპიანოს მიუჯდა და ისე მშვენივრად დაამღერა ათასგვარი სიმღერა თუ მელოდია, რომ უდიდესი საიმოვნება მოგვანიჭა. აღმოჩნდა, რომ ყველა ჩემი საყვარელი ინგლისური მელოდია იცოდა. ბრწყინვალედ შეეძლო საზოგადოების შექცევა და ცნობილია, რომ იმხანად ფიურერისათვის გამორჩეულად საყვარელი კაცი ვახლდით. განმიცხადა, რომ უთუოდ უნდა შევხვედროდი ჰიტლერს და რომ ამის მოხერხება სულ ადვილად შეიძლებოდა; რომ ჰიტლერი ყოველდღე მოდიოდა ამ ოტელში დღის 5 საათისათვის და მართლაც ძალზე მოხარული იქნებოდა, თუ შევხვდებოდი.

იმხანად ჰიტლერის მიმართ არანაირი ნაციონალური ცრურწმენით არა ვყოფილვარ განმსჭვალული. არც თუ ბევრი რამ ვიცოდი მისი დოქტრინისა თუ ნაწერების შესახებ და წარმოდგენაც არ მქონდა მის პიროვნულ თვისებებზე. მე აღტაცებაში მოვყავარ ადამიანებს, თავიანთ დამარცხებულ სამშობლოს ქომაგად რომ უდგებიან, თუნდაც თავად მოპირისპირე მხარეს ვიდგე. მას სრული უფლება ჰქონდა, გერმანელი პატრიოტი ყოფილიყო, თუკი ამას მოისურვებდა. სულ ის მინდოდა, რომ ინგლისი, ვერმანია და საფრანგეთი შეგობრები ყოფილიყვნენ. და მაინც, ჰანფსტენგლთან ხაუბრისას სხვათა შორის ვიკითხე: „რატომაა, რომ თქვენს ბელადს ასე საშინლად ხმულს ებრაელები? მე მშვენივრად შემიძლია გავიგო გააფთრება იმ ებრაელთაგან, რომელთაც რაღაც დანაშაული ჩაუდენიათ ან ბრალი მიუძღვით ქვეყნის წინაშე; მე ისიც კარგად მესმის, რომ წინ უნდა აღუდგათ, როდესაც ცდილობენ გაბატონებული ადგილი მოიპოონ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. მაგრამ ვანა გონივრულია მტრულად განეწყო ადამიანისა-

დმი მხოლოდ მისი წარმომავლის გამო? ვითომ კაცია გამგებელი თვისა წარმომავლობისა?“ როგორც ჩანს, მას ეს ჰიტლერს მოახსენა, რადგან მეორე დღეზე, შუადღისათვის, ძალზე სერიოზული იერით გამოვეცხადა და ვვითხრა, რომ ჩემი შეხვედრა ჰიტლერთან, რომელზეც შემითანხმდა, აღარ მოხერხდებოდა, რადგან იმ დღეს ფიურერი ოტელში არ მობრძანდებოდა. მეტად აღარ შევხვედრივარ ამ კაცს — მეტსახელად „პუტცი“ რომ შეერქმიათ — მიუხედავად იმისა, რომ ამ ოტელში კიდევ რამდენიმე დღეს დავეყვით. ასე გაუშვა ხელიდან ჰიტლერმა ერთადერთი შესაძლებლობა ჩემთან შეხვედრისა. მოგვიანებით, როცა ის უკვე ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებოდა, რამდენჯერმე მიმიწვია თავისთან; მაგრამ იმ დროისათვის უკვე ბევრ წყალს ჩაველო და მეც თავი ავარიდე...

* * *

ვიდრე ევროპაში მძლეველთა და ძლეულთა სამხედრო ძალთა ურთიერთმომართებაში ასეთი საშინელი ცვლილებები ხდებოდა, შორეულ აღმოსავლეთში არაავრესიულ და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს შორისაც სრულმა უთანხმოებამ იჩინა თავი. აქაც, სწორედ ისე, ვით ევროპაში, მოვლენათა განვითარებამ ავბედითი ხასიათი მიიღო და ამის მიზეზი შეიქნა ისეთივე დადამპლავება აზრისა და ქმედითუნარიანობისა, როგორმაც მოიცვა ყოფილ და მომავალ მოკავშირეთა ლიდერები.

1929-1931 წლების ეკონომიკურმა ქარტეხილებმა იაპონიაც ისევე მოიცვა, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. 1914 წლის შემდგომ ხანებში მისი მოსახლეობა 50 მილიონიდან 70 მილიონ კაცამდე გაიზარდა, მეტალურგიული ქარხნების რიცხვი კი — 50-დან 148-მდე. ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. ბრინჯის წარმოება ერთ დონეზე გაიყინა, მისი იმპორტი კი ძვირი ჯდებოდა. მწვავედ იღვა ნედლეულისა და საჯარო

ბაზრების საჭიროების საკითხი. მძაფრი დებრესიის პირობებში ინგლისისა და სხვა ორმოცი ქვეყნისათვის, რაც წლები გადიოდა, სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა ტარიფების შეზღუდვა იმ იაპონურ საქონელზე, რომელსაც აწარმოებდნენ ევროპული თუ ამერიკული სტანდარტებისათვის მიუღებელ სამუშაო პირობებში. ჩინეთი ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, წარმოადგენდა იაპონიისათვის მთავარ ბაზარს ბამბულისა და სხვა ნაწარმის გასასაღებლად და მის თითქმის ერთადერთ წყაროს ქვანახშირისა და რკინის მადნის მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე, ჩინეთისათვის ხელახლა კონტროლის დაწესება შეიქნა იაპონიის პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა.

1931 წლის სექტემბერში იაპონელებმა იმ საბაბით, რომ ქვეყნის შიგნით არეულობამ იჩინა თავი, დაიპყრეს მუკდენი და მანჯურიის რკინიგზის ზონა. 1932 წლის იანვარში მათ მოითხოვეს ანტიიაპონური სულისკვეთების ყველა ჩინური ორგანიზაციის დაშლა, რაზედაც ჩინეთის მთავრობამ უარი განაცხადა. მაშინ იაპონელები 28 იანვარს ვაღმოსხდნენ საერთაშორისო კონცესიის ჩრდილოეთით, შანხაიში. ჩინელებმა ვაკაცური წინააღმდეგობა გაუწიეს მათ და მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნდათ არც თვითმფრინავები, არც ტანკა-წინააღმდეგო იარაღი თუ სხვა თანამედროვე აღჭურვილობა, თვეზე მეტ ხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. თებერვლის მიწურულს — მას შემდეგ, რაც ძალზე

მძიმე დანაკარგი განიცადეს მანჯურიაში ბული შეიქმნენ უსუნის სრუტეში განლაგებული თავიანთი ციხესიმაგრეებიდან უკან დაეხიათ და დაეკავებინათ პოზიციები სანაპიროდან დაახლოებით 12 მილის დაშორებით. 1932 წლის დამდეგს იაპონელებმა შექმნეს მარიონეტული სახელმწიფო მანჯუკუო. ერთი წლის შემდეგ მას შეუერთდა ჩინური პროვინცია ეხუე, ხოლო 1933 წლის მარტში იაპონელთა ჯარი, რომელიც ღრმად შეიჭრა დაუცველი რაიონების ტერიტორიაზე, მიადგა ჩინეთის დიდ კედელს. ამ აგრესიულ აქციაში აისახა იაპონიის მზარდი ძალა შორეულ აღმოსავლეთში და მისი გამყარებული სამხედრო-სახლვაო პოზიცია ოკეანეებზე...

1933 წლის თებერვალში ერთა ლიგამ განაცხადა, რომ იგი ვერ სცნობდა მანჯუკუოს სახელმწიფოებრიობას. თუმცა იაპონიისათვის არანაირი საქციები არ დაუწესებიათ და არც არანაირი სხვა ზომები არ გაუტარებიათ მის მიმართ, 1933 წლის 27 მარტს იაპონია გამოვიდა ერთა ლიგიდან. ომის დროს გერმანია და იაპონია საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ, ახლა კი ერთმანეთს სულ სხვა თვლით უყურებდნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც ერთა ლიგას განსაკუთრებით მოეთხოვებოდა აქტიურობისა და ძლიერი ნების გამოჩენა, აღმოჩნდა, რომ მის ზნეობრივ ავტორიტეტს არანაირი ფიზიკური საყრდენი არა ჰქონია.

**ინგლისურიდან თარგმნა
რუსულიდან მანათიამკმ.**



მრავალხმიანი სამკლოვიარო სიმღერა „ზარი“

ქართული საისტორიო თხზულებების კრებულში „ქართლის ცხოვრება“ ნაჩვენებია ძველი და შუასაუკუნოვანა საქართველოს როგორც პოლიტიკურა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება, ასევე კულტურული ვითარებაც. კერძოდ, ამ ისტორიულ წყაროში დაცული ცნობები ქართული მუსიკის შესახებ და მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა ძველი საქართველოს დაწინაურებულა მუსიკალური კულტურის მათხვედელია.

დატირების წესის შესახებ საყურადღებო ცნობას ვხვდებით ბერი ვენატაშვილის თხზულებაში „ახალი ქართლის ცხოვრება“, სადაც ნათქვამია, რომ შაჰ-აბასის მიერ დატყვევებულმა მეფე ლუარსაბმა თავის ამალაში მყოფ ქართველებს სთხოვა, მიხი გარდაცვალების შემდეგ შეესრულებინათ „ზარი“. „ესერა დაუტეობ საწუთოსა ამას სოფელსა და განგეშორები თქვენგან და წარვალ შეუფისა ჩემისა ღუთისა წინაშე, რომლისათვისცა მსუროდა, გარნა ნუ დამივიწყებთ და ესე-მებრ სიტყუა გეკხენედ და ცრემლით მგოდებდით... რამეთუ მნებავს თქვენ მიერ, რათა წესისაებრ საქართველოსა აღუტეოთ ზარი და კმა დაფლვისა ჩემისა და ვერუთ სტიროდეთ ჩემ ზედა“. მეფის ამალაში მყოფ ქართველებს მაშინვე შეუსრულებიათ მეფის თხოვნა: „მაშინ აღუტევეს ქართველთა კმა რა მათ ვოდებისა და ტირილისა, ვითარცა რაქელ სტიროდა შეიღითა

თესთა და არა უნდა ნუგეშინისცემის, და ტიროდენ ზართა წესსა ზედა საქართველოსასა. და თვით მწოლარე იყო მეფე ლუარსაბ და მიუტირებდენ ქართველნი კმითა საზარელითა და ტირილითა უნუგეშინისცემითა, და ვერუთვე მეფე ლუარსაბ მიუგებდა და მეტყუალებდა სიტყუასა მწარესა განშორებისა მათისათვის“ (ბერი ვენატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტექსტი I, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 397-398).

ტექსტში მოხსენიებული გამოთქმები „... მნებავს... აღუტეოთ ზარი...“ ან „... აღუტევეს ქართველთა კმა... ვოდებისა და ტირილისა“ (აღტეება — გამოცემა, გამოლება. მაგალითად, „აღუტევა კმა“, „კმა-ყო კმითა დიდითა“ (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 22) იმას ნიშნავს, რომ „ზარი“ ხმით შეუსრულებიათ, უთქვამთ „ზარი“. როგორც ვხვდავთ, ცნობა სამუალებას ვეამდეგს დაეადგინოთ, რომ ძველად საქართველოში გლოვის დროს სრულდებოდა სამკლოვიარო სიმღერა „ზარი“.

ცნობას „ზარის“, როგორც სამკლოვიარო მრავალხმიანი სიმღერა-ტირის შესახებ, ვაწვდის დავით მანაბელი. „ზარი, საგლოველი სიმღერა მცულალებულზედ; გლოვის ხმად განკიდებული კივილი დაბალის ბანით და თავის აღავს მოძახილი ქვითინის სა-



ხედ, აწ ზარსაცა ხმარობენ, მიცვალებულის ტირილის დროს კუადა, მხოლოდ თუშნი და რომელთამე ადგილთა იმერნი“ (დ. მანაბელი, ქართველთა ზნეობა, ჟურნ. „ცისკარი“, 1864, მაისი).

ივანე ჯავახიშვილი „ზარს“ სამგლოვიარო მოთქმით ტირილს უწოდებს (ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1937, გვ. 280).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ზარი“ საქართველოს ვველა მხარეში ყოფილა გავრცელებული. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ჩვენთვის ხაინტურესო ფრაგმენტებს ეთნოგრაფიული მასალადან.

არქ. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში ახალ გარდაცვლილს დიდ ოთახში ხალიჩაზე დაასვენებდნენ, ამოარჩევდნენ კარგი ხმის პატრონს რამდენსამე პირს და მათგან მოზარეთა ორ გუნდს შეადგენდნენ ხოლმე. შემდეგ ყოველი მოტირალი დგება ორ გუნდს შუა და ისე უახლოვდება მიცვალებულს. მოზარეები მღერიან ნელი ხმით, თითქოს კიდეც მღერიან და კიდეც სტირიანო. სიტყვებს არ ამბობენ და იძახიან მხოლოდ „ოპი, ოპი, ოპი“ (არქ. ლემბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 62).

სამეგრელოში დასაფლავების დღეს მოთქმით ტირიან მეზობლის ქალები — „მათვალარფი“ მოზარეთა ორი გუნდის თანხლებით: „...ვიშ-ვიშთან ერთად მოტირალი ორსავე ხელს გაშლილ თმაზე ჩამოისვამს და წარმოადგენს მგლოვიარე ქალს, რომელიც საშინელ მწუხარებისაგან თავზე თმას იგლეჯს.

ორი გუნდი, სოფელთაგან შემდგარი, ჰგალობს სამგლოვიარო მარშს, რომელსაც „ზარი“ ჰქვიათ, რაც ნიშნავს: საშინელებას, უბედურებას. ზარს უსიტყვოდ ჰგალობენ, ისმის მხოლოდ ერთი გაგრძელებული „ვაი, ვაი“ (თედო სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 170).

ქართლში ტერმინი „ზარი“ გულისხმობს დათვლით ტირილის შემსრულებლებს „ბანის“ თანხლებით. ქართლში ზარს ქალები არულებენ. რაჭაში სამგლოვიარო რიტუალში მონაწილეობას იღებდა „მოთქმით მოტირალი“ ქალი, რომელიც ასრულებდა დათვლით ტირილს. დათვლით ტირილს თან ახლდა სამხმინა უსიტყვო სამგლოვიარო სიმღერა „ზარი“. სიმღერას 3-4 მამაკაცი მღეროდა (ქ. ნაკაშიძე, დასავლეთ საქართველოს მთიელთა მუსიკალური კულტურა, დისერტაცია, 1987, გვ. 88-94).

საყურადღებოა სვანური ზარი, რომელიც ჩაიწერა და აღწერა ზაქარია ფალიაშვილმა: „მომღერლები ჩამწყრივდებიან რიგ-რიგად, მხრებზე გადაიდებენ ყავარჯვენს (შუბის დავვარია, რომელიც ყოველ სვანს აქვს), შეჰკრავენ დასაფლავების პროცესიას და ორპირად მღერიან. ამ პიშნს, რომელიც თავისი მუსიკალური შინაარსით იმდენად დიდებული და თავზარდაცემია, რამდენადაც თვით პროცესიას საუცხოო შესახედაობა აქვს. მიცვალებულის გვამს და ქალების მოთქმა-ტირილს რომ არ ხედავდეს კაცი, ეგონება მოლიტანიონის სადღესასწაულო სარწმუნოებრივი პროცესიააო“ (ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, 1909, გვ. IX).

ვ. ახობაძის აზრით, „ზარი“ სრულდებოდა როგორც სამგლოვიარო საგალობელი. მას ასრულებდნენ პროფესიული მომღერლები, მოხუცი მამაკაცები გამოსვენების დროს. სვანური „ზარი“ სამხმინა სიმღერაა და ორ გუნდად სრულდება. „ზარი“ სრულდებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო ღრმად მოხუცებული, რომელსაც არ განუცდია მასზე უმცროსის სიკვდილი. ამჟამად სვანეთში ეს წესი დარღვეულია — „ზარს“ ეუბნებიან ახალგაზრდა, განსაკუთრებით პატივსაცემ სვანსაც (ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957, გვ. 20-21).

ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ზარი“ მრავალხმიანი უსიტყვო სამგლოვიარო სიმღერა-საგალობელია, რომელიც სრულდება მოტირალისა და მოზარეთა გუნდის მიერ დასაფლავების დღეს. დასავლეთ საქართველოში „ზარს“ მამაკაცები ასრულებენ, ქართლში — ქალები.

„ზარის“ მუსიკალური ტექსტების ანალიზის შედეგები ასეთია: „ზარის“ მუსიკალური ტექსტი ზოგჯერ წარმოადგენს მუსიკალურ თხრობით რეჩიტატივს, ზოგჯერ გაშლილ, განვითარებულ სამგლოვიარო საგალობელს (დასავლეთ საქართველოში — იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი). „ზარი“ სრულდება ორ ან სამხმიანი გუნდით. „ზარი“ უსიტყვო სამგლოვიარო სიმღერაა, რომელიც გულისხმობს სიმღერის მრავალხმიან, გუნდურ შესრულებას და ხალხური სასიმღერო შემოქმედების განვითარების მაღალ საფეხურს წარმოადგენს (გრ. ჩხიკვაძე, ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, 1948, გვ. 25-27). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ზარი“ ზოგჯერ სიტყვიერი ტექსტითაც სრულდება (ვ. ახოზაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957, გვ. 21).

„ზარი დღესაც სრულდება“^{გრ. ჩხიკვაძე} ქართლში, სამეგრელოსა და სვანეთში. მკვლევარების მიერ გამოკვლეულია, რომ „ზარიც“ და „ტირილიც“ წარმართობის ხანიდან მომდინარეობს (ვ. ახოზაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957, გვ. 20; გრ. ჩხიკვაძე, ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, 1948, გვ. 13, 29; დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1925, გვ. 7).

წარმართული ხანიდან მომდინარე და ხალხურ ყოფაში დამკვიდრებული დატირების ეს წესი — „ზარით“ დატირება დადასტურებულია ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში დაცული ცნობით შუასაუკუნეების საქართველოშიც.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „ზარი“ სიმღერის მრავალხმიან, გუნდურ შესრულებას გულისხმობს, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს, ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში დაცული ცნობა, რომელშიც დამოწმებულია სამგლოვიარო სიმღერა „ზარი“, მივიჩნიოთ ცნობად შუასაუკუნეების საქართველოში მრავალხმიანობის არსებობის შესახებ.

თბილისი რუსთაველის ქ. № 28.

ბალეშვიციანი: შთ. რედაქტორის — 93-91-61.
 სასუბსმეგელი მდივნის 93-91-00, და განყოფილების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 15.05.97 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.06.97 წ., ასაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 12. საადრ.-საგამომცემლო თაბახი 13.8. ტირაჟი 700. შეკვეთა 646. ფურცელ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლო“, კოსტავა ქ. № 14.

0 416/2

97-56

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების

მინისტროს

16186

საგარეო ურთიერთობების

10